გიორგი შუბლაძე

# ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები

(მეორე, შევსებული გამოცემა)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2011

ГЕОРГИЙ ШУБЛАДЗЕ

# ЭПИЗОДЫ ЖИЗНИ  И ДЕЯТЕЛЬНОСТИ

**(2-е, дополненное издание)**

Тбилиси
2011



*წიგნები აზრის ხომალდებია, რომლებიც მოგზაურობენ დროის ტალღებზე და მზრუნველობით მიაქვთ თავისი ძვირფასი ტვირთი თაობიდან თაობამდე.*

***ფ. ბეკონი***

წიგნი გამოიცა 2009 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და აკადემიკოს-მდივნის გიორგი შუბლაძის საიუბილეო თარიღთან – დაბადებიდან 75-ე წლისთავთან დაკავშირებით. მასში ასახულია იუბილარის მიერ განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეპიზოდები: ბავშვობა, სკოლის პერიოდი, სტუდენტობა, ასპირანტურაში სწავლა, შრომითი, მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

იუბილარის მიერ თავისი განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ერთგვარი ანგარიშგება იმისი ნათელი მაგალითია მათთვის, ვისაც გადაწყვეტილი აქვს მონდომებითა და შრომისმოყვარეობით მიაღწიოს დასახულ მიზანს. ეს წიგნი[1] შეიძლება ჩაითვალოს სამაგიდო წიგნად თაობებისათვის.

რედაქტორები: **გიორგი მალაშხია,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში

**ფიქრია წოწკოლაური,** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

[1] როგორც მეორე გამოცემა იბეჭდება უმცროსი შვილიშვილის ბექა ბურკაძის თხოვნით.

© გ. შუბლაძე, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი", 2011
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

Книга издана в 2009 г. в связи с 75-летием со дня рождения доктора экономических наук, профессора, одного из учредителей и академика-секретаря Академии экономических наук Грузии. В ней отражены основные эпизоды пройденной жизни и деятельности юбиляра: детство, школьные годы, студенчество, учеба в аспирантуре, трудовая, научная, педагогическая и общественная деятельность.

Это своего рода отчет о пройденной жизни и деятельности юбиляра, что является ярким примером для тех, кто хочет со старанием и трудолюбием достичь намеченной цели. Данную книгу[1] можно считать настольной книгой для поколений.


Редакторы: **Георгий Малашхия**

доктор экономических наук, полный профессор Тбилисского технического университета, академик Академии экономических наук Грузии, Лауреат Государственной премии в области науки и техники

**Пикрия Цоцколаури**

академический доктор экономики, ассоцированный профессор Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили


---

[1] 2-е издание данной книги осуществлено по просьбе младшего внука Беки Буркадзе

## სარჩევი

**რედაქტორებისგან** ..........10

**I. ავტობიოგრაფიული ნარკვევი**..........16
1. ოჯახი, სადაც დავიბადე. საშუალო სკოლა..........16
2. უნივერსიტეტი, ასპირანტურა და საკანდიდატო დისერტაცია..........24
3. შრომითი საქმიანობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. სადოქტორო დისერტაცია ..........40

**II. გიორგი შუბლაძის წვლილის შესახებ ეკონომიკური მეცნიერებისა და უმაღლესი ეკონომიკური განათლების განვითარებაში**..........102
1. პირდაპირი კავშირების არსის შესახებ..........102
2. ბიზნესის შესახებ..........111
3. მარკეტინგის და მენეჯმენტისა შესახებ..........126
4. ეკონომიკური თეორიის დეფინიციის შესახებ..........160
5. ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინისა და ახალი მეცნიერული დისციპლინების სწავლების შესახებ ....171
6. კანონიერი უფლებების დარღვევის შესახებ ემერიტუსის სტატუსთან და კონკურსების ჩატარებასთან დაკავშირებით ..........194

**III. ზოგიერთი გამოძახილი და რეცენზია გ.შუბლაძის ნაშრომებზე (მ.შ. საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე)**..........209
1. გამოძახილები საკანდიდატო დისერტაციაზე..........209
2. რეცენზია და გამოძახილი სადოქტორო დისერტაციაზე..........217
3. რეცენზიები წიგნებზე ..........234

**IV. გიორგი შუბლაძე პუბლიცისტიკაში**..........238

**V. გ. შუბლაძის დაბადების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული ზოგიერთი მასალა** ..........348

**VI. გ. შუბლაძის გამოქვეყნებული ნაშრომები (ბიბლიოგრაფია)** ..... 387
1. წიგნები ..... 387
2. სტატიები ჟურნალებსა და მეცნიერული შრომების კრებულებში ..... 389
3. მოხსენებათა თეზისები ..... 394

**VII. პროფ. გიორგი შუბლაძე წიგნების რედაქტორი და რეცენზენტი** ..... 396

**ფოტოალბომი** ..... 398

## СОДЕРЖАНИЕ


От редакторов ........................................ 13

I. АВТОБИОГРАФИЧЕСКИЙ ОЧЕРК ........................................ 16
1. Семья, где родился. Средняя школа ........................................ 16
2. Университет, аспирантура и кандидатская диссертация ........................................ 24
3. О трудовой и общественной деятельности. Докторская диссертация. ........................................ 40

II. О ВКЛАДАХ ГЕОРГИЯ ШУБЛАДЗЕ В РАЗВИТИЕ ЭКОНОМИЧЕСКОЙ НАУКИ И ВЫСШЕГО ЭКОНОМИЧЕСКОГО ОБРАЗОВАНИЯ ........................................ 102
1. О сущности прямых связей ........................................ 102
2. О бизнесе ........................................ 111
3. Относительно маркетинга и менеджмента ........................................ 126
4. О дефиниции экономической теории ........................................ 160
5. О некоторых экономических терминах и препадований новых научных дисциплин ........................................ 171
6. О нарушении законных прав в связи со статусом эмиретуса и проведением конкурсов ........................................ 194

III. НЕКОТОРЫЕ ОТЗЫВЫ И РЕЦЕНЗИИ НА РАБОТЫ Г. ШУБЛАДЗЕ (В Т. Ч. КАНДИДАТСКИЕ И ДОКТОРСКИЕ ДИССЕРТАЦИИ) ........................................ 209
1. Отзывы на кандидатскую диссертацию ........................................ 209
2. Рецензия и отзыв на докторскую диссертацию ........................................ 217
3. Рецензии на книги ........................................ 234

IV. ГЕОРГИЙ ШУБЛАДЗЕ В ПУБЛИЦИСТИКЕ ............................ 238

V. НЕКОТОРЫЕ МАТЕРИАЛЫ, СВЯЗАННЫЕ С ЮБИЛЕЙНЫМИ ДАТАМИ РОЖДЕНИЯ Г. ШУБЛАДЗЕ ............................ 348

VI. ОПУБЛИКОВАННЫЕ РАБОТЫ (БИБЛИОГРАФИЯ) Г. ШУБЛАДЗЕ ............................ 387
1. Книги ............................ 387
2. Статьи в журналах и сборниках научных трудов ............ 389
3. Тезисы докладов ............................ 394

VII. ПРОФ. ГЕОРГИЙ ШУБЛАДЗЕ КАК РЕДАКТОР И РЕЦЕНЗЕНТ КНИГ ............................ 396

ФОТОАЛЬБОМ ............................ 398

# ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ

წინამდებარე წიგნი ქართველ სწავლულ ეკონომისტთა ცნობილი წარმომადგენლისა და საზოგადო მოღვაწის – საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და მისი აკადემიკოს-მდივნის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი შუბლაძის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების კრებულია.

პირველი განყოფილება ავტობიოგრაფიული ნარკვევია, რომელიც ქმნის გარკვეულ წარმოდგენას იმ ოჯახის შესახებ, სადაც დაიბადა იუბილარი, მისი საშუალო სკოლაში, უნივერსიტეტში, ასპირანტურაში სწავლის და საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის შესახებ, შრომითი, მ. შ. მეცნიერულ-პედაგოგიური საქმიანობის, ასევე საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

მეორე განყოფილებაში მოთავსებულია ის გამორჩეული მეცნიერული ნაშრომები, რომლებიც ასახავენ გიორგი შუბლაძის გარკვეულ წვლილს ეკონომიკური მეცნიერებისა და უმაღლესი ეკონომიკური განათლების განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის დროს მის მიერ მრეწველობასა და ვაჭრობას შორის პირდაპირი კავშირების ორიგინალური გააზრება და დახასიათება, რის შესახებაც სტატია გამოაქვეყნა სსრ კავშირის მთავარ ეკონომიკურ ჟურნალში „ვოპროსი ეკონომიკი“ (1969, № 12). იუბილარის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოღებულ იქნა (პირველად საქართველოში) მეცნიერული დისციპლინები (სასწავლო კურსები): ვაჭრობის მართვა, ბიზნესის, მარკეტინგის და მენეჯმენტის საფუძვლები. მან გამიჯნა ცნებები „ბიზნესი“[1] და „მეწარმეობა“, განახორციელა „მარკეტინგისა“ და „მენეჯმენტის“, აგრეთვე

---

[1] *თუ როგორ უნდა დაიწეროს რეცენზია წიგნზე, ამის ნიმუშად გამოდგება ამ განყოფილებაში მოთავსებული რეცენზია წიგნზე „ბიზნესი. სახელმძღვანელო ყველასათვის“.*

ეკონომიკური თეორიის ორიგინალური დეფინიცია,[2] რომლებსაც ამ წიგნში მკითხველი იხილავს. იგი მუშაობს ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზეც. მან დაასაბუთა ცნების „ეფექტიანი“ და „ეფექტური“ გამიჯვნა, რომლის სისწორე დადასტურებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წერილით. ანალოგიური მდგომარეობაა ცნებების „მასიურისა“ და „მასობრივის“ და სხვა ტერმინების მიმართაც.

მესამე განყოფილება ახასიათებს მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად გ.შუბლაძის აქტიურობას პუბლიცისტიკაში, დაწყებული თსუ მრავალტირაჟიანი გაზეთით („ახალგაზრდა სტალინელი“) და დამთავრებული საკავშირო გამოცემა „ეკონომიჩესკაია გაზეტა“-თი დამთავრებული. აქ თავმოყრილია სტატიების, წერილების, ინტერვიუს ძირითადი ნაწილი და სხვ.

მეოთხე განყოფილებაში მოთავსებულია ზოგიერთი გამოძახილი, დასკვნები და რეცენზიები ბატონი გიორგის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე, მის ზოგიერთ ნაშრომზე, რომლებშიც აშკარად ჩანს მისი განსწავლულობა და ერუდიცია.

მეხუთე განყოფილებაში წარმოდგენილია გ. შუბლაძის დაბადების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული მისალოცი მასალების (ადრესების) ნაწილი, მისი თანაჯგუფელის (თსუ) პროფ. გ. მალაშხიას ლექსი და მისივე თარგმანი „ვნიიკს“-ის დირექტორის პროფ. ა. ორლოვის ლექსისა, რუსულ ტექსტთან ერთად, რომლებიც მკაფიოდ ახასიათებენ იუბილარის პიროვნებას.

მეექვსე განყოფილება ეძღვნება გ. შუბლაძის გამოქვეყნებული შრომების ბიბლიოგრაფიას (წიგნები, საჟურნალო სტატიები და სხვ.). მეშვიდე განყოფილებაში გ. შუბლაძე წარმოჩენილია როგორც წიგნების რედაქტორი და რეცენზენტი.

---

[2] *იხ. გ. შუბლაძე, საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები (მონოგრაფია), თბ., 2004, გვ. 243, სადაც დაბეჭდილია სტატია «К вопросу о терминологическом обозначении экономической теории», რომელიც გამოქვეყნდა საერთაშორისო ჟურნალში «Общество и экономика», №8, 2000.*

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ წინამდებარე წიგნის გამოცემას აქვს არა მარტო შემეცნებითი, არამედ აღმზრდელობითი მნიშვნელობაც, ვინაიდან ბატონი გიორგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები როგორც საკუთარი შთამომავლობის, ასევე მისი სტუდენტებისა და ნებისმიერი ახალგაზრდისათვის ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია მოუტანოს მიზანსწრაფულმა და მუყაითმა შრომამ შრომისმოყვარე ოჯახში აღზრდილ პიროვნებას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში ბატონ გიორგის შეხვედრია არაერთი უსიამოვნება და წინააღმდეგობა (რომელთა შესახებ იგი გულახდილად წერს), მაგრამ ფარხმალი არ დაუყრია და ყველა მათგანი წარმატებით გადაულახავს, ვინაიდან იგი ყოველთვის იყო და არის მებრძოლი სულისკვეთებისა და ოპტიმისტი ადამიანი.

ჩვენ დიდი სიამოვნებით ვასრულებთ ამ წიგნის რედაქტორობის მოვალეობას, რადგანაც დიდი ხნის მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა გვაკავშირებს პროფესორ გიორგი შუბლაძესთან. ჩვენ გვეამაყება მის გვერდით დგომა, რადგან იგი არის მზრუნველი მეოჯახე – მეუღლე, მამა, ბაბუა, უღალატო მეგობარი, უაღრესად თავმდაბალი და საქმისადმი თავდადებული პიროვნება, ახალგაზრდების საყვარელი და გამოცდილებით დატვირთული პედაგოგი, სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტი, სამართლიანობის ქომაგი, პრინციპული და მიზანსწრაფული ადამიანი, ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, მეცნიერების ცნობილი მოღვაწე. ვულოცავთ გიორგი შუბლაძეს სახელოვან იუბილეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით საქმიანობას, ახალ-ახალ წარმატებებს ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

# ОТ РЕДАКТОРОВ

Предлагаемая читателю книга является сборником материалов, посвященных 75-летию со дня рождения известного представителя ученых экономистов и общественного деятеля Грузии, одного из основателей Академии экономических наук Грузии, ее академика-секретаря, доктора экономических наук, профессора Георгия Шубладзе.

Первый раздел книги – автобиографический очерк, который создает определенное представление о той семейной среде, где родился и воспитывался юбиляр, об его учебе в средней школе, университете, в аспирантуре, о защите им кандидатской и докторской дисертаций, о трудовой деятельности Георгия Шубладзе, в том числе научно-педагогической.

Во втором разделе помещены те избранные научные работы, которые отражают определенный вклад Георгия Шубладзе в развитие экономической науки и высшего экономического образования. Прежде всего, следует отметить оригинальное осмысление и характеристику им прямых связей между промышленностью и торговлей. Работа написана в период работы над кандидатской диссертацией и опубликована в ведущем экономическом журнале СССР «Вопросы экономики» (1969, №12). По инициативе юбиляра в Тбилисском государственном университете им. И. Джавахишвили были введены учебные дисциплины (впервые в Грузии): «Управление торговлей», «Основы бизнеса», «Основы маркетинга» и «Основы менеджмента». Он размежевал понятия «бизнес»[3] и «предпринимательство», дал оригинальные дефиниции «маркетинга» и «менеджмента», а также «Экономической теории»[4], которые читатель найдет в этой

---

[3] *Как следует писать рецензию о книге, образцом этого пригодится помещенная в этом разделе рецензия о книге «Бизнес.Учебник для всех».*

[4] *См. Статью «К вопросу о терминологическом обозначении экономической теории», журн. «Общество и экономика», №8, 2000 и монографию Г. Шубладзе «Актуальные вопросы рыночной экономики», Тб., 2004, стр. 243.*

книге. Он работает над вопросами экономической терминологии. Он обосновал необходимость размежевания понятий «эффективный» и «эффектный» в грузинской литературе, правильность которого подтверждена письмом Института языкознания АН Грузии. Аналогичное положение и в отношении понятий «массивный» и «массовый», «потребность» и «спрос».

Третий раздел характеризует, наряду с научной деятельностью, публицистическую активность Г. Шубладзе, что проявилось в его публикациях, начиная от университетской газеты («Ахалгазрда Сталинели») и заканчивая Всесоюзным изданием – «Экономическая газета». Здесь собрана основная часть его статьей, присем и интервью и др.

В четвертом разделе помещены некоторые отзывы на кандидатскую и докторскую диссертаций, а также рецензии на отдельные научные работы Георгия Шубладзе.

В пятом разделе представлена часть поздравительных материалов (адресов) в связи с юбилейными датами Георгия Шубладзе, а также стихотворение его однокурсника ТГУ Георгия Малашхия, посвященное юбиляру и перевод стихотворения Директора ВНИИКСА, профессора А. Орлова с русского языка, которые ярко характеризуют личность Георгия Шубладзе.

Шестой раздел посвящается библиографии опубликованных работ Георгия Шубладзе (книг, статей и др.).

В седьмом разделе Георгий Шубладзе представлен как редактор и рецензент книг различных авторов.

Мы глубоко убеждены в том, что издание данной книги имеет не только познавательное, но и воспитательное значение, так как эпизоды его жизни и деятельности являются для самих его потомков, а также для его студентов и любого представителя молодого поколения доказательством того, как целеустремленный и усердный труд личности, воспитанной в трудолюбивой семье может приносить хорошие плоды.

Здесь необходимо сказать и о том, что в период жизни и деятельности Георгий Шубладзе встречался не с одним

препятствием, о которых он откровенно пишет в этой книге. Но он никогда не сдавался перед трудностями и все они были им успешно преодолены, так как он всегда был и остается человеком боевого духа и оптимистом.

Мы с большим удовольствием выполняем обязанность редакторов данной книги, так как нас с профессором Георгием Шубладзе связывают долгие годы дружбы и творческого сотрудничества. Мы гордимся близостью с ним – заботливым семьянином, отцом, дедом, сердечным другом, весьма скромным и преданным делу личностью. Он опытный педагог и любимец студентов, борец за справедливость, принципиальный и целеустремленный человек, достойный гражданин своей страны.

Поздравляем Георгия Шубладзе со славным юбилеем и желаем ему долгой жизни и творческой деятельности, новых успехов на благо нашей родины и народа.

# I. ავტობიოგრაფიული ნარკვევი

## 1. ოჯახი, სადაც დავიბადე. საშუალო სკოლა

დავიბადე 1934 წლის 15 მაისს საქართველოს ერთ-ერთ თვალწარმტაც მხარეში – კოლხეთში, კერძოდ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში. ესაა ერთ-ერთი ულმაზესი და გამორჩეული სოფელი არა მარტო რაიონში, არამედ მთელ საქართველოშიც, გამორჩეული უპირველეს ყოვლისა თავისი ტრადიციებით (რელიგიური თუ სხვა ხასიათის რიტუალებით),[1] შრომისმოყვარე ადამიანებით. ასეთები იყვნენ ჩემი მშობლები: მამა – შალვა შუბლაძე და დედა – ლიდა გოგია, რომლებმაც 7 შვილი აღუზარდეს სამშობლოს. მამა ცნობილი იყო მთელს რაიონში მშრომელი და გამრჯე ოჯახით. 1924 წლის მოვლენებთან დაკავშირებით იგი 20 წლის ახალგაზრდა რამდენიმე დღით დაკავებული ყოფილა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს რაიონში ამ მოვლენების ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი იყო ჩვენი მოგვარე ვ. შუბლაძე. მამა რატომღაც ხშირად იტყოდა: უპარტიო ბოლშევიკი ვარო. რაც მახსოვს იგი გამოირჩეოდა იშვიათი და დიდი შრომისმოყვარეობით. ამ მხრივ მაგალითის მიმცემი იყო ყველასათვის შრომისა და ომის ფრონტზე. იგი იყო ახუთის კოლმეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე და მეორე მსოფლიო ომის (1941-1945 წწ.) მონაწილე. მამა როგორც შრომისა და ომის ვეტერანი დაჯილდოვებული იყო ორდენებითა და მედლებით. დედა დაჯილდოვებული იყო დედის დიდების ვერცხლის მედლით.

დედა ჩვენი დიდი ოჯახის ნამდვილი დედაბოძი იყო, რასაც განაპირობებდა მისი სალი გონება და უშრეტი ენერგია. მართალია, დედას სკოლაში არ უვლია, მაგრამ იგი გონივრულად და საქმის ცოდნით წარმართავდა ოჯახს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დედაჩემის როგორც კოლხი ქალის დიდი

---

[1] *ახუთში მაისის პირველ კვირა დღეს ტარდება სახალხო ზეიმი „ჯარალა“. ა/წ 1 მაისს ზეიმი ახლადრესტავრირებულ VIII-IX საუკუნის ლეგერსამეს მაცხოვრის სახელობის ეკლესიის დათვალიერებით დაიწყო (იხ. გაზ. „ჩხოროწყუ“, 23.05.2011 წ.).*

გარჯა ომის პერიოდში. მამა ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში. მარტო დედაჩემს დააწვა მთელი ოჯახი. ბებია – ელენე ჯიქია (მამაჩემის დედა) ლოგინად იყო ჩავარდნილი. ექვსი შვილიდან (სამი გოგო და სამი ვაჟი; მეშვიდე დაიბადა მამის ჯარიდან დაბრუნების შემდეგ) ყველაზე უფროსი თერთმეტი წლის იყო. დედაჩემი საოჯახო საქმიანობითა (გვყავდა შინაური ცხოველები – ძროხები, თხები, ღორები, ცხენი და ფრინველები – ქათმები, ინდაურები, ბატები, აგრეთვე ფუტკარი) და საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებით (ერთ ჰექტარზე მეტი) არ იფარგლებოდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა საკოლმეურნეო სამუშაოებშიც, ვინაიდან მამაკაცები ომში იყვნენ გაწვეულები. წლების განმავლობაში მოჰყავდა აბრეშუმის პარკის დიდი მოსავალი, რომელიც ზრდიდა ოჯახის შემოსავალს. შემოსავლის წყარო იყო აგრეთვე ვენახი, რომელსაც სჭირდებოდა სათანადო მოვლა-პატრონობა. კარგი კონდიციის ღვინო გამოდიოდა ცოლიკაურის ჯიშის ყურძნიდან.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ თბილისში არის ჩემი სოფლის – ახუთის სახელობის ქუჩა, რომელიც მდებარეობს ჩუღურეთის (ყოფილი ოქტომბრის) რაიონში (ახალი კუკია). ოქტომბრის რაიონში (საბჭოს ქუჩაზე) ვცხოვრობდი (1957-1964წწ.) და მაშინ პირველად გავიგე ჩემი სამშობლოს დედაქალაქში ახუთის ქუჩის არსებობის შესახებ. ბუნებრივია, დავინტერესდი, თუ რასთან იყო დაკავშირებული ამ ქუჩის არსებობა და გაირკვა შემდეგი: ამ ქუჩაზე გასაბჭოებამდე ყოფილა ახუთის ღვინის მაღაზია-მარანი, რომელიც მაშინ სარგებლობდა მომხმარებელთა დიდი მოწონებით.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რატომ შევჩერდი უფრო მეტად დედაჩემის როლზე. მე და ჩემი დედ-მამიშვილები დიდი შრომისმოყვარე ადამიანები რომ ვართ, დედასთან ერთად მამის დამსახურებაცაა. საერთოდ პირველ რიგში შვილებისთვის დედ-მამა მისაბაძი ადამიანებია. მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა: დილით ადრე მამამ აგვაყენა (ვიქნებოდი 7-8 წლის) ყანაში სამუშაოდ (სიმინდი უნდა გაგვეთოხნა). იგი გვეუბნებოდა, რომ დილით შრომის მწარმოებლურობა გაცილებით მაღალია, ვიდრე შუადღისას, როცა ძალიან დაცხებაო. ადრე ამდგარი ჩამოვჯექი მეგრული ოდა სახლის (მაშინ მამისეუ-

ლი სახლი გვედგა, რომლის ზედა სართული ხისა იყო) კიბეზე და ჩამძინებია. მამამ დოქით ცივი წყალი დამასხა კისერზე და ასე ხელმეორედ გამაღვიძა. ამგვარად ბავშვობიდანვე ვეჩვეოდი ფიზიკურ შრომას, რომელიც ნებისყოფის გამომუშავების აუცილებელი პირობაა; ჯეროვანი ნებისყოფის გარეშე ახალგაზრდა ვერაფერს მიაღწევს ცხოვრებაში. შრომითი აღზრდა წარმატების მიღწევის საწინდარია ადამიანთა საქმიანობის ნებისმიერ სფეროში (სპორტი, ხელოვნება, მეცნიერება და სხვ.). ამიტომ მე ძალიან მადლიერი ვარ ჩემი მშობლების, რომლებმაც შვილებს მყარად ჩაგვინერგეს შრომისადმი სიყვარული, რამაც განსაზღვრა ის, რომ ყველა და-ძმამ შეძლო კარგი შრომისმოყვარე ოჯახის შექმნა. ყოველწლიურად ვცდილობ მოვინახულო უპირველეს ყოვლისა მშობლების საფლავი და ჩემი დედმამიშვილების ოჯახები (უმთავრესად აგვისტოში).

დედაჩემი ჭეშმარიტი მორწმუნე ქრისტიანი იყო. მახსოვს, მამა ჯარში რომ გაიწვიეს პირველი დღიდანვე დაგვაყენებდა ექვსივე შვილს, დაანთებდა სანთელს და ხატთან (ერთ ოთახში ჰქონდა სათანადო კუთხე) ევედრებოდა ღმერთს: ამ ბავშვებს მამა დაუბრუნეო. მამა გაიწვიეს ჯარის იმ ნაწილებში, რომლებიც განლაგებული იყვნენ ირანში; ომის დამთავრებამდე იქ იყო, მისი დამთავრების შემდეგ დემობილიზებულ იქნა და დაუბრუნდა ოჯახს.[1]

ჩემი დედ-მამისშვილებიდან ყველაზე უფროსია თალიკო, რომელიც გათხოვდა თანასოფლელ ქორქი გამსახურდიაზე. შეძლებული ოჯახი აქვთ სოფლის პირობაზე. სამი შვილიდან (ორი ვაჟი – ვახტანგი (თენგიზი) და შალვა, ერთი ქალიშვილი – ლირა), უფროსმა ვაჟიშვილმა ვახტანგ გამსახურდიამ დაამ-

---

[1] *თავის ოჯახს ვერ დაუბრუნდა საქართველოს 300 ათასზე მეტი მოქალაქე, მათ შორის ბევრი ახუთელი: კერძოდ, ჩემი მამიდაშვილი მიშა შელეგია, ჩვენი ოჯახის უახლოესი მეზობლები და ნათლიები, ძმები ბესარიონ და იროდი ჯიქიები, ჩემი ნათლია ჭიჭიკო შელეგია და სხვ. ბევრი ქართველი დაიღუპა ქერჩსა და სევასტოპოლში. მათ შორის იყვნენ ჩემი ბიძა ვანო გოგია (რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი) და ჩემი მეუღლის მამა დავით სისაური (თბილისის ოქტომბრის რაიმილიციის ოფიცერი), რომლებიც მოხალისედ წავიდნენ ფაშისტებთან საბრძოლველად.*

თავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი, მუშაობდა ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობებში, ჩაის ფაბრიკაში მთავარ ბუღალტრად. ამჟამად არის საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელი (საკონკურსო-საატესტაციო შემოწმების გავლით).

მეორე შვილი კაკო (გარდაიცვალა 2004 წელს) სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჩხოროწყუს რაიონის გაზის კანტორაში (დაქორწინდა შურა გოგუაზე, დასახლდა ქვედა ჩხოროწყუში) და ცნობილი იყო რაიონში როგორც კარგი ხელოსანი. შვილებს გიას და ლიკას კარგი ოჯახები აქვთ. გია შუბლაძემ იმსახურა საბჭოთა ჯარში ბაიკანურზე (ყაზახეთი) და სამი ქალიშვილის მამაა.

მეოთხე შვილი სულიკო გათხოვდა ქვედა ჩხოროწყუში ვალიკო ფირცხელავაზე, შეიქმნა კარგი ოჯახი, ეყოლათ ორი ვაჟი – პაატა და ანზორი. ორივე დაოჯახდა, მაგრამ სულიკოს და ვალიკოს ოჯახს თავს დაატყდა დიდი უბედურება – 2008 წელს გარდაიცვალა ანზორი. იგი იყო ავტომობილების საუკეთესო ხელოსანი. საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის (უმუშევრობის) გამო ანზორი ბოლო დროს მუშაობდა რუსეთში (ქ. ივანოვო). 2008 წელს მისი უფროსი ვაჟიშვილი უნდა წასულიყო ჩხოროწყუს სკოლის I კლასში და ანზორი ბრუნდებოდა მშობლიურ ჩხოროწყუში (ბილეთიც აუღია), მაგრამ აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო გამომგზავრება გადაიდო. მარტოდ დარჩენილს (ცოლი და შვილები ადრე წამოვიდნენ სამშობლოში) ღამე ინსულტი დაემართა, დახმარება დროულად ვერ აღმოუჩინეს და დაიღუპა. ჩემმა დამ ძალიან განიცადა შვილის ასეთი დაღუპვა და, როდესაც გარდაიცვალა მისი ავადმყოფი ქმარი (გლაუკომის ოპერაცია უშედეგოდ დამთავრდა),[1] თავი ჩამოიხრჩო (2010). წერილში, რომელიც მან დატოვა, აღნიშნულია, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

მეხუთე შვილი მერიკო გათხოვდა ქვედა ჩხოროწყუში დემურ პაპავაზე. ყავთ ორი ვაჟი – მერაბი და კონსტანტინე

---

[1] *იგი არ დატოვა რძლის მოსავლელად. თვითონაც მძიმე ავადმყოფი იყო (ქოქსართროზი აწუხებდა).*

და ერთი ქალიშვილი – რუსიკო (რომლებიც კარგად არიან დაოჯახებულები). დემური რაიონში ცნობილია როგორც რაციონალიზატორი და გამომგონებელი. ჯერ ააშენა თანამედროვე აღჭურვილობით ავტოსახელოსნო, ხოლო ბოლო დროს ელექტროწისქვილი.

მეექვსე შვილია რეზო, რომელმაც დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკუმი და წლების განმავლობაში მუშაობდა ჩხოროწყუს საკოლმეურნეო მშენებლობის გაერთიანებაში სამუშაოთა მწარმოებლად, ცნობილი იყო მთელს რაიონში. მის მიერ აშენებულია არაერთი მეცხოველეობის კომპლექსი, მონგირის აგურის ქარხანა, ახუთის კულტურის ცენტრი (კლუბი) და სხვ.. იგი დარჩა მამისეულ სახლში, „ბელეტაქის" ადგილზე ააშენა ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ჩხოროწყუს პარტრაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობამ ახუთის საშუალო სკოლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ბანკეტის მოსაწყობად აირჩია ჩვენი სახლი. რეზოს, რომელიც დაქორწინდა ჩემი მასწავლებლის აქვსენტი ძიმისტარიშვილის შვილიშვილ მზიაზე, ჰყავს სამი შვილი (ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი), რომლებმაც დაამთავრეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნატო და ედიშერი დაეუფლნენ ინჟინერ-ეკონომისტის, ხოლო ნანი ფსიქოლოგიის პროფესიებს. ჯერჯერობით ედიშერი ორი ბიჭის – შალვასა და ლუკას მამაა. ნატო და ნანიც დაოჯახებულებია. რეზოს აგრეთვე ჰყავს შვილი მაია იურიდიული განათლებით, რომელიც კრასნოიარსკის (რუსეთი) გუბერნატორის თანაშემწედ მუშაობს.

მეშვიდე შვილი, ე. წ. ნაბოლარა არის თინა, რომელმაც დაამთავრა თბილისის სამედიცინო სასწავლებელი და მუშაობდა უფროსი მედდის თანამდებობაზე ახუთის საავადმყოფოში. რამდენიმე წლის წინ საავადმყოფო დაიწვა და, სამწუხაროდ, ჩვენი სოფელი დარჩენილია სათანადო სამედიცინო მომსახურების გარეშე. ამიტომ ბევრი თანასოფლელი აკითხავს თინას დახმარებისთვის. თინა გათხოვდა თანასოფლელ ივანე (მოკოდია) დემურიაზე – ახუთის ცნობილი მეღვინის ივანე დემურიას შვილიშვილზე, რომელიც ათ წელზე მეტია სამუშაოდ წასულია რუსეთში (ტიუმენში). ხშირად ვეუბნები

ჩემს დას: საკმარისია ციმბირში ქმრის გადასახლება, ქალიშვილები – ნინო და ნონა კარგად არიან დაოჯახებულნი და დროა დაუბრუნდეს ოჯახს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩემს სოფელში (რომელიც იყო ერთ-ერთი მოწინავე რაიონში) ამჟამად არ არის ცხოვრებისთვის მინიმალური პირობები, ამიტომ ბევრი ახუთელი წასულია სოფლიდან (საქართველოდანაც კი).

მე ვარ ჩემი მშობლების მესამე შვილი. ჩემი ბავშვობა არ განსხვავდებოდა ჩემი ტოლი სხვა ბავშვების ცხოვრებისაგან. მთელი სიგრძე-სიგანით ვიწვნიეთ მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული სიძნელეები. მაგრამ დედაჩემის დიდი რუდუნებითა და გამჭრიახობით ჩემს დედ-მამიშვილებს მინიმალური საარსებო პირობები მაინც გვქონდა. შვილები რაც შეიძლება ვეხმარებოდით დედას შრომასა და საოჯახო საქმიანობაში. დედა საჭმელს რომ გაგვინაწილებდა (საუზმე, სადილი, ვახშამი), ბებია თურმე მალულად გადაინახავდა თავისი ულუფის ნაწილს ჩემი უფროსი ძმისთვის, იმიტომ რომ მას ეგონა თუ მეტს შეჭამდა საჭმელს, უფრო ადრე დავაჟკაცდებოდა და საიმედოდ დაუდგებოდა ომის დროს უმამაკაცოდ დარჩენილ დედაჩემს გვერდით. ბებია გარდაიცვალა ომის შუა პერიოდში (1943 წ.) და მისი გასვენება დედამ გარედან ყოველგვარი დახმარების გარეშე შეძლო. ამას მთელი სოფელი ამბობდა.

ახუთის საშუალო სკოლის I კლასში სასკოლო ასაკთან ერთი წლით ადრე აღმოვჩნდი. ეს მოხდა ასე: ჩემი უფროსი ძმა ჩემზე უფროსი იყო ორი წლით, როდესაც მას ამზადებდნენ 1 სექტემბერს სკოლაში პირველად წასასვლელად, ამიტეხია ტირილი „მეც მინდას“ ძახილით. ერთი კვირა დავდიოდი სკოლაში ძმასთან ერთად. მერე დამარწმუნეს, რომ ძალიან ნაადრევია ჩემი წასვლა სკოლაში და მასწავლებლის თანდასწრებით მომცეს პირობა, რომ მომავალ წელს აუცილებლად მიმიღებდნენ. V კლასამდე ასე თუ ისე ვართმევდი თავს სწავლას, მაგრამ მერე შემდგომი წარმატებები (მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ვიყავი უაღრესად წესიერი[1] და ბეჯითი

[1] *ბავშვობის პერიოდიდან დღემდე კონფლიქტი არავისთან არ მქონია, ყოველთვის ვიყავი თავმდაბალი, მაგრამ პრინციპული და პირდაპირი.*

მოსწავლე) განაპირობა უმთავრესად დიდმა და მუყაითმა შრომამ, რაც ჩამინერგეს მშობლებმა. პირველიდან მეთერთმეტე კლასამდე წლის გაუცდენლად (იმ დროს ჩამორჩენილ მოსწავლეებს ტოვებდნენ კლასში, ვინც გაკვეთილებზე მოვიდოდა მოუმზადებელი ტოვებდნენ სკოლაში ე. წ. „ბეზ აბედას“ იარლიყით) მივედით მხოლოდ ორი – მე და ლუდა ჯღარკავა. სკოლაში სწავლის პერიოდში საგნებს შორის ყველაზე მეტად მიყვარდა მათემატიკა და ისტორია, რაც მასწავლებლების დამსახურებაა (მასწავლებელზე ამ მხრივ ბევრია დამოკიდებული). მათემატიკას მასწავლიდა თადეოზ ჯიჯელავა, ხოლო ისტორიას – მაქსიმე ჯალაღონია. მ. ჯალაღონია რამდენიმე წელი იყო ჩვენი სკოლის დირექტორიც. ჩემი სკოლის დირექტორები იყვნენ: ლავრენტი გამსახურდია, ტარასი ქებურია, ბორის ჩიქოვანი, ოთარ კაცია. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ახუთის საშუალო სკოლის დირექტორად და მათემატიკის მასწავლებლად ადრე მუშაობდა ცნობილი მათემატიკოსი – აკადემიკოსი ნიკოლოზ ვეკუა, რომელიც ერთ დროს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) დეკანი, ბოლო დროს კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი. ახუთის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა აგრეთვე ჩემი თანაკლასელი მამია ნარსია, რომელმაც დაამთავრა სოხუმის პედინსტიტუტი ისტორიის სპეციალობით. ბევრი კარგი მასწავლებელი გვყავდა (არ ჩამოვთვლი რომ ვინმე არ გამომრჩეს), მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს დამსახურებული მასწავლებელი ავქსენტი ძიმისტარიშვილი, რომელიც გვასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას.[1]

---

[1] *უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩაბარებისას ამ საგანში იწერე-ბოდა ერთი ნიშანი. პირველ დღეს იყო კარნახით წერა, მეორე დღეს კი ზეპირი. მე მოვხვდი ერთ ქალბატონთან, რომელმაც მითხრა რუსულად მომეყოლა ჩემი ავტობიოგრაფია. მე ვუპასუხე ქართულად: არ შემიძლია, ენას ვერ ვფლობ. მას ძალიან გაუკვირდა, იმიტომ, რომ კარნახი დაწე-რილი მქონდა თითქმის უშეცდომოდ. მე ვუთხარი, რომ კარგად ვიცი რუსული ენის გრამატიკა და სასკოლო პროგრამა, რაშიც ივი დარწმუნდა. გამომცდელმა ჩემს შესახებ მოახსენა კომისიის თავმჯდომარეს პროფესორ დიმიტრი მვე-ლაძეს, რომელმაც მითხრა, რომ ჩასარიცხად მეყოფა „კარგი“ და მომცა მთელი რიგი რჩევები, რომლებიც ცხოვრებაში ძალიან გამომადგა. სტა-*

სოფელ ახუთში სკოლა დაარსდა 1877 წელს საზოგადოების გადაწყვეტილების საფუძველზე, სოფლის საზოგადოებაში შეგროვებული ფულით. გასული საუკუნის 80-იან წლებში აღინიშნა ჩემი მშობლიური სკოლის დაარსების 100 წლისთავი. ამ ზეიმში, რომელიც სპეციალურად მოწყობილ სცენაზე ჩატარდა ესწრებოდნენ მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში გამოჩენილი პიროვნებები: აკადემიკოსი ნიკოლოზ ვეკუა, პოეტი ხუტა ბერულავა, სოციალისტური შრომის გმირი (ქაღალდის წარმოების დარგში) ინდიკო კუხალეიშვილი, საზოგადო მოღვაწეები მამია ზოდელავა, გობრონ ჯოხთაბერიძე და სხვ.

მეც წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი მათ შორის. მაშინ ვიყავი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ-ს დოცენტი, „ვნიიკს"-ის (კონიუნქტურისა და მოთხოვნის საკავშირო ინსტიტუტის) საქართველოს ფილიალის დირექტორი. სოფელ ახუთიდან იყვნენ და არიან: მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები – ვლადიმერ ვეკუა, ლეო ვეკუა, ვლადიმერ გერსამია, გივი და ზურაბ ზოდელავები, ლიდა პაპასქირი, რეზო და შალვა (შახი) შელეგიები, მურმან ქუთელია, გენერალი ანდრო ზოდელავა და სხვ. ახუთიდან სოფ. შეშელეთში (აფხაზეთი) გადასახლდნენ დიდი ილია ვეკუას მშობლები. ილია ვეკუას დაბადებიდან 60 წლისთავი აღინიშნა მთელ საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) და ჩხოროწყუშიც. მან მოინახულა სოფ. ახუთში თავისი მშობლების ნასახლარი.

---

*ტიებს ვწერდი რუსულ ენაზე, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატის რუსული ვარიანტი თვითონ დავწერე (ჩემი კოლეგები წერდნენ ქართულ ენაზე და შემდეგ ათარგმნინებდნენ რუსულ ენაზე), დავიწყე ლექციების კითხვა უნივერსიტეტის რუსულ სექტორზე, წიგნების წერა რუსულ ენაზე და სხვ.*

## 2. უნივერსიტეტი, ასპირანტურა და საკანდიდატო დისერტაცია

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილი მქონდა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში მათემატიკის სპეციალობით და საბუთების შეტანამდე ერთი კვირით ადრე უცბად მომივიდა შემდეგი აზრი: ნუთუ მთელი სიცოცხლე ხელში ცარცი უნდა მეჭიროს? ჯგუფში მათემატიკა ყველაზე კარგად ვიცოდი და მასწავლებელს დაფასთან მეტწილად მე გავყავდი (სკოლიდანვე მიზნად მქონდა დასახული ასპირანტურის დამთავრებაც). შევცვალე გადაწყვეტილება. საბუთები შევიტანე ი.სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე (1951 წ.). ეს განაპირობა იმან, რომ ჩემი ბიძა, დედაჩემის ძმა – შალვა გოგია იყო საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი და მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შემოსავლების სამმართველოს უფროსად, იყო სამინისტროს კოლეგიის წევრი.[1] მისაღები გამოცდების შედეგად მოვაგროვე 32 ქულა. ასეთი ქულების მქონეთა ერთი ნაწილი ჩაირიცხა, მეორე ნაწილი კი გარეთ დარჩა, მათ შორის აღმოვჩნდი მეც. მირჩიეს შევსულიყავი უნივერსიტეტის რექტორთან და მეც შევედი აკადემიკოს ნიკო კეცხოველთან. ჩემს თხოვნაზე მან მიპასუხა, რომ ძალიან ახალგაზრდა ხარ და მომავალ წელს ჩაირიცხებიო. გამოვი-

---

[1] *ბიძაჩემს ძალიან უნდოდა შვილიშვილებიდან (ვაჟიშვილი დაზმირი სამი ვაჟის მამაა) ერთ-ერთი, რომელიც მის სახელს ატარებს, დაუფლებოდა ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობას და მთხოვა ამ საქმეში დახმარება. ამგვარად, შალვა გოგია (უმცროსი) გახდა ფინანსისტი და ერთ დროს საქართველოს ბანკის ერთ-ერთი განყოფილების (ფილიალის) მმართველად მუშაობდა. ბიძაჩემის ქალიშვილიდან (გულიკო ქალ-ვაჟის დედაა) შვილიშვილი გიორგი გოდაბრელიძე (რომელმაც დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ჩემი ხელშეწყობით დაეუფლა ეკონომისტის მეორე სპეციალობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში) მუშაობდა ფინანსთა მინისტრის მოადგილედ. ამჟამად იგი არის პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. მარიკა გოდაბრელიძე (დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი) საქართველოს რკინიგზის კადრების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მუშაკია.*

ტანე საბუთები და შევიტანე სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სასწავლო კომბინატის თბილისის ფილიალში, რომელიც 1952 წელს დავამთავრე წარჩინებით მრეწველობის ბუღალტრის სპეციალობით. ამ სასწავლებელმა ბევრი რამ მომცა პროფესიული თვალსაზრისითაც. გვასწავლიდნენ ეკონომიკურ საგნებს და პირველად აქ გავიგე ი. სტალინის ბევრი გამონათქვამი, მათ შორის შემდეგი: „ჩვენი გეგმები გეგმა-დირექტივებია და არა გეგმა-პროგნოზები“. სწორედ ასეთი იყო თავისუფალი თემა, რომელიც დავწერე (ალბათ მხოლოდ მე) 1952 წელს მისაღებ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამ წელს გამოცდებზე მოვაგროვე ქულების თითქმის მაქსიმალური რაოდენობა, ჩავირიცხე ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის I კურსზე პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით[1] და სექტემბრიდანვე დამენიშნა სტიპენდია. სტუდენტის ბილეთები უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გადმოგვცა რექტორმა აკად. ნ. კეცხოველმა.

როგორც უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი მთელი მონდომებით შევუდექი ეკონომისტის პროფესიის დაუფლებას. ამ მხრივ აქ საუკეთესო პირობები იყო შექმნილი. პირველ რიგში აღსანიშნავია პროფესორ-მასწავლებელთა, კერძოდ, აკადემიკოსების – პ. გუგუშვილის, ვ. ჩანტლაძის, ი. მიქელაძის, პროფესორების – გ. გეხტმანის, ა. გოკიელის, ა. ფანცხავას, ნ. იაშვილის, ნ. ქოიავას, კ. მეგრელიძის, შ. ბერაძის, ი. ბაჯაძის და სხვათა მზრუნველობა სტუდენტების მიმართ. რაოდენ სასიხარულო და დიდი სტიმულის მომცემი იყო I კურსის სტუდენტისთვის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ საკუთარი წიგნის –„კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში“ – გადაცემა წარწე-

[1] *უნივერსიტეტში შემხვდა რევაზ კრიჭინაშვილი, რომელმაც ჩემსავით პირველ წელს მოაგროვა 32 ქულა. მან მითხრა, რომ გაუგზავნა ი. სტალინს წერილი ასეთი შინაარსის: რუსულ ენას ცუდად ფლობს და ამ საგანში მიიღო დაბალი შეფასება, რის გამოც არ ჩარიცხეს. დადებითმა პასუხმაც ქ. მოსკოვიდან არ დააყოვნა და იგი ჩაირიცხა; მასთან ერთად ჩაირიცხნენ 32 ქულიანი სხვა აბიტურიენტებიც. ჩვენ დავმეგობრდით და ისიც გახდა მეც-ნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

რით „ჭ. შუბლაძეს ავტორისაგან 2/XII-52“.[1] ჩემს ბიბლიოთეკას ამშვენებენ აკადემიკოსების პ. გუგუშვილის, ვ. ჩანტლაძის, პროფესორების ლ. ჩიქავას, გ. პაპავას, ლ. პაპავას, გ. მალაშხიას, ი. მესხიას, ო. საღარეიშვილის, ნ. ჭითანავას, ლ. სანიკიძის, ი. ნაჭყებიას, ნ. პაიჭაძის, ვ. ზურაბიშვილის, ვ. ქაცარავას, ე. კანდელაკის, ე. ბარათაშვილის, თ. შენგელიას, კ. ღურწკაიას ვ. ახალაიას, გ. გამსახურდიას, ო. ქეშელაშვილის, რ. გოგოხიას, მ. ღაღანიძის, ვ. ბურკაძის, ნ. სანთელაძის, ა. ჯიბუტის, ჩემი ყოფილი სტუდნტების შ. ვეშაპიძის, ბ. მღებრიშვილის, მ. ნანიტაშვილის და სხვათა ნაჩუქარი წიგნები. აქვე დავძენთ იმასაც, რომ მეც ვალში არ ვრჩები და საკუთარ წიგნებს ვუსახსოვრებ მათ. ჩემი ერთი წიგნი მივუძღვენი მეცნიერ-ხელმძღვანელის პროფ. ა. გოკიელის ხსოვნას. ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების ხსოვნი-სადმი მიძღვნილ წიგნებში (პაატა გუგუშვილი – 100, თბ., 2005; ვალერიან მელქაძე 90 წლისაა!, თბ., 2009; რევაზ კრიჭინაშვი-ლი 70 წლისაა!, თბ., 2009; მიხეილ ღვინჯილია – 95, თბ., 2011, ვახტანგ ბურკაძე და სხვ.) არის დაბეჭდილი ჩემი მოგონებები.

აქტიურად ვთანამშრომლობდი უნივერსიტეტის მრავალტირაჟიან გაზეთთან („ახალგაზრდა სტალინელი“) და ვაქვეყნებდი სტატიებსა და წერილებს სტუდენტთა მუშაობის, სამეცნიერო წრის საქმიანობის და სხვა საკითხებზე, რომლებშიც ხაზგასმულია კათედრების, პროფესორ-მასწავლებლების დიდი როლი. მაგალითად, ამ გაზეთის 1955 წ. 22 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ჩემი სტატია „სტუდენტთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის“, რომელიც მიეძღვნა აკად. ივ. ბერიტაშვილის ბროშურის – „სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაცია“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1955) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ახალგაზრდებისათვის (აღნიშნული და სხვა საგაზეთო მასალები წარმოდგენილია წიგნის IV განყოფილებაში).

ფრიადზე სწავლასთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობდი უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ვიყავი სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე, კომკავშირის კურსბი-

[1] *სტუდენტობის პერიოდში მიცნობდნენ კომკავშირული სახელით – ჭიჭიკო.*

უროს მდივანი (ჩვენს კურსზე 100-ზე მეტი კომკავშირელი იყო), თსუ კომკავშირის კომიტეტთან არსებული მომხსენებელთა ჯგუფის წევრი. გამოვდიოდი მოხსენებებით არა მარტო სამეცნიერო კონფერენციებზე, არამედ ქ.თბილისის და რეგიონების წარმოება-დაწესებულებებში, აგრეთვე ვეწეოდი სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ გაკეთებული მოხსენებიდან ქ. მოსკოვში გასაგზავნად შეირჩა ორი – ჩემი და ტ. სართანიას მოხსენებები, რომლებიც დაჯილდოვდა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სიგელით (1957 წ.). უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სამხედრო კათედრა (უფროსი გენერალი პ. აბრამიძე). ორჯერ III და IV კურსზე გაგვიწვიეს სამხედრო შეკრებაზე (ივლისის თვეში) დუშეთსა (იხ. ფოტოალბომი) და ახალქალაქში, და მოგვანიჭეს თადარიგის ოფიცრის სამხედრო წოდება. საზაფხულო არდადეგების დროს ვატარებდი ლექცია-მოხსენებებს მშობლიური სოფლისა და რაიონის ახალგაზრდებისთვის (მ. შ. ჩემს სკოლაში), ამავე დროს ვმონაწილეობდი შრომით სემესტრებში (ახუთის კოლმეურნეობაში).

ალსანიშნავია დისკუსია, რომელიც გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობის გასაუმჯობესებლად გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“ ფურცლებზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საზოგადოების თავმჯდომარის ო. ჩერქეზიას[1] წერილის განხილვასთან დაკავშირებით. მეც გამოვეხმაურე სათანადო წერილით (იხ. გვ. 237). ვეწეოდი აქტიურ მუშაობას კომკავშირული აქტივის ეკონომიკური განათლების ხაზით. ვიყავი კომკავშირის თბილისის 26 კომისრის რაიკომთან არსებული პოლიტიკური ეკონომიისა და მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელი, კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომთან არსებული მომხსენებელთა ჯგუფის წევრი და სხვ. (აღნიშნულთან დაკავშირებული მასალები იხ. განყოფილება IV).

გადავწყვიტე სკკპ რიგებში შესვლა, ვინაიდან პარტიის წევ-

[1] *ოთარ ჩერქეზია ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საპასუ-ხისმგებლო თანამდებობებზე, იყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეც.*

რები შეიძლებოდა ყოფილიყნენ მხოლოდ მოწინავენი, საუკეთესონი. სტუდენტებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდნენ (ყველაზე იოლი იყო კომპარტიაში მუშების მიღება), მაგრამ მე ყველა საამისო მონაცემი მქონდა. როგორც ბევრ სხვას, მეც მიმაჩნდა, რომ კომუნისტური პარტია მშრომელი ადამიანების ინტერესებს გამოხატავდა, სოციალური სამართლიანობის, სიმართლის დასამკვიდრებლად, ხალხის კეთილდღეობისთვის იბრძოდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ყველა პარტიეული მოხელე ამ მიზნებს როდი ემსახურებოდა. უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე იყო პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომლებსაც აერთიანებდა პარტიული კომიტეტი. დაწესებული იყო საკანდიდატო სტაჟი წევრად მიღებისთვის. კომკავშირელისთვის პარტიის რიგებში შესასვლელად საჭირო იყო კომკავშირის რაიკომისა და პარტიის ორი წევრის რეკომენდაცია. მოსამზადებელ სამუშაოს შევუდექი 1956 წლის იანვრიდან. თებერვალში გაიმართა სკკპ XX ყრილობა, რომელზეც ნ. ხრუშჩოვმა პიროვნების კულტის მავნე შედეგის შესახებ მოხსენებაში ი. სტალინი გალანძღა და მხოლოდ მას მიაწერა საბჭოთა კავშირში მომხდარი ყველა უბედურება და რეპრესია. შემდეგ მოითხოვა მოსკოვში სტალინურ მსხვერპლთა ძეგლის აგება. მე აქ არ შევუდგები ამ თემის განხილვას, მხოლოდ ავღნიშნავ შემდეგს: რუსმა მწერალმა ვ. სოლოუხინმა გაზეთის საშუალებით განაცხადა, რომ იგი ხელს არ მოაწერს ასეთ გადაწყვეტილებას, ვინაიდან რეპრესიები დაიწყო ლენინმა და არა სტალინმა; ი. მუხინმა ქ. მოსკოვში 2002 წელს გამოსცა მართალი წიგნი „სტალინისა და ბერიას მკვლელობა“[1]

[1] *ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ითქვას იმის შესახებ, რომ ი. სტალინის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობამ (ეკონომიკამ) გარედან ყოველგვარი დახმარების („მარშალის გეგმა“ 1948-1952 წ.წ. და სხვ.) გარეშე მიაღწია დიდ წარმატებებს (აშშ შემდეგ მეორე ადგილი), გაუქმდა სკკპ პოლიტბიურო, ცეკას გენერალური მდივნის პოსტი (პარტიამ შეასრულა თავისი მთავარი ამოცანა) და ყველაფერი კეთ-დებოდა იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა ქვეყანაში ტოტალტარიზმს, ძალაუფლების უზურპირებას ერთი პარტიის – კომპარტიის მიერ და განვითა-რებულიყო დემოკრატიული ინსტიტუტები. მაგრამ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ეკონომიკური ზრდის ტემპები შენელდა და დემოკრატიზაციის პროცესი შეჩერდა. ერთ-ერთი მთავარი „ბრალდება“, რომელიც წაუყენეს ლ. ბერიას იყო ის,*

და სხვ. (იხ. განყოფილება IV, სადაც აღნიშნულთან დაკავშირებით მოცემულია ჩემი მოკლე მოსაზრება)[1]. მსოფლიო მასშტაბით ცნობილი პიროვნებების მოსაზრებებს სტალინის შესახებ აქ არ მოვიტანთ, მაგრამ აღვნიშნავთ მხოლოდ შემ-დეგს: ი. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვ. მოლოტოვმა, რომელიც მეორე პირი იყო საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში, თავის სიტყვაში თქვა: საქართველოს ის ეყოფა, რომ მსოფლიოს მისცა ი. სტალინი.

სტალინის პიროვნების შეფასება შეუძლიათ მხოლოდ მაღალი რანგის კეთილსინდისიერ სახელმწიფო მოღვაწეებს და მეცნიერებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში[2]. სტალინის გარდაცვალების წლისთავზე თბილისელები (და არა მარტო თბილისელები) იკრიბებოდნენ სტალინის ძეგლთან სანაპიროზე „მშრალი ხიდის“ მიდამოებში (დედა ენის ძეგლის მოპირდაპირე მხარეს). მიჰქონდათ ყვავილები, მღეროდნენ „გაფრინდი შავო მერცხალოს“ და სხვა მის საყვარელ სიმღერებს.

---

*რომ იგი მთავრობას აყენებდა პარტიაზე მაღლა. პარტიული ორგანოები (ცეკა, სამხარეო კომიტეტი და ა. შ.) მხოლოდ მბრძანებლობდნენ და აკონტროლებდნენ ხელისუფლების ყველა შტოს, სამეურნეო და სხვა ორგანოების საქმიანობას და პასუხს ქვეყანაში არაფერზე აგებდნენ. ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი სკკპ ცეკას პლენუმმა შეაფასა სუბიექტივიზმისა და ვოლიუნტარიზმის პერიოდად და გაანთავისუფლა იგი დაკავებული თანამდებობიდან (ამ პლენუმზე ლ. ბრეჟნევმა თქვა, რომ მკვდარ სტალინთან ბრძოლა გაცილებით იოლი იყო, ვიდრე ცოცხალ ხრუშჩოვთან). საგულისხმოა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პერიოდში ქ. მოსკოვში ჩამოვიდა აშშ დელეგაცია ვიცე-პრეზიდენტ რ. ნიქსონის მეთაურობით და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვიცე-პრეზიდენტის პირადმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა სტატია ამერიკულ გაზეთში (ამის თაობაზე იუწყებოდა მთავარი კომუნისტური გაზეთი „პრავდა“), რომელშიც მოსკოვში მიღებულ შთაბეჭდილებათა გამო დაახლოებით ასე იყო ნათქვამი: „სავსებით მართალი იყო მწერალი ჰენრი, როდესაც წერდა: მომეცით თავისუფლება ან მომკალით. ცხოვრობდე ისეთ პოლიციურ სახელმწიფოში, როგორიც საბჭოთა კავშირია, რომელიც იმართება არა კანონებით, არამედ ადამიანების მიერ, საშინელებაა (საშინელია)“. ნებისმიერ პოლიციურ სახელმწიფოში, როგორც წესი, მყარდება ტოტალიტარული რეჟიმი (უმრავლესობის დიქტატურა).*

[1] *გვ. გვ. 329, 330.*

[2] *ცნობილმა ქართველმა მეცნიერ-ისტორიკოსმა ლევან სანიკიძემ დააყენა გაზეთის საშუალებით საკითხი ი. სტალინის სამშობლოში გადმოსვენების თაობაზე.*

მაგრამ 1956 წლის მარტში სტალინის გარდაცვალების დღის აღნიშვნა გაამძაფრა იმან, რომ გაზ. „პიონერსკაია პრავდას“ პირველ გვერდზე გამოქვეყნდა ქ. მოსკოვის წითელ მოედანზე მავზოლეუმის ფოტო წარწერით „**ლენინი**“ და ქვემოთ წარწერა „**სტალინი**“ არ ჩანდა. შესაძლებელია ფოტოკორესპონდენტმა ეს გააკეთა სპეციალურად. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მავზოლეუმიდან სტალინი გამოიტანეს და დაკრძალეს კრემლის კედელთან. ამან დიდი მღელვარება გამოიწვია ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობაში. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა სპეციალური სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ მოსკოვიდან ჩამოსული სკკპ ცეკას პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ ი. სტალინი მავზოლეუმშია და იქ დარჩებაო. დემონსტრაციები პირველად დაიწყეს ვაკის სტუდქალაქში მცხოვრებმა სტუდენტებმა. ყველაზე მეტად აქტიურობდნენ V კორპუსის სტუდენტები, რომლებიც მეტწილად თსუ ეკონომიკის ფაკულტეტიდან იყვნენ. ამ კორპუსში ვცხოვრობდი მეც და ბუნებრივია, აღმოვჩნდი ყველა მოვლენის ეპიცენტრში. დემონსტრატებს შემოგვიერთდნენ სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები (ყველა ეს უმაღლესი სასწავლებელი მდებარეობდა ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე). უმაღლეს სასწავლებლებს აყვნენ საშუალო სკოლის მოსწავლეები, წარმოება-დაწესებულების თანამშრომლები და მთელი თბილისის მოსახლეობა. სინქრონულად მიტინგები და დემონსტრაციები მოედო მთელ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, ბევრი მათი წარმომადგენელი ჩამოვიდა თბილისში.

მომიტინგეები და დემონსტრანტები იყენებდნენ ტრანსპორტის ნებისმიერ სახეობას, მათ შორის სატვირთო მანქანებს და მოძრაობდნენ დედაქალაქის ქუჩებში. ისინი ძირითადად გაიძახოდნენ: „ლენინ-სტალინ“, „გაუმარჯოს სოციალიზმს“, „გაუმარჯოს საქართველოს“. არავითარი ანტისაბჭოური გამოსვლები არ იყო. უმთავრესად მიტინგები იმართებოდა ი. სტალინის ძეგლთან, რომელიც აღმართული იყო მაღალ კვარცხლბეკზე (მთლიანად შემკული იყო გვირგვინებითა და ყვავილებით; იხ. წიგნის ფოტოალბომში) და რომელსაც იყე-

ნებდნენ ტრიბუნად. რადიოფიცირებულ ტრიბუნაზე სიტყვებითა და განცხადებებით (ზოგიერთი კი საკუთარი ლექსით) გამოდიოდნენ სტუდენტები (ყველაზე მეტად აქტიურობდა სტუდენტი გოგონა ქუთაისიდან), მათი პროფესორ-მასწავლებლები, პოეტები, მწერლები, მსახიობები, კომპოზიტორები, მომღერლები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი, პენსიონერები და სხვ. საპატიო ყარაულში მორიგეობდნენ ყველანი, მათ შორის მეც. იყო იდეალური წესრიგი. მომიტინგეთა ნაწილი ღამეს იქ ათევდა, მათთვის მოჰქონდათ სურსათ-სანოვაგე (იქ ნასვამს ვერ ნახავდით). იმ დროს თბილისში ჩამოსული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ჯუ დე, რომელიც იმყოფებოდა სასტუმრო „ინტურისტში" (რუსთაველის გამზირზე ახლანდელი პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს). მომიტინგეთა ერთი ნაწილი მივედით სასტუმროსთან ძახილით: „ჯუ დე", „ჯუ დე!!!". იგი გამოვიდა მესამე სართულის აივანზე. გაგრძელდა შეძახილები: „სტალინ-მაო", „სტალინ-მაო"... (ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელი იყო მაო ძე-დუნი, რომელიც მეგობრობდა ი. სტალინთან, სიმღერაც კი შეიქმნა „მოსკვა-პეკინ", სადაც ასეთი ფრაზაც გაისმოდა „სტალინი და მაო გვისმენენ ჩვენ"...).

ი. სტალინის ძეგლთან (ეს სანაპირო სტალინის სახელობისა იყო) სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა 1956 წლის 9 მარტს, პარასკევს, ღამის 10 საათზე. ერთ-ერთი ორატორი აქვეყნებს მომიტინგეთა დადგენილების დაახლოებით ასეთ შინაარსს: „ეთხოვოს ამხანაგ ვ. მოლოტოვს უხელმძღვანელოს დროებით საბჭოთა კავშირის მთავრობას. პასუხისგებაში მიეცეთ ნ. ხრუშჩოვი, მ. სუსლოვი და ა. მიქოიანი. ეს გადაწყვეტილება ეცნობოს მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელებსა და დასავლეთის მთავრობებს". მომიტინგეთა ჯგუფი წავიდა კავშირგაბმულობის სახლში („დომსვიაზში") ამ დადგენილების გადასაცემად. მე ნათლად მქონდა წარმოდგენილი, რომ ამის საშუალებას არ მისცემდნენ. 10 საათსა და 20 წუთზე რუსთაველის პროსპექტზე (აქ იყო „დომსვიაზი") გაისმა სროლა, ჯერ ჰაერში (შესაშინებლად), მერე კი ავტომატის ჯერით. მომიტინგეები უკან დაბრუნდნენ (მათ შორის დაჭრილები სისხლში ამოსვრილი ტანსაცმლით) და გამოცხადდა:

„რუსმა ჯარისკაცებმა ტყვიები დაგვიშინეს და ეხლა ყველანი წავიდეთ „დომსვიაზში“ და ამდენ ხალხს ვერ მოგვერევიან“. იმ მომენტში ვიდექი კიბის ქვედა საფეხურზე და როდესაც დაიძრა ხალხი, ადამიანთა მასამ ამიტაცა, „მშრალი ხიდი“ ისე გამატარეს, რომ ფეხზე მხოლოდ მაშინ დავდექი როცა ეს მასა გაიშალა ე. წ. ალექსანდროვის ბაღთან. იქვე მარჯვნივ იყო მილიციის განყოფილება, მომიტინგეები შეეცადნენ იარაღის მიღებას, მაგრამ ქართული მილიცია განიარაღებული აღმოჩნდა. „დომსვიაზთან“ ისევ ატყდა სროლა, სანაპიროზე გამოჩნდა ტანკები და ალყაში მოაქციეს სტალინის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია. მე გავეცალე იქაურობას ნ. ბარათაშვილის (ადრე მუხრანის) ხიდის გავლით, შემდეგ მაშინდელი საბჭოსა და ჩელუსკინელების ქუჩების გავლით, ვარაზის ხევით და ბოლოს მივაღწიე მშობლიურ სტუდქალაქამდე. მთელი ღამე თითქმის არ მიეძინა. დილით ადრე წაველი იმ ადგილებისაკენ. ქალაქში კანტი-კუნტად თუ დადიოდნენ ადამიანები. ძნელაძის (ახლანდელი რ.თაბუკაშვილის) ქუჩა გადაკეტილი იყო რუსი ჯარისკაცების მიერ და ახლოს არავის უშვებდნენ. ამ ტრაგედიას ბევრი შეეწირა, ბევრიც დააპატიმრეს[1]... კრემლმა ქართველი ახალგაზრდების გამოსვლა შეაფასა, როგორც ანტისაბჭოური და საბჭოთა ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებით გამოსვლად, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

ფაქტობრივად ეს იყო უაღრესად პატრიოტული გამოსვლა ქართული ღირსების დაცვისათვის, ვინაიდან 1937 წელი და ყველა უბედურება კრემლმა დააბრალა ორ ქართველს – ი. სტალინს და ლ. ბერიას. ლ. ბერია გადაიყვანეს მოსკოვში 1938 წლის მეორე ნახევარში და ცნობილია, რომ შინსახკომს (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს) ნ. ეჟოვს მისი დაჭერაც ჰქონდა გადაწყვეტილი... იგი დაუნიშნეს ეჟოვს პირველ მოადგილედ და ლ. ბერია, რომ გახდა შინსახკომის პირველი

---

[1] *9 მარტის შესახებ გამოცემულია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის შ.ქისტაურის წიგნი „1956 წლის 9 მარტის სისხლიანი დრამა და ასწლიანი სამოქალაქო ომის ქრონიკები... საქართველოში“, თბ., 2006, სადაც ვრცლად არის აღწერილი 9 მარტის მოვლენები.*

პირი, ბოლო მოეღო ე. წ. ეჟოვშჩინას. ლ. ბერიამ საბჭოთა იმპერიის ისტორიაში პირველმა დაიწყო რეაბილიტაცია[1].

ცნობილია ნ. ხრუშჩოვის[2] წერილი (იგი იყო უკრაინის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი) ი. სტალინისადმი, სადაც წერს, რომ მოსკოვში აგზავნის დასახვრეტთა სიას, იხვრიტება მხოლოდ 20% და ითხოვს ამას მიექცეს ყურადღება. კრემლმა მოსპო ი. სტალინი და ლ. ბერია (იხ. ი. მუხინის ხსენებული წიგნი და სხვა პუბლიკაციები) მათი ქართული წარმომავლობის გამო. ნ. ხრუშჩოვის[3] განკარგულებით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოიხსნა ი. სტალინის ძეგლები. მხოლოდ ქ. გორში დარჩა სტალინის ძეგლი. იქაც უნდოდათ აღება, მაგრამ გორელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაიცვეს სტალინის ძეგლი. ამავე დროს, შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ორგზის გმირს (სტალინი იყო სოციალისტური შრომის გმირი და საბჭოთა კავშირის გმირი) სამშობლოში ეკუთვნოდა ძეგლის დადგმა. ამ ფონზე გაკვირვებას იწვევს გ. ბარამიძისა და სხვათა განცხადება ქ. გორში ი. სტალინის ძეგლის აღების თაობაზე და ნ. ხრუშჩოვის პოზიციაზე დადგომა.[4] ეს ხდება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა და საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის რუსული ოკუპაციის შემდეგ ნაცვლად იმისა, რომ ი. სტალინისა და ლ. ბერიასადმი კრემლის დამოკიდებულებაც გამოგვეყენებინა რუსული ანტიქართული იმპერიალისტური ზრახვების წინააღმდეგ. რუსო-

---

[1] *გადაისინჯა ეჟოვის დროს მსჯავრდადებულთა საქმე, დაისაჯა მოსამართლეები, გამომძიებლები და დამსმენელები, განთავისუფლდა და რეაბილიტებულ იქნა 330 ათასი კაცი.*

[2] *ბევრი იხვრიტებოდა თვითონ ნ. ხრუშჩოვის რეზოლუციით და თავისი კვალის დასაფარავად გამოაცხადა ტოტალური რეაბილიტაცია, მაგრამ ეს არ შეეხო ლ. ტროცკის (ბერნშტეინს) და ტროცკისტებს.*

[3] *ნ. ხრუშჩოვს უნდოდა ქართველების გადასახლება (საქართველო ქართველების გარეშე), მაგრამ არ დასცალდა.*

[4] *ერთ-ერთ შაბათ-კვირის რადიოგადაცემაში შავლეგ გეგეჭკორმა აუგად მოიხსენია სტალინი და ბერია. ეთერში ჩართვით, მე განვაცხადე, რომ ამ პიროვნებების ღლევანდელი გადასახედიდან შეფასება ალოგიკურია და მათ მიმართ ნ. ხრუშჩოვის პოზიციაზე დადგომა უვიცობაა. ბერია, როგორც აღინიშნა, გადაიყვანეს მოსკოვში 1938 წლის II ნახევარში.*

ფობია საქართველოში არ ყოფილა და არც უნდა იყოს.[1] ნებისმიერ მეზობელთან,[2] რუს ხალხთან (მართლმადიდებელი ქვეყანა ბევრი არაა) საჭიროა ნორმალური ურთიერთობა; ან კიდევ ა. პუშკინის ძეგლის აღებაზე ლაპარაკი, როდესაც იგი მესამე იყო რუსეთის იმპერიაში და დაიდგა არა კრემლის, არამედ ქართველი საზოგადოების გადაწყვეტილებით. სხვათა შორის ამერიკასა და ევროპას უნდათ, რომ ჩვენ ნორმალური ურთიერთობა გვქონდეს ჩრდილოელ მეზობელთან. აქვე ხაზგასმით, მოკლედ უნდა აღინიშნოს იმის თაობაზე, რომ უნდა განვასხვაოთ ქართველ და რუს ხალხებს შორის ურთიერთობა და ცარისტული რუსული იმპერიული პოლიტიკა, რომელიც კრახს განიცდის. რუსეთის სამამულო ომში (1812 წ.) ცნობილ პეტრე ბაგრატიონთან ერთად იბრძოდა 12 ქართ-ველი გენერალი, ბერლინში ფაშისტური რეიხსტაგის შენობის გუმბათზე გამარჯვების დროშა აღმართეს გმირმა მზვერავებმა: ქართველმა მელიტონ ქანთარიამ და რუსმა მიხეილ ეგოროვმა (1945 წლის 30 აპრილი).[3] ისტორიულ მოვლენებს უნდა სწორი და ობიექტური შეფასება და არა პოლიტიკოსე-ბის მიერ დაშვებული შეცდომების თუ არასწორი მოქმედე-ბების მიხედვით, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ ადა-მიანთა ურთიერთობებზე. როდესაც აღინიშნა სსრკ (საბჭოთა სოცია-

---

[1] *2010 წელს გორში აიღეს სტალინის ძეგლი.*

[2] *კომკავშირის თბილისის 26 კომისრის რაიკომთან არსებული სემინარის ხელმძღვანელად მუშაობისას გავიცანი ანგი ჯანელიძე (იყო მექანიკური ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ამ სემინარის წევრი), რომელსაც რამდენიმე წლის წინ შევხვდი თსუ I კორპუსთან. დიდი ხანი არ მენახა და ვკითხე სად დაიკარგე-მეთქი. მან მითხრა: გადამიყვანეს სამუშაოდ რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტში (დამთავრებული ჰქონდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობით) და შემდეგ ვიყავი თურქეთში 30 წელი კონსულის თანამდებობაზეო. მაინტერესებდა მისი აზრი თურქეთის შესახებ. მან მითხრა, რომ თურქეთს არ მიიჩნევს საქართველოს მოყვარე სახელმწიფოდ. ამ ფონზე გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან შედარებით ათათურქის წინა პლანზე დაყენება ყოვლად უსაფუძვლოა.*

[3] *მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა დიდების მემორიალის (ქუთაისში) მოშლის საპასუხოდ მოსკოვში გაკეთდა ამ ისტორიული მოვლენის ამსახველი მემორიალი, რომლის გახსნას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძე და ყოფილი პრემიერი ნ. ნოღაიდელი (2010 წლის 21 დეკემბერი).*

ლისტური რესპუბლიკების კავშირის) შექმნის 60 წლის-თავი (საიუბილეო თარიღი აღინიშნებოდა 30 დეკემბერს), სკკპ ცკ გენერალური მდივნის ი. ანდროპოვის მოხსენებაში მოტანილი იყო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში ჩაწერილი ფრაზა: „ცარიზმი იყო ხალხთა საპყრობილე“. ამ საიუბილეო სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელები, მათ შორის – საქართვე-ლოს კომპარტიის ცკ პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, რომელმაც თავის გამოსვლაში განაცხადა დაახლოებით შემდეგი: „რამდენი მცირერიცხოვანი ერები გადაშენებულან. რუსეთი რომ არა, ასეთი რამ დაემართებოდა საქართვე-ლოსაც...“[1] შინ ტელევიზიით თვალყურს ვადევნებდით აღნიშნული სხდომის გადაცემას და აღშფოთებულმა წამოვიყვირე ყველა ქართველისათვის ცნობილი გამონათქვამი: „მამული, ენა, სარწმუნოება!“ საქართველომ XIX საუკუნემდე შეინარჩუნა მამული, ენა, სარწმუნოება და სწორედ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) მათ შეექმნათ საფრთხე. მაგრამ ქართველმა ხალხმა თავისი დიდი ბრძოლისუნარიანობის, გამჭრიახობის მეოხებით გაუძლო ყველა საფრთხეს[2] და იგი დაიკავებს მალე ღირსეულ ადგილს მსოფლიოს ცივილიზებულ ერებს შორის თავისი უძველესი ისტორიული კულტურული მემკვიდრეობით (მსოფლიოს ხალხთა 14 დამწერლობას შორის ერთ-ერთია ქართული ანბანი). ამასთან საქართველო აუცილებლად გამთლიანდება და 300 ათასზე მეტი დევნილი უნდა დაბრუნდეს შინ.[3] მათი შინ დაბრუნების გარანტიაა ო. მარშავასთანა[4] პიროვნებები, რომლებიც წარმოადგენენ ქართველებისა და აფხაზების იმედს. რაშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს იმან, რომ საქართველო მიმზიდვე-ლი გახ-

---

[1] *მასვე ეკუთვნის: „საქართველოს მზე ამოდის ჩრდილოეთიდან“.*

[2] *ბოლო გაბრძოლება რუსიფიკაციის წინააღმდეგ იყო საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართული ენის შენარჩუნება 1978 წელს.*

[3] *სოხუმიდან და აფახაზეთის სხვა ქალაქებიდან (რაიონებიდან) დევნილია ბევრი ჩემი ნათესავი და ახლობელი (ჩემი ბიძის – ლავრენტი გოგიას შვილების ეთერისა და ნანულის ოჯახები და სხვ.).*

[4] *ცნობილი ქირურგი პროფესორი.*

დეს აფხაზებისა და ჩვენი ოსებისათვის (როგორც ეს მიაჩნია აშშ საგარეო უწყებას), ვიდრე რუსეთის ფედერაცია.

1956 წლის 9 მარტის სისხლიანი დრამის შემდეგ, ბუნებრივია, გამირთულდა სკკპ რიგებში შესვლა. ფაკულტეტის პარტორგანიზაციამ (მდივანი ვ. ჩიხლაძე, პოლიტეკონომიის კაბინეტის გამგე) ერთხმად მიმიღო, თსუ პარტიულმა კომიტეტმაც მომცა მწვანე გზა და საბოლოო გადაწყვეტილება პარტიის წევრობის კანდიდატად მიღების შესახებ უნდა მიეღო პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის ბიუროს.

ბიუროს სხდომას უძღვებოდა რაიკომის პირველი მდივანი დ. ჩხიკვიშვილი (შემდგომში თსუ-ს რექტორი). ჩემი საკითხის განხილვასთან დაკავშირებით (ვიყავი IV კურსის სტუდენტი) რაიკომის მეორე მდივანი რამიშვილი შემოვიდა ჩემი კანდიდატურის განხილვის გარეშე წინადადებით: გ. შუბლაძე პარტიაში შევიდეს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იმ ორგანიზაციაში, სადაც დაიწყებს მუშაობასო.

მე განვაცხადე: ბიუროს სხდომიდან არ გავალ, სანამ არ მივიღებ დასაბუთებულ პასუხს იმის თაობაზე პარტიის რიგებში ღებულობთ თუ არა სტუდენტებს და თუ ღებულობთ, მაშინ მე ფრიადზე სწავლასთან ერთად ვასრულებ უამრავ კომკავშირულ-საზოგადოებრივ დავალებებს და რატომ მეუბნებით უარს? პირველმა მდივანმა მამა-შვილურად დამიწყო საუბარი და მითხრა: არდადეგებიდან (ივლისი-აგვისტო) დაბრუნდები და მიგიღებთო. მე დავსვი კითხვა: ხომ შეიძლება უნივერსიტეტის პარტორგანიზაციამ შეიკავოს თავი (საკითხის განხილვა ისევ თავიდან უნდა დაწყებულიყო)? დ. ჩხიკვიშვილმა დაავალა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ს. რიგვავას (ბიუროს წევრი იყო) რაიმე შეფერხების შემთხვევაში ჩარეულიყო საქმეში. სექტემბრიდან შევუდექი საქმეს, ყველაფერი წარიმართა ნორმალურად და V კურსზე გავხდი სკკპ წევრობის კანდიდატი.[1]

---

[1] *წევრი გავხდი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სპეციალობით მუშაობის დროს (1957 წ.). სკკპ რიგებში ვირიცხებოდი გასული საუკუნის 90-იან წლებამდე. არჩეული ვიყავი თბილისის ცენტრალური უნივერმაღის პარტბიუროს მდივნად, ოქტომბრის რაიონის პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის წევრად, ორჯონიკიძის რაიონის პარტორგანიზაციის სარევიზიო კო-*

1957 წელს წარჩინებით დავამთავრე ი. სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მომენიჭა ეკონომისტ-საქონელმცოდნის კვალიფიკაცია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩავირიცხე პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით, რომელიც ეკონომიკის ფაკულტეტის სპეციალობათა ჩამონათვალში პირველი იყო. 1954 წელს მოსკოვის გადაწყვეტილებით გაუქმდა პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობა (მოსკოვში წყდებოდა ყველა საკითხი: სპეციალობათა ნომენკლატურა, სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოების გამოცემა და ა. შ.) და ჩვენი ჯგუფის 12 სტუდენტის დაჟინებული თხოვნა, რომ პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობა შეცვლილიყო ნებისმიერი დარგობრივი ეკონომიკის სპეციალობით, არ დაკმაყოფილდა. ჩვენი ჯგუფი გახდა საქონელმცოდნეობის სპეციალობის და 12 სტუდენტიდან დავამთავრეთ ცხრამ: ნათელა გაბელაიამ, ნოდარ ბაკურაძემ, კაკო გაბისო-

---

*მისიის თავმჯდომარედ. როდესაც გავხდი სამეცნიერო დაწესებულებების (ლაბორატორიის, კვლევითი ინსტიტუტის) ხელმძღვანელი, თუ კომკავშირული და პარტიის წევრი თანამშრომელი სათანადოდ არ შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას ან დაარღვევდა დისციპლინას, კომკავშირისა და პარტორგანიზაციის მდივნებს ვთხოვდი სათანადო რეაგირებას, რაც ყოველთვის დადებით შედეგს იძლეოდა. ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო პარტიული ორგანოების დისკრეტიზაცია. მე, როგორც პარტიის წევრმა, დავაყენე საკითხი გენერალური მდივნის მ. გორბაჩოვის წინაშე პარტიის ავტორიტეტის აღსადგენად კომუნისტური პარტიის სოციალისტურ პარტიად (მე სავსებით ვიზიარებ სოციალიზმის იდეას და ივი არ უნდა მოიხსნას პროგრესული კაცობრიობის დღის წესრივიდან) გარდაქმნისა და შესაბამისად პარტიის რეალური პროგრამის მიღების შესახებ (კომუნიზმის მშენებლობის ხრუშჩოვისეული არარეალური, დისკრედიტებული პროგრამის ნაცვლად); რივი საკითხები დავაყენე საქართველოს კომპარტიის ცეკას (მდივანი ა. მარგიანი) წინაშე, მაგრამ ორივე შემთხვევაში რაიმე რეაგირება არ მოხდა. ამიტომ დავწერე განცხადება ჩვენი რაიონის პარტორგანიზაციის პირველი მდივნის ლ. დ. ბოჯგუას სახელზე პარტიის რიგებიდან გასვლის შესახებ და პარტიული ბილეთი ჩავაბარე რაიკომში. მას შემდეგ ვარ უპარტიო და უხერხულადაც კი ვგრძნობ თავს პატარა საქართველოში პარტიების დიდი სიმრავლისა და პარლამენტში მათი წარმომადგენლების მეტისმეტად დიდი სიმცირის გამო, რაც, სამწუხაროდ, ვერ უზრუნველყოფს საკანონმდებლო ორგანოში საკითხების განხილვისას მთელი მოსახლეობის (განსაკუთრებით მისი ინტელექტუალური ნაწილის) ინტერესების გათვალისწინებას. მაქვს იმედი, რომ მალე საქართველოში გაიმარჯვებს ეროვნული სულისკვეთება და საქართველო გამთლიანდება.*

ნიამ, ოთარ ველიაშვილმა, დიმიტრი ზაბახიძემ, გია მალაშხიამ, ვლადიმერ ქოქაშვილმა, მიხეილ ხუნდიაშვილმა და მე. აქედან გ. მალაშხია და მე ვართ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, ნ. ბაკურაძე და ო. ველიაშვილი – მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები.

გადაწყვეტილი მქონდა ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება, მაგრამ ეკონომიკის პროფილის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულისთვის საამისოდ აუცილებელი იყო (მოსკოვის გადაწყვეტილებით) ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. მუშაობა დავიწყე საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში (შრომითი საქმიანობის შესახებ იხ. I. 3).

1968 წელს წარმოებიდან მოუწყვეტლად წარმატებით დავამთავრე ასპირანტურა[1] და დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია იმ დროისათვის ფრიად აქტუალურ, წარმოებისა და ვაჭრობის კავშირურთიერთობის პრობლემებზე. მუშაობის პრაქტიკულმა გამოცდილებამ და ჯეროვანმა თეორიულმა მომზადებამ მომცა შესაძლებლობა ახლებურად და ორიგინალურად გამეანალიზებინა და გამეშუქებინა მოცემული პრობლემა. აღსანიშნავია, რომ ჩემი სტატია მრეწველობასა და ვაჭრობას შორის პირდაპირი კავშირების შესახებ დაიბეჭდა სსრ კავშირის მთავარ ეკონომიკურ ჟურნალში – „ვოპროსი ეკონომიკი“ (1969, № 12). აღასანიშნავია ისიც, რომ საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დროს საბჭოს წევრების ყურადღება მისმა თავმჯდომარემ პროფ. გ. ჭანუყვაძემ მიაპყრო იმას, რომ ავტორეფერატზე სხვა გამოძახილებთან (გ. ვ. პლეხანოვის სახელობის მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგის პროფ. ს. ვასილიევის და სხვ.) ერთად მოვიდა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ე. ლიბერმანის გამოძახილი, რომელიც დასავლეთში ე. წ. „საბაზრო სოციალიზმის“ თეორიის მიმდევრად იყო ცნობილი (სტატია და ხსენებული მასალები ჩართულია წიგნის II და III განყოფილებებში). ჩემი წარმატებით გახარებული იყო ოჯახი, ნათესავები, მეგობრები, უნივერსიტეტის პროფესო-მასწავლებლები. გაზეთ „თბი-

[1] როინ ქუტიძესა და ჯემალ ბედუკაძესთან

ლისში“ (1965 წლის 16 აგვისტო) გამოქვეყნდა ა.კლდიაშვილის წერილი „კვლავ მხიარული განწყობილებით“, რომელშიც მოთხრობილი იყო ჩემი საქმიანობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ (იხ. IV განყოფილება).

შემდეგ დამაწინაურეს თბილისის ცენტრალური უნივერმაღის უფროს საქონელმცოდნედ, უფროს ეკონომისტად და გადამიყვანეს ქ. თბილისის ვაჭრობის სამმართველოში, ხოლო 1971 წელს – ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული **შმო**-სა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსად (რომელიც მე თვითონ ჩამოვაყალიბე). 70-იან წლებში დამაჯილდოვეს მედლით „შრომითი მამაცობისთვის“.

ჩემს ბედნიერ ოჯახს მოულოდნელად თავს დიდი და საშინელი უბედურება დაატყდა (1973 წლის 3 სექტემბერი), გარდამეცვალა შვილი თამრიკო – ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე, რომელიც გამოირჩეოდა სანიმუშო სწავლითა და ყოფაქცევით. თვაზარდაცემულმა მამამ უარი ვთქვი ქელეხზე[1] და შვილის ნათელ ხსოვნას მივუძღვენი ორ წიგნი (1976, 1985 წწ). ორი წელი ძალიან დათრგუნული ვიყავი შვილის დაკარგვის გამო. ქუჩაში ნაცნობებს გვერდს ვუვლიდი, დალაპარაკება არ მინდოდა (რატომღაც დამნაშავედ მიმაჩნდა ჩემი თავი). მეცვა შავი ზედა პერანგი. ასეთ მდგომარეობაში მყოფი, ბუნებრივია, არავისთვის ვიყავი სასურველი ადამიანი (ნათესავი იყო თუ მეგობარი შვილის დაბადების დღე ჰქონდა თუ სხვა საზეიმო წვეულება, იქ უბრალოდ ჩემი ადგილი არ იყო)... შემდეგ დამჭირდა ახლობლებისთვის მეთქვა, რომ მე საიმედო ადამიანი ვარ, ვინაიდან ვიცი რა არის ბედნიერება და რა არის უბედურება.

---

[1] *დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე ბებიასთან – ნინო ახმეტელაშვილთან. თეთრ მარმარილოს ქვაზე თამრიკოს სურათით (23-ე საშუალო სკოლისაგან) გამოკვეთილია V კლასის გადაუშლელი წიგნები (იხ. ფოტოალბომში).*

## თამრიკო შუბლაძე



რა სწრაფად გაილია 20 წელი იმ დიდი უბედურებიდან, რაც შენმა უდროოდ წასვლამ მოგვაყენა. მაშინ მხოლოდ 11 წელი შეგისრულდა, რამდენი აუხდენელი ოცნება წაიღე თან. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს ჩანთაში მეხუთე კლასის ხელუხლებელი, გადაუშლელი წიგნები დაგრჩა. გამორჩეული იყავი ნიჭით, სიკეთით, საოცარი ალერსითა და კაცთმოყვარეობით.

ამბობენ, ღმერთს გამორჩეულები მიჰყავსო... ჩვენ იმედად ისღა დაგვრჩენია, რომ მარადისობაში გარდასული შენი ლამაზი სული ზეციური საქართველოს მუდმივი ბინადარი გახდა. შენს წმინდა სახელს დავიწყება არ უწერია. მამამ ორი წიგნი მიუძღვნა შენს ნათელ ხსოვნას. მარად დაუვიწყარი ხარ ჩვენთვის, ყველა ახლობელისთვის.

*შენი დაიკო ლელა, მშობლები*
*(გაზეთი „თბილისი“, 1 სექტემბერი 1993 წელი)*

### 3. შრომითი საქმიანობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. სადოქტორო დისერტაცია

უნივერსიტეტის დამთავრებისას (მაშინ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს ანაწილებდნენ შესაბამისი სამინისტროები) უნივერსიტეტში მოვიდა საქართველოს ვაჭრობის მინისტრის მოადგილე კადრების დარგში ელენე ჩოფიკაშვილი, რომელმაც მოიტანა ვაკანსიები სამინისტროს სისტემაში. თბილისში ტოვებდნენ, როგორც წესი, თბილისელებს. მე ვუთხარი მინისტრის მოადგილეს, რომ მყავს შეყვარებული (საცოლე), რომელიც ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია და არ მაწყობს ქ. სოხუმში წასვლა

მეთქი, ვთხოვე თბილისთან ახლოს განაწილება. გამანაწილეს რუსთავვაჭრობაში. რუსთავვაჭრობის დირექტორი იყო მ.გოგსაძე, რომელმაც მითხრა, რომ აპარატში მყავს უმაღლესი განათლების არმქონე სპეციალისტები, მათ ვერ გავანთავისუფლებო (ის მართალი იყო) და შემომთავაზა სასურსათო მაღაზიის გამგედ წასვლა (მაღაზიის გამგე ითვლებოდა მატერიალურ პასუხისმგებელ პირად, დიდი მაღაზიის დირექტორი კი არ იყო მატერიალურად პასუხისმგებელი პირი). მე ვუპასუხე, რომ ვერ ავიღებდი ასეთ პასუხისმგებლობას. მთელი სექტემბერი (1957 წ.) ვიარე რუსთავში, მაგრამ შესაფერისი სამუშაო ვერ შემირჩიეს და შევედი ვაჭრობის მინისტრთან ზინაიდა კვაჭაძესთან. შიგა ტელეფონით ელაპარაკა ამის თაობაზე თავის მოადგილეს ე.ჩოფიკაშვილს და უთხრა: გ. შუბლაძე მოვა თქვენთანო. მინისტრის მოადგილემ კადრების დარგში გამომკითხა ყველაფერი დაწვრილებით, დაურეკა მ. გოგსაძეს და გააფრთხილა: თუ სასწრაფოდ არ დანიშნავთ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, კოლეგიაზე გავიტანთ თქვენს საკითხსო (სამინისტროს კოლეგია იხილავდა ხოლმე განაწილებული სპეციალისტების შრომითი მოწყობის საკითხს). ამის შემდეგ რომ ჩავედი რუსთავში, შემომთავაზეს ავეჯის მაღაზიის დირექტორის თანამდებობა, რომელიც დღეღდღეზე უნდა გახსნილიყო მტკვრის აქეთა მხარეს ახალაშენებული სახლის I სართულზე. მტკვრის აქეთა მხარეს სულ რამდენიმე სახლი იდგა (არცერთი მრავალსართულიანი). ეს მხარე მერე გაშენდა. თანხმობა მივეცი ბოლო შემოთავაზებაზე იმ მიზნით, რომ დანიშვნის შესახებ ბრძანების გამოცემისთანავე უნდა მოეცათ ერთი თვის ხელფასი სტიპენდიის ოდენობით (მქონდა ფრიადოსნის სტიპენდია 500 მან.). ავიღე ხელფასი და დავწერე განცხადება დაკავებული თანამდებობიდან ჩემი განთავისუფლების შესახებ. რუსთავვაჭრობის ხელმძღვანელობა ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩემი ასეთი გადაწყვეტილებით. ჩემს ასეთ გადაწყვეტილებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ კომკავშირის თბილისის კომიტეტმა შემომთავაზა თბილისის ცენტრალური უნივერმაღის კომკავშირის კომიტეტის მდივნად წასვლა. ამირჩიეს 1957 წლის 7 ოქტომბერს და დამნიშნეს საქონელმცოდნე-წუნმდებლად. როგორც აღინიშნა,

უნივერმაღიდან გადამიყვანეს ქ. თბილისის ვაჭრობის სამმართველოში და შემდეგ ვაჭრობის სამინისტროში.

თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში ჩემი მუშაობის დროს ფართოდ აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავი (1968 წ.), რაზეც მეტყველებს ის, რომ საქართველოში არ დარჩენილა კუთხე ხალხს არ გამოეხატოს თავისი დიდი სიყვარული დედა უნივერსიტეტისადმი. ყველა დარგი, უწყება, ორგანიზაცია თავისებურად ეხმიანებოდა ამ საიუბილეო თარიღს.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ თსუ 50 წლისთავს მიუძღვნა სპეციალური საღამო, რომელიც ჩატარდა ვაჭრობის მუშაკთა სახლში. აღნიშნულ საღამოზე მოვიდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, დედაქალაქის ვაჭრობის სფეროში მომუშავე ადამიანები, რომლებსაც უმაღლესი განათლება ამ დიდებულ ტაძარში ჰქონდათ მიღებული. საღამოს მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ უნივერსიტეტის პრორექტორებს – სერგო ჯორბენაძეს და ნოდარ ლომოურს, აკადემიკოსებს შალვა ამირანაშვილსა და ვასილ ჩანტლაძეს, ეკონომიკური ფაკულტეტის პროფესორებს – არჩილ გოკიელს, კასიანე მეგრელიძეს, ნიკო იაშვილს, არჩილ ფანცხავას, დოცენტებს – გაიოზ ნადირაშვილს, მამია ღაღანიძეს, შალვა ხაჭაპურიძეს, გედევან ხელაიას, დიმიტრი ქორიძეს, თენგიზ ჭიაბრიშვილს და სხვ. ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ნ. ბიბილეიშვილმა მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ სისტემის მრავალრიცხოვანი კოლექტივი დიდად არის დავალებული უნივერსიტეტისაგან, მისი პროფესორ-მასწავლებლებისაგან, ვინაიდან უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა ვაჭრობის მუშაკებს ეხმარება პრაქტიკული საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში. მან აღნიშნა, რომ ვაჭრობის მუშაკთა 550-ს განათლება მიღებული აქვს უნივერსიტეტში, ხოლო 800 ამჟამად სწავლობს (დაუსწრებლად) ამ ტაძარში.

ხალხმრავალ დარბაზში ტრიბუნასთან რიგრიგობით მიდიოდნენ ნ. ლომოური, შ. ამირანაშვილი, ვ. ჩანტლაძე, ა. გოკიელი. ა. გოკიელმა ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რასაც ეკონომიკის ფაკულტეტი და შესაბამისი კათედრა (ვაჭრობის ეკონო-

მიკის) ეწეოდა ვაჭრობის მუშაკთა კადრების მოსამზადებლად. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თბილისის ცენტრალური უნივერმაღის – საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო საწარმოს უფროსი ეკონომისტი გ. შუბლაძე მოწვეულია უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ლექციების წასაკითხად, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით მალე დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას მრეწველობასა და ვაჭრობას შორის სამეურნეო კავშირების ფრიად აქტუალურ პრობლემებზე. მე გამოვედი სამადლობელო სიტყვით თბილისის ცენტრალური უნივერმაღის კოლექტივის სახელით როგორც ამ დაწესებულების კომკავშირის კომიტეტის მდივანი. დაჯილდოებული ვიყავი (1964 წ.) „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებულის“ ნიშნით, რომლითაც ჯილდოვდებოდნენ სახელმწიფო ვაჭრობის საუკეთესო მუშაკები დარგის განვითარებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის.ზემოაღნიშნული შეხვედრა გააშუქეს გაზეთებმა „თბილისმა“ და „ვეჩერნი ტბილისმა“ (22 ნოემბერი 1964 წელი). დღეს, სამწუხაროდ, უნივერსიტეტის, მისი პროფესურისა და კურსდამთავრებულთა მოღვაწეობას სათანადო დაფასება არა აქვს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო პირველი უმაღლესი სასწავლებელი მთელს კავკასიაში. მის საფუძველზე ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, პოლიტექნიკური და სხვა ინსტიტუტები.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება დაკავშირებულია უნივერსიტეტთან (დაწყებული სტუდენტობით და დამთავრებული ლექტორობით). თუ აღმოვჩნდები უნივერსიტეტის I კორპუსთან აუცილებლად შევალ მის ვესტიბიულში, მოვინახულებ ეზოში უნივერსიტეტის დამფუძნებელთა საფლავებს და მერე გავაგრძელებ ხოლმე გზას. უნივერსიტეტისადმი ჩემს სიყვარულზე მეტყველებს ისიც, რომ 2004 წელს გამოვეცი მონოგრაფია – „საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები“ წარწერით: „ვუძღვნი მშობლიურ უნივერსიტეტს“.

თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში (მარჯანიშვილის ქუჩაზე, სადაც ახლა თიბისის ბანკია) მუშაობის პერიოდში წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი გენიალურ გალაკტიონთან ერთად სუფრასთან. იგი ცხოვრობდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გვერდით (უნივერმაღის მოპირდა-

პირე მხარეს), სადაც ამჟამად გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმია. ბატონი გალაკტიონი, როგორც სჩვევიათ გენიოსებს, პირად ცხოვრებაში იყო უაღრესად მოკრძალებული და თავმდაბალი. 1958 წლის შემოდგომაზე სამუშაო დღის დასრულების შემდეგ სამი თანამშრომელი ვსადილობდით კამოს (ამჟამად დ. უზნაძის) ქუჩაზე, უნივერმაღის ეზოს მოპირდაპირე მხარეს პატარა სასაუზმეში. სასაუზმეში შემობრძანდა დიდი გალაკტიონი და ვთხოვეთ ჩვენთან მოსულიყო. კარგი სუფრა გაიშალა. მოვატანინეთ ორი ბოთლი კახური ღვინო (მაშინ იყო 8 ნომერი, 0.7 ტევადობის). მაქსიმალურად ვცდილობდით გვესიამოვნებინა ძვირფასი სტუმრისთვის (თამადა მე ვიყავი). ვამბობ საქართველოს, ქართული მწერლობის, შემდეგ პირადად დიდი გალაკტიონის და ა. შ. სადღეგრძელოებს. მაგრამ ბატონი გალაკტიონი თითქმის არ რეაგირებს სადღეგრძელოებზე, თავჩაღუნული ზის, თითქმის არაფერს ჭამს და ცოტ-ცოტას თუ მოსვამს ხოლმე. ბოლო დროს ბატონი გალაკტიონი ძალიან გულჩათხრობილი იყო. უცბად ვიფიქრე მეთქვა რაიმე არატრადიციული სადღეგრძელო და ვამბობ: გაუმარჯოს ღირსეულ ადამიანს, კაცურ კაცს მიუხედავად მისი ეროვნული წარმოშობისა, სარწმუნოებისა და ა. შ. მოვუხმე მაქსიმ გორკის ცნობილ გამონათქვამს: „ადამიანი – ეს ჟღერს ამაყად“. ამის გაგონებაზე დიდი გალაკტიონი წამოიმართა და მისთვის ჩვეული ომახიანი ხმით თქვა: „აი სადღეგრძელო!“. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ის დღე დაუვიწყარია ჩემს ცხოვრებაში.

აქვე მინდა მოვიგონო დიდ კონსტანტინესთან პირველი შეხვედრის შესახებ. გაზეთის საშუალებით გავიგე, რომ მწერალთა კავშირში ეწყობოდა კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „ვაზის ყვავილობის“ (1955 წ.) განხილვა. გამოვცხადდი დანიშნულ დროზე ნახევარი საათით ადრე. მომხსენებელი იყო ცნობილი კრიტიკოსი ბესო ჟღენტი. მან ვრცლად მიმოიხილა აღნიშნული რომანი და დასკვნის სახით გააკეთა დაახლოებით ასეთი განცხადება: „კონსტანტინე გამსახურდია თავისი „ვაზის ყვავილობით“ შემობრუნდა სოციალისტური რეალიზმისაკენ...“ დიდმა კონსტანტინემ თავის საბოლოო სიტყვაში მადლობა უთხრა დამსწრე საზოგადოებას და თქვა: „ბატონმა

ბესომ ყველაფერი იცის, მაგრამ მე არც შემოვბრუნებულვარ და არც გადავბრუნებულვარ...“ დარბაზი ოვაციებით შეხვდა მწერალ-აკადემიკოსს. ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ პოეტმა ხუტა ბერულავამ (ჩვენ ერთი რაიონიდან ვიყავით) შემახვედრა დიდ კონსტანტინეს, რამაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ცენტრალურ უნივერმაღში მუშაობის დროს როგორც კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების მდივანმა კარგი გამოცდილება შევიძინე ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რაც ძალიან გამომადგა ჩემს პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობაში. ბევრი კარგი საქმე გამიკეთებია როგორც კომკავშირელების (მათი რიცხვი აღემატებოდა 200 კაცს), ასევე პარტიელებისათვის. პირველ რიგში აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაუსწრებელ განყოფილებაზე მოსწავლე სტუდენტებისათვის დახმარება... პირ-ველად საქართველოში (ვაჭრობის სისტემაში) ჩავატარე ციცო ნიკოლაიშვილისა და შალვა იაშაღაშვილის (შალვამ დაუსწრებლად დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი) კომკავშირული ქორწილი (1961 წლის 28 იანვარი), რომლის შესახებ ვრცელი ინფორმაცია გადაიცა საქართველოს რა-დიოთი და წერილი დაიბეჭდა ვაჭრობის სამინისტროს „ბიუ-ლეტენში“. მათ შეეძინათ პირველი შვილი გელა, რომლის ნათლია (როგორც მეჯვარე) მე ვარ. გელამაც დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (მისმა მეუღლემ მარინა ფიფიამაც), შემდეგ კი დაასრულა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურის სრული კურსი, მაგრამ მეცნიერე-ბაში შექმნილი უპერსპექტივო სიტუაციის გამო მუშაობს ბიზ-ნესის სფეროში. ამაჟამად ჩემი ნათლული გელა იაშვილი ორი შვილის (შალვასა და ციცის) მამაა, და ჯერჯერობით სამი შვილიშვილის (ლუკას და მარიამის ციცისაგან, ანას – შაკოსაგან) ბაბუაა. შალვას მეორე ვაჟმა დავითმა მის მეუღ-ლე მაიკოსთან ერთად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, მაგრამ ორივე (ცოლ-ქმარი) მუშაობს ბიზნესის სფეროში.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ როგორც პარტ-ბიუროს მდივანი ვეწეოდი სასარგებლო საქმიანობას პარტიელებისათვისაც. უნივერმაღის ტანსაცმლის განყოფილების

გამგე იყო თენგიზ კიკნაძე. ვმუშაობდი ამ განყოფილების უფროს საქონელმცოდნედ, ხოლო საქონელმცოდნე-წუნმდე-ბელი იყო მარიკა ჭაბაშვილი. თენგიზს დამთავრებული ჰქონდა გ. პლეხანოვის სახელობის მოსკოვის სახალხო მეურ-ნეობის ინსტიტუტი (ამჟამად გ. პლეხანოვის სახელობის მოს-კოვის ეკონომიკური უნივერსიტეტი). ერთ დროს იყო თბილი-სის ორსართულიანი უნივერმაღის დირექტორი (შემდეგ ამ ადგილზე აშენდა უნივერმაღი „თბილისი“). იგი დავით კიკნა-ძის ოჯახში ერთადერთი შვილი იყო. თენგიზი ცნობილი იყო ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში როგორც საქმის მცოდნე და სიმპათიური მამაკაცი, რომელიც თითქმის მთელ დროს (სამსახურის შემდეგ) ატარებდა რესტორნებში. ხშირად იყო ნასვამი, არ ფიქრობდა ოჯახის შექმნაზე, მაშინაც კი როდესაც გადაამეტა ოთხ ათეულ წელს. მე, როგორც პარტბიუროს მდივანმა, გადავწყვიტე დაველაპარაკებოდი თენგიზის მშობლებს აღნიშნულთან დაკავშირებით და მარიკა ჭაბაშვილთან ერთად მივედი მათთან სახლში. მოვახსენე ჩვენი მისვლის მიზნის შესახებ. დედას ძალიან გაუხარდა და თქვა, რომ თენგიზს ჰყავდა საცოლედ შერჩეული მეგრელი გოგო და მამამ უარი უთხრაო. მამამ ეს დაადასტურა და თქვა, რომ ჩვენ იმერლები ვართ და თენგიზმა უნდა შეირთოს ცოლი იმერელიო. მე ვამბობ: ბატონო დავით თქვენ ღუპავთ ერთადერთ შვილს. მშობლები ასაკოვნები ხართ და ნუთუ არ ფიქრობთ თენგიზის მომავალზე. თბილისელმა მამამ როგორ შეიძლება ასე იაზროვნოს. მე ვარ უკიდურესი დასავლეთიდან – სამეგრელოდან და დავქორწინდი უკიდურეს აღმოსავლე-თელზე – კახელზე (მარიკა ჭაბაშვილიც კახელი იყო. კახელებს ვეუბნები თქვენ ხართ ჩემი ცოლის დები და ძმები). სამწუხაროდ, თენგიზის მამასთან ვერაფერს მივაღწიე. მისი მშობლების გარდაცვალების შემდეგ (მე ვმუშაობდი ვაჭრობის სამინისტროში) მქონდა ინფორმაცია, რომ თენგიზი გალოთდა, დაავადდა, ორშვილიანი ქალი აეკიდა და მალე გარდაიცვალა.

საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს შმო-სა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსად მუშაობის პერიოდში (1971-1976 წწ.) რეგულარულად ვესწრებოდი სამინისტროს კოლეგიის სხდომებს, თე-

მატურ ღონისძიებებს და პერიოდულად ვამზადებდი საკითხებს მასზე განსახილველად (როგორც დარგის ექსპერტი). კარგად შევისწავლე არა მარტო მთლიანად ვაჭრობის სამინისტროს სისტემის, არამედ ამ სისტემაში შემავალი ავტო-ნომიური წარმონაქმნების (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ვაჭრობის განყოფილების) დაქვემდებარებული სავაჭრო ორგანიზაციებისა და საბითუმო ვაჭრობის ბაზების პრობლემები, აქტიურად ვმონაწილეობდი მათი გადაჭრის ღონისძიებების შემუშავებასა და ამ ღონისძიებების (სამეურნეო რეფორმის) განხორციელების საქმეში. კარგი ურთიერთობა დავამყარე ვაჭრობის რეგიონული მმართველობის ორგანოებსა და ორგანიზაციებთან. ამის მაგალითად გამოდგება მჭიდრო თანამშრომლობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროსთან და პირადად მინისტრთან ქ-ნ ლილი ბგანბასთან.[1] მეურნეობის ახალ პირობებზე გადასვლასა და საკურორტო სეზონისთვის

---

[1] *ლ. ბგანბას დამთავრებული ჰქონდა ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. VII კლასამდე სწავლობდა სოხუმის ქართულ სკოლაში. მე როდესაც ვიყავი თსუ სტუდენტი, ბევრი აფხაზი სტუ-დენტი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა ფაკულტეტზე და მინახავს მათი წერილები. აფხაზები და ჩვენი (სამაჩაბლოს) ოსები წერილებს წერდნენ ქართული ანბანით. ისინი რუსულ ანბანზე მას შემდეგ გადავიდნენ, რაც კრემლმა თავიდან მოიშორა ლ. ბერია (რომელზეც ითქვა, რომ მას უნდოდა აფხაზებისა და ოსების გაქართველება). კრემლის შორსგამიზნული პოლიტიკის მეოხებით აფხაზებისა და ოსების რუსულ ანბანზე (ორიენტაციაზე) გადაყვანის შედეგი დღეს სახეზეა. ლ. ბერიას სიცოცხლეში გამორიცხული იყო ის, რაც მოხდა აფხაზებისა და ოსების ავტონომიების მიმართ. ლ. ბერიასთანა პატრიოტი პირველი ხელმძღვანელი საქართველოს საბჭოთა პერიოდში არ ყოლია. მისი მსხვერპლი გახდა სომხეთის კომპარტიის ცეკას მდივანი ხანჯიანი, რომელმაც მოითხოვა საქართველოს დედაქალაქად ქუთაისის გამოცხადება (თბილისი კი ყოფილიყო დედაქალაქი ამიერაკავკასიის ფედერაციაში) და მისი ადგილი დაიკავა თელაველმა არუთინოვმა, რომელიც 30-წელზე მეტი იყო სომხეთის ცეკას მდივანი. სამწუხაროდ, დღემდე სომეხი ნაციონალისტები გვიყენებენ ბევრ უსაფუძვლო პრეტენზიას (დაწყებული მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნით...), რაც მოითხოვს ჩვენი ხელისუფლებისაგან ჯეროვან პოზიციაზე დადგომას (იხ. ინტერვიუ კახა კუკავასთან „საქართველოს მთავრობაში სომხური ლობი ძალიან ძლიერია“, გაზ. „ახალი თაობა“, 13.07.2011).*

მზადებასთან დაკავშირებით ხშირად მიწევდა ყოფნა აფხაზეთის რეგიონში (საქართველოს კომპარტიის ცეკას მეორე მდივნის ა. კოლბინის დავალებითაც ვიყავი კომპლექსური კომისიის თავმჯდომარე).

ავტონომიურ რეგიონებს (პირველ რიგში აფხაზეთს) მინიჭებული ჰქონდათ გარკვეული პრივილეგიები საკურორტო საქონლით მომარაგებაში, სავაჭრო მომსახურების (სერ-ვისის) სრულყოფაში.

1976 წელს გადამიყვანეს „ვნიიკს"-ის (კონიუნქტურისა და მოთხოვნის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) საქართველოს ფილიალის დირექტორად, რომელიც ყოფილ საბჭოთა  კავშირში და საქართველოში იყო ერთადერთი საბაზრო თემატიკაზე მომუშავე სამეცნერო-კვლევითი დაწესებულება. მე დამეკისრა არა მარტო მეცნიერ-მკვლევარის, არამედ ამავე დროს მეცნიერების ორგანიზატორის ფუნქციაც. საქმე ის არის, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (1983 წ.) გავხდი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის (1986-2005 წწ.) ერთ-ერთი მიმართულების – „სავაჭრო-სამრეწველო კომპლექსის" პრობლემური კომისიის თავმჯდომარე და დამევალა ამ დარგთაშორისი პრობლემის დამუშავების ხელმძღვანელობა საქართველოში.

ჩემი ხელმძღვანელობით „ვნიიკს"-ის საქართველოს ფილიალმა 15 მოკავშირე რესპუბლიკის ანალოგიურ დაწესებულებებს  (ფილიალებს) შორის ზედიზედ სამი წლის განმავლობაში დაიკავა I ადგილი და მოიპოვა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც შემდეგ სამუდამოდ დარჩა ჩვენს კოლექტივს, როგორც ამას ითვალისწინებდა მოქმედი დებულება ფილიალებს შორის სოცშეჯიბრში სამჯერ გამარჯვებულ კოლექტივისთვის. ჩვენი ფილიალის მუშაობა გაშუქებულ იქნა საკავშირო ჟურნალში „სოვეტსკაია ტორგოვლია" (იხ. განყოფილება IV). აღნიშნული დროშა მანამდე მიღებული ჰქონდათ მხოლოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების (ესტონეთის, ლიტვის და ლატვიის) ფილიალებს.[1]

---

[1] *ძალიან კარგი ურთიერთობა დამყარდა მეთაურ ინსტიტუტსა და ჩვენს ფილიალს შორის. როდესაც ჩავდიოდი საკავშირო ღონისძიებებზე მოს-კოვში (თათბირ-სემინარი და სხვ.), მეთაური ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ა.*

როგორც „ვნიიკს“-ის მოწინავე ფილიალის დირექტორი სათავო ინსტიტუტმა მიმავლინა (1986 წ.) უნგრეთის ბაზრის გამოკვლევის ინსტიტუტში (დირექტორი პროფ. ლასლო საბო) თანამშრომლობის ხელშეკრულების გასაფორმებლად. საპასუხო ვიზიტით უნგრეთის ინსტიტუტის დელეგაცია ლ. საბოს ხელმძღვანელობით გვესტუმრა ასევე თბილისშიც (ივნისი, 1987 წ.). უფრო ადრე (1985 წ. ივნისში) თბილისში ჩამოვიდა ლაიპციგის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ბაზრის გამოკვლევის ინსტიტუტის დელეგაცია, დირექტორის მოადგილის ო. შმუტცლერის ხელმძღვანელობით (დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ განყოფილების გამგე პოლხაუსი და პარტორგანიზაციის მდივანი ვილანდი). დელეგაციას მოსკოვიდან ახლდნენ „ვნიიკს“-ის განყოფილების გამგე და სამინისტროს თანამშრომელი ქალბატონი, როგორც თარჯიმანი. გავითვალისწინე რა გერმანელთა ცნობილი პუნქტუალობა, მათი ექვსდღიანი ჩვენთან ყოფნის პროგრამა შევადგინე არა მარტო საათების, არამედ წუთების მიხედვითაც. ამის შესახებ მოვახსენე გერმანელ კოლეგებს. ბ-ნ ო. შმუტცლერს გაეცინა და მითხრა: თქვენ რომ თქვით გერმანულ პუნქტუალობაზე, იგი შემორჩენილია ლიტერატურასა და ადამიანების მეხსიერებაში საზღვარგარეთ. თქვენ მაგაზე ნუ შეწუხდებით. მე ვუპასუხე: თუ თქვენ ასე მიგაჩნიათ, გერმანელი კოლეგები ჩამობრძანდით ჩვენთან გამოცდილების გაზიარების მიზნით და შეგვიძლია გაგიზიაროთ ე. წ. გერმანული პუნქტუალობა ქართულად (ქართულ ვარიანტში). გერმანელებთან (და რუსებთან) ურთიერთობისას ვიყავი პუნქტუალური. საერთოდ მთელი ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში ყოველთვის ვიყავი და ვარ პუნქტუალური, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან ურთიერთობაში.

თსუ საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტმა (დეკანი გ. ბაბუნაშვილი) მოაწყო ბიზნეს-მოგზაურობა (1990 წ.) ქ. ტოკიოში (იაპონია) და ბიზნეს-კრუიზი (1991 წ.) მდინარე დუნაიზე (ბელგრადი-იუგოსლავიის დედაქალაქში, ვენასა – ავსტრიის დე-

---

*ორლოვი ფილიალების დირექტორებიდან მხოლოდ მე დამპატიჟებდა სახლში (ცხოვრობს ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე). მან ლექსიც მომიძღვნა (იხ. V განყოფილება).*

დაქალაქსა და ბუდაპეშტში – უნგრეთის დედაქალაქში ყოფნით), რომლებშიც ვმონაწილეობდი პროფესორ-კოორდინატორის ფუნქციის შესრულებით.

„ვნიიკს“-ის საქართველოს ფილიალის დირექტორად მუშაობისას (1984 წ.) დამევალა ტურისტების ჯგუფის (35 კაცი) ხელმძღვანელობა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ბუქარესტის (რუმინეთის დედაქალაქი) გავლით და უკან დაბრუნებით. ჯგუფის მარშრუტი დაიწყო ქ. კიევიდან, საიდანაც დავბრუნდით თბილისში.

ინტენსიურად ვიკვლევ საქონელმიმოქცევის (ვაჭრობის) თეორიის, ვაჭრობის მართვის, ბაზრისა და მოთხოვნის, მათი შესწავლისა და პროგნოზირების პრობლემებს. აგრეთვე მეცნიერულ ბრუნვაში ახალი ტერმინების, ცნებების და კატეგორიების შესწავლასთან დაკავშირებით ვაქვეყნებ ნაშრომებს (ცნობარებს) ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზე. 1976 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა წიგნი „ვაჭრობის მართვის საფუძვლები“, რომელიც განათლების სამინისტრომ დაამტკიცა დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის, ხოლო 1981 წელს გამოიცა სახელმძღვანელო – „ვაჭრობის მართვა“. ეს სახელმძღვანელო პირველი იყო არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც. იმ დროს მოკავშირე რესპუბლიკებს არ ჰქონდათ უფლება გამოეცათ სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის, თუ რუსულ ენაზე კავშირის მასშტაბით არსებობდა სახელმძღვანელო (უნდა ეთარგმნათ). რესპუბლიკებში შეიძლებოდა სალექციო კურსების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ლიტერატურის გამოცემა. ჩემი სახელმძღვანელოსთვის გამონაკლისი გაკეთდა იმიტომ, რომ რუსულ ენაზე ჯერ არ იყო გამოცემული ასეთი სახელმძღვანელო (საგანი ახალი შემოღებული იყო).

მართვის პრობლემებზე გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე (დისერტაციის დაუწერლად) უნივერსიტეტის რექტორატის შუამდგომლობითა და სსრ კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის („ვაკ“-ის) გადაწყვეტილებით შედგა ჩემს მიერ სადოქტორო დისერტაციის ერთჯერადი წესით დაცვა. ამასთან დაკავშირებით მოვიტან პირველი ოპონენტის,

პროფ. ლ. ჩიქავას რეცენზიიდან ვრცელ ამონარიდს: „მოქმედი დებულების თანახმად მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი შეიძლება მიენიჭოს პიროვნებას სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილ ნაშრომზე. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს გამონაკლისის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ავტორის მიერ საფუძვლიანად და მრავალმხრივ შესწავლილი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის კვლევის შედეგები ნათლადაა ასახული მის მიერ გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომებში და მათ აქვთ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. სწორედ ასეთ გამონაკლისად და ასეთ საგანგებო შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ გიორგი შუბლაძის მიერ სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი... განსახილველი დისერტაციის უპირველეს და უმთავრეს ღირსებად მიმაჩნია ის, რომ მასში მაღალმეცნიერულ და პროფესიულ დონეზეა გაშუქებული საკვლევი პრობლემის თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის გლობალური და თანაც ათეული წლების მანძილზე სწავლულ ეკონომისტთა შორის კავშირის მასშტაბით, სადისკუსიო საკითხთა ფართო წრე. აღსანიშნავია, რომ ამ მეცნიერულ კამათში დისერტანტი არ ერიდება მაღალ ტიტულოვან ავტორიტეტებს, კრიტიკულად (თუმცა უაღრესად კორექტულად და მაღალ აკადემიურ სტილში) განიხილავს მათ შეხედულებებს, სათანადო არგუმენტებით ასაბუთებს ზოგიერთი მათგანის უსაფუძვლობას და გვთავაზობს საკუთარ, ორიგინალურ მოსაზრებებს. თანაც, რუს ავტორებს იგი აკრიტიკებს არა მარტო ქართულ ენაზე გამოცემულ ნაშრომებში, როგორც ეს გვჩვევია საერთოდ ქართველ სწავლულ ეკონომისტებს, არამედ რუსულ ე. ი. მათთვის გასაგებ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც... ვფიქრობ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ დისერტანტი არა მარტო საქართველოში, კავშირის მასშტაბითაც ერთ-ერთი პირველთაგანია სწავლულ ეკონომისტთა შორის, რომელმაც სოლიდური გამოკვლევები მიუძღვნა მართვის ეკონომიკური პრობლემების შესწავლას და საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინათა შორის მის დამკვიდრებას... მან თვალსაჩინო

წვლილი შეიტანა დასმული პრობლემების შესწავლაში და გაამდიდრა ქართული ეკონომიკური ლიტერატურა, რომელსაც, სხვა დადებით მხარეებთან ერთად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების მომზადებისათვის“ (სრულად ლ.ჩიქავას რეცენზია იხ. III განყოფილებაში).

სადოქტორო დისერტაციის დაცვისათვის აუცილებელი იყო ოფიციალურ ოპონენტად სამი მეცნიერებათა დოქტორის და სოლიდური წამყვანი ორგანიზაციის გამოყოფა. ოპონენტებად დამტკიცდნენ ლ. ჩიქავა, ბ. სოლოვიოვი (მოსკოვის გ. პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის მარკეტინგის კათედრის გამგე) და მ. მაქსოევი, წამყვან ორგანიზაციად – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი. რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩემს სადოქტორო დისერტაციაზე დაიწყო არასასურველი დასკვნის დაწერა (დასკვნის შედგენა დაევალათ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატებს ზ. სოსელიას და რ. ჯავახიშვილს). ზ. სოსელიასთან (ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე) საუბრის შედეგად გაირკვა, რომ განყოფილების გამგეს დასკვნის დაწერა დაუვალებია მეცნიერ-მუშაკისთვის – მ. შუბითიძისთვის და მასაც დაუწერია ორ გვერდამდე რაღაც უაზრობა, რომელიც უნდა გაეგრძელებინა რ. ჯავახიშვილს (რომელიც იყო ლაბორატორიის გამგე). მე ზ. სოსელიას ავუხსენი რას ნიშნავდა „ვაკ“-ის მიერ გამონაკლისის წესით ჩემთვის სადოქტორო დისერტაციის დაცვის უფლების მონიჭება დისერტაციის დაუწერლად გამოქვეყნებული ნაშრომების (ჩემი ერთი მონოგრაფია გამოსცა მოსკოვის გამომცემლობა „ეკონომიკამ“, მეორე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ რუსულ ენაზე და სხვ.) საფუძველზე და ავტორეფერატი მოხსენების ფორმით. დასკვნის ავტორები კარგად უნდა გაეცნონ ჩემს პუბლიკაციებს, რომლებიც ჩამოთვლილია წარმოდგენილ ავტორეფერატში. ამის შემდეგ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ დასკვნის მომზადებაში ჩართო ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. ხასია და დროულად

დაიწერა ობიექტური დასკვნა სამი ხელმოწერით: ბ. ხასია, ზ. სოსელია, რ. ჯავახიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ დატვირთული ვიყავი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობით, ვასრულებდი საქართველოს რესპუბლიკური და საქალაქო პარტიული და სამთავრობო ორგანოების სხვადასხვა დავალებებს. ამ მიზნით ვიყავი კომისიის თავმჯდომარე ან წევრი თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, მახარაძეში (ოზურგეთში), ფოთში და სხვ. ვიყავი (2004 წ.) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი. 1974-1976 წლებში ვიყავი თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე (ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობაზე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. მაშინ სპეციალურ საგანთან ერთად ბარდებოდა პოლიტიკური ეკონომია (გამომცემელი პროფ. გ. ადეიშვილი). ერთ ჯგუფში (რუსულ სექტორზე) დაიწერა შეფასებების 50% ორიანი. მე როგორც კომისიის თავმჯდომარე დამიბარეს რექტორატში (პრორექტორ ზ. ფორაქიშვილთან). ვუთხარი, რომ კომისიის წევრებს შორის შეფასებისას უთანხმოება არ ყოფილა. ალბათ ჯგუფი სათანადოდ არ მოემზადა. მეორე წელს სანამ დაიწყებოდა სახელმწიფო გამოცდები, მაცნობეს გამოვცხადებულიყავი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეთა თათბირზე განათლების მინისტრთან აკად. გ. ჯიბლაძესთან (ახლანდელი პარლამენტის შენობის VII სართულზე). ბატონი გიორგი იყო სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსიც და, რაც მთავარია, დიდებული ადამიანი და ღირსეული პიროვნება. მან თვითონ გაგვიღო კარი, მიგვიწვია კაბინეტში ზუსტად დანიშნულ დროს. ამ თათბირის ჩატარება, როგორც თქვა ბატონმა გიორგიმ, განაპირობა საკავშირო მინისტრის ვ. ელიუტინის სატელეფონო ზარმა იმის თაობაზე, რომ საქართველომ გასული წლის სახელმწიფო გამოცდების შედეგების მიხედვით ბოლო ადგილი დაიკავა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. მოსკოვს ვუპასუხეთ, რომ მოთხოვნები გამკაცრდაო. საკავშირო მინისტრმა კი მიგვითითა, რომ გამკაცრება საჭიროა I კურსიდან და როგორც მიიყვანეთ სტუდენტები ბოლო კურსამდე, ისე გამოცადეთო.

ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში შექმნილია ფრიად კომპეტენტური კომისიები და გვთხოვა დიდი გულისხმიერებით მოვკიდებოდით თითოეულ სტუდენტს. მას შემდგ ვიყავი სახელწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თსუ ახალციხის ფილიალში და სხვ., და ყოველთვის ვხელმძღვანელობდი აკად. გ. ჯიბლაძის რეკომენდაციებით.

ასეთი წარმატებული შრომითი, მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის დროს მეძახიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ზ. ჩხეიძესთან წინასწარ თათბირზე (1982 წ.) შაქრით ვაჭრობაში შეფერხებების შესახებ ბიუროზე გასატან საკითხთან დაკავშირებით, სადაც მოწვეულები იყვნენ ვაჭრობის მინისტრი გ. ქობლიანიძე, მინისტრის მოადგილე ე. კომახიძე, საქბაკალეიის ბაზის მმართველი ო. ანთელავა და გაგვაცნეს ცეკას ვაჭრობის განყოფილების მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი: მინისტრს მიეთითოს, მოადგილეს გამოეცხადოს საყვედური, ბაზის მმართველს – სასტიკი საყვედური, „ვნიიკს“-ის ფილიალის დირექტორს გ. შუბლაძეს – საყვედური. მე ავღნიშნე, რომ ჩვენი ინსტიტუტი მუშაობს ვაჭრობის სამინისტროს შეკვეთით და სპეციალურად შაქრის ბაზრის თემა არ დაგვიმუშავებია, მაგრამ გვაქვს დამუშავებული საპროგნოზო თემა, რომელშიც მოცემულია შაქარზე მოთხოვნის ხუთწლიანი პროგნოზი (თან მქონდა მასალები და ვაჩვენე განყოფილების გამგეს შ. ბერიანიძეს); თუ ამ რაოდენობით იქნებოდა შემოტანილი შაქარი, ვაჭრობაში შეფერხებები არ იქნებოდა მეთქი. ითქვა, რომ წარმოდგენილი პროექტი შერბილდებოდა. მაგრამ მოხდა პირიქით. შევედით ბიუროს სხდომაზე (ბიუროს სხდომები ტარდებოდა რუსულ ენაზე). შ. ბერიანიძემ თქვა, რომ განსახილველ საკითხს მოახსენებს ვაჭრობის მინისტრი. ე. შევარდნაძე ამბობს, რომ მინისტრი უნდა დავსაჯოთ, მოახსენეთ თქვენო, მიმართა შ. ბერიანიძეს. იგი გამოვიდა მოკლე ინფორმაციით და დაამთავრა ასე: „ვნიიკს“-ის ფილიალმა არ წარმოგვიდგინა ინფორმაცია შაქრით ვაჭრობაში შეფერხებასთან დაკავშირებით. ე. შევარდნაძე იღებს დადგენილების პროექტს და ამბობს: ეს ამხანაგები უნდა დავსაჯოთ უფრო მკაცრად. მი-

ნისტრს არა უბარლოდ მიეთითოს, არამედ მკაცრად მიეთითოს, მინისტრის მოადგილეს (აკეთებს პაუზას) გამოეცხადოს საყვედური, საქბაკალეის ბაზის მმართველს, (რომელიც იყო ვალდებული ემართა შაქრის მომარაგება-გასაღების მთელი პროცესი), გამოეცხადოს სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით, ხოლო „ვნიიკს“-ის ფილიალის დირექტორი მოიხსნას სამუშაოდან (მე გამაფრთხილეს, რომ ბიუროს სხდომაზე არ შეიძლება რაიმეს თქმა). ე. შევარდნაძემ მიიღო გადაწყვეტილება საკითხის განხილვის გარეშე. შემდეგ მიმართა ბიუროს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმეს თქმა. პირველი გამოვიდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარიძე (იგი ბიუროს შემადგენლობაში ცნობილი იყო როგორც ყველაზე პრინციპული და ობიექტური ადამიანი): გუშინ ველაპარაკე მოსკოვს შაქრის დამატებით გამოყოფის დახმარების თაობაზე და მიპასუხეს, რომ შაქრის რესურსები შეზღუდულია... ე. შევარდნაძეს არ მოეწონა ასეთი გამოსვლა, სიტყვა შეაწყვეტინა და თქვა: და კიდევ მითქმა-მოთქმა ღვინის ფალსიფიკაციის შესახებ.[1] თუ ეს ასეა, სად არის მინისტრთა საბჭო, რატომ არა გაქვთ სისტემა ამ მანკიერებებთან საბრძოლველად. შემდეგ გამოვიდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა: ვაჭრობა რთული დარგია, მასში ბევრი პრობლემაა და მე არა ვარ დარწმუნებული სამინისტროს ხელმძღვანელობა ასეთი შემადგენლობით გაართმევს თავს ამ პრობლემებსო. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი აღნიშნავს, რომ ქალაქკომში მოცემული საკითხი არაერთხელ იყო განხილვის საგანი. ბოლოს ე. შევარდანძე დაასკვნის: ასე მკაცრად, რომ განვიხილეთ ეს საკითხი, უნდა ვაცნობოთ საზოგადოებას პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებითო. გაოგნებული ვიყავი ამ დონეზე ასეთი უგუნური გადაწყვეტილების მიღებით;[2] ვფიქრობდი რა ეშველება ხალხს, ქვეყანას... გამოვე-

[1] *ღვინის ქარხნებში შაქარი შექონდათ ვაგონებით, რომ შეესრულებინათ კრემლის წინაშე ე. შევარდნაძის მიერ ნაკისრი ვალდებულება ყურძნის დამზადების შესახებ. მოგვიანებით კი ქარხნის დირექტორები დაიჭირეს.*

[2] *როდესაც საქართველოში გაჩაღებული იყო ე. შევარდნაძის ლანძღვა-გინება, მე მის წინააღმდეგ არაფერი მითქვამს.*

დით სხდომიდან, შევედით ლიფტში და გ. ქობლიანიძე ამბობს: ეს რა თქვაო ნ. ჭითანავამ, მე ყველაზე მეტად რომ დავისაჯე ეგ თითქოს არაფერი. მივედი ინსტიტუტში, ვნახე პარტორგანიზაციის მდივანი ი. ხუხუა და ვუთხარი რაც მოხდა. მერე წავედი სახლში (შესვენების დრო იყო) და უკან რომ ვბრუნდებოდი ვუთხარი მეუღლეს ცეკას ბიურომ სამსახურიდან გამათავისუფლა-მეთქი. იგი მეუბნება არ ინერვიულოო. მე ვპასუხობ: ცხოვრებაში რა უნდა შემხვდეს სანერვიულო თამრიკოს გარდაცვალების მერე-მეთქი.

ცეკას ბიუროს სხდომა როცა დამთავრდა თ.მენთეშაშვილს უთქვამს ე.შევარდნაძისთვის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ხელმძღვანელის ყველაზე მეტად დასჯა არასამართლიანიაო. ამ უკანასკნელს კი გაუცია განკარგულება ოქმის გაფორმებისას ჩემს მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის თაობაზე. მეორე დღეს ბიუროს თითქმის მთელი შემადგენლობა წავიდა სკკპ ცეკას ტრადიციულ ნოემბრის პლენუმზე. თ. მენთეშაშვილს მოსკოვიდან დაურეკავს ცეკაში: შეიცვალა თუ არა გ. შუბლაძის მიმართ გადაწყვეტილებაო. ყოველივე ამის შესახებ მომიყვა კ. კაპანაძემ (ცეკას განყოფილების გამგის მოადგილემ), რომელიც ადრე თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე იყო. იგი მაშინ დავალებებს მაძლევდა და შესრულებულ დავლებას რომ მივუტანდი, მეტყოდა თ. მენთეშაშვილს ვეუბნები გ. შუბლაძის ინსტიტუტი მიკეთებსო. ამის სიმართლეში დავრწმუნდი ჩემს მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლისას.

ჩვენი ინსტიტუტის პრობლემაზე ქ. მოსკოვში ტარდებოდა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. მირეკავს სათავო ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ა. ვ. ორლოვი და მეკითხება: რა მოხდა თქვენთან. მე რაიმეს თქმას არ ვაპირებდი იმიტომ, რომ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ჩემთვის არაფერი იყო ცნობილი. იგი მეუბნება, რომ იყო სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის პირველ მოადგილესთან ა.კონდრაშოვთან, რომელიც იყო ხსენებული კონფერენციის ძირითადი მომხსენებელი, მასთან ყოფილა გ. ქობლიანიძე და უთქვამს „ვნიიკს"-ის საქართველოს ფილიალის დირექტორი ცეკას ბიურომ თანამდებობიდან გაანთავისუფლაო. მე ვუთხა-

რი ა. კონდრაშოვს, რომ საქართველოს ფილიალის დირექტორი ყველაზე ავტორიტეტულია, ხოლო ფილიალი ყველაზე მოწინავე[1]. თუ ასეა უთქვამს ა. კონდრაშოვს, მოსკოვშიც არის ცეკა და დავიცავთ საქართველოს ფილიალის დირექტორსო. ა. ორლოვმა მთხოვა შ. ბერიანიძის ტელეფონის ნომერი და ესაუბრა მას, ხოლო შემდეგ დამირეკა: კონფერენციაზე ჩამოხვალთ თქვენ და მინისტრის მოადგილე შ. შარაშენიძე, დეკემბერში კი ჩამოვალ თბილისში და შევხვდები შ. ბერიანიძეს. ა. ორლოვმა თავისი სიტყვა შეასრულა, მაგრამ მოსკოვის ჩარევა საჭირო აღარ გახდა.

ბაზრის, საბაზრო ეკონომიკის, მარკეტინგის და მენეჯმენტის (საბაზრო მართვის კონცეფციის) პრობლემები იძენენ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას.

ჩემი ინიციატივით „ვნიიკს“-ის საქართველოს ფილიალის ბაზაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით 1991 წელს იქმნება მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (იხ. ენციკლოპედია „თბილისი“, გვ. 642 და კორესპოდენცია „მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თბილისში“, IV განყოფილება). ამას წინ უძღოდა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მარკეტინგის შესახებ პოზიტიური შეხედულების დამკვიდრება, ვინაიდან გასული საუკუნის 80-იან წლებამდე იგი ითვლებოდა კაპიტალისტურ მეურნეობაში კონკურენციული ბრძოლის იარაღად. 1986 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე გამოვედი მოხსენებით „საქონლის რეალიზაციის პრობლემები სოციალიზმის დროს და მარკეტინგი“ (თეზისები დაიბეჭდა), ვაქვეყნებ ჟურნალში მეთაურ სტატიას „მარკეტინგი და მისი გამოყენების პირობები“ (ჟურნ. „ეკონომისტი“, 1990, №6), ჩემი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით გამოიცა ლექციების კურსი „მარკეტინგი და კომერციული საქმიანობა“ (თსუ, ბიზნესის უმაღლესი სკოლა, 1991). პირველად საქართველოში ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „საბაზრო ეკონომიკის პრობლემები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებათა აკადემიის

[1] *Орлов А. Болото. М., с. 40.*

ეკონომიკის ინსტიტუტის, საგეგმო კომიტეტთან არსებული ინსტიტუტის, თსუ და სხვა სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომლებმა. ვაფართოებ კვლევის თემატიკას საბაზრო ეკონომიკის პრობლემების მრავალმხრივი ასპექტის შესაბამისად. ვაქვეყნებ სტატიებს: „საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი" (ჟურნალი „ეკონომიკა", 1993, №1), „მენეჯმენტი საბაზრო ეკონომიკის პირობებში" (ჟურნალი „ეკონომიკა", 1994, №1-3), „საერთაშორისო ბიზნესი და მენეჯმენტი" (თსუ, „ეკონომიკის აქტუალური საკითხები", გამოცემა V, 1998), და სხვ. სტატიები დაიბეჭდა ისეთ საკავშირო გამოცემებშიც, როგორიცაა „კომერჩესკი ვესტნიკ", „სოვეტსკაია ტორგოვლია", „ეკონომიჩესკაია გაზეტა".

ამრიგად, ქართველ სწავლულ ეკონომისტებს შორის პირველად დავიწყე საბაზრო ეკონომიკის პრობლემების გამოკვლევა, კერძოდ, ისეთ კონკრეტულ სფეროებში, როგორიცაა მოთხოვნის პროგნოზირება და ბაზრის რეგულირება, მარკეტინგი, მენეჯმენტი და ბიზნესი, ვინაიდან მე მიწევდა მუშაობა საბაზრო თემატიკაზე მომუშავე ერთადერთ ინსტიტუტში მთლიანად სსრ კავშირსა და საქართველოში. ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ფუნქციონირებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, რომლებიც ძირითადად ამუშავებდნენ სოციალისტური და გეგმიანი ეკონომიკის პრობლემებს.[1]

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად და ნაყოფიერად მიმაჩნია ჩემი მოღვაწეობა ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მეცნიერმუშაკთა აღზრდაში. პროფ. ა.გოკიელმა მიმიწვია ლექციების წასაკითხად მშობლიურ უნივერსიტეტში 1962 წელს. ვიყავი სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის მასწავლებელი, ვაჭრობის ეკონომიკისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კათედრის დოცენტი, საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის კათედრის, სამრეწველო საქონელმცოდნეობისა და კომერციის კათედრის პრო-

---

[1] *აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი და საგეგმო კომიტეტის ინსტიტუტი განეკუთვნებოდნენ მეორე კატეგორიას, ჩვენი ინსტიტუტი კი იყო პირველი კატეგორიის, ვინაიდან იგი იკვლევდა დარგთაშორის პრობლემებს.*

ფესორი და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის პროგრამის (კათედრის) ხელმძღვანელი. უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დავიწყე საგანში „ვაჭრობის ორგანიზაცია“, შემდეგ კი „ვაჭრობის ეკონომიკა“.

1974 წლიდან პირველმა უნივერსიტეტში დავიწყე ლექციების კითხვა საგანში „ვაჭრობის მართვა“ და გამოვეცი ჯერ დამხმარე სახელმძღვანელო, ხოლო შემდეგ (1981 წ.) სახელმძღვანელო, სათანადო პროგრამის დამუშავებით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას სტუდენტებისთვის ვანიჭებ ბიზნესის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სწორ დეფინიციებს (იხ. განყოფილება II). შემდეგ საფუძველი ჩავუყარე უნივერსიტეტში ისეთი ახალი საგნების წაკითხვას, როგორიცაა: „ბიზნესის საფუძვლები“, „ბიზნესის ფსიქოლოგია“, „მარკეტინგი“, „მენეჯმენტი“. ჩემი რედაქტორობითა და თანაავტორობით უნივერსიტეტის გამომცემლობამ პირველად გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო „მენეჯმენტი“ (1998 წ.). გამოიცა აგრეთვე სახელმძღვანელო „მარკეტინგი“ (1999 წ.) და ჩემს მიერ დაწერილი დამხმარე სახელმძღვანელო „ბიზნესის საფუძვლები“ (2000 წ.), „მენეჯმენტისა და მარკეტინგის ცნობარი“ (თსუ, 1994 წ.). ვხელმძღვანელობდი სტუდენტთა სადიპლომო შრომების შესრულებასა და სამეცნიერო კონფერენციებისთვის მოხსენებების მომზადებას.

ჩემი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში მრავალ სტუდენტთან მიმუშავია. ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა და მიმაჩნია სტუდენტებს შევასწავლო არამარტო ესა თუ ის საგანი (სასწავლო კურსი), არამედ გარკვეულ დროს (განსაკუთრებით პირველკურსელებთან) ვუთმობ აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობას, ვინაიდან უნივერსიტეტიდან სტუდენტმა უნდა წაიღოს არა მარტო დიპლომი, არამედ იგი უნდა ჩამოყალიბდეს როგორც განათლებული და პატრიოტი სპეციალისტი. ბევრი სტუდენტისაგან მომისმენია, რომ შენიშვნებს მათ მხოლოდ მე ვაძლევ.[1] ყოველთვის ვეხმარები სტუ-

---

[1] *სტუდენტებს ვეუბნები, რომ ჩვენ, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ვალდებულნი ვართ დავეხმაროთ განათლებულ და პატრიოტ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში; საქმე, რომლის გაკეთება შეიძლება დღეს, ნუ გადავდებთ ხვალისთვის... მეხვალიე კაცსაო თოვლი მოადგა კარსაო. სამ-*

დენტებს, რომელთაც რაიმე ოჯახური თუ სამსახურებრივი პრობლემები აქვთ. ამიტომაა რომ უკმაყოფილო სტუდენტი არასოდეს მყოლია.

ჩემი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით დაცულია 17 საკანდიდატო და ორი სადოქტორო დისერტაცია. მრავალჯერ

---

*წუხაროდ, ბევრ პროფესორ-მასწავლებელს ეს არ შეუძლია (მეტწილად ახალბედებს) და არც უნდათ „გაიფუჭონ“ ურთიერთობა სტუდენტებთან. მე არაერთხელ მითქვამს სტუდენტებისთვის, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეებს (უფროსკლასელთა გამოკლებით), როგორც წესი, არ მოწონთ ე. წ. მომთხოვნი მასწავლებლები და მხოლოდ სკოლის დამთავრების შემდეგ მათთვის გასაგები ხდება მომთხოვნი მასწავლებლების მშობლიური ზრუნვის არსი. ზოგიერთი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სათანადოდ არ ზრუნავს პროფესიონალი და მომთხოვნი პროფესორებით სტუდენტთა უზრუნველყოფის შესახებ (გარკვეული მიზეზების გამო) და, სამწუხაროდ, ამას ხელს უწყობს მოქმედი კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. მაგალითად, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში (თეუსუ) 2009 წელს ჩატარებულ კონკურსში აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად არ დაუშვეს 65 წელს მიღწეული პროფესორები და, ბუნებრივია მათ ვერც დაიკავეს აკადემიური თანამდებობები. მათ შორის აღმოვჩნდი მეც. ეს უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნა ვაჭრობის ტექნიკუმის ბაზაზე. აღნიშნულ უნივერსიტეტში ე. წ. პირველი რექტორი, რექტორი, დეკანი, კათედრის (მიმართულების) ხელმძღვანელი, პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ მეცნიერებათა კანდიდატები და ლექცია-სემინარებზე, კონფერენციებზე და სხვა ღონისძიებებზე სტუდენტებს მიმართავდნენ „ბავშვებო“. მე მათთვის არაერთხელ მითქვამს: ბავშვები მხოლოდ საბავშ-ვო ბაღებშია. ალოგიკურია ბავშვებად ჩაითვალონ სტუდენტი გოგონა, რომელიც ორი ბავშვის დედაა და ვაჟი, რომელსაც გააჩნია ოჯახი (მყო-ლია ასეთი სტუდენტები ამ უნივერსიტეტში). სტუდენტ-ახალგაზრდობის მოხ-სენიება, რომლებმაც უნდა შეგვცვალონ ჩვენ, მშობლები (უფროსი თაობა) და იკისრონ პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის. სტუდენტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წიგნებზე დამოუკი-დებლად მუშაობა. თეუსუში დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკის გამო ამას ვერ მივაღწიე. სტუდენტებს ვაფრთხილებდი, რომ სემინარებზე უნდა მოხვიდეთ მომზადებული (სათანადოდ დამუშავებული მასალით) და საჭი-როების შემთხვევაში მოგეცემათ შესაძლებლობა ჩაიხედოთ საკუთარ დამუშავებულ კონსპექტში. მაგრამ სტუდენტების დიდი ნაწილი სემინარის დროს იხედებოდა წიგნებში. მე მათ ვეუბნებოდი: თქვენ არა ხართ სკოლის მოსწავლეები. მაშინ ატარეთ უნივერსიტეტში სასკოლო ჩანთები. ისინი ამბობდნენ, რომ სხვა საგნების პროფესორ-მასწავლებლები ანალოგიურ მოთხოვნებს არ უყენებდნენ მათ. ამის თაობაზე მქონდა საუბარი დეკან-თან, კათედრის (მიმართულების) ხელმძღვანელთან, მაგრამ, სამწუხაროდ, რაიმე რეაგირება არ მოხდა.*

ვიყავი სადისერტაციო ნაშრომების ექსპერტი, ოპონენტი (მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთაც). ვიყავი და ვარ სადისერტაციო საბჭოების და კომისიების წევრი, ვიყავი თსუ-ს დიდი საბჭოს, პროფესორთა საბჭოს წევრი და სხვ. ვარ უნივერსიტეტის ვეტერანთა ორგანიზაციის წევრი, დაჯილდოებული ვარ მედლით „შრომის ვეტერანი".

ვარ 170-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, მათ შორის ცალკე წიგნად (წიგნად ითვლება 48 გვერდზე მეტი მოცულობის ნაშრომი, 48-მდე კი არის ბროშურა) გამოცემულია 31. აქედან 20 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა, 9 მონოგრაფიული გამოკვლევა. ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცემულია რუსულ ენაზე, რამდენიმე ინგლისურ ენაზე. ვმუშაობ ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და ტერმინების დეფინიციის დარგში. ქართულ ლიტერატურაში გავმიჯნე ცნებები „ეფექტიანი" და „ეფექტური",[1] სათანადო არგუმენტაციით მოვახდინე „პირდაპირი კავშირების", „ბაზრის", „ბიზნესისა" და „მეწარმეობის" (შესაბამისად „ბიზნესმენისა" და „მეწარმის"), „მარკეტინგის", „მენეჯმენტის", „ზოგადი ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის)" და მათთან მიმართებაში ხმარებული ტერმინების დეფინიცია. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დავასაბუთე, რომ დაუშვებელია „ეკონომიკსის" ხმარება ქართულ ეკონომიკურ ლიტერა-

---

[1] *ქვეყნის პრეზიდენტი და სხვა მაღალჩინოსნები პარლამენტის სხდომებზე, ტელევიზიაში გამოსვლისას და საერთოდ თითქმის ყოველთვის იყენებენ „ეფექტურს", „ეფექტიანის" ნაცვლად. მათი გამიჯვნის აუცილებლობის შესახებ პუბლიკაციებთან ერთად, წერილით მივმართე (05. 01. 96) ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, შესაბამის დაწესებულება-ორგანიზაციებს (იხ. II/5). ეს წერილი დანართის სახით მოთავსებულია ჩვენს წიგნში „საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები". გადავწყვიტე წიგნი მეჩუქებინა პრეზიდენტის პრეს-სპიკერის, მრჩევლის გელა ჩარკვია-სისთვის და დავლაპარაკებოდი რიგ საკითხებზე. წიგნი წარწერით გადა-ვეცი და ვუთხარი, რომ ვმუშაობ ტერმინოლოგიურ საკითხებზეც და დანართშია ზოგიერთი მასალა. დავიწყე საუბარი „ეფექტურისა" და „ეფექტიანის" შესახებ და ვეკითხები თუ იცის ი. მუხინის წიგნის – „სტალინისა და ბერიას მკვლელობა" – შესახებ და ა. შ. მივიღე უარყოფითი პასუხები და მეუბნება, რომ მისი მოვალეობაა მხოლოდ თვალყური ადევ-ნოს თუ რას წერენ უცხოური გაზეთები საქართველოს შესახებ (ამზადებს ყოველდღიურად 50 გვერდიან მასალას) და პრეზიდენტს ვერაფერს ეტყვის.*

ტურაში, აგრეთვე გაუმართლებელია „თეორიული ეკონომიკის“ გამოყენება (იხ. ამ წიგნის განყოფილება II და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 2003).

სისტემატურად გამოვდივარ მოხსენებებით საერთაშორისო (საკავშირო), რესპუბლიკურ და რეგიონულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე და თათბირ-სემინარებზე. ამ მხრივ გამორჩეულია საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მოეწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ (ქ. მოსკოვი) აკადემიკოს ა.რუმიანცევის ხელმძღვანელობით 1979 წელს მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების საკითხებზე. ამ კონფერენციაზე გამოვედი მოხსენებით „წარმოებასა და ვაჭრობას შორის სამეურნეო კავშირების სრულყოფის საკითხისათვის“ (თეზისები დაიბეჭდა კონფერენციის მასალებში). აღსანიშნავია აგრეთვე საკავშირო სამეცნერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის ეფექტიანობის ამაღლების გზებს. ამ კონფერენციაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინსტიტუტების, „ვნიიკს“-ის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მეცნიერ თანამშრომლები. ჩემი მოხსენების თემა იყო „მოთხოვნის შესწავლის პრობლემები და მეცნიერულ გამოკვლევათა დანერგვის შედეგები“ (ქ. მოსკოვი, 1981 წელი). ვმონაწილეობდი საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების სემინარის მომზადებასა და ჩატარებაში (გამოვედი მოხსენებით), რომლის თემა იყო: „სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გამოყენება ვაჭრობასა და საზოგადოებრივი კვების განვითარებასა და ეფექტიანობის ამაღლებაში“ (ქ. პერმი, 1974 წლის 14-16 მაისი), რისთვისაც დავიმსახურე ამ საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის მადლობა (იხ. სამადლობელი წერილი პროფ. ნ. ალექსეევის ხელმოწერით, განყოფილება IV). ბაზრისა და მოთხოვნის პრობლემების შესახებ გამოვედი მოხსენებით ქალაქებში: მოსკოვი, ბუდაპეშტი (უნგ-რეთი), ტოკიო (იაპონია), კიევი, მინსკი, კიშინოვი, ვილნიუსი, ტალინი, რიგა, ბაქო, ერევანი, ალმაატა, დუშანბე და სხვ.

აღსანიშნავია სრულიად საქართველოს მასშტაბით საქართველოს ეკონომისტთა რესპუბლიკური თათბირი (1967 წ), რომელიც მიეძღვნა მრეწველობაში დაგეგმვისა და ეკონომიკური მუშაობის სრულყოფის საკითხებს. აქ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ყველა გამოჩენილი და ცნობილი სწავლული ეკონომისტი: პ. გუგუშვილი, ი. მიქელაძე, ვ. ჩანტლაძე, ვ. მელქაძე, ა. გოკიელი, გ. ჭანუყვაძე და სხვ. ჩემი მოხსენების თემა იყო მსუბუქი მრეწველობის და ვაჭრობის საწარმოებს შორის პირდაპირი სამეურნეო კავშირების სრულყოფის ამოცანები. ვმონაწილეობდი (სიტყვით გამოვედი როგორც თბილისის ცენტრალური უნივერმაღის პარტიული ორგანიზაციის მდივანი) საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის (1962 წ.) მუშაობაში, რომელმაც მოისმინა საკითხი (მოხსენებელი – საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე) სავაჭრო მომსახურების მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ვმონაწილეობდი (სიტყვით გამოვედი როგორც „ვნიიკს“-ის ფილიალის დირექტორი) საქართველოს პარტიული – სამეურნეო აქტივის კრების (1983 წ.) მუშაობაში, რომელმაც განიხილა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მდგომარეობა და მისი გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი (აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა საქ. კპ ცკ პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ). ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე არაერთხელ გამოვედი რადიოთი და ტელევიზიით,[1] ვბეჭდავდი მასალებს პრესაში (იხ. განყოფილება IV). არჩეული ვიყავი სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა IV საკავშირო ყრილობის (1973 წ.) დელეგატად, რომელიც ჩატარდა ქ. მოსკოვში, კრემლში და დამაჯილდოვეს სამკერდე ნიშნით „აქტიური მუშაობისათვის მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებაში“, რომელიც გადმომცა ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ა. იშლინსკიმ (1/3 განყ. და ფოტოალბომი).

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ცხრა დამფუძნებელთა შორის გავ-

---

[1] *ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ვმონაწილეობდი პროფესორებთან გიორგი და ლადო პაპავებთან ერთად.*

ხდი იმის მეოხებით, რომ ჩამოვაყალიბე „ვნიიკს"-ის ფილიალის ბაზაზე მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც იყო პირველი ასეთი დაწესებულება პოსტსაბჭოურ სივრცეში. აკადემიის ძირითადი დამფუძნებლები იყვნენ ის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამეცნიერო დაწესებულებებს, მის ქვედანაყოფებს (კათედრებს) და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები – ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია.

მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა (1991 წ.) იყო ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, ვინაიდან იგი პირდაპირ პასუხობდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს და ასეთი ეკონომიკის პირობებში მომუშავე სპეციალისტებისთვის აუცილებელი გახდა მარკეტინგის სასწავლო კურსის დაფუძნება ჩვენს სინამდვილეშიც. მანამდე ფუნქციონირებდა ეკონომიკური პროფილის ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი – მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი და საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ინსტიტუტი, რომლებიც ძირითადად იკვლევდნენ სოციალისტური და გეგმიანი ეკონომიკის პრობლემებს და მათ უპირატესობას საბაზრო ეკონომიკასთან შედარებით. საჭირო გახდა უნივერსიტეტში მარკეტინგის სასწავლო კურსის შემოღება და მეცნიერ მუშაკების (მარკეტოლოგების) მომზადება. ეროვნული საწარმოების (ფირმების) დიდ უმრავლესობაში (რომ არაფერი ვთქვათ ერთობლივ საწარმოებსა და უცხოურ ფირმებზე) საჭირო გახდა წამყვან სტრუქტურულ ქვედანაყოფად მარკეტინგის სამსახურის შექმნა და მარკეტინგის სპეციალისტების (მარკეტერების) მომზადება.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიამ ჩაატარა (1995 წ.) კონფერენცია, რომელზეც გამოვედი მოხსენებით „საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი და მისი რეგულირების პრობლემები". მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა – შესწავლაში და მისი რეგულირების პრობლემების გადაწყვეტაში არსებითი როლი აკისრია მარკეტინგს. დავაყენე საკითხი ეკონომიკური პროფილის სადისერტაციო საბჭოს ჩამოყალიბებისას თსუ კო-

მერციის ფაკულტეტის ბაზაზე გათვალისწინებული ყოფილიყო მარკეტინგის დამოუკიდებელი შიფრი[1]. თსუ საქონელმიმოქცევის და მარკეტინგის კათედრის სხდომაზე (1995 წ.), რომლის წევრიც ვიყავი, დავაყენე საკითხი კათედრის გაყოფისა და მარკეტინგის საუნივერსიტეტო კათედრის შექმნის თაობაზე. აუცილებელი იყო მარკეტინგის მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების კონცენტრაცია და მარკეტინგის ერთიანი აპრობირებული პროგრამით სწავლება.[2] საქმე ის იყო, რომ თსუ ეკონომიკური პროფილის ოთხ ფაკულტეტზე მარკეტინგის საგნის სწავლება ხორციელდებოდა საკუთარი ძალებითა და ცალკეული ლექტორების მიერ შედგენილი პროგრამებით. კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე იყო მხოლოდ სამი კათედრა: ორი საქონელმცოდნეობის პროფილის და ერთი ეკონომიკური პროფილის ხსენებული კათედრა და მიზანშეწონილი, კანონზომიერი იყო მეოთხე კათედრის – მარკეტინგის კათედრის ჩამოყალიბება.

სამწუხაროდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვის ეროვნული საბჭოების ფორმირებისას საკმარისად მიიჩნევდნენ ეკონომიკური პროფილის ორი სადისერტაციო საბჭოს (ეკონომიკისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტების ბაზაზე) შექმნას და ჩვენი ფაკულტეტის კათედრების პროფესორ-მასწავლებლებს ზ. გრიგოლაშვილის (იგი შეყვანილ იქნა მეორე საბჭოში) გარდა ტოვებდნენ სადისერტაციო საბჭოების გარეთ, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე პროფესორ მამია ღაღანიძის ძალისხმევით შექმნილი დაცვის საბჭო საქონელმიმოქცევის (ვაჭრობის) სფეროში მთელ კავკასიაში იყო ერთადერთი. ამ საბჭოზე დისერტაციებს იცავდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის და ჩრდილოეთ კავკასიის მოქალაქეები. უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს როინ მეტრეველის მხარდაჭერით დაიწყო დაცვის საბჭოს ჩამოყალიბება ჩვენი ფაკულტეტის ბაზაზე. შედგა პირველი შეკრება პროფესორ მ.ღაღანიძის ხელმძღვანელობით სადისერტაციო

---

[1] *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1995.*

[2] *მარკეტინგის აქტუალური საკითხები, თსუ შრომების კრებული, გამოშვება II, 1998, გვ. 44.*

საბჭოს შიფრების (სპეციალიზაციების) განსაზღვრისთვის. საბჭოს შექმნისათვის რეკომენდებული იყო მინიმუმ ორი და მაქსიმუმ ოთხი შიფრი. გადაწყდა ორშიფრიანი საბჭო – 1) საქონელმიმოქცევის ეკონომიკა და მარკეტინგი (კათედრის სახელწოდება) და 2) საქონელმცოდნეობა. მე ავღნიშნე, რომ ყველაზე პერსპექტიულია მარკეტინგი და იგი აუცილებლად უნდა გამოყოფილიყო ცალკე შიფრად. ამის აუცილებლობა განპირობებული იყო იმითაც, რომ საბჭოს დამტკიცებისას თუ უარს იტყოდნენ საქონელმცოდნეობაზე (იყო ამის საშიშროება), შეიძლება საერთოდ უარი ეთქვათ ჩვენი ფაკულტეტის ბაზაზე სადისერტაციო საბჭოს შექმნაზე. მიუხედავად ჩემი ჯეროვანი და ნათელი არგუმენტაციისა, ერთი მხარდამჭერიც არ აღმოჩნდა იმათ შორისაც კი, რომლებმაც მერმე დაიწყეს ბრძოლა მარკეტინგის კათედრის გამგის თანამდებობისთვის.[1] მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა როგორც მე ვაყენებდი წლების განმავლობაში. დამტკიცდა სადისერტაციო საბჭო ორი შიფრით – საქონელმიმოქცევის ეკონომიკა და მარკეტინგი. პირველად დისერტაციების დაცვის ისტორიაში გაჩნდა „მარკეტინგი" როგორც დამოუკიდებელი შიფრი. მანამდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვა ხდებოდა სხვა მეცნიერული დისციპლინების მიჯნაზე. მარკეტინგის შიფრით მოესწრო ხუთიოდე საკანდიდატო და ერთადერთი სადოქტორო დისერტაციის (მ. ნანიტაშვილი) დაცვა.

ვერ მოხერხდა ჩვენი სადისერტაციო საბჭოს შენარჩუნება შემდეგ გარემოებათა გამო: გარდაიცვალა საბჭოს წევრი პროფესორი რ.კრიჭინაშვილი; ზ. გრიგოლაშვილმა დაწერა განცხადება საბჭოდან გასვლის შესახებ საქართველოს ექსპერტთა საბჭოს (სეს-ის) თავმჯდომარის სახელზე, იმიტომ რომ ამ საბჭოზე დაცული დისერტაციები პლაგიატურებიაო.[2]

---

[1] *ყოველივე აღნიშნულის შემდეგ უსაფუძვლოა ვინმემ გამოაცხადოს თავი თსუ მარკეტინგის კათედრის დამფუძნებლად.*

[2] *ზ. გრიგოლაშვილმა როდესაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, დოც. ვ. გორგილაძემ საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტში დაწერა საჩივარი ამ დისერტაციის პლაგიატობის თაობაზე, მაგრამ მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის – ყველასათვის პატივსაცემი პიროვნების გამოისობით არ მიეცა მას სათანადო შეფასება. შემდეგ ზ. გრიგოლაშვილმა კათედრის წევრს ლ. ყორღანა-*

ზ. გრიგოლაშვილი ამბობდა: მამული მაქვს მცხეთაში, უნი-ვერსიტეტიდან წავალ, მაგრამ ორ-სამ კაცს გავიყოლებო (მას ვიღაცეების იმედი ჰქონდა, თორემ ამდენს ვერ გაბედავდა). სეს-ის ეკონომიკის სექციამ შექმნა კომისია პროფ. ი. მესხიას თავმჯდომარეობით, რომელმაც შეამოწმა სამი საკანდიდატო დისერტაცია (ჩემი ხელმძღვანელობით დაცული – თ. გელდია-შვილის, მ. სოსანიძის, ლ. ოსაძის დისერტაციები) და ერთი სა-დოქტორო დისერტაცია (მ. ნანიტაშვილი), მაგრამ არაფერი დადასტურდა. როდესაც მომჩივანისთვის შემოწმების შედეგე-ბი გახდა ცნობილი, მან კომისიას წარუდგინა საბჭოს წევრი პროფესორის სახელმძღვანელო მარკეტინგის შესახებ, ჩემი სტატია „საერთაშორისო მარკეტინგის არსი და მნიშვნელო-ბა“ და მ. ნანიტაშვილის სტატია „ლიცენზიებით საერთაშორი-სო ვაჭრობის შესახებ“ (ორივე დაბეჭდილი იყო კრებულში „მარკეტინგის აქტუალური საკითხები“, 1999 წ.). სეს-ის ეკო-ნომიკის სექციას ეს მასალები არც უნდა განეხილა, ვინაიდან ზ. გრიგოლაშვილის განცხადება შეეხებოდა მხოლოდ დისერ-ტაციებს. კომისიამ (ი. მესხია) დასკვნაში წარდგენილი მასა-ლების შესახებ აღნიშნა, რომ არის თანხვედრის (და არა პლაგიატობის) შემთხვევები. კომისიის შემოწმების მასალები განიხილა სეს-ის ეკონომიკის სექციის ხელმძღვანელობამ. სექციას განუმარტე ჩემი სტატიის ძირითადი მომენტების ჩვე-ნებით (ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრე-ბა...), რომ წიგნის გამოცემისას წყაროს მითითება (სქოლიო) არ დაიბეჭდა. საბჭოს წევრი ორი პროფესორის (ე. ბოლოკა-ძის, გ. ნადირაშვილის) წიგნების (სახელმძღვანელოების) თან-ხვედრაზე ითქვა, რომ ორივე ავტორის მიერ გამოყენებულია ერთიდაიგივე რუსული წყარო და სხვ.

სეს-ის ხელმძღვანელობამ თსუ-ს ხელმძღვანელობას გა-უგზავნა ეკონომიკის სექციის მიერ მომზადებული წერილი იმის თაობაზე, რომ თითქოს დადასტურდა პლაგიატობის ნიშ-ნები. თსუ დიდი საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ზ. გრიგო-ლაშვილის განცხადება-საჩივარი, რომელსაც საკადრისი პა-

---

*შვილს დაუწერა ანალოგიური განცხადება-საჩივარი სადოქტორო დისერ-ტაციაზე, მაგრამ გამოყოფილმა კომისიამ (რომლის წევრი მეც ვიყავი) არ დაადასტურა საჩივრის სისწორე. დისერტაციის დაცვაზე იგი არ გამოცხადდა.*

სუხი გასცა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანმა ქალბატონმა ი. ადეიშვილმა. თსუ პრორექტორის (მეცნიერების დარგში) ა. ხელაშვილის ხელმოწერით პასუხი გაეგზავნა სეს-ის ხელმძღვანელობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზ. გრიგოლაშვილმა, რომელიც მარკეტინგის კათედრის გამგის ყველაზე ღირსეულ კანდიდატად თავის თავს მიიჩნევდა, კენჭისყრის დროს ხმების მინიმალური რაოდენობაც კი ვერ მიიღო. იგი სამართლიანად მოიკვეთა უნივერსიტეტიდან და მას შემდეგ თბილისში არ გამოჩენილა.

მაშინ მე ვიყავი მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამფუძნებელი და უნივერსიტეტში სასწავლო კურსის დამკვიდრებელი სათანადო მეცნიერული პუბლიკაციებით. როდესაც გამოცხადდა კონკურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ეკონომეტრიკის სპეციალობით აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ასარჩევად (წარდგენილები იყვნენ პროფესორები ვ. პაპავა და რ. შელეგია), მივიღე წერილი:

**ბატონო გიორგი,**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება გთხოვთ დასკვნას პროფ. რ.შელეგიას წიგნზე „ფირმის (საწარმოს) მართვა და მარკეტინგის თანამედროვე კონცეფცია“ (თბ., 1993).

ბატონი რ. შენგელიას კანდიდატურა წარდგენილია მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ აკადემიის წევრკორესპონდენტად ასარჩევ კონკურსზე – ეკონომეტრიკის სპეციალობით.

გთხოვთ წიგნი და თანდართული მასალა (4 დასახელება) განიხილოთ ამ თვალსაზრისით.

ღრმა პატივისცემით,
აკადემიკოსი გ. თევზაძე

13 ივნისი, 1997 წელი.

ჩემს მოკლე დასკვნაში ავღნიშნე, რომ სარეცენზიო წიგნსა და მასალებში ეკონომიკური (მარკეტინგული) თვალსაზრი-

სით სრულყოფილად ვერ არის გადაწყვეტილი პრობლემის ყველა ასპექტი, ვინაიდან პროფესორი რ. შელეგია არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ამის შემდეგ ინტენსიურად ვმუშაობდი მარკეტინგის და საერთაშორისო მარკეტინგის თემატიკაზე. ინგლისურ ენაზე გამოვაქვეყნე სტატია „საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ" (ჟურნალი „მოამბე", 2003 წ.),[1] ვრცელი სტატია ამავე სახელწოდებით საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომებში (ტ. IV, 2004 წ.), სტატია „კიდევ ერთხელ საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ" (თსუ, „მარკეტინგის აქტუალური საკითხები", გამოშვება VI, 2005 წ.), გამოვეცი პირველად ქართულ ენაზე (თანაავტორობით) დამხმარე სახელმძღვანელო „საერთაშორისო მარკეტინგი" (თბ., 2007 წ.), რომლის რედაქტორი მე ვარ და სხვ. ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე ჩემთვის რაიმეს დაბრალება, უბრალოდ სასაცილოა. ამასთან დაკავშირებით მაგონდება შემდეგი: ჩემი სტუდენტობის პერიოდში უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა ილია ვეკუა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თვით, ვინაიდან აიძულეს საერთოდ წასულიყო საქართველოდან (ამბობდნენ, რომ დოც. ლ. მაღნარაძე დიდ ილია ვეკუას პლაგიატობასაც კი სწამებდა). ილია ვეკუა ჩაიხუტა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა. ილია ვეკუამ ჩამოაყალიბა აკადემიის ნოვოსიბირსკის განყოფილება და დაარსა ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს უდიდესი მეცნიერი შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, შემდეგ კი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. აქვე საჭიროდ მიმაჩნია გამოვხატო დიდი პატივისცემა და სინანული ჩემი ლექტორის (პოლიტეკონომიის) იოსებ ბაჯაძის მიმართ. იგი იყო ყოველმხრივ ღირსეული პიროვნება. როდესაც წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, გაგზავნა „ვაკ"-ში დასამტკიცებლად, მას უწერეს „ანონიმკები" და ბოლოს ყველაფერი მისი თვითმკვლელობით დამთავრდა.

---

[1] *გ. შუბლაძე. საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები (მონოგრაფია), თბ., 2004, გვ. 142.*

აქვე მინდა ვთქვა ჩემს უნივერსიტეტის თანაჯგუფელზე გიორგი მალაშხიაზე[1]: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევის, სახელდობრ მეტაეკონომიკის ავტორი. გამოირჩევა წერის მაღალი კულტურით, ლექსებსაც წერს[2]. არ არსებობს ეკონომიკური მეცნიერების რომელიმე სფერო, რომელიც არ იყოს გ. მალაშხიას კვლევის ობიექტი. იგი არ არის არცერთი ქართული ეკონომიკური ჟურნალის რედკოლეგიის წევრი. სამწუხაროდ, ჩვენთან ეკონომიკური ჟურნალების რედკოლეგიები დაკომპლექტებულია ერთიდაიგივე ადამიანებით. სამაგიეროდ გიორგი მალაშხია არის საერთაშორისო ჟურნალის – „ჰომო ესპერანს" (სანკტ-პეტერბურგი) სარედაქციო კოლეგიის წევრი. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში ბევრი ცნობილი პროფესორი დარჩა აკადემიური თანამდებობის გარეშე[3]. განათლებისა და მეცნიერების სფეროში მაინც ხომ უნდა იყოს სამართლიანობა და გამოცდილი ადამიანების ჯეროვანი დაფასება. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ოლია მეორის საშო-ბაო ეპისტოლეში (2010 წ.) აღნიშნულია, რომ ინტელიგენციას არა აქვს სათანადო დაფასება. მეცნიერების განვითარების გარეშე ქვეყანას არა აქვს მომავალი. პატრიარქი აგრეთვე ბრძანებს: „უმცროსმა თაობამ უნდა მოუსმინოს უფროს თაო-ბას და გაიზიაროს წარსული გამოცდილება".[4]

აქტიურად ვეწეოდი და დღემდე ვეწევი საზოგადოებრივ მოღვაწეობას (იხ. თანდართული საპატიო სიგელები). რამდენჯერმე არჩეული ვიყავი ქ. თბილისის ორჯონიკიძის (შემდგომ ვაკის) რაიონული საბჭოს დეპუტატად, ვაჭრობისა და

---

[1] *იხ. სტატია „შემოქმედების ფართო გზაზე", განყ. IV.*

[2] *როდესაც შემისრულდა 50 წელი გ.მალაშხიამ მომიძღვნა ლექსი, რომელიც მოთავსებულია ამ წიგნის V განყოფილებაში. აქვეა მის მიერ შესრულებული ა. ორლოვის ლექსის თარგმანი.*

[3] *იხ. ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს და სხვ., განყ. IV, წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს და სხვ., განყ. II/6.*

[4] *გაზ. „ახალი თაობა", 21 ივნისი, 2010, გვ. 2.*

საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ, ამავე რაიონის პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ, სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის შტატგარე განყოფილების გამგედ (დაჯილდოვებული ვარ სამკერდე ნიშნით „აქტიური მუშაობისთვის სახალხო კონტროლის ორგანოებში“), საკავშირო ჟურნალის „სოვეტსკაია ტორგოვლია“ სარედაქციო საბჭოს წევრად (1978-1988 წწ.), საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრად და სხვ. ვარ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი აკადემიკოს-მდივანი (1994 წ.). აკადემიის პრეზიდენტია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა.

ვიყავი რეგისტრირებული (1990 წ.) საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქ. თბილისის ფალიაშვილის №25 საარჩევნო ოლქში, მაგრამ არჩევნები ჩაიშალა. რეგისტრირებული ვიყავი აგრეთვე ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონში (პარტია „თანადგომა“) საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნების დროს, სადაც გაიმარჯვა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვ. რჩეულიშვილმა (მეორე ეტაპზე).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არაერთჯერ შემოუთავაზებიათ სამთავრობო და სხვა სტრუქტურებში მაღალი თანამდებობები (მაგალითად, ფ. ანანიაშვილს – საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკის, ვაჭრობის მინისტრს ვ. თოხაძეს – მინისტრის მოადგილის, კ. შავიშვილს – ცეკავშირის თავმჯდომარის მოადგილის და სხვ.), მაგრამ ყოველთვის თავი შემიკავებია, ვინაიდან ერისა და ქვეყნისთვის უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნდა მუშაობა მეცნიერების განვითარებისა და სპეციალისტების მომზადების დარგში. უარს ვამბობდი „ვნიიკს“-ის საქართველოს ფილიალის დირექტორის თანამდებობაზეც. ეს იყო ასე: დამიბარეს საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგესთან შ. ბერიანიძესთან, რომელმაც შემომთავაზა აღნიშნული თანამდებობა და ქ. მოსკოვში წასვლა დასანიშნად. მე როდესაც თავი შევიკავე,

# საპატიო სიგელი

ამხანაგ გიორგი შალვას ძე
შუბლაძეს

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებში აქტიური მუშაობისათვის

საქართველოს სსრ
სახალხო კონტროლის კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილე: ვ. თავზარაშვილი

197 წლის „23" ოქტომბერი



# საპატიო სიგელი

საქართველოს ალკკ ცენტრა-
ლური კომიტეტი აჯილდოებს
აღნიშნული სიგელით

ამხ. ბ. შ. მ უ ბ რ ა ძ ე ს

აქტიური პროპაგანდისტული მუშაობისა-
თვის.

საქართველოს ალკკ
ც. კ-ის მდივანი

26 X

ქ. თბილისი 1960 წ.

# საპატიო სიგელი

საქართველოს სსრ სახალხო უნივერსიტეტების საბჭო

აჯილდოებს გიორგი შალვას ძე შუბლაძეს

სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის

საბჭოს თავმჯდომარე

სწავლული მდივანი

„21" ოქტომბერი 1981 წ.

№ 30

# საპატიო სიგელი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი აჯილდოვებს

ამხ. გ. შ. შუბლაძეს

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პროპაგანდისტული მუშაობისათვის

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური
სახლი

# ПОЧЕТНАЯ ГРАМОТА

თბილისის ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა მე–19

მოწვევის რაიონული საბჭოს დეპუტატს გ. შუბლაძეს

რაიონული საბჭოს საქმიანობაში აქტიური და

ნაყოფიერი მონაწილეობისათვის.

საქართველოს კპ თბილისის
ორჯონიკიძის რაიკომის
მდივანი –
დ. დ. მოჯგუა

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახალხო
დეპუტატთა რაიონული საბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარის პირველი
მოადგილის მ/შ
ზ. მ. მებილეიშვილი

15. 05. 83

Министерство торговли СССР

награждает

# ПОЧЕТНОЙ ГРАМОТОЙ

тов. Шубладзе

Георгия Шалвовича

За активную научно-исследовательскую работу
в торговой отрасли
и в связи с шестидесятилетием
образования Союза ССР

Министр [signature] – А. И. Струев –

# ПОЧЕТНАЯ ГРАМОТА

НАГРАЖДАЕТСЯ

ШУБЛАДЗЕ ГЕОРГИЙ ШАВЛОВИЧ – ДИРЕКТОР ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА

ЗА МНОГОЛЕТНЮЮ ПЛОДОТВОРНУЮ РАБОТУ, БОЛЬШОЙ ЛИЧНЫЙ ВКЛАД В РАЗВИТИЕ ОТРАСЛЕВОЙ НАУКИ И В СВЯЗИ С 25-ЛЕТИЕМ СО ДНЯ ОБРАЗОВАНИЯ ВСЕСОЮЗНОГО НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКОГО ИНСТИТУТА ПО ИЗУЧЕНИЮ СПРОСА НАСЕЛЕНИЯ НА ТОВАРЫ НАРОДНОГО ПОТРЕБЛЕНИЯ И КОНЪЮНКТУРЫ ТОРГОВЛИ.

МИНИСТР ТОРГОВЛИ СССР К.З.ТЕРЕХ

# ПОЧЕТНАЯ ГРАМОТА

*Президиум Всесоюзного Совета Научно-Технических Обществ награждает почетной грамотой*

ШУБЛАДЗЕ ГИОРГИ ШАЛВОВИЧА

за выполнение личного творческого плана

*Председатель ВСНТО*

Академик А.Ю.Ишлинский

„25“ марта 1987 г № 16707

Всесоюзный Совет Научно-Технических Обществ В.С.Н.Т.О. ПРЕЗИДИУМ

მას გაუკვირდა და მეუბნება: საკავშირო ინსტიტუტის ფილიალის დირექტორობა ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურული თანამდებობაა. ასეთ თანამდებობაზე დასანიშნად არსებული წესის თანახმად ჩვენ უნდა გვყავდეს სამი კანდიდატი, საიდანაც შევარჩევთ ერთს. დავრეკეთ სამინისტროში (მაშინ ვმუშაობდი ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულ შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსად) დაასახელეს მხოლოდ თქვენი გვარი, დავრეკეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (საათობრივი ანაზღაურების წესით მეკავა დოცენტის თანამდებობა) – ისევ თქვენი გვარი და აი მაგიდაზე მიდევს მხოლოდ თქვენი პირადი საქმეო. მე ვუპასუხე: თავს ვიკავებ მარტივი მიზეზის გამო. დავამთავრე ქართული საშუალო სკოლა, ქართული უნივერსიტეტი, ასპირანტურაც ქართულად მაქვს დამთავრებული, დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია ქართულ ენაზე. შემოთავაზებული ინსტიტუტის პრობლემებს კარგად ვიცნობ, მაგრამ იქ საქმის წარმოება რუსულ ენაზეა; მე მაქვს ინფორმაცია, რომ ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ფილიალის დირექტორს აქვს რუსული განათლება (საქართველოს ფილიალის პირველ დირექტორს ლ. სადუნაშვილსაც ასპირანტურა გავლილი და საკანდიდატო დისერტაციაც დაცული ჰქონდა მოსკოვში) და არ მინდა აღმოვჩნდე მოსკოვის წინაშე უხერხულ მდგომარეობაში – მეთქი (საბჭოთა პერიოდში რესპუბლიკურ ორგანოებსა – პარტიულ და სახელისუფლებო სტრუქტურებსა და რესპუბლიკურ-საკავშირო უწყებებში, რომლებიც უშუალოდ მოსკოვს ექვემდებარებოდნენ, სავალდებულო იყო რუსული ენის კარგად ცოდნა, ხოლო ქართული ენა შეიძლებოდა არც კი სცოდნოდა საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულებების მუშაკებს). საბოლოოდ მითხრეს, რომ ხართ ამ დარგის მეცნიერებათა კანდიდატი, სხვა შესაფერისი კანდიდატურა არ არის და დირექტორობას იმედი გვაქვს შეძლებთო. ამრიგად, გავხდი საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტიუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი.

ძალიან კარგი კონტაქტები დავამყარე მეთაურ (სათავო) ინსტიტუტთან (დირექტორმა პროფ. ანდრეი ვლადიმირის ძე

ორლოვმა ლექსიც კი მომიძღვნა – „ქართველ მეგობარს“ და მთხოვა ქართულად გვეთარგმნა გაზეთში გამოსაქვეყნებლად, რასაც ვასრულებ ლექსის თარგმანის ამ წიგნის V განყოფილებაში მოთავსებით) და მოკავშირე რესპუბლიკების ფილიალებთან. კარგი კონტაქტები გამოიხატებოდა საქმიან და მეგობრულ ურთიერთობებში კოლეგებთან მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში (ყველგან ვყოფილვარ). ჩვენს ფილიალში შექმნილი იყო კარგი პირობები შემოქმედებითი და წარმატებული მუშაობისათვის. მეცნიერ-მუშაკთა დამაგრების მიზნით მოსკოვიდან გადაირიცხებოდა სათანადო თანხები თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში მათი საცხოვრებელი ბინით უზრუნველსაყოფად. ამ გზით ბინები მიიღეს განყოფილებათა გამგეებმა. ი. ხუხუამ, ვ. ჩხიკვაძემ, უფროს მეცნიერ-თანამშრომლებმა და თანამშრომლებმა ბ. მღებრიშვილმა, ც. ცხვარიაშვილმა, ი. ბიბილეიშვილმა, ს. ხაჩატურიანმა და სხვ. ვაჭრობის სამინისტრო თანამშრომლებისათვის გამოგვიყოფდა ავეჯს, „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანებს და სხვ.

აქვე მინდა აღინიშნოს ისიც, რომ როდესაც დაიწყო ფასიანი (კომერციული) სასწავლებლების მასობრივად შექმნა ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლების ერთმა ჯგუფმა სურვილი გამოთქვა ასეთი სასწავლებლის ჩამოყალიბების თაობაზე. ჩვენს ინსტიტუტში იყო ყველა საამისო პირობა, მაგრამ მე, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილმა, ლექტორმა და მისმა დიდმა პატრიოტმა უარი ვთქვი შემდეგი მოსაზრებით: როდესაც მე დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1957 წელს, საქართველოში იყო 19 უმაღლესი სასწავლებელი კონსერვატორიისა და თეატრალური ინსტიტუტის ჩათვლით, რაც სავსებით საკმარისი იყო პატარა საქართველოსთვის და ბოლო დროს ყველა სპეციალისტის განაწილება ვერ ხერხდებოდა. ბევრმა, სამწუხაროდ, ფასიანი სასწავლებელი შექმნა როგორც შემოსავლის და მოგების მიღების წყარო (ანუ ბიზნესი) და სწორედ ასეთმა სასწავლებლებმა ფართო გასაქანი მისცა საქართველოში დამკვიდრებულ დიპლომანიას. ახალგაზრდების ნაწილმა (ზოგიერთმა მშობლებმაც კი) ფასიანი სწავლება გაიგო ისე, რომ სწავლის ქირას გა-

დაიხდი და ნიშანს დაგიწერენ. მეც ვასწავლიდი ასეთ სასწავლებელში და მისმა დეკანმა მიამბო შემდეგი: ერთ-ერთი სტუდენტის (თბილისელი ვაჟის) დედა მისულა თხოვნით, რომ ფულს ვიხდით და სამიანი დაუწერეთო (ეს იყო შეფასების ახალი სისტემის შემოღებამდე). სამწუხაროდ, ბევრ ფასიან სასწავლებელს მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდა სწავლის ქირის აღებაზე და არა სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე. რასაკვირველია, არსებობდა და არსებობს ფასიანი სასწავლებელი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისთვის. ასეთ სასწავლებელთა რიცხვს განეკუთვნება საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ), სადაც ვარ პროფესორი ყველაზე დიდი სტაჟით და კარგად ვიცნობ ამ უნივერსიტეტის მუშაობას. აქ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულთა უმეტესობას სახელმწიფო გრანტი აქვს მოპოვებული. სდასუ-ს რექტორი ბატონი თემურ ქორიძე არჩეულია (2008 წ.) ევროპის უნივერსიტეტების რექტორთა საბჭოს წევრად და დაჯილდოებულია სოკრატეს უმაღლესი საერთაშორისო ორდენით, რაც უდავოდ ამ უნივერსიტეტის დიდ აღიარებას ნიშნავს.

2006 წლამდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ლექციებს ვკითხულობდი ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ყოფილი უცხო ენების ინსტიტუტი), თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში (შემდგომ უნივერსიტეტი – თეუსუ), სდასუ-ში და თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში ძირითადად სამ საგანში: ბიზნესის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საფუძვლები, რომლებიც ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად უნდა ჩატარებულიყო კონკურსი აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში 2006 წელს. თსუ-ში გამოცხადდა კონკურსის პირობები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, რომელიც შეიქმნა ეკონომიკური პროფილის ოთხი ფაკულტეტის ბაზაზე (მე ლექციებს ვკითხულობდი ორ ფაკულტეტზე – კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე). სრული პროფესორის შტატები განისაზღვრა ახ-

ლადშექმნილი მიმართულების (კათედრის) რაოდენობის მიხედვით, რამაც განაპირობა მათი რამდენიმეჯერ შემცირება (მაგალითად, კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე ფუნქციონირებდა ოთხი კათედრა, რომლებზეც მინიმუმ ოთხი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მუშაობდა კათედრის გამგის თანამდებობაზე, რეორგანიზაციის შემდეგ ამ ფაკულტეტიდან დარჩა მხოლოდ ერთი – მარკეტინგის მიმართულება ერთი სრული პროფესორით). ამასთან ცნობილი გახდა, რომ სრული პროფესორი არ შეიძლება ყოფილიყო 65 წელზე მეტი ასაკის. ამის თაობაზე მოვახსენე თსუ პრორექტორს ეკონომიკური განათლების დარგში პროფ. ა. სილაგაძეს. დავწერე ვრცელი განცხადება ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში შექმნილ არასასურველ სიტუაციასთან დაკავშირებით მშობ-ლიური უნივერსიტეტიდან იძულებითი წასვლის შესახებ და კონკურსში მონაწილეობა მივიღე თეუსუ-ში სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (აქ ასაკი არ იყო შეზღუდული). თეუსუ-ში მანამდე ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვკითხულობდი ლექციებს საათობრივი ანაზღაურების წესით და ვიყავი (როცა მიმიწვიეს) ერთადერთი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (მაშინ ფუნქციონირებდა ინსტიტუტის სტატუსით, რომელიც შეიქმნა საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის ბაზაზე). ამრიგად, გავხდი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტისა (თეუსუ) და საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) სრული პროფესორი (მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული იყო ორ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობა). 2006-2007, 2007-2008, 2008-2009 სასწავლო წელს პირველად ქართულ ენაზე გამოვეცი (თანაავტორებთან ერთად) სახელმძღვანელოები: „ტურიზმის მარკეტინგი", „საერთაშორისო მარკეტინგი", „ტურიზმის მენეჯმენტი", „მარკეტინგის მენეჯმენტი" და 1998 წელს პირველად გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოს სრულყოფის საფუძველზე სახელმძღვანელო „მენეჯმენტის საფუძვლები" (ყველა წიგნი გამოცემულია ჩემი რედაქტორობით). ამ წლებში გამოვაქვეყნე აგრეთვე სტატიები სამეცნიერო შრომათა კრებულებსა და ჟურნალებში, სისტემატურად გამოვდიოდი მოხსენებებით კონფერენციებსა

და თეორიულ სემინარებზე. სამწუხაროდ, თეუსუ-ს ხელმძღვანელობამ 65 წელს მიღწეული პროფესორები არ დაგვიშვა 2009 წლის კონკურსში (კონკურსი ჩატარდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანამდე).[1] ამიტომ უნივერსიტეტის რექტორს ბ-ნ ა. ჩუთლაშვილს მივმართე განცხადებით (2009 წლის 12 მაისს) ჩემი დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით (საიუბილეო წელი) ემერიტუსის წოდების მონიჭების შესახებ. წერილობითი უარი მივიღე (ამ წოდების 2009 წლის სექტემბრამდე მინიჭების შეუძლებლობის (პირად საუბარში ფინანსური რესურსების უქონლობის) მოტივით.

[1] *უმაღლესი განათლების შესახებ კანონიდან პარლამენტმა ამოიღო (2009) მუხლი ასაკობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით და გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო თსუ-ში (აქ ოფიციალურად მოიხსნა ასაკობრივი შეზღუდვა) გამოცხადებულ კონკურსში (სექტემბერი, 2009) მენეჯმენტის სპეციალობით ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (სრული პროფესორის ერთადერთი ადგილი იყო გამოყოფილი). შევხვდი თსუ რექტორს პროფ. გ. ხუბუას, ვაჩუქე წიგნები – „მენეჯმენტის საფუძვლები“ (სახელმძღვანელო, 2008), „ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები“ (ერთი წლით ადრე ვაჩუქე – „ბიზნესის საფუძვლები“, „საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, როდესაც, როგორც იურისტს, ვესაუბრე „ბიზნესისა“ და „მეწარმეობის“ გამიჯვნის აუცილებლობაზე) და ვუთხარი: სამი წლის წინ ასაკის გამო იძულებული ვიყავი დამეტოვებინა უნივერსიტეტი და თუ მოიხსნა ასაკობრივი შეზღუდვა, მინდა დავბრუნდე მშობლიურ უნივერსიტეტში, სადაც ლექციებს ვკითხულობდი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში (აქ არ დავბადებულვარ თუ არა აქ გავიზარდე). მან მიპასუხა: კონკურსია და გარანტიას ვერ მოგცემთო. მე განვაცხადე, რომ გარანტიისთვის არ მოვსულვარ, მინდა იცოდეთ: არის გ. შუბლაძე, რომელმაც საქართველოში პირველად ამ უნივერსიტეტში წავიკითხე ლექციები მენეჯმენტში და აქედან გავრცელდა ეს კურსი სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც-მეთქი (სადოქტორო დისერტაციაც დაცული მაქვს ამ პრობლემაზე).*

*თსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად (კომისიის თავმჯდომარე იყო გერმანელი ციმერმანი და ერთი წევრიც გერმანელი), ერთი სრული და 5 ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე გაურკვეველი კრიტერიუმებით არჩეულ იქნა მხოლოდ 3 ასოცირებული პროფესორი (სამივე ახალგაზრდა) და ამგვარად დარჩა 3 ვაკანსია (მ. შ. ერთი სრული პროფესორის, რომელიც დღემდე არ არის არჩეული დამატებითი კონკურსის ჩატარების შემდეგაც). კონკურსანტებიდან (სულ იყო 28 კაცი) 65 წელს მიღწეული არც ერთი არ იქნა არჩეული (მათ შორის მეც). ყოველივე ამის შესახებ ერთხელ კიდევ მივმართე მინისტრს ნ. გვარამიას (იხ. ჩემი წერილი განყ. II/6), მაგრამ სამინისტროს ხელმძღვანელობიდან მივიღე პასუხად ზოგადი ხასიათის ანალოგიური წერილი.*

ამის შემდეგ რამდენიმეჯერ ემერიტუსის წოდების თაობაზე მივმართე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობას და ვესაუბრე ჩემი გასაჭირის შესახებ სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს ქ-ნ თ. ებრალიძეს, ორჯერ მეცნიერების სამმართველოს უფროსს ბ-ნ მ. ოკუჯავას (მინისტრთან და მოადგილეებთან შეხვედრა შეუძლებელი გახდა). სამინისტროში განვაცხადე, რომ ეს უწყება განათლებისა და მეცნიერების დარგში სპეციალური სამთავრობო ორგანოა და ნუთუ აქ ვერ უნდა ვიპოვო სამართალი-მეთქი. მაშინ მითხრეს განცხადებისთვის მიმეცა საჩივრის ხასიათი. ასეც მოვიქეცი და ამ სახით მივმართე სამინისტროს ხელმძღვანელობას 2009 წლის 12 ნოემბერს. საპასუხო წერილი მივიღე სამი თვისა და ერთი კვირის შემდეგ – 2010 წლის 19 თებერვალს, რომლის მთავარი შინაარსი იყო წინა წერილების ანალოგიური (65 წლის ასაკს მიღწეულ ყველა სრულ პროფესორს ენიჭება ემერიტუსის წოდება...[1]) და დამატებული იყო შემდეგი: თუ დაირღვა თქვენი კანონიერი უფლებები, უფლებამოსილი ხართ მიმართოთ სასამართლოს. სასამართლოში სარჩელის შეტანამდე დავწერე განცხადება საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ გ. გაბაშვილის სახელზე, სადაც ავღნიშნავდი სამინისტროს მიერ ჩემს საჩი-ვარზე სამი თვისა და ერთი კვირის შემდეგ ზოგადი პასუხის გაცემის შესახებ და ვთხოვდი კომიტეტის თავმჯდომარეს ჩემი მდგომარეობისა და დამსახურების გათვალისწინებით სამინისტროს მიეღო ჰუმანური გადაწყვეტილება, რომ დარ-ჩენილი წლებიც გამეტარებინა ისე ღირსეულად, როგორც 75 წელი. კომიტეტის მოკლე პასუხი, რომელზეც მითითებულია შემსრულებლის – თ. ელოშვილის ტელეფონი (28-13-55), გა-ნათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბოლო წერილის (მიმართეთ სასამართლოს) ანალოგიური შინაარსისაა (განცხადებისა და კომიტეტის პასუხის ასლები იხ. II/6 განყ-ში). პასუხის მიღებისთანავე დავურეკე ქ-ნ თამარ ელოშვილს და ვუთხარი, რომ, სამწუხაროდ, ვერ ან არ გაუგიათ ჩემი თხოვნის არსი.

[1] *იხ. სამინისტროს ერთ-ერთი პასუხი ჩემს განცხადებაზე განყ. II/6.*

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ცნობილი და უფროსი თაობის მეცნიერთა (და არა მარტო მეცნიერთა) მოსაზრებებს ანგარიშს არ უწევენ უმცროსი თაობის[1] მაღალ-ჩინოსნები[2]. მაგალითად, გადავწყვიტე შევხვედროდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბ-ნ კ. ლომაიას (მისი მამა – ბორის ლომაია სტუდენტობის დროს იყო კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომთან არსებული მომ-ხსენებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და ერთად ვეწეოდით ამ საზოგადოებრივ საქმიანობას) და მიმეწოდებინა ჩემი მოსაზრებანი საბაზრო ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული ახალი მეცნიერული დისციპლინების სწავლების, განათლე-ბისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ და ჩემი წიგნითა (მონოგრაფია – „საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2004 წ.) და სათანადო წერილით მივედი სამინისტროში. მინისტრის მდივან-თანაშემწეს ვუთხარი ჩემი ვიზიტის მიზანზე. მან შეიტანა კომპიუტერში ჩემი სათანადო მონაცემები და მითხრა დაგიკავშირდებით, როცა მინისტრი შეძლებს თქვენს მიღებასო. წიგნი (წარწერით ბ-ნ კახა ლომაიას – განათლებისა და მეცნიერების რეფორმატორს) და წერილი ჩაბარდა კანცელარიას მინისტრზე გადასაცემად. გავიდან ორი, სამი კვირა, ერთი თვე და დავრეკე სამინისტროში (ეს ის დროა, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტმა ჯანდაცვის მინისტრის ჭიპაშვილის მისამართით, რომ თქვა: მინისტრი, რომელიც ტელეფონს არ აიღებს, თანამდებობას დატოვებსო) და ვეუბნები მინისტრის თანაშემწეს: ერთი თვე გავიდა, არ მირეკავთ და მოვუხმე პრეზიდენტის გამონათქვამს. მან სიცილით მიპასუხა: ეს მინისტრ ბ-ნ კ. ლომაიას არ ეხება და იქნებ მობრძანდეთ მინისტრის პირველ მოადგილესთანო. ვუპასუხე, რომ თანახმა ვარ. ვიფიქრე, შეიძლება უკეთესიც კი იყოს შევხვდე მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ბ-ნ ალექსანდრე დიდებულიძეს. შევედი მინისტრის პირველი მოადგილის კაბინეტში და გადავეცი მინისტრის სახელზე კანცელარიაში ჩაბარებული

[1] *დასახ. გაზ. „ახალი თაობა“, გვ. 2.*

[2] დასახ. გაზ. „ახალი თაობა“, გვ. 2.

წერილის ასლი, რომელშიც ვაყენებდი საკითხებს უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში „ეკონომიკს"-ის სწავლების ალოგიკურობის, საშუალო სკოლებში „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლების" შემოღების, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ზოგადი ეკონომიკური თეორიის (ან ზოგადი ეკონომიკის) შემოღების და სწავლების შესახებ, როგორც ადრე ისწავლებოდა პოლიტიკური ეკონომია, რომე-ლიც იყო ერთადერთი ეკონომიკური დისციპლინა არაეკონო-მიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკის ორგანი-ზაციის ყველაზე რაციონალურ ფორმად მიჩნეულია საბაზრო პირნციპების საფუძველზე რეგულირებადი ეკონომიკა, ყველა მომავალი სპეციალისტი (ექიმი, ინჟინერი, აგრონომი და ა. შ.) უნდა ეუფლებოდეს ზოგად ეკონომიკურ თეორიას, რომელშიც განიხილება ზოგად ასპექტში ეკონომიკის ყველა მრავალფეროვანი პრობლემა (ეს იქნება როგორც მიკროეკონომიკის, ასევე მაკროეკონომიკის სფეროდან). მინისტრის პირველი მოადგილეს წერილის ასლთან ერთად გავაცანი ჩემი ზოგიერთი მოსაზრება რეფორმასთან დაკავშირებით, მაგრამ მან რაიმე გონივრული რეაგირება ჩემს მიერ დაყენებულ საკითხებზე ვერ გააკეთა. მხოლოდ ის თქვა, რომ უნივერსიტეტებს აქვთ მინიჭებული ავტონომია და მათ საქმიანობაში სამინისტრო არ ერევაო. მე ვუთხარი, რომ რეფორმა უნივერსიტეტებში (აკრედიტაცია და სხვ.) უნდა ჩატარდეს სამინისტროს უშუალო ხელმძღვანელობით, ხოლო საშუალო სკოლე-ბის საქმიანობაში გადამწყვეტია სამინისტროს როლი და მათ ავტონომიაზე ზედმეტია ლაპარაკი-მეთქი (მაშინ სახელმძღვანელოები მტკიცდებოდა სამინისტროს მიერ).

ყოველივე აღნიშნული, სამწუხაროდ, მიანიშნებს სახელისუფლო ორგანოების ხელმძღვანელი კადრების არაკომპეტენტურობასა[1] და პროფესიონალიზმის დაბალ დონეზე, დაგრო-

[1] *ამის მაგალითებად გამოდგება ბოლო დროს ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე სამინისტროების – განათლებისა და მეცნიერების და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების და სხვ. პირველი ხელმძღვანელების დანიშვნა. ხელისუფლებაში არაპროფესიონა-ლებისა და არაკვალიფიციური საჯარო (სახელმწიფო) მოხელეების ყოფნის შესახებ*

ვილი გამოცდილების ჯეროვნად გამოუყენებლობაზე დამოუკიდებელ საქართველოში. გასული საუკუნის 90-იან წლებამდე სამეცნიერო ხარისხების მოპოვების შემდეგ და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელად ყოფნისას საქართველოს მინისტრთა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარეს ზ. პატარი-ძეს პირადად დაურეკავს ჩემთან ბინაზე (არა სამუშაო დღეს) თხოვნით: მიმეწოდებინა წინადადებები საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასწარმოქმნისა და ფასების რეგულირების შესა-ხებ; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოად-გილემ ნ. ჭითანავამ მიმიწვია საკონსულტაციოდ საქართვე-ლოში სასურსათო პროგრამის შედგენასთან დაკავშირებით (მას წაუკითხავს ჩემი და ი. ხუხუას სტატია „მოთხოვნილება – სასურსათო პროგრამის ორიენტირი“ (ჟურნ. „ეკონომისტი“, №8, 1981); ვაჭრობის მინისტრმა ვ. თოხაძემ (მის თანაშემწეს – შ. კუჭუხიძეს მოუხსენებია ჩემი პუბლიკაციების შესახებ დარგის პრობლემებზე), როდესაც საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი, მთხოვა ჩამომეყალიბებინა სამინისტროსთან შრო-მის მეცნიერული ორგანიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ლაბორატორია სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის ბრძანების შესაბამისად და ვყოფილი-ყავი ამ ლაბორატორიის უფროსი. ვყოვილვარ სამინისტროს კოლეგიის წევრი, შემისრულებია საქართველოს სახელისუფ-ლო ორგანოების დავალებები და ა. შ. საქართველოს ეკონო-მიკურ მეცნიერებათა აკადემიის რეკომენდაციები (1995 წ.), რომლებიც წარვუდგინეთ პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯ-დომარეს და პრემიერ-მინისტრს, დატოვეს რეაგირების გარე-შე და სხვ. ასევე სათანადო რეაგირების გარეშე დატოვეს ჩემი წერილი (01.01.2009 წ.), რომელიც ჩავაბარე განათლე-ბისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრ ნიკა გვარამიას სახელზე (იხ. II განყოფილებაში). სამწუხაროდ დამოუკიდე-ბელ საქართველოში საქმიანი კონტაქტები მინისტრებთან და სხვა მაღალჩინოსნებთან შეუძლებელი გახდა.

---

*ნათქვამია ცნობილი პიროვნებების გამოსვლებში (იხ. ინტერვიუ ყოფილ ფინანსთა მინისტრთან დ. ონოფრიშვილთან, გაზ. „ახალი თაობა“, 2011, 9 თებერვალი, გვ. 4 და სხვ.).*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იძულებითი წასვლის მიუხედავად, მე მაინც ვრჩები ჩემი მშობლიური უნივერსიტეტის პატრიოტად, ვინიდან აქ ჯეროვნად დაფასდა ჩემი შრომა: დაბადებიდან 65 წლისთავთან დაკავშირებით დამაჯილდოვეს ღირსების ორდენით, 70 წლისთავთან დაკავშირებით კი – ივ. ჯავახიშვილის მედლით და, რაც ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტის რექტორატის შუამდგომლობით „ვაკ“-მა დამრთო ნება დამეცვა სადოქტორო დისერტაცია გამოქვეყნებული ნაშრომების საფუძველზე დისერტაციის დაუწერლად (მოვამზადე მხოლოდ დისერტაციის ავტორეფერატი სამეცნიერო მოხსენების ფორმით)[1], მომენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება, გავხდი უნივერსიტეტის დიდი საბჭოს და პროფესორთა საბჭოს წევრი, ვარ უნივერსიტეტის ვეტერანთა ორგანიზაციის წევრი. ყოველივე ამისთვის დიდად მადლიერი ვარ კათედრის გამგეების პროფესორების მამია ღლანიძისა და გაიოზ ნადირაშვილის, დეკანების იზოლდა ადეიშვილის და გიორგი ბაბუნაშვილის, უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს როინ მეტრეველის. თუ ბოლო მოეღება ქართული უმაღლესი სკოლის გეგმაზომიერ ნგრევას, გამოცდილ პროფესორმასწავლებელთა კადრების განდევნას, მათ ასაკობრივ დისკრიმინაციას (ამის თაობაზე მეცნიერების დოქტორების და პროფესორების ნაწილმა მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, პედაგოგთა და მეცნიერეთა პროფკავშირების პრეზიდენტს. ეს მიმართვა ღია წერილის სახით დაიბეჭდა გაზეთ „რეზონანსში“, 13 იანვარი, 2009 წელი. იხ. განყოფილება IV.), ვოცნებობ დავბრუნდე მშობლიურ უნივერსიტეტში, რაც ჯერჯერობით შეუძლებელი გახდა.

სასამართლოში სარჩელის შეტანამდე – 2009 წლის 15 დეკემბერს (ეს იყო ბოლო შეხვედრა თეუსუ რექტორთან) ბ-ნ ა. ჩუთლაშვილს მოვახსენე იმის თაობაზე, რომ სამინისტ-როში მირჩიეს განცხადებას მივცე საჩივრის ხასიათი, აგრეთვე ვესაუბრე პარლამენტის განათლების, მეცნიერე-ბისა და კულ-

---

[1] *ეს მოხდა კათედრის გამგის პროფ. მ. ღლანიძის ინიციატივით, რომელმაც მოცემული საკითხი შეათანხმა უნივერსიტეტის რექტორთან.*

ტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ გ. გაბაშ-ვილს.[1] უნი-ვერსიტეტის რექტორმა მითხრა დამეწერა განც-ხადება მის სახელზე, რომელსაც დააწერდა დეკანს ფაკულ-ტეტის საბჭო-ზე განსახილველად. განცხადება დავუტოვე რექ-ტორის მდი-ვანს, დაველაპარაკე ამის თაობაზე დეკან ბ-ნ გ. ალადაშვილს და ვთხოვე ერთ კვირაში მოეწვია საბჭოს სხდომა (არ გადა-ეტანა 2010 წ.), რომელზეც გამოვიდოდი მე თხოვნა-ინფორმა-ციით. დეკანმა მითხრა: რა უნდა გააკეთოს ფაკულტეტის საბ-ჭომ, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტილია უნივერსიტეტის აკა-დემიური საბჭოს მიერ. მე განვუცხადე, რომ რექტორმა მიი-ღო ასეთი გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, ჩემი განცხადება დარჩა ყოველგვარი რეაგირების გარეშე.

სარჩელი ემერიტუსის წოდების (სტატუსის) მონიჭების შე-სახებ შევიტანე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მოსამართლე თინათინ შა-ვერდაშვილი). სარჩელში (აგრეთვე განცხადებაში, რომელიც შევიტანე სამინისტროში) ავღნიშნე, რომ ემერიტუსის სტატუ-სის მიღების შესახებ განცხადება დავწერე იმის გამო, რომ ასაკოვანი პროფესორები არ დაგვიშვეს კონკურსში, რასაც დაადასტურებენ ასაკოვანი პროფესორები ნ. ბაგრატიონი, გ. ყუფუნია, ნ. ჯავახიშვილი, ლ. კოჭლამაზაშვილი და სხვ., რომ-ლებიც განაგრძობენ მუშაობას აკადემიურ თანამდებო-ბებზე არჩევის გარეშე (არც ერთი ასაკოვანი პროფესორი 2009 წელს არ აურჩევიათ ამ უნივერსიტეტში). სასამართლოდან გა-მოგზავნილ საპასუხო წერილში, რომელიც თავიდან ბო-ლომ-დე სიცრუეს წარმოადგენდა, უნივერსიტეტის რექტორი წერ-და, რომ გ. შუბლაძემ არ მიიღო მონაწილეობა კონკურსში (არ იყო შეზღუდვა), კანონის ახალი რედაქციით ემერიტუსის წო-დების მინიჭება შეიძლება 2009-2010 სასწავლო წლიდან და საჩივრის შეტანის ვადის გასვლის გამო შეწყდეს საქმის გან-ხილვაო. სასამართლო პროცესზე განვაცხადე, რომ უნი-ვერ-სიტეტის ხელმძღვანელობა ცრუობს და აქ გვესწრება უნივერ-სიტეტის პროფესორი გურამ ყუფუნია, რომელიც იყო საკონ-

[1] *რომელმაც მითხრა, რომ გააფრთხილეს უნივერსიტეტის რექტორები უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ კონკურსების ჩატარების თაობაზე.*

კურსო კომისის წევრი და ყოველივე ჩემს ნათქვამს დაადასტურებს-მეთქი. სამწუხაროდ, მოსამართლემ არსებითად არ განიხილა ჩემი სარჩელი და მხარი დაუჭირა უნივერ-სიტეტს. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფა-ლი პროფკავშირის (ამ პროფკავშირსაც მივმართე განცხა-დებით. იხ. II/6 განყ.-ში საპასუხო წერილი) რჩევით საქმე გადავიტანე სააპელაციო სასამართლოში. ამ პროფკავშირმა სასამართლოში ჩემი საქმეების წარმოებისათვის გამოყო ახალგაზრდა იურისტი ეკატერინე ჩარკვიანი. სააპელაციო სასამართლომაც (მოსამართლე ნანა კობახიძე) უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება (30.04.2010). ამბობენ, რომ დღეს საქართველოში სასამართლო არ არსებობს,[1] მაგრამ იმედს არ ვკარგავდი, რომ უზენაესი სასამართლო მიიღებდა სწორ გადაწყვეტილებას. უზენაეს სასამართლოდან დამირეკეს გასული წლის 11 ნოემბერს (რამდენიმე თვის შემდეგ სარჩელის შეტანიდან) და მაცნობეს, რომ გადაწყვე-ტილებას მიიღებენ სამი თვის განმავლობაში. ამასობაში ჩემთვის გახდა ცნობილი, რომ ჩემი მოპასუხე – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც საჯარო სამართლის სუბიექტი, ლიკვიდირებულია და შეუერთდა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტს. ე. ი. მისი სამართალ-მემკვიდრე გახდა უნივერსიტეტი სადაც, ვკითხულობდი ლექციებს 1962-2007 წწ. და ვარ ამ უნივერსიტეტის ვეტერანთა ორგანიზა-ციის წევრი.

გავიდა სამი თვე უზენაეს სასამართლოდან სატელეფონო შეტყობინების (ლ. ქემოკლიძე) შემდეგ და ა/წ 21 თებერვალს მივმართე საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ პ. კუბლაშვილს ყოველივე აღნიშნულის შესახებ (წერილის ასლი თან ერთვის). უზენაესი სასამართლოს განჩინება (9 თებერვალი, 2011 წ.) ფოსტის მეშვეობით მივიღე 25 თებერვალს 16$^{00}$ საათზე. ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატას: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენე-

[1] *იხ. ინტერვიუ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესთან ზ. ხატიაშვილთან, გაზ. „ახალი თაობა", 17 აგვისტო, 2010, გვ. 7.*

ბელი), მოსამართლეები – ნ. სხირტლაძე, ლ. ალექ-სიძე – დას-ჭირდა რამდენიმე თვე ჩემს „ურთულეს“ საკასაციო საჩივარზე მიეღო ასეთი მარტივი გადაწყვეტილება: „...სააპე-ლაციო სა-სამართლოში საქმე განხილულია საპროცესო დარ-ღვევების გარეშე... გიორგი შუბლაძის საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განსახილველად დაშვებაზე“. საბოლოოდ დავრწმუნ-დი, რომ საქართველოში არ არსებობს სასამართ-ლო, რო-გორც ნათქვამია ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდო-მარესთან ზ. ხატიაშვილთან ინტერვიუში (გაზ. „ახალი თაობა“, 17 აგვის-ტო, 2010, გვ. 7.). აღნიშნული განჩინების მიღებისთა-ნავე გან-ცხადებით მივმართე საქართველოს უზენაესი სასა-მართლოს თავმჯდომარეს ბ-ნ კ. კუბლაშვილს და ვთხოვე მიპასუხოს: რამდენად კანონიერად მომექცა თეუსუს რექტო-რი ბ-ნი ა. ჩუთლაშვილი და რამდენად სამართლიანია უმაღ-ლესი სკო-ლისათვის 20-მდე სახელმძღვანელოს ავტორის ცხოვრება 100 ლარიანი პენსიით (განცხადების ასლი იხ. II/6). საქართველოს უზენაეს სასამართლოდან და საქართველოს პარლამენტის იუ-რიდიულ საკითხთა კომიტეტიდან მიღებულ წე-რილებს ყოველ-გვარი კომენტარების გარეშე ვთავაზობ მკითხველებს (წერი-ლების ასლები იხ. II/6). ამ წერილებიდან[1] აშკარად ჩანს უზე-ნაესი სასამართლოსა და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის კომპეტენტურობის დონე და მათი დამოკიდებულე-ბა დამსახურებული მოქალაქეების, საერთოდ ადამიანების მიმართ. ამით ვწყვეტ საჩივარ-განცხადებების წერას (17.03.2011 წ.).

კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც მიღე-ბულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ, დაწესდა ასა-კობრივი შეზღუდვა 65 წელს მიღწეულთათვის. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაწესდა ასაკობრივი შეზღუდვა (გადაწ-ყვეტილებას ხელს აწერდნენ სკკპ ცეკას გენერალური მდი-ვა-ნი მ. გორბაჩოვი და მთავრობის თავმჯდომარე ნ. კოსი-გი-ნი), მაგრამ იგი ეხებოდა მხოლოდ ხელმძღვანელ თანამ-დე-ბობებზე მყოფ პირებს (უნივერსიტეტის რექტორი, დეკანი – 65 წ., ხოლო კათედრის გამგე – 70 წ.) და არა რიგით პროფე-

---

[1] *იხ. ძმები კუბლაშვილების უწყებებიდან მიღებული წერილები, განყ. II/6.*

სორებს. თსუ-ში დაბადებიდან 100 წლისთავი იზეიმა ცნობილმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ და მას არ შეუწყვეტავს პროფესორის მოვალეობის შესრულება. აგრეთვე შედგა ცნობილი სწავლული ეკონომისტის ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 90 წლისთავის იუბილე და მასაც არ შეუწყვეტავს პროფესორის მოვალეობის შესრულება და სხვ. სწორედ ვ. ჩანტლაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე, რომელიც ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა თამაზ გამყრელიძემ თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ რაც ხდება დღეს საქართველოში, ამას აშშ-ში ეძახიანო ასაკობრივ დისკრიმინაციას. პარლამენტმა კანონიდან ამოიღო (2009 წ.) ასაკობრივი შეზღუდვის მუხლი და ამ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება გადაეცა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობას, მაგრამ ამით მდგომარეობა არ გამოსწორდა, რაც აჩვენა შემდგომმა კონკურსებმა. კერძო სასწავლებლებმაც კი (სდასუ, სეუ და სხვ.) დაიწყეს ასაკობრივი შეზღუდვები (ზოგმა ოფიციალირად, ზოგმა კი არაოფოციალურად). 2009-2010 სასწავლო წელს მიმიწვიეს ლექციების წასაკითხად შპს თბილისის უნივერსიტეტში (რექტორი დ. ჯანგულაშვილი). I სემესტრში ვკითხულობდი ლექციებს სა-განში „ბიზნესის საფუძვლები“, ხოლო II სემესტრში უნდა წამეკითხა ლექციები საგანში „სტრატეგიული მენეჯმენტი“. შევადგინე ამ საგნის სილაბუსი და შევუდექი შესაბამისი სახელმძღვანელოს გამოცემას II სემესტრის დაწყებისათვის (1 მარტი, 2010 წ.). მაგრამ II სემესტრის დაწყებისას თბილისის უნივერსიტეტიდან შემატყობინეს, რომ ჩემს მაგივრად „ბიზნესის საფუძვლებსა“ და „სტრატეგიულ მენეჯმენტში“ მოუწვევიათ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ანუ აკადემიური დოქტორები შ. გოგიაშვილი და გ. შიხაშვილი (ჩემთან შედარებით ახალგაზრდები).

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ უნივერსიტეტების ხელმძღვანელობას არ აინტერესებს გამოცდილი და მაღალი დონის პროფესორების დასაქმება და შესაბამისად სწავლების დონის ამაღლება, ვინაიდან აკადემიურ დოქტორები გათანაბრებულები არიან მეცნიერებათა დოქტორებთან. ამავე დროს

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას აკადემიური დოქტორები უფრო აწყობთ ფინანსურადაც (მეტ მოგებას ღებულობენ).

სამწუხაროდ, ახალმა კანონმა უმაღლესი განათლების შესახებ შესაძლებლობა მისცა ისეთი დაბალი დონის ადამიანებს, როგორიცაა დ. ჯანგულაშვილი, ხელმძღვანელობდნენ სტუდენტ-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს და ამას აკე-თებდნენ როგორც პროფესორები (პროფესორთა ცვენაა).

როგორც ცნობილია, ადრე პროფესორის წოდებისა და თანამდებობის მოსაპოვებლად აუცილებელი იყო მეცნიერე-ბათა დოქტორის ხარისხი და სათანადო მეცნიერული ნაშ-რომები, რომლებსაც მხოლოდ ღირსეული მეცნიერები იმსა-ხურებდნენ. დღეს სრული პროფესორის აკადემიური თანამ-დებობის დასაკავებლად საკმარისია აკადემიური დოქტორის ხარისხი და ახალგაზრდა ასაკი, რაც, ბუნებრივია, უარყო-ფითად მოქმედებს სწავლა-განათლების დონესა და მეცნიე-რების განვითარებაზე[1] უმაღლეს სასწავლებლებში.

1957 წლის თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები სისტემატურად ავღნიშნავთ უნივერსიტეტის დამთავრების თარიღებს (ამ თარიღებთან დაკავშირებული სურათები იხ. ფოტოალბომში). პირველად პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ავღნიშნეთ 10 წლისთავი და მივიღეთ გადაწყვეტილება ყოველ ხუთ წელიწადში შეკრების შესახებ უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში, ივნისის ბოლო შაბათ დღეს 12-13 საათზე. როდესაც უნივერსიტეტის დამთავრებიდან 40 წელი შესრულდა, გადავწყვიტეთ შეხვედრები მოგვეწყო ყოველწლიურად. განსაკუთრებით აღინიშნა ნახევარ საუკუნოვანი მეგობრობა (2002 წ.), რომლის შესახებ დაიბეჭდა წერილები გაზეთებში „ახალი თაობა" (30 ივნისი) და „თბილისის უნივერსიტეტი" (7 სექტემბერი). ვთავაზობ ამ წერილებს მკითხველებს.

[1] *მეცნიერების განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ისიც, რომ მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტები დაექვემდებარა უნივერსიტეტების შესაბამის დეკანატებს და სამინისტროს ხელმძღვანელობაში არ არის არც ერთი მეცნიერებათა კანდიდატიც (აკადემიური დოქტორიც) კი. ვრცელდება ხმები კვლევითი ინსტიტუტების გაუქმებაზეც.*

## უნივერსიტეტში 45 წლის წინ კურსდამთავრებულები შეიკრიბნენ

შაბათს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღში შეიკრიბნენ 1957 წლის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები. ეს მათთვის უკვე ტრადიციაა. დასაწყისში ისინი ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ ივნისის ბოლო შაბათს, ხოლო მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის დამთავრებიდან ორმოცი წელი გავიდა, ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს. კურსზე 70 პროცენტი ფრიადოსანი სტუდენტი იყო. ამიტომ ბევრმა მათგანმა ეკონომიკის სხვადასხვა დარგში წარმატებას მიაღწია. ზოგიერთი მათაგანი უნივერსიტეტში დარჩა და ახლაც წარმატებულად აგრძელებს მოღვაწეობას. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფში ჩაირიცხა ვლადიმერ გეგია, როგორც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. 2002 წლის აპრილში მას ოთხმოცი წელი შეუსრულდა. ბატონი ვლადიმერი მრავალი ორდენითა და მედლითაა დაჯილდოვებული.

დღეს ძალიან მომრავლდნენ ისეთი სტუდენტები, რომ სწავლა არ უნდათ და ნიშნებს ისე იღებენ. მაშინ ტარდებოდა სემინარები. ეს სემინარები იყო ნამდვილი დისკუსია ამა თუ იმ ეკონომიკურ პრობლემებზე. დღეს რომ ვასწავლი უნივერსიტეტში, რა თქმა უნდა, ფრიადოსნებიც არიან, უფრო მეტია ის ნაწილი, რომლებიც ცოდნის შეძენისთვის მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ, – აღნიშნა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა **გიორგი შუბლაძემ**.

ჯგუფში ისეთი დამოკიდებულება იყო, რომ შეიქმნა ოჯახებიც. ორმოცდახუთი წლის გასვლის შემდეგაც ისინი უნივერსიტეტის აუდიტორიაში დიდი ხალისით შეიკრიბნენ და უამრავი ახალი და ძველი ამბები გაიხსენეს. შეხვედრას თან ცრემლებიც ახლდა და ნოსტალგიაც იმ წლებისა, რაც უკვე გაიარეს, მაგრამ ხალისი მაინც ახლდა თან ამ შხვედრას და ერთამანეთს გოგოს და ბიჭოს მიმართვით ახსენებდნენ სტუდენტობის დროინდელ ოინებს. რა თქმა უნდა, იხსენებდნენ მათაც, ვინც უკვე აღარაა მათ გვერდით.

უნივერსიტეტის აუდიტორიიდან 1957 წლის კურსდამთავრებულებმა რესტორანში გადაინაცვლეს.

*(გაზეთი „ახალი თაობა“, 30 ივნისი 2002 წელი)*

## ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა
## თანაკურსელების ტრადიციული შეხვედრა

მშობლიური უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1957 წლის კურსდამთავრებულები ტრადიციულად ივნისის ბოლო შაბათს პირველი კორპუსის ეზოში იკრიბებიან და ხვდებიან ერთმანეთს.

მათ მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სიყვარულმაც არ დაახანა და შეიქმნა სტუდენტური ოჯახები: ც. ქილიფთარისა და მ. ფაჩუაშვილის, ნ. ჯაფარიძისა და ვ. პარკაძის, ტ. ქართველიშვილისა და ვ. ბაქანიძის. 1957 წლის გამოშვების მნიშვნელოვანმა ნაწილმა უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. მათგან ბევრს ჰქონდა ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების სურვილი, მაგრამ ეკონომიკური პროფილის ასპირანტურაში მისაღებად დაკანონებული იყო ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. მიუხედავად ამისა, კურსდამთავრებულებიდან გარკვეულმა ნაწილმა სტაჟის მოპოვების შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში და ორმა დაიცვა სადოქტორო და შვიდმა საკანდიდატო დისერტაცია. უნივერსიტეტში სტუდენტების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად მომზადებისთვის იღწვიან პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი გ. შუბლაძე, დოცენტები ნ. ბაკურაძე, რ. მამალაძე.

პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ მერი გოდერძიშვილი – ეკონომიკის ფაკულტეტზე – 10 წელი თბილისის უნივერსიტეტის სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვისა და ანალიზის კათედრაზე, ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეცფაკულტეტზე. ლია ჯალიაშვილი – კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე...

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი მალაშხია საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1975).

კურსდამთავრებულებიდან პასუხისმგებელ თანამდებობებზე მუშაობდნენ: მურმან გედენიძე (საქართველოს ეკონომიკის მინისტრი), ზაალ გენძეხაძე (მშენბანკის მმართველი), გოჩა მგელაძე (სახალხო კონტროლის კომიტეტის მრეწველობის

განყოფილების უფროსი), თ. ბეგიაშვილი (სიღნაღის რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარე), თ. გეწაძე (ზესტაფონის რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარე)...

მათ შორის იყვნენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილენიც: ვ. გეგია, დ. ზამბახიძე და ლ. მახარაძე. პირველი მათგანი დიდხანს მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს განყოფილების უფროსად და მიენიჭა დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება. ასეთი წოდება მიენიჭა ექვს კურსდამათავრებულს. რეზო ნაცარაშვილი პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკია, მერი შოშიაშვილი კი შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი. გულიკო შოთაშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და რამდენიმე წიგნის ავტორია.

წელსაც ეკონომისტები, ტრადიციისამებრ, შეიკრიბნენ უნივერსიტეტის ვრცელ აუდიტორიაში.

საიბილეო შეხვედრას წარსული წლების ერთგვარი ნოსტალგიაც ახლდა. სინანულით გაიხსენეს აწ გარდაცვლილი მეგობრები და ის ახალგაზრდული წლები, რომელიც მათ აქ, ამ ტაძარში გაატარეს.

*(გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 7 სექტემბერი 2002 წ.).*

***

## მოკლედ ჩემი ოჯახის შესახებ

მეუღლე – მზია[1] პედაგოგია (დაამთავრა ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი),

---

[1] *ჩემს მეუღლეს დედა – თამარ ვარამაშვილი ძალიან ადრე გარდაეცვალა, მამა დავით სისაური მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. იგი გაზარდეს დედის დეიდებმა – ნინო და ეკატერინე ახმეტელაშვილებმა. ნინო ქ. ლაგოდეხში საბავშვო ბაღის გამგე იყო, ეკატერინე (კეკო) უმთავრესად ჩემს მეუღლეს უვლიდა. ნინოს ქმარი 1937 წელს ემსხვერპლა. მისი შვილი ნათელა დედის გვარზე – ახმეტელზე დაეწერა. ნათელა ჩემი მეუღლის არაბიოლოგიური, მაგრამ რეალური და იყო. იგი გათხოვდა რუს ოფიცერზე, რომელიც მსახურობდა ლაგოდეხის სამხედრო ნაწილში. ცხოვრობდნენ მოსკოვში და ნათელას ეყოლა შვილი მარინა. ნათელა ქმარს გაშორდა და მარინამ მიიღო დედის გვარი. შეძლებისდაგვარად ჩვენ ვეხმარებოდით (მარინასთვის პიანინოს ყიდვისას და სხვ.) და მარინა ჩვენთან ისვენებდა ხოლმე (იხ. ფოტოალ-ბომი). მარინას ეს ახსოვს და ბოლო დროს ჩვენ გვეხმარება (ჩემს შვილი-შვილებს უყიდა კომპიუტერი და სხვ.).*

მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის წოდება და დაჯილდოვებულია სახალხო განათლების დარგში თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობისთვის „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით. ამჟამად პენსიონერია. პენსიაზე გავიდა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საშუალო სკოლიდან, სადაც იმუშავა ოცდაშვიდი წელი. მეუღლის ნათლია იყო სახალხო არტისტის ბორის წიფურიას დედა შურა ბუღაშვილი. მეუღლესთან ერთად ცხოვრების 50 წელი შეგვისრულდა. ხელი მოვაწერეთ ოქტომბრის რაიონის მმაჩის ბიუროში მოწმეების (მეჯვარეების) გარეშე (მე ვიყავი სკკპ წევრი, ჩემი მეუღლე  კი კომკავშირელი) და ეს აღინიშნა ნათესავებისა და მეგობრების ძალიან ვიწრო წრეში. მოგვიანებით ჯვარი დავიწერეთ ქაშუეთის ეკლესიაში. 25 წლის თავზე ჩატარდა ვერცხლის ქორწილის საზეიმო რიტუალი, რომელიც ჩაიწერა თბილისის სადღესასწაულო ცენტრის „ოქროსა და ვერცხლის ქორწინების მატიანეში“, სათანადო მოწმობის[1] გაცემით (იხ. ფოტოალბომი). 50 წლისთავიც გვინდოდა აღგვენიშნა და მივმართე ვაკის მმაჩის ბიუროს. აქ მირჩიეს მიმემართა ნ. ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე ქორწინების სახლისთვის. ამ სახლის ახალგაზრდა თანამშრომლებმა ქსეროქსე გადაიღეს აღნიშნული მოწმობის და სხვა დოკუმენტების ასლები და დამპირდნენ გაარკვევდნენ საკითხს უფროსებთან, ხოლო საკითხის გარკვევის შედეგს შემატყობინებდნენ. სამწუხაროდ, დღეს ბევრი კარგი ტრადიცია მიეცა დავიწყებას. აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია ვერ მივიღე, ვინაიდან შესაბამისი დაწესებულებები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ასაკოვანი, გამოცდილი და დამსახურებული ადამიანების სათანადოდ დაფასებას.

ქალიშვილმა ლელამ დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით ინფორმატიკა ბიზნესში, მაგრამ გამოამჟღავნა რა ხატვის ნიჭი დაამთავრა აგრეთვე ი. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი (ემზადება პერსონალური გამოფენისთვის). სიძე – ზაზა ბურკაძე თსუ ქიმიის ფაკულტეტის  კურსდამთავრებულია, მესამე

[1] *მოწმობა თან ერთვის*



# მოწმობა

მიეცათ მოქალაქეებს

გიორგი შალვას ძე შუბლაძეს

და მზია დავითის ასულ შუბლაძეს

დასტურად იმისა, რომ 1984 წლის „17" ივნისს

გაიმართა მათი

## ვერცხლის ქორწილის

საზეიმო რიტუალი.

რიტუალის შესრულება ჩაიწერა თბილისის

სადღესასწაულო ცენტრის

„ოქროსა და ვერცხლის ქორწილების მატიანეში".

ვუსურვებთ მათ ბედნიერებას, სიხარულს, ერთგულებით

ალსავსე დიდი ხნის სიცოცხლეს!

ბ. ა. სადღესასწაულო ცენტრი

კურსის სტუდენტმა დაიწყო ლაბორანტად მუშაობა, რამდენიმე წელი მუშაობდა ანალიზური ქიმიის ლაბორატორიის გამგედ, დაიცვა დისერტაცია ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, მაგრამ კონკურსების შედეგად იძულებული გახდა წასულიყო უნივერსიტეტიდან (აქვს საათობრივი დატვირთვა) და მუშაობს კომპანიაში „ჯი ემ პი“ (ფარმაცევტული წარმოება). მყავს ორი შვილიშვილი: გიორგი თბილისის 126-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეა და ბექა, რომელიც III კლასშია.

მაქვს ოროთახიანი ტიპური ბინა[1], რომელიც აშენდა შრომითი მონაწილეობით და მივიღე სახელმწიფო ორდერით 1964 წელს. ავტომანქანა „ჟიგული“ შევიძინე სტუდენტების სახელმძღვანელოსთვის მიღებული ჰონორარით (ჰონორარმა შეადგინა ავტომანქანის ღირებულების 60 %) 1987 წელს. მეტი ძვირადღირებული ქონება არ გამაჩნია. მაინც კმაყოფილი ვარ, ვინაიდან ყველაფერი, რასაც მივაღწიე, არის კეთილსინ-

---

[1] *ბინის მისაღებად მიშუამდგომლა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა (წერილს ხელს აწერდა ცეკას მდივანი მაღონა მგე-ლაძე). მაშინ ვიყავი თბილისის ცენტრალური უნივერმაღის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. აშენებული სახლი (მოსაშვილის ქ. 3) ეკუთვნოდა ვაჭ-რობის სამინისტროს. აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველზე ძალიან თბილად მიმიღო ვაჭრობის მინისტრმა მიხეილ ღვინჯილიამ და მითხრა: აშენებული სახლი განაწილებულია და ვაშენებთ ახალ სახლს იქვე (მოსა-შვილის ქ. 1) შრომითი მონაწილეობით, ახალგაზრდა კაცი ხარ, სახლი იქნება ერთ წელიწადში. მინისტრმა დაპირება პირნათლად შეასრულა. თა-ვიდან იყო საუბარი ერთოთახიან ბინაზე, მაგრამ მინისტრის გადაწყვე-ტილებით, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტსა და ახალდაქორწინებულს, მომცეს ოროთახიანი ბინა (106 შრომადღის გამომუშავებითა და სათანადო ანაზღაურებით). ამის შესახებ ნათქვამია მ. ღვინჯილიაზე მოგონებების წიგნში (2011).*

*სახლში, რომელშიც ვცხოვრობ ხუთსართულიანია და ლიფტი ასეთ სახლებში არ იყო გათვალისწინებული. ჩემი ბინის გვერდით V სართულზე განთავისუფლდა ერთოთახიანი ბინა, რომელშიც საცხოვრებლად გადმოვიდა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გრიგოლ კობახიძე მეუღლესთან ერთად. მას ერთი ფეხი დაზიანებული ჰქონდა. მან ჩვენს სადარბაზოში ლიფტის გაკეთების თაობაზე განცხადებით მიმართა საქართველოს მაშინდელ მინისტრთა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარეს ოთარ ჩერქეზიას. მთავრობის თავმჯდომარემ გამონაკლისის წესით დადებითად გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი და ერთ თვეში დააყენეს ლიფტი. მაშინ ომის ვეტერანები სარგებლობდნენ დიდი პატივისცემითა და შეღავათებით.*

დისიერი და პატიოსანი შრომის შედეგი. დღეს წიგნი უნდა გამოსცე საკუთარი ხარჯებით და მერე უნდა იზრუნო მისი გასაღებისთვის. მიუხედავად ამისა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოვეცი ცხრა წიგნი, აქედან შვიდი სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის (თანაავტორობით).

აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაუზოგავი შრომის (საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვა, სახელმძღვანელოების გამოცემა და სხვ.) მიუხედავად, ერთხელაც არ ვყოფილვარ დასასვენებლად საგზურით. უნივერსიტეტში სწავლის დროს, როგორც ფრიადოსან სტუდენტს, პროფკომმა მომცა საგზური მწვანე კონცხის დასასვენებელ სახლში, მაგრამ იგი დავუთმე თბილისელ თანაკურსელს. პირველად მეუღლესთან ერთად ორი კვირით დავისვენე (დაქორწინების შემდეგ) ქ. გაგრაში და შემდეგ – ოჯახთან ერთად (ორჯერ) ქ. ქობულეთში (საგზურების გარეშე).

# II. გიორგი შუბლაძის წვლილის შესახებ ეკონომიკური მეცნიერებისა და უმაღლესი ეკონომიკური განათლების განვითარებაში[1]

## 1. პირდაპირი კავშირების არსის შესახებ

### О ПРЯМЫХ СВЯЗЯХ ТОРГОВЛИ С ПРОМЫШЛЕННОСТЬЮ В НОВЫХ УСЛОВИЯХ ХОЗЯЙСТВОВАНИЯ

В директивах XXIII съезда КПСС по пятилетнему плану развития народного хозяйства СССР на 1966-1970 гг. сказано: "Работникам предприятий, производящих товары народного потребления, своевременно принимать меры к расширению ассортимента и повышению качества этих товаров исходя из спроса населения и заказов торгующих организаций". Такова та важная народнохозяйственная задача, решению которой препятствовала ранее существенная система планирования производства и сбыта товаров, когда основным показателем деятельности производственных предприятий считался "вал". Система заказов, введенная еще в 30-х годах, была излишне централизована, и промышленность не учитывала заказы торгующих организаций при выпуске товаров (фактически заказы остались заявками). Производство товаров планировалось исходя из имеющегося у промышленности сырья и с учетом выгодности для предприятия их ассортимента. Промышленные предприятия не были заинтересованы в выпуске менее рентабельных, но пользующихся спросом населения товаров, в результате чего создалось ненормальное положение: в магазинах и на складах накапливалась неходовая продукция в виде сверхнормативных остатков, тогда как население не могло приобрести нужные ему товары.

---

1 *ამ განყოფილებაში შეტანილია მხოლოდ პირდაპირი კავშირების, ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) არსთან და დეფინიციასთან, შესაბამისი ახალი დისციპლინების სწავლებასთან და ტერმინებთან დაკავშირებული სტატიები.*

В настоящее время, когда значительно расширена оперативно-хозяйственная самостоятельность промышленных предприятий и для оценки их деятельности установлен показатель объема реализованной продукции, заводы, фабрики, объединения, выпускающие изделия, не пользующиеся спросом у покупателей, будут испытывать затруднения в их продаже и, следовательно, не смогут выполнять план, от чего зависят заработная плата, премии, стимулирующие работу коллектива предприятий. В таких условиях возникла новая форма взаимоотношений между промышленностью и торговлей - прямые связи, на необходимость расширения которых указано в Положении о социалистическом государственном производственном предприятии.

В литературе и на практике прямые связи трактуются поразному. В основном распространено упрощенное представление, согласно которому проблема прямых связей сводится к наличию или отсутствию посредников в виде торговосбытовых организаций и предприятий между производителями (промышленными предприятиями) и покупателями (торговыми организациями и предприятиями). Стало быть, напрашивается вывод, что неувязка во взаимоотношениях между промышленностью и торговлей целиком вызвана участием "лишнего" оптового звена. Так, С. Григорьев предлагает следующее определение прямых связей: "Это такие хозяйственные взаимоотношения между фабрикой, заводом, с одной стороны, и магазином, торгом - с другой, в которых не участвует посредник - оптовое звено"[1]. При этом многие под прямыми связями понимают лишь договорные связи отдельных магазинов (торгов) с фабриками. Например, Н. Ратушнов подчеркивает: "По нашему мнению, только договор магазин-фабрика, фабрикаторг есть прямая связь между производством и торговлей"[2]. Некоторые авторы при определении прямых связей исходят из направления движения товаров. Так, А. Лопушанский пишет: "...Под прямыми

[1] *"Советская торговля" №8, 1966 г., стр. 8.*
[2] *"Советская торговля" №8, 1965 г., стр. 14.*

связями надо понимать движение товаров по схеме: фабрика-магазин (торг, сельпо)"[1]. Таким образом, когда говорят о прямых связях торговли с промышленностью, торговлю ограничивают только розничным звеном и исключают оптовые базы - основных контрагентов промышленных предприятий, что, на наш взгляд, необоснованно.

Как известно, с утверждением Положения о поставках товаров народного потребления единственной формой договорных связей между промышленностью и торговлей стали прямые договоры (генеральные и локальные договоры были отменены)[2].

Прямыми договорами связываются с промышленными предприятиями как магазины и торги, так и оптовые базы, однако ни в первом, ни во втором случае прямые связи не имели места. В обоих случаях экономическое содержание взаимоотношений между сторонами ничем не отличается в отношении поставок нужных товаров (на основе заказов торговли). Следовательно, неправильно и непосредственные договорные связи магазинов с фабриками, а также движение товаров по схеме фабрика-магазин и тем более транзитную форму завода товаров называть прямыми связями. Такие договорные связи и "выпрямление" путей движения товаров начали практиковаться несколько лет назад, но прямых связей тогда не существовало. Например, во взаимоотношениях Тбилисского центрального универмага со швейными фабриками, по существу, ничего не изменилось после того, как универмаг начал заключать договоры непосредственно со всеми швейными фабриками республики (до 1964 г. действовал договор с республиканской оптовой базой "Грузторгодежда"), так как он продолжал получать швейные изделия в ассортименте, соответствующем произ-

---

[1] *"Советская торговля" №2, 1966 г., стр. 23.*

[2] *В новом Положении о поставках товаров народного потребления правильно говорится просто о договорах поставки, так как при одном виде договора лишним становится слово `прямой~, которое создоло у многох авторов мнение о наличии якобы другого вида договора.*

водственным программам швейных фабрик, согласно нарядам оптовой базы.

Некоторые экономисты новую форму взаимоотношений торговли с промышленностью считают "разновидностью договорных связей", но называют ее "прямым договором по заказам торговли". При этом они имеют в виду заказы только розничной торговли.

В чем же сущность прямых связей и как они устанавливаются? Прямые связи, на наш взгляд, представляют собой хозяйственных взаимоотношений производственных и торговых (сбытовых) предприятий (обьединений), организаций, а также предприятий-производителей и предприятий-потребителей, когда планирование выпуска продукции (выполнение работы) и ее реализация (ввод в эксплуатацию) производится непосредственно по заказам покупателей (потребителей)[1]. При прямых связях взаимоотношения между промышленностью и торговлей складываются следующим образом: составляется план производства товаров, ассортимент выпускаемых изделий формируется на основе заказов торговли (как розничной, так и оптовой); в заказах предусматривается производство изделий по подробным, развернутым признакам (фасон, модель, количество, размеры, расцветка и т.д.) и поставка их поквартально и по месяцам. Следовательно, план производства товаров находится в прямой зависимости от заказов торговли.

Такие взаимоотношения между промышленностью и торговлей устанавливаются в результате правильного сочетания централизованного планирования с широкой инициативой предприятий (работающих на полном хозрасчете), отказа от таких методов планирования и руководства промышленностью, страдающих чрезмерной регламентацией

---

[1] *По прямым связям можно организовать производство как товаров народного потребления и средств производства, так и заготовку сельскохозяйственных продуктов. Нами рассматриваются прямые связи торговли с промышленностью, производящей товары народного потребления.*

сверху множества показателей промышленным предприятиям. В условиях, когда деятельность предприятий оценивалась по валовой продукции, заказы торговли не могли стать реальной основой плана производства даже при желании самих промышленных предприятий и при любой структуре договорных связей, несмотря на то, что были приняты важные решения по этому вопросу. Таким образом, прямые связи (заказы торговли-планы производства) органически взаимосвязаны с новым методом планирования производства, а именно с установлением показателя обьема реалиизованной продукции, основывающегося на заказах торговли (потребителей).

А. Н. Косыгин еще на пятой сессии Верховного Совета СССР шестого созыва (1964 г.) указывал: "Переход на такой порядок планирования, несомненно, будет являться продвижением вперед, так как планирование, опирающееся на заказы, становится более коикретным, теснее увязывается с потребностями хозяйства и населения"[1].

Новый порядок планирования и реализации продукции применялся в 1964 г. и последующие годы в объединениях швейной промышленности "Большевичка" (Москва) и "Маяк" (г. Горький). Объединения на основе заказов, полученных за 5-6 месяцев до начала года от прикрепленных к ним по прямым связям торговых предприятий, сами определяли объем производства продукции и другие показатели.

Следовательно, лишь благодаря новому порядку планирования стало возможным точно увязывать планы производства и заказы торговли, то есть устанавливать прямые связи.

Таким образом, сущность прямых связей состоит в том, что они являются эффективной формой воздействия торговли на производство товаров народного потребления, сбалансирования спроса и предложения по структуре това-

---

[1] *А. Н. Косыгин. О государственном плане развития народного хозяйства СССР на 1965 год. Политиздат, 1964 г., стр. 42.*

ров на том этапе согласования заказов, когда товары еще не изготовлены и необходимые средства не израсходованы.

С учетом звеньев торговли существуют два вида прямых связей: "магазин (торг)-фабрика (объединение)" и "оптовая база-фабрика". Это исключает в ряде случаев прикрепление к промышленным предприятиям мелких и средних многих магазинов, что только мешает усилению прямых связей.

Перевод промышленного предприятия на прямые связи с торговой означает, что производство и поставка товаров осуществляются по заказам торгующих организаций и предприятий.

По Грузинской ССР, например, на прямые связи со второго полугодия 1965 г. переведены только тбилисские швейные фабрики №6, №7 и кутаисская швейная фабрика №4. К тбилисским фабрикам были прикреплены торговые предприятия: Центральный универмаг, второй универмаг, универмаг "Детский мир", специализированный торг "Тбилторгодежда" и его магазины №1, №8 и №30 (с переводом их на полный хозрасчет), а к кутаисской фабрике "Кутаиспромторг" - его универмаг, "Тбилторгодежда", тбилисские универмаги. Следовательно, из общей продукции указанных фабрик на долю прямых связей приходится незначительная часть, превышающая 15%. В таких условиях прямые связи носят формальный характер и принципы работы швейных фабрик, переведенных и не переведенных на прямые связи, фактически одинаковы. При этом нередко магазины, работающие по прямым связям, снабжаются лучшим ассортиментом товаров в ущерб другим магазинам, что нельзя считать правомерным, так как это умаляет значение прямых связей. Следует подчеркнуть, что заказы торговли не стали еще действенной основой производства, поскольку на прямые связи не переведена такая крупная оптовая база, как "Грузторгодежда".

Успешное осуществление прямых связей требует практического решения ряда вопросов. На прямые связи с фабриками и заводами должны переводиться только крупные специализированные магазины, универмаги, торги, орсы,

урсы, райпотребсоюзы и оптовые базы, которые могут воздействовать на производство. Перевод средних и мелких магазинов на прямые связи нецелесообразен по следующим соображениям: во-первых, они не могут оказывать существенное влияние на производство; во-вторых, выполнение мелких заказов фактически превращает фабрику в своего рода ателье. Кроме того, прикрепление к фабрикам многих магазинов вызовет увеличение складского хозяйства и раздувание аппарата сбыта.

В связи с этим возникает вопрос: обоснованным ли был перевод на прямые связи некоторых магазинов, торгующих почти всеми видами швейных изделий и трикотажа? На наш взгляд, нет. Ассортимент швейных изделий отличается большой сложностью и разнообразием. По расчету специалистов , для того, чтобы в магазине были все виды швейных изделий соответствующих ростов, размеров, расцветок, нужно иметь 4 тыс. костюмов; при этом площадь торгового зала должна составлять 600 кв. м. Тбилисская швейная фабрика №1 предложила на 1969 г. около 35 фасонов только женских пальто из свыше 30 артикулов тканей. В мелких и средних магазинах наряду с трикотажем, импортными швейными изделиями нет возможности выставлять даже 50% ассортимента щвейных фабрик республики.

Таким образом, перевод на прямые связи самого торга "Тбилторгодежда" вполне оправдан, но перевод на такие же связи его средних и мелких магазинов не целесообразен[1].

Основным препятствием для осуществления прямых связей является отсутствие цепочки таких связей. Одновременно со швейными фабриками необходимо перевести на прямые связи и поставщиков - производителей тканей, фурнитуры и другого сырья.

Не вызовет ли расширение прямых связей вида "магазин-фабрика" уменьшение роли оптового звена, как это пола-

---

[1] *Кроме того, если торг имеет прямые связи с промышленностью, то перевод его отдельных магазинов на такие связи, по существу, ничего не меняет. Наоборот, экономически оправдано к промышленным предприятиям прикреплять минимальное количество крупных заказчиков.*

гают некоторые экономисты? Наоборот. Значение оптовой торговли особенно возрастает в нынешних условиях, когда управление промышленностью организовано по отраслевому приципу. Правильное маневрирование товарными ресурсами в масштабе всей страны ставит вопрос о создании единой государственной оптовой торговли .

Расширение прямых связей вида "магазин-фабрика" имеет свои пределы. Они позволят, по нашим расчетам, реализовать максимум 20-25% выпускаемой продукции легкой промышленности.

Как уже было сказано, на прямые связи с промышленностью следует перевести только крупные магазины, между тем подавляющее большинство магазинов - это мелкие единицы, причем лишь незначительное количество их находится на полном хозрасчете. Таким магазинам труднее, чем оптовым базам и специализированным торгам, квалифицированно составлять заказы с учетом разных факторов спроса.

Для средних и мелких магазинов заказы на производство товаров промышленным предприятиям должны давать специализированные торги и оптовые базы, организуя и кольцевой завоз товаров в магазины. Тем самым будет обеспечен перевод промышленных предприятий на прямые связи всего их объема производства и достигнута рационализация прямых связей.

Таким образом, для большинства магазинов необходимы прямые связи вида "оптовая база-фабрика". Оптовое звено как крупный заказчик призвано связать районы производства и потребления, создавать широкий ассортимент товаров при тенденции дальнейшей специализации производства, осуществлять подсортировку, хранить сезонные запасы, разгружать розничную сеть от излишних товарных запасов и т.д.

Промышленные предприятия, безусловно, нуждаются в прямых связях с оптовыми базами особенно тогда, когда значительная часть их продукции реализуется за пределами республики (области, экономического района). Нам пред-

ставляется, что не исключена возможность установления прямых связей между крупными торговыми и промышленными предприятиями разных экономических районов, союзных республик. Крупные розничные торговые организации и предприятия будут лучше способствовать формированию плана производства отдельных производственных предприятий других экономических районов, максимально учитывать особенности спроса населения в своем районе.

Практика доказала необходимость выполнения базами координирующей роли при согласовании заказов между магазинами (торгами) и промышленными предприятиями. При существующем порядке фондирования товаров оптовые базы по согласованию с республиканскими министерствами торговли должны определять суммарные лимиты торгующим организациям и предприятиям, переведенным на прямые связи, для составления заказов по конкретным поставщикам. Как было отмечено, оптовые базы со своей стороны заказы должны давать промышленным предприятиям с учетом заказов магазинов и торгов, переведенных на прямые связи с промышленностью (копии заказов посылаются базе), и межреспубликанских поставок.

В нашей стране начиная с 1960 г. регулярно производится организованная закупка товаров народного потребления по образцам торговыми организациями и предприятиями у промышленности на предстоящий год. Для этой цели специально устраиваются межреспубликанские, республиканские и межобластные ярмарки. На ярмарках торговые организации (предприятия) согласуют заказы непосредственно с промышленными предприятиями на производство товаров по видам, моделям, фасонам, размерам, расцветкам и пр. Такие ярмарки являются одной из важнейших форм прямых связей торговли с промышленностью. Сушествует и другой вид ярмарок - по реализации товарных излишков, не находящих сбыта на месте. Эти ярмарки служат целям перераспределения товарных излишков, не соответствующих местному спросу, в основном между розничными торговыми организациями (предприятиями) разных

экономических районов, областей страны. Организаторами таких ярмарок выступают торговые посреднические конторы, и продажа носит характер торговых сделок.

Следовательно, в первом случае решается вопрос о производстве товаров (формировании производственного плана), тогда как во втором случае осуществляется продажа (торговля) уже произведенных товаров. В экономической и правовой литературе, к сожалению, не проводятся различия между обоими видами ярмарок, хотя эти различия несомненны и глубоки.

Надо подчеркнуть, что система прямых связей нужна в первую очередь для торговли товарами, производящимися в достаточном количестве и подвергающимися влиянию моды и других факторов. Согласование заказов с промышленными предприятиями и проведение оптово-производственных ярмарок, как правило, должны предшествовать утверждению народнохозяйственного плана с тем, чтобы, согласно постановлению ЦК КПСС и Совета Министров СССР от 4 октября 1965 г. "О совершенствовании планирования и усилении экономического стимулирования промышленного производства", промышленные предприятия имели возможность своевременно формировать "портфель заказов".

*(Журнал "Вопросы экономики" №12, 1969)*

## 2. ბიზნესის შესახებ

### ბიზნესის არსისა და მისი დეფინიციის შესახებ

საბაზრო ეკონომიკა ემყარება ორ ფუნდამენტს: ბიზნესის თავისუფლებასა და კონკურენციას.

მარკეტინგი აღიარებულია ბიზნესის ფილოსოფიად, ხოლო მენეჯმენტი – ბიზნესის მართვის ფილოსოფიად. ამიტომ საწარმოში (ფირმაში) მარკეტინგისა და მენეჯმენტის როლის მართებული გარკვევისა და მათი ეფექტიანობის ამაღლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის არსის ჯეროვნად გაშუქებას.

თანამედროვე პირობებში ბიზნესი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ორგანული ნაწილია, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონით წარმოდგენილია ბიზნესი (კერძო სექტორი), რომელიც აიკრძალა სსრ კავშირში გასული საუკუნის 30-იან წლებში. საბჭოური სისტემის ბატონობის პერიოდში ბიზნესი მიჩნეული იყო მეურნეობრიობის წმინდა კაპიტალისტურ ფორმად და იგი აღიქმებოდა, როგორც ჩარჩული (ვაჭრული) საქმიანობა, რომელიც ემყარება სხვისი შრომის შედეგების მითვისებას, მოტყუებას და ა. შ. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის (გეგმიანი ეკონომიკის) პირობებში დომინირებდა სახელმწიფოებრივი სექტორი, ე. ი. თითქმის ყველა საწარმო ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა და ა. შ.) განეკუთვნებოდა სახელმწიფოებრივ სექტორს.

მსოფლიო ცივილიზაცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაცია არის ყველაზე რაციონალური და ოპტიმალური. ბაზარი აიძულებს მწარმოებლებს აწარმოონ მხოლოდ ისეთი საქონელი, რომელზეც დიდია მომხმარებელთა მოთხოვნა და კარგად გაიყიდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გაკოტრდებიან.[1] ამიტომ ბიზნესი განვითარებული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის განვითარების მაგისტრალურ გზას წარმოადგენს [3, 9].

აღნიშნულიდან გამომდინარე ე. წ. გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის აღორძინება წარმოუდგენელია ბიზნესის განვითარების გარეშე, რომლის საუკეთესო ნაწილია მეწარმეობა.

ბიზნესისა და მეწარმეობის შესახებ საქართველოში ჯერჯერობით არასწორი, დამახინჯებული, ზოგჯერ კი პრიმიტიული წარმოდგენა არსებობს. კერძოდ, ავტორთა მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ ბიზნესი ვაჭრობაა, ხოლო მეწარმეობა წარმოებაა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ

---

[1] *საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია ტერმინ „ნეკროეკონომიკის" გამოყენება, რადგან ნებისმიერი საწარმო ვერ გამოუშვებს ისეთ პროდუქციას, რომელსაც მყიდველი (მომხმარებელი) არ ექოლება და არ გაიყიდება ან ზარალს მოუტანს მას.*

ბევრ შემთხვევაში ჩვენთან ბიზნესი გაიშალა ძირითადად ვაჭრობის, მომსახურების (მ. შ. საფინანსო-საბანკო მომსახურების) სფეროებში და არა წარმოების სფეროში. იქმნება წარმოდგენა ბიზნესის არაპროდუქტიულობის თაობაზე, როგორც ყიდვა-გაყიდვის საქმიანობა იოლი გამდიდრების მიზნით. ავტორთა უმრავლესობა[1] კი ერთმანეთთან აიგივებს ბიზნესსა და მეწარმეობას (სამეწარმეო საქმიანობას), ბიზნესმენსა და მეწარმეს. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ ქართულ იურდიულ და ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნებები „ბიზნესი" და „მეწარმეობა" („სამეწარმეო საქმიანობა"), „ბიზნესმენი" და „მეწარმე" ჯეროვნად არ არის გარკვეული, გამიჯნული ერთმანეთისაგან და მიღწეული სწორი დეფინიციები. ხშირია შემთხვევები, როცა საქართველოში მეწარმეობა ასოცირდება წარმოებასთან, ხოლო მეწარმე – მწარმოებელთან.

საქმე ის არის, რომ ქართველი სამართალმცოდნეები (იურისტები) ყველაზე მეტად თანამშრომლობენ გერმანელ იურისტებთან, რომლებიც იყენებენ მხოლოდ „მეწარმეობას". საერთოდ გერმანელები უპირატესობას ანიჭებენ ერთი ტერმინის გამოყენებას. მაგალითად, იყენებენ „მეურნეობას", „მეურნეობრივს" ანუ „სამეურნეოს" და არა „ეკონომიკას", „ეკონომიკურს". ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ" მიღებულია ქართველი და გერმანელი იურისტების ერთობრივი მუშაობის შედეგად. ამიტომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, ნორმატიულ აქტებში, სახელმწიფო სტატისტიკის მასალებში და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში საერთოდ არ მოიხსენიება „ბიზნესი", „ბიზნესმენი" და გამოიყენება „მეწარმეობა" („სამეწარმეო საქმი-

---

[1] *როგორც რუსეთის ფედერაციაში, სადაც უპირატესობას ანიჭებენ მეწარმეობას (იხ. სახელმძღვანელო, რომელიც რეკომენდებულია რუსეთის ფედერაციის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ – ნ. ი. კრუგლოვა „ბიზნესის (მეწარმეობის) საფუძვლები" (მოსკოვი, 2010, რუსულ ენაზე), რომლის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ სტუდენტების, ასპირანტებისა და მასწავლებლებთან ერთად განკუთნილია* ***მეწარმეებისათვის, საწარმოთა ხელმძღვანელებისათვის, მენეჯერებისა და სპეციალისტებისათვის*** *(ხაზგასმა ჩვენია).*

ანობა"), „მეწარმე", რაც მოკლებულია სათანადო ლოგიკურ საფუძველს.

ბიზნესი (ინგლ. – საქმე) არის სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობა და საქმიანი ურთიერთობა (და არა საქმოსნობა როგორც ხშირად ამბობენ) მის მონაწილეებს შორის, რომელთა მიზანია მოგების (შემოსავლის) მიღება. მოგება კი მიიღწევა მომხმარებლებისათვის საჭირო პროდუქციისა და მომსახურების შექმნისა და მრავალფეროვან საქონელსა და მომსახურებაზე მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების შედეგად [1. 4].

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი საქმიანობა არ შეიძლება ჩითვალოს ბიზნესად. მაგალითად, ეკონომიკური პროდუქტის შექმნა ჯერ კიდევ არ არის ბიზნესი. საქმიანობა წარმოადგენს ბიზნესს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიზანია მოგების, შემოსავლის მიღება. წარმოება ხდება ბიზნესი, როცა მწარმოებელი არა მარტო აწარმოებს პროდუქციას (ვთქვათ, შინ მოხმარებისათვის), არამედ შედის ეკონომიკურ ურთიერთობებში მყიდველთან (მომხმარებელთან) წარმოებული საქონლის (მომსახურების) ხელსაყრელად გაყიდვის, რეალიზაციის, გაცვლისათვის.

მაშასადამე, ბიზნესი მრავალწახნაგოვანი ცნებაა და მისი ძირითადი სფეროა წარმოება (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა. შ.). იგი წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც ხორციელდება კერძო პირების, საწარმოების (ფირმების, კომპანიების) მიერ ბუნებრივი დოვლათის მოპოვების, საქონლის წარმოების, შეძენის, გაყიდვის ან სხვა საქონელზე ან ფულზე გაცვლისათვის, რაც იწვევს დაინტერესებული პირების და ფირმების ურთიერთსარგებლობას. ამასთან, აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ბიზნესი ემყარება წარმოების ფაქტორებზე (მიწა, შრომა, კაპიტალი) კერძო საკუთრებას.[1] თუ საქმეში მონაწილე ერთი მხარე ღებულობს მოგებას მეორე მხარის ზარალის ხარჯზე, ეს ბიზნესი არ არის, არამედ უბრალოდ მოტყუებაა [2; 3, 12].

---

[1] *ამიტომ კერძო ბიზნესი ნონსენსია.*

ბიზნესმენი (ინგლ. – საქმის კაცი, საქმიანი ადამიანი და არა საქმოსანი) არის პიროვნება, რომელიც ეწევა ბიზნესს. იგი ქონების, კაპიტალის მფლობელია, ე. ი. მესაკუთრეა (ფირმის დამფუძნებელი და პატრონია). ბიზნესის განსაკუთრებული შემთხვევაა მეწარმეობა (სამეწარმეო საქმიანობა). იგი უშუალო კავშირშია მეწარმის პიროვნებასთან, რომელიც ახორციელებს ბიზნესს მოგების მიღების მიზნით საკუთარი სახსრებისა და პირადი რისკის საფუძველზე.

ცნება „მეწარმე" სამეცნიერო ტერმინოლოგიაში შემოიტანეს ფრანგმა ეკონომისტებმა XVIII საუკუნის დასაწყისში. მათი აზრით მეწარმე იყო ადამიანი შემოსავლების სხვადასხვა წყაროებით: გლეხი, ხელოსანი, ვაჭარი და ა. შ., რომლებიც იძენენ რა სხვის საქონელს, უმთავრესად წარმოების საშუალებებს არსებული ფასით, იმედი აქვთ გაყიდიან თავიანთ საქონელს უფრო მეტ ფასში.

ი. შუმპეტერის მიხედვით, მეწარმის საქმიანობა (მეწარმეობა) „ახალი კომბინაციების" განხორციელებაა, რომელთა შორის ძირითადია: ახალი, მომხმარებლისათვის უცნობი დოვლათის (პროდუქტის) დამზადება, წარმოების (ტექნოლოგიების) ახალი წესების აღმოჩენა და უკვე არსებული დოვლათის კომერციული გამოყენება, გასაღების ახალი ბაზრების ათვისება, ნედლეულის ახალი წყაროების გამოყენება, დარგის სტრუქტურის შექმნა [4. 153]. ი. შუმპეტერს მიაწერენ მეწარმეობის მეოთხე ფაქტორად აღიარებას. ბუნებრივია წარმოების მეოთხე ფაქტორად უნდა ვიგულისხმოთ არა მეწარმეობა, როგორც სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობა, არამედ მეწარმული (სამეწარმეო) უნარი.

ამერიკელი ავტორები რ. ხიზრიჩი და მ. პიტერსი მეწარმეობას უკავშირებენ საკუთარი საქმის დაწყებას (მათი წიგნის სახელწოდებაც ასეთია) და რაიმე ახლის შექმნას, გვთავაზობენ რა მოკლე განსაზღვრას: მეწარმეობა რაიმე ახლის შექმნის პროცესია, რომელსაც გააჩნია ღირებულება [5. 20].

მაშასადამე, როგორც ბიზნესი, ასევე მეწარმეობა მრავალფეროვანი კერძო საქმიანობაა (წარმოება, ვაჭრობა, დაზღვევა და სხვ.) და თავისი არსით ორივე მოგების მიღებაზეა გამიზნული, რის გამოც რიგ ქვეყნებსა (რუსეთის ფედერაცია და

სხვ.) და ლიტერატურაში ეს ცნებები ერთმანეთთანაა გაიგივებული (გამოიყენება როგორც სინონიმები). დასავლეთში ბიზნესს ყოფენ ოთხ კატეგორიად: წვრილი (საოჯახო), მცირე, საშუალო და მსხვილი (დიდი) ბიზნესი. ხშირად მეწარმეობას მიიჩნევენ ახალი საქმის წამოწყებად და მიაკუთვნებენ მას წვრილ და მცირე ბიზნესს. ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებთან (ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი) ერთად ცნობილია მსხვილი და წვრილი, მცირე ბიზნესის შეხამების ჰიბრიდული ორგანიზაციული ფორმა – ფრენშაიზინგი[1] (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლები 607-609).

მართალია, ბიზნესიც და მეწარმეობაც მოგებაზე გამიზნული საქმიანობაა, მაგრამ ამ ცნებებს შორის არის განსხვავებაც, რის გამოც არ შეიძლება მათი გაიგივება, სინონიმებად გამოიყენება და მით უმეტეს ცნება „ბიზნესის" შეცვლა „მეწარმეობით". ჩვენი აზრით, ამასთან დაკავშირებით ყველაზე მართებული პოზიცია უკავია მენეჯმენტის თეორიაში ცნობილ ამერიკელ პროფესორს პიტერ დრუკერს. იგი აღნიშნავს, რომ ყოველი წვრილი ბიზნესი არ არის სამეწარმეო საქმიანობა, ანუ არ წარმოადგენს მეწარმეობას. მას მოაქვს ასეთი მაგალითი: ცოლ-ქმარი, რომლებიც ხსნიან გასტრონომიულ მაღაზიას ან მექსიკურ რესტორანს, განსაზღვრულ რისკს ეწევიან, მაგრამ ისინი აკეთებენ იმას, რაც კეთდებოდა ადრე და არ ქმნიან ახალ სამომხმარებლო მოთხოვნას, მის დაკმაყოფილების ახალ წყაროს. ამიტომ ისინი რისკის გაწევის მიუხედავად, არ არიან მეწარმეები. ამავე დროს, „მაკდონალდსის" რესტორნების ქსელის ორგანიზაცია წარმოადგენს წმინდა მეწარმეობას. „მაკდონალდსის" კომპანიამ იხელმძღვანელა მენეჯმენტის პრინციპებითა და მეთოდებით („რას აფასებს კლიენტი?"), მოახდინა „პროდუქტის" სტანდარტიზება, დაამუშავა სათანადო

[1] *და არა ფრანჩაიზინგი, რომელიც ხშირად გამოიყენება ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში.*

ტექნოლოგიური პროცესი და გამოიყენა ახალი ინსტრუმენტები პერსონალის შესაბამისი მომზადებით, შეძლო მკვეთრად აემაღლებინა კაპიტალდაბანდების უკუგება, შექმნა ახალი ბაზარი და ახალი მომხმარებელი [6. 31].

ამრიგად, საქმიანობის მასშტაბი (მოცულობა) არ არის განმსაზღვრელი ნიშანი. არსებითია ისიც, რომ მეწარმეობა გულისხხობს ბიზნესის ახლებურად წარმართვას, რომ შეიქმნას ახალი ბაზარი და ახალი მომხმარებელი. ე. ი. მეწარმეობა ინოვაციური ბიზნესია. პ. დრუკერი მეწარმეობად მიიჩნევს ამერიკული კომპანია „ჯენერალ ელექტრიკის" საქმიანობას, რომელიც შეიქმნა 100 წლის წინათ, ბრიტანული საცალო სავაჭრო კომპანია „მარქს ენდ სპენსერის" საქმიანობას, რომელიც გამოირჩევა დასავლეთ ევროპაში ბოლო 50 წლის მანძილზე ნოვატორობით და სხვ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეობა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობაა. მართლზომიერად იგულისხმება ისეთი საქმიანობა, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედი სამართლის ნორმებს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ისეთი საქმიანობა, რომელიც ან პირდაპირ არ არის აკრძალული კანონით (მაგალითად, ნარკოტიკების წარმოება – გასაღება), ან საქმიანობისათვის საჭიროა სახელმწიფოს ნებართვა (აზარტული თამაშების ორგანიზაცია და სხვ.). არამართლზომიერად შეიძლება ჩაითვალოს საქმიანობა, რომელიც არაეთიკურ, ამორალურ ქმედებად შეიძლება იქნეს მიჩნეული (მაგალითად, გასული საუკუნის 30-იანი წლების გერმანიის სასამართლოები ბორდელების მშენებლობას ამორალურ საქმიანობად მიიჩნევდნენ და ამ მოტივით ეს საქმიანობა არამართლზომიერად ითვლებოდა).

კანონსაწინააღმდეგო ბიზნესი კი ამა თუ იმ სახით ვლინდება თითქმის ყველა ქვეყანაში, ასევე კრიმინალური ბიზნესიც, რომელიც ითვლება მავნე ნარჩენად. აქვე უნდა ითქვას ცნობილი ფინანსისტისა და ბიზნესმენის ჯ. სოროსის ერთ-ერთი დასკვნის შესახებაც: „ცხოვრებასა და ბიზნესში წარმატებისათვის არ არის სავალდებულო მორალური მოთხოვნების დაცვა. უფრო პირიქით, მათ შეუძლიათ ხელის შეშლა" [7, 64]. არაერთჯერადობა ნიშნავს იმას, რომ მოქმედებები უნდა

ხორციელდებოდეს სისტემატურად და გეგმაზომიერად. ე. ი. მეწარმეობა ბიზნესისაგან განსხვავებით, არის სისტემატური, პერიოდული (სეზონური), უწყვეტი საქმიანობა. მაშინ, როცა ბიზნესი აღნიშნულთან ერთად მოიცავს ერთჯერად კომერციულ გარიგებებსაც (ბიზნეს – ოპერაციებსაც). ამიტომ ბიზნესი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მეწარმეობა და იგი მოიცავს ამ უკანასკნელსაც.

ბიზნესმენისაგან განსხვავებით, რომელიც ქირაობს საკუთარი ფირმისათვის სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებს (ეკონომისტებს, ინჟინრებს, იურისტებს და სხვ.), აგრეთვე მენეჯერებს ფირმის პრეზიდენტის ჩათვლით, მეწარმე თვითონ წარმართავს საკუთარ საქმეს (ე. ი. ასრულებს მენეჯერის ფუნქციებს), რამდენადაც არის მისი უშუალო შემოქმედი (ფირმის ბიზნეს-გეგმის ჩამოყალიბება, მისი რეალიზაციის საშუალებების განსაზღვრა და ა. შ.).

ქართული ბიზნესის სფეროში, მეწარმეობას, როგორც ინოვაციურ ბიზნესს, ჯერჯერობით უმნიშვნელო ადგილი უკავია. მეწარმეთა ფენა ბიზნესმენებთან შედარებით ძალიან მცირეა, ვინაიდან ეროვნული ბიზნესის შრომის პროდუქტები (საქონელი) არ გამოირჩევა ნოვაციებითა და კონკურენტუნარიანობით საშინაო ბაზარზეც კი. ამასთან ქართულად „მეწარმეობა" და „მეწარმე" ხშირად ასოცირდება „წარმოებასა" და „მწარმოებელთან". აგრეთვე მართებული არ არის „მცირე მეწარმის" ხმარება, რადგან მეწარმე ადამიანია, რომელიც შეიძლება იყოს დაბალი ან მაღალი და არა მცირე. მცირე შეიძლება იყოს მეწარმეობა და ბიზნესი. ამიტომ აუცილებელია ქართულ ეკონომიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში „მეწარმეობისა" და „მეწარმის" ნაცვლად, დამკვიდრდეს ტერმინები „ბიზნესი" და „ბიზნესმენი", რაც ჩვენი რეალობაა (ყველა დონეზე, დაწყებული ქვეყნის პრეზიდენტის აპარატიდან ფირმების ჩათვლით გამოიყენება „ბიზნესი" და „ბიზნესმენი").[1] ეს ბოლოს მოუღებს საქართველოში ცალ-ცალკე ბიზნესმენთა ასოციაციის, მეწარმეთა კავშირის, თავისუფალ მცირე მეწარ-

---

[1] *შექმნილია ბიზნესომბუდსმენის სამსახურიც, რომლის საჭიროება ცივილიზებულ ქვეყნებში არ არსებობს.*

მეთა ასოციაციის არსებობას და არარეალურ (რაიმე ლოგიკას მოკლებულ) მსჯელობებსა და გაუგებრობებს. ცხადია ეს მიზანშეწონილია გაკეთდეს საკანონმდებლო წესით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ უნდა გაერთიანდეს ბიზნესმენთა ფედერაციაში და ვინ მეწარმეთა ასოციაციაში, სტატისტიკის დეპარტამენტმა რომელი საწარმო მიაკუთვნოს ბიზნესს და რომელი საწარმო (ფირმა)[1] მეწარმეობას.

საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის უმრავლესობაში თუ არა, ბევრის გაგებაში ბიზნესი ჩვენთან მოვიდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების (მექანიზმის) დამკვიდრებასთან დაკავშირებით, ხოლო ბიზნესის მთავარი მიმწოდებელია აშშ. იმის შესახებ, რომ მეწარმეობა (როგორც აღინიშნა, ტერმინი „მეწარმეობა" ხმარებაში შემოვიდა 200 წლის წინათ, ხოლო ტერმინი ბიზნესი – გაცილებით გვიან) საქართველოში ადრეც არსებობდა, ცნობილია მხოლოდ მათთვის, ვინც იცის ან შეისწავლა ჩვენი ისტორია. ისტორია კი უდავოდ ადასტურებს, რომ პოსტსაბჭოურ საქართველოში მეწარმეობისა და ბიზნესის აღმოცენება კი არ მიმდინარეობს, არამედ მათი აღორძინება ხდება. გასაბჭოებამდე (1921 წ.) ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ ისეთი ქართველი მეწარმეები, როგორებიც იყვნენ: დ. სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, ა. ხოშტარია, მ. ლაღიძე და სხვ.

საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისა და მისი განვითარების მაგისტრალური გზაა მცირე ბიზნესის არეალის რაც შეიძლება გაფართოება, ვინაიდან სამუშაო ადგილების რაოდენობის მაქსიმიზაცია საზღვარგარეთ წასული ჩვენი მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების აუცილებელი პირობაა (ინგლისში შრომისუნარიანი მოსახლეობის 75% დასაქმებულია ბიზნესის სფეროში და ამით იკმაყოფილებს საარსებო მოთხოვნილებებს).[2] ბიზნესის წარმატებული განვითარებისათვის

---

[1] *საზღვარგარეთ საწარმოს, კომპანიისა და კორპორაციის განზოგადებული სახელწოდება არის ფირმა.*

[2] *დ. ქემხელი. ბიზნესი არაბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისათვის, თბ., 2001, გვ. 2.*

კი აუცილებელი პირობაა საწარმოებში (ფირმებში) ეფექტიანი მარკეტინგი და მენეჯმენტი.

**ლიტერატურა**


1. შუბლაძე გ. ბიზნესის საფუძვლები (დამხ. სახელმძღვანელო), თბ., 2000.
2. შუბლაძე გ. როგორ გავმიჯნოთ ბიზნესი და მეწარმეობა, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", 2006, № 16.
3. შუბლაძე გ., ნანიტაშვილი მ. ბიზნესის საფუძვლები (სახელმძღვანელო), გამომცემლოა „უნივერსალი", თბ., 2010.
4. Шумпетер И. Теория экономического развития. М., 1982
5. ხიზრიჩი რ., პიტერსი მ. მეწარმეობა ანუ როგორ დავიწყოთ საკუთარი საქმე და მივაღწიოთ წარმატებებს. ქუთაისი, 1994.
6. Друкер П. Ф. Рынок: как выйти в лидеры. Практика и принципы. М., 1992.
7. Орлов А. Человек (из жизни в XX века), книга 3. М., 2002.

(ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", № 6, 2009).


## რეცენზია[1]
## წიგნზე „ბიზნესი. სახელმძღვანელო ყველასათვის" (გამომცემლობა „ჯეოპრინტი" თბ., 2007), სამეცნიერო ხელმძღვანელი ვ. პაპავაძე

**როგორც წესი, რეცენზიის დანიშნულებაა** არა წიგნის შინაარსის გადმოცემა და დახასიათება, არამედ ავტორებისა და გამომცემლობის ყურადღების მიქცევა იმ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე, რომლებიც გააჩნია სარეცენზიო წიგნს.

სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია, რომ „წიგნი შემუშავებულია 2006 წლის USAID-ის პროგრამის (მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში) მოთხოვნის ფარგლებში და ***გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის, დამწყებ და მოქმედ ბიზნესმენებისათვის*** (ხაზგასმა ჩვენია – გ. შ.). აქვე დასახელებულია წიგნის სამეცნიერო რედაქტორი და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, III, IV, V, VI თავების დამწერი (ასე უნდა ვიგულისხოთ და არ ჩანს I და II თავების ავტორი) თეუსუ-ს სტუდენტები.

[1] *მოხსენდა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის (თეუსუ) ბიზნესისა და მართვის (ყოფილი ეკონომიკის) ფაკულტეტის გაფართოებული საბჭოს სხდომას (2008 წ.).*

წიგნი დეპონირებულია საქპატენტში (2048) დადგენილი წესის შესაბამისად და დაცულია ყველა საავტორო უფლება. ავტორის (ალბათ ავტორების, მაგრამ წიგნის ბოლოს მისი სახელწოდების შემდეგ დასახელებულია მხოლოდ ერთი გვარი) წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია მისი ასლების გადაღება, წიგნად გამოშვება. წარმოდგენილი წიგნი ნაწილია მეცნიერული გამოკვლევებისა – „ყველაფერი მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ".

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ წიგნს არ ჰყავს რეცენზენტი ან რეცენზენტები, იგი არ განუხილიათ თეუსუ-ს შესაბამის მიმართულებებს (კათედრებს) და არ მიუციათ რეკომენდაცია, რომ იგი იყოს სახელმძღვანელო ყველასათვის. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ სარეცენზიო წიგნი არ არის დაზღვეული მთელი რიგი ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისაგან, რაც დაუშვებელია სახელმძღვანელოდ გამოცხადებული წიგნისათვის.

წიგნის სახელწოდებაში „სახელმძღვანელო ყველასათვის" შეტანა უსაფუძვლოა, ვინაიდან სატიტულო გვერდზე მოცემული განაცხადით იგი „გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის, დამწყებ და მომქმედ ბიზნესმენებისათვის". ანოტაციაში კი (გვ. 5) „სახელმძღვანელოს" ნაცვლად ნახმარია „სასწავლო კურსი", რომელიც გამიზნულია: „უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის და მათთვის, ვისაც ბიზნესში უკავიათ მმართველობითი პოზიციები ან აპირებენ მათ დაკავებას... ასევე, ინდ. მეწარმეებისათვის". იქვე: „სასწავლო კურსის მიზანია: სტუდენტებმა და საერთოდ მსმენელებმა შეისწავლონ ბიზნესის ძირითადი პრინციპები და შემადგენელი მართვის მექანიზმები – ბიზნეს გეგმა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბიზნესის შემადგენელი სახესხვაობები. შევასწავლოთ მსმენელებს მმართველობითი საქმიანობის (უფრო სწორია მენეჯმენტის, გ. შ.) ძირითადი ნაწილები, ორგანიზაციის მართვის პრინციპები და მეთოდები, მენეჯმენტის როლი და ფუნქციები" (სტილი დაცულია – გ. შ.).

მოტანილი ამონარიდებიდან ნათლად ჩანს, რომ სარეცენზიო წიგნში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა წინადადებებისა და დეფინიციების სწორად ფორმულირებას, რასაც არსები-

თი მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოდ განკუთვნილი ნაშრომისათვის.

ჯერ ნათქვამია, რომ წიგნი გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის, დამწყები და მომქმედი ბიზნესმენებისათვის, შემდეგ, მათთვის, ვისაც ბიზნესში უკავიათ მმართველობითი პოზიციები (უნდა ვიგულისხმოთ მენეჯერები – გ. შ.), ასევე, ინდ. მეწარმეებისათვის. ამასთან ნახსენებია მსმენელებიც, მაგრამ გაუგებარია, თუ რა კატეგორიის მსმენელებზეა ლაპარაკი. უფრო მართებული იქნებოდა ბიზნესის შესახებ სახელმძღვანელოს კუთვნილების განსაზღვრა შემდეგნაირად: სტუდენტებისათვის, ბიზნესში მომუშავე ფართო წრისა და მენეჯერებისათვის. წიგნში ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული ბიზნესმენი და მენეჯერი, ბიზნესმენი და მეწარმე. დეფინიციების შესახებ უფრო კონკრეტულად იქნება ნათქვამი ცალკეული საკითხების განხილვისას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოს (ისიც ყველასათვის) პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს წიგნს, რომლის ავტორები არიან მეცნიერების შესაბამისი დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და არა ბაკალავრიატის სტუდენტები (6 თავიდან 4 წამყვანი თავის: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბიზნესის დაგეგმვა, საქართველოს ბიზნეს-გარემოს რეგულირების მექანიზმები – ავტორებია სტუდენტები). ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია კვლევით და სახელმძღვანელოს შედგენის სამუშაოებში მაგისტრატურის მოწინავე სტუდენტების ჩართვა (მაგრამ დამოუკიდებლად სახელმძღვანელოს თავის შესრულება არაა მიზანშეწონილი).

სარეცენზიო წიგნი ეძღვნება ბიზნესის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის პრობლემებს, რომლებიც ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან (ჩვენი ინიციატივით დაიწყო ლექციების წაკითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შეიქმნა სასწავლო პროგრამები და გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელოები და სახელმძღვანელო დისციპლინებში: ბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგი და მენეჯმენტი). ასეთი თანმიმდევრობით შესრულებული უნდა ყოფილიყო მოცემული სახელმძღვანელოს თავები, ვინაიდან სამივე პრობლემა უშუალო კავშირშია საბაზრო ეკონომიკასთან. საბაზრო ეკონომიკა შერეული

ეკონომიკაა, რომელშიც დომინირებს კერძო სექტორი – ბიზნესი. მარკეტინგი აღიარებულია, როგორც ბიზნესის ფილოსოფია (მეთოდოლოგია), ხოლო მენეჯმენტი – როგორც ბიზნესის მართვის ფილოსოფია.

წიგნის სტრუქტურა სარჩევის მიხედვით ასეთია: I თავი – ბიზნესი, II თავი – ბიზნესის ძირითადი მიმართულებები (ორივე თავი მხოლოდ 9 გვერდი), III თავი – მენეჯმენტი. IV თავი – მარკეტინგი (ჯერ უნდა იყოს მარკეტინგი, შემდეგ მენეჯმენტი), V თავი – ბიზნესის დაგეგმვა, VI თავი – საქართველოს ბიზნეს-გარემოს რეგულირების მექანიზმები (ეს ბოლო თავი განხილული უნდა იყოს I და II თავების შემდეგ).

სარეცენზიო წიგნის ცალკეული თავების გაცნობამ დამარწმუნა იმაში, რომ ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა ლიტერატურის კომპილაციას წყაროს მიუთითებლად, ზოგჯერ მათი არასრულყოფილად გადმოცემით. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: I თავის პარაგრაფები 1.1, 1.2, 1.3 თავიანთი შინაარსით პირდაპირ ემთხვევა რ. ჯავახიშვილის სალექციო კურსის „საერთაშორისო ბიზნესის'' I თავის პარაგრაფებს, იმ განსხვავებით, რომ საერთაშორისო ბიზნესი შეცვლილია ბიზნესით. ამასთნ 1.1 და 1.2 პარაგრაფებში დასახელებულია ბიზნესის ფუნქციები და ტექსტში არ არის დახასიათებული ფუნქციები. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ რ. ჯავახიშვილის სალექციო კურსი არ არის სარეცენზიო წიგნის ლიტერატურის სიაში. ლიტერატურის სიაში არ არის შეტანილი წიგნები: გ. შუბლაძე. ბიზნესის საფუძვლები (დამხმარე სახელმძღვანელო) თბ., 2000, მარკეტინგი (სახელმძღვანელო) პროფ. გ. შუბლაძის რედაქციით. თბ., 1999; გ. ბაბუნაშვილი, ბ. მღებრიშვილი, გ. შუბლაძე მენეჯმენტი (დამხმარე სახელმძღვანელო) თბ., 1998; მ. ტუღუში, ნ. ყირიმლიშვილი. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2003, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ სარეცენზიო წიგნთან. სამაგიეროდ ლიტერატურის სიაში შეტანილია ვ. კაკაბაძის 19 ნაშრომი, ასევე სხვა ავტორებისა, რომლებსაც უშუალო კავშირი არა აქვთ სარეცენზიო წიგნთან. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ტექსტში დასახელებულია ე. მაკარტნი, უ. ლეიბერი, უ. კელი, პ. დრუკერი (გვ. 67, 107), მაგრამ არც სქოლიოში და არც ლიტერატურის სიაში წყარო არ არის

მითითებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი აღებულია სხვა ავტორების ლიტერატურიდან.

თავი II, რომელიც ეძღვნება ბიზნესის ძირითად მიმართულებებს, მოიცავს პარაგრაფებს: 1.2. წარმოება, 2.2. მომსახურების ბიზნესი, 2.3. ვაჭრობა (სულ 3 გვერდი). პირველ პარაგრაფში საუბარია სამეწარმეო ბიზნესზე, რომელიც ნონსენსია. ამ პარაგრაფის მართებული დასახელება უნდა იყოს „საწარმოო ბიზნესი''. რაც შეეხება ვაჭრობას, მისი დასახელება უნდა იყოს „სავაჭრო ბიზნესი'', მომსახურების ბიზნესი კი უნდა დაკონკრეტდეს: საფინანსო – საკრედიტო ბიზნესი, სადაზღვევო ბიზნესი და სხვ.

თავი III – მენეჯმენტი იწყება პარაგრაფით 3.1 მენეჯმენტის არსი, ამოცანები და მეთოდები, მაგრამ მასში არ არის ახსნილი მენეჯმენტის არსი და აღნიშნულია, რომ „მენეჯმენტის ფუნქციას წარმოადგენს სამართავი ობიექტის საქმიანობისადმი კონტროლი'' (გვ. 19), რომელიც მეოთხე ფუნქციაა 3 ძირითადი ფუნქციის (დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია) შემდეგ. საერთოდ აღიარებული მართვის სამი დონის ნაცვლად ამავე პარაგრაფში მართვის დონეებად (რატომღაც საშუალო ბიზნესში გ. შ.) მიჩნეულია მართვის მაღალი დონე (უფროსი მენეჯერი), საშუალო დონე (უფროსი მენეჯერის მოადგილე ან მთავარი მენეჯერი) და ძირითადი – დაბალი დონე (გვ. 21), რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. სახელწოდებების დამახინჯებასთან ერთად დაუშვებელია უხეში შეცდომა, როდესაც მთავარი მენეჯერი გათანაბრებულია უფროსი მენეჯერის მოადგილესთან. სინამდვილეში მთავარი მენეჯერი ფირმის პრეზიდენტია (პირველი პირია და განეკუთვნება უმაღლეს დონეს). ამ თავში მწარმოებლურობა და საქმიანობა, ხელმძღვანელი, მენეჯერი და ბიზნესმენი ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენება (გვ. 28, 30, 32, 35, 36, 41, 43).

IV თავის პირველი პარაგრაფი (4.1) „მარკეტინგის არსი და ფუნქციები'' იწყება ასე: „მარკეტინგული საქმიანობა არის ბიზნესის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც ჩართულია ორი მხარე: ბიზნესმენი და მომხმარებელი, მათ შორის ხორციელდება გაცვლა'' (გვ. 50). ამასთან დაკავშირებით კომენტარები ზედმეტია. რაც შეეხება მარკეტინგის არსსა და ფუნქციებს,

მათ შესახებ არაფერია ნათქვამი. საუბარია იმაზე, რომ სამარკეტინგო საქმიანობას ახორციელებენ ის მენეჯერები, რომლებიც პასუხს აგებენ მასალებზე, რეკლამაზე, სამარკეტინგო გამოკვლევებზე. ეს თანამდებობანი ხასიათდება მოვალეობათა გარკვეული წრით, რომლებიც მიეკუთვნება სამარკეტინგო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს: რეკლამას, ბაზრის გამოკვლევას და ა. შ. (გვ. 50-51).

ამავე თავში, მარკეტინგის მართვა ფ. კოტლერის გამოთქმით რომ დაიყვანება მოთხოვნის მართვამდე, შეცვლილია შემდეგნაირად: „მარკეტინგის მართვა მოთხოვნილების მართვაა'' (გვ. 51). აგრეთვე, მარკეტინგის ცნობილი 5 კონცეფცია შეცვლილია 4 კატეგორიით: საქონლის კონცეფცია, გასაღების კონცეფცია, მარკეტინგის კონცეფცია, სოციალურ – ეთიკური მარკეტინგის კონცეფცია (გვ. 55. 56). მესამე პარაგრაფის (4. 3) დასათაურებაში „გარე გარემოს'' ნაცვლად გამოყენებულია „გარე სამყარო'' (გვ. 57).

V თავში „ბიზნესის დაგეგმვა'' ვკითხულობთ: „ბიზნესი'' – ყოველთვის ერთგვარი გაურკვევლობაა, რომელიც შეიძლება შეიქმნას კონკრეტული მოვლენების განვითარებით (მაგალითად, კლიენტების დაკარგვა, ახალი კონკურენტების გამოჩენა, ფინანსურ-პოლიტიკური პირობების შეცვლა და ა. შ)... ***დაგეგმვა, როგორც მენეჯმენტი საერთოდ, შემოქმედებითი პროცესია, განპირობებულია ფირმისა და ბიზნესის თავისებურებებით, ტრადიციებითა და მენეჯერების პირადი სტილით, საქმიანი ჩვევებითა და ბიზნეს-გეგმის გამოყენების კონკრეტული პირობებით*** (გვ. 103-104) (ხაზგასმა ჩვენია-გ.შ.).

სამწუხაროდ, სარეცენზიო წიგნში, რომელშიც ცალკე თავად გამოყოფილია „მენეჯმენტი'', როგორც აღინიშნა, არ არის ახსნილი მენეჯმენტის არსი, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს მის ფუნქციებში. ამ თავში, რომელიც ეძღვნება ბიზნესის დაგეგმვას, არ არის ნაჩვენები ფირმაში საერთოდ დაგეგმვასა და ბიზნეს-გეგმას შორის განსხვავება, ამ უკანასკნელის სტრუქტურა და კონკრეტული დანიშნულება.

საბოლოოდ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ნებისმიერი წიგნის, განსაკუთრებით სახელმძღვანელოს გამოცემა დადებითი მოვლენაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტ-

ყვით სარეცენზიო წიგნზე. მასში არსებული მთელი რიგი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამო, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იგი ვერ უპასუხებს სახელმძღვანელოსადმი წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნებს.

## 3. მარკეტინგისა და მენეჯმენტისა შესახებ

### მარკეტინგისა და საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ

მარკეტინგის არსის გაგებისათვის აუცილებელია და-ზუსტდეს ტერმინის შინაარსი და მისი მთავარი დანიშნულება.

ტერმინი „მარკეტინგი" წარმოიშვა ინგლისური სიტყვა market-დან, რაც ნიშნავს ბაზარს. მარკეტინგი კი ნიშნავს საქმიანობას ბაზარზე.

მარკეტინგმა, ვიდრე ჩამოყალიბდებოდა როგორც კაპიტალისტური საწარმოს (ფირმის) წარმოება-გასაღების საქმიანობის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე სისტემა, მის შესახებ შეიქმნა ხუთი კონცეფცია დაწყებული წარმოების კონცეფციით და დამთავრებული სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფციით.

მარკეტინგის წარმოშობა განაპირობა წარმოების (კაპიტალის) კონცენტრაციამ და საწარმოებს შორის კონკურენ-ციის გამწვავებამ, რაც დამახასიათებელი იყო საბაზრო ურ-თიერთობათა დამკვიდრებისათვის აშშ ეკონომიკაში. აშშ უნივერსიტეტებში მარკეტინგის სასწავლო კურსში ლექციების წაკითხვა დაიწყო 1901-1902 წწ. მარკეტინგული საქმიანობის, როგორც სისტემის, ჩამოყალიბება იწყება XIX საუკუნის 30-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით.

სსრ კავშირში პირველად მარკეტინგი მოიხსენიება სპე-ციალურ ლიტერატურაში მხოლოდ 60-იანი წლებიდან. მაგრამ თავიდანვე მას განიხილავდნენ კრიტიკული თვალთახედვით, როგორც კონკურენციული ბრძოლის იარაღს კაპიტალისტურ მეურნეობაში. სსრკ სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან 1976 წელს შეიქმნა მარკეტინგის საკითხთა სექცია.

მარკეტინგის შესახებ დისკუსია ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა გასული საუკუნის 70-იან წლებში. თავდაპირველად განსჯის საგანი იყო არა ე. წ. კაპიტალისტური მარკეტინგის პრინციპების გადმოღება, რომლებიც მიუღებელი იყო სოციალისტური საწარმოებისათვის კაპიტალისტურ და სოციალისტურ ეკონომიკურ ურთიერთობათა არსებითად განსხვავების გამო, არამედ საბჭოთა კავშირის მხოლოდ საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციების მიერ (რომლებიც ახორციელებდნენ თავიანთ საქმიანობას საგარეო ეკონომიკურ სფეროში) უცხოურ ფირმებში გამოყენებული მარკეტინგის პრინციპების, ფირმებისა და მეთოდების შესწავლა და დანერგვა. ამასთან, გამოთქვამდნენ საშიშროებას იმის თაობაზე, რომ საბაზრო კონცეფციის აღიარება ნიშნავდა ყბადაღებული „საბაზრო სოციალიზმის“ ფუძემდებლური ელემენტების აღქმას, სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ორთოდოქსები ამტკიცებდნენ, რომ მარკეტინგის პრინციპებთან გაცნობა საჭიროა მხოლოდ საგარეო ვაჭრობის მუშაკებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მარკეტინგმა ევოლუციის საუკუნოვანი გზა განვლო (მარკეტინგის კურსის წაკითხვა აშშ-ის უნივერსიტეტებში დაიწყო XX საუკუნის დასაწყისში), უცხოურ და ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბოლო დრომდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მარკეტინგისა და საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ. თითქმის ყველა ავტორი მთლიანად იზიარებს მსოფლიოში მარკეტინგის კლასიკოსად აღიარებული ამერიკელი პროფესორი ფილიპ კოტლერის შეხედულებებს მოცემულ საკითხზე. ფ. კოტლერის ცნობილ წიგნში – „მარკეტინგის საფუძვლები“ მარკეტინგი განმარტებულია როგორც საქმიანობა, რომელიც მიმართულია საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გაცვლის საშუალებით. ეს განმარტება სრულად ვერ ასახავს ბაზრის კომპლექსური გამოკვლევისა და მარკეტინგული საქ-მიანობის ფართო სპექტრს. ცნობილია, რომ ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია მოთხოვნა და არა მოთხოვნილება, მით უმეტეს საჭიროება. საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საწარმოების (ფირმების) მთავარი საზრუნავია მომხმარე-ბელთა (მყიდველთა) მოთხოვნის ანუ გადახდისუნარიანი მოთ-

ხოვნილების დაკმაყოფილება, რომ მიიღონ მოგება და არ გაკოტრდნენ. ამიტომ სრულყოფილად უნდა გადმოიცეს მარკეტინგის არსი: „მარკეტინგი არის საქონელზე (მომსახუ-რებაზე და სხვ.) მოთხოვნის შესწავლა-პროგნოზირება და მისი დაკმაყოფილება გაცვლის საშუალებით მოგების მისა-ღებად“.[1]

ფ. კოტლერის ხსენებულ წიგნში, რომელიც ითარგმნა და მრავალჯერ გამოიცა რუსულ ენაზე, ერთი თავი დათმობილი აქვს საერთაშორისო მარკეტინგს. ანალოგიურად ქართველი და რუსი ავტორების მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებში, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და სალექციო კურსებში ცალკე თავად გამოყოფილია „საერთაშორისო მარკეტინგი“. გარდა ამისა, ცალკე წიგნებად გამოიცა „საერთაშორისო მარკეტინგი“, რომელთა ავტორები არიან ს. მაჯარო, ნ. მოისეევა, ვ. საველიევი, თ. შენგელია, ვ. ჩერენკოვი და სხვ.

ფ. კოტლერი აღნიშნავს, რომ ფირმის მარკეტინგული საქმიანობის პრინციპები არ იცვლება, როდესაც იგი იწყებს თავისი საქონლის ექსპორტირებას, ერთობლივ სამეწარმეო საქმიანობას (ბიზნესს) ან გეგმავს პირდაპირ ინვესტირებას სხვა ქვეყნებში. ეს მოწმობს მარკეტინგის თეორიის ცხოველმყოფელობას და მისი გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემებსი (გარემოში). ე. ი. მარკეტინგი გახდა საერთაშორისო ბიზნესის ეფექტიანი განხორციელების მეთოდოლოგია (ფილოსოფია), მიუხედავად ქვეყნებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის თავისებურებებისა. მაგრამ ფ. კოტლერი მიიჩნევს, რომ საზღვარგარეთ წარმატებული მუშაობისათვის საჭიროა ფირმის ახალი მაკროგარემოს, ბაზრების თავისებურებების, მომხმარებელთა კულტურული და სხვა მახასიათებლების გულმოდგინედ შესწავლა. ***ქვეყნებს შორის განსხვავებანი შეიძლება აღმოჩნდეს იმდენად დიდი, რომ წლების განმავლობაში დამუშავებული და აპრობირებული მარკეტინგის კომპლექსები ნაწილობრივ ან მთლიანად იყოს შესაცვლელი ახალი პირობების შესაბამი-სად. საქმე ეხება მომხმარებლების ფუნდამენ-***

---

[1] *გ. შუბლაძე, მარკეტინგისა და საერთაშორისო მარკეტინგის არსისა და დეფინიციის შესახებ. ჟურნ. „კომერსანტი“, №2, 2007. გვ. 56.*

***ტურ წარმოდგენათა გადასინჯვისათვის მზადყოფნას, კერძოდ, საზღვარ-გარეთულ ბაზრებზე გასვლისას საქონლის გავრცელების და გასაღების სტიმულირების მეთოდების ადაპტაციის გზებს, მარკეტინგის სამსახურების სტრუქტურულ რეორგანიზაციას***[1] (ხაზგასმა ჩვენია – გ. შ.).

სამწუხაროდ, ფ. კოტლერი ჯეროვნად არ მიჯნავს ცნებებს „მარკეტინგი" და „საერთაშორისო მარკეტინგი" მათი მეცნიერული დეფინიციის თვალსაზრისით. ამიტომ ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში სათანადო ყურადღება არ ექცევა საერთაშორისო მარკეტინგის დეფინიციას, საშინაო მარკეტინგისა და საერთაშორისო მარკეტინგის ცნებების გამიჯვნას. კერძოდ, საერთაშორისო მარკეტინგის არსის თაობაზე არ არის ჯეროვანი მსჯელობა სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საერთაშორისო მარკეტინგის გაიგივება საშინაო (ჩვეულებრივ) მარკეტინგთან, რაც გაუმართლებელია. მარკეტინგის ქართული სახელმღვანელოს (დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ) შესაბამის თავში აღნიშნულია: „საერთაშორისო მარკეტინგი, ისე როგორც მარკეტინგი საერთოდ, შეიძლება განხილულ იქნეს ორ ასპექტში – როგორც კონცეფცია და როგორც საქმიანობა. პირველ გაგებაში იგულისხმება ფირმის წარმოებისა და გასაღების საქმიანობისა და მასთან დაკავშირებით, საბაზრო ურთიერთობათა მართვის მეცნიერულად დასაბუთებულ შეხედულებათა ერთობლიობა. აქ მხედველობაშია მიღებული ყველა თეორიულ-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ხასიათის საკითხები, რომელთა მოთხოვ-ნების შესაბამისად საწარმო მოქმედებს ბაზარზე. რაც შეეხება მარკეტინგს, როგოროც საქმიანობას, იგი ხშირად პრაქტიკული მარკეტინგის სახელწოდებითაც არის ცნობილი და მოიცავს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც ემსახურება მომხმარებელთა სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილე-ბას ყიდვა-გაყიდვის გზით".[2] მარკეტინგის რუსულ სახელმძღვა-ნე-

---

[1] *Котлер Ф. დასახ. წიგნი, გვ. 612.*

[2] *ე. ბოლოკაძე. მარკეტინგი. თბ., 1995. გვ. 372.*

ლოში (რეკომენდებულია უმაღლესი განათლების რუსეთის ფე-დერაციის სახელმწიფოებრივი კომიტეტის მიერ), სადაც არის თავი „საერთაშორისო მარკეტინგი“, იგი განმარტებუ-ლია როგორც „აზროვნების განსაზღვრული წესი, საწარმოო გა-დაწყვეტილებათა მიღებისადმი მიდგომა როგორც ადგი-ლობ-რივი, ასევე საზღვარგარეთული მომხმარებლების მოთ-ხოვ-ნების ყველაზე სრულად დაკმაყოფილების პოზიციიდან“.[1] არის ასეთი მოსაზრებაც: „საერთაშორისო მარკეტინგის არსი იგივეა, რაც ჩვეულებრივის იმ განსხვავებით, რომ საქონელი იწარმოება ადგილობრივი და უცხოელი მომხმარებლებისათ-ვის და იყიდება საერთაშორისო (მსოფლიო) ბაზარზე“.[2] ერთ-ერთი ავტორის წიგნში აღნიშნულია: „საერთაშორისო მარკე-ტინგი, შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად საშინაო ბაზრის მარ-კეტინგის ანალოგიურია...“[3] ამასთან, იგი საერთაშორისო მარკეტინგს უწოდებს მართვის სისტემას, როგორც სხვა ავ-ტორებიც უწოდებენ მარკეტინგს.

მოტანილი მაგალითები მოწმობენ, რომ თითქოს აუცილე-ბელი არ იყოს საერთაშორისო მარკეტინგის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად გამოყოფა, რაც მეთოდოლოგიუ-რად მიუღებელია. გაუგებარია ასეთი მსჯელობაც: მარკეტინ-გის განვითარების ამ ეტაპზე (იგულისხმება გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან – გ. შ.) მას დაემატა მენეჯმენტის კლასი-კურ მეთოდებად აღიარებული საქმიანობის რიგი მიმართულე-ბებისა, რის გამოც იგი განიხილება როგორც სამმართველო ფუნქციების ბაზართან ადაპტაცია.[4] დაუშვებელია მარკეტინ-გის გაიგივება მენეჯმენტთან (წარმოება-გასაღების მართვის სისტემასთან), ვინაიდან მარკეტინგი არის ბიზნესის ფილოსო-ფია, მენეჯმენტი კი – ბიზნესის მართვის ფილოსოფია და მე-ნეჯმენტი მოიცავს მარკეტინგული საქმიანობის მართვასაც. პრაქტიკულ მარკეტინგულ საქმიანობას ახორციელებენ მარ-

[1] *Маркетинг. Под. ред. Романова А. Н, М., 1996. с. 435.*

[2] *ეკონომიკის აქტუალური საკითხები. ნაწ. V. თბილისის უნივერსიტეტის გა-მომცემლობა, 1998, გვ. 30.*

[3] *გ. გრიგოლაშვილი. მარკეტინგი. თბ., 1999. გვ. 217.*

[4] *გ. შუბლაძე. საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები, IV ტომი, თბ., 2004, გვ. 268.*

კეტერები (მარკეტინგის კვლევით სამუშაოებს კი მარკეტოლოგები), ხოლო მმართველობით საქმიანობას (მ. შ. მარკეტინგის სფეროში) – მენეჯერები. მაგალითად, ფირმაში ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი მარკეტინგის სამსახურის კურატორია, მარკეტინგ-დირექტორია, მარკეტინგის განყოფილების გამგე არის მენეჯერი, ხოლო განყოფილების სპეციალისტი – მარკეტერი.

ერთ-ერთ რუსულ სახელმძღვანელოში მოცემულია ასეთი განსაზღვრა: „საერთაშორისო მარკეტინგი არის საწარმოს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის ღონისძიებათა კომპლექსი თავისი ქვეყნის გარეთ“.[1] მართალია, საერთოდ მარკეტინგი თავიდანვე მოიაზრებოდა როგორც გასაღებითი საქმიანობა, მაგრამ თანამედროვე მარკეტინგისათვის მთავარია წარმოების სფერო, კერძოდ საქონლისა და მომსახუ-რების წარმოების შეგუება ბაზრის მოთხოვნებთან. ე. ი. მარ-კეტინგის მთავარი სფეროა წარმოების სფერო. ამიტომ მოკ-ლებულია სათანადო საფუძველს ცნებების „ექსპორტის მარ-კეტინგის“ და „იმპორტის მარკეტინგის“ ხმარება და მითუ-მეტეს განცხადება იმის თაობაზე, რომ „მარკეტინგის ეს ორი სახე საერთაშორისო მარკეტინგის შემადგენელი ნაწილია“.[2] ამგვარად, ზემოთ მოტანილი განმარტება ვერ ასახავს საერ-თაშორისო მარკეტინგის ცნების არსს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში სავსებით მართებულად აყენებენ საკითხს იმის თაობაზე, რომ უნდა განვასხვავოთ ცნება „საერთაშორისო მარკეტინგი“ ცნება „ექსპორტისაგან“. ტრადიციული ექსპორტი ნიშნავს იმას, რომ ერთი ქვეყნის მწარმოებლები იზღუდებიან სხვა ქვეყნების ფირმებისთვის, ე. ი. იმპორტიორებისთვის თავისი პროდუქტის მიწოდებით. მიმწოდებლებს (მწარმოებლებს) არ აწუხებთ ან ნაკლებად აწუხებთ ის, რაც მათ პროდუქციას მოუვა, რამდენად დაკმაყოფილდებიან ამ პროდუქციით (საქონლით) სხვა ქვეყნების მომხმარებლები. საერთაშორისო მარკეტინგი კი გულისხმობს საერთაშორისო ბაზრების სისტემატურ, გეგმაზომიერ და აქტი-

---

[1] *Маркетиню. Под. ред. Уткина. М., 1996. გვ. 290.*

[2] *ეკონომიკის აქტუალური საკითხები. დასახ. გამოცემა, 1998. გვ. 28.*

ურ გამოკვლევას მომხმარებლებამდე საქონლის წინ წაწევის სხვადასხვა საფეხურებზე.[1]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გასამიჯნი ცნებები „საერთაშორისო მარკეტინგი“ და „საერთაშორისო საქმიანობა (ბიზნესი)“, ვინაიდან ლიტერატურაში ვხვდებით ამ ტერმინების სინონიმიზაციას. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო მარკეტინგი საერთაშორისო ბიზნესის ფილოსოფია და მეთო-დოლოგიაა და არა საერთაშორისო ბიზნესის ორგანზიაციის ფორმა (ექსპორტი, ერთობლივი საწარმო, ლიცენზირება და ა. შ.). საერთაშორისო ბიზნესის თითოეულ ფორმაში ინტერ-ნაციონალიზაციის ამა თუ იმ ფორმით ვლინდება მარკეტინგის შესაბამისი ფილოსოფია (მეთოდოლოგია).

საერთაშორისო მარკეტინგის არსის გასარკვევად აუცილებელია მისი შინაარსის განხილვა არა მარტო საერთო-საბაზრო წარმოდგენების პოზიციიდან, არამედ უფრო მეტად, ეროვნული ეკონომიკის და ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის პოზიციიდან. საწარმოს (ფირმის, კომპანიის) სამეურნეო საქმიანობის (ბიზნესის) ინტერნაციონალიზაცია ხდება დამოუკიდებელი ძალა, რომელსაც გააჩნია ზრდის ნათლად გამოხატული ტენდენცია. იგი ძლიერდება მრავალფეროვანი, მათ შორის, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციოლოგიურ-დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით. კონომიკური თვალსაზრისით ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია განაპირობებს შრომის დანაწილების გაღრმავებას, მისი პროდუქტიულობის ზრდას, კაპიტალის დაბანდების სფეროს გაფართოებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

საერთაშორისო მარკეტინგის განვითარების ეტაპებად მიჩნეულია: საექსპორტო მარკეტინგი, საკუთრივ საერთაშორისო მარკეტინგი და გლობალური მარკეტინგი (შეხამებული საერთაშორისო მენეჯმენტთან). საექსპორტო მარკეტინგი, რომელიც ითვლება საერთაშორისო მარკეტინგის ევოლუციის პირველ ეტაპად, გულისხმობს: ექსპორტიორი ფირმა სისტემატურად ატარებს საზღვარგარეთული მიზნობრივი ბაზრის მარკეტინგულ კვლევას და თავის წარმოებას აწყობს ამ ბაზ-

[1] *Моисеева Н. К. Международный маркетинг. М., 1998, გვ. 6.*

რის მოთხოვნების მიხედვით. თუ მოცემულ შემთხვევაში ფირმა მუდმივად სწავლობს ამ ბაზარს და ცდილობს გააკონტროლოს საქონლის გზა საბოლოო მომხმარებლამდე, ტრადიციული ექსპორტის დროს ექსპორტიორი ფირმა პასუხს აგებს მყიდველის წინაშე მხოლოდ გაყიდვისა და მიწოდების მომენტამდე და არ აინტერესებს გაყიდული საქონლის შემდ-გომი ბედი. საერთაშორისო (გლობალური) მარკეტინგის პირობებში ექსპორტიორი ფირმა ღრმად იკვლევს საზღვარ-გარეთულ ბაზრებს და ამისთვის იყენებს მარკეტინგის მთელ კომპლექსს, აგრეთვე საერთაშორისო ბიზნესის სხვადასხვა ფორმებს: მეცნიერულ-ტექნოლოგიური გაცვლის, კოტრაქტულ წარმოებებს, ერთობლივ საწარმოებს, შვილობილ კომპანიებს და სხვ. გლობალური მარკეტინგი, როგორც მარკეტინგული საქმიანობა საზღვარგარეთ, მოიცავს საწარმოს (ფირმის) ყველა ფუნქციურ სფეროს: მომარაგებას (ლოგისტიკას), მეც-ნიერულ-ტექნოლოგიურ დამუშავებებს, ფინანსებს და სხვ. ფაქტობრივად ეს არის ფირმის ბაზარზე ორიენტირებული (ე. ი. მარკეტინგული) მართვა საზღვარგარეთ (საერთაშორისო მენეჯმენტი, რომელიც დამახასიათებელია ტრანსეროვნული კორპორაციებისათვის). ამრიგად, საერთაშორისო მარკეტინგი საერთაშორისო ფირმის (ტრანსეროვნული კორპორაციის) პრეროგატივაა.

საერთაშორისო მარკეტინგის არსისა და მისი საგნის შესახებ ვ. ჩერენკოვი ფართოდ მიმოიხილავს მარკეტინგის საზღვარგარეთელი სპეციალისტების სხვადასხვა მოსაზრე-ბებს და არა მარტო ახდენს საერთაშორისო მარკეტინგის განსაკუთრებული გაგების ფორმალიზებას მარკეტინგმიქსი-სათვის [4 P – საქონელი (product), ფასი (price), ადგილი (place) და წინ წაწევა (promotion) ორი „ P“-ს [„პოლიტიკური ძალები“ (political power) და „საზოგადოებრივი აზრი“ (public opinion)] დამატებით, არამედ ფაქტობრივად მას ანიჭებს გან-ზოგადოებულ სპეციალურ ტერმინს – „მეგამარკეტინგი“. იგი გვთავაზობს მისივე სიტყვებით „ახალ განსაზღვრას“: „საერ-თაშორისო მარკეტინგი საერთაშორისო ბიზნესის ფილოსო-ფია და ერთდროულად ამ ბიზნესის კომერციული ან არა-კომერციული ინტელექტუალური ტექნოლოგიაა, რომელსაც გააჩნია კომუ-

ლიატიური ხასიათი, რომელთა გავლენითა და საშუალებით, როგორც წესი, სახელმწიფოებრივი საზღვრების გადაკვეთა ნივთობრივი და არანივთობრივი გაცვლების ფორმაში ხდება გაცვლებში მონაწილეთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება".[1] ვ. ჩერენკოვი განსა-კუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო მარკე-ტინგის ინტელექტუალურ ხასიათს, კერძოდ, საერთაშორისო მარკეტინგის მთავარ თავისებურებად მიიჩნევს მის ინტელექ-ტუალობას. ამასთან, იგი თვლის, რომ საერთაშორისო მარ-კეტინგის არსის გარკვევა იქნებოდა არასრული, თუ ჩვენ შევჩერდებოდით მხოლოდ საერთაშორისო მარკეტინგის საგანზე – მთლიანად საერთაშორისო ბიზნესის განსაკუთრებულ ფილოსოფიასა და ინტელექტუალურ ტექნოლოგიაზე და კერ-ძოდ, თითოეულ კომპანიაზე, რომელიც ხდება ინტერნაციო-ნალიზებული. მოცემული საგნის ლოგიკა მოითხოვს საერთა-შორისო მარკეტინგის გამომყენებელთა ანუ, როგორც მათ უწოდებენ საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, „ბიზნესის მოქმედი პირების" გარკვევას (განსაზღვრას). ასეთებს წარ-მოადგენენ საერთაშორისო ბიზნესით დაკავებული კომპა-ნიები (ფირმები), რომლებსაც სხვადასხვა კონტექსტში უწო-დებენ საერთაშორისო, მრავალეროვნულ, ტრანსეროვნულ, ზოგჯერ საერთაშორისო სტრატეგიულ ალიანსებს ან ერთობ-ლივ საწარმოებს. საწარემოებს, საერთაშორისო ფირმის მაგალითად გამოდგება „მაკდონალდსი".

ჩვენ ძირითადად ვიზიარებთ ვ. ჩერნენკოს მოსაზრებებს საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ, მაგრამ გაუგებრობას იწვევს მის ე. წ. ახალ განსაზღვრაში „არაკომერციული ინტელექტუალური ტექნოლოგია". საქმე ის არის, რომ ბიზ-ნესის სფეროში საერთაშორისო მარკეტინგის (და საერთოდ, მარკეტინგის) საბოლოო მიზანია ფირმის (კომპანიის) კომერციული ანუ მოგების მიღებაზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი ავტორი (მათ შორის, ჩვენს მიერ მოხსენიებული ავტორებიც) კომერციულ საქმიანობას აიგივებენ სავაჭრო საქმიანობასთან (ძველებური ვიწრო გაგება) მაშინ, როდესაც კო-

[1] *Черенков В. Международный маркетинг. Санк-Петербург. 1998, с. 32-33.*

მერციული საქმიანობა თანამედროვე (ფართო) გაგებით მოგების მიღებაზე გამიზნული საქმიანობაა (მაგალითად, კომერციული სასწავლებელი, კომერციული ბანკი და ა. შ.). აქედან გამომდინარე, ხშირად ტერმინები „ბიზნესი“ და „კომერციული საქმიანობა“ გამოიყენება ერთი და იგივე მნიშვნელობით, რაც სავსებით კანონზომიერია.

ამრიგად, საერთაშორისო მარკეტინგი გულისხმობს კონცეფციის დამუშავებას საბაზრო საქმიანობის სხვადასხვა ფორმისთვის. საზღვარგარეთული კომპანიების და შვილობილი კომპანიების ხელმძღვანელობის (მენეჯერების) წინაშე ისახება საერთაშორისო ბაზარზე ფაროდ დანერგვის ამოცანები. საერთაშორიო მარკეტინგი გამოხატავს ფირმის საზღვარგარეთული საქმიანობის (ბიზნესის) მასშტაბურობას, რის გამოც მას გლობალურ მარკეტინგსაც უწოდებენ. იგი ითვლება აგრეთვე „მარკეტინგის უმაღლეს სკოლად“.

საერთაშორისო მარკეტინგის წარმოშობისათვის არსე-ბითია შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომლებშიც იგულისხმება ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც განაპირობებს შრომის დანაწილების გაღრმავებას, მისი მწარმოებლურობის ამაღ-ლებას, კაპიტალის დაბანდების სფეროს გაფართოებას, მეც-ნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას და სხვ. იგი თავდაპირველად ხორციელდებოდა უპირატესად საერთაშო-რისო საწარმოებისა (ფირმებისა) და ტრანსეროვნული (მულ-ტიეროვნული) კორპორაციების მიერ. თანამედროვე ეკონო-მიკისა და ბიზნესისთვის ნორმად იქცა, როდესაც საშუალო და მცირე საწარმოები (ფირმები), რომლებიც ადრე ძირითა-დად ორიენტირებული იყვნენ საშინაო ბაზარზე, შეუპოვრად გადიან სხვა ქვეყნების ბაზრებზე და განუხრელად ზრდიან თავიანთ წილს ამ ბაზარზე.

ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. საერთაშორისო პოლიტიკური ინსტიტუ-ტებისა და კორპორაციების შექმნა, მათი აქტიური გაერთია-ნება და შერწყმა შესაძლებელი გახდა ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს პროცესები მიმდინარეობდა ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენათა ფონზე, ერთი მხრივ,

პროტექციონიზმის შესუსტების, მეორე მხრივ კი – ბევრი ქვეყნის მთავრობების მიერ სამამულო ფირმების ყოველმხრივი მფარველობის პირობებში.

საერთაშორისო მარკეტინგის ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია ბევრ ქვეყანაში მარკეტინგული ოპერაციების განმახორციელებელი საწარმოებისათვის. ზოგჯერ განისაზღვრება ტერმინით „მრავალეროვნული მარკეტინგი“. ეს ხაზს უსვამს მარკეტინგული საქმიანობის დიდ სირთულეს. მრავალეროვნული ფირმის მაგალითია ჩვენთვის კარგად ცნობილი „კოკა-კოლა“. ასეთი ფირმებისათვის დამახასიათებელია სასაქონლო ნიშნების არსებობა, რომლებიც კარგადაა ცნობილი მთელი მსოფლიოს მოსახლეობისათვის, აგრეთვე განშტოებული საერთაშორისო საქმიანობის განხორციელება. მსხვილი მრავალეროვნული ორგანიზაციებისათვის (კომპანიებისათვის) ტიპურია, აგრეთვე, კომპანიის რესურსების მოძრაობა ეროვნული საზღვრებისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ისინი მიეკუთვნებიან განსაზღვრულ ქვეყანას ფლობისა და უმაღლესი ხელმძღვანელობის თვალსაზ-რისით. მრავალეროვნული მარკეტინგის სისტემის ფორმირე-ბისას ხშირად თავდაპირველად იქმნება ფირმის იმიჯი, რომელშიც აქცენტი კეთდება ეროვნულ მიღწევებზე ან თავისებურებებზე. მაგალითად, აღინიშნება ტრადიციული ამერიკული, გერმანული ან შვეიცარიული სახელოსნო ოსტატობა და ა. შ. მრავალეროვნული (საერთაშორისო) ბიზნესის პირობებში კი საფირმო სახელწოდება ასახავს უკვე მართვის უპირატესობას შრომითი საქმიანობის კოორდინაციაში და მის დაკავშირებას ხარისხისა და სერვისის მაღალი დონის უზრუნველყოფასთან ბევრ ქვეყანაში. ამ აზრით ტიპური მაგალითია საათების მრეწველობა. საათები შეიძლება კონსტრუირებულ იქნეს შვეიცარიაში, მათი ელექტრონული კომპონენტები დამზადდეს იაპონიაში, დროის ათვლის მოდუ-ლის აწყობა განხორციელდეს ჰონკოგში, საათების კორპუსი იწარმოოს აშშ-ში, ციფერბლატი – იაპონიაში და საბოლოო აწყობა შესრულდეს აშშ-ში ან სხვა ქვეყანაში.

მრავალეროვნული კომპანიები ხშირად ემყარებიან გლობალურ ორიენტაციას, მოქმედებენ სხვადასხვა ქვეყნებში, და

იყენებენ საზღვარგარეთულ საწარმოო და გასაღების განყოფილებებს, რომლებიც მუშაობენ ცალკეულ ბაზრებზე. საერთაშორისო მარკეტინგის თავისებურებები მდგომარეობს იმაში, რომ მისმა ორგანიზაციამ და მეთოდებმა უნდა გაით-ვალისწინონ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: სახელმწიფოს დამოუკიდებლობა; ეროვნული სავალუტო სისტემები; ეროვ-ნული კანონმდებლობა; სახელმწიფოს ეკონომიკური პოლი-ტიკა; ენობრივი, კულტურული, რელიგიური, საყოფაცხოვ-რებო და სხვა თავისებურებები და ზნე-ჩვეულებანი. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო მარკეტინგი ეროვნულ მარკე-ტინგთან შედარებით გაცილებით ფართოა, ვინაიდან იგი მოიცავს ფაქტორთა დიდ მრავალფეროვნებას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ საზღვარგა-რეთულ ბაზრებზე მარკეტინგის შემდეგ თავისებურებებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამამულო საწარ-მოებისათვის (ფირმებისათვის):

1) საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებული საქმიანობისათვის საჭიროა უფრო მნიშვნელოვანი მიზანსწრაფული ძალისხმევა, მარკეტინგის პრინციპებისა და მეთოდების უფ-რო გულმოდგინედ დაცვა, ვიდრე საშინაო ბაზარზე. საზღვარ-გარეთული ბაზრები უყენებენ მაღალ მოთხოვნებს საქონელს, მის სერვისს, რეკლამას და ა. შ. ეს აიხსნება მწვავე კონ-კურენციით, „მყიდველის ბაზრის“ მოთხოვნებით, ე. ი. მიწო-დების მნიშვნელოვანი გადამეტებით მოთხოვნასთან შედარებით, რაც დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათ-ვის;

2) საზღვარგარეთული ბაზრების, მათი შესაძლებლობების გამოკვლევა (შესწავლა) უფრო რთული და შრომატევადია, ვიდრე საშინაო ბაზრის შესწავლა. აქედან გამომდინარე საწარმო-ექსპორტიორების მიერ შესაბამისი კვლევითი ქვე-დანაყოფების შექმნის აუცილებლობა ან სპეციალიზებული ფირმა – კონსულტანტების მოძებნა იმ ქვეყანაში, რომლის ბაზარზე ხორციელდება ექსპორტი ან ნავარაუდევი საქონლის გატანა სასაქონლო ბაზრების (ბაზრის) შესახებ ინფორმაციის შეძენით გარკვეული საზღაურის საფუძველზე;

3) საზღვარგარეთულ ბაზარზე ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელია მარკეტინგული მეთოდების შემოქმედე-

ბითი და მოქნილი გამოყენება. აქ სტანდარტული მიდგომები არ არის. მიზანშეწონილად ითვლება:

- საზღვარგარეთელ მყიდველებთან პირდაპირი კავშირების დამყარება ან მოქმედება სააგენტო ფირმების მეშვეობით;
- საქონლის ან მისი წარმოების ლიცენზიების, ექსპორტის განხორციელება;
- ბაზრობებზე დამოუკიდებლად ან კონსორციუმების მეშვეობით მონაწილეობა;
- ლიზინგის (საქონლის არენდით გაცემის) როგორც ექსპორტის სტიმულირების საშუალების გამოყენება და სხვ.

ექსპორტის ყველა ეს და სხვა მრავალი ფორმა გამოი-ყენება ბაზრების განვითარების კონიუნქტურისა და პროგ-ნოზების, იქ ჩამოყალიბებული პრაქტიკის, საექსპორტო სა-ქონლის ხასიათის და ა. შ. გათვალსიწინებით;

4) მსოფლიო ბაზრის (უფრო სწორად მყიდველთა) მოთხოვნის მიხედვით საქმიანობის წარმართვა ნიშნავს არა მხოლოდ საქონლის გასაღების იქ მიღებული პირობების დაცვის აუცილებლობას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი საექსპორტო საქონლის დამუშავებასა და წარმოებას, რომელიც ბაზარზე გასვლის რამდენიმე წლის შემდეგაც კი გამოირჩევა მათალი კონკურენტული უნარიანობით.

საერთაშორისო მარკეტინგის მთავარი დანიშნულებაა მსოფლიო ბაზარზე საწარმოს (ფირმის) მართვის (მენეჯმენტის) მიზნობრივი პოზიციების დასაბუთება. საერთაშორისო მარკეტინგის ეს ასპექტი დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი მოწოდებულია ასახოს ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობათა თავისებურებები და საქმიანობის საინვესტიციო მიმართულებები საწარმოებისთვის კულტურათა არატრადიციულ ტიპებში. ქედან გამომდინარეობს მუშაობის სპეციფიკა მარკეტინგის სფეროში, კერძოდ, ბაზრისა და რეკლამის გამოკვლევების ხაზით.

საერთაშორისო მარკეტინგის დამოუკიდებელ მიმართულებად გამოყოფას ხელი შეუწყო სხვადასხვა ფაქტორებმა, მათ შორის: საშინაო მარკეტინგთან შედარებით ბაზრის შესახებ ინფორმაციაზე დიდმა მოთხოვნამ; ინფორმაციის მიღების დიდმა სირთულემ; არატრადიციულმა და უფრო მაღალმა

რისკმა. რისკი ერთი მხარეა, რომელთანაც დაკავშირებულია მოთხოვნილება ინფორმაციაზე. მეორე მხარეა შანსი. თუ საწარმო ფლობს ბაზრის შესახებ სრულ ინფორმაციას, იგი იჩენს დიდ მზადყოფნას არსებული შანსის დროული და სრულად გამოყენებისთვის, ე. ი. ინფორმაცია წარმოადგენს გამართლებული რისკის ან შანსისა და რისკის დაბალანსების პირობას.

საერთაშორისო მარკეტინგზე მოთხოვნილების წარმო-შობა დაკავშირებულია ეპიზოდური საქმიანობიდან (რომელიც ეფუძნება ცალკეული ფირმების საქონლისა და მომსახურების მიმართ ბუნებრივ ინტერესს) გადასვლასთან საერთაშორისო ბიზნესის განხორციელებაზე, კერძოდ საერთაშორისო ვაჭრობაზე, რომელიც ემყარება საზღვარგარეთული ბაზრების სისტემატურ და ინტენსიურ დამუშავებას. საერთაშორისო მარკეტინგის ეს მნიშვნელობა ამჟამად განუზომლად გაიზარდა, იმიტომ, რომ იგი გახდა მსოფლიო ბაზარზე საწარმოების (ფირმების, კომპანიების) წარმატებითი ფუნქციონირების აუცილებელი პირობა.

განვითარებული ქვეყნების ფირმების ბიზნესისთვის საერთაშორისო მარკეტინგი საქმიანობის ჩვეულებრივი სფეროა, როგორც ტრადიციული მისთვის ფართო მონაწილეობა უცხოურ ბაზრებზე. ამასთან, თითოეული ქვეყნის კომპანიებისათვის (ფორმებისათვის) „მარკეტინგული“ პოლიტიკა (სტრატეგია) უნდა აიგოს მისი ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, ნიდერლანდების, ახალი ზელანდიის ფირმები საზღვარგარეთ ყიდიან მთელი გამოშვებული პროდუქციის ნახევარზე მეტს. ამით მიიღწევა დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფა. აშშ არის მსოფლიოში უმსხ-ვილესი ექსპორტიორი ქვეყანა. აბსოლუტური მაჩვენებლე-ბით, მისი ექსპორტი შეადგენს მთლიანი ეროვნული პროდუქ-ტის ღირებულების სულ მცირე 10 პროცენტზე მეტს. მაგრამ ამერიკული ფირმებისთვის საერთაშორისო მარკეტინგის მნიშვნელობა განისაზღვრება ძირითადად ორი ფაქტორით: ერთ-ერთი მათგანია მარკეტინგულ შესაძლებლობათა შესუს-ტება (შემცირება) ანუ კონიუნქტურის ცვლილება საშინაო ბაზარზე.

მოცემულ სიტუაციაში მარკეტინგის პოზიციიდან გასათვალსიწინებელია: მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპების შენელება, მთავრობის მიერ ანტიმონოპოლიუ-რი პოლიტიკის გატარება, საგადასახადო წნეხი, სახელმწი-ფოს მიერ საწარმოთა (ფირმების) წაბიძგება საზღვარგარე-თულ ბაზრებზე გასვლისაკენ. მეორე მხრივ, ამერიკული ფირმების ჩაბმა საერთაშორისო ბიზნესში დაკავშირებულია საბაზრო შესაძლებლობათა ზრდასთან, რაც იქმნება მათი საქონლისათვის სხვა ქვეყნებში. ამასთან მათ არ აწუხებთ პრობლემები, რომლებიც გადასაწყვეტია საზღვარგარეთული ოპერაციების განხორციელებისას.

სსრ კავშირის დაშლისა და სუვერენული სახელმწიფოების შექმნით საქართველოსთვის ყალიბდება პრინციპულად ახალი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა, მეზობელ ქვეყნებთან. საერთაშორისო მარკეტინგის აქტუალობა ახალი ქვეყნების ფირმებისათვის განისაზღვრება იმით, რომ ისინი გადადიან ავტარკიული (ჩაკეტილი, დახურული) ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე. ამ ქვეყნების ძალისხმევა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა (საერთაშორისო ბიზნესის) სფეროში მათი დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის პირობებში არსებითად ანალოგიურია გადასაწყვეტი ეკონომიკური ამოცანების მიხედვით. ამასთან ერთად, თითოეულ ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოში, უნდა დამკვიდრდეს საერთაშორისო მარკეტინგის საკუთარი სტრატეგია, რომელსაც ექნება აშკარად გამოხატული თავისი სახე (განსხვავებული სხვებისაგან). ჩვენმა ქვეყანამ უნდა ჩამოაყალიბოს საბაზრო ეკონომიკის თავისი (ეროვნული) მოდელი, რომელიც არ იქნება იაპონური, ამერიკული, დასავლეთევროპული, ჩინური და ა. შ. მოდელების ასლი, არამედ ასახავს ჩვენს რეალობასა და მის სპეციფიკას.

ამგვარად, როცა საუბარია საერთაშორისო მარკეტინგზე, როგორც წესი, მხედველობაში აქვთ არა ექსპორტი ან სხვა მსგავსი საქმიანობა პროდუქციის გასაღებისა და მომსახურების სფეროში საერთაშორისო ბაზარზე, არამედ საწარმოო, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, გასაღებითი კოოპერაცია და თანამშრომლობა, ანუ საერთაშორისო ბიზნესის განხორციე-

ლება მარკეტინგული კვლევების საფუძველზე. ამასთან, აუცილებელი პირობაა უცხოელი პარტნიორის არსებობა. ე. ი. ვიდრე მიიღებდეს გადაწყვეტილებას საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის შესახებ საწარმომ (ფირმამ) უნდა დაამუშაოს ზოგადად მაინც საერთაშორისო მარკეტინგის თავისი კონცეფცია (თავისი საერთაშორისო ბიზნესის განვითარების კონცეფციის ჩარჩოებში), ხოლო შემდეგ უკვე შეუდგეს საერთაშორისო მარკეტინგის საკითხების დეტალურ დამუშავებას. საქართველოში უნდა დამკვიდრდეს საერთაშორისო მარკეტინგის ეროვნული კონცეფცია.

მაშასადამე, საერთაშორისო მარკეტინგის დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად გამოყოფა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

1) საშინაო მარკეტინგთან შედარებით დიდი მოთხოვ-ნილება ინფორმაციაზე;
2) ინფორმაციის მიღების სირთულე;
3) არატრადიციული და უფრო დიდი რისკი საერთაშორისო ბაზარზე.

საერთაშორისო მარკეტინგზე მოთხოვნილების წარმოშობა დაკავშირებულია ცალკეული ფირმების საქონლის მიმართ ბუნებრივ ინტერესებზე დამყარებულ ეპიზოდური საქმიანობიდან საერთაშორისო ბიზნესზე გადასვლასთან, რომელიც ემყარება საერთაშორისო (საგარეო) ბაზრების სისტემატურ და ინტენსიურ დამუშავებას (გამოკვლევას). ამჟამად საერთა-შორისო მარკეტინგის ეს დანიშნულება განუზომლად იზრდე-ბა მსოფლიო ბაზარზე.

## მენეჯმენტისა და მარკეტინგის ურთიერთკავშირის საკითხისათვის

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ხმარებაში შემოვიდა ისეთი კატეგორიები, როგორიცაა „ბიზნესი", „მარკეტინგი", „მენეჯმენტი", რომლებიც ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან: მარკეტინგი აღიარებულია ბიზნესის, ხოლო მენეჯმენტი – ბიზნესის მართვის ფილოსოფიად. მიუხედავად ამისა ქართულ ეკონომიკურ და იურიდიულ ლი-

ტერატურაში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული მართებული შეხედულება მოცემული კატეგორიების დეფინიციის შესახებ.

ბიზნესს ბევრი ავტორი ვაჭრობად მიიჩნევს, მეწარმეობას კი – წარმოებად. ბიზნესი ზოგჯერ ყოველგვარი ლოგიკის გარეშე საქმოსნობად მოიაზრება, ბიზნესმენი კი – საქმოსნად, რაც არასწორია. ბიზნესი, მეწარმეობა მრავალფეროვანი საქმიანობაა და მოიცავს როგორც წარმოების, ასევე მომსახურების სფეროს; ბიზნესმენი საქმის კაცია, საქმიანი ადამიანია. აღსანიშნავია, რომ ქართული იურიდიული ლიტერატურიდან და ნორმატიული აქტებიდან საერთოდ ამოღებულია ბიზნესი და იგი შეცვლილია ტერმინით „მეწარმეობა" („სამეწარმეო საქმიანობა") მაშინ, როდესაც მეწარმეობა ბიზნესის შემადგენელი ნაწილია და ინოვაციურ ბიზნესს წარმოადგენს [1]. რუსულ ლიტერატურაში ბიზნესი და მეწარმეობა გაიგივებულია ერთმანეთთან, ე. ი. ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენება. მეტწილად ასეთი ვითარებაა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაშიც. გერმანიაში მხოლოდ ტერმინი „მეწარმეობა" გამოიყენება[1].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მარკეტინგი და მენეჯმენტი, როგორც საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მეცნიერებანი, XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. მათი სამშობლო აშშ-ია. ამიტომ ყოვლად უსაფუძვლოა მეცნიერების ამ დარგების შუა საუკუნეების პერიოდის, ან უფრო ადრინდელ მოვლენებთან დაკავშირება, მით უმეტეს თანამედროვე ეტაპზე არასამთავრობო, არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციების საქმიანობასა და მართვასთან. [2. 11; 3. 4].

ბიზნესი, მეწარმეობა საწარმოს (ფირმის) მოგების მიღებაზე გამიზნული სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობაა საქონელზე (მომსახურებაზე) მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმა-

---

[1] *როგორც აღინიშნა, გერმანელებს უყვართ ტერმინის (ცნების) მხოლოდ ერთი მნიშვნელობით ხმარება და "ბიზნესს" არ იყენებენ. ისინი არ ხმარობენ „ეკონომიკასა" და „ეკონომიკურს" და, როგორც მათ სინონიმებს, "მეურნეობას" და „მეურნეობრივს" (სამეურნეოს) იყენებენ,. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ ქართველი და გერმანელი იურისტების ერთობლივი მუშაობის შედეგია. მასში არ გამოიყენება ტერმინი „ბიზნესი". ამ კანონის გავლენით სახელმწიფო სტატისტიკამაც დაიწყო მის ნაცვლად მეწარმეობის (სამეწარმეო საქმიანობის) ხმარება.*

ყოფილების გზით; მარკეტინგი კი – მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის წარმართული საქმიანობაა. მენეჯმენტი ამ სახეობის საქმიანობათა მართვაა (პირდაპირი მნიშვნელობით – ბიზნესის მართვაა) [1].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ცნებებმა „მენეჯმენტი" და „მენეჯერი" შეცვალეს „მართვა" და ხელმძღვანელი". [3. 4]. მაგალითად, სახელმწიფო სტრუქტურებში (არაკომერციულ ორგანიზაციებში), როგორც წესი, გამოიყენება ცნებები „მართვა" და „ხელმძღვანელი" (სახელმწიფო მოხელე) და არა „მენეჯმენტი" და „მენეჯერი". მენეჯმენტისა და მარკეტინგის არსის შესახებ ჩვენი მოსაზრებები გადმოცემულია სახელმძღვანელოებში, რომლებიც ჩვენი თანაავტორობითა და რედაქტორობით გამოიცა [4. 13-18; 24-28]. მენეჯმენტის არსის შესახებ ჩვენი მოხსენება 2005 წლის 25 ნოემბერს მოისმინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის კათედრამ.

რაც შეეხება მენეჯმენტისა და მარკეტინგის ურთიერთდამოკიდებულებას, ამის შესახებ ჩვენი მოსაზრება პირველად მოვახსენეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც უნივერსიტეტის 80 წლისთავს მიეძღვნა (მოხსენების თეზისები დაიბეჭდა კონფერენციის მასალებში). საკვლევ საკითხზე ჩვენი შეხედულებები გამოქვეყნებულია მთელ რიგ ნაშრომებში. მათი ძირითადი შინაარსი ასეთია: „ეკონომიკურ ლიტერატურაში მარკეტინგს განმარტავენ როგორც საწარმოების (ორგანიზაციების) მართვის სისტემას, როგორც წარმოება-გასაღების მართვის სისტემას (მმართველობით პროცესს) ან კიდევ, როგორც მართვის საბაზრო კონცეფციას და, ამგვარად, მას მენეჯმენტთან აიგივებენ. მართალია, საწარმოს (ფირმის) დონეზე მენეჯმენტი და მარკეტინგი გადაჯაჭვულია ერთმანეთთან, მაგრამ მენეჯმენტი გაცილებით უფრო ფართო ხასიათის საქმიანობაა, ვიდრე მარკეტინგი. მენეჯმენტი საწარმოს (ორგანიზაციის) ფუნქციონირების ყველა მიმართულების, მათ შორის, მარკეტინგული საქმიანობის მართვასაც ნიშნავს. ავტორთა ნაწილი მარკეტინგს მენეჯმენტის (მარ-

თვის) ერთ-ერთ ფუნქციად თვლის. ე. ი. მენეჯმენტი მოიცავს საწარმოს (ფირმის) საქმიანობის ყველა მიმართულების, სახელდობრ წარმოების, მარკეტინგის, ფინანსების, კადრების და ა. შ. მართვას [6. 58; 7. 268].

ამ ფონზე გაკვირვებას იწვევს გ.გუნიას მოსაზრება მენეჯმენტისა და მარკეტინგის წინააღმდეგობის შესახებ, რასაც იგი საქონლის სახმარ და საცვლელ ღირებულებას შორის წინააღმდეგობას უკავშირებს [8. 56]. მენეჯმენტისა და მარკეტინგის მრავალწახნაგოვან ცნებათა ურთიერთდამოკიდებულების (ურთიერთკავშირის თუ წინააღმდეგობის) დაკავშირება საქონლის ორ მხარესთან მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს შემდეგი მარტივი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, მარკეტინგის პირველი ძირითადი და წამყვანი ფუნქციაა ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მარკეტინგის კომპლექსთან (დაწყებული 4 P-თი და დამთავრებული 9 P-თი ტურისტული მომსახურების სფეროში): მოთხოვნა, მიწოდება, ფასი და სხვ.; მეორე, როგორც აღინიშნა, მენეჯმენტი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მარკეტინგი და იგი მოიცავს საწარმოს (ორგანიზაციის) საქმიანობის ყველა მიმართულების: წარმოების, მარკეტინგის, ფინანსების, კადრების და ა. შ. მართვას. ამრიგად, მოსაზრება მენეჯმენტსა და მარკეტინგს შორის წინააღმდეგობის, მით უმეტეს, სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობის ან თანდათანობით გამწვავების შესახებ მიუღებელია როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით.

ჩვენ არ შევჩერდებით ძირითადი საკითხის „გაშუქების" ავტორისეულ „არგუმენტაციაზე", რომელიც უმთავრესად გადმოცემულია ჯ. ა. ქოულის წიგნის „მენეჯმენტის საფუძვლები" და რ. მორდენის სახელმძღვანელოს „მარკეტინგის საფუძვლები" მიხედვით (სადაც, ჩვენი აზრით, მართებულად არის ახსნილი მენეჯმენტისა და მარკეტინგის არსი – გ. შ.). მოვიტანთ ვრცელ ამონარიდებს სტატიიდან იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად და როგორ „ასაბუთებს" ავტორი მენეჯმენტისა და მარკეტინგის წინააღმდეგობას, რაოდენ წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანია სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები:

„ჩვენი სტატიის მიზანია ნათელი მოჰფინოს ერთ მტკივნეულ საკითხს, რომელმაც ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა არათუ დასაბუთება სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში, არამედ საერთოდ არც დაუყენებიათ ეს საკითხი. ესაა სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობა მენეჯმენტსა და მარკეტინგს შორის. მარკეტინგი როგორც საბაზრო ეკონიმიკის აუცილებელი მომენტი, დიდი ხანია შესწავლის საგანია და XX საუკუნის პირველ ნახევარში ცალკე მეცნიერების კუთვნილებაც კი გახდა. მაგრამ მართვის პრობლემა კაცობრიობის ზოგადი თანამგზავრია. ისიც ფაქტია, რომ მართვის მეცნიერებამ მენეჯმენტის სახელწოდება მიიღო და ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბდა სწორედ მარკეტინგის თითქმის პარალელურად, ამიტომ მათი დიალექტიკური კავშირი საგანგებოდ არის შესწავლილი. საქმე ისაა, რომ თუ მენეჯმენტი ზოგადად მოვლენათა მართვას გულისხმობს, ის საბაზრო ეკონომიკის პირობებში მარკეტინგზეა აგებული.  ეს უკანასკნელი კი მიმოქცევის სფეროს ანალიზს ***ახდენს*** და უმთავრესად ბაზრის მოთხოვნილებათა შესწავლით არის დაკავებული. გარეგნულად მათ შორის არავითარი წინააღმდეგობა არ ჩანს. მაგრამ ეს ასე გარეგნულად და რაც წინ მიდის საზოგადოება, ამ ორ მოვლენას შორის წინააღმდეგობა თანდათან მწვავდება.

***მენეჯმენტი, და ეს საკითხიც საკმაოდ გაბუნდოვანებულია ლიტერატურაში... კაპიტალისტი ის დირიჟორია, რომელიც თავის ორკესტრს მოგების მაქსიმიზაციის მიზნით წარმართავს. ამიტომ იწარმოება ის და იმდენად, რაც და რამდენადაც მოგებით იწარმოება"*** [8. 150-151]. (ხაზგასმა აქ და შემდგომ ჩვენია, – გ. შ.).

ამ ამონარიდში ბევრი უსაფუძვლო, წინააღმდეგობრივი, გაუმართავი და ბუნდოვანი წინადადებაა. პირველ რიგში უნდა ითქვას ის, რომ მართვის მეცნიერება და მენეჯმენტი ერთი და იგივე არ არის. მართვა გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე მენეჯმენტი და მას ადგილი აქვს როგორც საზოგადოებაში, ასევე ბუნებაშიც (მექანიკურ სისტემებშიც). როგორც აღინიშნა, სახელმწიფო სტრუქტურებში (არაკომერციულ ორგანიზაციებში) ტერმინი „მენეჯმენტი" არ იხმარება და მის ნაცვლად გამოიყენება „მართვა". მენეჯმენტი არის მართვა

ბიზნესის სფეროში (კომერციული ორგანიზაციების მართვა). ამიტომ მენეჯმენტი ზოგად მოვლენათა მართვას არ გულისხმობს და მართვის მეცნიერებას არ მიუღია მენეჯმენტის სახელწოდება. ზოგად მოვლენათა მართვა (თუ ასეთი გამოთქმა საერთოდ მისაღებია) განეკუთვნება მართვის მეცნიერებას, რომელიც იკვლევს საზოგადოდ მართვის პრობლემებს („კაცობრიობის ზოგადი თანამგზავრია”). მაგალითად, არსებობს მეცნიერული დისციპლინა სახელმწიფოს მართვის შესახებ, კიბერნეტიკა როგორც მეცნიერება მართვის ზოგადი კანონების შესახებ და სხვ. მენეჯმენტი, როგორც მეცნიერული დისციპლინა სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობის (ბიზნესის) მართვის შესახებ, განეკუთვნება ეკონომიკურ მეცნიერებათა კატეგორიას. მმართველობით (სამმართველო) საქმიანობას (წარმოების, მარკეტინგის, ფინანსებისა და სხვა დარგში) ახორციელებს მენეჯერი როგორც მართვის სპეციალისტი ბიზნესის სფეროში (უნივერსიტეტებში ისწავლება დისციპლინა „ბიზნესის საფუძვლები”), რომელსაც ქირაობს ბიზნესმენი (ძველი ტერმინოლოგიით – კაპიტალისტი). სწორედ მენეჯერია (და არა კაპიტალისტი) ის დირიჟორი, რომელიც ორკესტრს მართავს. ჯერ კიდევ კ. მარქსმა მიანიშნა მესაკუთრის (იმ დროს კაპიტალისტის) საქმიანობის და მისი ქონების მართვის საქმიანობის დაშორიშორების (დიფერენცირების) შესახებ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენციის გამწვავებამ (XX ს.) განაპირობა პროფესიონალი მმართველების (მენეჯერების) აუცილებლობა. ამიტომაც უაღრესად დიდია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მენეჯერების როლი. თუ გეგმიანი ეკონომიკის (ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის) არსებობისას, სახელმწიფო (შესაბამისი სამინისტრო და უწყება) მართავდა ეკონომიკას (რისი დაგეგმვა შეიძლება, იმის მართვაც შეიძლება), საბაზრო ეკონომიკის დროს მართვა საწარმოებისა და კომპანიების (კორპორაციების) დონეზე ხორციელდება, ხოლო სახელმწიფოს დონეზე მართვას სახელმწიფო რეგულირება და ინდიკატური დაგეგმვა ცვლის, ვინაიდან საწარმოები სახელმწიფო საკუთრებიდან (სამინისტროების დაქვემდებარებიდან) კერძო საკუთრებაში (სექტორში) – ბიზნესის სფეროში გადადიან. ამიტომ ყო-

ველგვარ ლოგიკას მოკლებული და გაუგებარია მსჯელობა: „დიდი დეპრესია იყო საჭირო, რათა კაპიტალიზმი მიმხვდარიყო, რომ უნდა გაძლიერდეს სწორედ მენეჯმენტი და სახელმწიფო რეგულირება, რაც ცალკეული კაპიტალისტის თუ კაპიტალისტთა მთელი განსაკუთრებული კლასის საწინააღმდეგოა. ცალკეული კაპიტალისტი თუ კაპიტალისტთა განსაკუთრებული კლასის ფენა... გულდასმით სწავლობს მარკეტინგს" [8. 151-152].

ასევე ულოგიკო და გაუგებარია მარკეტინგთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს მენეჯმენტი ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბდა სწორედ მარკეტინგის თითქმის პარალელურად და ის საბაზრო ეკონომიკის პირობებში მარკეტინგზეა აგებული. ეს უკანასკნელი კი მიმოქცევის სფეროს აანალიზებს და უმთავრესად ბაზრის შესწავლითაა დაკავებული. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მარკეტინგის წარმოშობა თავიდანვე მართლაც იყო დაკავშირებული მიმოქცევის სფეროს ანალიზთან, მაგრამ თანამედროვე მარკეტინგის მთავარი სფერო დღეს წარმოებაა და მისი უპირველესი ამოცანაა წარმოების შეგუება ბაზრის მოთხოვნებთან. ამასთანავე, ბაზრის შესწავლით არ ამოიწურება მარკეტინგის როლი. იგი, ამავე დროს, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ბაზარზე და მომხმარებელთა მოთხოვნილებისა და მოთხოვნის ფორმირებაზე.

კიდევ ერთი ამონარიდი სტატიიდან: „მენეჯმენტი და მარკეტინგი განსაკუთრებული ფენომენია, ეს ყველასათვის ცხადია. მაგრამ ამ ორი მოვლენის წინააღმდეგობრივი მხარეების ჩვენეული ხედვა უეჭველად ახალია სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში, უკეთუ საკითხს ჩვენ წარმოვადგენთ საქონლის ორი მხარის – სახმარი ღირებულებისა და ღირებულების წინააღმდეგობის პრიზმაში... მაგრამ საქონლის ამ ორი დაპირისპირებული მხარის ფონზე მენეჯმენტისა და მარკეტინგის წიმააღმდეგობის ჩვენება და ანალიზი პირველი ცდაა, და, ცხადია, მას ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის პრეტენზია არ აქვს.

მოკლედ შევჩერდეთ იმ განსხვავებაზე, რომელიც მენეჯმენტსა და მარკეტინგს შორის არსებობს. ძალზე საინტერე-

სოა ეს საკითხი წარმოვადგინოთ ქართულ ენაზე ახლახან გამოცემული ჯ. ა. ქოულის წიგნის „მენეჯმენტის“ კრიტიკული განხილვის ფონზე.

სახელმძღვანელოს მესამე ნაწილის თვით დასათაურებაც კი საკმარისია, რომ დავინახოთ მენეჯმენტისა და მარკეტინგის განსხვავება. „მარკეტინგი არის მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუნქცია''... ეს სახელმძღვანელო როგორც ყველა „ეკონომიკსის'' თუ მაკრო და მიკროეკონომიკის უთვალავი სახელმძღვანელო არ ცნობს საქონლის ორ მხარეს...

შედარებით უკეთ არის მარკეტინგის საგანი რ. მორდენის ახლახან ქართულ ენაზე თარგმნილ სახელმძღვანელოში „მარკეტინგის საფუძვლები''... ჯერ ერთი, მარკეტინგი საბაზრო ეკონომიკის ანუ კაპიტალიზმის კუთვნილებაა და მას ადგილი არ ჰქონია (თუმცა გაცვლა და ვაჭრობაც არსებობდა) არც ერთ წინარე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში. მეორე, და ეს არის უმთავრესი, საქმე აქ ისეა წარმოდგენილი, თითქოს მარკეტინგის უპირველესი საზრუნავი იყოს მომხმარებლის მოთხოვნილებები და სურვილები (ამ უკანასკნელს თავი რომ დავანებოთ, რამდენადაც სურვილების დაკმაყოფილება მოსახლეობის ფართო მასებისთვის თვით ე. წ. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოშიც კი მეტადრე უტოპიის სფეროს განეკუთვნება). მარკეტინგის ეს გარეგნულად თითქმის სწორი მიზანი სინამდვილეში ფარავს და შენიღბულს ხდის მეწარმე – კაპიტალისტის ფარულ მიზანს მიიღოს გაცვლის გზით მოგება... [8. 153. 155]. ხაზგასმა ჩვენია, – გ. შ.).

ამ ამონარიდთან დაკავშირებით მოკლედ შევნიშნავთ: როგორც უკვე ითქვა, მენეჯმენტისა და მარკეტინგის მრავალასპექტიანი კატეგორიების დაკავშირება საქონლის ორი მხარის – სახმარი ღირებულებისა და ღირებულების პარადიგმასთან საფუძველშივე მცდარია. როგორც თავად სტატიის ავტორი აღნიშნავს, ჯ. ქოულის სახელმძღვანელო, ასევე „ეკონომიკსის'', აგრეთვე, მაკრო და მიკროეკონომიკის ყველა სახელმძღვანელო, არ იცნობს საქონლის ორ მხარეს. ამასთანავე, ავტორი ამ შემთხვევაში უკვე მსჯელობს რა მენეჯმენტსა და მარკეტინგს შორის არსებულ განსხვავებაზე და არა წინააღმდეგობაზე, წერს, თითქოს, რ. მორდენის სახელმძღვანელოს მიხედვით,

მარკეტინგის უპირველესი საზრუნავი მომხმარებლის მოთხოვნილებები და სურვილებია, რაც უტოპიის სფეროს განეკუთვნება.[1] გ. გუნიას აზრით, მარკეტინგის ეს, გარეგნულად თითქოს სწორი მიზანი, სინამდვილეში ფარავს და შენიღბულს ხდის მეწარმე-კაპიტალისტის (ალბათ მწარმოებელი ბიზნესმენის – გ. შ.) ფარულ მიზანს, მიიღოს გაცვლის გზით მოგება. რა თქმა უნდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი საწარმოს (ორგანიზაციის) მარკეტინგის სამსახურის საბოლოო მიზანია მოგების მიღების ხელშეწყობა მომხმარებელთა მოთხოვნილებისა და მოთხოვნის კონკურენტებთან შედარებით უკეთ შესწავლისა და მათი დაკმაყოფილების გზით. ამასთანავე, არ შეიძლება საბაზრო ეკონომიკის გაიგივება კაპიტალიზმთან, როგორც ამას სტატიის ავტორი აკეთებს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ცნობილი ამერიკელი მარკეტოლოგის, პროფ. ფ. კოტლერით დაწყებული და ქართველი სწავლული ეკონომისტებით დამთავრებული, ყველანი მარკეტინგის მთავარ საზრუნავად სწორედ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს და მათ დაკმაყოფილებას მიიჩნევენ. სამწუხაროა, რომ სტატიის ავტორი ჯეროვნად არ იცნობს ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურას მარკეტინგისა და მენეჯმენტის შესახებ.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ წარმოების თანამედროვე ორგანიზაციაში მენეჯმენტსა და მარკეტინგს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი და მათ შორის რამე წინააღმდეგობის ძიება უბრალო წყლის ნაყვაა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

უფრო აშკარა რომ გახდეს მენეჯმენტსა და მარკეტინგს შორის წინააღმდეგობის უსაფუძვლობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაკეთდეს ერთგვარი (არასიღრმისეული) ისტორიული ექსკურსი მეცნიერების ამ დარგების ევოლუციის მიმართულებით, კერძოდ, იმ ძირითადი ეტაპების წარმოსაჩენად, რომლებიც უშუალო კავშირშია **მენეჯმენტისა და მარკეტინგის** მეცნიერულ დეფინიციებთან.

---

[1] *სწორედ მომხმარებლის მოთხოვნილებების და სურვილების დაკმაყოფილებაა მარკეტინგის უპირველესი საზრუნავი, ვინაიდან, როგორც ცნობილია, საჭიროება და მოთხოვნილება მარკეტინგის ძირითადი ცნებებია.*

როგორც ცნობილია, მენეჯმენტმა, როგორც მეცნიერულმა დისციპლინამ და სამრეწველო საწარმოთა მართვის პრაქტიკულმა საქმიანობამ, განვითარების (ევოლუციის) მძლავრი იმპულსი XX ს. დასაწყისში შეიძინა. მას შემდეგ იცვლებოდა მისი არსი, სტრუქტურა და შინაარსი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეცნიერთა და სპეციალისტთა თვალთახედვით, საფუძვლად იღებდნენ ამერიკული მენეჯმენტის მიღწევებს, ვინაიდან ბოლო ასწლეულის განმავლობაში მთელი მსოფლიო განიცდიდა იმ მმართველობითი (სამმართველო) იდეების გავლენას, რომლებიც ჩამოყალიბდა და შემდგომი თეორიული და პრაქტიკული განვითარება ჰპოვა აშშ-ში. ამიტომ მენეჯმენტის შესახებ ლიტერატურაში უმთავრესად დომინირებენ ამერიკელი ავტორების (ფ.ტეილორი, ე.მეიო, დ.მაკგრეგორი, ჰ. საიმონი, პ. დრუკერი და სხვ.) მოსაზრებანი, ყველაზე სრულყოფილ სახელმძღვანელოდ კი აღიარებულია ამერიკელი ავტორების მ.მესკონის, მ.ალბერტის და ფ.ხედოურის წიგნი „მენეჯმენტის საფუძვლები", რომელიც არაერთხელ გამოიცა რუსულ ენაზე [9].

გამოყოფენ მენეჯმენტის ევოლუციის ოთხ ეტაპს.

I ეტაპზე (1900-1930 წწ.). მენეჯმენტი არსებობდა მხოლოდ ცალკეული ელემენტების სახით, რომლებიც დაკავშირებული იყო საქონელმოძრაობისა და რეკლამის ორგანიზაციასთან. პრაქტიკულად არ არსებობდა ურთიერთკავშირი მარკეტინგისა და მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკას შორის. ამ პერიოდის ორგანიზაციებში აშკარად იყო გამოყოფილი მენეჯმენტის სამი საბაზო ფუნქცია: წარმოება, ფინანსები და გაყიდვები (გასაღება) და მარკეტინგის ფუნქცია არ არსებობდა. მარკეტინგულ კვლევებში ყურადღება მახვილდებოდა ორგანიზაციის გარემოს ცვლილებებთან დაკავშირებით რესურსების ოპტიმიზაციის პრობლემების შესწავლაზე (მ. ვებერი, ფ. ტეილორი, ა. ფაიოლი). მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების, თეორიული საფუძვლები ყალიბდებოდა უმთავრესად მ. ვებერის (ორგანიზაციის მართვის ბიუროკრატიული, ანუ „რაციონალურ-სამართლებრივი" ფორმა), ფ. ტეილორის (მეცნიერული მენეჯმენტის თეორია) და ა. ფაიოლის (მართვის ფუნქციები) იდეების გავლენით, რომლებიც მართვისადმი რაციონალურ, ანუ ტექნოკრატიულ მიდგომას ემყარებოდა. „რაციონალური ინდივიდი", ანუ „ტექნოკრატი" ეს

არის ადამიანი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს და მოქმედებს ზუსტი რაციონალური ეკონომიკური, ანუ ტექნოლოგიური მოსაზრებების საფუძველზე და, ამასთანავე, უგულვებელყოფს ადამიანისეულ ფასეულობებს. გამოკვლევათა შედეგია ოპერაციათა დანაწევრების მნიშვნელობის დასაბუთება შემადგენელ ნაწილებად – მუშათა შრომის აღრიცხვის (ქრონომეტრაჟის), რეგლამენტაციისა და კონტროლის მიხედვით. ამ დებულებათა ცალმხრივობა აშკარა იყო ორგანიზაციის მართვაში ტექნიკურ წესებსა და მეთოდებზე მეტისმეტი აქცენტირებისა და ადამიანისეული ფაქტორის იგნორირების გამო;

II ეტაპზე (1930-1960 წწ.) ოპერაციული მარკეტინგის ინსტრუმენტები გამოიყენებოდა მხოლოდ როგორც რეაქცია ,ბიზნესის პრაქტიკის მოთხოვნებზე რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო 1930-იან წლების ჭარბწარმოების კრიზისით. ამ პერიოდში მარკეტინგის ფუნქცია გაყიდვების (გასაღების) ფუნქციის ერთგვარ გაგრძელებად მოიაზრებოდა. ამ პერიოდში მუშავდება სოციალური და ორგანიზაციის კოოპერაციული ქცევის თეორიები (ე. მეიო, დ. მაკგრეგორი და სხვ.), ყალიბდება ისეთი მოაზროვნეთა იდეები, როგორებიც იყვნენ ე. მეიო (ხოტორნის ექსპერიმენტი), დ. მაკგრეგორი („X" და „y" თეორიები), ჩ. ბერნარდი (მმართველის ანუ მენეჯერის ფუნქციები). მათი დამსახურებაა მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში მენეჯერების მიერ აქცენტების გადატანა ტექნოკრატიული წარმოდგენებიდან „ორგანიზაციის ადამიანისეული ასპექტების" გაცნობიერების დიდ მნიშვნელობაზე, რასაც ხელს უწყობდა ე. მეიოსა და დ. მაკგრეგორის ექსპერიმენტების სერიები, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ორგანიზაციის სოციალური თეორია. კომპანია „ბელის" პრეზიდენტის პოსტზე ჩ. ბერნარდის მიერ შეძენილი დიდი პრაქტიკული გამოცდილება გახდა კოოპერაციული ქცევის თეორიის შექმნის საფუძველი, რომლის შემდგომ განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ფ. სელეზნიკმა. მან ორგანიზაცია განიხილა მისი პერსონალის ფასეულობათა თვალთახედვით და ამგვარად განჭვრიტა მენეჯმენტისათვის ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობა;

III ეტაპი (1960-1970 წწ.), რომელიც ცნობილია მარკეტინგზე

ორიენტაციის ეტაპის სახელწოდებით, მიჩნეულია ორგანიზაციის მენეჯმენტში მარკეტინგის როლის სერიოზული ამაღლების პერიოდად. ამ დროიდან გარე ძალების (ფაქტორების) უპირველეს ყოვლისა კი, საბაზრო გარემოს დინამიკური ცვლილებების გავლენით მარკეტინგსა და მენეჯმენტს შორის მჭიდრო ურთიერთქმედება მყარდება, ორგანიზაციებში იქმნება სპეციალური ქვედანაყოფები მარკეტინგული ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისათვის (მარკეტინგული კვლევების ჩატარება). ასეთი ინფორმაცია საწარმოების (ფირმების) ეკონომიკური (სამეურნეო) საქმიანობის (ბიზნესის) დივერსიფიკაციის სტრატეგიის შემუშავების საფუძველია. ამ ეტაპზე მარკეტინგის ფუნქცია ორგანიზაციაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ფირმის ყველა სხვა ქვედანაყოფის საქმიანობა მარკეტინგის განყოფილებისა და სამსახურის საბაზრო და საპროგნოზო მონაცემებს ეფუძნება.

მესამე ეტაპთანაა დაკავშირებული ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვისა და კოოპერაციული სტრატეგიის პრობლემების დამუშავება (ი. ანსოფი, ა. ჩანდლერი და სხვ.). ამ ეტაპს ერთდროულად განიხილავენ როგორც ნაბიჯს უკან და ნაბიჯს წინ. ერთი მხრივ, ხდება დაბრუნება ორგანიზაციაში ადამიანის როლის რაციონალური, ანუ მექანისტური წარმოსახვისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ნაბიჯი იდგმება წინ იმ თვალსაზრისით, რომ ორგანიზაცია (ფირმა) საბაზრო ეკონომიკის შემადგენელ ნაწილად განიხილება და იგი მის ფუნქციონირებაზე გარე ფაქტორების გავლენის პოზიციებიდან შეისწავლება. ამ იდეების ფუძემდებლები არიან ა. ჩანდლერი (სტრატეგია და სტრუქტურა), პ. ლოურენსი და ჯ. ლორში (ორგანიზაცია და მისი გარე გარემო) და ი. ანსოფი (კორპორაციული სტრატეგია). მათი მთავარი დასკვნის თანახმად, არსებითი ცვლილებები ორგანიზაციაში განპირობებულია საბაზრო მექანიზმის პერმანენტულად ცვალებადი ზემოქმედებით, რაც მოითხოვს სისტემატურ სტრატეგიულ დაგეგმვას. მიუხედავად წამოყენებული დებულებების პროგრესულობისა, ადამიანისეული ფაქტორის ჯეროვნად შეუფასებლობამ, ისე როგორც პირველ ეტაპზე, ამჯერადაც აუცილებელი გახდა მათში სერიოზული კორექტივების შეტანა.

IV, ბოლო ეტაპი (1970-1980-იანი წლებიდან) მარკეტინგის კონცეფციისა და თანამედროვე მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის ორგანული ურთიერთკავშირის დემონსტრაციის პერიოდია, რაც კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ საწარმოს (ფირმის) დონეზე მარკეტინგი და მენეჯმენტი გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. ასეთი ორგანული ურთიერთკავშირის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი კომერციული ორგანიზაციის ცენტრალური ამოცანის – კლიენტურის (მომხმარებელთა) მოთხოვნის კონკურენტებთან შედარებით უკეთ დაკმაყოფილება მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაცია (ფირმა) ვერ მიაღწევს ძირითად მიზანს – ვერ მიიღებს მოგებას და გაკოტრდება.

მეოთხე ეტაპზე მუშავდება ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა: არაფორმალობა, მეწარმეობა (ბიზნესი) და ევოლუცია ორგანიზაციაში (ჰ. საიმონი, გ. მინცბერგი და სხვ.). ამ ეტაპის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში გამორჩეულია ჰ. საიმონის (შეზღუდული რაციონალურობა და ხელოვნური ინტელექტი), გ. მიცბერგის (მმართველობითი შრომის ბუნება), ჯ. ოლენსის (განუსაზღვრელობა და არჩევანი), კ. უეიკის (ორგანიზაციის სოციალური ფსიქოლოგია) და პ.დრუკერის (ინოვაციები და ინტრაპრენიორობა) წვლილი. კვლევების შედეგად მიღებული მთავარი დასკვნა კი ის არის, რომ ორგანიზაციის „მაგარ" ელემენტებთან ერთად (სტრატეგია, სტრუქტურა და სისტემა), მენეჯმენტში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს „რბილი" მახასიათებლები (ხელმძღვანელობის სტილი, პერსონალის ჩვევები, კომპეტენციები და მნიშვნელობა), რომლებიც ქმნიან ორგანიზაციის (ფირმის) ორგანიზაციულ კულტურას.

ამრიგად, მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი XX საუკუნეში იძლევა შესაძლებლობას, გაკეთდეს დიდმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ თანამედროვე ორგანიზაცია წარმოადგენს მისი მუშაკების საკვანძო კომპეტენციათა ერთობლიობას, რომლების განპირობებულია მისი ორგანიზაციული კულტურის გავლენით. ამავე დროს, ორგანიზაციის მართვა (მენეჯმენტი) განიხილება როგორც დინამიკურ ცვლილებათა შედეგი რომლებიც განპირობებულია მისი

ურთიერთმოქმედებით გარემოსთან და პირველ რიგში საბაზრო მექანიზმის მოთხოვნებთან.

ამჟამად საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებს მარკეტინგი ორგანიზაციის მართვაში (მენეჯმენტში). ამ პრობლემაზე დაწერილია ასობით წიგნი და ათასობით მეცნიერული სტატია. სულ უფრო ფართოდ შუქდება მარკეტინგის როლი თანამედროვე ორგანიზაციის მენეჯმენტში. „მარკეტინგი'' ინგლისურად „ბაზართმცოდნეობას'' (მარკეტ – ბაზარი) ნიშნავს, მაგრამ ტერმინის თარგმანი სრულყოფილად ვერ გადმოსცემს ამ ცნების ადეკვატურ შინაარსს, კერძოდ, მის ყველა ასპექტს. მართალია, „მარკეტინგი'' როგორც ბიზნესდისციპლინა საუკუნეზე მეტია იკითხება აშშ-ის უნივერსიტეტებში, თუმცა, დღემდე ვერ მოხერხდა მისი სწორი და საერთოდ აღიარებული განსაზღვრა.

ცნობილია მარკეტინგის ხუთი ძირითადი დეფინიცია, კერძოდ, მარკეტინგი არის:

1) ნებისმიერი საქმიანობა ბაზრის სფეროში, რომელიც მიმართულია საქონლის გავრცელებასა და მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მიტანაზე გაცვლის საშუალებით (7-8 ათასი წელი, შრომის მესამე საზოგადოებრივი დანაწილების დროიდან). მარკეტინგის ასეთი გაგება, ცხადია, პირდაპირ არ უკავშირდება საკვლევ ცნებას;

2) მეცნიერული დისციპლინა, ანუ თეორიული ცოდნის მეთოდოლოგიური პრინციპებისა და მათზე დაფუძნებული ორგანიზაციის პერსონალის პრაქტიკული ჩვევების სისტემა (XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში). ასეთი განსაზღვრების თანახმად, მოძღვრება მარკეტინგის შესახებ ჩაისახა XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემების გამწვავებამ აიძულა ზოგიერთი დასავლელი ეკონომისტი, ყურადღება მიექცია მიმოქცევის სფეროსათვის როგორც ალწარმოების (კვლავწარმოების) მთელი პროცესის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, წარმოებასა და მოხმარებას შორის უკუკავშირის ქმედითი საშუალებისათვის;

3) ორგანიზაციის კომერციული ინსტრუმენტების კომპლექსი, ანუ ოპერაციული მარკეტინგი (1930-იანი წლებიდან). ამ შემთხვევაში იგულისხმება გაყიდვების სასურველი მოცულო-

ბის უზრუნველყოფის კლასიკური კომერციული პროცესი ტაქტიკური საშუალებების გამოყენების გზით, რომლებიც უშუალო კავშირშია პროდუქტთან (საქონელთან), მის გავრცელებასთან, ფასთან და კომუნიკაციასთან, ე. ი. მარკეტინგის კომპლექსის ძირითად ელემენტებთან (4 „P“). მარკეტინგის არსის ასეთი გაგება ფართოდ გავრცელებულია ან ტრადიციულია, მაგრამ ზოგჯერ განაპირობებს მცდარ დასკვნებს ორგანიზაციის მართვაში მისი როლის შესახებ (საქონლის გაყიდვის ტრადიციული სისტემა);

4) ორგანიზაციის (ფირმის) ბიზნესის ახალი ფილოსოფია (1960-იანი წლების დასაწყისიდან). ასეთი მიდგომის არსი თავის გამოხატულებას პოულობს მენეჯმენტის კლასიკოსის, პ.დრუკერის გამონათქვამში: „არსებობს ბიზნესის (მეწარმეობის) მიზნის მხოლოდ ერთი დასაბუთებული განსაზღვრა-კლიენტის შექმნა [10. 264]. ორგანიზაციის მართვაში (მენეჯმენტში) აქცენტი გადატანილია მოგების მაქსიმიზაციის საქმიანობიდან მასობრივი წარმოებისა და პროდუქტის გაყიდვების ინტენსიფიკაციის ხარჯზე მყიდველთა (მომხმარებელთა) მოთხოვნისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ასეთ შემთხვევაში მარკეტინგი განიხილება როგორც სისტემა, რომლის დროსაც მმართველობითი (სამმართველო) გადაწყვეტილების საფუძველია საბაზრო ინფორმაცია, ხოლო გადაწყვეტილებათა დასაბუთება მოწმდება მომხმარებლის მიერ პროდუქტის (საქონლის) ყიდვის შედეგად. თუ მანამდე აქცენტი კეთდებოდა გამყიდველის საჭიროებებზე (გამყიდველის ბაზარი), ამ დროიდან აქცენტი გადატანილია მომხმარებელთა მოთხოვნაზე (მყიდველის ბაზარი);

5) ორგანიზაციის მენეჯმენტის კონცეფცია ბაზარზე ორიენტაციით, ანუ ე. წ. სტრატეგიული მარკეტინგი (1970-იანი წლებიდან დღემდე). ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მარკეტინგის კონცეფციის ანალიტიკურ ასპექტზე, ანუ ბაზრის გამოკვლევაზე, რაც გულისხმობს მომხმარებელთა მოთხოვნილებისა და მოთხოვნის სისტემატურ ანალიზს პროდუქტების (საქონლის) ახალი კონცეფციის შემუშავების მიზნით. სტრატეგიული მარკეტინგის როლის გაძლიერებას უკავშირებენ სამ ფაქტორს: ა) მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწე-

ვების გავრცელების (დანერგვის) დაჩქარება; ბ) ორგანიზაციების (ფირმების) ბაზრების უმრავლესობის სიმწიფის სტადიამდე მიღწევა; გ) ბაზრების მზარდი ინტერნაციონალიზაცია როგორც საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისათვის ბარიერების თანმიმდევრულად მოხსნის შედეგი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მარკეტინგის კონცეფციის იდეოლოგიურ ასპექტს, ანუ „აზროვნების წესს", რომელიც გაიგება როგორც ორგანიზაციაში საბაზრო მექანიზმის კულტურის შექმნა, რომლის ცენტრალურ ელემენტს, ანუ იდეას წარმოადგენს ფირმის მთელი პერსონალის ძალისხმევის კონცენტრაცია კლიენტების მომსახურებაზე.

მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის ევოლუცია და მარკეტინგის არსის გაგებისადმი ზემოთ განხილული მიდგომის შედარების საფუძველზე მიზანშეწონილია, გაანალიზდეს მათი ურთიერთკავშირი და განისაზღვროს მარკეტინგის როლი თანამედროვე ორგანიზაციის მენეჯმენტში მარკეტინგის ევოლუციის ეტაპების გათვალისწინებით, რაც თვალნათელს გახდის მეცნიერების ამ დარგებს შორის მჭიდრო კავშირს და გამორიცხავს მათ შორის რაიმე წინააღმდეგობას.

**ლიტერატურა**


1. გ. შუბლაძე. საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები. თბ., 2004.
2. ზ. გრიგოლაშვილი. მარკეტინგი. თბ., 1999.
3. ნ. პაიჭაძე, თ. ხომერიკი, გ. შიხაშვილი, თ. ხვინთელიანი. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2005.
4. გ. ბაბუნაშვილი, ბ. მღებრიშვილი, გ. შუბლაძე. მენეჯმენტი. თბ., 1998.
5. მარკეტინგი. სახელმძღვანელო პროფ. გ. შუბლაძის რედაქციით, თბ., 1999.
6. გ. შუბლაძე. მარკეტინგისა და საერთაშორისო მარკეტინგის არსისა და დეფინიციის საკითხისათვის. ჟურ. „კომერსანტი", № 2, 2007.
7. გ. შუბლაძე. საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები, IV ტომი, 2004.
8. გ. გუნია. მენეჯმენტისა და მარკეტინგის წინააღმდეგობის შესახებ. ჟურ. „ეკონომიკა", № 3, 2006.
9. Мескон М.Х., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента. М., 2005.


*(ჟურნალი „კომერსანტი", № 1(5) 2008 წ.)*

# სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხისათვის

საბაზრო ეკონომიკა ემყარება ბიზნესის თავისუფლებასა და კონკურენციას. გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ფირმა (ორგანიზაცია) ბიზნესის სფეროში კონკურენციის გამწვავების გამო შეიძლება გაკოტრდეს. თუ კარგად არ გაიცნობიერებს თავის მდგომარეობას დარგში[1] და არ განსაზღვრავს თავის გრძელვადიან პერსპექტივებს არა მარტო საშინაო ბაზარზე, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც პოტენციური კონკურენტების საქმიანობის გათვალსიწინებით. ამ მხრივ არსებითი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიულ მენეჯმენტს.

სტრატეგიული მენეჯმენტის მნიშვნელობა ქართული ბიზნესისათვის გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით დიდია კონკურენციის ზრდა და გლობალიზაცია მენეჯერებისაგან მოითხოვენ პროფესიულ მიდგომებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციისადმი. ქართული ბიზნესი მოწოდებულია ჩამოაყალიბოს სტრუქტურული და სტრატე-გიულად ფოკუსირებული ფირმები, რომლებსაც შესწევთ უნა-რი წარმატებით გასწიონ კონკურენცია გლობალური მასშ-ტაბით. ქართველმა მენეჯერებმა თავიანთი ძალისხმევის კონცენტრაცია უნდა მოახდინონ ოპტიმალურ სტრატეგიულ ალტერნატივებზე, ვინაიდან საქართველო ხდება გლობალური ეკონომიკისა და ბიზნესის ნაწილი. ეროვნულ ფირმებს მოუ-წევთ კონკურენცია არა მარტო საშინაო ბაზარზე, არამედ მსოფლიო ბაზარზეც საერთაშორისო ფირმებთან, და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ თანამეგობრობაში ინტეგრაციის კვალობაზე კონკურენცია უფრო გამწვავდება ქართული ფირმების საგარეო ბაზრებზე გასვლასთან დაკავ-შირებით.

ჯერჯერობით ქართული საწარმოები (ფირმები) უმთავრესად კონკურენციაში აღწევენ წარმატებას ფასების ფაქტორის საფუძველზე, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში განწირულია მარცხისათვის. საქართველოსთან შედარებით ბევრი ქვეყნისთვის ხელმისაწვდომია გაცილებით იაფი რესურსები,

---

[1] *დარგში მოიაზრება ფირმების (კომპანიების) ჯგუფი, რომლის პროდუქ-ციას გააჩნია მსგავსი სამომხმარებლო თვისებები და განკუთვნილია ერთი და იგივე ტიპის მომხმარებლებისთვის.*

რომლებიც უზრუნველყოფენ დანახარჯების შემცირების დიდ შესაძლებლობებს. ამიტომ ფირმების სტრატეგიების შერჩევა ბოლო დროს ხდება არა მცირე დანახარჯების საფუძველზე კონკურენციის განხორციელებით, არამედ მომხმარებლებთან, კლიენტებთან სიახლოვის (მათი მოთხოვნის გათვალისწინების) საფუძველზე. ამასთან თუ ადრე დომინირებდა ძირითადად კონკურენტულ უპირატესობათა საპოზიციო წყაროები – ისტორიულად ჩამოყალიბებული მონოპოლიური პოზიცია ბაზარზე, პრივილეგიური ურთიერთობები სახელმწიფო მოხელეებთან, მიმწოდებლებთან, მომხმარებლებთან, ამჟამად მყარი კონკურენტულ უპირატესობათა საფუძველია ფირმის უნიკალური კომპეტენციები, რომლებიც მას აძლევს შესაძლებლობას შექმნას დამატებითი ფასეულობა მომხმარებ-ლებისათვის, რაც განასხვავებს მას კონკურენტებისაგან.

მაშასადამე, გლობალიზაციის პირობებში ფირმების (კორპორაციების) მართვისას სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სტრატეგიული მენეჯმენტი, რომელიც გახდა სავალდებულო მეცნიერული დისციპლინა (სასწავლო კურსი) ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ცნებას „სტრატეგიული მენეჯმენტი“ ცვლიან ცნებით „სტრატეგიული მართვა“, რაც არამართლზომიერია. საქმე ის არის, რომ ქართული „მართვა“ და ინგლისური „მენეჯმენტი“ სინონიმები არ არის და მათი იდენტური მნიშვნელობით გამოყენება არ არის მართებული.[1] თავისი შინაარსით ტერმინი „მენეჯმენტი“ ტერმინ „მართვას“ გულისხმობს, მაგრამ იგი, როგორც წესი, გამოიყენება ეკონომიკური (სამეურნეო) საქმიანობის (ბიზნესის) მართვასთან მიმართებაში საწარმოს (ფირმის) დონეზე, რომელიც ფუნქ-ციონირებს საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მოვიტანოთ ცნობილი ამერიკელი პროფესორის პიტერ დრუკერის მოსაზრება: „ასი წლის წინათ, როდესაც კარლ მარქსმა დაწერა თავისი „კაპიტალი“ (Das Kapital), ცნება **მენეჯმენტი** ბუნებაში არ არსებობდა... საერთოდ

[1] *ტერმინი „მენეჯმენტი“ ამერიკული წარმოშობისაა და სხვა ენაზე, მათ შორის ქართულ ენაზე, არ ითარგმნება.*

არ იყო „მენეჯერები“, იყო მხოლოდ ე. წ. „ბრიგადირები“, რომლებიც იცავდნენ დისციპლინას თავიანთ ხელქვეითთა – „პროლეტარების“ ჯგუფებს შორის“.[1] აშშ-ში მენეჯმენტი როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ასევე მეცნიერულ სამყაროშიც გაიგივებულია მხოლოდ „ბიზნესის მენეჯმენტთან“.[2]

ტერმინი „მართვა“ გაცილებით ფართოა, ვიდრე „მენეჯმენტი“, რამდენადაც მართვა ხორციელდება როგორც საზოგადოებაში, ასევე ბუნებაში (მექანიკურ სისტემაშიც) და იგი ნიშნავს ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სახეობას (ავტომობილის მართვა, სახელმწიფოს მართვა და ა. შ.). ამრიგად, ტერმინი „მენეჯმენტი“ მიესადაგება ბიზნესის სფეროს, ორგანიზაციებს (საწარმოებს, ფირმებს, კომპანიებს, კორპორაციებს), მაგრამ როდესაც საქმე ეხება, მაგალითად, სახელმწიფო ორგანოებს (ორგანიზაციებს) ნებისმიერ დონეზე გამოიყენება „სახელმწიფო მართვა“, ე. ი. მენეჯმენტი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს კომერციული (მოგების მიღებაზე გამოზნული) ორგანიზაციების მართვას. არაკომერციულ ორგანიზაციებში, სახელმწიფო სტრუქტურებში უნდა იქნეს გამოყენებული „სტრატეგიული მართვა“ და არა „სტრატეგიული მენეჯმენტი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია განცხადება იმის შესახებ, რომ ცნებებმა „მენეჯმენტი“ და „მენეჯერი“ შეცვალეს[3] „მართვა“ და „ხელმძღვანელი“.[4] ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მენეჯერი ბიზნესმენის – ფირმის მფლობელის (მესაკუთრის) მიერ დაქირავებული მართვის სპეციალისტია (მმართველია).

---

[1] *Друкер П. Ф. Энциклопедия менеджмента (пер. с англ.), М., 2008. с. 19.*

[2] *იქვე. გვ. 99.*

[3] *ან ნაწილობრივ შეცვალეს.*

[4] *ნ. პაიჭაძე, თ. ხომერიკი, გ. შიხაშვილი, თ. ხვინთელიანი. მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2005, გვ. 4.*

**МЕЖДУНАРОДНАЯ АКАДЕМИЯ МЕНЕДЖМЕНТА**

Профессору, члену Большого совета Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили, д.э.н., академику-секретарю Академии экономических наук Грузии, директору НИИ маркетинга Г. Ш. Шубладзе.

24 ноября 2005 г.

**Уважаемый Георгий Шалвович!**

Ваше письмо, которое можно считать заявлением о приеме в члены Международной Академии менеджмента, было рассмотрено на заседании Президиума.

Мне приятно сообщить Вам, что члены Президиума едино-гласно проголосовали по данному вопросу.

При обсуждении Вашей кандидатуры отмечалась обширная научно-педагогическая и методологическая работа, большой опыт руководящей деятельности в научно-исследовательных учреждениях.

По уставу избрание членов-корреспондентов и академиков проходит на общем Собрании Международной Академии менеджмента по рекомендации членов Академии.

Очередное Собрание Академии состоится 8 июня 2006 года.

Более подробно об условиях избрания Вы можете узнать в Дирекции Академии по телефонам: (095) 298 48 54; 298 47 95; 298 49 75.

С уважением,
Президент,
академик РАН С. А. Ситарян

# 4. ეკონომიკური თეორიის დეფინიციის შესახებ

## ეკონომიკური თეორიის დეფინიციის საკითხისათვის გლობალიზაციის პირობებში

გლობალიზაციის ფენომენი ძველი სტერეოტიპების მსხვრევითა და თავბრუდამხვევი ტემპით შემოიჭრა XXI საუკუნის სინამდვილეში და კაცობრიობის წინაშე დააყენა ეკონომიკის პრობლემების ახლებურად გაანალიზებისა და გადაწყვეტის საკითხი. ეს მოითხოვს ეკონომიკაში მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ჯეროვან მეცნიერულ ანალიზსა და განზოგადოებას გლობალიზაციის ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა გადამწყვეტი როლი აკისრია ეკონომიკურ თეორიას, რომელიც როგორც მეცნიერება ჩამოყალიბებას იწყებს XVI საუკუნიდან და დაახლოებით XX საუკუნის დასასრულამდე ცნობილი იყო პოლიტიკური ეკონომიის სახელწოდებით. იგი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა ერთადერთ ეკონომიკურ მეცნიერებას.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური თეორიის არსისა და როლის სწორი გარკვევისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია პირველ რიგში ეკონომიკური თეორიის მართებული დეფინიცია.[1]

საქმე ის არის, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მიღწეული ბოლო დრომდე ერთიანი შეხედულება ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში. ჯერ ერთი, XX საუკუნის 90-იან წლებამდე ჩვენთან ეკონომიკური აზრის უკანასკნელ მიღწევად მიჩნეული იყო მარქსიზმ-ლენინიზმი, რომლის მიხედვით პოლიტიკური ეკონომია (მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი) წარმოადგენდა პარტიულ, კლასობრივ მეცნიერებას. ამასთანავე დასავლეთის ეკონომისტების (პირველ რიგში ამერიკელების) შეხედულებას აღიარებდნენ როგორც ბურჟუაზიულ თეორიას, რომელიც ეწეოდა იქ არსებული ეკონომიკური სისტემის აპოლოგეტიკას. პოლიტიკური ეკონომიის მე-

---

[1] *ამ საკითხის ძირითადი დებულებები დაიბეჭდა საერთაშორისო ჟურნალში „Общество и экономика" (2000, №8, მოსკოვი).*

ტისმეტი იდეოლოგიზაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკაში, იწვევდა თეორიის მოწყვეტას პრაქტიკული ეკონომიკური პრობლემებისაგან და წარმოშობდა არსებული სისტემის (ე. წ. განვითარებული სოციალიზმის) იდეალიზაციას.

მეორე, შემდგომ, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში დაიწყო გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე (რიგი ავტორების აზრით – ბაზარზე, ხოლო მათ შორის ზოგიერთების აზრით – კაპიტალიზმზეც კი)[1], მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა) მიიჩნევს აუცილებლად უარი ითქვას ე. წ. მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაზე და მის ნაცვლად აღებულ იქნეს „ეკონომიკსი", რაც ადრე განიხილებოდა როგორც ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერების სახელწოდება. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში შემოღებული იქნა სასწავლო კურსი „ეკონომიკსი" პოლიტიკური ეკონომიის (ეკონომიკური თეორიის) ნაცვლად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კითხულობენ ლექციებს პარალელურად – ორივე დისციპლინაში. „ეკონომიკსის" სახელწოდებით გამოიცემა ლიტერატურა (ძირითადად თარგმნილი), აგრეთვე განმარტებითი ლექსიკონეიც კი.

მესამე, ეკონომიკური თეორია არ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე გარდამავალი ეკონომიკის ისეთი პრობლემების პროგნოზირებისა და გადაწყვეტის საქმეში, როგორიცაა: პრივატიზაციის ეფექტიანობა, ეკონომიკისა და ბიზნესის კრიმინალიზაციის უზარმაზარი მასშტაბები და სხვ. მაგალითად, ეკონომიკური თეორიის თანახმად პრივატიზაციას უნდა გამოეწვია ეკონომიკისა და ბიზნესის ეფექტიანობის სწრაფი ამაღლება, რაც საქართველოსათვის აღმოჩნდა არასწორი. ეკონომიკური თეორიის ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია ეკონომიკური თეორიის მეტისმეტი მათემატიზაცია. ნო-

---

[1] *ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI ს. მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 101; რ. კაკულია. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები, თბ., 2003, გვ. 14, 16, 46, 286; ეკონომიკური ლექსიკონი პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, თსუ, გვ. 41,45.*

ბელის პრემიის ლაურეატი მორის ალე (საფრანგეთი) გასული საუკუნის 90-იან წლებში წერდა, რომ 40 წლის განმავლობაში ეკონომიკური მეცნიერება (თეორია) ვითარდებოდა მცდარი მიმართულებით: ცხოვრებისაგან მოწყვეტილი მათემატიკური მოდელები, რაც წარმოადგენს არსებითად დიდ ნაბიჯს უკან; კლასიკური მიმართულებიდან გადახვევა და ეკონომიკური თეორიის „ბიფურკაცია" (გაორება) კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიად და „ეკონომიკსად".[1]

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ტერმინის და მით უფრო „ეკონომიკსის" კურსის შემოტანის გაუმართლებლობა ჩვენი საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით მართებულია გაკეთდეს ერთგვარი ისტორიული ექსკურსი ეკონომიკური თეორიის **წარმოშობისა** და განვითარების მიმართულებით, კერძოდ, იმ ეტაპების აღნიშვნით, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური თეორიის განსაზღვრასთან (დეფინიციასთან).

ეკონომიკური თეორია ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა, და მისი მნიშვნელობა წარმოშობის მომენტიდან მდგომარეობდა სამეურნეო საქმიანობაში ადამიანთა ქცევის მოტივების კანონზომიერებათა დადგენაში. მისი წარმოშობა დაკავშირებულია დიდი ბერძენი მოაზროვნეების ქსენოფონტისა და არისტოტელეს სახელებთან. მაშინ მეცნიერულ ბრუნვაში შემოღებული იქნა ტერმინი „ეკონომია". ეს სიტყვა გამოხატავდა საოჯახო მეურნეობის გაძღოლის მნიშვნელობას. შემდგომში ცნება „ეკონომია" გახდა სხვადასხვა რესურსების დანახარჯების შემცირების, მომჭირნე (დამზოგველი) გამოყენების გამოხატულება, და მის ნაცვლად მეცნიერების აღნიშვნისთვის დაიწყეს ტერმინ „ეკონომიკის" გამოყენება.

მოცემულ ეტაპზე ტერმინი „ეკონომიკა" (ბერძნულად „ეკონომიკოს", ინგლისურად „ეკონომიკსი") ძირითადად გამოიყენება: 1. როგორც მეურნეობის სინონიმი (მსოფლიო მეურნეობა ანუ მსოფლიო ეკონომიკა); ცალკეული ქვეყნების, დარგების (სფეროების), საწარმოთა ეკონომიკა და 2. ეკონომიკური მეც-

---

[1] *ციტ. Данько Т. П. Управление маркетингом (методологический аспект). М., 1997, გვ. 5.*

ნიერების, ეკონომიკური თეორიის აღნიშვნისათვის.

ცნობილია, რომ ეკონომიკური თეორიის როგორც სამეურნეო საქმიანობის არსის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ სისტემატიზებული ცოდნის (მეცნიერების) ჩამოყალიბება იწყება XVI საუკუნიდან. ეს იყო მანუფაქტურის აღმოცენების, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების, საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარების, ფულადი მიმოქცევის ინტენსიფიკაციის, ე. ი. მერკანტილიზმის – ეკონომიკური თეორიის განვითარებაში პირველი სკოლის პერიოდი. ანტუან მონკრეტიენი როგორც მერკანტილიზმის წარმომადგენელი ისტორიაში შევიდა იმით, რომ მეცნიერულ ბრუნვაში შემოიღო ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია" (1615 წელს გამოვიდა მისი წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატები"). ამ დროიდან ეკონომიკური თეორია ვითარდებოდა როგორც პოლიტიკური ეკონომია. ამ ტერმინით გაიგებოდა სახელმწიფოში მეურნეობრიობის კანონების სისტემა.

ეკონომიკურმა თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა უ. პეტის, ა. სმითის, დ. რიკარდოს, კ. მარქსის, ჯ. კეინზის და სხვ. ნაშრომებში. ა. სმითი ეკონომიკური აზრის ისტორიაში ცნობილია როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი. მისმა მთავარმა ნაშრომმა „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (1776 წ.) საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ეკონომიკურ თეორიას. განსაკუთრებით აღსანიშნავია კ.მარქსის ფუნდამენტური ნაშრომი „კაპიტალი", რომელშიც კაპიტალიზმის შესახებ მარქსისეული დასკვნებისა და კანონების დიდი უმრავლესობა სამართლიანია, ახალგაზრდებს დასავლეთში კი მარქსის იდეოლოგია იზიდავს.[1]

რაც ეხება ლენინურ ეკონომიკურ თეორიას იმპერიალიზმის როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის შესახებ, აგრეთვე სოციალისტური რევოლუციის[2] როგორც მარქსისტული თეორიის შემოქმედებითი განვითარების

[1] *რას ეფუძნებოდა თანამედროვე ეკონომიკური კანონები? (მარქსი ყველა დღევანდელმა პოლიტიკოსმა და ეკონომისტმა უნდა იცოდეს), გაზ. „დაზღვევა და ცხოვრება", 10 ნოემბერი, 1997 წ.*

[2] *1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია მსოფლიო ისტორიაში შეფასებულია როგორც გადატრიალება, რომელიც მოახდინეს ვ. ლენინმა და ლ. ტროცკიმ.*

ნიმუშის შესახებ, იგი საეჭვოდ მიმაჩნდა ჯერ კიდევ ჩვენი სტუდენტობის წლებში მარტივი მიზეზის გამო: მარქსისტული იდეების შუქზე არ შეიძლება მტკიცება იმისა, რომ მეფის რუსეთში 1917 წლის წინადღეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მთლიანად ეკონომიკის განვითარების დონის მაჩვენებლების მიხედვით შექმნილი იყო პირობები სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია, როგორი შედეგით დასრულდა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა ყოფილ საბჭოთა რუსეთში და მთლიანად ყოფილ სსრ კავშირში.

მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურასთან გაცნობით ვლინდება ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკური ეკონომიის) სხვადასხვაგვარი გაგება. ასე მაგალითად, მერკანტილისტების – პოლიტიკური ეკონომიის პირველი სკოლის წარმომადგენლების მეცნიერული კვლევის საგანი იყო სიმდიდრე, რომლის წყაროდ აღიარებდნენ ვაჭრობას (უპირატესად საგარეო ვაჭრობას).

ფიზიოკრატები პოლიტიკური ეკონომიის საგნად მიიჩნევდნენ ეროვნულ სიმდიდრეს, რომელიც იქმნებოდა წარმოების სფეროში (და არა მიმოქცევის სფეროში). ასეთი დასკვნა წარმოადგენდა ეკონომიკური თეორიის (მეცნიერების) დიდ მიღწევას, თუმცა ისინი სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევდნენ მხოლოდ სოფლის მეურნეობას, რაც იყო არამართლზომიერი.

ინგლისური კლასიკური პილიტიკური ეკონომიის სკოლის შემქმნელებმა გააფართოვეს ეკონომიკური თეორიის საგანი, შეიტანეს რა მასში მატერიალური წარმოების ყველა დარგი (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვ.), აგრეთვე განაწილების პირობების გამოკვლევები.

ანალოგიურ აზრს გამოთქვამენ ცალკეული თანამედროვე ეკონომისტები, როდესაც განიხილავენ ეკონომიკურ თეორიას როგორც მეცნიერებას ეროვნული სიმდიდრის წარმოების, განაწილების და მოხმარების შესახებ (ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იცვლებოდა ეროვნული სიმდიდრის შინაარსი და ცნება).

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად ეკონომიკური თეორიის საგნად გაიგება შეზღუდული რესურსე-

ბის პრობლემების შესწავლა. ასე მაგალითად, პ. სამუელსონი ეკონომიკური თეორიის ხუთი გავრცელებული განსაზღვრიდან (დეფინიციიდან) უპირატესობას ანიჭებს შემდეგს: „ეკონომიკური თეორია არის მეცნიერება ადამიანის მიერ იშვიათი ან შეზღუდული წარმოებრივი რესურსების (მიწა, შრომა, საწარმოო დანიშნულების საქონელი, მაგალითად, მანქანები და ტექნიკური ცოდნა) გამოყენების შესახებ სხვადასხვა საქონლის (მარცვლეული, საქონლის ხორცი, პალტო და სხვ.) წარმოებისა და საზოგადოების წევრებს შორის მათი განაწილებისათვის მოხმარების მიზნით".[1]

ცალკეული ეკონომიკური თეორიების წარმოშობის კვალობაზე საერთოდ გამოიყენებოდა შემდეგი ტერმინები: „ეკონომია", „ეკონომიკა", „პოლიტიკური ეკონომია", „თეორიული ეკონომიკა" და „ზოგადი ეკონომიკური თეორია". ტერმინების ევოლუცია გამოწვეული იყო ისტორიული მიზეზებით, მაგრამ ყველა ჩამოთვლილი ტერმინი, პირველის გამოკლებით, არსებითად წარმოადგენენ ერთი და იგივე განვითარებადი მეცნიერების სახელწოდებას, რომელიც იკვლევს მეურნეობრიობის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს მათს ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში. იცვლება კონცეფციები, მიდგომები, კეთდება აქცენტები ეკონომიკური სისტემის ამა თუ იმ მხარეზე, მაგრამ მეცნიერება რჩება ცალკეული ადამიანების, ჯგუფებისა და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების შესახებ მეცნიერებად.

ეკონომიკური თეორია (პოლიტეკონომია) არის მეცნიერება შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების შესახებ ადამიანთა (საზოგადოებრივი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მსოფლიოს თანამედროვე ეკონომისტების უმრავლესობა აღიარებს ეკონომიკურ თეორიას უნივერსალურ მეცნიერებად რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ადამიანის ეკონომიკური ქცევის შესახებ, ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინის „ეკონომიკსის" დანერგვა ქართულ ლიტე-

---

[1] *Самуэльсон П. Экономика, т. 1. М., 1992, გვ. 6-7.*

რატურაში მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამასთან, არაინგლისურენოვან ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი და სხვ.) ტერმინი „ეკონომიკსი" არ იხმარება.

ტერმინი „ეკონომიკსის" დანერგვა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით:

1) ზოგიერთი რუსული გამომცემლობები ინგლისური ენიდან თარგმნისას ტერმინ „ეკონომიკსს" ტოვებდნენ უცვლელად და ამიტომ იგი გადავიდა ქართულ გამოცემებშიც;

2) ზოგიერთი ქართველი სწავლული ეკონომისტი თვლის, რომ „ეკონომიკსი" განსხვავდება პოლიტიკური ეკონომიისაგან იმით, რომ პირველი ტერმინი აღნიშნავს შეზღუდული რესურსების გამოყენების, ხოლო მეორე – წარმოებითი ურთიერთობების კვლევას;

3) ეკონომისტების ნაწილი „ეკონომიკსის" ცნებაში გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის თეორიას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილი ამერიკელი პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურეატი პ. სამუელსონი წერს: „***ეკონომიკური თეორია, ანუ პოლიტიკური ეკონომია, როგორც მას ჩვეულებრივად უწოდებენ*** (ხაზგასმა ჩვენია – გ. შ.), მჭიდრო კავშირშია სხვა მნიშვნელოვან საუნივერსიტეტო საგნებთან – სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება, ფსიქოლოგია და ანთროპოლოგია – ყველა ეს სოციალური მეცნიერებანი, რომელთა შესწავლის საგანი ნაწილობრივ ემთხვევა ეკონომიკური თეორიის საგანს"[1]. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ა. მარშალის (რომელმაც პირველად დაიწყო „ეკონომიკსის" კურსის წაკითხვა კემბრიჯის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის კურსის ნაცვლად) წიგნი „ეკონომიკსის პრინციპები" (1890 წ.) გადაითარგმნა ინგლისურიდან რუსულ ენაზე და გამოიცა 1983 წ. მოსკოვში სახელწოდებით „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები", ხოლო ხელმეორედ გამოიცა 1993 წ. – სახელწოდებით „ეკონომიკური თეორიის პრინციპები". ერთი საუკუნის შემდეგ ზუსტად ასეთი სახელწოდებით გამოიცა გ. მენქიუს წიგნი, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა სახელწოდებით – „ეკონომიკის პრინციპები".

---

[1] *პ. სამუელსონი, დასახ. წიგნი. გვ. 8.*

მაშასადამე, ტერმინებს: „პოლიტიკური ეკონომია", „ეკონომიკსი" (ეკონომიკის ინგლისურ-ამერიკული სახელწოდება) და „ეკონომიკური თეორია" („ზოგადი ეკონომიკური თეორია") აქვთ ერთნაირი აზრობრივი დატვირთვა. ეს დასტურდება რუსი ავტორების მიერაც ცნობილ წიგნებში: „Общая экономическая теория (политэкономия)". Учебник под общей редакцией акад. В. М. Видяпина, акад. Г. П. Журавлевой. М., 1995 и Камаев М. В. и колл. авторов „Учебник по основам Экономической теории (экономика)". М., 1995. პირველ წიგნში როგორც ეკონომიკური თეორიის სინონიმი ფრჩხილებში ნაჩვენებია პოლიტიკური ეკონომია, ხოლო მეორე წიგნში – ეკონომიკა („ეკონომიკსის" მნიშვნელობით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლეს სასწავლებლებში პარალელურად „ეკონომიკური თეორიის" (პოლიტეკონომიის) კურსის და „ეკონომიკსის" წაკითხვა არამართლზომიერია. ზოგიერთი ეკონომისტის მსჯელობა „ეკონომიკსზე" როგორც საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის შესახებ უსაფუძვლოა. ეს მოგვაგონებს ახლო წარსულს, როდესაც სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია გამოაცალკევეს საერთო პოლიტიკური ეკონომიიდან. მიგვაჩნია აგრეთვე უსაფუძვლოდ მიკროეკონომიკური, მაკროეკონომიკური თეორიების (როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებად), და სახელმწიფო სექტორის ეკონომიკის როგორც ეკონომიკური თეორიის განშტოებად გამოყოფა. საქმე ის არის, რომ ეკონომიკური თეორია (პოლიტიკური ეკონომია) ერთიანი უნივერსალური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ეკონომიკურ მოვლენებს, პროცესებს, კანონებს (პრინციპებს), მიკრო, მეზო, მაკროეკონომიკის და მსოფლიო ეკონომიკის (მეურნეობის) თეორიულ პრობლემებს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების ეკონომიკაში არსებობენ საბაზრო (კერძო), სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი სექტორები (შერეული ეკონომიკა). მხოლოდ საბაზრო ეკონომიკა (იგულისხმება წმინდა სახით) არ არსებობს არც ერთ ქვეყანაში და არც იარსებებს მომავალში. ამასთან კავშირში რეზონულია (მართებულია) ცნობილი ამერიკელი პროფესორის ჯ. გელბრეითის გამონათქვამი: „ეკონომიკსი, რჩება რა საბაზ-

რო მიკრო- და მაკროანალიზის ვიწრო ფარგლებში, წყვეტს არსებობას როგორც მეცნიერება და გადაიქცევა კონსერვატიულად გამოყენებულ სისტემად, რომელიც აცხადებს პრეტენზიას, იწოდებოდეს მეცნიერებად"[1].

საკუთარი პოზიცია ამ საკითხზე ჩვენ გამოვთქვით ჯერ კიდევ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და შესაბამისი ორგანიზაციებისადმი მიმართვაში (05. 01. 1996). ქვეყნის პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი დადებითად გამოეხმაურა[2] ამ მიმართვას. საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა გააუქმა გადაცემა სახელწოდებით „ეკონომიკსი".[3] მოწესრიგდა „ეკონომიკური თეორიის" კურსის წაკითხვა სახელმწიფოებრივ სასწავლო დაწესებულებებში. ახლა საქართველოში იშვიათად იყენებენ ტერმინს „ეკონომიკსი".

მათემატიკა და ლოგისტიკა ინგლისურად არის „მათემატიკს" და „ლოგისტიკს", მაგრამ საქართველოში არავის მოსვლია აზრად მათი ხმარება ინგლისური დაბოლოებებით.

ჩვენი აზრით, აგრეთვე მართებული არ არის „ეკონომიკური თეორიის" ტერმინის ნაცვლად „თეორიული ეკონომიკის" ხმარება. არ არის საჭირო სხვადასხვა ტერმინის (მაგალითად, გ. მენქიუს წიგნის „ეკონომიკის პრინციპების") შემოღება ეკონომიკური თეორიის აღნიშვნისათვის და მის ინტერპრეტაციაში აზრთა სხვაობის აღძვრა. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთ ეკონომიკის პრინციპებში მოიაზრება ეკონომიკური კანონები, ხოლო ლათინურად პრინციპები ნიშნავს საფუძვლებს.

რაც შეეხება პოლიტიკურ ეკონომიას, მას ვერავინ უარყოფს როგორც მეცნიერებას. პოლიტიკური ეკონომიის კურსი იკითხება ევროპისა და ღსთ ქვეყნების ბევრ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში. მაგრამ მარქსისტულ-ლენინურმა ინტერპრეტაციამ გარკვეულწილად მას შეულახა სახელი (მოახდინა მისი კომპრომენტირება). ამიტომ ბოლო დროს იყენებენ ტერმინს ზოგადი ეკონომიკური თეორია ანუ მარტივად „ეკონომიკური თეორია".

---

[1] *Gflbraith J.K. Economics. Peace and Langhter. 1971, p. 63.*

[2] *იხ. სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის წერილი წიგნის II/5 განყ.*

[3] *ხშირად იხმარება „ეკონომიქსი" („კ"-ს ნაცვლად „ქ"), რაც არასწორია.*

ჩვენ მიგვაჩნია უფრო მიზანშეწონილად „ზოგადი ეკონომიკური თეორიის" ტერმინის ხმარება, რომელიც წარმოადგენს ყველა ეკონომიკური დისციპლინისა და მიმართულების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს, ვინაიდან ბევრ მათგანს გააჩნია თავისი თეორიები, ზოგადი თეორიებიც კი (მაგალითად, სტატისტიკის ზოგადი თეორია).

ამრიგად, ზოგადი ეკონომიკური თეორია ეკონომიკურ მეცნიერებათა მთელი კომპლექსის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია. ესენია დარგობრივი (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და ა. შ. ეკონომიკა), ფუნქციური (ფინანსები, კრედიტი, მარკეტინგი, მენეჯმენტი და სხვ.) და დარგთაშორისი (დემოგრაფია, სტატისტიკა, ეკონომიკური გეოგრაფია და სხვ.) მეცნიერებანი.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ზოგადი ეკონომკური თეორია უძველესი უნივერსალური ერთიანი მეცნიერებაა, რომელიც მუდმივად განიცდის ევოლუციას ახალი ეკონომიკური მოვლენებისა და კონცეფციების შესაბამისად მემკვიდრეობითობის პრინციპის და არა ძველი ეკონომიკური თეორიის ახლით შეცვლის საფუძველზე. საბაზრო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო იზრდება ეკონომიკური თეორიის როლი და მნიშვნელობა, ვინაიდან არ არსებობს რაიმე ეკონომიკური პრობლემა (მიკრო, მაკრო, მეზო, მეგა), რომელიც არ იყოს მისი გამოკვლევისა და შესწავლის ობიექტი. ამიტომ ზოგადი ეკონომიკური თეორია (როგორც ადრე პოლიტიკური ეკონომია) უნდა ისწავლებოდეს უნივერსიტეტის ყველა არაეკონომიკურ სპეციალობაზე[1]. თუ „თეორია" უარყოფით ემოციებს იწვევს არაეკონომიკურ სპეციალობებზე, შეიძლება გამოვიყენოთ „ზოგადი ეკონომიკა".

*(ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", №5-6 2009 წ.).*

---

[1] *მივმართე წერილით (30.09.2005) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბ-ნ ა. ლომაიას იმის თაობაზე, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებელში ყველა არაეკონომიკურ სპეციალობაზე (აგრონომიულ, საინჟინრო, სამედიცინო და ა. შ. სპეციალობებზე) უნდა ისწავლებოდეს „ზოგადი ეკონომიკური თეორია" ან „ზოგადი ეკონომიკა", ხოლო საშუალო სკოლებში (უფროს კლასელთათვის) – „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები".*

## 5. ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინებისა და ახალი მეცნიერული დისციპლინების სწავლების შესახებ

### ორი მნიშვნელოვანი ტერმინის შესახებ

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ამაღლებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ხშირად პრესაში, სპეციალურ ლიტერატურაშიც კი ტერმინი „ეფექტიანობა“ გაიგივებულია „ეფექტურობასთან“, ე.ი. იხმარება ერთიდაიგივე მნიშვნელობით, რაც არ არის გამართლებული.

ასეთი მდგომარეობა, ჩვენი აზრით, უმთავრესად გაპირობებულია იმით, რომ რუსულ-ქართულ ლექსიკონებში სიტყვები "эффективность" ("эффективный", "эффективно") და "эффектность" ("эффектный", "эффектно") თარგმნილია, როგორც სინონიმები: „ეფექტიანობა“, „ეფექტურობა“, („ეფექტიანი“, „ეფექტური“). ასე, მაგალითად, რუსულ-ქართულ ლექსიკონში (სამტომეულში) სიტყვების "эффективность" და "эффектность" მნიშვნელობა გადმოცემულია გაიგივებულად: „ეფექტიანობა“, „ეფექტურობა“, შესაბამისად "эффективный", და "эффектный" „ეფექტიანი“, „ეფექტური“. უცხო სიტყვათა ლექსიკონში (მეორე გამოცემა „განათლება“, თბ., 1973) შეტანილია მხოლოდ „ეფექტური“, მაშინ როდესაც ანალოგიურ რუსულ ლექსიკონში (მეოთხე გამოცემა, მ., 1954, გვ. 825) შეტანილია „ეფექტიანი“ და „ეფექტური“.

აღნიშნული სიტყვების მნიშვნელობა არ არის გამიჯნული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულში, რომელიც გამოიცა 1986 წელს.

ს. ი. ოჟეგოვის ცნობილ „რუსული ენის ლექსიკონში“ (მეოთხე გამოცემა, გვ. 896) გამიჯნულია ხსენებული სიტყვების მნიშვნელობა და ვკითხულობთ: эффективный - дающий эффект - ეფექტის მომცემი, эффектный - производяший эффект - ეფექტის მომხდენი (მქონე).

მაშასადამე, ეფექტის (შედეგის) მომცემი ანუ ეფექტიანი (შედეგიანი) და ეფექტის მომხდენი ანუ ეფექტური, შესაბამი-

სად „ეფექტიანობა“ და „ეფექტურობა“ განსხვავებული შინაარსის მატარებელი ცნებებია და არ შეიძლება ჩაითვალოს სინონიმებად, ე.ი. აუცილებელია მათი გამიჯვნა.

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს საზოგადოებრივი საქმიანობის (ეკონომიკური, სოციალური, სამკურნალო და სხვ.) საჭირო შედეგის მიღებასთან ქვეყნის, რესპუბლიკის, რეგიონის მასშტაბით, ცალკეულ დარგებში, ქვედარგებსა და საწარმოებში (გაერთიანებებში), ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარების მიხედვით. ეფექტიანობა მოითხოვს ანგარიშს, ანალიზს, ძიებას და ზრდის პასუხისმგებლობას მიღებული სამმართველო გადაწყვეტილებათა შედეგისათვის.

მეორე შემთხვევაში შეიძლება საპირისპირო მოვლენასთანაც კი გვქონდეს საქმე: რაიმე ილუზიის, მოჩვენებითობის, ზარ-ზეიმის ვითარებისა და თვითკმაყოფილების ატმოსფეროს შექმნა.

ამრიგად, როდესაც საქმე შეეხება ეკონომიკური პროცესების მართვას ან ცალკეული ღონისძიების (მაგალითად, ექსპერიმენტის) ჩატარებას, უნდა ვიმსჯელოთ მათ ეფექტიანობაზე, ხოლო სანახაობითი ღონისძიებების (სპექტაკლის, კონცერტის და სხვ.) მოწყობის, დარბაზის მორთვის დროს, რაც დაკავშირებულია შთაბეჭდილების მოხდენასთან, მართებულია ვილაპარაკოთ მათ ეფექტურობაზე.

ანალოგიური მდგომარეობაა ტერმინების „მოთხოვნისა“ და „მოთხოვნილების“ ხმარების დროსაც. რუსულ-ქართულ ლექსიკონებში სიტყვა "спрос" თარგმნილია შემდეგნაირად: მოთხოვნა, მოთხოვნილება, ე. ი. ამ ორ სხვადასხვა შინაარსის მატარებელ ცნებებს ეძლევა ერთი მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია, კ. მარქსმა მოთხოვნა ბაზარზე წარმოდგენილ მოთხოვნილებას უწოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნილება უფრო ფართო ცნებაა და მოთხოვნა მის გადახდისუნარიან ნაწილს შეადგენს. ხშირად იყენებენ ცნებას „გადახდისუნარიანი მოთხოვნა“, რაც არ არის სწორი, ვინაიდან „არაგადახდისუნარიანი მოთხოვნა“ არ არსებობს. მართებულია „გადახდისუნარიანი მოთხოვნილება“.

მაშასადამე, სიტყვა "спрос" უნდა ითარგმნოს - „მოთხოვნა“, ხოლო "потребность" - „მოთხოვნილება“.

**გ. შუბლაძე,** *ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. (რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, „ვნიიკს“-ის საქართველოს ფილიალი, 1986 წ.).*

**სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორს ამხ. გ. შუბლაძეს**

თქვენი 1986 წ. 8 აპრილის მომართვის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: თეზისებში საკითხები თქვენს მიერ მართებულადაა დასმული და გაანალიზებული: რუსული სიტყვები "эффектный" და "эффективный" (და მაშასადამე, შესაბამისად "эффектность" და "эффективность") მნიშვნელობათა მიხედვით უთუოდ უნდა იყოს გამიჯნული. სიტყვა "эффектный" სალაპარაკო ენის კუთვნილებაა (эффектная внешность, эффектная женщина), ხოლო "эффективный" ძირითადად ეკონომიკის დარგის ტერმინია (эффективность расходов, эффективность экономическая, эффективность использования оборотных средств და სხვ.). ამდენად მათი სინონიმებად გამოყენება არც რუსულში და არც ქართულში არ შეიძლება ისევე, როგორც არ შეიძლება "спрос"-ის და "потребность" - ის გაიგივება.

ის ფაქტი, რომ რუსულ-ქართულ ერთტომეულ ლექსიკონში ეს სიტყვები მნიშვნელობათა მიხედვით მკაცრად დიფერენცირებული არაა, შეიძლება გასაგები იყოს: სალაპარაკო ენა მათი გარჩევის დიდ საჭიროებას ვერ გრძნობს და ლექსიკონიც ამ საერთო ენის რეალურ ვითარებას ასახავს.

მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ნორმირებულ ტერმინოლოგიაში ისინი მკვეთრად გარჩეული არაა.

ბუნებრივია, ამ ორივე წარმოებას თავ-თავისი ადგილი და გამოყენების სფერო აქვს და ამდენად მათი გამოიჯვნა აუცილებელია. სწორედ ამით ვხელმძღვანელობდით, როდესაც „ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ტერმინოლოგიაში“, რომელიც ამჟამად დასაბეჭდად წარმოებაშია ჩაშვებული, ეს ტერმინები შესაბამისი ცნებებისდა მიხედვით იქნა დაყოფილი: эффективный (эффектность) ეფექტიანი (ეფექტური), спрос - მოთხოვნა, потребность - მოთხოვნილება. (ეს ორი ეკანასკნელი სპეციალურ ლიტერატურაში ადრევეა დიფერენცირებული).

*ქ. ლომთათიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი*
*17 აპრილი, 1986 წ.*

## მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

№ 21-7/45, 05.01.96

საქართველოს პრეზიდენტს ბ-ნ **ე. შევარდნაძეს**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ **ზ. ჟვანიას**
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს პროფ. **გ. კვარაცხელიას**
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარეს ბ-ნ **ა. სიხარულიძეს**
ჟურნალ „კონომიკის“ მთავარ რედაქტორს ბ-ნ **რ. შენგელიას**
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკდემიის პრეზიდენტს ბ-ნ **ლ. ჩიქავას**

ერთხელ კიდევ ვაყენებ საკითხს რიგი ტერმინების და სიტყვების არასწორად გამოყენების შესახებ პარლამენტის სხდომებზე, პრესაში, რადიო და ტელეგადაცემებში.

პირველ რიგში ეს შეეხება ტერმინების „ეფექტიანისა“ და „ეფექტურის“ ერთი და იგივე მნიშვნელობით ხმარებას (უფრო ხშირად იყენებნ „ეფექტურს“).

ეფექტიანი – ნიშნავს შედეგის მომცემს, ხოლო ეფექტური – ეფექტის მომხდენს, ე. ი. „ეფექტიანობა“ და „ეფექტურობა“ სხვადასხვა შინაარსის მატარებელი ცნებებია და არ შეიძ-ლე-ბა ჩაითვალოს სინონიმებად. სინონიმებია: ეფექტიანი, შედე-გიანი, რეზულტატიანი. იმ შემთხვევაში როდესაც რაიმე ღო-ნისძიებას (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვ.) შედეგიანობაზე გვინდა ვისაუბროთ, უნდა ვიხმაროთ მხო-ლოდ „ეფექტიანი“ (ეს ტერმინი ძირითადად ეკონომიკური ტერმინია). „ეფექტური“ უნდა ვიხმაროთ სანახაობითი ღონის-ძიებების (სპექტაკლის, კონცერტის და სხვ.) ჩატარების, დარ-ბაზის მორთვის დროს, რაც დაკავშირებულია შთაბეჭდილე-ბების მოხდენასთან და შედეგიანობის თვალსაზრისით საპი-რისპირო ვითარებასთანაც კი შეიძლება გვქონდეს საქმე: რა-იმე მოჩვენებითობის, ილუზიის შექმნა. მაგალითად, ეკო-ნო-მიკის სფეროშიც შეიძლება ჩატარდეს ღონისძიება, რომე-ლიც იქნება მხოლოდ ეფექტური და არავითარი ეფექტის (შედეგის) მომცემი; პირიქით, მან შეიძლება აზარალოს საწარმო (ფირ-მა, ორგანიზაცია).

აღნიშნული ტერმინები გამიჯნული იქნა ჩვენს მიერ, რაც დადასტურებულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის წერილით (1986 წ. 17 აპრილი). ამის თაობაზე დაიბეჭდა ჩვენი სტატია გაზეთ „თბილისში“ (1986 წ. 20 აგვისტო), ხოლო ხუთი წლის შემდეგ წერილი იმავე გაზეთში (1991 წ. 12 აგვისტო) სათაუ-რით „ერთხელ კიდევ „ეფექტიანისა“ და ეფექტურის“ შესახებ“.

ანალოგიური მდგომარეობაა ტერმინების „ეკონომიკუ-რი-სა“ და „ეკონომიურის“, „მოთხოვნისა“ და „მოთხოვნილე-ბის“, „მასობრივისა“ და „მასიურის“ ხმარებაში, რომლებიც ლიტერატურაში ადრევეა გამიჯნული.

ბევრ ტერმინსა და სიტყვას რუსულის გავლენით არას-წო-რად წერენ და გამოთქვამენ. ასეთებია: რეგიონალური – უნ-და იყოს რეგიონული, პროფესიონალური – პროფესიული, დისციპლინარული – დისციპლინური, ტერიტორიალური – ტე-რიტორიული, ფუნქციონალური – ფუნქციური, რეკომენდი-რე-ბული – რეკომენდებული, დიფერენცირებული – დიფერენ-ცი-ული და ა. შ. აგრეთვე არასწორია გამოთქმა: საქმე იმასია, რომ... უნდა გამოითქვას და დაიწეროს საქმე ის არის, რომ...

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართულ ლიტერატუ-რაში „ეკონომიკსის“ ცნების დამკვიდრების შესახებ, რომე-ლიც ინგლისურ ენაზე გამოცემულ წიგნების ზოგიერთ რუ-სულ თარგმანში დატოვებულ იქნა უცვლელად. ინგლისური „ეკო-ნომიკსი“ ქართულად არის ეკონომიკა, ეკონომიკური თეო-რია. მიუხედავად იმისა, რომ უცხოურ თუ ქართულ ენაზე ამ სიტყვის ფუძეა „ეკონომიკ“, ტელევიზიის ერთ-ერთმა არხმა ხუთშაბათობით შემოიღო გადაცემა „ეკონომიქსი“ („კ“-ს ნაც-ვლად „ქ“). რადიო „ამერიკის ხმა“-ს კი ქართულ ენაზე აქვს გადაცემა „ეკონომიკა და ბიზნესი“ და არა „ეკო-ნომიქსი“. „ეკონომიქსის“ მომხრეებმა იქნებ პასუხი გასცენ ასეთ შე-კითხვას : ხომ არ შეიცვალოს ჟურნალ „ეკონომიკის“ სახელ-წოდება „ეკონომიქსით“. ხოლო აკადემიის ეკონომიის ინსტი-ტუტისა – ეკონომიქსის ინსტიტუტით? ან როგორ ვიხ-მაროთ ტერმინები : „მიკროეკონომიკა“, „მაკროეკონომიკა“, „პოლი-ტიკა“ და სხვ. ღომლებიც ინგლისურად ასე გამოით-ქმის : „მაკროეკონომიკს“, „მიკროეკონომიკს“, „პოლიტიკს“ და სხვ.

გთხოვთ სათანადო რეაგირებას.

პატივისცემით            დირექტორი, ემდ, პროფ. გ. შუბლაძე

## საქართველოს პარლამენტი
## საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

№ 21-3/67, 14.05.96

მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-ტუტის დირექტორს, პროფ. გ. შუბლაძეს

ბატონო პროფესორო,

თქვენს წერილში (5.I.1996) ქართული (თუნდაც ინტერ-ნაციონალური წარმოშობის) ყველა ტერმინის წარმოებასა და გა-მოყენებასთან დაკავშირებული ვითარება ნორმატიული თვალსაზრისით მართებულად არის შეფასებული. თქვენი მო-საზრება სავსებით ემთხვევა სალიტერატურო ქართული ენის

დადგენილ ნორმებს და დადასტურებულია ორთოგრა-ფიული ლექსიკონითაც.

სწორად და დროულად არის თქვენს წერილში გამახ-ვილებული ყურადღება ტერმინ „ეკონომიკის“ ნაცვლად მისი ინ-გლისური ეკვივალენტის (economics) ქართული ტრანსლიტე-რაციით დამკვიდრების ცდაზე ტელევიზიისა და პრესის სა-შუ-ალებით. „ეკონომიკსის“ დანერგვა ქართულში ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. რუსულ ზოგიერთ გამოცემაში „ეკონომიკსის“ უცვლელად დატოვება არგუმენტად ვერ გა-მოდგება ქართულისათვის.

ქართული ენის ნორმათა დამდგენი კომისიის მიერ დამ-ტკიცებული ნორმები ყველასათვის სავალდებულოა. აგ-რამ საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე მათი განხორ-ციელება, როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ფერხდება. ამიტომაც, დიდ მადლობას მოგახსენებთ ქართულ ენაზე ზრუნვის გამო და კვლავაც ველით თქვენს თანადგომას.

გთხოვთ მოგვიტევოთ პასუხის დაგვიანება

პატივისცემით –

სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის
თავმჯდომარე **მანანა გიგინეიშვილი**

ქვეკომიტეტის ექსპერტ-კონსულტანტი, არნ. ჩიქობავას სა-ხელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სალიტერატურო ქართულის ნორმათა და მეტყველების კულტურის განყოფი-ლების გამგე **შუქია აფრიდონიძე**

## უმაღლესი განათლების რეფორმა და ახალი ეკონომიკური სამეცნიერო დისციპლინების სწავლების საკითხები

(სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის მოხსენების თეზისები)

თსუ პროფესორი **გ. შუბლაძე**

საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმა ეფუძნება ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. ამასთან უმაღლესი განათლების სპეციალისტების მომზადება უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელის ჩამოყალიბების ამოცანებს და არ უნდა იქნეს დაშვებული ორი უკიდურესობის პრინციპით მიდგომა.

განვითარებული საბაზრო (შერეული) ეკონომიკის ქვეყნებში უაღრესად დიდია ბიზნესისა და მეწარმეობის (ინოვაციური ბიზნესის) როლი. დღეს ბიზნესის განვითარების დონე განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. ამიტომ ბიზნესის სფეროსთვის კადრების (ეკონომისტების, ინჟინრების, იურისტების, მენეჯერების და სხვ.) მომზადება ფრიად აქტუალურია. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის განცხადება ბიზნესმენის მომზადების თაობაზე მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ბიზნესმენი (საქმიანი კაცი) მდგომარეობაა და არა სპეციალობა. იგი ქირაობს სპეციალისტებს, მათ შორის მენეჯერებსაც (ფირმის პრეზიდენტსაც).

ახალი მოთხოვნების მიხედვით აუცილებელია გადამუშავდეს სასწავლო პროგრამები, დაზუსტდეს სპეციალისტთა მომზადების ნომენკლატურა და განხორციელდეს შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებები (და არა მხოლოდ ფასადის შეცვლა). რეალურად და არა ფორმალურად უნდა ტარდებოდეს კათედრების, დეკანატების ხელმძღვანელების არჩევნები და არ უნდა იქნეს დაშვებული ორი თანამდებობის დაკავება ერთი პირის მიერ, რამაც უნივერსიტეტში მიიღო მასობრივი ხასიათი.

უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებიდან პოლიტიკური ეკონომიის ამოღების შემდეგ ბევრ სასწავლებელში პარალელურად ისწავლება ეკონომიკური თეორია და „ეკონომიკსი“, რაც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. „ეკონომიკსი“ ინგლისურად ეკონომიკური თეორიის ანუ პოლიტიკური ეკონომიის გამომხატველი ცნებაა. მიუღებელია აგრეთვე ტერმინი „თეორიული ეკონომიკა“. ამიტომ პოლიტიკური ეკონომიის ნაცვლად, რომელიც წარმოადგენდა ყველა ეკონომიკური სამეცნიერო დისციპლინის (მრეწველობის ეკონო-

მიკის, სტატისტიკის, ფინანსების, ეკონომიკური გეოგრაფიის და სხვ.) და მიმართულების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს, უნდა ისწავლებოდეს ზოგადი ეკონომიკური თეორია და არამართლზომიერია მის პარალელურად მიკრო და მაკროეკონომიკური თეორიების ან კიდევ სახელმწიფო სექტორის ეკონომიკის – ე. წ. ეკონომიკური თეორიის ახალი განშტოების სწავლება.

სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მომზადებისათვის დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბიზნესის საფუძვლების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სწავლების მოწესრიგება, რომლებიც პირველად უნივერსიტეტში შემოღებულ იქნა ჩვენი ინიციატივით. ისინი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ აუცილებელია მათი ჯეროვანი გამიჯვნაც. თუ მარკეტინგი ბიზნესის ფილოსოფიაა, მენეჯმენტი უნდა ვაღიაროთ ბიზნესის მართვის ფილოსოფიად. ეს საგნები იკითხება უნივერსიტეტის ოთხი პროფილის ფაკულტეტზე საკუთარი ძალებითა და პროგრამებით. ამ საგნების სათანადო დონეზე სწავლებისთვის მიზანშეწონილია შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება ერთ კათედრაზე (ან კათედრის ჩამოყალიბება).

კვალიფიკაციის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ხარისხის, გამოქვეყნებული სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ხასიათის შრომების შესაბამისობა მოცემულ პრობლემებთან.

აუცილებელია მომზადდეს მარკეტინგის სპეციალისტები ვაჭრობის ეკონომიკისაგან დამოუკიდებლად. აგრეთვე გადაწყდეს ამ შიფრით დისერტაციების დაცვის საკითხიც.

ფრიად მნიშვნელოვანია მენეჯერების – მართვის სპეციალისტების მომზადება, რომელიც მოითხოვს ამ ეტაპზე დიფერენცირებულ მიდგომას. მენეჯერების მომზადება არ ნიშნავს მომავალ სპეციალისტებს ვასწავლოთ საგანი „მენეჯმენტი“. ეს სპეციალისტები კარგად უნდა ფლობდნენ მომიჯნავე დისციპლინათა კომპლექსს. კერძოდ, მენეჯერის მომზადებისათვის მიკრომენეჯმენტის სფეროში კარგი პირობებია შექმნილი მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე, მაკროეკონომიკის სფეროში – ეკონომიკის ფაკულტეტზე, კომერციის სფეროში – კომერცი-

ისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე, ბიზნესის სფეროში – საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე. უნდა გამოირიცხოს მონოპოლიზმი, ვინაიდან ნებისმიერი სფეროს საწარმოს (ფირმის) ეკონომიკა წარმოუდგენელია მართვის (მენეჯმენტის) გარეშე. ამიტომ მიზანშეწონილია სპეციალობაში – „ბიზნესის ორგანზიაცია და მართვა“ და ცალკე „მართვა“ შეიცვალოს „მენეჯმენტით“ და ცალკე სპეციალობა „მენეჯმენტი“ ამოვიღოთ. უსაფუძვლოა განცხადება მეწარმეობის ეკონომისტის – ბიზნესის ნაწილის სპეციალისტის მომზადების თაობაზე.

გამოთქმული მოსაზრებები უნდა იქნეს გათვალისწინებული ახალი საგნების, სპეციალობების შემოღების, პროფესორმასწავლებელთა კვალიფიკაცის შეფასების, უმაღლესი სასწავლებელბის ლიცენზირების, ატესტაციისა და აკრედიტაციის, აგრეთვე სასწავლო ლიტერატურის გამოცემის დროს.

*„უმაღლესი განათლების რეფორმა საქართველოში:*
*მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“*

*(სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის მასალები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. რედაქტორი: აკადემიკოსი რ. მეტრეველი, 2001 წელი).*

## ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის საფუძვლებისა და ეკონომიკური თეორიის სწავლების შესახებ[1]

საბაზრო ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე მიჩნეულია ეკონომიკის ორგანიზაციის ყველაზე რაციონალურ ფორმად. ვინაიდან ბაზარი აიძულებს საწარმოებს (ფირმებს) აწარმოონ მხოლოდ ისეთი პროდუქცია (მომსახურება), რომელიც მოეწონება მომხმარებელს და გაიყიდება მოგების მიღებით; წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმო (ფირმა) გაკოტრდება.

საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენილია ბიზნესისა (კერძო სექტორისა) და კონკურენციის გარეშე. იგი პრინციპულად და არსებითად განსხვავდება გეგმიანი (ე. წ. სოციალისტური) ეკონომიკისაგან, რომლის დროსაც აიკრძალა ყოველგვარი

---

[1] *იხ. აგრეთვე ჟურნ. „ეკონომიკა“, 3-6, 2010.*

კერძო საქმიანობა ქვეყანაში გასული საუკუნის 30-იან წლებში და კონკურენცია შეიცვალა სოციალისტური შეჯიბრებით. თუ გეგმიანი ეკონომიკის (ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის) პირობებში დომინირებდა სახელმწიფო სექტორი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში დომინანტი ხდება კერძო სექტორი (ბიზნესი). თანამედროვე პირობებში ბიზნესი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ორგანული ნაწილია და იგი წარმოდგენილია ყველაზე დიდი ხვედრითი წონით.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლამ და საწარმოების (ფირმების) მეურნეობრივ (ეკონომიკურ) საქმიანობაში საბაზრო მექანიზმის პრინციპების დანერგვამ მთელი რიგი პრობლემები დააყენა ეკონომიკურ მეცნიერე-ბათა წინაშე, მაგრამ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში (თეორიაში) და პრაქტიკაში ძირითადი აქცენტი კეთდება მაკროეკონომიკურ პრობლემებზე და ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მიკროეკონომიკური პრობლემების გაშუქებას.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ბიზნესის არსისა და მისი მნიშვნელობის, მასთან დაკავშირებული პრობლემების გაშუქება. საქმე ის არის, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების დონეს განსაზღვრავს ბიზნესის განვითარების პირობები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა უმთავრესად დამოკიდებულია მცირე ბიზნესის განვითარებაზე, რომელიც არ მოითხოვს დიდ ინვესტიციებს (რაც არ გააჩნია საქართველოს მოსახლეობას), მაგრამ უკუგების და ადამიან-თა დასაქმების (საქართველოს ერთ მილიონზე მეტი მოქალაქე სამუშაო ადგილების უქონლობის გამო წასულია სხვა ქვეყ-ნებში) თვალსაზრისით გამოირჩევა მაღალი მახასიათებლე-ბით. მაგალითად, „ინგლისში შრომისუნარიანი მოსახლეობის 75% დასაქმებულია ბიზნესის სფეროში და ამით იკმაყოფი-ლებს საარსებო მოთხოვნილებებს“.[1]

ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბებას იწყებენ ახალი მიმართულებები – მარკეტინგი და მენეჯმენტი, რომლებსაც უშუალო კავ-

---

[1] *დ. ქემბელი, დასახ. წიგნი. გვ. 2.*

შირი აქვთ საბაზრო მექანიზმის დამკვიდრებასა და ბიზნესის განვითარებასთან. სავსებით კანონზომიერად მარკეტინგისა და მენეჯმენტის სამშობლო ხდება აშშ – ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყანა, სადაც ბიზნესის (მარკეტინგის, მენეჯმენტის და სხვ.) სპეციალისტების მომზადებას საუკუნოვანი ისტორია აქვს. ბიზნესის, მარკეტინგის და მენეჯმენტის შესახებ სასწავლო კურსები შემოღებული იქნა აშშ-ის უნივერსიტეტში 1901-1902 სასწავლო წელს და ისინი გამოეყვნენ პოლიტიკურ ეკონომიას (ეკონომიკურ თეორიას), თანდათან ჩამოყალიბდნენ რა დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინებად. დღეს მარკეტინგი აღიარებულია ბიზნესის ფილოსოფიად, ხოლო მენეჯმენტი ბიზნესის მართვის ფილოსოფიად.

საქართველოში პირველად მეცნიერული დისციპლინის – „ბიზნესის საფუძვლების“, „მარკეტინგისა“ და „მენეჯმენტის“ წაკითხვა ჩემი ინიციატივით დაიწყო 1989 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ბიზნესის უმაღლეს სკოლაში – სპეც. აკულტეტზე (1996 წლიდან საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე). ამ საგნებში ლექციებს ვკითხულობდი არა მარტო თსუ-ში, არამედ ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, ცეკავშირის ინსტიტუტში (ამჟამად თბილისის ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტი), თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში და სხვ. მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეიქმნა საქართველოს მთავრობის დადგენილებით 1991 წელს „ვნი-იკს“-ის (კონიუნქტურისა და მოთხოვნის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) საქართველოს ფილიალის ბაზაზე სსრკ (საბჭოთა კავშირის) დაშლამდე ჩემი ინიციატივით[1] (შევათანხმე სათავო ინსტი-ტუტის ხელმძღვანელობასთან). „ვნიიკს“ იყო საბჭოთა კავ-შირში ერთადერთი საბაზრო თემატიკის (ეკონომიკური პრო-ფილის) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (1965 წ.) ფილია-ლებით ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მათ შორის სა-ქართველო-

[1] *ენციკლოპედია „თბილისი“, გვ. 642.*

ში. იმ დროს საქართველოში ფუნქციონირებდა ეკონომიკური პროფილის ორი ინსტიტუტი: მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც ძირითადად იკვლევდა სოციალისტური ეკონომიკის პრობლემებს და მის უპირატესობებს ე. წ. კაპიტალისტურ (საბაზრო) ეკონომიკას-თან შედარებით და საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონო-მიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რო-მელიც ძირითადად იკვლევდა გეგმიანი ეკონომიკის პრობ-ლემებს და მის უპირატესობებს ე. წ. კაპიტალისტურ (საბაზრო) ეკონომიკასთან შედარებით. ამიტომ სავსებით კანონზომიერი იყო პირველად საქართველოში „ვნიიკს“-ის ფილიალის ბა-ზაზე სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება თემაზე: „საბაზრო ეკონომიკის პრობლემები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის, საგეგმო კომიტეტთან არსებული ინსტიტუტის, თსუ და სხვა სამეცნიე-რო დაწესებულებების თანამშრომლებმა.

ბაზრისა და მისი რეგულირების, ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის და ეკონომიკური თეორიის პრობლემებისა და დეფინიციების შესახებ ავტორისეული ინტერპრეტაციები გამოქვეყნდა თსუ შრომებში „ეკონომიკა“, ნაშრომთა კრებულში („მარკეტინგის აქტუალური საკითხები), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომებში (I–VI ტ.). ჟურნალებში „ეკონომიკა“, „ეკონომიკა და ბიზნესი“, „ბიზნესი და კანონმდებლობა“, მოხსენდა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის კონფერენციას (მიეძღვნა თსუ 80 წლისთავს), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პრაქ-ტიკულ კონფერენციას (1995 წელი), მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც-ნიერო პრაქტიკული კონფერენციის (2002 წ.), ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიას (2001 წ.) და სხვ. მაგალითად, ჯერ კიდევ 1986 წელს, როდესაც საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერება გეგმიანი ეკონომიკის პირობებში მიუღებლად მიიჩნევდა მარ-კეტინგს, თსუ-ში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფე-რენციაზე გამოვედი მოხსენებით თემაზე: „საქონლის რეალი-ზაციის პრობლემები სოციალიზმის დროს და მარკეტინგი“ (თეზისები

დაიბეჭდა), 1990 წელს ჟურნალ „ეკონომისტში“ (№ 9) გამოქვეყნდა მეთაური სტატია „მარკეტინგი და მისი გამოყენების პირობები“, სტატიები ამავე ჟურნალში – „მენეჯმენტი საბაზრო ეკონომიკის პირობებში“ (№ 1-3. 1994), „საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი“ (№ 1. 1993), ჟურ-ნალში „ბიზნესი და კანონმდებლობა“ (№ 16. 2006): „როგორ გავმიჯნოთ ბიზნესი და მეწარმეობა“ და ა. შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „უმაღლესი განათლების რეფორმა საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“, რომელიც ჩატარდა 2000 წლის სექტემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა. გამოიცა ამ კონფერენციის მასალები აკად. რ. მეტრეველის რედაქტორობით (2001 წ.), რომელშიც დაბეჭდილია ჩემი მოხსენების (ერთადერთი ეკონომისტი მომხსენებელი) თეზისები „უმაღლესი განათლების რეფორმა და ახალი ეკო-ნომიკური სამეცნიერო დისციპლინების სწავლების საკით-ხები“.

ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის საფუძვლების და ეკონომიკური თეორიის უმაღლეს სასწავლებელში მართლზომიერი სწავლებისათვის გადამწყვეტი და არსებითი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული მეცნიერული დისციპლინების მართებულ დეფინიციას, რის შესახებ ავტორისეული მოსაზრებები გამოქვეყნებულია შემდეგ სახელმძღვანელოებსა და სტატიებში: ბიზნესის საფუძვლები (დამხ. სახელმძღვანელო 2000 წ.); მარკეტინგის საფუძვლები (სახელმძღვანელო 1999 და 2009 წწ.); მენეჯმენტის საფუძვლები (სახელმძღვანელო 1998 და 2008 წწ.); ეკონომიკური თეორიის დეფინიციის საკითხებისათვის: „ეკონომიკსი“, პოლიტიკური ეკონომია თუ ზოგადი ეკონომიური თეორია? თსუ შრომები (სერია „ეკონომიკა“, ჩაბარდა 1996 წელს), 1999; ეკონომიკური თეორიის დეფინიციის საკითხებისთვის, სტატია ჟურ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 4, 2009 და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა ბიზნესის ფაკულტეტი, კავკასიის ბიზნეს-სკოლა და ა. შ., პრესა, რადიო, ტელევიზია იყენებენ ბიზნესს, ბიზნესმენს, საქართ-

ველოს პარალემენტის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღების გამო ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, ნორმატიულ აქტებში, სახელმწიფო სტატისტიკის მასალებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში საერთოდ არ მოიხსენიება „ბიზნესი“, „ბიზნესმენი“ და გამოიყენება „მეწარმეობა“ („სამეწარმეო საქმიანობა“), „მეწარმე“, რაც მოკლებულია სათა-ნადო ლოგიკურ საფუძველს. ეს კანონი მიღებულია გერმანე-ლი და ქართველი იურისტების ერთობლივი მუშაობის შედე-გად (ფაქტობრივად გერმანული ვარიანტია). საერთოდ, გერ-მანელები უპირატესობას ანიჭებენ ერთი ტერმინის გამოყე-ნებას. მაგალითად, იყენებენ, „მეურნეობას“ და არა „ეკო-ნომიკას“. ასევე იყენებენ „მეწარმეობას“ და არა „ბიზნესს“, რომელიც ინგლისური წარმოშობის ტერმინია (ქართულად ნიშნავს საქმეს). რუსებიც უპირატესობას ანიჭებენ „მეწარ-მეობას“ და მას მიიჩნევენ „ბიზნესის“ სინონიმად. ქართულ ეკონომისტთა უმრავლესობაც ერთმანეთთან აიგივებს ბიზ-ნესსა და მეწარმეობას (ბიზნესმენსა და მეწარმეს),[1] ვინაი-დან ორივე მოგების მიღებაზე გამიზნული კერძო საქმიანობაა. საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ ბიზნესი ვაჭრობაა, ხოლო მეწარმეობა წარმოებაა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ ბევრ შემთხვევაში ჩვენთან ბიზნესი გაიშალა ძირითადად ვაჭრობის, მომსახურების (მ. შ. საბანკო მომსახურების) სფეროში და არა წარმოების სფეროში. იქმ-ნება წარმოდგენა ბიზნესის არაპროდუქტულობის თაობაზე, როგორც ყიდვა-გაყიდვის საქმიანობა იოლი გამდიდრების მიზნით. ამიტომ მეწარმეობა ასოცირდება წარმოებასთან, ხოლო მეწარმე – მწარმოებელთან.

ცნება „მეწარმე“ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში შემოი-ტანეს ფრანგმა ეკონომისტებმა XVIII საუკუნის დასაწყისში. მათი აზრით, მეწარმეა ადამიანი – გლეხი, ხელოსანი, ვაჭარი და ა. შ., შემოსავლის სხვადასხვა წყაროებით, რომლებიც იძენენ რა სხვის საქონელს, უმთავრესად წარმოების საშუალებებს არსებული ფასით, იმედი აქვთ თავიანთ საქონელს

[1] *ეკონომიკური ლექსიკონი პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001, გვ. 59-60.*

გაყიდიან უფრო მეტი ფასით.[1] ი. შუმპეტერის მიხედვით, მეწარმის საქმიანობა (მეწარმეობა) „ახალი კომბინაციების" განხორციელებაა, რომელთა შორის ძირითადია: ახალი, მომხმარებლისათვის უცნობი დოვლათის (პროდუქტის) დამ-ზადება, წარმოების (ტექნოლოგიების) ახალი წესების აღმო-ჩენა და უკვე არსებული დოვლათის კომერციული გამოყე-ნება, გასაღების ახალი ბაზრების ათვისება, ნედლეულის ახა-ლი წყაროების გამოყენება, დარგის სტრუქტურის შექმნა.[2]

ი. შუმპეტერს მიაწერენ მეწარმეობის მეოთხე ფაქტორად აღიარებას. ბუნებრივია, წარმოების მეოთხე ფაქტორად იგულისხმება არა მეწარმეობა, როგორც სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობა, არამედ მეწარმული (სამეწარმეო) უნარი. მეწარმეობის არსთან დაკავშირებით ყველაზე მართებული პოზიცია უკავია ცნობილ ამერიკელ პროფესორს პიტერ დრუკერს, რომელიც მეწარმეობად მიიჩნევს რაიმე ახლის შექმნას, ბიზნესის ახლებურად წარმართვას, რომ შეიქმნას ახალი ბაზარი და ახალი მომხმარებელი.[3] იგი მეწარმეობას მიაკუთვნებს „მაკდონალდსის" რესტორნების ქსელს, „ჯენე-რალ ელექტიკის" საქმიანობას, რომელიც შეიქმნა 100 წლის წინათ, ბრიტანული სავაჭრო კომპანია „მარქს ენდ სპენსე-რის" საქმიანობას, რომელიც გამოირჩევა დასავლეთ ევრო-პაში ბოლო 50 წლის მანძილზე ნოვატორობით და სხვ.

მაშასადამე, როგორც ბიზნესი, ასევე მეწარმეობა მრავალფეროვანი საქმიანობაა (წარმოება, ვაჭრობა და ა. შ.), მაგრამ ბიზნესი გაცილებით ფართო ცნებაა და იგი მოიცავს მეწარმეობასაც, რომელიც ინოვაციური ბიზნესია, ე. ი. მეწარმეობა ბიზნესის საუკეთესო ნაწილია. ამიტომ, როგორც აღინიშნა, არ იყო მართებული მეწარმეობის ეკონომისტის – ბიზნესის ნაწილის სპეციალისტის მომზადება. აგრეთვე არ არის მართლზომიერი, როდესაც საქართველოს ტექნიკურ უნივერ-სიტეტში იკითხება საგანი „სამეწარმეო სამართალი" (უნდა

---

[1] *გ. შუბლაძე, როგორ გავმიჯნოთ ბიზნესი და მეწარმეობა. ჟურ. „ბიზნესი და კანონმდებლობა", № 16. 2006.*

[2] *Шумпетер И. Теория экономичесского развития. М., 1982. с. 153.*

[3] *Друкер П. Рынок: как выйти в лидеры. М., 1992. с. 31.*

იყოს „ბიზნესის სამართალი“). ამ სახელწოდებით გამოიცა ქ. ქოქრაშვილის წიგნი 2007 წელს.

საქართველოში ცალ-ცალკე შექმნილია ბიზნესმენთა ასოციაცია, მეწარმეთა კავშირი და თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაცია. ბოლო რომ მოეღოს აღნიშნულ და სხვა გაუგებრობებს, აუცილებელია საკანონმდებლო წესით დამკვიდრდეს „ბიზნესი„ (და „ბიზნესმენი“). მისი მართებული დეფინიცია უნდა განახორციელონ ეკონომისტებმა, ხოლო იურისტებმა საკანონმდებლო აქტების შედგენისას უნდა იხელმძღვანელონ ეკონომიკური დეფინიციით. ამის თაობაზე წერილითა და სათანადო მასალებით საკითხი დავაყენე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინაშე (№01/24 – 8566. 20.10.09) და როგორც მაცნობეს სამინისტროდან პარლამენტში გაიგზავნა (16.12.2009) საჭირო მასალები. საგანი „ბიზნესის საფუძვლები“ უნდა ისწავლებოდეს ერთსემესტრიანი (კვირაში სამსაათიანი) მოცულობით I კურსზე.

მოსაწესრიგებელია „მარკეტინგის საფუძვლების“ სწავლებაც. მართალია, მარკეტინგის კურსის წაკითხვა აშშ უნივერსიტეტებში დაიწყო ერთი საუკუნის წინათ, მაგრამ მარკე-ტინგის არსის შესახებ დღემდე არ არის მიღწეული ერთიანი აზრი. სპეციალურ ლიტერატურაში დაფიქსირებულია მარკე-ტინგის 4000-მდე განმარტება (დეფინიცია). ყველაზე მეტად გავრცელებულია ცნობილი ამერიკელი პროფესორის ფილიპ კოტლერის განმარტება: „მარკეტინგი ადამიანური საქმიანობის სახეობაა, რომელიც მიმართულია საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გაცვლის საშუალებით“.[1] კოტლერისეულ დეფინიციას იყენებს, როგორც ქართველი, ასევე სხვა ქვეყნების ავტორთა დიდი ნაწილი. ნებისმიერი კატეგორიის დეფინიციაში უნდა აისახოს ყველა არსებითი მხარე. მოტანილ განმარტებაში არ ჩანს ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის – მოთხოვნის შესწავლისა და დაკმა-ყოფილების აუცილებლობა მაშინ, როდესაც ბაზრის ძირითადი ელემენტია მოთხოვნა და არა მოთხოვნილება (მით უმეტეს საჭიროება). ამიტომ მართლზომიერად მიგვაჩნია განმარტება:

[1] *Котлер Ф.. Основы маркетинга. М., 1992. С. 47.*

მარკეტინგი არის საქონელზე (მომსახურებაზე და სხვ.) მოთხოვნის შესწავლა – პროგნოზირება და მისი დაკმაყოფილება გაცვლის საშუალებით მოგების მისაღებად. მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის კი აუცილებელია მისი წინასწარი შესწავლა-გამოვლენა.

თავდაპირველად მარკეტინგის ცნების შინაარსი დაკავშირებული იყო საქონელმიმოქცევის (ვაჭრობის), საქონლის გასაღების სფეროს ფაქტორების ანალიზთან. ე. ი. მარკე-ტინგის მიზნად მიჩნეული იყო წარმოებული პროდუქტის (საქონლის) გასაღების უზრუნველყოფა. მაგრამ ცხოვრებამ აჩვენა, რომ თუ საქონელი წარმოებულია მყიდველთა (მომხ-მარებელთა) მოთხოვნის გაუთვალისწინებლად, ზედმეტია ლაპარაკი მის ეფექტიან გასაღებაზე. ამიტომ მარკეტინგის ცნების შინაარსი განიცდიდა არსებით ცვლილებებს საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის პირობების ცვლილებათა შესა-ბამისად და თანამედროვე მარკეტინგი წარმატებით გამოი-ყენება ეკონომიკისა და ბიზნესის ყველა სფეროში (დარგში) და არაკომერციულ საქმიანობაშიც. სამწუხაროდ, ამერიკული სახელმძღვანელოს „გამოყენებითი ეკონომიკის“ მეოთხე გამოცემის ქართულ თარგმანში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამხმარე სახელმძღვანელოდ უფროსი კლასებისათვის, მარკეტინგის დეფინიცია მოცემულია ძველი ინტერპრეტაციით: „საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს წარმოებული საქონლისა და მომსა-ხურების წარმატებულ რეალიზაციას“.[1] ამავე წიგნში მარკე-ტინგის მთავარი ფუნქციები გადმოცემულია საქონლის შეს-ყიდვა-გაყიდვის და რეალიზაციაზე აქცენტის გაკეთებით: ინფორმაციის შეგროვება, შესყიდვა, ტრანსპორტირება, გაყიდვა, შენახვა და სხვ.[2] ანალოგიურად არის განხილული მარკეტინგის ფუნქციები ბოლო დროს გამოცემულ ლექციების კურსში:[3] ამერიკელი სპეციალისტების ლ. ბუნისა და დ. კურტცის აზრით, მარკეტინგი რვა ფუნქციას ასრულებს. მათ მიეკუთვნება: ყიდვა, გაყიდ-

---

[1] *გამოყენებითი ეკონომიკა. თბ., 1997, გვ. 216.*
[2] *გამოყენებითი ეკონომიკა. თბ., 1997, გვ. 97.*
[3] *ნ. თოდუა, ბ. მღებრიშვილი, მარკეტინგის საფუძვლები. თბ., 2009. გვ. 30.*

ვა, ტრანსპორტირება, შენახვა, სტანდარტიზაცია და კლასიფიკაცია, დაფინანსება, გარისკვა, მარკეტინგული ინფორმაციის მოპოვება. ამრიგად, დღემდე ავტორთა უმრავლესობა მარკეტინგს აიგივებს სავაჭრო-გასაღებით საქმიანობასთან, გაცვლასთან. ამასთან დაკავში-რებით ფ. კოტლერი აღნიშნავს: „უმრავლესობა შეცდომით აიგივებს მარკეტინგს გასაღებასა და სტიმულირებასთან. გასაღება მისი მრავალი ფუნქციიდან მხოლოდ ერთი ფუნქ-ციაა, ამასთან ხშირად არაარსებითი“.[1] მარკეტინგის ძირითა-დი ფუნქციებია: ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა; სასაქონ-ლო ასორტიმენტის განსაზღვრა (დაგეგმვა); საბაზრო სტრა-ტეგიის ჩამოყალიბება და ფასწარმოქმნა; მოთხოვნის ფორ-მირება და გასაღების სტიმულირება. როგორც წესი, მარკე-ტინგის არსი (მისი მთავარი დანიშნულება) თავის გამოხატუ-ლებას პოულობს მის ძირითად ფუნქციებში.[2]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მარკეტინგის გამოყენების მთავარი სფეროა მატერიალური წარმოება და ყველა ის საქმიანობა, რაც დაკავშირებულია საქონლის წარმოებასა და სხვადასხვა მომსახურების გაწე-ვასთან (ე. ი. წარმოების შეგუება ბაზრის მოთხოვნებთან). ამიტომ მისი მთავარი პრინციპია: იწარმოოს ის, რაც გაი-ყიდება და არა იყიდებოდეს ის, რაც წარმოებულია. მარ-კეტინგი არ შეიძლება იყოს ეკონომიკის რომელიმე ერთი დარგის, მაგალითად, ვაჭრობის კუთვნილება, როგორც ეს წარმოუდგენია ავტორთა მნიშვნელოვან ნაწილს. ერთ დროს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღეს ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობა, რაც არ იყო ლოგიკური (შესაბამისი კათერდაც არსებობდა).

აუცილებელია ითქვას ერთი გავრცელებული უზუსტობის შესახებაც. ხშირად მარკეტინგს განმარტავენ, როგორც საწარმოების (ორგანიზაციების) მართვის სისტემას, როგორც წარმოება-გასაღების მართვის სისტემას: „მარკეტინგი, როგორც ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებისა და გასა-

---

[1] *Котлер Ф. Основы маркетинга. М., 1992. с. 46.*

[2] *მარკეტინგის საფუძვლები. სახელმძღვანელო პროფ. გ. შუბლაძის რედ., „უნივერსალი“, თბ., 2009, გვ. 34.*

ღების ორგანიზაციის მართვის სისტემა...“[1] (სტილი დაცუ-ლია – გ. შ.). ამგვარად, მარკეტინგს აიგივებენ მენეჯმენტ-თან, მაგრამ მენეჯმენტი გაცილებით უფრო ფართო საქმია-ნობაა, ვიდრე მარკეტინგი. მენეჯმენტი მოიცავს საწარმოს (ფირმის) საქმიანობის ყველა მიმართულების, სახელდობრ წარმოების, მარკეტინგის, ფინანსების, კადრების და ა. შ. მართვას. აქვე უნდა ითქვას ერთ არამართლზომიერ მოსაზ-რების თაობაზეც: „მარკეტინგის მართვა – ეს არის მოთხოვნის მართვა“.[2] რო-გორც აღინიშნა, მარკეტინგის პირველი და ძირითადი ფუნ-ქციაა ბაზრის კომპლექსური (ყველა ელემენ-ტის) გამოკვლე-ვა. ჯერ-ერთი, მარკეტინგის მართვა არ უნდა შემოიფარგლე-ბოდეს მისი მხოლოდ ერთი ელემენტით – მოთხოვნით; მეო-რე, მოთხოვნის მართვა, როგორც მთლიანად ბაზრის მართვა, ნონსენსია. ვინაიდან მარკეტინგი მართვის თვალსაზრისით მენეჯმენტის ობიექტია, „მარკეტინგის საფუძ-ვლები“ ერთი სემესტრით მაინც ადრე უნდა ისწავლებოდეს, ვიდრე „მენეჯ-მენტის საფუძვლები“ და არა პირიქით. მიზან-შეწონილია „მარკეტინგის საფუძვლები“ სტუდენტებმა შეის-წავლონ II კურსზე, ხოლო „მენეჯმენტის საფუძვლები“ III კურსზე.

რაც შეეხება „მენეჯმენტის საფუძვლების“ სწავლებას, აქაც ადგილი აქვს რიგ ხარვეზებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა ით-ქვას ის, რომ ინგლისური „მენეჯმენტი“ და ქართული „მარ-თვა“ არ არიან სინონიმები. „მენეჯმენტი“ ამერიკული წარ-მოშობისაა და სიტყვასიტყვით არ ითარგმნება სხვა ენებზე, მათ შორის ქართულ ენაზე. ამიტომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ცნებებმა „მე-ნეჯმენტი“ და „მენეჯერი“ შეცვალეს „მართვა“ და „ხელ-მძღვანელი“.[3] სახელმწიფო სტრუქტურებში (არაკო-მერციულ ორგანიზაციებში), როგორც წესი, გამოიყენება ცნებები „მარ-თვა“ და „ხელმძღვანელი“ (სახელმწიფო მოხელე) და არა „მე-ნეჯმენტი“ და „მენეჯერი“. მენეჯმენტის არსის შესახებ მოხ-

---

[1] *რ. ჯავახიშვილი, ნ. ოქრუაშვილი. მარკეტინგი. სასწავლო სახელმძღვანელო. თბ., 2007. გვ. 3.*

[2] *Котлер Ф. Основы маркетинга. დასახელ. წიგნი, გვ. 57.*

[3] *ნ. პაიჭაძე, თ. ხომერიკი და სხვ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2005. გვ. 4.*

სენება გავაკეთე თსუ მენეჯმენტის კათედრის სხდომაზე 2005 წლის ნოემბერში და ელემენტარულად ავუხ-სენი კათედრის (გამგე პროფ. ნ. პაიჭაძე) წევრებს, რომ ქარ-თული „მართვა“ გაცილებით ფართოა, ვიდრე ინგლისური „მენეჯმენტი“, რამ-დენადაც მართვას ადგილი აქვს როგორც საზოგადოებაში, ასევე ბუნებაში. მაგალითად, ტრაქტორისტი ტრაქტორს მარ-თავს, მაგრამ იგი მენეჯერი არ არის; ქვეყნის პრეზიდენტი სახელმწიფოს მართავს, მაგრამ იგიც არ არის მენეჯერი. არ არის მართებული „სტრატეგიული მენეჯმენტის“ შეცვლა „სტრატეგიული მართვით“. მენეჯმენტის შესახებ სწავლა უნ-და დაიწყოს „მენეჯმენტის საფუძვლებით“. შემდეგ კი შეიძ-ლება იგი გაღრმავდეს სხვა საგნების (სტრატეგიული მენეჯ-მენტი, ტურიზმის მენეჯმენტი, საფინანსო მენეჯმენტი და სხვ.) დაუფლებით. მაგრამ არ არის მართებული „მენეჯ-მენტის ად-მინისტრირების“ ან „მენეჯმენტის“ საგნის შემო-ღება. ამრი-გად, მენეჯმენტი კომერციული ორგანიზაციების (საწარმოე-ბის, ფირმების, კომპანიების და სხვ.) მართვას ნიშნავს და ზო-გადად, როგორც აღინიშნა, ბიზნესის მართვის ფილოსოფიას წარმოადგენს ანუ მენეჯმენტი თავისი შინა-არსით არის მარ-თვა ბიზნესის სფეროში (კერძო სექტორში). ამიტომ ყოველ-გვარ ლოგიკას მოკლებულია საქართველოს პარლამენტის სხდომებზე, ტელეგადაცემებში იმის თქმა, რომ ამა თუ იმ სა-მინისტროში მოიკოჭლებს მენეჯმენტი, ან კიდევ დ. შაშკინის მინისტრად წარდგენისას პრემიერის მიერ მისი კარგ მენეჯე-რად მოხსენიება.

თუ გეგმიანი ეკონომიკის დროს სახელმწიფო (სამინისტ-როების მეშვეობით) ასრულებდა ეკონომიკის (მეურნეობის) მართვის (ხელმძღვანელობის) ფუნქციას, საბაზრო ეკონომი-კის პირობებში სახელმწიფო და მისი ორგანოები თავისუფლ-დებიან სამეურნეო ფუნქციებისაგან და უშუალოდ ვერ ჩაე-რევიან საწარმოების (ფირმების) საქმიანობაში, სადაც სრულ-დება მართვის (მენეჯმენტის) ყველა ფუნქცია: დაგეგმვა, ორ-განიზაცია, მოტივაცია და კონტროლი. მართვის ნაცვლად სა-ხელმწიფო ასრულებს რეგულირების ფუნქციას. ამიტომ სავ-სებით მართლზომიერია მსჯელობა სახელმწიფოს მხრი-დან საბაზრო ეკონომიკის რეგულირების და არა მართვის შესა-

ხებ. მართვისა და რეგულირებას შორის არსებითი გან-სხვავება და მათი გაიგივება[1] მიუღებელია. ზოგიერთი ავტო-რი კი რეგულირებას მიიჩნევს განსაზღვრული წესრიგისადმი, წესისადმი დამორჩილებას, მოწესრიგებას ან მექანიზმის ნაწილების სწორი ურთიერთმოქმედების დაწესებას. მართვა რეგულირებასთან შედარებით მრავალწახნაგოვანი საქმია-ნობაა და მისი ერთ-ერთი წამყვანი და ძირითადი ფუნქციაა დაგეგმვა. ამასთან მისაღები გადაწყვეტილებები, წესები აუცილებლად შეეხება კონკრეტულ სისტემას (ობიექტს). სის-ტემის (ობიექტის) მართვა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეიძლება მისი დაგეგმვა. ე. ი. რისი დაგეგმ-ვა შეუძლებელია, მისი მართვაც შეუძლებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ რეგულირებას, როგორც წესი, ახასიათებს გაცი-ლებით დიდი ხანგრძლივობის (დროის მიხედვით) პერიოდი, ვიდრე, მართვას. ამრიგად, ბაზართან, საბაზრო ეკონომიკას-თან მიმართებით გამოიყენება კლასიკური ცნება „რეგული-რება“ და არა მართვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთ ავტორს მენეჯმენტის ცნობილ ოთხ ფუნქციაში მოტივაციის ნაცვლად შეაქვს ლიდერობა (ხელმძღვანელობა)[2]. რომელსაც ავტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს მენეჯმენტის მთავარ კომპო-ნენტად. ზოგიერთი ავტორი მართვის დონეების განხილვისას ძირეულ, საშუალო და უმაღლესი დონეების (რგოლების) ნაცვლად განიხილავენ დაბალ, საშუალო და მაღალ რგო-ლებს,[3] ან ზედა, საშუალო და ქვედა რგოლებს.[4]

ეკონომიკური თეორიის სწავლებასა და დეფინიციასთან[5] დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში სრული გაურკვევლობაა. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ე. წ. მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის ნაცვლად შემოღებულ იქნა „ეკონომიკსი“, რომელიც ისწავლებოდა ეკონომიკური

---

[1] *ვ. ბოლოკაძე. მარკეტინგი. თბ., 1995. გვ. 28.*

[2] *Дафт Р. П. Менеджмент. 6-е изд. СПБ.: Питер. 2008. с. 35.*

[3] *მ. ტუღუში, ნ. ყირიმლიშვილი. მენეჯმენტი. თბ., 2009. გვ. 40.*

[4] *ბიზნესი (სახელმძღვანელო ორ ტომად ESM - თბილისის სტუდენტებისათვის), რ. ვაჩნაძის საერთო რედ., თბ., 2007, გვ. 181.*

[5] *უფრო ვრცლად იხ. ჟურნ., „ეკონომიკა და ბიზნესი“, №4, 2009.*

თეორიის პარალელურადაც. ერთ დროს გამოიყენებოდა „თეორიული ეკონომიკა“. ბოლო დროს კი თსუ-ში დაკანონდა „ეკონომიკის პრინციპები“ გ. მენქიუს ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით. როგორც ცნობილია, ერთი საუკუნით ადრე (1890 წ.) ა. მარშალმა გამოსცა წიგნი „ეკონომიკის პრინციპები“ და პირველმა დაიწყო „ეკონომიკსის“ და არა ეკონომიკსის პრინციპების კურსის წაკითხვა კემბრიჯის უნივერსიტეტსი პოლიტიკური ეკონომიის ნაცვლად. ეს წიგნი ითარგმნა რუსულ ენაზე და გამოიცა ქალაქ მოსკოვში 1983 წელს (დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ) სახელწოდებით „პო-ლიტიკური ეკონომიის“ პრინციპები. ამრიგად, არც ინგლი-სურენოვან ქვეყნებში, არც რუსეთში, არ იკითხება საგანი (მეცნიერული დისციპლინა) ეკონომიკის პრინციპები (პრინცი-პებში საზღვარგარეთ, როგორც წესი, მოიაზრება ეკონომი-კური კანონები, რომელთა გამოტანა საგნის სახელწოდებაში უსაფუძვლოა). ყველაზე მართებულად ეკონომიკური თეორიის დეფინიციისათვის უნდა ჩაითვალოს „ზოგადი ეკონომიკური თეორია“ და იგი უნდა ისწავლებოდეს უნივერსიტეტებში ყვე-ლა სპეციალობაზე, როგორც ადრე პოლიტიკური ეკონომია.

საბოლოოდ შეიძლება გაკეთდეს ასეთი დასკვნა: სტუდენტებისათვის (პირველ რიგში ბაკალავრებისათვის) არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ტერმინების (ცნებების) და მით უმეტეს, მეცნიერული დისციპლინების მართლზომიერ დეფინიციას მათი (ამ დისციპლინების) სწორად შესწავლისა და ათვისებისათვის.ამიტომ უნდა მიწესრიგდეს „ბიზნესის საფუძვლების“, „მარკეტინგის საფუძვლების“, „მენეჯმენტის საფუძვლების“, „ზოგადი ეკონომიკური თეორიის“ სწავლება და სასწავლო ლიტერატურაც უნდა გამოიცეს ამ სახელწოდებით, რასაც, სამწუხაროდ, არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება (ანოტაცია დაიბეჭდა რუსულ ენაზე).

*(ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №1, 2010).*

## 6. კანონიერი უფლებების დარღვევის შესახებ ემერიტუსის სტატუსთან და კონკურსების ჩატარებასთან დაკავშირებით

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ნიკა გვარამიას**

დიდად პატივცემულო ბატონო ნიკა!

იძულებული ვარ მოგმართოთ კიდევ ერთხელ არა კარგი ცხოვრების გამო, რომელშიც აღმოვჩნდი და იმ უსამართლობათა გამო, რომელსაც ადგილი აქვს უმაღლესი განათლების სფეროში, რაც იწვევს ჩემი და ჩემი კატეგორიის მრავალი ღვაწლმოსილი მეცნიერისა და უმაღლესი განათლების მუშაკის უმძიმეს მდგომარეობაში ჩაყენებას, პირდაპირ რომ ვთქვათ, ხელის კვრას, ქუჩაში გაყრას და უფუნქციოდ, საარსებო საშუალების გარეშე დატოვებას.

ისევ გაგიმეორებთ მოკლედ ჩემს შესახებ. ვარ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, მაქვს პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება. სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევი 1962 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში (თეუსუ) და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. სხვადასხვა დროს ვიყავი ვაჭრობის სამინისტროს შმო-სა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი, კონიუნქტურისა და მოთხოვნის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი, მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში მე ჩამო-ვაყალიბე). ვარ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აკადემიკოს-მდივანი. ვიყავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი საბჭოს და პროფესორთა საბჭოს წევრი. ვარ სადისერტაციო საბჭოს წევრი სამ უნივერსიტეტში, ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, გამოქვეყნებული მაქვს 150-ზე მეტი სა-

მეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მარკეტინგის, მენეჯმენტის, ვაჭრობის მართვის, ბიზნესის საფუძვლების 12 სახელმძღვანელო და სხვ. ჩემი თანაავტორობით და რედაქტორობით გამოცემულია სახელმძღვანელოები: საერთაშორისო მარკეტინგი, ტურიზმის მარკეტინგი, მარკეტინგის მენეჯმენტი და ა. შ. მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროში წარმატებული მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული ვარ ღირსების ორდენით, ივ. ჯავახიშვილის მედლით და მედლით „შრომის ვეტერანი". ვარ თსუ ვეტერანთა ორგანიზაციის წევრი.

2006 წლის აგვისტოდან კონკურსის წესით არჩეული ვიყავი და ვმუშაობდი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული პროფესორის თანამდებობაზე. ახალი ვადით აღნიშნულ თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით თეუსუ-ს ხელმძღვანელობამ განიზრახა მზაკვრული ხერხით ჩემი და სხვა დამსახურებული ასაკოვანი მუშაკების ჩამოშორება. 2008 წლის ნოემბერში ჩაატარა თათბირი, სადაც 65 წელს მიღწეულ პროფესორებს გამოგვიც-ხადეს, რომ მონაწილეობას ვერ მივიღებდით ამ კონკურსში, თუმცა ეს კონკურსი გამოცხადდა 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე, 2009 წლის ივნისში, ანუ იმ დროს, როცა არ იყო ამოქმედებული უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 36-ე მუხლი. თეუსუ-ის რექტორატის მოთხოვნა, რაც ეწინააღმდეგებოდა კანონს, ნიშნავდა, რომ რექტორატს არ სურდა ჩვენი მონაწილეობა კონკურსში და უნდოდა ჩვენი მოცილება. ასეთი დამოკიდებულება ნიშნავდა მხარდაჭერის გამორიცხვას და კონკურსში მონაწილეობის უშედეგობას. ამიტომ მე და ჩემი მდგომარეობის პირებმა ხელი ავიღეთ კონკურსში მონაწილეობაზე იმ ვარაუდით, რომ მივიღებდით ემერიტუსის წოდებას უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად. აქაც გამოჩნდა თეუსუ-ს ხელმძღვანელობის არაკეთილგანწყობილი ჩანაფიქრი ჩვენს მიმართ. ამ წოდებაზე უარი განგვიცხადეს იმ არგუმენტით, რომ კანონი ამ შემთხვევაში მოქმედებას იწყებს 2009-2010 სასწავლო წლიდან. არაოფიციალურად რექტორატის ქცევას ხსნიან ფინანსური რესურსების არქონის მოტივით. ღვაწლმოსილი პედაგოგების

– პროფესორების დამსახურება, ადამიანური მოპყრობის კრიტერიუმები კი აბუჩად არის აგდებული.

ასეთივე სისასტიკით მომექცნენ მე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც ლექციებს ვკითხულობდი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ზემოთ აღნიშნული ისტორიის შემდეგ განვიზრახე მონაწი-ლეობა მიმეღო იქ გამოცხადებულ კონკურსში მენეჯმენტის სპეციალობით ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, რამდენადაც ოფიციალურად ასაკობრივი შეზღუდვა კანონში შესწორების საფუძველზე უნივერსიტეტში მოიხსნა. ჩემი დამსახურებიდან, ინტელექ-ტუალური და ფიზიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე იმედი მქონდა, რომ ამ თანამდებობის დაკავებაში დაბრკო-ლება არ შემექმნებოდა. მაგრამ მოლოდინი აქაც არ გამი-მართლდა. ამ სპეციალობით ერთი სრული და 5 ასოცირებუ-ლი პროფესორის ადგილზე 2 სრული პროფესორის კონკურ-სანტიდან და 26 ასოცირებული პროფესორის კონკურსანტი-დან გაურკვეველი კრიტერიუმებით არჩეული იქნა მხოლოდ 3 ასოცირებული პროფესორი და ვაკანტურად დატოვებული დანარჩენი ადგილები. არჩეულთა შორის არ აღმოვჩნდი მეც.

გთხოვთ გაერკვეთ ჩემდამი ზემოთ აღწერილი მოპყრობის სამართლიანობაში. დაგვეხმაროთ მე და ჩემს მდგომარეო-ბაში მყოფ პროფესორებს, ვისაც გვაქვს უნარი ვემსახუროთ ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებასა და მეცნიერებას, რათა მოგვეცეს საშუალება გამოვიყენოთ ეს უნარი. მისი დაკარგვა დანაკლისი იქნება ქვეყნისათვისაც, ხოლო ჩვენი ამ მდგომარეობაში, საარსებო საშუალების გარეშე დარჩენა – ჩვენი განწირვა და სამარცხვინო ლაქა იქნება მთელი სა-ზოგადოების ცხოვრებაში. აქვე შეგახსენებთ, რომ არ სრულ-დება ხელისუფლების გადაწყვეტილება მეცნიერ მუშაკთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა 2007 წლის 1 იანვ-რამდე შემუშავების შესახებ, რაც გათვალსიწინებული იყო საქართ-ველოს კანონის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწი-ფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ (2005 წ. 27. XII) 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით. აქვე გაცნობებთ, რომ ამ წერილში დასმული საკითხები წამოჭრილი იყო მეცნიერთა ჯგუფის მიერ, 40-

ზე მეტი პროფესორის მიერ (მათ შორის ჩემი ხელ-მოწერა-ცაა) საქართველოს პრეზიდენტისადმი, პარლამენტის თავ-მჯდომარისადმი, თქვენსა და პედაგოგთა და მეცნიერთა თა-ვისუფალი პროფრაკვშირის პრედიზენტისადმი მიმართვა-ში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „რეზონანსში" ა/წ 13 იანვრის ნო-მერში.

დიდი პატივისცემით
პროფ. გიორგი შუბლაძე
01.10.2009

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

№ 02-17-4/8067. 30.06.2009

ბატონო გიორგი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინის-ტროში შემოვიდა თქვენი კორესპონდენცია (№ 02/17158-21, 15.06.09) ემერიტუსის სტატუსის შესახებ.

აღნიშნულ კორესპონდენციასთან დაკავშირებით გაცნო-ბებთ რომ, უმაღლესი განათლების სფეროში განხორციელე-ბული და მიმდინარე რეფორმების მიზნებია: სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტე-მის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სა-მეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეც-ნიერო კვლევის პირობების შექმნა, სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში სრულუფლებიანი მონაწილეობა, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავ-ლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში არსებულ ასაკობრივ შეზღუდვასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევი-

თი საქმიანობის ინტეგრირების მიზნით სახელმწიფო მსგავს შეზღუდვას არ აწესებს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამეცნიერო თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით, რაც პროფესორ-მასწავლებლების მიერ დაგროვილი თეორიული ინტელექტუალური შესაძლებლობების, სამეცნიერო-კვლევით სფეროში დაბანდებისათვის ხელშეწყობის მიზნებს ემსახურება. მასთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში სამეცნიერო თანამდებობის დაკავება არ ზღუდავს პირს პარალელურად განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამასთან, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 პუნქტების სესაბამისად, ***უმაღლესი საგანმანათლებლო დაწე-სებულების 65 წლის ასაკს მიღწეულ ყველა სრულ პროფე-სორს ენიჭება ემერიტუსის წოდება***. ემერიტუსის წოდების მქონე პირის ემერიტუსის წოდების მინიჭებამდე არსებული ხელფასისა და სახელმწიფო პენსიის ოდენობებს შორის განსხვავებას ფარავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ***ამასთანავე, ემერიტუსის წოდების მქონე პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე და ისარგებლოს დამატებითი სოციალური გარანტიებით ამ დაწესებულების ბიუჯეტიდან.***

აქვე გაცნობებთ, რომ სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ***აკადემიურ თანამდებობაზე აკადემიური პერსონალის არჩევისას არსებულ შეზღუდვასთან დაკავშირე-ბით საქარველოს პარლამენტში მიმდინარეობს „უმაღლესი განათლების შეახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების კანონპროექტის განხილვა.***

პატივისცემით,
ნოდარ სურგულაძე
მინისტრის მოადგილე

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი**

№ 01-01-8/281. 30.04.2010

**ბატონ გიორგი შუბლაძეს**

ბატონო გიორგი,

თქვენი განცხადების შესაბამისად, რომელიც ეხება თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიერ თქვენთვის ემერიტუსის წოდების მონიჭების საკითხს, გაცნობებთ:

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მე-39 მუხლის მე-2 თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 65 წელს მიღწეულ ყველა სრულ პროფესორს ენიჭება ემერიტუსის წოდება, გარდა იმ პირებისა, რომლებიც აკა-დემიურ თანამდებობაზე არიან არჩეულნი. იმ შემთხვევაში, თუ სრულ პროფესორს აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვამდე, სურს ემერიტუსის წოდების მინიჭება, მხოლოდ ამ შემთხვევაში საჭიროა რექტორის თანხმობა.

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის 51 ქვეპუნქტის თანახმად, ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის ორი მესამედით. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ აკადემიური თანამდებობის ვადის ამოწურვამდე დადგება საკითხი ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ, აკადემიურ საბჭოს სჭირდება რექტორის თანხმობა.

ამასთან გვინდა გაცნობოთ, რომ აკადემიური თანამდე-ბობის დაკავების მიზნით კონკურსში მონაწილეობა ან არ მონაწილეობა არ ზღუდავს პირს, კანონმდებლობით დადგე-ნილი პირობების არსებობისას მიიღოს ემერიტუსის წოდება და კონკურსში მონაწილეობა არ არის კავშირში წოდების მიღებასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ კანონიერი საფუძველი გქონდათ მიგეღოთ ემერიტუსის წოდება, თუნდაც

აკადემიური თანამდებობის ვადის ამოწურვამდე, ამ შემთხვევაში კი აკადემიურ საბჭოსთან საჭირო იქნებოდა რექტორის თანხმობა.

პატივისცემით,
სპმთპ-ის პრეზიდენტი
მანანა ღურჭუმალიძე

**საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს**

**გ. გაბაშვილს**

**დიდად პატივცემულო ბატონო გიორგი,**

ვარ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მაქვს პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება. სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი 1962 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ამავე დროს 1971-2000 წწ. ვიყავი სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელი, მათ შორის მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (შეიქმნა ჩემი ინიციატივით). განათლებისა და მეცნიერების სფეროში ნაყოფიერი და ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული ვარ ღირსების ორდენით, ივ. ჯავახიშვილის მედლით, აგრეთვე მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომის ვეტერანი“.

2006 წლის აგვისტოდან კონკურსის წესით არჩეული ვიყავი (სამი წლით) და ვმუშაობდი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში (თეუსუ) სრული პროფესორის თანამდებობაზე. თეუსუ-ს ხელმძღვანელობამ ჩაატარა მორიგი კონკურსი 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე და ასაკოვან პროფესორებს არ მიგვაღებინა მონაწილეობა ამ კონკურსში. 2009 წლის 12 მაისს მივმართე განცხადებით თეუსუ-ს რექტორს ბ-ნ ა. ჩუთლაშვილს ემერი-ტუსის წოდების მონიჭების შესახებ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით (15 მაისს შემისრულდა 75 წელი), რაზეც მივი-ღე უარი ახალ სასწავლო წლის (2009 წლის სექტემბრის) დაწყე-

ბამდე ასეთი წოდების მინიჭების შეუძლებლობის გამო. ამგვარად, ჩემთვის 48-ე სასწავლო წელს შევხვდი უმუშევარი და სოციალურად დაუცველი.

აღნიშნულის თაობაზე რამდენიმეჯერ მივმართე განცხადებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საიდანაც ვლებულობდი წერილებს (უნივერსიტეტიც), რომ რექტორის თანხმობით შეიძლება ემერიტუსის წოდების მინიჭება. უნივერსიტეტის რექტორი ოფიციალურად უარს ამბობდა ზემოთ ხსენებული მოტივით, პირად საუბარში – ფინანსური რესურსების არქონის მოტივით. სამინისტროში (იურიდიული დეპარტამენტის, მეცნიერების სამმართველო) გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ვერ ვუბრძანებთ უნივერსიტეტს მისი ავტონომიის გამო ემერიტუსის წოდების მინიჭების თაობაზე და ბოლოს ჩემს განცხადებაზე, რომ ვარ ასაკოვანი პროფესორი, არ მინდა ვიარო სასამართლოში, ნუთუ სამინისტროში ვერ უნდა მივაღწიო სიმართლეს, მიპასუხეს: მაშინ განცხადებას მიეცით საჩივრის ხასიათიო. ასეც მოვიქეცი.

2009 წლის 12 ნოემბერს სამინისტროს მივმართე საჩივრით. სამინისტრო სამ თვეზე მეტი მოუნდა ჩემი საჩივრის განხილვას (თუ ამას განხილვა ჰქვია) და მივიღე 19 თებერვლით დათარიღებული წერილი (ასლი თან ერთვის), რომელშიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მუხლები და პუნქტებია გადმოწერილი, ნათქვამია, რომ სამინისტრო არაუფლებამოსილი ორგანოა (მაშინ სამი თვე რას იხილავ-და?!) და თუ მე მიმაჩნია, რომ შელახულია ჩემი კანონიერი უფლებები, უფლებამოსილი ვარ მივმართო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

დამატებით გაცნობებთ, რომ მყავს მეუღლე – მზია შუბლაძე, რომელიც პედაგოგი-პენსიონერია (ბოლო რამდენიმე ათეული წელი ასწავლიდა ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში) და შვიდ წელზე მეტია ავადმყოფობს (საჭიროებს სერიოზულ მკურნალობას, რისი სახსრები არ გაგვაჩნია). ვარ 150-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, მათ შორის 14 სახელმძღვანელოს ავტორი, თანაავტორი და რედაქტორი და ვაგრძელებ ამ მხრივ მუშაობას.

გთხოვთ შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და დამსახურებისამებრ სამინისტროს მიაღებინოთ ჰუმანური გადაწყვეტილება, რომ დარჩენილი წლებიც გავატარო ისე ღირსეულად, როგორც შევხვდი 75 წლისთავს.

დიდი პატივისცემით და იმედით,

გიორგი შუბლაძე

**საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი**

№ 2423/4-4, 10.03.2010

**ბატონო გიორგი,**

კომიტეტში შემოსული თქვენი (№ 4471 25.02.10) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ემერიტუსის წოდების მინიჭების პროცედურა დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით და გამონაკლისებს არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება, კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

დამატებით გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ დაირღვა თქვენი კანონიერი უფლებები, უფლებამოსილი ხართ მიმართოთ სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

პატივისცემით,
კომიტეტის თავმჯდომარე
გ. გაბაშვილი

შემსრულებელი:
თ. ელოშვილი
ტელ.: 28 13 55

**საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს პ. კუბლაშვილს**

**ბატონო პავლე!**

ვარ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სტუდენტებისათვის 20-მდე სახელმძღვანელოების ავტორი, თანაავტორი და რედაქტორი ისეთ საგნებში როგორიცაა ბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგი (მ. შ. ტურიზმის), მენეჯმენტი (მ. შ. ტურიზმის), საერთაშორისო მარკეტინგი, სტრატეგიული მენეჯმენტი და სხვ. 40 წელზე მეტი ვკითხულობდი ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ). უნივერსიტეტიდან წავედი ასაკის გამო (ვიყავი 72 წლის). 2006 წელს, როცა გამოცხადდა პირველად კონკურსი უმაღლესი განათ-ლების შესახებ კანონის შესაბამისად და ამირჩიეს სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე თბილისის ეკონო-მიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში (თეუსუ), სადაც ასაკს არ ჰქონდა მნიშვნელობა (ვიყავი ერთადერთი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი). ეს უნივერსიტეტი შექმნილი იყო ვაჭრობის ტექნიკუმის ბაზაზე. მომდევნო კონ-ურსში (2009 წ.) მონაწილეობაზე 65 წელს მიღწეულ პროფე-სორებს უარი გვითხრა თეუსუს ხელმძღვანელობამ და მე დავწერე განცხადება რექტორის სახელზე ემერიტუსის წოდე-ბის მონიჭების თაობაზე, ვინაიდან არ დაელოდა უნივერსი-ტეტის ხელმძღვანელობა ხსენებული კანონიდან ასაკობრივი შეზღუდვის ამოღებას (გამოცხადდა კონკურსი 2009 წ. ივნისში). რექტორმა ა. ჩუთლაშვილმა ჩემს განცხადებაზე უარყოფითად მიპასუხა 2009 წლის სექტემბრამდე ემერიტუსის წოდების მინიჭების შეუძლებლობის (პირად საუბარში ფინანსების უქონლობის) მოტივით. ამის შემდეგ არაერთხელ მივმართე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელო-ბას, მაგრამ სამინისტროს დადებითი პასუხების მიუხედავად რექტორმა ა. ჩუთლაშვილმა თხოვნა ემერიტუსის წოდების მონიჭების თაობაზე არ დააკმაყოფილა. საქალაქო სასამართ-ლომ (მოსამართლე თ. შავერდაშვილი), შემდეგ სააპელაციო სასამართლომ (მოსამართლე ნ. კობახიძე) არ დააკმაყოფი-ლეს ჩემი

სარჩელი. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერ-თა პროფკავშირმა (ვთხოვე დახმარება) გამომიყო საქმის წარმოებისათვის იურისტი ე. ჩარკვიანი, რომელმაც მოამზა-და ჩემი სარჩელი უზენაეს სასამართლოში გასაგზავნად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (30.04.2010 წ.) მიღების შემდეგ. უზენაეს სასამართლოდან დამირეკეს გასუ-ლი წლის 11 ნოემბერს (რამდენიმე თვის შემდეგ სარჩელის შეტანიდან) და მაცნობეს: საქმე მიღებულია წარმოებაში და პასუხს მიიღებთ სამი თვის განმავლობაშიო. დღეს უკვე 21 თებერვალია და პასუხი არ არის. ამასობაში გახდა ცნობილი, რომ თეუსუ (ჩემი მოპასუხე), როგორც საჯარო სამართლის სუბიექტი არ არსებობს და იგი შეუერთდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ვკითხულობდი ლექციებს 1962-2007 წწ. და ვარ ამ უნივერსი-ტეტის ვეტერანთა ორგანიზაციის წევრი.

მყავს მეუღლე მზია შუბლაძე, პედაგოგ-პენსიონერი, II ჯგუფის ინვალიდი (ბოლო რამდენიმე ათეული წელი ასწავლიდა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში), რომელიც საჭიროებს სერიოზულ მკურნალობას. ჩვენი ოჯახის შემოსავალი არის მხოლოდ ჩენი 100-100 ლარი, რაც არ არის საკმარისი წამლების შეძენისა და მკურნა-ლობისათვის.

გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ჩვენი ოჯახის მდგომარეობა და აღმომიჩინოთ დახმარება ემერიტუსის წოდების მიღებაში ან ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში (დავამთავრე თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი წარჩინებით 1957 წ.) სრული პროფესორის თანამდებობის დაკავებაში. შემიძლია შევასრულო სრული პროფესორის მოვალეობა ერთი ვადით მაინც მენეჯმენტის მიმართულებაზე. ამ მიმართულებაზე (კათედ-რაზე) დღემდე არ არის არჩეული სრული პროფესორი.

გიორგი შუბლაძე,
მცხოვრები თბილისი,
მოსაშვილის ქ. № 1, ბ. 52,
ტელ.: 22-76-70, 21.02.2011

**საქართველოს პარლამენტი**
**იურიდიულ საკითხთა კომიტეტი**

თბილისი, 01118, რუსთაველის გამზ. 8
ტელ.: (995 32) 28 17 05
ელ. ფოსტა: legalcmt@parllament.ge

ბატონო გიორგი,

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ დავით ბაქრაძის რეზოლუციით შემოსული თქვენი განცხადება (№ 1885), რომლითაც ითხოვთ სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვას. ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამარლოს კანონით განსაზღვრული წესით“. კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ მოსამართლეები“.

გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში დასმულ საკითხზე რეაგირება სცილდება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის უფლებამოსილების ფარგლებს.

პატივისცემით,
პავლე კუბლაშვილი
კომიტეტის თავმჯდომარე

შემსრულებელი: ნ. ძოწენიძე
ტელ.: 28-17-36

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ბ-ნ კ. კუბლაშვილს**

პროფესორ გიორგი შუბლაძის
(საქმე № ბს-1594-1553 (კ-10)

განცხადება

არჩეული ვიყავი სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 2006-2009 წწ. (18 აგვისტომდე) თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2009 წლის ივნისში გამოცხადდა მორიგი კონკურსი (არ დაუცადეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონიდან ასაკობრივი შეზღუდვების მუხლის ამოღებას) და 65 წელს მიღწეულ ყველა პროფესორს გამოგვიცხადეს, რომ მასში მონაწილეობას ვერ მივიღებდით. მაშინ მე განცხადებით მივმართე თეუსუს რექტორს ბ-ნ ა. ჩუთლაშვილს ემერიტუსის წოდების მონიჭების შესახებ. მივიღე უარყოფითი პასუხი 2009 წლის სექტემბრამდე ამის შეუძლებლობის (პირად საუბარში ფინანსების უქონლობის) მოტივით. ამის შემდეგ მივმართე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობას რამდენიმეჯერ. ყველა პასუხი იყო დადებითი (დაახლოებით ასეთი შინაარსის, წერილი №02-17-4/8067, 30.06.2009 წ., რომელსაც ხელს აწერს მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე): უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 65 წლის ასაკს მიღწეულ ყველა სრულ პროფესორს ენიჭება ემერიტუსის წოდება... მაგრამ ბ-ნი ა. ჩუთლაშვილი პოზიციას არ იცვლიდა. ბოლოს ჩემი სარჩელი განიხილეს საქალაქო და სააპელაციო სასა-მართლოებმა თეუსუს ხელმძღვანელობის უკანონო ქმედების (არ დამიშვეს კონკურსში ასაკის გამო) გაუთვალისწინებლად და სამინისტროს დადებითი პასუხების მიუხედავად (30.04.2010 წ.). სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღე-ბის შემდეგ საკასაციო საჩივრით მივმართე უზენაეს სასა-მართლოს (იმედს არ ვკარგავდი), საიდანაც რამდენიმე თვის შემდეგ დამირეკა ლ. ქემოკლიძემ და შემატყობინა, რომ ჩემი საჩივარი მიღებულია წარმოებაში და პასუხს მივიღებ სამი

თვის განმავლობაში (11 თებერვლამდე, 2011 წ.). ა/წ 21 თებერვალს მივმართე პარლამენტის შესაბამის კომიტეტს დახმარებისათვის (ასლი თან ერთვის). უზენაესი სასამართლოს განჩინება (9 თებერვალი, 2011 წ.) ფოსტით მივიღე ა/წ 25 თებერვალს $16^{00}$ საათზე. სამწუხაროდ, ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატამ: ნინო ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებე-ლი), მოსამართლეები – ნუგზარ სხირტლაძე, ლევან ალექსიძე, მრავალი თვის განმავლობაში (როგორც იქნა) ჩემს „ურთულეს" საკასაციო საჩივარზე გამოიტანა გადაწყვეტილება: „...სააპელაციო სასამართლოში საქმე განხილულია საპროცესო დარღვევების გარეშე... გიორგი შუბლაძის საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განსახილველად დაშვებაზე", რომელიც ჩემთვის გაუგებარია. ნუთუ ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ხსენებულმა პალატამ მოანდომა რამდენიმე თვე. ეს ხომ ადამიანის აბუჩად აგდებაა. მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ საქართველოში არ არსებობს სასამართლო და სამართალი (როგორც ამბობენ და იწერება პრესაში). კონკრეტულად მხედველობაში მაქვს გაზეთ „ახალ დროებაში" (2010 წლის 17 აგვისტო) გამოქვეყნებული ინტერვიუ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესთან ზ. ხატიაშვილთან.

გთხოვთ მიპასუხოთ: 1) ასაკის გამო უნდა შევწყვიტო პედაგოგიური საქმიანობა და სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოების გამოცემა (2010 წელს გამოვეცი „სტრატეგიული მენეჯმენტი" და „ბიზნესის საფუძვლები") და ვიცხოვრო მხოლოდ 100 ლარიანი პენსიით?; 2) კანონიერად მომექცა თუ არა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბ-ნი ა. ჩუთლაშვილი? (2007-2009 წწ. გამოვეცი სტუდენტებისათვის პირველად ქართულ ენაზე „საერთაშორისო მარკეტინგი", „მარკეტინგის მენეჯმენტი" და სხვ. და არც ერთ პროფესორს არა აქვს უმაღლესი სკოლისთვის გამოცემული 20-მდე სახელმძღვანელო).

პატივისცემით, გ. შუბლაძე,
მცხ. მოსაშვილის ქ. №1, ბ. 52. 26.02.2011

**საქართველოს უზენაესი სასამართლო**
09.03.11 № ვ-179-11

ბატონო გიორგი,

თქვენი 2011 წლის 28 თებერვლის № გ-179-11 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დადგენილი საპროცესო წესით განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე.

განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, განგიმარტავთ, რომ თუ მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსი-ლების განხორციელებისას, ადგილი ჰქონდა კანონის უხეშ დარღვევას, რითაც შეილახა თქვენი უფლებები და კანონით დაცული ინტერესები, შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის მიმართ დისციპლინარული დევნის აღძვრის თაობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, განცხადებაში მითითებული სა-კითხის (ასაკის გამო პედაგოგიური საქმიანობის შეწყვეტის და ა. შ.) გადაწყვეტა არ შედის უზენაესი სასამართლოს კომ-პეტენციის ფარგლებში, რის გამოც მოკლებული ვართ შესაძ-ლებლობას გაგიწიოთ შესაბამისი დახმარება.

პატივისცემით, გულიკო ორთოიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს მთავარი კონსულტანტი

# III. ზოგიერთი გამოძახილი და რეცენზია გ. შუბლაძის ნაშრომებზე

(მ. შ. საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე)

## 1. გამოძახილები საკანდიდატო დისერტაციაზე

### ОТЗЫВ

на автореферат диссертации **Г. Ш. Шубладзе** "Воздействие торговли на швейную промышленность и пути его совершенствования (на примере торговли одеждой в Грузии)", представленной на соискание ученой степени кандидата экономических наук

На современном этапе экономики нашей страны, большое значение имеет основательное изучение взаимоотношения производства и потребления вообще, форм воздействия торговли в промышленность в частности. Дальнейшее развитие социалистической экономики и повышение экономической эффективности общественного производства во многом зависит от установления рациональных и оптимальных связей между промышленностью и торговлей, доведения произведенной продукции до потребления с наименьшими затратами средств и времени.

Кандидатская диссертация Г. Ш. Шубладзе посвящена этим актуальным вопросам. Особенно важно то, что автор в своем труде исследует существенные стороны воздействия торговли на промышленность в условиях проведения в жизнь экономической реформы и намечает пути его совершенствования. Вместе с тем следует подчеркнуть, что диссертантом впервые в Грузии изучены актуальные вопросы теории и практики взаимоотношений промышленности и торговли.

Диссертационный труд Г. Ш. Шубладзе состоит из вступления, четырех глав и заключения.

Во вступлении обоснована актуальность и целесообразность темы исследования, охарактеризована её структура и цель.

В первой главе "Воздействие торговли на промышленноть и его значение" рассмотрены вопросы взаймоотношении между промышленностью и торговлей, производством и потреблением, предложением товаров и покупательной способностью населения в условиях социализма. Автор справедливо подчеркивает, что наряду с развитием экономики и усложнением системы хозяйственных связей недопустима как недооценка, так и преувеличение проблем реализации. Здесь же дана характеристика конкретных норм и методов воздействия торговли на промышленность. Автор дает определение сущ-ности прямых связей, подчеркивает воздействие ярмарок на промышленность и значение повышения контроля за качеством товаров народного потребления.

Во второй главе автор исследует вопросы развития швейной промышленности Грузинской ССР в связи с источниками товарных ресурсов одежды, указывает на ряд причин, мешающих развитию швейной промышленности в республике. Он приходит, по нашему мнению, к правильному выводу о целеесообразности специализации швейной промышленности в масштабе крупного экономического района Закавказья.

В третьей главе диссертации рассмотрена организация торговли готовой одежды и дана характеристика влияния торговых организации на швейную промышленность Грузинской ССР. Автор указывает, что в Грузии не уделяется должное внимание вопросам специализации торговли готовой одеждой и развитию ее материально-технической базы.

Диссертант дает детальный анализ выполнения швейными предприятиями торговых организаций и указывает, что, как правило, планы выполняются в стоимостном выражении, но с нарушением качества и ассортимента товаров и сроков поставок. В результате анализа выявлено, что невыполнение обязательств в основном приходится на низкорентабельную или убыточную продукцию. В данной главе Г. Ш. Шубладзе подробно освещает недостатки воздействия торговых организаций на швейную промышленность республики и выявляет причины, вызывающие эти недостатки.

В четвертой главе дается обширная и содержательная характеристика норм и методов воздействия торговли на промышленность в условиях экономической реформы, показываются пути совершенствования коммерческой работы. Более эффективной формой воздействия торговли на промышленность призвана система заказов, критерием эффективности которой автор считает соответствие производственной программы промышленности и заказов торговли. Диссертант считает целесообразным существование в практике торговли четырех видов заказов. Это, по его мнению, снижает эффективность воздействия торговли на промышленность, с чем нельзя не согласиться. Автор предлагает составление и соглашение заказов осуществлять в два этапа, дает детальную характеристику целей и задач каждого этапа.

В этой же главе определено значение прямых связей, высказана мысль о тем, что в результате проведения экономической реформы во всех отраслях народного хозяйства прямые связи могут стать основной формой взаимоотношений между промышленностью и торговлей, Вместе с тем подчеркнуто, что система прямых связей необходима в первую очередь в торговле такой продукцией, которая производится в достаточном количестве и претерпевает влияние фактора мод.

Здесь же следует отметить, что в 1967 году на Республиканском совещании экономистов Грузии Г. Шубладзе выступал с докладом "О развитии прямых связей между легкой промышленностью и торговлей республики", в котором были высказаны основные положения его диссертации. Соображения Г. Шубладзе заслужили признание и в определенном аспекте нашли отражение в рекомендациях совещания.

В целом рецензируемая работа написана на высоком научном уровне. Она отличается оригинальностью постановки актуальных вопросов влияния торговли на промышленность.

Ознакомление с авторефератом убедило нас, что автор является высококвалифицированным специалистом, который

имеет достаточную теоретическую подготовку, способен вести самостоятельные научные исследования.

Рецензируемая работа в целом отвечает требованиям, предъявляемым к кандидатской диссертации, а ее автор Г. Шубладзе вполне заслуживает присвоения ученой степени кандидата экономических наук.

*Заместитель директора института экономики и планирования народного хозяйства при Госплане ГССР по научной части, кандидат экономоических наук* ***Н. В. Сантеладзе***
*Старший инженер-экономист* ***Г. С. Купуния***

## ОТЗЫВ

на автореферат диссертации **т. Шубладзе** Г. Ш. "Воздействие торговли на швейную промышленность и пути его совершенствования (на примере торговли одеждой в Грузии)", представленную на соискание ученой степени кандидата экономических наук

Тема диссертации тов. Шубладзе Г. Ш. в условиях проведения хозяйственной реформы является частью одной из центральных исследовательских тем нашей экономической науки. Задача повышения эффективности общественного производства, поставленная КПСС и Советским Правительством перед работниками народного хозяйства СССР, не может быть успешно решена без дальнейшего совершенствования планомерных товароденежных отношений между предприятиями, и в частности, без резкого усиления воздействия торговли на производство. Это воздействие направлено на достижение соответствия предложения и спроса как одной из важнейших народнохозяйственных пропорций.

В условиях хозяйственной реформы, предполагающей активизацию экономических рычагов управления, проблема воздействия торговли на производство заключается в создании эффективной системы материальных стимулов и материальной ответственности за наиболее полное удовлетворение спроса населения с наименьшими затратами. Эта система

стимулов и ответственности должна объединять интересы потребителей, торговли и производства.

Таким образом, тема диссертациию тов. Шубладзе Г. Ш. является весьма актуальной.

В первой главе диссертации большой интерес представляет исследование сущности прямых связей торговли и промышленности. Автор совершенно правильно утверждает, что экономическая природа прямых связей заключается не в отсутствии оптового звена (что является лишь одной из форм прямых связей), а в установлении прямой зависимости выпуска продукции и ее реализации от заказов торговли, отражающих требования рынка.Таким образом, прямые связи торговли и промышленности - это такие связи, при которых отсутствует административно-распределенческое звено, чрезмерно регламентирующее хозяйственную деятельность, а не вообще оптовое звено, которое, как показано в третьей главе диссертации, играет важнейшую роль в деле активного воздействия на производство в интересах потребителей. Такая точка зрения отвечает духу и букве хозяйственной реформы, направленной на оптимальное сочетание централизованного планирования и широкой инициативы и самостоятельности производственных и торговых предприятий.

Заслуживает внимание предложение автора разграничить статус ярмарок по оптовой продаже товаров народного потребления и ярмарок по реализации товарных излишков. Действительно, и задачи этих двух видов ярмарок, и их организация, и состав участников различны.

Представляет интерес вторая глава, в которой проводится анализ товарного предложения одежды в Грузинской ССР.

В третьей главе диссертации автор излагает формы и методы воздействия оптовой и розничной торговли на промышленность и на конкретных примерах показывает, какие эффектиные средства воздействия имеются у оптовых торговых предприятий при условии равноправных коммерческих связей с производством.

В четвертой главе автор делает правильный вывод о том, что именно оптовые базы имеют наилучшие условия и возможности для квалифицированного прогнозирования спроса и составления заказов промышленности на основе изучения рынка. Аналогичные условия в розничном звене имеют лишь некоторые крупнейшие специализированные торги и магазины.

В связи с этим автор обоснованно предлагает разделить на два этапа работу по составлению заказов: первый этап – определение объема и составление заказа в укрупненном ассортименте на оптовой базе; второй этап - конкретизация заказа по развернутому ассортименту оптовыми и розничными предприятиями (организациями).

Вместе с тем, некоторые положения и выводы, высказанные в автореферате недостаточно точны или вызывают возражения. Так, остается непонятным, что конкретно имеет в виду автор под понятием прямых связей оптовой базы с фабрикой и какими путями можно достигнуть установления таких связей. Возникает впечатление, что автор в данном случае имеет в виду отмену фондирования достаточных товаров. Если это так, нужно дать более четкое определение.

В четвертой главе автор предлагает материально поощрять промышленность со стороны торговли за выполнение обязательств. Но промышленность обязана выполнять свои обязательства перед торговлей, и речь может идти лишь о материальной ответственности за невыполнение, но не о дополнительном вознаграждении.

Автор предлагает вывести ОТК из подчинения администрации производственных предприятий, но, во-первых, не говорит о том, в чье подчинение надо передать ОТК, во-вторых, возникает вопрос, как без соответствующего отдела на самих предприятиях будет осуществляться контроль за технологией и качеством продукции.

Названия глав диссертации несколько дублируют друг друга и название самой диссертации. Возникает сомнение в необходимости дробления работы на четыре главы.

Однако эти частные недостатки не умаляют интереса, который вызывает содержание автореферата. Автореферат диссертации тов. Шубладзе Г.Ш. свидетельствует о том, что ее автор проделал большую и полезную исследовательскую работу и достоин присуждения ему ученой степени кандидата экономических наук.

*Заведуюший кафедрой экономики торговли МИНХ им. Г. В. Плеханова, доктор экономических наук, профессор С. С. Васильев*

## ОТЗЫВ

об автореферате диссертации **Г. Ш. Шубладзе** "Воздействие торговли на швейную промышленность и пути его совершенствования" представленной в Ученый совет экономического факультета Тбилисского государственного университета для защиты на соискание ученой степени кандидата экономических наук (Май 1970 г.)

Выбранная диссертантом тема диссертации представляется актуальной, так как от надлежащего воздействия торговли на промышленность зависит количественное и качественное удовлетворение потребностей советских людей.

Тов. Шубладзе последовательно рассматривает все формы воздействия торговли на промышленное производство и вносит в ходе этого рассмотрения много ценных соображений. Он обоснованно возражает против ограниченного и слишком узкого понимания "прямых связей", как отношений между розничными магазинами и промышленными предприятиями. В систему прямых связей надо включить и оптовые звенья, которые призваны укрупнять заказы небольших торговых предприятий, а также могут лучше изучать спрос населения и осуществлять контроль над качеством поставок в количественном, ассортиментом и качественном отношениях.

Диссертант четко и последовательно проводит различие между ярмарками, как способом согласования и уточнения плановых заказов со стороны торговли в адрес промышлен-

ности, и ярмарками, как способом перераспределения уже произведенных товаров, не нашедших сбыта по тем или иным причинам. Первые ярмарки по терминологии диссертанта должны получить название "оптовопроизводственных", а вторые - "оптово-торговых ярмарок". Различение в принципе - вернее. Первый вид ярмарок - наиболее важный для планомерной системы торговли, на таких ярмарках продавцом должны выступать промышленные предприятия со своими образцами и моделями. Автор в автореферате не упоминает, что на ярмарки следует привлекать дома моделей, проводить смотры и конкурсы.

Не мешало бы и аттестации качества приурочивать к ярмаркам этого типа. Иное дело - перераспределительные ярмарки для реализации излишков товара, не подошедшего к условиям местного спроса. Их следовало бы назвать не оптово-торговыми, как предлагает автор, а "распродажами", применяя на них в случае надобности разумную уценку.

Целесообразным надо признать предложение автора специализировать швейную промышленность в пределах всего Закавказского экономического района (подобно Прибалтийскому району), что повысит массовость пошива отдельных видов одежды и позволит механизировать и автоматизировать производство на базе орудий труда, которые окупятся в должные сроки при однотипности изделий.

Большое место автор отводит проблеме повышения качества швейной продукции. В реферате приводятся убедительные цифровые данные о снижении качества продукции по данным проверок торгующих организаций. Автор рекомендует не только предъявлять промышленности санкции за нарушение качественных требований, но и поощрять ее со стороны торгующих организаций за высокие качественные стандарты, что представляется целесообразным.

Автор отмечает, что учет спроса как следует быть не ведется. Система заказов торговли, которая справедливо рассматривается, как основа планирования промышленного производства потребительских товаров, - опирается на опыт и интуицию работников торговли. Намеченная система двойных

(отрывных) товарных ярлыков, с последующей механической обработкой ярлыков на проданные товары - в жизнь не проводится.

Весь анализ и предложения автора свидетельствуют о глубоком знании предмета исследования, об умении делать из исследования ценные в научном и практическом отношениях выводы, притом не заимствованные, а самостоятельно продуманные и обоснованные.

Все это позволяет мне сделать вывод, что диссертант заслуживает присвоения ему ученой степени кандидата экономических наук.

*Доктор экономических наук, профессор Харьковского государственного университета Е. Г. Либерман*

## 2. რეცენზია და გამოძახილი სადოქტორო დისერტაციაზე

### რ ე ც ე ნ ზ ი ა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის გ. შ. შუბლაძის მიერ სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე: „ვაჭრობის მართვის პრობლემები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში (საქართველოს რესპუბლიკის მაგალითზე)“

დისერტაციების დაცვისა და სამეცნიერო ხარისხების მინიჭების ამჟამად მოქმედი დებულების თანახმად, მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი შეიძლება მიენიჭოს პიროვნებას სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილ ნაშრომზე. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს გამონაკლისის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ავტორის მიერ საფუძვლიანად და მრავალმხრივ შესწავლილი დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემების კვლევის შედეგები ნათლადაა ასახული მის მიერ

გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომებში და მათ აქვთ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სწორედ ასეთ გამონაკლისად და ასეთ საგანგებო შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ ეკონ. მეცნ. კანდიდატის გიორგი შალვას ძე შუბლაძის მიერ სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი – „ვაჭრობის მართვის პრობლემები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში (საქართველოს რესპუბლიკის მაგალითზე)". იგი ემყარება დისერტანტის მიერ ოცი წლის მანძილზე (1971-1991 წ.წ.) გამოქვეყნებულ 39 მეცნიერულ ნაშრომს, 100-ზე მეტი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, რომელთა შორისაა სამი მონოგრაფიული გამოკვლევა, ერთი სახელმძღვანელო და ერთიც დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის, სამი წიგნი და რამდენიმე ათეული სტატია ცენტრალურ და რესპუბლიკურ ჟურნალებსა და კრებულებში.

განსახილველი დისერტაციის უპირველეს და უმთავრეს ღირსებად მიმაჩნია ის, რომ მასში მაღალმეცნიერულ და პროფესიულ დონეზეა გაშუქებული საკვლევი პრობლემის – მიმოქცევის სფეროს თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის გლობალურ და თანაც ათეული წლების მანძილზე სწავლულ ეკონომისტთა შორის კავშირის მასშტაბით, სადისკუსიო საკითხთა ფართო წრე. აღსანიშნავია, რომ ამ მეცნიერულ კამათში დისერტანტი არ ერიდება მაღალტიტულოვან ავტორიტეტებს, კრიტიკულად (თუმცა უაღრესად კორექტულად და მაღალ აკადემიურ სტილში) განიხილავს მათ შეხედულებებს, სათანადო არგუმენტების მოშველიებით ასაბუთებს ზოგიერთი მათგანის უსაფუძვლობას და გვთავაზობს საკუთარ, ორიგინალურ მოსაზრებებს. თანაც, რუს ავტორებს იგი აკრიტიკებს არა მარტო ქართულ ენაზე გამოცემულ ნაშრომებში, როგორც ეს გვჩვევია საერთოდ ქართველ სწავლულ ეკონომისტებს, არამედ რუსულ ე. ი. მათთვის გასაგებ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც (იხ. Г. Шубладзе. Проблемы управления торговлей в новых условиях хозяйствования: вопросы теории и практики. Изд-во ТГУ, 1990, 15.03.п.л.).

სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელოვან მეცნიერულ სიახლეთა შორის აღსანიშნავია ავტორისეული მოსაზრებანი ვაჭ-

რობის არსის თაობაზე. მისი შეხედულებით, ვაჭრობის არსი უნდა იქნეს განხილული საზოგადოებრივი აღწარმოების სისტემაში მისი ადგილით. ამ თვალსაზრისით ვაჭრობა წარმოადგენს აღწარმოების ისეთ ფაზას, როგორიცაა გაცვლა, ე. ი. ვაჭრობა ეს არის საქონლური მიმოქცევის ფორმა, რომლის მეშვეობით ხორციელდება სახალხო მოხმარების საქონლის მოძრაობა წარმოებიდან მომხმარებლამდე ყიდვა-გაყიდვის გზით. ვაჭრობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, გამოხატავს წარმოებრივ ანუ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც ყალიბდება გაცვლის პროცესში, ხოლო როგორც სახალხო მეურნეობის დარგი, ვაჭრობა ეს არის ორგანიზაციებისა და საწარმოების თვისებრივად ერთგვაროვანი სისტემა, რომელიც ახორციელებს საქონლის რეალიზაციას მოსახლეობაზე. იგი უზრუნველყოფს საქონლით აგრეთვე საბავშვო დაწესებულებებს, სანატორიუმებს, სამკურნალო დაწესებულებებს, სხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებს მათი კონტინგენტის კვებისა და სამეურნეო საჭიროებისათვის.

სხვა სწავლული ეკონომისტებისგან განსხვავებით, აღნიშნული პრობლემისადმი ასეთი ორიგინალური მიდგომა საშუალებას აძლევს დისერტანტს ვაჭრობის მატერიალური წარმოების თუ არაწარმოებრივი სფეროსადმი მიკუთვნების თაობაზე ეკონომისტთა შორის გამართულ კამათში დაიკავოს ერთადერთი სწორი პოზიცია. პასუხის გასაცემად კითხვაზე: ვაჭრობის სფეროში დახარჯული შრომა მწარმოებლური თუ არამწარმოებლური ხასიათისაა, იგი მიმართავს ვაჭრობის როგორც ეკონომიკური კატეგორიის გამიჯვნას, მისი, როგორც სახალხო მეურნეობის დარგისაგან და საკითხს უდგება ვაჭრობის ფუნქციის პოზიციებიდან საზოგადოებრივი პროდუქტის აღწარმოებაში. დისერტანტის მართებული დასკვნით, აღწარმოების პროცესში ვაჭრობის ფუნქცია არის არა საქონლის დაფასოება, შეფუთვა, დახარისხება და სხვა წარმოებრივი ოპერაციების განხორციელება (წარმოების პროცესის გაგრძელება მიმოქცევის სფეროში), არამედ საქონლის დაყვანა მომხმარებლამდე მისი სახმარი ღირებულების შენარჩუნებით და სავაჭრო მომსახურების გაწევა. ვაჭრობას, როგორც სახალხო მეურნეობის დარგს კი (კანონმდებლობის წესით ან

ტრადიციულად, რომელიც მრავალ გარეშე პროცესზედაცაა დამოკიდებული), შეიძლება დაეკისროს წარმოების ტექნოლოგიური პროცესის დასრულება (დამთავრება), მაგრამ ეს არ შეიძლება ვაღიაროთ ვაჭრობის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, არსებით ნაწილად (ფუნქციად).

აი, ეს მომენტები უნდა იქნეს მხედველობაში ვაჭრობის სფეროში დახარჯული შრომის ეკონომიკური ბუნების (ხასიათის) გარკვევისა და, მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის თანაფარდობის კვალობაზე, მისი წარმოებრივი თუ არაწარმოებრივი სფეროსადმი მიკუთვნებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ ვაჭრობის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, გაიგივებას ვაჭრობასთან, როგორც სახალხო მეურნეობის დარგთან (და ეს მეტ წილად ასეცაა ეკონომიკურ ლიტერატურაში).

დისერტანტი მართებულად აკრიტიკებს არა მარტო იმ სწავლულ ეკონომისტებს, რომლებიც ვაჭრობას ცალსახად აკუთვნებენ მატერიალური წარმოების სფეროს და მასში დახარჯულ შრომას თვლიან ეროვნული შემოსავლის შემქმნელად, არამედ იმათაც, რომლებიც საბითუმო ვაჭრობას აკუთვნებენ წარმოებრივ სფეროს, ხოლო საცალო ვაჭრობას – არაწარმოებრივ სფეროს. დისერტანტის დასკვნა ამ შემთხვევაშიც ცალსახა, სტაბილური და დამაჯერებელია. იგი წერს: თეორიულად მცდარი და პრაქტიკულად მიუღებელია ვაჭრობის არსის ახსნა მისი, როგორც სახალხო მეურნეობის დარგის განხილვის საფუძველზე, სადაც გაცვლის (საქონლური მიმოქცევის) ფაზას ფუნქციებთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული საზოგადოებრივი აღწარმოების დანარჩენი ფაზების ფუნქციები. ვაჭრობა საქონლური მიმოქცევის ფორმაა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სახალხო მოხმარების საქონლის მოძრაობა წარმოებიდან მომხმარებლამდე ყიდვა-გაყიდვის გზით. ვაჭრობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, გამოხატავს წარმოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც მყარდება სახალხო მოხმარების საქონლის მიმოქცევის სფეროში. ვაჭრობაზე, როგორც მხოლოდ სახალხო მეურნეობის დარგზე, შეიძლება მსჯელობა იმის თაობაზე, იგი მატერიალური წარმოების დარგია თუ არა. ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაში იღე-

ბენ განვითარების მოცემულ ეტაპზე მასში სჭარბობს მწარმოებლური თუ არამწარმოებლური შრომა.

ვიზიარებ ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ვაჭრობის ფუნქციები გამომდინარეობს მისი, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსიდან. ე. ი. ფუნქციები წარმოადგენს ვაჭრობის არსის გამოვლინებას. დისერტანტის მართებული მითითებით, ვაჭრობის ფუნქციების ახსნისას უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური მოთხოვნაა, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობის ფუნქციების მის მიზანთან და ამოცანებთან, აგრეთვე როლთან (ეკონომიკური კავშირების ფორმებთან) გაიგივების დაუშვებლობა. ამასთან, არ შეიძლება ავურიოთ ვაჭრობის როგორც ეკონომიკური კატეგორიის ფუნქციები სავაჭრო საწარმოების, ორგანიზაციებისა და მთლიანად დარგის ფუნქციებში.

მოსაწონია დისერტანტის პოზიცია ვაჭრობისა და განაწილების ურთიერთკავშირის საკითხზეც. მისი მტკიცებით, ვაჭრობის მიჩნევა განაწილებისა და გადანაწილების ფორმად ანუ მათი ერთიმეორეში აღრევა ისეთივე შეცდომაა, როგორიც ვაჭრობის მიკუთვნება წარმოების სფეროსადმი, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი აღწარმოების განსხვავებულ ფაზებს. ვაჭრობა ხელს უწყობს განაწილების შედეგად მყიდველთა მიერ მიღებული ფულადი საშუალებების გაცვლას საქონელზე მიმოქცევის სფეროში. აქ ვაჭრობის როლი განპირობებულია მისი ფუნქციებით, ე. ი. გაცვლის და არა განაწილების ფუნქციებით.

დისერტანტის ნაშრომებში დაზუსტებულია სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის სოციალურ-ეკონომიკური არსი და მისი დეფინიცია. იგი მიუთითებს იმის თაობაზე, რომ მოთხოვნის კატეგორიის გამოსახატავად ეკონომიკურ ლიტერატურაში იმდენი ტერმინი იხმარება და ისეთი დეფინიციით, რომ შეიძლება ითქვას, ამ მხრივ ერთგვარ ქაოსს აქვს ადგილი. ასე მაგალითად, ერთიდაიგივე მნიშვნელობით იხმარება ტერმინები: „მოსახლეობის მოთხოვნა“, „სამომხმარებლო მოთხოვნა“, „მყიდველობითი მოთხოვნა“, „მომხმარებელთა მოთხოვნა“, „მოსახლეობის მყიდველობი-

თუნარიანი მოთხოვნა“, „მოსახლეობის მყიდველობითუნარიანი მოთხოვნილებანი“ და ა. შ.

ტერმინოლოგიურ სიზუსტეს დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი მეცნიერული დასკვნების გაკეთებისათვის. მსჯელობს რა ამ ტერმინების შინაარსობრივ მხარეზე, დისერტანტი მართებულად აღნიშნავს, რომ მოთხოვნა მოთხოვნილების ის ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფილია ფულადი საშუალებებით ანუ მოსახლეობის მყიდველობითუნარიანი მოთხოვნილებით. მოთხოვნილება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, საქონლურ-ფულად ურთიერთობათა პირობებში წარმოგვიდგება არა საერთოდ მოთხოვნილების, არამედ სახელდობრ მყიდველობითუნარიანი მოთხოვნილების ფორმად. ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ არა მყიდველობითუნარიან მოთხოვნაზე (არამყიდველობითუნარიანი მოთხოვნა საერთოდ არ არსებობს), არამედ მყიდველობითუნარიან მოთხოვნილებაზე, რომელიც წარმოადგენს კატეგორია „მოთხოვნის“ სინონიმს.

ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ დისერტანტი არა მარტო საქართველოში, კავშირის მასშტაბითაც ერთ-ერთი პირველთაგანია სწავლულ ეკონომისტთა შორის, რომელმაც სოლიდური გამოკვლევები მიუძღვნა ვაჭრობის მართვის ეკონომიკური პრობლემების შესწავლას და საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინათა შორის მის დამკვიდრებას.

ამ ნაწილში მეცნიერულ სიახლეთა შორის, უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ის, რომ დისერტანტი მხარს უჭერს და სათანადო არგუმენტების მოშველიებით ასაბუთებს მეცნიერულ ბრუნვაში, „მეურნეობრივ მექანიზმთან“ ერთად, „მართვის მექანიზმის“ ცნების შემოტანის მიზანშეწონილობას. რაც მთავარია, იგი შემოქმედებითად აშუქებს ამ ცნების შინაარსს და გვთავაზობს მის ასეთ განსაზღვრებას: საზოგადოებრივი წარმოების მართვის მექანიზმი არის მართვის სისტემის ფუნდამენტური ელემენტების (პრინციპების, მიზნების, ფუნქციებისა და მეთოდების) ერთობლიობა, რომლებიც შეგნებულად გამოიყენება საზოგადოების მიერ ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა საფუძველზე კონკრეტულად წარმოქმნილი ვი-

თარების გათვალისწინებით (იხ. სამეცნიერო მოხსენება, გვ. 32). ასეთი მიდგომითაა ვაჭრობის მართვასთან დაკავშირებული საკითხები გაშუქებული წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომში. აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალპარტიული სისტემის დაშვების, დეიდეოლოგიზაციის, დეპარტიზაციისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მომენტების მხედველობაში მიღებით დისერტსნტის მიერ შევსებული და გამდიდრებულია მართვის პრონციპები, ზოგიერთი პრინციპი კი ახლებურადაა ფორმულირებული.

მდიდარი ფაქტობრივი მასალის მოპოვების, დაჯგუფების, გაანალიზებისა და მეცნიერული განზოგადების საფუძველზე, ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით პირველადაა კომპლექსურად გამოკვლეული ვაჭრობის დარგობრივ-ტერიტორიული მართვა, ნაჩვენებია მისი თავისებურებანი და ნაკლოვანებანი. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ დარგში სახელწიფო ქონების განსახელმწიფოებრივებისა და პრივატიზების პროცესის გათვალისწინებით დისერტანტის მიერ რესპუბლიკის ვაჭრობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის მიზნით შემუშავებულია სათანადო რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაციას ექნება გარკვეული სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა.

ამრიგად, განსახილველი სამეცნიერო მოხსენების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად აქტუალური და საინტერესო პრობლემებისადმი მიძღვნილ განმაზოგადებელ ნაშრომთან, რომელიც ლაკონურად, მაგრამ სავსებით ნათლად წარმოგვიდგენს დისერტანტის მიერ ორი ათეული წლის მანძილზე დიდი გულმოდგინებითა და მაღალი პასუხისმგებლობით განხორციელებული მეცნიერული კვლევის მთავარ შედეგებს. იგრძნობა, რომ დისერტანტი კარგად განსწავლული, დიდი გამოცდილებისა და მაღალი ინტელექტის მქონე სპეციალისტია, რომელსაც ამშვენებს აზროვნების, პაექრობისა და წერის საკმაოდ მაღალი კულტურა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავისი მეცნიერული გამოკვლევებით მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა დასმული პრობლემების შესწავლაში და გაამდიდრა ქართული ეკონომიკური ლიტერატურა, რომელსაც, სხვა დადებით მხარეებთან ერთად, უაღრესად დიდი მნიშვნე-

ლობა აქვს მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების მომზადებისათვის. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის, რომ მას, როგორც აღვნიშნეთ, მონოგრაფიულ გამოკვლევებთან ერთად, გამოქვეყნებული აქვს ფართოდ აღიარებული სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები.

აღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად, სამეცნიერო საბჭოს წევრთა ყურადღება გვინდა მივაპყროთ საკვალიფიკაციო ნაშრომის ცალკეულ ხარვეზებს:

1. განსახილველად წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენების სათაური და შინაარსი სრულად არ შეესაბამება ერთიმეორეს. მხედველობაში გვაქვს, ჯერ ერთი ის, რომ ტექსტის ზუსტად ნახევარი დათმობილი აქვს თავისთავად აქტუალური და საინტერესო საკითხების მეტწილად ორიგინალურ გაშუქებას, რომლებმაც რატომღაც უშუალო ასახვა ვერ ჰპოვეს საერთო სათაურში; და მეორე ის, რომ იგი თანადროულად, მოდურადაც კი ჟღერს – „...საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში“, მაგრამ ამ ურთიერთობებზე გადასვლა არსებითად ჯერ არ დაგვიწყია და მომავალში თუ რა პრობლემები დადგება ვაჭრობის მართვის სფეროში ამის წინასწარ განჭვრეტა და ჯეროვან მეცნიერულ დონეზე გაშუქება დღეისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია, მით უფრო შეუძლებელი იყო განვლილი ოცი წლის მანძილზე, როცა იწერებოდა საჭირო პაექრობისათვის გამოტანილი ნაშრომები. არამც თუ ოცი, ორი წლის წინაც წარმოუდგენელი იყო საბაზრო ეკონომიკისაკენ შემობრუნების რეალურობა.

ეს შენიშვნა არ გაკეთდებოდა დისერტანტს თავისი სამეცნიერო მოხსენება ამ მომენტების გათვალისწინებით რომ დაესათაურებინა, მაგალითად, თუნდაც ასე: „ვაჭრობის ფუნქციონირებისა და მართვის ეკონომიკური პრობლემები (საქართველოს რესპუბლიკის მაგალითზე)“.

2. განსახილველად წარმოდგენილ სამეცნიერო მოხსენებას, როგორც არაერთხელ აღინიშნა, საფუძვლად უდევს დისერტანტის მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოქვეყნებული ნაშრომები. ცხადია, ისინი დაწერილია ძველ, ტრადიციულ სტილში, ამიტომ მათში არცთუ იშვიათად გვხვდება სტერეოტიპული, დღევანდელი გადასახედიდან ღიმილის მომ-

ვრელი მსჯელობანი იმის თაობაზე, რომ კაპიტალისტური მეურნეობა ვითარდება სტიქიურად და მისთვის დამახასიათებელია გამანადგურებელი ეკონომიკური კრიზისები, ხოლო სოციალისტური ეკონომიკა (მ. შ. საბჭოთა ვაჭრობა) ვითარდება გეგმაზომიერად, ამიტომ ის მუდმივ აღმავლობას განიცდის და ა. შ. ინერციით ამის ერთგვარი ანარეკლი სამეცნიერო მოხსენებაშიც მოსჩანს (იხ. გვ. 45).

სასურველი იყო, თვითკრიტიკის სახით, დისერტანტს ცოტა რამ მაინც ეთქვა ამგვარ ტრაფარეტების თაობაზე.

3. სამეცნიერო მოხსენებაში ნათლად არაა გამოკვეთილი უმნიშვნელოვანესი მეცნიერული სიახლენი ვაჭრობის მართვის პრობლემებზე, არადა, დისერტაციის საერთო სათაურიდან გამომდინარე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს მხარე უნდა ყოფილიყო წინა პლანზე წამოწეული. მე სრულებით არ მეეჭვება, რომ დისერტანტის მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებში საკმაოდაა წარმოდგენილი ასეთი სიახლენი. ამიტომ ვთხოვ მას საკვალიფიკაციო თემის ამ ძირითად საკითხზე მის გამოკვლევებში მოცემულ უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ სიახლეთა თაობაზე კიდევ ერთხელ მოახსენოს სამეცნიერო საბჭოს.

4. სამეცნიერო მოხსენების 22-ე გვერდზე ვკითხულობთ:

ცნება „ბაზარში“ იგულისხმება წარმოების, განაწილების, გაცვლის გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობანი მათ ურთიერთკავშირში ფასწარმოქმნის მთელი რიგი ასპექტების გათვალისწინებით, მაშინ როცა ცნება „ვაჭრობა“ შემოიფარგლება ეკონომიკური ურთიერთობებით უპირატესად სახალხო მოხმარების საქონლის მიმოქცევის სფეროს ჩარჩოებში.

ჩემი აზრით, დისერტანტის ეს დებულება დასაზუსტებელია. საზოგადოებრივი პროდუქტის აღწარმოების ყველა ფაზას მოიცავს არა „ბაზარი“, არამედ „საბაზრო ეკონომიკა“. ალბათ უფრო გამართლებული იქნება დავეთანხმოთ იმ ავტორებს, რომლებიც „ბაზრის“ ცნებას მიმოქცევის სფეროთი შემოფარგლავენ (იხ. სამეცნიერო მოხსენება, გვ. 23).

5. სამეცნიერო მოხსენების 30-ე გვერდზე აღნიშნულია:

ვაჭრობის მართვის პრობლემები, საზოგადოებრივი წარმოების მართვის ბევრ საერთო მომენტთან ერთად, განსხვავ-

დება გარკვეული თავისებურებებით, რაც ანპირობებს ვაჭრობის მართვის გამოყოფას მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად.

ჩემი აზრით, ვაჭრობის მართვა მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი კი არაა, დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინაა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს სამეცნიერო მოხსენებაში თვით დისერტანტის მსჯელობაც: იგი წერს: არასწორად მიგვაჩნია მექანიზმის გამოყოფა ცალკეული დარგების მიხედვით, მაგალითად, „ვაჭრობის მართვის მექანიზმი" (გვ. 33).

6. სამეცნიერო მოხსენებაში ვკითხულობთ:

კოლექტიური საკუთრებაა საიჯარო საწარმოების, კოლექტიური საწარმოების, კოოპერატივების, აქციონერული საზოგადოებების, მეურნეობრივი ორგანიზაციების და სხვა გაერთიანებათა საკუთრება. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, სოციალისტური ტიპის აქციონერული წარმონაქმნების ფუნქციონირებასთან ერთად, გვხვდება შერეული საკუთრების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის უცხოეთის კაპიტალის მოზიდვით (გვ. 39).

ჯერ ერთი, საწარმოს იჯარით გაცემისას საკუთრების ფორმა არ ეცვლება, იგი რჩება ისეთივე, როგორიც იყო იჯარით გაცემამდე. ამიტომ ასე ცალსახად საიჯარო საწარმოს საკუთრების ფორმის თაობაზე მსჯელობა გაუმართლებელია; მეორე, მეურნეობრივი ორგანიზაციებისა და სხვა გაერთიანებების საკუთრებაც შეიძლება იყოს როგორც კოლექტიური, ისე სახელმწიფო; და მესამე, არ არსებობს შერეული ფორმის საკუთრება, არსებობენ საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე დაფუძნებული შერეული საწარმოები.

7. ვფიქრობ, დასაზუსტებელია სამეცნიერო მოხსენების ის ადგილი, სადაც აღნიშნულია:

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქვეყნის ვაჭრობაში უმთავრეს როლს სამომხმარებლო კოოპერაცია ასრულებდა. ამასთან ის იყო ერთადერთი სავაჭრო სისტემა როგორც ქალაქად, ისე სასოფლო ადგილებში. საქონელბრუნვაში მას ეკავა 70-80 პროცენტი. შემდეგში სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის წრე შემოიფარგლა სასოფლო ადგილით (გვ. 43).

ჯერ ერთი, მართალია, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში უმთავრეს როლს სამომხმარებლო კოოპერაცია ასრულებდა, მაგრამ იგი ვაჭრობის ერთადერთი ფორმა არ ყოფილა. ამის დასტურია საქონელბრუნვაში თვით მისი ხვედრითი წონის ამსახველი მაჩვენებელი -70-80 პროცენტი; და მეორე, სამომხმარებლო კოოპერაცია დღეისათვის მხოლოდ სოფლის მოსახლეობას ემსახურება? ქალაქში მას ქსელი სრულებით არა აქვს? იქნებ ჯობდა გვეთქვა, „შემდეგში სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის წრე შემოიფარგლა ძირითადად სასოფლო ადგილით“.

**დასკვნა:** სამეცნიერო მოხსენების სახით საჯარო პაექრობისათვის წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ, პროფესიულ დონეზე და სავსებით პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს. დისერტანტის კვლევის შედეგებს აქვს არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ვითვალისწინებ რა ყოველივე ამას, ვშუამდგომლობ სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა დისერტანტს – გიორგი შალვას ძე შუბლაძეს მიანიჭოს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ძიებული სამეცნიერო ხარისხი.

*მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. ჩიქავა*

## ОТЗЫВ

на диссертацию **т. Шубладзе Г. Ш**. "Проблемы управления торговлей в переходный период к рыночным отношениям (на примере республики Грузия)", представленную в форме научного доклада на соискание ученой степени доктора экономических наук по специальности 08.00.05 - экономика, планирование и организация управления народным хозяйством и его отраслям (непроизводственная сфера)

В условиях перехода к рыночной экономике претерпевают существенные изменения вопросы упраления народным хозяйством в целом и его отдельными отраслями. Рыночные отношения заставляют по-новому рассматривать

основные принципы, функции и методы управления как в области производства, так и обращения. Это в значительной мере касается и торговли, которая из жесткой, монополизированной отрасли превращается в гибкую, многоукладную экономическую систему. Все эти проблемы требуют детального осмысления и проработки.

В этой связи не вызывает сомнения актуальность и своевременность работ т. Шубладзе Г. Ш., выполненных им в течение ряда лет и прошедших основательную апробацию в научном, практическом и учебном процессах. Конечно, многоаспектность и сложность рассматриваемых вопросов не дает возможности детально их все рассмореть. Однако главные, стратегические направления выбраны в целом правильно, и точка зрения автора по многим из них заслуживает всяческого внимания. В методическом плане автор достаточно грамотно ставит узловые вопросы, всесторонне анализирует их, дает обоснованные предложения и рекомендации.

Хотя в настоящее время все больше появляются различного рода публикации в области управления торговлей, работы т. Шубладзе Г. Ш. являются оригинальными и имеют под собой фундаментальные основания.

Основные ключевые моменты диссертации и положения, выносимые на защиту, характеризующие вклад автора и новизну его исследований, заключаются в последовательном рассмотрении следующих узловых проблем: сущность и функции торговли, особенности развития торговли в республике Грузия и перестройка организационных структур управления ею.

Прежде всего, говоря о сущности торговли, он правомерно выделяет торговлю как экономическую категорию и торговлю как отрасль народного хозяйства. Этот удачный методологический прием позволяет поновому рассматривать основные функции торговли и ее роль в народном хозяйстве. Можно согласиться с утверждением о том, что сущность торговли определяется ее местом в системе

общественного воспроизводства, а главная функция – это доведение товаров от производства до потребителя (с. 13, 19).

Однако возникают, на наш взгляд, некоторые спорные моменты, определенные, безусловно, сложностью и неоднозначностью рассматриваемых вопросов. Думается, что автор слишком категоричен, утверждая, что «теоретически ошибочным и практически неприемлемым является выяснение сущности торговли на основе рассмотрения ее как отрасли народного хозяйства» (с. 13). Не совсем правомерно рассматриваь сущность любого экономического явления (в т.ч. и торговли) только с воспроизводственных позиций, не раскрывая реальные формы их проявления. Если рассматривать сущность торговли с указанных позиций, то и ее функции становятся более четкими. Это – доведение товара до потребителя и смена форм стоимости, причем первая функция носит производственный, а вторая – непроизводственный характер. Это в конечном счете и определяет специфику сущности торговли, о которой длительное время ведутся научные дискуссии.

Заслуживают внимания исследования автора в области взаимосвязей и взаимозависимостей таких экономических понятий как «рынок» и «торговля». Это особенно важно, поскольку в условиях перехода к рыночным отношениям роль и место торговли претерпевают значительные изменения. Связующим элеменом указанных понятий является спрос. Прав соискатель, утверждая, что неправомерно говорить о директивном планировании и управлении спросом. Большое значение сегодня имеют проблемы его рыночного регулирования и формирования (с. 22, 26). В этом смысле предложения о необходимости комплексного исследования рынка, разработке типологии потребителей, недопустимости ориентации на «усредненного потребителя» и др. являются весьма своевременными и полезными (с. 24, 26).

Однако и в этом разделе диссертации содержатся, на наш взгляд, отдельные спорные моменты. Так, автор стоит на традиционных сложившихся понятиях о материально-техническом снабжении, закупках сельскохозяйственных про-

дуктов и торговли товарами народного потребления (с. 13). А ведь по существу сегодня правомерно уже говорить о рынке средств производства, рынке сельхозпродуктов, рынке товаров народного потребления. Поэтому торговля, являясь формой товарного обмена, значительно расширяет рамки своей деятельности, охватывая по существу значительную часть всех материальных благ и услуг.

Центральной проблемой диссертационного исследования является рассмотрение механизма управления торговлей. И здесь автор, безусловно, вносит свой существенный личный вклад. Это касается прежде всего раскрытия принципов, функций и методов управления в период перехода от административно-командной к рыночной экономике. Так, обосновывается необходимость усиления в управлении принципа ориентации на экономические результаты в деятельности предприятий, предлагается развитие прогнозно-аналитической работы для обоснования управленческих решений, а также более широкое использование методов современного маркетинга и менеджмента (с. 35).

Вместе с тем, подчеркивая важность информации как составной части управления и необходимость усиления ее коммерческой направленности, автор по существу ограничился рассмотрением только традиционных источников информации: торговой и бюджетной статистики (с. 37). В то же время сегодня становится очевидным необходимость более широкого использования различного рода выборочных обследований, опросов, тестов, экспериментов и т. д. на уровне предприятий (а не в целом по стране), для обоснования принимаемых управленческих решений.

Процессы перехода к рыночной экономике заставляют по-новому взглянуть на сложившуюся систему управления торговлей. В этой связи в диссертации достаточно подробно и всесторонне анализируется принцип территориально-отраслевого управления торговлей. Главным моментом этой части работы, ее новизна заключается в выводе о том, что в условиях разгосударствления и приватизации все большее значение будет приобретать территориальный

принцип управления торговлей. Что же касается различных форм торговой деятельности, основанных на разных видах собственности (частной, коллективной, государственной), то они по существу станут основными субъектами рыночной деятельности и будут способствовать развитию рыночно-конкурентной среды (с. 42-44).

Вместе с тем хотелось бы возразить автору по поводу его традиционного взгляда на фирменные магазины, которые, как считает он, призваны заниматься в основном изучением спроса и, в частности, на новые товары (с. 43, 51). Думается, что такая точка зрения сегодня уже не соответствует уже возможностям и требованиям развития торговой деятельности промышленных министерств и ведомств. Они становятся равноправными рыночными субъектами и их деятельность определяется общими процессами предпринимательства.

И все же, как это правильно утверждает автор, государственная форма торговли в переходный период сохраняет еще свое ведущее положение. А это требует максимума усилий по ее динамичному вхождению в рынок. В работе достаточно полно раскрыты основные направления развития экономической реформы и перестройки организационной структуры управления торговлей. Это касается вопросов активного участия торговли в формировании цены товаров через механизм торговых накидок (с. 46), дальнейшего совершенствования налоговой политики с ориентацией на достижение рентабельности торговых предприятий (с. 47), формирования качественно новых структур управления (с. 49) и др.

Особое место занимают предложения по управлению торговлей республики Грузия. Многолетний опыт научных исследований позволил автору прийти к конкретным рекомендациям в части сокращения звенности управления (с. 49, 52), оптимизации развития торговых систем (с. 48), целесообразности единого управления торговлей продовольственными товарами и общественным питанием (с. 50), повышения роли местных органов власти (с. 52), формиро-

вания нового типа аппарата министерства торговли (с. 54) и ряда других.

Однако по поводу некоторых предложений хотелось бы сделать следующие замечания. Конечно, 30 торговых систем в г. Тбилиси – это много (с. 49), и что потребительская коперация создавалась для обслуживания сельского населения – это правильно. Но в современных условиях задача заключается не в том, чтобы указывать место каждой системе, а в том, чтобы дать возможность каждой системе, а точнее форме собственности в торговле, развиваться так, как ей кажется правильным для улучшения обслуживания населения и главное – для предоставления выбора потребителю. Государственная торговля становится частью торговой деятельности, и всякого рода монополия и диктат с ее стороны (как это складывалось в предыдущие долгие годы) является сегодня недопустимым. В то же время у государственной торговли есть свои собственные проблемы и их нужно решать. Поэтому и предложения автора о преобразовании крупных торговых предприятий, о развитии арендных отношений в государственной торговле, об упразднении торгов и создании торговых ассоциаций (с. 53, 54) и др. направлены на решение всех этих проблем.

Актуальность и многогранность рассматриваемых вопросов дает новый толчек к дальнейшему развитию исследований в этой области. Думается следует сосредоточить усилия на более детальном рассмотрении посреднических функций торговых предприятий, особенно в условиях развития конкуренции и предпринимательства. Здесь особую пользу могли бы сыграть методы современного маркетинга.

Назрела настоятельная необходимость при рассмотрении проблем управления использовать так же и методологию менеджмента в части совершенствования управления, как торговыми процессами, так и поведением людьми.

Наконец, особенно остро стоит вопрос о подготовке нового поколения специалистов, владеющих современными приемами рыночной деятельности. В частности, центральной фигурой должен стать не экономист или товаровед, а

менеджер торговли, способный прибыльно управлять торговым коллективом и др.

Говоря о работе в целом следует подчеркнуть, что она раскрывает и предлагает решение наиболее актуальных вопросов управления торговлей в переходный период к рыночным отношениям. Проведенное исследование можно квалифицировать как решение этой крупной научной проблемы на примере республики Грузия.

Автора отличает глубокое знание рассматриваемых им проблем, анализ различных точек зрения, использование богатого фактического материала. В работе органически сочетаются методологические и практические вопросы развития и совершенствования торговой деятельности. Основные результаты опубликованы в монографиях, учебниках, статьях.

Т. Г. Ш. Шубладзе является известным ученым в области торговли, рынка и спроса населения. Результаты его многолетней работы всесторонне и последовательно раскрыты в краткой форме представленного научного доклада.

На основе изложенного выше считаю возможным присудить искомую ученую степень доктора экономических наук т. Шубладзе Г. Ш. по специальности 08.00.05.

*Официальный оппонент, доктор экономических наук,*
*профессор Б. А. Соловьев*

## 3. რეცენზიები წიგნებზე „მარკეტინგი"

მარკეტინგის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება დაიწყო აშშ-ში XX საუკუნის დასაწყისში. ეს განპირობებული იყო ჭარბწარმოების კრიზისით და კონკურენციის გამწვავებით, რაც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისთვის. ამრიგად, მარკეტინგი ერთ-ერთი ძირითადი მეცნიერული დისციპლინაა იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც მოუწევთ მუშაობა, როგორც სპეციალისტებს ეკონომიკისა და ბიზნესის ნებისმიერ სფეროში.

დღემდე მარკეტინგის შესახებ გამოქვეყნებულია ქართველ და უცხოელ სწავლულ ეკონომისტთა შრომები, ბროშურები და წერილები, წიგნები, რომელთა შორის გამორჩეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო „მარკეტინგი" პროფ. გ. შუბლაძის რედაქტორობით.

წიგნის ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი შუბლაძე – ქართველ სწავლულ ეკონომისტთა შორის პირველი მეცნერმკვლევარი ბიზნესის, მარკეტინგის და მენეჯმენტის დარგში; ბიზნესის საფუძვლების, მარკეტინგის და მენეჯმენტის სალექციო და თეორიული მემკვიდრეობის შემქმნელი უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სახელმძღვანელო შედგება ოცი თავისაგან, განმარტებითი ლექსიკონისა და გამოყენებული ლიტერატურისგან. ნაშრომში ფრიად ორიგინალურ სტილშია წარმოდგენილი ისეთი მარკეტინგული ცნებები, კატეგორიები, დებულებები და განმარტებები, როგორიცაა ბაზარი, მარკეტინგის არსი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მარკეტინგის მართვა, მისი სისტემები და დაგეგმვა, კონტროლი, საწარმოს მარკეტინგული გარემო, მარკეტინგული კვლევის ინფორმაციული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, სასაქონლო ბაზრების სეგმენტაციი, მომხმარებელთა ტიპოლოგიის, სასაქონლო პოლიტიკის, ფასის, საქონელმოძრაობის არხების, საცალო და საბითუმო

ვაჭრობის, გასაღების სტიმულირების, რეკლამის და საერთაშორისო მარკეტინგის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახელმძღვანელოს ბოლოს მოცემული მარკეტინგული კატეგორიების ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი, რაც სტუდენტებს დიდად დაეხმარება ახალ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ უცხო სიტყვათა და ტერმინთა შესწავლა-გამოყენებაში.

*რევაზ კრიჭინაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 4 სექტემბერი, 2001 წელი).*

## ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი

ახლახან გამოვიდა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი შუბლაძის ღრმა მეცნიერული გამოკვლევა „საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები“[1]. იგი შესრულებულია უაღრესად ფართო ეკონომიკურ საფუძველზე, ავტორისათვის დამახასიათებელ აკადემიურ, პოლემიკურ სტილში. წიგნი წარმოადგენს ეკონომიკური თეორიისა და ისეთი გამოყენებით ეკონომიკურ მეცნიერებათა სინთეზს, როგორიცაა მარკეტინგი და მენეჯმენტი. პროფესორი გიორგი შუბლაძე გამოირჩევა ეკონომიკური კატეგორიებისადმი, ტერმინებისადმი მეტად ფაქიზი დამოკიდებულებით. აქაც, ამ ნაშრომში მას მიზნად დაუსახავს ბიზნესისა და მეწარმეობის ცნებების გამიჯვნა, მათი არსის გარკვევა, მარკეტინგისა და სხვა ეკონომიკური ტერმინების ავტორისეული დეფინიციების მოცემა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საბაზრო ეკონომიკის საკითხების მართებული გაანალიზებისა და მეცნიერული დასკვნების გაკეთებისათვის. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქის ბოლო წლებიდან დაამკვიდრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-

[1] *გიორგი შუბლაძე – საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2004.*

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმ დროისათვის მიუღებელი, თანამედროვე გარდამავალი პერიოდისათვის კი მეტად აუცილებელი ისეთი სამეცნიერო დისციპლინების სწავლება, როგორიცაა „ბიზნესის საფუძვლები", „მარკეტინგი", „მენეჯმენტი", თავად შექმნა ამ სფეროებში სასწავლო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, რაც წარმატებით ემსახურება ამჟამადაც სტუდენტთა მხრივ ახალი სპეციალობების დაუფლებას.

სარეცენზიო ნაშრომიც მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლეებით გამოირჩევა. აქ ღრმად და მიმზიდველად არის გაშუქებული ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა ბიზნესი და მეწარმეობა, ბიზნესის სახეები, ბიზნეს-გეგმის არსი, მნიშვნელობა, სტრუქტურა (გვ. 59-60), ტურისტული ბიზნესი და მისი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში, სადაც დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მსოფლიოს ცალკეული რეგიონების მიმზიდველობის ფაქტორთა კლასიფიკაციასა და დახასიათებას (გვ. 75), აქვეა გაანალიზებული საქართველოს უდიდესი ტურისტული პოტენციალი და მისი გამოყენების შესაძლებლობანი, მცირე ბიზნესის განვითარების პოზიტიური მხარეები.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მარკეტინგს, როგორც ბიზნესის ფილოსოფიას, ბაზრის რეგულირების პრობლემებს, მარკეტინგის მართვას, ლოგისტიკას და მის კავშირს მარკეტინგთან; საერთაშორისო მარკეტინგის არსისა და მნიშვნელობის საკითხები მონოგრაფიაში მოცემულია ინგლისურ ენაზე, რაც ზრდის მისი გამოყენების არიალს (გვ. 142-147). საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის საკითხები ნაშრომში განხილულია არა მარტო მარკეტინგთან ურთიერთკავშირში, არამედ მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკასთან კომპლექსში. ამასთან ეს უკანასკნელი (მენეჯმენტი) მიჩნეულია ბიზნესის მართვის ფილოსოფიად. წინა პლანზეა წამოწეული მენეჯმენტის როლი საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, გვერდი არ აქვს ავლილი მენეჯმენტს საერთაშორისო ბიზნესთან მიმართებაშიც.

სარეცენზიო ნაშრომი გამოირჩევა ეკონომიკური თეორიისადმი ავტორის უდიდესი ყურადღებით. მასში მთელი თავი (IV) ეძღვნება საბაზრო ეკონომიკისა და ეკონომიკური თეო-

რიის დეფინიცის საკითხებს. იგი ილაშქრებს პოლიტიკური ეკონომიის „ეკონომიკს“-ით ჩანაცვლების წინააღმდეგ.

ეს განყოფილება განსაკუთრებით საყურადღებოა იმითაც, რომ პროფესორი გ. შუბლაძე აქ იძლევა საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელის დამუშავების აუცილებლობის შესახებ ორიგინალურ მოსაზრებებს და წარმოაჩენს ამ მოდელის ცალკეულ კონტურებს. ნაშრომში საინტერესოდ და კრიტიკულად არის განხილული სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხებიც.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ პროფესორ გიორგი შუბლაძის სარეცენზიო წიგნის სახით საქმე გვაქვს უაღრესად ღრმა, ფართო პლანიან, ორიგინალურ, კომპლექსურ გამოკვლევასთან, რომელსაც გააჩნია უდიდესი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება ყველასათვის, სტუდენტი იქნება იგი თუ მეცნიერი, მარკეტერი თუ მენეჯერი, ვინც კი ზემოთმოცემული პრობლემატიკით დაინტერესდება.

*გიორგი ჯულაყიძე,*
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი*
*(ჟურნალი „ეკონომიკა“ 7-8, 2004 წ.).*

## IV. გიორგი შუბლაძე პუბლიცისტიკაში

### სტუდენტთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის

ჩვენი საუკუნე უდიდესი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საუკუნეა. დიადი მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ მაღალკვალიფიციურ, კულტურულ სპეციალისტებს, რომლებიც დაუფლებული იქნებიან თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევებს.

ჩვენ, სტუდენტობას, ყველა პირობა გაგვაჩნია არჩეული სპეციალობის ღრმად დაუფლებისათვის. საჭიროა მხოლოდ, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი და ვისწავლოთ შეუპოვრად, დავეუფლოთ მეცნიერებას, კულტურას, მოვემზადოთ ახალი ცხოვრების აქტიურ მშენებლებად.

ყოველი ახალი სასწავლო წელი ახალ და ახალ მოთხოვნებს გვიყენებს; არ შეიძლება მიღწეულით დავკმაყოფილდეთ; არასაკმარისი და დასაგმობია მუშაობა ზოგიერთისათვის ჩვეული სტილით, როცა ისინი სწავლობენ მხოლოდ იმისათვის, რომ როგორმე გამოცდა ჩააბარონ, ნიშანი მიიღონ, მუშაობენ არა სისტემატურად, არამედ გამოცდების წინა დღეებში.

ცოტა სტუდენტი როდია, უმეტესად პირველკურსელები, რომლებმაც არ იციან, როგორ გაანაწილონ თავიანთი სამუშაო დრო, როგორ შეადგინონ მუშაობის მიზანშეწონილი გრაფიკი, როგორი წესით იმუშაონ. ამიტომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი უფროსი მეგობრების – პროფესორ-მასწავლებლების ყოველ რჩევა-დარიგებას, მათი მუშაობის გამოცდილების გაზიარებას მეცნიერების დაუფლების საქმეში.

ამ მხრივ ჩვენთვის, სტუდენტობისთვის, **განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აკადემიკოს ივ. ბერიტაშვილის ბროშურას „სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაცია“,** რომელიც ამასწინათ გამოსცა უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

ამ ბროშურაში დაწვრილებით, ამომწურავად არის განხილული სტუდენტის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ყველა ძირითადი საკითხი: ლექციის მოსმენა, სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურაზე მუშაობა, ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობა, საწარმოო პრაქტიკა, ჩათვლები

და გამოცდები, სამეცნიერო წრეში მონაწილეობა და სადიპლომო თუ სამეცნიერო თემაზე მუშაობა. ამასთან ერთად, აქვეა განხილული სტუდენტის კულტურული დასვენებისა და გართობის საკითხებიც.

ბროშურის ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მასში გადმოცემულია ავტორის საკუთარი, მრავალი წლის გამოცდილება. ავტორი ბროშურის ბოლო ნაწილში წერს: „ჩემს მიერ სტუდენტთა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის დახასიათება წარმოადგენს ჩემი მრავალი წლის გამოცდილების შედეგს, ასე მესმოდა მე ეს სტუდენტობისას და მივსდევდი მას. მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველა სერიოზულ და შეგნებულ სტუდენტს უნდა ესმოდეს ეს და ახორციელებდეს კიდევაც მას“.

ამ ბროშურით სარგებლობა ნამდვილად დიდად დაეხმარება სტუდენტებს, განსაკუთრებით პირველკურსელებს.

სასურველი და სასარგებლო იქნება, რომ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას ასევე გვიზიარებდნენ ჩვენი უნივერსიტეტის სხვა გამოჩენილი მეცნიერებიც, ხშირად ეწყობოდეს პროფესორ-მასწავლებელთა შეხვედრა სტუდენტებთან, სადაც ისინი გვესაუბრებიან ამა თუ იმ საგნის შესწავლა-ათვისების მეთოდებზე. ყოველივე ეს დიდად დაგვეხმარება მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევის საკითხში.

*__გ. შუბლაძე__, ეკონომიკური ფაკულტეტის IV კურსის*
*ფრიადოსანი სტუდენტი*
*(გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“; 22.09.55. )*

## კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა

სტუდენტთა შორის მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ალკკ კომიტეტთან არსებული მომხსენებელთა ჯგუფი.

მომხსენებელთა ჯგუფის თემატიკა მრავალფეროვანია. იკითხება მოხსენებები მარქსიზმ-ლენინიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, ლი-

ტერატურის, აგრეთვე მეცნიერების სხვა დარგებისა და თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე.

უკანასკნელ წლებში სათანადო მუშაობა წარმოებს თვითონ მომხსენებელთა ჯგუფთან. მომხსენებლებად შერჩეული არიან კარგი წარმატებისა და დისციპლინის სტუდენტები.

კარგ მუშაობას ეწევიან სტუდენტთა შორის მეცნიერული და პოლიტიკური ხასიათის მოხსენებების ჩატარების საქმეში ეკონომიკური, იურიდიული და ფილოლოგიის ფაკულტეტების ალკკ ბიუროები. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ ფაკულტეტზე წელს ყველაზე მეტი მოხსენებაა ჩატარებული. აქ კომკავშირულ ჯგუფებს მოხსენებათა ჩატარების ორგანიზაციაში სათანადოდ ეხმარებიან კომუნისტი ამხანაგები: დ. ზამბახიძე, ვ. გეგია, ლ. მახარაძე და სხვა.

ასე როდი ითქმის ყველა ფაკულტეტის შესახებ. ფიოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და სხვა ფაკულტეტებზე არის მოხსენების ჩაშლის შემთხვევები იმ შემთხვევებშიც კი, როცა მოხსენება დანიშნული იყო მათი განაცხადის მიხედვით მოთხოვილ თემაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი სტუდენტი ან საჭიროდ არ მიიჩნევს დაესწროს მოხსენებას, ანდა თუ დაესწრო არ უსმენს მას, არღვევს წესრიგს და ამით სხვასაც უშლის ხელს. ასეთი ფაქტი გამოვლინდა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის III კურსზე, სადაც სტუდენტი გ. კვანტალიანი „აგიტაციას" ეწეოდა მოხსენების არასაჭიროებაზე, სტუდენტი გ. ლორთქიფანიძე კი მოხსენების წაკითხვის დროს სხვა საქმეებით იყო გართული.

კომკავშირულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მოხსენებებისათვის ნორმალური პირობების შექმნას, რომ მოხსენებებმა ნამდვილი სარგებლობა მოუტანონ სტუდენტებს.

*გ. შუბლაძე, თსუ ალკკ კომიტეტთან არსებული*
*მომხსენებელთა ჯგუფის წევრი*
*(გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი"; 01.05.55. )*

## მოხსენება რუსულ ენაზე

პირველ სამ კურსზე დავეუფლეთ რა რუსული ენის გრამატიკის საფუძვლებს, მეოთხე კურსზე ჩვენი მუშაობა მიმართულია შეძენილი ცოდნის გამოყენებისაკენ წერასა და მეტყველებაში.

ამ მიზნით რუსულ ენაში ეკონომიკური ფაკულტეტის IV კურსის მე-19 ჯგუფში შემოღებულია მოხსენების ჩატარების სისტემა სპეციალობის მიხედვით არჩეულ საკითხებზე. პრაქტიკულად ეს საკითხი ჩვენთან ასეა მოგვარებული: მომხსენებელი დაამუშავებს თემას და წარმოადგენს ერთი კვირით ადრე, რათა მისი გაცნობის საშუალება ჰქონდეს რუსული ენის მასწავლებელს და ოპონენტ სტუდენტს. ოპონენტები ამოწმებენ დაწერილ მოხსენებას მართლწერის, აზრის სწორად, თანმიმდევრულად დალაგების და თემის დაძლევის თვალსაზრისით.

მოხსენების ჩატარების დროს ყურადღება ექცევა სტუდენტის სწორი მეტყველების კულტურას რუსულ ენაზე. მოხსენების გარშემო ჯგუფის ყველა სტუდენტი გამოდის შესწორებებით, დამატებებით.

პირველი ასეთი მოხსენება ზემოხსენებულ ჯგუფში ჩატარდა 27 ოქტომბერს. მოხსენება გააკეთა სტუდენტმა ნ. ბაკურაძემ, რომელმაც დამაკმაყოფილებლად უპასუხა აგრეთვე სტუდენტთა შეკითხვებზეც.

შემდეგ მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რაშიც მონაწილეობა მიიღეს დ. ზამბახიძემ, გ. მალაშხიამ და სხვა სტუდენტებმა.

ბოლოს, რუსული ენის მასწავლებელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ირ. ცერცვაძე გვესაუბრა სპეციალობის მიხედვით მოხსენებათა ჩატარების მნიშვნელობაზე ჩვენს მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში. მან კარგად შეაფასა ჯგუფის მუშაობა და გამოთქვა იმედი, რომ მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება ამ მიმართულებით მუშაობა.

***გ. შუბლაძე,*** *ეკონომიკური ფაკ. IV კ. სტუდენტი*
*(გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“; 08.10.55.)*

## კოლმეურნეებთან

საგაზაფხულო გამოცდების წარმატებით დამთავრების შემდეგ ჩვენ, ეკონომიკური ფაკულტეტის IV კურსის მე-19 ჯგუფის სტუდენტებმა გამოცდების შედეგების განხილვისადმი მიძღვნილ ღია კომკავშირულ კრებაზე ამოცანად დავისახეთ არდადეგების პერიოდში ფიზიკური შრომით დავხმარებოდით თანასოფლელ კოლმეურნეებს.

მივაშურეთ მშობლიურ სოფლებს, ყველგან ენერგიული შრომა იყო გაჩაღებული. ჩვენც ჩავებით შრომის საერთო ფერხულში. სახალისოა მუშაობა კოლმეურნეების გვერდით, იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც დაუღალავად იბრძვიან საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ მუშაობენ თავიანთი კეთილდღეობისათვის. მეტად სასიამოვნოა მათთან საუბარი თანამედროვეობის ყველა აქტუალურ საკითხზე.

ჩემთვის დაუვიწყარია ის დიდი შრომითი ენთუზიაზმი და დასვენების დროს კარგი გართობა, რაც დამახასიათებელია ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ახუთის კოლმეურნეებისათვის. მათთან ერთად მონაწილეობას ვიღებდი საკოლმეურნეო სამუშაოებში. არდადეგების დროს ამ კოლმეურნეობაში გამოვიმუშავე 50 შრომადღეზე მეტი. ფიზიკურ შრომასთან ერთად ვეწეოდი სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. თსუ ალკკ კომიტეტთან არსებული მომხსენებელთა ჯგუფის საგზურებით ჩავატარე 9 მოხსენება თემებზე: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში“, „შრომა სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში“, „საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯია მთელ მსოფლიოში“.

*__გ. შუბლაძე,__ ეკონომიკური ფაკულტეტის IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტი*
*(გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“; 15.10.55.)*

## საინტერესო თეორიული კონფერენცია

ეკონომიკური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები მიმდინარე სემესტრში ამუშავებენ საკურსო შრომებს და ემზადებიან გამოცდის ჩასაბარებლად სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში. ამასთან დაკავშირებით კურსის ალკკ ბიუროს ინიციატივით ამასწინათ მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე – „სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიკური კანონი და სოციალისტური დაგეგმვა“.

კონფერენციაზე წაკითხული იქნა სულ ოთხი მოხსენება: 1. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიკური კანონი სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონია (მომხსენებელი – სტუდენტი გ. შუბლაძე), 2. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიკური კანონის არსი და მოთხოვნები (მომხსენებელი – სტუდენტი ნ. კვანტალიანი), 3. სოციალისტური დაგეგმვა, როგორც სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიკური კანონის მოთხოვნების ასახვა (მომხსენებელი – სტუდენტი გ.მალაშხია), 4. სოციალისტური დაგეგმვის ძირითადი ამოცანები და პრონციპები (მომხსენებელი – სტუდენტი გ. აფციაური).

თეორიული კონფერენციის ჩატარებას წინ უსწრებდა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა: დარგობრივი ეკონომიკისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრებმა განიხილეს და დაამტკიცეს კონფერენციის ჩატარების გეგმა, მიუთითეს მომხსენებლებს იმ ლიტერატურის შესახებ, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ აღებული საკითხების დამუშავებაში. შემდეგში კი აღნიშნული კათედრების წევრები პროფ. ა. გოკიელი და დოც. ვ. ჩიხლაძე წინასწარ გაეცნენ სტუდენტთა მიერ დაწერილ მოხსენებებს და სათანადო მითითებანი მისცეს მათი სრულყოფისათვის. კონფერენციისათვის მომხსენებელთა გარდა კურსის ყველა სტუდენტი ემზადებოდა.

ამგვარად მომზადებულმა კონფერენციამ მეტად საინტერესოდ ჩაიარა. მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოწინავე სტუდენტებმა: ლ. მახარაძემ, ვ. გეგიამ, მ. გედენიძემ, და მ. ვაჩეიშვილმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ზემოდასახელებული კათედრების წევრებმა.

*გ. შუბლაძე, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის ალკკ კურს-ბიუროს მდივანი (გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“; 16.12.55.)*

## საწარმოო პრაქტიკაზე

ეკონომიკური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტებმა გამოცდები დავამთავრეთ აპრილის ბოლოს და ამჟამად საწარმოო პრაქტიკას გავდივართ რესპუბლიკის მოწინავე ფაბრიკა-ქარხნებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში.

ჩვენი, საქონელმცოდნეობის ჯგუფის სტუდენტთა, მთავარი ამოცანაა შევისწავლოთ საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესები, მზა ნაწარმის დახარისხება.

საქონელმცოდნეობის კათედრამ დროულად გაგვაცნო საწარმოო პრაქტიკის პროგრამა და ხელმძღვანელად გამოგვიყო კათედრის წევრი დოც. ი. მუჯირი.

მე და ა. გაბისონია საწარმოო პრაქტიკას გავდივართ საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტის სისტემაში. №3 ლუდის ქარხნის დირექცია (დირექტორი ი. ლექავა) სათანადო დახმარებას გვიწევს ინსტრუქტაჟით, სტანდარტებით და სხვა საჭირო საშუალებებით. ქარხნიდან ჩვენს ხელმძღვანელად გამოყოფილია გამოცდილი სპეციალისტი – ტექნოლოგი თ.ყარასაშვილი, ჩვენი უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

პრაქტიკის პირველ დღეს ხელმძღვანელების დახმარებით გავეცანით ქარხნის სტრუქტურას, ცალკეული საამქროების საქმიანობას და შევადგინეთ მუშაობის კალენდარული გეგმა პრაქტიკისათვის განკუთვნილი მთელი ორი თვის მანძილზე, კონკრეტული სამუშაოებისა და უბნების მიხედვით.

ამჟამად ვეცნობით სახარშავი საამქროსა და ქარხნის ლაბორატორიის მუშაობას. ჩვენ არა მარტო მაყურებლები ვართ ტექნოლოგიური პროცესების მსვლელობისა, არამედ თვითო-

ნაც ვასრულებთ ზოგიერთ სამუშაოს, ვაკეთებთ ანალიზებს მზა ნაწარმის ხარისხის შემოწმებაზე და სხვა.

ვსწავლობთ რა ქარხნის პრაქტიკულ საქმიანობას, ამასთანავე ვმონაწილეობთ ქარხანაში სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებაში.

წინ არის დიდი დრო, ჩვენ, პრაქტიკანტებს, საქონელმცოდნეობის კათედრისა და ქარხნის დირექციის დახმარებით ყველა პირობა გვაქვს შექმნილი, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ საწარმოო პრაქტიკისთვის დათმობილი დრო და გავიმტკიცოთ უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა.

***გ. შუბლაძე,*** *სტუდენტი პრაქტიკანტი*
*(გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“; 19.05.56.)*

## სტუდენტთა სამეცნიერო წრეში

ეკონომიკური ფაკულტეტის საქონელმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრე მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებიდანვე მთელი მონდომებით შეუდგა მუშაობას. წრის წევრებს შორის განაწილდა თემები, რომლებიც კათედრამ მოიწონა და წრის სხდომამ დაამტკიცა, მომხსენებლებზე მიმაგრებულ იქნენ კონსულტანტები.

სამეცნიერო წრეზე უკვე წაკითხულ იქნა ორი მოხსენება. წრის წევრებმა ნახეს სპეციალური სასწავლო კინოფილმები, მოეწყო ექსკურსიაც თბილისის მარგარინის ქარხანაში.

მოხსენებების წაკითხვას წინ უსწრებდა მოსამზადებელი მუშაობა: მომხსენებლებმა და ოპონენტებმა საფუძვლიანად შეისწავლეს აღებულ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა, გაეცნენ შესაბამისი საწარმოების მუშაობას. ამის შედეგად მოხსენებები ჩატარდა მაღალ მეცნიერულ დონეზე, დასმული იქნა ფრიად მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხები. მაგალითად, პირველი მოხსენების – „სახამებელ-ბადაგის წარმოება და მისი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა“ – მოსმენის დროს წრის წევრები დაინტერესდნენ საქართველოში ასეთი საწარმოების აგებისა და რესპუბლიკის საკუთარი სახამებელ-პროდუქტებით უზრუნველყოფის საკითხით.

მეორე მოხსენება – „მოდელური ფეხსაცმლის წარმოება და მისი მხატვრული გაფორმების თავისებურება“ – გაშუქებულ იქნა თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის პროექტული საქმიანობის მაგალითზე. მომხსენებელმა ე. გარნოვსკაიამ და ოპონენტმა რ. ხასიდაშვილმა, რომლებიც გაეცნენ თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაობას, წარმოადგინეს დამაჯერებელი მასალები მოდელური ფეხსაცმლების თანამედროვე ტექნოლოგიური სქემის შესახებ. მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო მოდელური ფეხსაცმლების კარგ ხარისხიანობას და გაფორმებას.

ორივე ამ მოხსენების ირგვლივ წრის წევრთა შორის ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

წელს აღნიშნულ წრეში მოხსენებების განხილვისას წრის წევრთა აქტივობას ხელი შეუწყო ისეთი ღონისძიებების გატარებამ, როგორიცაა: 1. მოხსენებების დამუშავება ახალი მასალებისა და პრაქტიკული საქმიანობის შესწავლა-გაშუქების საფუძველზე, 2. თითოეული მოხსენების თეზისების დაყვანამ წრის ყველა წევრამდე, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს წინასწარ გაეცნონ მოხსენებაში დასმულ საკითხებს, თითონაც შეისწავლონ ეს საკითხები და იყვნენ არა უბრალო დამსწრენი სხდომისა, არამედ აქტიური მონაწილენიც; 3. ოპონენტისადმი მეტი მოთხოვნების წაყენება. ყველა ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო იმასაც, რომ საგრძნობლად შემცირდა წრის წევრთა მიერ სხდომებზე დაუსწრებლობის შემთხვევები.

მომდევნო თემა, რომელიც ეხება საქართველოში ფხვნილი შაქრის წარმოებისა და მისი განვითარების პერსპექტივებს, დამუშავდება აგარის შაქრის ქარხნის მუშაობის მაგალითზე. მოხსენების ჩატარებამდე წრის წევრები მოაწყობენ ექსკურსიას აგარაში, გაეცნობიან მის მუშაობას, წარმოების ეკონომიკას და ამის შედეგად უფრო საქმიან მონაწილეობას მიიღებენ წრის სხდომაზე აღნიშნული მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში.

***გ. შუბლაძე,*** *სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე.*
*(გაზეთი „ახალგაზრდა სტალინელი“, 15 ნოემბერი, 1955 წ.).*

## КАК ВОВЛЕЧЬ СТУДЕНТОВ В НАУЧНЫЕ КРУЖКИ[1]

Как бывший староста студенческого научного кружка эко-номического факультета ТГУ, накопивший некоторый опыт работы, я хотел бы сделать несколько замечаний, которые, мне кажется, помогли бы улучшить работу СНО. Первое - это вопрос о членстве. В члены научного кружка, помоему, следует принимать с рекомендацией соответствующей кафедры, так как кафедра легче выявит наиболее подготовленных и заинтересованных студентов. Прием в кружки надо проводить с разбором и с соответствующей большой подготовительной работой. Ведь довольно часто случается так: студент записывается в научный кружок потому, что считает это либо необходимым, либо хочет заслужить доверие преподавателя. Так появляются в кружке безинициативные, пассивные слушатели, которые отрицательно влияют на его работу.

Это вовсе не значит, что способные студенты, собравшись в научный кружок, должны создать вокруг себя полосу отчуждения. Наоборот, работа кружка должна широко пропагандироваться на факультете и в вузе, в нее должны вовлекаться все новые и новые студенты. Но делать это надо на основе их подлинного интереса к науке, к работе кружка. Может, следует установить правила приема в члены кружка, по которому поступающий должен представить небольшое научное изыскание или выполнить предварительное задание кружка.

Для того, чтобы работа членов кружка привлекала к себе и других студентов, да и вообще для пользы дела нужно все время следить за тем, чтобы темы, выносимые на заседания кружка, были актуальны, имели практическое значение и вызывали интерес аудитории.

Новых членов в СНО может привлечь оживленная работа кружка, дискуссионный, полемический характер его заседаний.

---

[1] *Обсуждение письма О.Черкезия «Как улучшить работу студенческого научного общества» (на примере ГПИ).*

Если на заседаниии будет царить такая атмосфера, сюда придет студенческая масса - большинство студентов, из которых многих можно будет отобрать в кружок. Они выявят себя на таком заседании. А для того, чтобы эта обстановка на заседаниях кружков была возможна, надо ввести практику тезисов, которая дает возможность студентам знакомиться с докладом заранее и заранее обдумать свои критические замечания.

Работу кружков нужно разнообразить, стараться сделать ее живой и интересной - тогда всех студентов потянет в кружок.

Это мне легко было понять на примере нашего кружка.

Как только мы разнообразили свои занятия, работа в кружке оживилась. Прежде всего, мы постарались выйти из семинарского ведения занятий, для чего стали намечать занятия и по итогам производственных экскурсий, и по отдельным практическим производственным задачам, просмотрам специальных кинофильмов. Работа нашего кружка сейчас привлекает многих будущих товароведов.

*__Г. Шубладзе,__ Студент экономического факультета*
*Тбилисского государственного университета имени Сталина*
*(Газ. «Молодой Сталинец», 2 апреля 1957 г.)*

## აქტივი ეუფლება მრეწველობის ეკონომიკის საკითხებს

სკკპ XX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პროპაგანდისტულ მუშაობაში მარქსისტულ-ლენინური თეორიის ეკონომიკური მხარის — კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შესწავლას და ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან მისი მჭიდროდ დაკავშირების ამოცანებს. მუშები, კოლმეურნეები პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისაგან მოითხოვენ პრაქტიკულ დახმარებას, მოწინავე გამოცდილების დაწვრილებით გადმოცემას, საქმიან რჩევას იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ ეს გამოცდილება ცხოვრებაში — საწარმოებში, კოლმეურნეობებში. ამისათვის პროპაგანდისტები, აგიტატორები, სემინარის ხელმძღვანელები უნდა ფლობდნენ არა მარტო

თეორიულ დებულებებს, არამედ კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს.

ჩემი ოთხი წლის პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ზოგადი ხასიათის ლექცია, საუბარი მსმენელებისათვის ნაკლებად საინტერესოა. ასეთ პირობებში არ არის აზრთა ცოცხალი გაზიარება, მსმენელები ხშირად არ ცხადდებიან, ხოლო „დისციპლინიანი" ამხანაგები მოდიან, მაგრამ თუ ხმამაღლა არა, გულში მაინც ფიქრობენ, დრო უქმად დავკარგეთო. პროპაგანდისტული მუშაობა საპატიო, ამასთან პასუხსაგები მოვალეობაცაა. ამიტომ ხშირად მივმართავდი რჩევა-დარიგებებისათვის ჩემს უფროს მეგობრებს — პროფესორ-მასწავლებლებს.

კომკავშირის 26 კომისრის რაიკომთან არსებულმა მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელმა სემინარმა თავიდანვე გადაწყვიტა ჩაეტარებინა მეცადინეობები წარმოებასთან კავშირში, შეესწავლა ეკონომიკის ძირეული საკითხები. საინტერესოა თვითონ სემინარის შექმნის ისტორია. რაიკომში მსჯელობდნენ, თუ როგორ აემაღლებინათ კომკავშირული ორგანიზაციების როლი საწარმოების მიერ სახელმწიფო დავალებების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. ზოგან კომკავშირელები ჩამორჩებოდნენ, ვერ ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს. კომკავშირული ორგანიზაცია უნდა დახმარებოდა ასეთ ახალგაზრდებს.

აზრი კომკავშირული აქტივის ეკონომიკური განათლების შესახებ მაშინ დაიბადა რაიკომში. და როცა აქ მიიწვიეს საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები და მოესაუბრნენ მათ ეკონომიკური სწავლების მოწყობაზე, გამოირკვა, რომ თითქმის ყველას სურდა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა. გადაწყდა პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი სემინარის შექმნა საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციების მდივნების, რაიონის სხვა აქტივისტთა ჩაბმით.

ეს იყო გასულ სასწავლო წელს. სემინარული მუშაობა ორგანიზებულად დაიწყო. მისი მონაწილენი დიდი ინტერესით შეუდგნენ პოლიტიკური ეკონომიის, კონკრეტული ეკონომიკის საკითხის შესწავლას. სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის კონკრეტული საკითხების გაცნობასთან დაკავშირებით

სემინარის მონაწილეებს თავიანთი წარმოებიდან მოჰყავდათ მონაცემები ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ, რისთვისაც ისინი მიმართავდნენ საწარმოს საგეგმო განყოფილებას, ბუღალტერიას, ეცნობოდნენ პრაქტიკულად იმ საკითხებს, რომლებზეც ლექციები მოისმინეს.

ჩვენი რეფერატები თანდათან სულ უფრო კონკრეტულად აშუქებდა საკითხს. რეფერატებისათვის შევადგინეთ გეგმა, შევიმუშავეთ საწარმოს ცხოვრებიდან მასალების აღების და დამუშავების მეთოდი. წარმოების მაგალითზე მომზადებული რეფერატის მასალებს ეცნობა სემინარის ყველა მონაწილე, რაც აძლევს მათ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ საკითხებზე მსჯელობაში. კარგი რეფერატები წაიკითხეს №1 ფეხსაცმლის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. გონიაშვილმა, მასწავლებელმა მ. მირცხულავამ, რაიკომის თანამშრომელმა რ. დემეტრაშვილმა და სხვა.

შემდგომში ჩვენმა სემინარმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. შევთანხმდით მოგვეწყო ე. წ. „ღია მეცადინეობები“ უშუალოდ ქარხნებში, ფაბრიკებში, რაც ეკონომიკური პროპაგანდის ცხოვრებასთან დაკავშირების საუკეთესო საშუალებაა. ეს მზადდება შემდეგნაირად: შევარჩევთ რომელიმე (მოწინავე ან ჩამორჩენილ) საწარმოს „ღია მეცადინეობის“ ობიექტად, რომლის საფუძვლიანად გაცნობისა და შესწავლის შედეგად მუშავდება კონკრეტული თემა. მომხსენებლებად გამოიყოფა სემინარის ორი ან სამი მონაწილე. ამასთან მონაწილეობისათვის ემზადება ყველა მონაწილე, რისთვისაც ობიექტზე წინასწარ ეწყობა ექსკურსია მასალების შეგროვების მიზნით. მეცადინეობას ესწრებიან საწარმოს ხელმძღვანელები, მუშები, ინჟინრები, ეკონომისტები, ტექნოლოგები, ასევე მუშებიც რაიონის კომკავშირულ აქტივთან ერთად. ასეთი მეცადინეობა სავსებით შესაძლებელია ორ-სამ თვეში ერთხელ. ეს იძლევა ორ მნიშვნელოვან შედეგს: ჯერ ერთი, სემინარის მონაწილენი განამტკიცებენ თეორიულ ცოდნას, წარმოებასთან უშუალო კავშირი მათ აძლევს ზუსტ წარმოდგენას წარმოების მთელ რიგ საინტერესო საქმიანობაზე; მეორე, რაც მთავარია, ეხმარება

წარმოების მუშაკებს ძირეული ეკონომიკური საკითხების გაგებასა და გადაჭრაში.

კარგად ჩაიარა „ღია მეცადინეობამ“ მექანიკურ ქარხანაში. თემა – „შრომის მწარმოებლურობის გადიდების გზები მექანიკურ ქარხანაში“ საფუძვლიანად დაამუშავეს ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ანგი ჯანელიძემ და რაიკომის თანამშრომელმა ნანა კეცხოველმა.

მეტად საინტერესო იყო „ღია მეცადინეობა“ №1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში. თემის „თბილისის №1 ფეხსაცმლის ფაბრიკა მეექვსე ხუთწლედში“ – ირგვლივ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ვ. ბრეშკოვმა, „ფეხსაცმლის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები სსრ კავშირში“ – თბილისის ტყავნედლეულის ქარხნის საქონელმცოდნემ რ. გურჩიანმა, „ფაბრიკის ამოცანები მეექვსე ხუთწლედში“ – მთავარმა ინჟინერმა ნ. კლიდჯიანმა. „ღია მეცადინეობას“ ბევრი მსმენელი დაესწრო. სიტყვით გამოვიდნენ კომკავშირელები, საამქროს უფროსი ოსტატები.

„ღია მეცადინეობის“ მოწყობა სასარგებლოა, სახალისოა, მაგრამ სერიოზულ, გულმოდგინე მუშაობას საჭიროებს. ამჟამად, როდესაც სემინარი გადავიდა მრეწველობის ეკონომიკის საკითხების შესწავლაზე, მას მეტი მნიშვნელობა ეძლევა.

მომავალში გადაწყვეტილი გვაქვს მოპოვებული პირველი წარმატებები განვამტკიცოთ. მიზანშეწონილია თემა მუშავდებოდეს საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებით. კარგი იქნება თუ დავამყარებთ ფაბრიკა-ქარხნებთან ყოველდღიურ კავშირს და დავეხმარებით მათ ზოგიერთი პრობლემატური საკითხის გადაწყვეტაში.

ჩვენი სემინარის მუშაობამ სათანადო შედეგი მოგვცა. მისი მონაწილენი დაეუფლნენ ეკონომიკურ თეორიას, კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს, საქმის ცოდნით უძღვებიან კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, ამაღლებენ მათ როლს საწარმოს უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში. ისინი აწყობენ საუბრებს კომკავშირელებთან შრომის უკეთესი ორგანიზაციის, შეჯიბრების გაშლის, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, მეცნიერულ-ტექნიკური

პროგრესის მნიშვნელობის შესახებ, მიუთითებენ ჩამორჩენის მიზეზებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე.

ასეთი მუშაობა ზრდის კომკავშირული ორგანიზაციების ავტორიტეტს საწარმოს პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში, ხელს უწყობს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

*გ. შუბლაძე, კომკავშირის თბილისის 26 კომისრის რაიკომთან არსებული მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელი*

*(გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი"; 03.01.57.)*

## კვლავ მხიარული განწყობილებით

– ნეტავ რა ქნა, რა ნიშანი მიიღო? – რუსული ენის საკონტროლო რვეულები მაგიდაზე დააწყო მზიამ და წასვლა დააპირა.

– მამა მინდა! – აიჩემა პატარა თამარმა.

– მამასთან ჯერ არ მივდივარ, ბაზარში უნდა გავიარო, შვილო! – დაუყვავა დედამ – მასწავლებელია და იცის როგორ მიუდგეს მოზარდს. ბავშვი გაჭირვეულდა, თვალებზე ცრემლი მოადგა.

– კარგი, გავივლით, – დათმო დედამ.

ცენტრალურ უნივერმაღში, სადაც გიორგი ტანსაცმლის განყოფილების უფროს საქონელმცოდნედ მუშაობს, ლამაზად გაფორმებულმა ვიტრინებმა მიიზიდა პატარა.

– რა კარგი ბუშტია! – მოეწონა ერთი.

– რა ლამაზი თოჯინაა! – ახლა მეორე სათამაშოზე შეაჩერა მზერა. თითქმის ყველაფერი მოსწონდა. ყველაფერი უნდოდა – ბუშტიც, თოჯინაც, სათამაშო რკინიგზაც ლამაზი ვაგონებითა და მომხიბლავი ორთქლმავლით.

– აკი მამა მომენატრაო! – შეახსენა დედამ.

– შუბლაძე მინდოდა! – ერთ-ერთ თანამშრომელს მიმართა მზიამ.

– უნივერსიტეტიდან არ დაბრუნებულა, გამოცდა აქვს ჩასაბარებელი.

* * *

8 წელიწადია ცენტრალურ უნივერმაღში მუშაობს გიორგი.

— კარგი სპეციალისტია, ჩინებული ეკონომისტი! — ასე ახასიათებს კადრების განყოფილების გამგე ე.თაბუკაშვილი: — ჩვენთან უნივერსიტეტის წარჩინებული დიპლომით მოვიდა. საქონელმცოდნედ მუშაობასთან ერთად 4 წელიწადს კომკავშირული, 3 წელიწადს კი პარტიული ორგანიზაციის მდივანი იყო. ბიუროს ახალ შემადგენლობას ჯანსაღი კოლექტივი ჩააბარა.

კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების კონტროლით ამაღლდა დისციპლინა. ხშირად ეწყობოდა ლექცია-მოხსენება, თეორიული კონფერენცია, სემინარი, მსჯელობდნენ ვაჭრობის მნიშვნელოვან საკითხებზე. მხედველობიდან არ რჩებოდათ საქმისადმი უგულისყურო დამოკიდებულების ერთი ფაქტიც კი. მზა ტანსაცმლის განყოფილება კი, სადაც გიორგი ჯერ რიგით, შემდეგ კი უფროს საქონელმცოდნედ მუშაობს, მოწინავე გამოცდილების დანერგვის ნამდვილ ლაბორატორიად გადაიქცა. განხორციელდა ბევრი სიახლე. მათ შორის მოსკოვის და გორკის სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების „ბოლშევიჩკას“ და „მაიაკის“ წამოწყება: გაითვალისწინონ მყიდველთა მოთხოვნა და ამის შესაბამისად გამოუშვან პროდუქცია. გიორგიმ შეისწავლა მრეწველობაზე ვაჭრობის ზემოქმედების ზოგიერთი სხვა აქტუალური საკითხიც. ამის შედეგად უნივერმაღს ახლა პირდაპირი კავშირი აქვს დამყარებული და თვითონ აძლევს შეკვეთებს მე-6 და მე-7 სამკერვალო ფაბრიკებს.

ნაყოფმაც არ დაიგვიანა. განყოფილებას საუკეთესო მაჩვენებლები აქვს. 7 თვის გეგმა 114 პროცენტით გაანაღდა. ეს წარმატება მისი უნარიანი მუშაობითაც არის მოპოვებული. გულისხმიერად სწავლობს და ითვალისწინებს მყიდველთა მოთხოვნილებას და სამკერვალო ფაბრიკებიდან ისეთი ასორტიმენტისა და ხარისხის მზა ტანსაცმელი მოაქვს, რომელიც განსაკუთრებით იზიდავს მომხმარებლებს. ამიტომაც დააჯილდოეს „ვაჭრობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

103 სტუდენტია უნივერმაღში. ბევრს ახსოვს მისი დახმარება, მეგობრული რჩევა. აი, რატომ უყვართ, რატომ აფასებენ

გიორგი შუბლაძეს ამხანაგები. არც თვითონ რჩება ვალში. დაუსწრებლად განაგრძობს სწავლას ასპირანტურაში. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტია. მის სამეცნიერო ხელმძღვანელს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ ა. გოკიელს გულთბილი სიტყვა არ ენანება გიორგისათვის.

– დინჯი, ნაკითხი, დაკვირვებული! – ასეთია იგი ინსტიტუტის სწავლული მდივნის ი. ქვაჩახიას დახასიათებითაც. პრაქტიკული გამოცდილება სწავლაში ეხმარება. ამას წინათ ინსტიტუტში მოწყობილ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა კონფერენციაზე ვაჭრობის მრეწველობაზე ზემოქმედების ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა. ნაშრომში გამოყენებული ჰქონდა ცენტრალური უნივერმაღის მაგალითები, რომელთა საფუძვლიანმა ანალიზმა ეკონომისტები დააინტერესა. მომავალშიც ამ საკითხის უფრო ღრმად შესწავლა აქვს გადაწყვეტილი. მანამდე კი წესით 4 წელიწადში უნდა ჩაებარებინა საგნებიც და დისერტაციაც. ერთი საგანი უკვე ჩააბარა ხუთიანზე, იმ დღეს მეორეს აბარებდა. სწავლების მეორე წლისათვის კი მხოლოდ ერთი საგანი რჩებოდა და მერე... მერე დისერტაცია.

– რას იზამს, რა ნიშანს დაუწერენ, – ნერვიულობდა მზია.

შინ გვიან დაბრუნდა გიორგი, შვილი თოჯინით გაახარა.

– ხუთიანი? – იკითხა მზიამ.

– ხუთიანიც და... ხელფასიც. ახლაც მოვიპოვეთ პრემია. ამ თვეში 160 მანეთი გამოდის ჩემი შემოსავალი.

– ამას ჩემი 90 მანეთიც რომ დავუმატოთ, შეიძლება ცოტა დავზოგოთ... თამარი წამოგვეზარდა, მალე სათამაშო როიალი არ გამოადგება. პიანინოს ფულია შესაგროვებელი.

ქმარმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

***ა. კლდიაშვილი***

*(გაზ. „თბილისი“; 16.08.65.)*

## ЗА ПРИЛАВКОМ - ПРОПАГАНДИСТЫ ХОРОШЕГО ВКУСА

Магазин является своеобразным показателем тех больших побед, которые одержал наш народ на трудовом фронте последних лет. Обилие товаров, с одной стороны, и внедрение новых методов торговли - с другой, как нельзя лучше иллюстрируют и рост производства материальных благ, и новое отношение к человеку.

Вспомните, каким был магазин несколько лет назад: вдоль его стен тянулись прилавки, отделявшие покупателей от товаров. Каждому хотелось внимательнее рассмотреть приглянувшуюся вещь, расспросить о ее качествах. Но зачастую продавец не успевал обслуживать покупателей, и они уходили из магазина недовольными.

Борьба за новые методы торговли началась совсем недавно, какихнибудь пятьшесть лет назад.

Зачинателем этой борьбы была молодежь. Ее не удовлетворяли ни старые формы торговли, ни старая мораль продавцов: главное - продать, а что и как - неважно.

Нет, - сказали молодые люди, - главное дело нашей профессии - как можно лучше обслужить покупателя, помочь ему правильно выбрать нужную вещь.

Так стали зарождаться новые формы торговли - с открытой выкладкой товаров и торговля по образцам.

И если вы долгое время не были в нашем универмаге, что расположен на улице Марджанишвили, то, зайдя туда сегодня, вы не узнаете его. Универмаг сегодня - это не просто торгующая организация, но и выставка товаров, своеобразный пропагандист хорошего вкуса.

Большую роль в правильном выборе товаров играет хорошо оформленная витрина. Она - лицо магазина и может подсказать многое. Вот почему художник - декоратор универмага и продавцы стремятся, чтобы витрины не только демонстрировали вещи, которые можно приобрести в магазине, но и показывали, как ими нужно пользоваться, допустим, расставить посуду на столе или лучше сочетать тона и расцветки в костюмах и тканях.

С переходом на новые методы торговли изменились и функции продавца. Он стал теперь верным советчиком и консультантом покупателей. Разумеется, для этого надо много знать о самих товарах, быть культурным, иметь хороший вкус. Из 166 молодых продавцов-комсомольцев у нас нет ни одного без среднего образования, а пятьдесят из них учатся в высших и средних специальных учебных заведениях.

В секции детских игрушек работают комсомолки - члены бригады коммунистического труда Рузана Кайшаури, Лейла Хускивадзе, Земфира Патаркацишвили, Светлана Тер-Абрамова и другие. Все они не только вежливы и предупредительны, но и душой болеют за свое дело. Кто-то из покупалей занес в универмаг импортную игрушку - пистолет с волчком. Девушки заинтересовались ею, внимательно осмотрели, а затем заказали такую же фабрике культгалантерейных изделий города Тбилиси. В магазинах уже появилась эта занимательная игрушка для малышей нашего города.

Много неприятностей доставляют продавщицам некрасивые, неуклюжие игрушки.

- Ведь это же пугало, - говорит Светлана Тер-Авакова, пока-зывая страшного зверя неопределенного вида.

Ярлык говорит, что это мишка, взрослые сомневаются, а дети при виде этого "мишки" тут же начинают реветь.

Девушки через товароведов сообщили фабрике свои претензии и надеются, что она улучшит свою продукцию.

...К подарочной секции, где работают комсомолки Нора Загашвили, Татьяна Сванидзе, Лили Бакурадзе, Донара Карко-зишвили и Нина Надирадзе, подошел мужчина. Он долго стоял перед витриной чайных сервизов, видимо, затрудняясь остановить на чем-нибудь свой выбор. К нему подошли девушки и предложили красивый сервиз. Они объяснили покупателю, в чем преимущество этого сервиза, и тот ушел очень довольный своей пакупкой.

Хороших продавцов в универмаге много, но есть и такие, которые вызывают у покупателей чувство разочарования, досады.

В киоске металлических галантерейных изделий, что на третьем этаже, работает Ольга Юдина. Это высококвалифицированный работник с высшим образованием, но ей очень не хватает приветливости. Когда к ее киоску подходит покупатель, удивляешься ее безучастности. Глядя со стороны, так и хочется сказать: - Будь же внимательна, Оля!

Недавно за невежливое обращение с покупателями получила выговор продавщица Ангелина Зумбадзе. Комсомольское собрание осудило грубый поступок Ангелины. Неприветливость, невежливость, грубость нетерпимы в нашей среде. Дело не только в том, что вежливый, внимательный продавец привлекает к себе покупателей, но и в том, что каждый работник прилавка должен быть воспитателем, пропагандистом хороших манер и вкуса.

*Г. Шубладзе, Секретарь комсомольской организации*
*Тбилисского Центрального универмага.*
*(Газ. «Молодой Сталинец», 02.07.1960 г.)*

## ПРЯМЫЕ СВЯЗИ И ДОГОВОРЫ ПОСТАВКИ

Совершенствование взаимоотношений между производством и торговлей в настоящее время является актуальной прблемой развития экономики. Этому вопросу уделено большое внимание в недавно принятом постановлении Централного Комитета КПСС и Совета Министров СССР "О некоторых мерах по совершенствованию планирования и экономического стиму-лирования производства товаров легкой промышленности". Оно вносит принципиальные изменения не только в систему плановых показателей предприятий легкой промышленности, но и во взаимоотношения этой отрасли с торговлей.

В постановлении указывается, что важно обеспечить производство товаров народного потребления объединениями и предприятиями строго по договорам, заключенным с торгующими организациями. Наряду с этим предстоит повысить роль оптовых баз как посредников между про-

мышленными предприятиями и сетью розничной торговли, усилить их ответственность за правильность заказов на производство товаров и за их реализацию.

В этой большой работе важно единство действий обеих сторон - промышленности и торговли, единство подхода в употреблении терминов и понятий, характеризующих экономическое содержание взаимоотношений. Сейчас в этом деле наблюдается некоторый разнобой.

На практике, например, часто отождествляют понятия "прямые связи" и "прямые договоры". При этом в большинстве случаев в них вкладывается одинаковое упрощенное содержание – заклюючение договора поставки или даже движение товаров по схеме "фабрика-магазин", минуя посредника - оптовое звено.

Между тем в Положении о поставках товаров народного потребления совершенно ясно говорится только о "договорах поставки". Поэтому лишним становится слово "прямой", которое создает представление о существовании якобы другого вида ("непрямого") договора и вносит некоторую путаницу в раскрытие сущности прямых связей.

Сама по себе структура договорных отношений (связей) независимо от того, с кем заключен договор поставки - с фабрикой или с оптовой базой, по существу, ничего не меняет во взаимоотношениях между производстом и торговлей. Ведь магазин (торг) будет получать товары хотя и непосредственно от фабрики, но в ассортименте, зависящем от ее производственной программы, согласно нарядам оптовой базы. Так было на примере тбилисского Центрального универмага, когда вместо оптовой базы "Грузторгодежда" универмаг начал заключать договоры непосредственно со швейными фабриками.

Говоря о прямых связях, торговлю подчас ошибочно ограничивают только розничным звеном и исключают оптовые базы - основных контрагентов промышленных предприятий.

Оптовое звеноосновной и крупный заказчик промышленности для многочисленных средних и мелких магазинов. В

масштабах Грузинской ССР, по нашим расчетам, по формуле "фабрика-магазин" можно реализовать максимум 20-25 процентов выпускаемых товаров легкой промышленности. Кроме того, оптовые базы, как правило, должны выполнять координирующую роль при согласовании заказов между розницей и промышленными предприятиями.

Следовательно, противопоставлять розницу оптовому звену при установлении прямых связей нет никаких оснований. суть таких связей - строить производственную программу на основе заказов торговли (как розничной, так и оптовой). Лишь совместные действия оптовых и розничных организаций могут дать хорошие результаты как в отношении обоснования заказов торговли на основе изучения спроса населения, так и усиления воздействия на промышленность по обновлению ассортимента и улучшению качества товаров.

*Г. Шубладзе, Кандидат экономических наук, доцент Тбилисского ордена Трудового Красного Знамени госуниверситета ("Экономическая газета", май 1974, №22).*

**НАЧАЛЬНИКУ ЦЛ НОТ И НТИ МИНТОРГА ГРУЗИНСКОЙ ССР**

**ДОЦЕНТУ ШУБЛАДЗЕ Г. Ш.**

№ 357, 30.07.74

Уважаемый Георгий Шалвович!

Президиум Центрального правления Научно-технического общества торговли благодарит Вас за активное участие в подготовке и проведении всесоюзного научно-технического совещания на тему: "Использование научно-технической информации в развитии и повышении эффективности торговли и общественного питания" (г. Пермь, 14-16 мая 1974 г.).

**Председатель Центрального правления НТО торговли профессор Н. С. Алексеев**

## СЛУЖБЫ ПОИСКА РЕЗЕРВОВ

Около 5000 человек объединено сейчас в творческих бригадах и группах службы НОТ на предприятиях торговли и общественного питания Министерства торговли Грузии. Особенно активно работают они в Кутаиси (председатель совета НОТ Г. Саникидзе), на оптовой базе Грузхозторга (председатель И. Тикадзе), в Руставском тресте столовых (председатель Н. Берадзе).

Недавно состоялась научно-практическая конференция работников службы НОТ. Ее участники заслушали доклады об основных направлениях совершенствования огранизации и оплаты труда, материального стимулирования, повышения эффек-тивности отрасли и другие. Об опыте работы служб НОТ и научно-технической информации рассказали К. Чхаидзе, начальник планового отдела Министерства торговли Аджарской АССР, и Ц. Жоржолиани, инженер по научной организации труда Кутаисского городского управления торговли.

Конференция приняла рекомендации по совершенствованию организации труда и улучшению научно-технической информации в торговле.

*Г. Шубладзе, начальник Центральной лаборатории НОТ и НТИ Министерства торговли Грузинской ССР.*
*(Газ. "Советская торговля", 27. 03. 75)*

## ОРИЕНТИР - СПРОС ПОКУПАТЕЛЕЙ

Постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР "О некоторых мерах по совершенствованию планирования и экономического стимулирования производства товаров легкой промышленности" (апрель 1974 года) внесены серьезные изменения во взаимоотношения этой отрасли с торговлей.

В нем отмечено, что важно обеспечить производство товаров народного потребления строго по договорам, заклю-

ченным с торгующими организациями. В этих условиях повышается ответственность торгующих организаций за правильность заказов на поставку товаров легкой промышленности, за соответствие этих заказов спросу населения.

Вопросам дальнейшего укрепления экономических связей торговли с промышленностью была посвящена очередная де-ловая встреча экономистов в Тбилиси, организованная ЦК КП Грузии, Госпланом Грузинской ССР, министерствами торговли и легкой промышленности республики с участием экономистов торговых и промышленных предприятий.

На этой встрече выступили: министр торговли республики М. Мегрелишвили, первый заместитель министра легкой промышленности Грузии Е. Дудченко, начальник планово-экономического управления Минторга Грузинской ССР А. Гвелесиани, главный экономист фабрики "Исани" М. Абидов, начальник отдела сбыта трикотажной фабрики №3 В. Салукашвили, кандидат экономических наук Г. Шубладзе, управляющие республиканских оптовых баз Л. Чикваная, Э. Ципурия.

Из выступления Г. Шубладзе

В связи с этим ставится вопрос: оправдан ли перевод некоторых магазинов "Тбилторгодежды" на прямые связи со швейными фабриками? К примеру, магазин №1 имеет Тбилисскими швейными фабриками (имени Первого мая и имени Орджоникидзе) на общую сумму 679.3 тысячи рублей. Для фабрик это очень мелкий заказ, и выполнить его в полном ассортименте весьма затруднительно. К тому же в магазине не ведется учет выполнения договора в ассортименте. Аналогичное положение и по другим магазинам, однако они считаются на прямых связях с промышленными предприятиями и для них открыты расчетные счета в банке.

Но если сами розничные предприятия не следят за выполнением договоров по ассортименту поставляемых товаров, их соответствием образцам-эталонам, то теряет всякий смысл составление заказов и согласование их с промышленностью в развернутом ассортименте.

Перебои в торговле отдельными видами изделий легкой промышленности, имеющимися в достатке, объясняются порой плохой осведомленностью оптовых предприятий о наличии товаров в розничной сети, отсутствием повседневной связи с магазинами, слабым маневрированием товарными ресурсами. На практике оптовые базы чаще всего определяют квартальные сроки поставки. При этом они не несут ответственности за своевременный завоз рознице товаров в нужном ассортименте.

Наличие большого скопления товаров, не имеющих спроса в розничной торговой сети, и совершенно незначительные их остатки на оптовых базах Минторга по этим группам товаров (до шести процентов от розницы госторговли) свидетельствуют о том, что оптовые базы не оказывают должного воздействия на производство, чрезмерно широко используют транзитные отгрузки, составляющие в общей реализации по внутреннему рынку свыше 56 процентов. Это приводит к сужению ассортимента в розничных предприятиях, замедлению обращения товаров. В результате покупатели не находят в магазине изделий нужного размера, модели, расцветки, а розничная сеть затоваривается.

*В. Веселов*
*Л. Щелкановцев*
*("Экономическая газета", №43, октябрь 1975 года)*

## შემოქმედების ფართო გზაზე

საბჭოთა საქართველოს საიუბილეო თარიღი, მისი 50-ე წლისთავი ახლოვდებოდა. მეცნიერთა კოლექტივს დაევალა შეექმნა ვრცელი ფუნდამენტური ნაშრომი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ. მხცოვან მეცნიერებთან ერთად ამ საქმისთვის მიიწვიეს გიორგი მამანტის ძე მალაშხია – საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, რომელმაც არც თუ ისე დიდი ხანია შესდგა ფეხი მეცნიერებაში.

წიგნი 1972 წელს გამოიცა რუსულ ენაზე სახელწოდებით: „საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა – მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“. მან აღიარება ჰპოვა მეცნიერულ საზოგადოებაში და მკითხველთა ფართო მასებში.

საყურადღებო ადგილი ამ ფუნდამენტურ მეცნიერულ მონოგრაფიაში უკავია გ.მალაშხიას შრომებს, რომლებიც წარმოდგენილია ორი თავისა და ერთი პარაგრაფის სახით. მათი ავტორი ღრმად აშუქებს სახალხო მეურნეობის განვითარების ისეთ დიდმნიშვნელოვან წანამძღვარს თანამედროევ ეტაპზე, როგორიცაა მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა; აანალიზებს მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის – მანქანათმშენებლობის განვითარების ეკონომიკურ პრობლემებს, ასაბუთებს მისი პერსპექტიული განვითარების ძირითად მიმართულებებს საქართველოში; იძლევა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კანონზომიერებათა, ტემპების, ეკონომიკური ეფექტიანობის დახასიათებას, პროგნოზულ მონახაზებს მომავლისათვის, რაც მისი გამოკვლევების შედეგებზეა დაფუძნებული.

ახლა იბეჭდება და მალე გამოვა ამ წიგნის ახალი ქართული გამოცემა, რომელშიც შესულია გ.მალაშხიას მიერ დაწერილი კიდევ ერთი თავი მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა სახალხო მეურნეობაში გამოყენების შესახებ.

გასულ წელს საბჭოთა საქართველოს დღემ დიდი სიხარული მოუტანა ამ წიგნის წამყვან ავტორებს – მათ მიენიჭათ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

იოლი როდი იყო გზა მეცნიერულ გამარჯვებამდე. იგი დიდი შრომითი შემართებითაა მოპოვებული. თავისი ცხოვრების ყველა საფეხურზე გ. მალაშხია თავდადებული შრომისა და წინსწრაფვის მაგალითს იძლევა, რაც ყოველთვის სასურველ შედეგებსაც აძლევდა მას. გავიხსენოთ თუნდაც სქემატურად: საშუალო სკოლა მედალზე დაამთავრა, უნივერსიტეტში წარჩინებით სწავლობდა, რისთვისაც სახელობითი სტიპენდიაც დაენიშნა, წარმატებით დაამთავრა მეცნერებათა აკადემიის ასპირანტურა და სამეცნიერო ხარისხი დაიცვა, მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა სტუდენტობის პერიოდიდან დღემდე

(მათი რიცხვი 50-ს აღემატება), არაერთხელ მონაწილეობდა საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო ფორუმებში.

იშვიათი სიყვარული შრომისადმი, ზოგჯერ თავდავიწყებამდე მისული გატაცება ჩვენი სინამდვილის ეკონომიკური პროცესების შემეცნებით, მათში ღრმად ჩაწვდომით, რათა მერე სხვებს გაუზიაროს მიგნებული, მიკვლეული, თითქოს თავიდან აცილებსო მას დაღლას, უორკეცებსო ენერგიას. მისგან გაიგონებთ: „ბევრი მუშაობა ყოველთვის არ ნიშნავს კარგად მუშაობას, მაგრამ ცოტა იმუშაო და კარგად, ესეც არ კმარა. ეს ნიშნავს სრულად ვერ გამოიყენო შენი ძალები იმ საქმისათვის, რისთვისაც მოწოდებული ხარ“.

შრომისმოყვარეობასთან ერთად გ. მალაშხიას მეცნიერულ წარმატებებს ბევრად განსაზღვრავს ცხოვრების მოვლენებზე გამუდმებული დაკვირვების დიდი მისწრაფება და უნარი. მარტო წიგნების კითხვით ვერ მიაკვლევ სიახლეს, არსებითს, მთავარს, სიღრმისეულს, ეკონომიკურ პროცესებსა და მოვლენებში, ვერ ეზიარები შემოქმედებით სიხარულს. ცხოვრებაზე დაკვირვება უტყუარი იარაღია მკვლევარისათვის.

მისგან გაიგონებ: ბევრჯერ თითქოს უბრალო, შეუმჩნეველ ყოველდღიურ მოვლენებზე დაკვირვებისას დიდ პრობლემათა გადაწყვეტის რთულ მოვლენებში გარკვევის გზა ისახებაო. იმან, რასაც ჩვეულებრივ ყურადღებას არც კი აქცევენ, მკვლევარ-დამკვირვებელში შეიძლება გამოიწვიოს კითხვების მოზღვავება.

მარტივი სამეურნეო პროცესებიდან გონებაში რთულზე გადასვლა მასში აღძრავს აზრებს ტექნიკის თანამედროვე სახეების გამოყენების არსზე, ეფექტიანობის წყაროებზე, განვითარების მიმართულებებზე და ა. შ. გამოჰყავს მათემატიკური ფორმულები სიდიდეთა თანაფარდობის შესახებ და ასე დგინდება ჭეშმარიტებანი, იბადება კონკრეტული დებულებები ტექნიკური განვითარების ეკონომიკური როლის შესახებ.

გ. მალაშხიას საწერ მაგიდაზე შეგიძლიათ ნახოთ მელანშეუმშრალი ფურცლების დასტა. ესაა ახალი მონოგრაფიის გვერდები, მაგრამ მას არ უყვარს დაუმთავრებელ შრომებზე წინასწარ საუბარი და ჩვენც დაველოდოთ მის გამოცემას.

თავის მეცნიერულ კვალიფიკაციას და გამოცდილებას გ. მალაშხია იყენებს არა მარტო კვლევითი მუშაობისათვის, არამედ ფართო პრაქტიკული მოღვაწეობისთვისაც. სკოლაში სწავლის პერიოდიდან დაწყებული იგი ყოველთვის ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას. ახლა იგი მუშაობს სამეცნიერო საბჭოებსა და კომისიებში, გამოდის ლექციებითა და მოხსენებებით რესპუბლიკის ყველა კუთხეში. იგი მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა სამეურნეო (ეკონომიკურ) საკითხებზე პარტიულ და სამეურნეო ორგანოებისადმი დახმარების ხაზით. მის აზრს პატივისცემით ეპყრობიან საწარმოებში თუ სამინისტროებში, საგეგმო კომიტეტში თუ პარტიულ ორგანოებში. განსაკუთრებით ენერგიულად შრომობს იგი როგორც თბილისის ლენინის რაიკომის მეცნიერ-კონსულტანტი ეკონომიკურ საკითხებში. მან ბევრი იმუშავა მშრომელთა ახალი საწარმოო თაოსნობების მიმართულებათა ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური დასაბუთებისათვის.

მისი ინტერესი ფართოა და ეკონომიკით როდი ამოიწურება. არანაკლებ ინტერესით სწავლობს ფილოსოფიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის რიგ საკითხებს, რაც ამდიდრებს მისი შრომების შინაარსს, მის წარმოდგენებს ეკონომიკურ პროცესებზე.

დაბოლოს მის თვისებათა ერთი ნიშანი არ შეიძლება არ აღვნიშნოთ – სიყვარული ფიზიკური შრომისადმი. „ყოველწლიურად ნახევარი შვებულება ფიზიკურ შრომაში" – აი მისი პრინციპი შვებულების დაგეგმვისას. ეს ძალასა და სიამოვნებას მმატებსო.

ამჟამად სულ უფრო იზრდება ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკული მუშაობის როლი სამეურნეო ცხოვრებაში. დროის მოთხოვნაა ეკონომიკურად იყოს დასაბუთებული ყოველი სამეურნეო გადაწყვეტილების, საგეგმო მიზანდასახულობათა, ახალი ტექნიკისა და ღონისძიებათა მიზანშეწონილობა, განსაზღვრული მათი მოსალოდნელი შედეგები. ეკონომიკური მუშაობა უნდა ემსახურებოდეს წარმოების ინტენსიფიკაციასა და ეფექტიანობის ამაღლებას, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას ყველა სფეროში, ყველა უბანზე, მეცნიერ-ეკონომისტ გ.მალაშხიას აზრი და ენერგია მიმართულია სწორედ ეკონო-

მიკური თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხებისადმი.

*გ.შუბლაძე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ დოცენტი (გაზეთი „კომუნიზმის დროშით“, 22 იანვარი 1976 წელი)*

## პარტიის ორჯონიკიძის რაიკომისა და გაზეთ „თბილისის“ რედაქციის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციაზე

## გ. შუბლაძე: ინფორმაცია ვაჭრობის სამსახურში

პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში მითითებულია, რომ მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანის – ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისთვის კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელება უნდა მოხდეს საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესების საფუძველზე.

ამ ამოცანის შესრულება დიდად არის დამოკიდებული ვაჭრობაზე – სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგზე.

ვაჭრობის წინაშე დგას როგორც დარგობრივი, ისე საერთო-სახალხო სამეურნეო ხასიათის მრავალი პრობლემა, რომლებიც იწყება მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლითა და ამის საფუძველზე მრეწველობისათვის მეცნიერულად დამუშავებული შეკვეთების წარდგენით და მთავრდება საქონელმოძრაობის საბოლოო სტადიით – საქონლის მომხმარებელზე რეალიზაციით. ამ პრობლემების გადაწყვეტა საქონლის ნაკლებობის დროს დიდ სირთულეებთან არ იყო დაკავშირებული. ამჟამად მდგომარეობა მკვეთრად შეცვლილია – მომხმარებელი მოითხოვს მოდურ, გემოვნებით გაფორმებულ მაღალი ხარისხის საქონელს. ასეთ პირობებში ვაჭრობა ერთ-ერ-

თი ურთულესი დარგი გახდა. მისი განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებაა ახლის, პროგრესულის, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა.

ამასთან არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება სრულყოფილ და მიზანსწრაფულ მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სისტემის ორგანიზაციას. პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში" მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეცნიერების მიღწევების დანერგვას პრაქტიკაში.

უკანასკნელ წლებში მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის სისტემაში დაისახა ხარისხობრივი გადასვლა ინფორმაციული მომსახურებიდან ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე. საქმე გვაქვს არა ერთი ტერმინის მეორეთი უბრალოდ შეცვლასთან, არამედ არსებით ცვლილებასთან, ცნობების დროულ, მიზანსწრაფულ, აუცილებელი სისრულითა და სიზუსტით გაცემასთან.

ვაჭრობას მიმდინარე მრავალფეროვანი პროცესებისა და ინფორმაციის ნაკადის მხრივ, ვერ შეედრება სხვა რომელიმე დარგი. ამიტომ მთელი რიგი პრობლემების (საქონელბრუნვის გეგმის შესრულება, მომსახურების კულტურის ამაღლება, მიმოქცევის ხარჯების შემცირება და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები) გადაჭრისათვის აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის, კერძოდ, მეცნიერულ-ტექნიკური პროპაგანდის კარგად დაყენება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა რგოლში.

სიახლის დანერგვა, მომსახურების სრულყოფა ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ სპეციალისტები რამდენად ეცნობიან დარგის მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს, მოწინავე გამოცდილებას. უკრაინის, ლატვიის, ყაზახეთის რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების ორგანიზაციებში სისტემატურად იმართება „ინფორმაციის დღე". მუშაკებს აცნობენ არა მარტო სამამულო, საზღვარგარეთის სავაჭრო საწარმოთა მოწინავე გამოცდილებას, ახალ საინფორმაციო მასალებს. ამას გარდა, მოქმედებს ინფორმაციის კუთხე, სადაც თავმოყრი-

ლია მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურა და მასალები. ეწყობა სპეციალური სტენდები ვაჭრობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ და სხვა თემატიკაზე.

იმისათვის, რომ მუდმივად სრულყოს თავისი მუშაობა და ჰქონდეს ქვეყნის მოწინავე სავაჭრო საწარმეობის საქმიანობაზე ორიენტაცია, ხარკოვის ცენტრალური უნივერსალური მაღაზია სავაჭრო-ეკონომიკური ინფორმაციის გაცვლას აწარმოებს 18 უნივერმაღთან.

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის შემდგომი სრულყოფისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას მეცნიერულ-ტექნიკური სამსახური ყველა ვაჭრობასა და ტრესტში; საინფორმაციო მასალების პოპულარიზაციისა და მუშაკთა ფართო წრის გასაცნობად მოეწყოს სტენდი, სადაც გამოიფინება საინფორმაციო ფურცლები, მიმოხილვითი და ექსპრესს-ინფორმაციები, მოწინავეთა ფოტოსურათები; ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლექტივებთან მოხდეს სავაჭრო-ეკონომიკური ინფორმაციებისა და დელეგატების გაცვლა; რეგულარულად გაიმართოს „ინფორმაციის დღე“ აქტუალურ საკითხებზე; მოეწყოს კომპლექსური ბრიგადების შემოქმედებითი მივლინებები მონათესავე საწარმოებში; მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის მიზნით გაიმართოს ლექციები, კონფერენციები, სემინარები, მოეწყოს მოწინავე გამოცდილების სკოლა, კონკურს-დათვალიერება.

*(გაზეთი „თბილისი“, 13 თებერვალი, 1976 წელი)*

## როგორ ვსწავლობთ მოთხოვნას?

მართალია ბოლო ხანს ხარისხის საქმე საგრძნობლად გამოკეთდა, ხარისხის ნიშანმაც ათობით ნაწარმის „მკერდი“ დაამშვენა, მაგრამ ასეთების ხვედრითი წონა ჯერ ისევ მცირეა და სულაც არ გვაკმაყოფილებს.

ნიშანდობლივია ერთი საგულისხმო ფაქტი: სწორედ იმის გამო, რომ მრეწველობა ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს

პროდუქციის ხარისხსა და გარეგნულ გაფორმებას, იგი ვერ საღდება და დიდ ზენორმატულ მარაგად წვება სავაჭრო ქსელში. ჩვენი მომხმარებელი დღეს მეტად ფაქიზი და „მკაცრი“ გახდა – მას ვეღარ „მატყუებ“, ვერ შეთავაზებ ურიგო და უხეირო საქონელს. ამიტომ მისი მოთხოვნის გათვალისწინების უგულებელყოფას კარგი არაფერი მოაქვს. ამავე დროს თანამედროევ ეტაპზე მიუღებელია კომერციული მუშაობის ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც თუნდაც ორი ათეული წლის წინათ გამოიყენებოდა – საგრძნობლად შეიცვალა მოსახლეობის მოთხოვნის ხასიათი. იგი ძალიან თანამედროვე გახდა. მოთხოვნის შესწავლის ცნობილი სქემა „გამოცდილება-ინტუიცია“, რომელიც პრაქტიკაში გამოიყენება, ვეღარ უპასუხებს მოთხოვნებს. მაშასადამე, მოთხოვნის შესწავლის პრობლემა არანაკლებ მწვავედ დგას, ვიდრე მისი დაკმაყოფილებისა, საჭიროა მოთხოვნის კანონზომიერებებისა და ტენდენციების დროული და სწორი გამოვლენა, მისი პროგნოზირება.

უკანასკნელ დროს ამ აზრით ბევრი სასიკეთო ძვრა მოხდა, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთად უნდა ჩაითვალოს – გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში არ არის საბოლოოდ შექმნილი მოთხოვნის შესწავლის ერთიანი და ქმედითი სისტემა და დღემდე არ შედგენილა მოქმედებათა ერთიანი გეგმა.

და, ბუნებრივია, რაც მალე და მკვეთრად მოხდება შემობრუნება ამ ნაკლისაგან, რაც უფრო დაჩქარდება მისი გამოსწორების პროცესი, მით უკეთესი ჩვენი წარმოებისათვის, ვაჭრობისათვის, მომხმარებლისათვის...

*დოცენტი **გ. შუბლაძე,** სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურისშესწავლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი (გაზეთი „თბილისი“, 25 დეკემბერი, 1977 წელი).*

## ГЛУБЖЕ ИЗУЧАТЬ И ПРОГНОЗИРОВАТЬ СПРОС

## БЕСЕДА ЗА «КРУГЛЫМ СТОЛОМ» В ГРУЗИНСКОМ ФИЛИАЛЕ ВНИИКСА

На современном этапе развития нашего общества перед наукой ставятся все более ответственные задачи. Повышение эффективности науки, сосредоточение внимания на основных направлениях научно-технического прогресса, на скорейшем внедрении результатов исследований в практику – вот те требования, которые предъявляют партия и правительство к многочисленной армии советских ученых.

Одной из крупнейших проблем торговли является изучение и прогнозирование спроса населения, на основе которого должны составляться научно обоснованные заказы на производство товаров народного потребления, предъявляться требования к промышленности о выпуске новых изделий, прекращении производства товаров, которые не удовлетворяют потребителей.

Изучение и прогнозирование спроса носит характер комплексной социально-экономической программы, в правильной своевременной реализации которой заинтересованы не только торговля, но и отрасли, производящие товары народного потребления.

Сейчас в стране разработкой проблем спроса занимаются около 60 научных учреждений торговли и промышленности, Госплана, ЦСУ, свыше 20 экономических вузов. Головной организацией, на которую возложена координация исследований и методическое руководство работой по изучению спроса населения, является ВНИИКС вместе со своими республиканскими филиалами.

Мы попросили доктора экономических наук профессора Л. Ф. Столмова рассказать об основных направлениях работы руководимого им института и об использовании материалов исследований в торговой практике.

- Изучение спроса, - сказал Л. Ф. Столмов, - входит в обязанности примерно 2,5 млн. работников торговли. Это

продавцы, товароведы, другие коммерческие работники. Около 3 тыс. специалистов занимаются исключительно изучением спроса. Кроме того, организуются службы спроса в отраслях промышленности, производящих товары народного потребления. Все занимающиеся изучением спроса остро нуждаются в инструктивно-методических документах, содержащих научно обоснованные рекомендации по оценке состояния и перспектив развития спроса населения, определению потребностей в товарах, В связи с этим наш институт много внимания уделяет разработке методических основ организации изучения и прогнозирования спроса в стране.

Важным направлением деятельности ВНИИКСа и его филиалов является также исследование рынков отдельных товаров, на основе которого разрабатывается прогноз структуры спроса населения по широкому кругу ассортиментных признаков.

Такие исследования проводятся в основном по заказам промышленности на условиях хозяйственных договоров. За последние годы институтом и его филиалами выполнено около 200 исследований рынков. Результаты этих разработок заказчики используют в практике планирования развития соответствующих отраслей, а торговые организации – при представлении заявок на потребность и заказов на поставку конкретных товаров.

Исследования конъюнктуры торговли, проводимые ВНИИКСом, направлены на обеспечение директивных, плановофинансовых органов, союзных и республиканских министерств и ведомств оперативной информацией о состоянии торговли отдельными товарами народного потребления, развитии товарооборота, степени удовлетворения спроса.

Исследование конъюнктуры торговли осуществляется на основе комплексного использования имеющейся информации и организации дополнительных информационных потоков. При ВНИИКСе, начиная с 1968 г., создана сеть торговых корреспондентов, которые ведут постоянные наблюдения за состоянием торговли в 120 городах страны более чем по 700 наименованиям товаров массового спроса. Периодически

проводятся опросы населения, а также изучение мнений специалистов торговли через сеть корреспондентских пунктов.

Результаты исследований конъюнктуры торговли направляются Министерству торговли СССР и минторгам союзных республик, директивным, плановым и финансовым органам, промышленным министерствам и ведомствам, производящим товары народного потребления. Отзывы упомянутых организаций свидетельствуют о том, что результаты исследований конъюнктуры торговли находят практическое применение при разработке и осуществлении мероприятий по удовлетворению спроса населения и ускорению развития товарооборота.

Кроме перечисленных проблем, ВНИИКС занимается разработкой норм и нормативов рационального потребления непродовольственных товаров, разработкой текущих, средне- и долгосрочных прогнозов спроса, а также проектированием подсистемы изучения и прогнозирования спроса АСУТ.

- Филиалы ВНИИКСа, - продолжал тов. Столмов,- разрабатывают тот же круг вопросов, что и институт в целом, однако объекты их исследований, как правило, ограничиваются территориальными границами республики. В тематике Филиалов основное место занимают исследования товарных рынков. В последние годы стала повышаться доля прогнозных разработок. Расширение и углубление прогнозных разработок способствовало росту авторитета филиалов как научных учреждений. Результаты исследований филиалов стали использоваться при разработке программ социально-экономического развития союзных республик, при планировании товарооборота и производства товаров.

* * *

Поскольку основные коммерческие решения принимаются в республиках, краях, областях, в редакции родилась идея – на примере работы одного из филиалов ВНИИКСа рассмотреть, как используются научные исследования в торговой практике, какую помощь они оказывают практическим работникам в изучении спроса, улучшении торговли.

С этой целью в Тбилиси в феврале текущего года за «круглым столом» собрались сотрудники Грузинского филиала ВНИИКСа, работники Минторга республики, торговых организаций и предприятий Тбилиси, которые ответили на вопросы представителей редакции журнала.

Вопрос. Над какими проблемами работает Грузинский филиал ВНИИКСа в настоящее время? Какие разработки уже нашли практическое применение?

**Г. Ш. Шубладзе**, кандидат экономических наук, директор филиала. Основное место в исследованиях филиала, как и головного института, занимает разработка следующих проблем: изучение конъюнктуры торговли, изучение товарных рынков, прогнозные расчеты спроса, методическое руководство изучением спроса. Однако решение этих проблем ограничивается рамками нашей республики с учетом национальных, климатических и сезонных особенностей, уровня доходов и других факторов. С 1976 года внедряется комплексный подход к решению проблемы изучения конъюнктуры торговли. Сводные обзоры составляются два раза, а по товарным рынкам - 4 раза в год, что соответствует динамичным изменениям спроса.

Свою работу мы строим в тесном контакте с Минторгом республики, который является нашим основным заказчиком. Законченные разработки филиала рассматриваются на заседании коллегии Министерства и рекомендуются для практического использования.

В январе этого года Министерство торговли Грузинской ССР, рассмотрев состояние изучения спроса населения и конъюнктуры в государственной торговле, отметило недостатки, имеющиеся в этом деле. Главные из них состоят в том, что некоторые торговые организации и предприятия не знают действительной потребности населении в товарах и поэтому не могут предъявить промышленности обоснованные заказы. К сожалению, еще недостаточно используются научные разработки, хотя есть немало примеров, когда исследования и головного института, и нашего филиала помогали в решении практических вопросов.

А. М. Цагарели, старший научный сотрудник филиала. Например, в Грузии очень остро стоит вопрос о необходимости расширения производства товаров для детей и улучшения торговли ими. Нами был подготовлен обзор торговли товарами для детей и проведен опрос населения. 95% опрошенных отметили, что их не удовлетворяет ассортимент детских товаров. Нет тканей с детскими рисунками, недостаточно зимних пальто, курток, комбинезонов, плащей, комплектов для новорожденных, хлопчатобумажного белья и др. Наши предложения по улучшению ассортимента детских товаров были переданы соответствующим ведомствам, а также в торговые организации и на предприятия. Вообще можно сказать, что оперативная информация о состоянии торговли важнейшими товарами народного потребления позволяет своевременно выявлять излишние и недостающие товары, упущения в организации торговли, случаи нерационального размещения товарных ресурсов, причины, по которым образуются сверх-нормативные запасы, и т. д.

О. Е. Хечумашвили, начальник торгового отдела фирмы «Детский мир». Изучением спроса занимается и наша фирма. В этой работе существенную помощь нам оказывает филиал ВНИИКСа. Предложения, по улучшению ассортимента детских товаров мы проанализировали, обобщили и учли при составлении плана коммерческой работы. Дали рекомендации фабрикам, выпускающим детскую одежду, трикотаж, игрушки, что надо внедрить в производство, что восстановить, увеличить, а что и снять.

Мы считаем, что положительные сдвиги в этом деле уже есть. Так, Тбилисская швейная фабрика имени 1 Мая выпустила новую школьную форму для мальчиков, освоила 14 новых моделей детской одежды. Тбилисское производственное объединение «Исани» стало выпускать детскую обувь из цветной и белой кожи, пользующуюся повышенным спросом.

Большую помощь в изучении спроса оказывают покупательские конференции, анкетные опросы, выставки-продажи. В прошлом году, например, мы провели 8 выставок-продаж.

И всегда активными участниками, консультантами этих мероприятий являются работники института.

А. М. Цагарели. Да, действительно, по детским товарам нам удалось коечто сделать. И, конечно, результатов можно добиться только в том случае, когда налицо обоюдная заинтересованность и торговли, и промышленности. Например, выявлены и в значительной степени устранены диспропорции в удовлетворении спроса на домашнюю обувь, предметы оснащения кухонь, улучшилась торговля овощами, фруктами, предметами хозяйственного обихода.

Однако много еще наших рекомендаций и предложений не находит практического применения. Так, в течение ряда лет не решается вопрос о выпуске соков и соусов в мелкой фасовке. Мы предложили Тбилисским швейным фабрикам «Амирани» и имени 1 Мая наладить выпуск полуфабрикатов швейных изделий, а магазинам-организовать подгонку этих изделий по фигуре покупателя, как это делается в Москве, Ленинграде и других городах страны. Ни руководство фабрик, ни «Тбилторгодежда» не учли этого предложения в своих планах, а зря. Это говорит о пренебрежении к интересам покупателей.

Вопрос. По объему затрат исследования рынка в деятельности ВНИИКСа занимают около 35%, а в филиалах – почти половину. В этой работе участвуют около 200 человек, из них 170 – в филиалах. Хотелось бы узнать, как решается проблема исследования рынков в Грузинском филиале.

В. С. Ломидзе, зав. отделом продовольственных товаров. Здесь уже товарищи отмечали, что конъюнктурные обзоры составляются по полугодиям, поскольку характеризуют текущие изменения спроса и предложения. Наши же разработки рассчитаны на длительный период времени – 10-20 лет. Наш отдел ежегодно изучает состояние и перспективы развития рынка по какойлибо одной крупной группе продовольственных товаров. Иногда эта тема ограничивается рамками Грузинской ССР, иногда мы принимаем участие в разработках общесоюзных тем, проводимых головным институтом.

В последние годы нами были изучены рынки: хлеба и хлебобулочных изделий; животных и растительных жиров; картофеля, овощей и фруктов; вина, пива и безалкогольных напитков. При исследовании рынка хлеба и хлебопродуктов были выдвинуты предложения о внедрении контейнерной доставки хлеба в магазины (по примеру других городов страны).

Мы считаем работу по исследованию рынка картофеля, овощей, фруктов очень актуальной, поскольку в республике есть все условия для более полного удовлетворения спроса за счет собственных ресурсов. Тема эта была разработана в 1977 году, рассмотрена на Ученом совете филиала, а также на Коллегии Минторга республики, которая одобрила выводы и предложения филиала и дала указание Управлению торговли продовольственными товарами использовать их в практической работе.

А. А. Гвеселиани, старший научный сотрудник филиала, кандидат экономических наук.

Важное практическое значение имеет разработка проблемы обеспечения курортов основными продовольственными товарами, которой филиал занимается в течение двух последних лет. Прогноз составлен до 1990 года. Изучены контингенты отдыхающих, дифференцированы по годам нормы потребления в соответствии с физиологическими нормами питания, разработанными Институтом питания Академии медицинских наук СССР.

Эту тему мы считаем одной из ведущих, потому что с каждым годом резко увеличивается количество людей, приезжающих на курорты Грузии для лечения и отдыха.

Л. Г. Чхиквадзе, кандидат экономических наук, заведующий отделом непродовольственных товаров. Изучением рынков непродовольственных товаров занимается наш отдел, и большое внимание мы уделяем практическому использованию законченных исследований, применению их при обосновании заказов промышленности. Так, нормативы обеспеченности и сроки службы предметов культурно-бытового назначения и хозяйственного обихода, разработанные нами,

были рассмотрены и утверждены Междуведомственным советом по изучению спроса при Министерстве торговли Грузинской ССР.

Вообще, надо сказать, что благодаря разработанным нормативам, при согласовании расчетов товарного обеспечения с планами розничного товарооборота удалось добиться удовлетворения заявки республики на многие товары, в том числе на мясорубки, стиральные машины, электрические утюги и т. д.

Вопрос: Нам стало известно, что именно сейчас в Минторге вашей республики создается отдел спроса и конъюнктуры торговли. Видимо, это укрепит связи науки с практикой?

Л. М. Дегальцева, зам. Начальника управления торговли промтоварами Министерства торговли Грузинской ССР. Да, безусловно. Но хочу подчеркнуть, что у нас уже установлены тесные, деловые контакты, особенно в последние три года. Я имею в виду использование разработок института при составлении заявок и заказов на товары.

Так, по товарам длительного пользования заказы базируются исключительно на данных, представляемых институтом. По другим товарам мы также широко используем разработки института.

На 1979 год заявки Минторга полностью совпали с прогнозами филиала по трикотажным, швейным изделиям, кожаной обуви, шелку, шерсти. Разногласия возникли только по резиновой обуви.

А. Г. Курдованидзе, кандидат экономических наук, заведующий отделом прогнозирования спроса. Отрадно отметить, что Минторг республики прислушивается к науке. Мы делаем прогнозы спроса по 278 позициям. До 1976 года эти прогнозы составлялись в целом по Грузинской ССР. Теперь же отдельно выделяем Абхазскую и Аджарскую автономные республики. Заявки на 1979 год были скорректированы с учетом наших краткосрочных прогнозов. Например; заявка Минторга на хлопчатобумажные ткани была определена в сумме 34 млн. руб. Этот показатель был повышен в соответствии с прогнозом до 40 млн. руб. По чулочно-носочным из-

делиям соответственно с 32 млн. до 40 млн. руб.; по шелковым тканям - с 55 млн. до 68 млн. руб.; по коврам и ковровым изделиям - с 32 млн. до 46 млн. руб.; по электротоварам- с 50 млн. до 56 млн. руб. и т. д. Аналогичное положение сложилось и по основным товарам продовольственной группы.

Что касается резиновой обуви, на наш взгляд, заявка Минторга несколько завышена. Ну что ж, как говорится, время покажет. Жаль только, если это еще больше увеличит сверхнормативные товарные запасы в нашей республике.

Л. М. Дегальцева. Кстати, о товарных запасах. Нас очень беспокоит, что с ростом выпуска магнитофонов в торговой сети скопилось много грампластинок. В связи с этим весьма остро стоит проблема изучения спроса на грампластинки, разработкой которой занят в настоящее время Грузинский филиал ВНИИКСа. Думаем, что учет предложений наших ученых поможет, нормализовать торговлю грампластинками. Не менее актуальна тема по изучению производственных и сырьевых возможностей выпуска чулочно-носочных изделий, который институт должен закончить в этом году. Сейчас все три тбилисские фабрики выпускают в основном капроновые изделия. Потребитель же требует носки, чулки, колготки из хлопка в смеси с эластиком.

Есть у нас просьба к филиалу. Мы с полным доверием относимся к тем прогнозам, которые дает институт по товарным группам. Но наша работа по составлению заказов была бы более эффективной, если бы институт разрабатывал прогнозы во внутригрупповом ассортименте - по моделям, фасонам и т. д.

**Г. Ш. Шубладзе.** В спецификациях фигурирует 100 тыс. наименований товаров. И, конечно, институт не может сделать прогнозы по всем позициям. Да это не наша задача. Такую работу должен выполнять коммерческий аппарат торговли, включающий и службы спроса в организациях и на предприятиях торговли, а мы готовы оказывать ему методическую помощь.

Л. М. Дегальцева. Разрешите еще несколько слов. Мне бы хотелось отметить еще одно направление нашей совместной деятельности с филиалом. Вот уже в течение трех лет накануне составления заявок и заказов промышленности институт и Управление торговли промтоварами проводят семинары работников розничной и оптовой торговли республики. На этих семинарах практических работников знакомят с конъюнктурой торговли, которая сложилась в целом по стране и в республике, ориентируют на определенных поставщиков и изготовителей товаров, обсуждают методические вопросы изучения спроса и т. д.

В. Г. Черкезишвили, руководитель группы ассортимента товаров и изучения спроса оптовой базы «Грузторгодежда». Хочу подчеркнуть, что филиал ежеквартально собирает представителей оптовой и розничной торговли на семинары, где обсуждают назревшие вопросы ассортимента и качества товаров. Это помогает нам в работе.

Очень полезны и конъюнктурные обзоры, прогнозы, исследования товарных рынков. Этими материалами мы пользуемся постоянно. Однако практические работники ждут от науки более конкретных и целенаправленных разработок для служб изучения спроса в оптовом и розничном звеньях.

Вопрос. Важную роль в изучении спроса населения призваны играть специализированные службы, создаваемые во всех звеньях управления торговлей. Созданы ли такие службы в вашей республике?

**Г. Ш. Шубладзе**. К сожалению, несмотря на неоднократные указания, до сих пор не созданы службы изучения спроса в Министерствах торговли Абхазской и Аджарской АССР, Управлениях торговли Тбилисского и Кутаисского горисполкомов и во многих торговых организациях. Большинство имеющихся служб (Гагрский и Боржомский курортторги, Заводской райунивермаг г. Тбилиси, Тбилхозторг и др.) либо бездействует, либо загружено другими делами. Зачастую на должность товароведов по изучению спроса назначают неквалифицированных работников, высока текучесть кадров на этом участке. Так, на базе «Грузхозторг» с 1972 по

1977 год работник службы изучения спроса поменялся 8 раз, в Тбилпромторге за последние три года – 3 раза, в Тбилхозторге за один год – 2 раза. В некоторых организациях, должности работников служб изучения спроса являются вакантными. Приказом Министерства торговли Грузинской ССР от 24 января 1978 г. № 14 разработаны мероприятия по активизации изучения спроса в системе Минторга. Предложено завершить создание служб изучения спроса и укомплектовать их квалифицированными кадрами. Данный приказ ставит и перед нашим коллективом большие задачи. Прежде всего это относится к усилению научно – методического руководства работой по изучению спроса населения и организации базо-вых служб изучения спроса. Такие службы нами создаются на республиканской оптовой базе «Грузторгодежда», в тбилисском универмаге «Тбилиси» и торговой фирме «Детский мир», Руставторге, Кутаиспромторге, Сухумпромторге и др.

Вопрос. Какую методическую помощь оказывает филиалам и службам спроса головной институт?

Н. Г. Бадридзе, заведующий отделом методологии. Что касается научно – методического руководства службами изучения спроса, то надо сказать, что этой работой мы занимаемся под руководством головного института.

Головной институт распределяет между своими филиалами разработку методических указаний по изучению спроса на различные группы товаров. Например, нашим филиалом такие указания разработаны по мебели, Литовским филиалом – по музыкальным товарам, Украинским – по велосипедам и мотоциклам, Армянским – по спортивно-игровым товарам и т. п. Разработкой методик по часам, телевизорам, радиоприемникам занимались сотрудники головного института.

В последнее время ВНИИКСом выпущены и разосланы на места такие документы, как «Методические указания по организации работы, служб изучения спроса организаций и предприятий оптовой и розничной торговли системы Министерства торговли СССР»; «Типовая методика оценки и про-

гнозирования спроса населения на товары народного потребления в различных звеньях торговли»; «Методические рекомендации по изучению спроса для обоснования заявок на потребность и заказов на производство и поставку непродовольственных товаров в области (крае, АССР)», серия из 20 методик изучения спроса на отдельные группы товаров, «Рекомендации по изу-чению спроса в промышленности», «Рекомендации по изуче-нию спроса на товары народного потребления, вырабатываемые производственными объединениями, фирмами, пред-приятиями Минлегпрома СССР» и ряд других.

Однако хотелось бы отметить, что головной институт нередко задерживает высылку готовых методических указаний, издает их ограниченным тиражом, что затрудняет практическое использование этих документов.

Вопрос. Каким образом институт осуществляет контроль, за использованием своих рекомендаций на практике?

**Г. Ш. Шубладзе**. К сожалению, у нас нет методики прямого расчета экономического эффекта от внедрения разработок в практику торговли. Поэтому контроль осуществляется различными путями. По завершенным темам рассылаются опросные листки в соответствующие организации, ответы которых дают возможность сделать вывод о практическом использовании наших материалов. Очень внимательно следим за публикацией в местной прессе, где довольно часто сообщается о применении наших разработок. В отделах ведутся журналы учета внедрения рекомендаций. На заседаниях ученого совета филиала периодически рассматриваются вопросы внедрения научных разработок в практику.

**Эффективность от внедрения рекомендаций намного бы повысилась, если бы контроль и координацию работы между торговлей и промышленностью в нашей республике возглавил Междуведомственный совет по изучению спроса, существующий уже несколько лет.**

* * *

**Беседа «За круглым столом» позволила сделать вывод, что проводимая ВНИИКСом и его филиалами работа по изучению и прогнозированию спроса носит, прежде всего, практический характер. Однако уценка товаров устаревших фасонов и моделей составляет ежегодно примерно 1 млрд. руб. Это говорит о просчетах в изучении спроса, недостаточной обоснованности заказов, предъявляемых торговлей промышленности. Повышать Эффективность исследований, укреплять связь с практикой – вот те первоочередные задачи, которые стоят перед многочисленным отрядом работников торговли, занимающихся изучением и прогнозированием спроса.**

*Беседу записали - Н. Киракозова, В. Сырова,специальные корреспонденты журнала «Советская торговля» № 5, 1978.*
*Тбилиси-Москва*

## ОРИЕНТИР - ПОКУПАТЕЛЬСКИЙ СПРОС

Выступая на октябрьском (1980 г.) Пленуме ЦК КПСС, товарищ Л. И. Брежнев указал на необходимость развивать производство товаров народного потребления на основе хорошо продуманной, долговременной программы, способной объединить усилия всех отраслей, от которых это зависит.

Разработка такой программы производства торговли народного потеребления и заключение долгосрочных (пятилетних) договоров поставки между промышленностью и торговлей невозможны без осуществления четкой системы комплексного изучения и прогнозирования спроса населения на те или иные виды товаров. При этом нельзя основываться не только на вчерашних, но и на сегодняшних запросах потребителей, а следует ориентироваться на потребности завтрашнего дня, т. е. работать с учетом перспективы. В противном случае не избежать ненормальных положений, когда одни товары народного потребления выпус-

каются с избытком, в то время как спрос на другие удовлетворяется не полностью.

В проекте ЦК КПСС к XXVI съезду партии "Основные направления экономического и социального развития СССР на 1981-1985 годы и на период до 1990 года" совершенно правильно указывается на необходимость совершенствовать работу по изучению покупательского спроса, полнее учитывать специфику спроса различных групп населения и регионов страны.

Отсутствие у нас в республике должной системы по изучению спроса (до сих пор еще не созданы специальные службы во всех звеньях управления государственной и кооперативной торговли, а также в промышленности, проводящей товары народного потребления) и выпуск продукции промышленностью без учета действительной потребности приводит к целому ряду отрицательных моментов, таких, как скапливание сверхнормативных товарных остатков, вывоз и утечка ресурсов, встречные перевозки и др. Например, ассортиментное и качественное несоответствие продукции республиканского производства спросу вызвало превышение объема вывоза над ввозом по торговым сделкам; за 4 года и 10 месяцев десятой пятилетки вывезено за пределы республики товаров на 575 миллионов рублей, а ввезенолишь 293 миллиона рублей. Около сорока процентов в децентрализованном вывозе занимают швейные и трикотажные изделия. Возникают встречные перевозки аналогичных товаров. Промышленность республики, прежде всего легкая и местная, на ставит пока своей целью по возможности полнее удовлетворять потребности региона, значительная часть продукции ею выпускается безадресно, безучета спроса населения на те или иные товары, которые, не найдя покупателя, вывозятся в различные уголки страны.

В проекте ЦК КПСС к XXVI съезду партии указывается на необходимость увеличения сети фирменных магазинов промышленных министерств и объединений. В настоящее время в республике нет ни одного торгового объекта, в полном объеме отвечающего требованиям утвержденного типового

Положения о фирменном магазине, призванном быть опорным пунктом для углубленного изучения потребительского спроса. Особенно неудовлетворительное положение сложилось в системе легкой промышленности республики, где в качестве фирменного числится единственный магазин (обувной), тогда как в стране успешно работают фирменные магазины, торгующие и швейными, и трикотажными изделиями.

Изучение и прогнозирование спроса - проблема межведомственная, и урегулирование ее требует совместных целенаправленны усилий торговли, промышленности, плановофинансовых органов и научно-исследовательских учрежденй. В связи с этим в стране создается система комплексного изучения и прогнозирования спроса (СКИПС) с участием различ-ных министерств, ведомств и организаций.

Весьма актуальным является вопрос координации всей работы по изучению и прогнозированию спроса как в республике, так и в целом по стране. Функционирование Межведомственного Совета по изучению спроса на товары народного потребления при Министерстве торговли менее эффективно, чем при Госплане, как это показал опыт ряда братских республик. Этот вопрос не раз уже ставился перед соответствующими республиканскими органами, и, думается, в конце концов он будет решен положительно.

***Г. Шубладзе,*** *директор Грузинского филиала ВНИИКСа,*
*кандидат экономических наук, доцент*
*("Заря Востока", 6 января 1981 года)*

## შეხვედრის თემაა სასურსათო პროგრამა
## შეხვედრა „მრგვალ მაგიდასთან“

საქართველოს სსრ სასურსათო პროგრამის დამუშავების, კერძოდ მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების აქტუალურ საკითხებზე საყურადღებო თეორიული და პრაქტიკული მოსაზრებები გამოითქვა ჟურნალ „ეკონომისტის“ რედაქციაში „მრგვალ მაგიდასთან“ შეხვედრის დროს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: მ. შუბითიძე - საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილე; ე. კომახიძე - საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე; ს. რუხაძე - საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი; გ. ყუფარაძე - საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი; შ. ვანიშვილი - ცაკავშირის სასურსათო საქონლით ვაჭრობის სამმართველოს უფროსი; ნ. ტაკიძე - მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების უფროსი; **გ. შუბლაძე** - სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის („ვნიიკს"-ის) საქართველოს ფილიალის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი და სხვ.

გ. შუბლაძე – მეცხოველეობის პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების პრობლემას ცენტრალური ადგილი უკავია სასურსათო პროგრამაში. ამიტომ დღეს ხორცით, რძით, კვერცხით და მათი სხვა პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხი პარტიული და საბჭოთა ორგანოების სისტემატური ყურადღების ცენტრშია. თანდათანობით დგინდება ამ პროდუქტების რესურსები, რის შედეგადაც უკანასკნელ პერიოდში გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება, შესაბამისად გაიზარდა მათი მოხმარებაც.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოს სსრ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ხორცისა და ხორცპროდუქტების საშუალო წლიური მოხმარება 31-დან 45 კგ-მდე, რძისა და რძის პროდუქტებისა - 235-დან 319 კგ-მდე, კვერცხისა - 85-დან 129 ცალამდე გაიზარდა. ამასთან ისიც უნდა ალვნიშნოთ, რომ ამ პროდუქტების მიწოდება ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. მოხმარების ფაქტიური დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიოლოგიურ ნორმებს. ეს განსაკუთრებით შეეხება ხორცს, კვერცხს და მათ პროდუქტებს, რომელთა ფაქტიური მოხმარების მიღწეული დონე ფიზიოლოგიური ნორმის მიმართ შესაბამისად 66 და 59 პროცენტს შეადგენს. ბუნებრი-

ვია, რომ ამ ჩამორჩენის დაძლევა შესაძლოა მოხდეს არა ერთბაშად, არამედ ეტაპობრივად, ამასთან დაჩქარებული ტემპებით.

როცა მიზნად ვისახავთ სასურსათო პროგრამის შემუშავებას, მისი რეალიზაციის, მათ შორის მეცხოველეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების სრულყოფის ამოცანებს, ორიენტირად უნდა ავიღოთ მოსახლეობის მოთხოვნა. საქართველოს სსრ-ში აღნიშნულ პროდუქტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის დროს, გარდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებისა, როგორც აქ სავსებით სწორად აღინიშნა, მხედველობაში უნდა მივიღოთ დამსვენებელთა მოთხოვნილებანი, რომლებიც რესპუბლიკაში შემოდიან როგორც ორგანიზებული, ისე არაორგანიზებული წესით. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მათი კვების რეჟიმი მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის ხორცის, რძის და სხვა ძვირფასი პროდუქტების მოხმარებას ითვალისწინებს.

წინასწარი მონაცემებით უკვე 1981 წლისთვის საქართველოს სსრ-ში როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე შემოსულ დამსვენებელთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება 260 ათასი ტონა ხორცი და ხორცის პროდუქტები, 1.7 მლნ ტონა რძე და რძის პროდუქტები, 765 მლნ ცალი კვერცხი. 1985 წლისთვის ხორცზე და ხორცპროდუქტებზე საერთო მოთხოვნილება 235 ათას ტონას, რძეზე და რძის პროდუქტებზე 1.8 მლნ ტონას, ხოლო კვერცხზე 975 მლნ ცალს მიაღწევს. პროდუქტების ეს რაოდენობა მეთერთმეტე ხუთწლედში უზრუნველყოფს რესპუბლიკაში მოსახლეობის კვების არსებით მიახლოებას მოხმარების ფიზიოლოგიურ ნორმებთან, მისი საბოლოო დაძლევა კი 80-იანი წლების მეორე ნახევარში უნდა უზრუნველვყოთ.

*(ჟურნალი „ეკონომისტი“, № 7, 1981 წ.)*

## НАУКА ПОКУПАТЕЛЬСКОГО СПРОСА

Среди проблем экономики Грузинской ССР, подлежащих решению в XI пятилетке, одной из основных является ликвидация отставания от среднесоюзного уровня по показа-

телям розничного товарооборота и потребления, в особенности основных продовольственных товаров, на душу населения. Данная проблема тесно связана с изучением и прогнозированием спроса населения на товары народного потребления.

В Основных направлениях экономического и социального развития СССР, утвержденных XXVI съездом партии, указано: "Совершенствовать в торговле и промышленности работу по изучению покупательского спроса, полнее учитывать специфику спроса различных групп населения и районов страны". Задача эта весьма сложная. Дело в том, что спрос населения становится все более разнообразным, динамичным. Ряд аспектов спроса и конъюнктуры торговли требует соответствующей научной разработки.

Грузинский филиал Всесоюзного научно-исследовательского института по изучению спроса населения на товары народного потребления и конъюнктуры торговли вниико, основными направлениями работы которого, помимо научно-методического руководства специальными службами изучения спроса, является также исследования конъюнктуры торговли республики, рынков отдельных товаров, разрабатывает прогнозы спроса и розничного товарооборота.

В научно-исследовательской деятельности Грузинского филиала ВНИИКСа мы стараемся усиливать прикладной акцент - все разработки носят прежде всего практический характер: конъюнктурные разработки используются торговлей и промышленностью для принятия оперативных решений, направленных на повышение степени удовлетворения спроса и стабилизации конъюнктуры торговли; рыночные исследования направлены на оптимизацию соотношения спроса и предложения по отдельным группам товаров, на обоснование заявок на потребность и заказов на производство и поставку товаров; прогнозные расчеты ведутся для обоснования плана розничного товарооборота, товарного обеспечения, а также заявок на потребность товаров.

Исследования наших специалистов используются при принятии управленческих решений в области производства и реализации товаров народного потребления. Например, выполненные институтом расчеты потребности на основные продовольственные товары положены в основу продовольственной программы, разрабатывемой в республике, по нашим рекомендациям осуществлены мероприятия по улучшению снабжения населения продуктами детского питания, производства и реализации сувениров, принято решение наладить выпуск изделий комплекса "Домашнее хозяйство и бытовое обслуживание населения".

Практическое использование результатов конъюнктуры и спроса улучшило обоснованность заявок на товары, рациональное формирование ассортимента и, что очень важно - способствовало лучшему удовлетворению спроса населения.

Письмо Центрального Комитета КП Грузии к коммунистам и комсомольцам, ученым и специалистам народного хозяйства, ко всем трудящимся Грузинской ССР в связи с подготовкой IV пленума призывает нас еще раз проанализировать работу Грузинского филиала ВНИИКСа, самокритично оценить собственные достижения и просчеты.

В целях повышения уровня научных исследований и укрепления связи с практикой утвержден специальный план мероприятий Грузинского филиала ВНИИКСа по выполнению решений XXVI съезда КПСС и XXVI съезда Компартии Грузии, ориентирующий коллектив филиала на решение актуальных проблем. В условиях установления длительных хозяйственных связей между промышленностью и торговлей на основе заключения долгосрочных договоров необходимо прежде всего расширить номенклатуру прогнозируемых групп товаров. Только тогда такие связи окажутся эффективными. Одной из серьезных проблем является и обоснованное определение объемов миграции денежных средств, потребностей населения с учетом большого притока в республику курортников и туристов. Отсутствие требуемых данных отрицательно сказывается на удовлетворении

спроса населения республики, особенно на продовольственные товары. Грузинским филиалом ВНИИКСа с учетом этого намечена разработка долгосрочного прогноза спроса населения и развития товарооборота со всеми расчетами и рекомендациями по ликвидации отставания социально-экономического развития республики по отрасли "Торговля". Коллектив филиала принимает участие в разработке прогноза "Грузия-2000-регионы", а также в комплексной программе научно-технического прогресса на период 1986-2005 годы по проблеме "Предметы народного потребления".

На данном этапе нам необходимо активизировать работу в промышленности республики по изучению спроса населения на товары народного потребления, в особенности на новые изделия. Требуется научное выявление потребительских оценок, обоснование объемов производства конкретных изделий. С этой целью, например, заинтересованные министерства и ведомства могут обратиться к нам, используя различные формы сотрудничества: хозяйственные договоры на исполнение тем, оперативные консультации и т.д.

Однако многие из них пока не торопятся наладить с институтом такие деловые контакты. Отчего это происходит? Прежде всего от нежелания увидеть истинную картинку спроса и потребительских оценок. Ведь получив от науки данные, а также их анализ и рекомендации, производственники тем самым берут на себя обязанность учесть их в своей работе, реализовать эти рекомендации. А такую ответственность многие руководители брать на себя не желают, ссылаясь на различного рода объективные причины.

Думается, настало время, когда научное изучение спроса и оценок покупателей, их строгий учет должен стать обязательным требованием для каждого ведомства, каждого предприятия.

В связи с этим актуальным является вопрос координации всей работы по изучению и прогнозированию спроса в республике. Функционирование Межведомственного совета по изучению спроса на товары народного потребления при Министерстве торговли Грузинской ССР, на мой взгляд,

менее эффективно, чем при Госплане. Это доказал опыт ряда союзных республик. Вопрос такого порядка уже не раз ставился, и пора его решить положительно.

*Г. Шубладзе, директор Грузинского филиала Всесоюзного научно-исследовательского института по изучению спроса населения на товары народного потребления и конъюнктуры торговли ВНИИКС), кандидат экономических наук, доцент*
*("Заря Востока", 29 сентября 1981 года)*

## გამოიცა მოსკოვში

გამომცემლობა „ეკონომიკამ“ მასობრივი ტირაჟით – 40000 ცალად მკითხველს მიაწოდა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ გ. შუბლაძის წიგნი „ვაჭრობის მართვის საფუძვლები“. მონოგრაფიაში გაშუქებულია ვაჭრობის მეცნიერული მართვის ძირითადი საკითხები: მართვის არსი და პრინციპები, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები.

წიგნი განკუთვნილია სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის; შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური განათლების სისტემაში.

აღსანიშნავია, რომ დოცენტ გ. შუბლაძის წიგნის „ვაჭრობის მართვის საფუძვლები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, როგორც სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო, გამოსცა 1976 წელს (იგი პირველი იყო არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც), ხოლო „ვაჭრობის მართვა“ 1981 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის.

*(გაზეთი „თბილისი“, 5 აპრილი, 1982 წელი).*

## მთავარია ხარისხი, ასორტიმენტი

კომუნისტური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის უმაღლესი მიზნის – ხალხის ცხოვრების მატერიალური

და კულტურული დონის ამაღლების მიღწევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვაჭრობას, რომლის მეშვეობით ძირითადად კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა სახალხო მოხმარების საქონელზე.

პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში ნათქვამია: **„შევქმნათ პირობები, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მთელი მოსახლეობის მოთხოვნილება მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან კვების პროდუქტებზე, სამრეწველო საქონელზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებზე“.**

მეათე ხუთწლედში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ვაჭრობის განვითარებასა და სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებისათვის. როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებანი თითქმის ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა. რესპუბლიკის სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა გეგმით გათვალისწინებული 32 პროცენტის ნაცვლად 34,6 პროცენტით გაიზარდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე. ზრდის ტემპი რესპუბლიკაში 5,5 პუნქტით მეტია საშუალო საკავშიროსთან შედარებით.

გარკვეული ძვრები მოხდა მეათე ხუთწლედში საქონელბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესების მხრივაც. ძირითადი სასურსათო საქონლის მოხმარება დაუახლოვდა რეკომენდებულ ნორმებს. თუმცა რესპუბლიკაში მაინც დაბალია ისეთი პროდუქტების მოხმარების დონე, როგორიც არის ხორცი და მისი პროდუქტები, თევზი და თევზეული, კვერცხი, ბოსტნეული. სწორედ ასეთი მდგომარეობა იწვევს საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების მაღალ დონეს.

უფრო ჩქარი ტემპით იზრდებოდა სამრეწველო საქონლის რეალიზაცია, განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლისა.

XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში დიდი პერსპექტივებია დასახული მოსახლეობის

მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების უპირატესი განვითარების, ხარისხის გაუმჯობესების, განსაკუთრებით საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების, სასურსათო პროგრამის წარმატებითი რეალიზაციის, დაფასოებული საქონლის გამოშვების გაზრდისა და სხვა საკითხებზე, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შემდგომ განვითარებას.

ამ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტში წინა პლანზეა წამოწეული ვაჭრობის დარგის ბევრი აქტუალური საკითხი, ზოგიერთი მათგანი კი ახლებურად არის დაყენებული.

მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უნივერსამების, უნივერმაღებისა და სავაჭრო ცენტრების შექმნას, ფრიად აქტუალურია ჩვენი რესპუბლიკისათვის. საქმე ის არის, რომ ჩვენთან ძალზე ბევრია წვრილი სავაჭრო ობიექტები, ერთი მაღაზიის საშუალო ფართობი საკავშირო მაჩვენებელს თითქმის 35-40 პროცენტით ჩამორჩება. დღის წესრიგში დგება საფირმო მაღაზიების ქსელის გადიდების საკითხიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი კომერციული მუშაობის გაძლიერებას, რომლის ამოსავალი პუნქტია მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო საწარმო-ორგანიზაციების ეკონომიკური კავშირურთიერთობის სრულყოფას, სამეურნეო ხელშეკრულების როლის გაძლიერებას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება-რეალიზაციის გეგმების შემუშავებაში.

უაღრესად მნიშვნელოვანია დებულება იმის თაობაზე, რომ განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სასაქონლო მარაგის კონცენტრაცია უპირატესად საბითუმო ვაჭრობის სისტემაში, ავამაღლოთ საბითუმო ბაზების პასუხისმგებლობა საჭირო ასორტიმენტის საქონლით მაღაზიების შეუფერხებელი მომარაგებისათვის, ხოლო მაღაზიების პასუხის-

მგებლობა იმისათვის, რომ გასაყიდად მუდამ ჰქონდეთ დადგენილი ასორტიმენტის საქონელი.

დღესდღეობით მთელი სასაქონლო მარაგის უდიდესი ნაწილი საცალო სავაჭრო ქსელშია, რაც ხელს უშლის სასაქონლო რესურსების სწორ მანევრირებას, საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის შესახებ დასაბუთებული წინადადებების შემუშავებას მრეწველობისა და სხვა მიმწოდებლებისათვის და გაპირობებს საქონლის დიდი რაოდენობით ჩაწოლას, შემდეგ კი ჩამოფასებას. ამისათვის საბითუმო ბაზებს არ ეკისრებათ არავითარი პასუხისმგებლობა, პირიქით, ხდება ისეც, რომ ზოგჯერ ისინი თავს ახვევენ მაღაზიებს გაუსავლიან საქონელს. საქონელბრუნვის გეგმის შესრულების მთელი პასუხისმგებლობის დაკისრება მაღაზიებისათვის იწვევს გამოდევნებას იოლად სარეალიზაციო და ძვირფასიანი საქონლისადმი და ხშირად მომხმარებლების ინტერესების უგულებელყოფას.

კანონზომიერია საზოგადოებრივი (მასობრივი) კვების როლის გაძლიერება, მისი უპირატესი განვითარება მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამოცანა ის არის, რომ გავაუმჯობესოთ სამუშაო და სწავლების ადგილას მუშამოსამსახურეების, კოლმეურნეებისა და ყველა ტიპის სასწავლებელთა მოსწავლეების ცხელი კერძებით უზრუნველყოფა.

ახალი მოთხოვნების შესაბამისად არის ჩამოყალიბებული სამომხმარებლო კოოპერაციის – სოფლად ვაჭრობის ამ მრავალფეროვანი სისტემის შემდგომი განვითარების ამოცანები სანედლეულო და სასურსათო რესურსების გადიდებისათვის.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო ვაჭრობას, როგორც მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის ერთ-ერთ წყაროს. დასახულია საკოლმეურნეო ბაზრების ქსელის განვითარებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ამოცანა, კერძოდ დახმარება გაეწიოს მოსახლეობას პირად საკარმიდამო მეურნეობებში და მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობებში წარმოებული ნაჭარბი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიტანასა და რეალიზაციაში.

და ბოლოს, ვაჭრობაში სრული სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება, ნეგატიურ მოვლენებთან იმ ბრძოლის წარმატება, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში,

სასურველ შედეგს მოგვცემს, თუ ამ საქმეში ფართოდ ჩაებმება საზოგადოებრიობა. ამის გამო აღნიშნულ დოკუმენტში ჩაწერილია: გავაძლიეროთ საზოგადოებრიობის კონტროლი ვაჭრობის საწარმოთა მუშაობისადმი.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ფართო პროგრამის განსახორციელებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ძირითად მიმართულებებში აისახოს შემდეგი წინადადებები: განისაზღვროს საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაფართოებისა და დაფასოებული საქონლის გამოშვების მოცულობა; საბითუმო ბაზების როლისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად საცალო სავაჭრო ქსელის საჭირო ასორტიმენტის საქონლით შეუფერხებელი მომარაგებისათვის გათვალისწინებული იქნეს მათი საქმიანობის ცენტრალიზაცია ქვეყნის მასშტაბით; დაემატოს პასუხისმგებლობის საკითხი საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა (ფირმებისა, გაერთიანებებისა, საწესდებო უნივერმაღებისა), მათში შემავალი მაღაზიების საჭირო ასორტიმენტის საქონლით შეუფერხებელი მომარაგებისა და საქონელბრუნვის გეგმების შესრულებისათვის; საზოგადოებრივი კვების როლის ამაღლებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნეს მისი ცალკე დარგად ჩამოყალიბება; დაზუსტდეს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მართვის გენერალური სქემები და მოხდეს მათი რეალიზაცია მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების შესაბამისად.

***გ. შუბლაძე,*** *ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის („ვნიიკს“-ის) საქართველოს ფილიალის დირექტორი.*
*(გაზ. „კომუნისტი“; 18.02.81.)*

## მოთხოვნის შესწავლა და პროგნოზირება

– მეთერთმეტე ხუთწლედში ვაჭრობის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ახლახან მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სავაჭრო ორგანიზაციები

ჯერ კიდევ საკმარის გავლენას არ ახდენენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმების ფორმირებაზე, ჯეროვან სიმტკიცეს არ იჩენენ, რათა მისი გამოშვების დაგეგმვა მტკიცედ იყოს დამოკიდებული ვაჭრობაზე, მომხმარებელზე, ხშირად ურიგდებიან მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გამოშვების შემცირების ფაქტებს, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს მისი მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში. შეცდომებია ცალკეულ სახეობათა ნაწარმზე მოთხოვნილების განსაზღვრის დროს, ფერხდება ბაზებსა და საწყობებში არსებული საქონლის გაყიდვა, ნაკლოვანებებია სასქონლო რესურსების განაწილებასა და გამოყენებაში, რესურსებით მანევრირებაში.

ამ უარყოფითი მოვლენებისა და ხარვეზების თავიდან აცილება ბევრად არის დამოკიდებული მთელი კომერციული მუშაობის ისეთი მნიშვნელოვანი საქმის ჯეროვან მოგვარებაზე, როგორიცაა სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა და პროგნოზირება. სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი, რომელიც მოაწყეს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ და სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

სემინარის გახსნისას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ნ.შარაშენიძე დაწვრილებით შეეხო სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომერციული მუშაობის გაუმჯობესების ამოცანებს.

მოხსენება „სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების სრულყოფა თანამედროვე პირობებში“ გააკეთა სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა **გ. შუბლაძემ**, ხოლო ფილიალის განყოფილების გამგემ ა. ცაგარელმა ილაპარაკა მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის მდგომარეობისადმი მეთვალყურეობის მეთოდების შესახებ.

რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლებმა გააანალიზეს სამინისტროს სისტემაში მოთხოვნის შესასწავლად გაწეული მუშაობის მდგომარეობა, გააშუქეს საქონლის წარმოებისა და მიწოდების შესახებ განაცხადებისა და შეკვეთების დასაბუთების საკითხები. სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. მიღებულია რეკომენდაციები კომერციული მუშაობის დონის ამაღლების მიზნით მოთხოვნის შესწავლის სრულყოფისათვის.

*(საქინფორმი), 1982 წ. აპრილი*

## ОБСУЖДАЮТСЯ ПРОБЛЕМЫ ПРОГНОЗИРОВАНИЯ

В Тбилиси состоялся всесоюзный семинарсовещание по проблеме долгосрочного прогнозирования производства и потребления товаров в условиях научно-технического прогресса (раздел "Торгово-промышленный комплекс СССР" Комплексной программы научно-технического прогресса СССР на 1986-2005 годы в региональном разрезе).

Целью семинара-совещания явилось решение проблем, связанных с программными исследованиями по проблемам рационализации потребления и формирования спроса населения на товары и услуги, прогнозы потребления, спроса и розничного товарооборота на 1986-2005 годы, совершенствование хозяйственных связей в отраслях торгово-промышленного комплекса. Участники встречи обсудили актуальные проблемы повышения сбалансированности спроса и предложения на основе долговременного прогнозирования производства и потребления товаров и услуг в условиях научно-технического прогресса.

На семинаре-совещании выступили заместитель дирек-тора Всесоюзного НИИ по изучению спроса населения на товары народного потребления и конъюктуры торговли А. Яровиков, заведующий сектором программных разработок Д. Рубвальтер, старший научный сотрудник В. Прохина, директора филиалов Азербайджанского - А. Касумов, Казахского - К. Бейсембетов, Армянского - В. Чатинян, Молдавского - А. Букатинский и другие.

О работе проблемной комиссии по разделу "Торгово-промышленный комплекс" Комплексной программы НТП Грузинской ССР рассказал председатель этой комиссии, директор Грузинского филиала ВНИИКСа, доцент **Г. Шубладзе**.

Были приняты соответствующие рекомендации, способствующие концентрации работы по данной проблеме как в отраслевом, так и региональном разрезе.

***Л. Корганашвили,*** *ученый секретарь комиссии, кандидат технических наук.*
*(Газета "Вечерний ТБИЛИСИ", 4 апреля 1983 года).*

## ОСТРО РЕАГИРОВАТЬ НА СПРОС ПОТРЕБИТЕЛЕЙ

Традиционные контакты связывают Институт исследования рынка Министерства внутренней торговли ВНР и Грузинского филмала научно-исследовательского института по изучению спроса населения на товары народного потребления и конъюнктуры торговли (ВНИИКС) Министерства торговли СССР.

В начале июня в г.Тбилиси состоялась еще одна рабочая встреча специалистов наших двух институтов, которая была посвящена современным проблемам изучению спроса потребителей и применения вычислительной техники при исследовании рынка товаров народного потребления.

Об основных направлениях деятельности институтов и задачах дальнейшего совершенствования научных исследований рассказали директор Венгерского института д-р Ласло Сабо, заведующая отделом Марта Ковач, директор Грузинского филиала ВНИИКСа, доцент **Георгий Шубладзе**, заведующие отделами Аэлита Имедашвили, Юрий Хухуа, Лаврентий Чхиквадзе.

Основным принципом изучения спроса является всестороннее исследование рынка сбыта и потребностей покупателей. Поэтому изучение рыночных факторов особенно актуально при сложной коммерческой ситуации на рынке товаров народного потребления.

В результате встречи были определены конкретные формы совместного сотрудничества, целью которых являются повышение эффективности научных исследований в современных условиях, а также поиски путей, увеличение прямого товаро-обмена между ВНР и Грузинской ССР.

Встреча, несомненно, послужит еще большему укреплению научных контактов между нашими институтами.

*__Т. Фенюк,__ научный сотрудник Грузинского филиала ВНИИКСа.*
*(газета "Вечерний Тбилиси", 12 июня 1987 года).*

## მაღაზიიდან მყიდველი ხელცარიელი გამოდის, რატომ?

*„არადამაკმაყოფილებელია“ – ასეთი შეფასება მისცა ახალგაზრდული ასორტიმენტის საქონელს საქართველოს ალკკ-ცენტრალური კომიტეტის მუშაკთა და მოთხოვნის შემსწავლელ სპეციალისტთა მიერ გამოკითხული ქალიშვილებისა და ჭაბუკების 95 პროცენტმა. მათგან 33.4 პროცენტმა სერიოზული პრეტენზიები წაუყენა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ხარისხს, 29.7 პროცენტმა კი ფასების დონეს.*

– ახალგაზრდული საქონლის ბაზარი მეტისმეტად მწირია, – განმარტა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში გამოკითხვის მონაცემები სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა **გ. შუბლაძემ**, – მდგომარეობა აუცილებლად უნდა შეიცვალოს. მაგრამ ეს არცთუ ისე ადვილია. ახალგაზრდობისათვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოებაში პრობლემები საკმაოდ დაგროვდა. ისინი დაკავშირებულია შესაბამისი ნედლეულით, ფურნიტურით საწარმოთა მომარაგებასთან, საკონსტრუქტორო-სამოდელო ქვეგანყოფილების მუშაობის ძირეულ გარდაქმნასთან. ზოგჯერ წარმოება არ არის დაინტერესებული, რომ გამოუშვას პროდუქცია ახალგაზრდობისათვის. მის დამზადებაში რატომღაც არ არსებობს ინდექსი „ს“ – სიახლის ანალოგი, რომელიც შრომითი კოლექტივების მატერიალური სტიმულირების შესაძლებლობას შექმნიდა.

*ბევრი თბილისელი ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იძენს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ადგილობრივი წარმოების საქონელი არ გვყოფნის?*

– ეს ფაქტორიც არის, თუმცა იგი ყოველთვის როდია განმსაზღვრელი. მოვიყვან ასეთ ციფრებს: ყოველ მცხოვრებზე საცალო საქონელბრუნვის მიხედვით რესპუბლიკა მე-9 მე-10 ადგილზეა ქვეყანაში. თუ ყოველწლიურად თითოეული ჩვენი თანამემამულე საშუალოდ 195 მანეთის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ყიდულობს, მთლიანად ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 258 მანეთს შეადგენს. და მაინც უმეტეს შემთხვევაში რაოდენობის მხრივ ყველაფერი წესრიგშია. მაგრამ ნაწარმი ხარისხის, მოდურობის მხრივ....

ერთხელ კიდევ მოვიშველიებ სტატისტიკას. იგი მოწმობს: თუ 1985 წელს დაწუნებული და ხარისხდაკლებული იყო შემოწმებული წინდის ნაწარმის 10.3 პროცენტი, შარშან უკვე 45.2 პროცენტს შეადგენდა. შეკერილი საქონლის მიხედვით ეს ციფრები შესაბამისად 28.5 და 47.8 პროცენტია. ანუ, შეინიშნება შემაშფოთებელი ტენდენცია – მომხმარებლის მოთხოვნილება იზრდება, მასობრივი მოთხოვნის პროდუქციის ხარისხი კი, სამწუხაროდ, უარესდება.

*რას იზამს თქვენი ინსტიტუტი მდგომარეობის გამოსასწორებლად?*

– აქტიურად ვმონაწილეობთ მოთხოვნის შესწავლისა და ფორმირების საკავშირო სისტემის საქმიანობაში. კერძოდ, ვეწევით სამეცნიერო-კვლევით მუშაობას „სახალხო მოხმარების საქონლის (ვაჭრობა)“ ქვესისტემის შესაქმნელად. ვამუშავებთ აგრეთვე კონკრეტულ რეკომენდაციებს სამინისტროებისა და უწყებებისათვის, გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს.

*განსჯისათვის კიდევ რა ინფორმაცია შეგიძლიათ მიაწოდოთ უწყებებსა და საწარმოებს კონკრეტული რჩევა-დარიგების გარდა?*

– სხვადასხვაგვარი, ამასთან ისეთი, რომელიც ეხება როგორც საწარმოო და სამმართველო პროცესის ორგანიზაციას, ისე ნეგატიური მოვლენების ეკონომიკურ შედეგებს, ვთქვათ, ვაჭრობაში.

*მაგალითად?*

– აი ასეთი ფაქტი: ჩვენი გამოკითხვის მონაცემებით, თბილისის თითოეული ოჯახი ყოველდღე საქონლის ყიდვის დროს ზომა-წონაში მოტყუების გამო საშუალოდ კარგავს 50 კაპიკს. ამის შედეგად ვაჭრობას აკლდება 65-70 მილიონი მანეთის საქონელბრუნვა. ანუ ის ფული, რომელსაც ადამიანები დახარჯავდნენ საქონლის შესაძენად, მათ ეკარგებათ დაუბრუნებელი ხურდის სახით...

*როგორია თქვენი მუშაობის პრაქტიკული უკუგება? მახსენდება, პატივცემულო გიორგი, ინსტიტუტის მიერ რამდენიმე წლის წინათ განხორციელებული ექსპერიმენტი. მაშინ თქვენმა თანამშრომლებმა სპეციალურად შეაწებეს სხვადასხვა ორგანიზაციაში გაგზავნილი კონიუნქტურული მიმოხილვის რამდენიმე ფურცელი. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში ფურცლები არც კი გაუჭრიათ. ესე იგი იმათ, ვისაც გაეგზავნა რეკომენდაციები, უბრალოდ არც კი წაუკითხავთ ისინი. როგორ არის ახლა საქმე?*

– სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა. საკმარისია ითქვას, რომ დღეს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო უბრალოდ არ იღებს განაცხადებს საქონელზე რესპუბლიკის საბითუმო ბაზებისაგან ჩვენი ვიზის გარეშე, რომელიც ადასტურებს, რომ შეკვეთა საფუძვლიანია და ითვალისწინებს მყიდველის მოთხოვნას, მოდას და ა. შ.

*შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები, როცა ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის რეკომენდაციები დაეხმარა ვაჭრობის ორგანიზაციას განეხორციელებინათ არსებული ღონისძიებანი დეფიციტის ლიკვიდაციისათვის?*

– ჩვენ გამოვიკვლიეთ საშენი მასალების ბაზრის კონიუნქტურა. აღმოჩნდა, რომ იგი ასეთ საქონელზე ადამიანების მოთხოვნას მხოლოდ 30-40 პროცენტით აკმაყოფილებს, ჩვენი წინადადებანი გაითვალისწინა რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტმა ამ პროდუქციაზე ახალი განაცხადების დამტკიცების დროს.

*(გაზეთი „კომუნისტი“, 20 ივნისის, 1987 წელი)*

*P.S. ეს ინტერვიუ გამოქვეყნდა რუსულ ენაზეც.*

## საზოგადოება: მომხმარებელთა თუ სამომხმარებლო?

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს დედაქალაქში გაჩნდა სავაჭრო ობიექტები, რომლებიც აბრების მიხედვით ეკუთვნიან თბილისის მომხმარებელთა საზოგადოებას.

პრესა და ინფორმაციის სხვა საშუალებები იუწყებიან თბილისის მომხმარებელთა საზოგადოების არსებობის შესახებ. მაგალითად, გაზეთ „თბილისის“ 27 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაში „განახლებული, თანამედროვე, კომფორტული“, რომელიც შეესაბამება კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობას, მოხსენიებულია საქალაქო მომხმარებელთა საზოგადოების ორი ხელმძღვანელი მუშაკი (მთავარი ინჟინერი და თავმჯდომარე). მათი გვარების მიხედვით დავადგინეთ, რომ ორგანიზაცია სინამდვილეში არის საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის – ცეკავშირის თბილისის სამომხმარებლო და არა მომხმარებელთა საზოგადოება, როგორც ამ დაწესებულების აბრებზეა აღნიშნული. წარწერა რუსულ ენაზე "Потребительское общество" სწორია.

საქმე ის არის, რომ ცნებებს „სამომხმარებლო საზოგადოება“ ("Потребительское общество") და „მომხმარებელთა საზოგადოება“ ("Общество потребителей") სხვადასხვა შინაარსი აქვს: პირველ შემთხვევაში იგულისხმება სამეურნეო ორგანიზაცია, რომლის ფუნქციაა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება სახალხო მოხმარების საქონლით, მეორეა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის ძირითადი ამოცანაა მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

მომხმარებელთა საზოგადოებების (კავშირების, ასოციაციების) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორია ჩვენი ინსტიტუტი, რომელმაც შეიმუშავა შესაბამისი წესდებები. საჭიროა უახლოეს პერიოდში თბილისის მომხმარებელთა საზოგადოებისა და საქართველოს სსრ მომხმარებელთა ასოციაციის შექმნა, რათა უზრუნველვყოთ რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობა მომხმარებელთა სრულიად საკავშირო დამფუძნებელი კონფერენციის მუშაობაში (გაიმართება დეკემბრის პირველ რიცხვებში).

***გ. შუბლაძე,*** *სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის („ვნიიკს“-ის) საქართველოს ფილიალის დირექტორი (გაზეთი „თბილისი“, 11 ნოემბერი, 1989 წელი).*

## ОРИЕНТИРЫ ЯСНЫ

Почти десять месяцев потребовалось на то чтобы очертания будущего городского общества потребителей приняли более или менее конкретную форму, а перспективные направления его деятельности наполнились предметным содержанием. За этот период мы получили более двухсот заявлений от горожан, желающих вступить в добровольное объединение, главная цель которого - защита интересов потребителей от диктата производителей и торговли. Как уже сообщалось, тбилисцы, приславшие анкетызаявления, автоматически стали членами общества потребителей.

Предпринимались и попытки собраться вместе, чтобы обсудить опубликованный в нашей газете 14 августа проект Устава, внести в него коррективы и утвердить окончательный вариант. Одноко, к сожалению, сентябрьское наше собрание потерпело фиаско: как это ни парадоксально, но на него явились в основном... сотрудники Грузинского республиканского управления Госстандарта, то есть должностные лица, ответственные за осуществление эффективного вневедомственного контроля за качеством товаров и услуг. Рядовые же пот-ребители почему-то предпочли понаблюдать за работой собственного общества со стороны.

Учитывая это, оргкомитет, названный впоследствии клубом и инициативной группой по созданию общества потребителей, решил действовать иначе. Совместно с Грузинским филиалом ВНИИКСа (Всесоюзного НИИ по изучению спроса населения на товары народного потребления и конъюнктуры торговли - мы начали искать спонсоров городского общества потребителей, то есть те учреждения и организации, которые бы изъявили желание хотя бы на первых порах принять участие в создании фонда нового объединения, с ис-

пользованием которого возможно приступить к проведению независимых экспертиз товаров и услуг.

О том, какие результаты дал этот поиск, а также об итогах учредительной конференции Федерации обществ потребителскй СССР рассказывает директор Грузинского филиала ВНИИКСа, кандидат экономических наук **Георгий Шалвович Шубладзе**.

- Учредительная конференция Федерации обществ потребителей СССР проходила 2 и 3 декабря - в субботний и воскресный дни в Москве. Поразила высокая активность участников - почти 100 представителей общества потребителей со всей страны. Характерная деталь: в ряде городов и республик, как и у нас, в Грузии и ее столице, общества потребителей пока находятся в организационной стадии.

*А в каких республиках все-таки общества оформились уже юридически?*

- Пока- только в четырех: на Украине, в Белоруссии, Литве и Эстонии. Причем, хочу заметить, в разных регионах они действуют по-разному. Например, в Минске в свое время была создана штатная рабочая группа, костяк которой составили профсоюзные лидеры. Ее сотрудники активно обращаются в средства массовой информации, много ездят по республике.

*А результат?*

- Улучшено качество питания учащихся в школных столовых. Из Прибалтийских республик наиболее активно работает Литва. Так, члены инициативной группы из этой республики организовали пикеты перед продовольтственными магазинами Клайпеде, где продавалось некондиционное молоко. И добивались - таки его биологической чистоты - по крайней мере гарантировали ее детишкам в возрасте до семи лет.

Интересен опыт работы Московского Союза потребитлей, председателем которого является академик С. Шаталин. Москвичи, к примеру, провели несколько заседаний, посвященных обсуждению проекта Закона СССР "О качестве продукции и защите прав потребителя". Выработаны конкрет-

ные дополнения и изменения к проекту, которые направлены в социальную комиссию Совета Министров СССР.

*Если вы помните, анализируя этот проект, мы с вами тоже пришли к выводу, что он нуждается в серьезной, я бы даже сказала, коренной доработке?*

- Между прочим, именно об этом я сказал в своем выступлении на учредительной конференции Федерации. На мой взгляд, на сегодняшний день один и тот же нормативный акт ни в коем случае не сумеет объединить две принципиально различные задачи: качество - то есть сугубо производственную проблему и защиту прав потребителей, более всего протестующих против монопольного диктата производителей. Необходимы два различных закона, причем предельно конкретных, четких. Кстати говоря, еще до этой конференции наш институт послал телеграмму такого же содержания на имя второй сессии Верховного Совета СССР.

*Вы получили ответ?*

- К сожелению, нет. Зато депутат от Грузии доктор экономических наук Валериан Сергеевич Адвадзе получил копию этой телеграммы, посланную лично на его имя, и очень заинтересовался поднятой нами проблемой. На встрече, состояв-шейся с ним в 23-й средней школе им. И. Чавчавадзе, Валериан Сергеевич соощил нам, что передал телеграмму председателю соответствующей комиссии Верховного Совета СССР.

*Что ж, остается надеяться, что ваше предложение не постигнет та же участь, которую разделили десятки и даже сотни других глубоко продуманных, выверенных замечаний и поправок к различным законопроектам, так и не вошедших в окончательный вариант этих документов. А как проходила работа конференции? С тем же эмоционным накалом, с которым шли некоторые заседания Верховного Совета СССР? Или более "гладко", спокойно?*

- Что вы?! Ни о каком "единомыслии" и "спокойствии" не было и речи! По всему ощущалось, что участники в большинстве своем кровно заинтересованы в том, чтобы каждое общество потребителей поскорее принесло конкретные ре-

зультаты. Поэтому, наверное, вопреки веяниям моды, на конференции заочно, без альтернативы был избран президентом Федерации известный юрист, народный депутат СССР Анатолий Александрович Собчак, находившийся в тот момент за рубежом.

*А будет ли он при всей своей занятости располагать временем для работы в Федерации, тем более, что, насколько я понимаю, участники конференции с мест настроены на активные, неформальные действия?*

- Честно признаться, меня это тоже поначалу смутило. Сомнения развеял выступивщий представитель Ленинградского общества потребителей. Он огласил небольшое обращение Анатолия Александровича к участникам конференции, в котором, в частности, выражалась и готовность к сотрудничеству.

*Какие конкретные проблемы обсуждались?*

- Главный вопрос - об источниках финансирования. Вокруг него разгорелась острая дискуссия. Ряд товарищей, к примеру, высказывались за то, чтобы на первых порах общества потребителей имели при себе хотя бы небольшое производство товаров народного потребления, правда, с оговорками, мол, они должны быть высококачественны и продаваться по социально низким ценам. Но основная масса участников, в том числе и я, отвергли это предложение как несостоятельное. Нетрудно догадаться, во что превратились бы общества защиты прав потребителя, если бы... сами стали производителями. Несовместимые функции! Между прочим, присутствовавшая на конференции президент Всепольской Федерации потребителей и Ассоциации организаций защиты потребителей социалистических стран Малгожата Непокульчицка, с которой мне удалось лично познакомиться, поведала нам о том, что в Польше на 80 процентов эти общества финансируются из госбюджета, что вполне логично: ведь именно государство (в условиях его гуманизации) обязано первым стоять на страже интересов потребителей.

***Георгий Шалвович**, а из чего, по-вашему, будут складываться доходы нашего городского общества?*

- Прежде всего - за счет предъявления через арбитраж или суд исков производителям.

*Но как практически мы будем осуществлять независимую квалифицированную экспертизу и тестирование товаров и услуг - ведь для этого нужны собственные лаборатории, оснащенные новейшим оборудованием?*

- В общем и целом пока вопрос ставится так: проблему источников финансирования должен решить Закон СССР о защите прав потребителя, который следует, видимо, разработать и вынести на всенародное обсуждение. Пока же, на первых порах, уставной фонд Тбилисского городского и Грузинской ассоциации обществ потребителей образуют организации-спонсоры. Как Вам известно, мы обратились с письмами-предложениями более чем в двадцать таких организаций. Откликнулись уже из Совпрофа Грузии - он согласен перечислить в наш уставной фонд денежную сумму, из ЦК комсомола республики, Грузинского республиканского филиала Общесоюзного объединения по внедрению в производство новых товаров ("Союзпромвнедрение"), Тбилисского государственного университета, Грузинского политехнического института, Грузинского республиканского Совета ветеранов войны и труда, Союза дизайнеров Грузии, ВНИИТЭ.

*Располагают ли эти организации свободными суммами средств, которые они могут направить на такие благотворительные в общемто цели, как создание общества потребителей?*

- А почему бы нет? Ведь суммы эти не так велики: их поначалу должно хватить на оплату ряда экспертиз, которыми займутся такие независимые, вневедомственные лаборатории, как, к примеру, лаборатория при каферде товароведения продовольственных и непродовольственных товаров ТГУ, соответствующая лаборатория ГПИ и другие. Исследования можно проводить разовые либо на прочной хоздоговорной основе, но, насколько я знаю, представители всех названных и еще нескольких независимых лабораторий,

сами являющиеся рядовыми потребителями, отнеслись к нашему предложению с горячим одобрением. Они готовы сотрудничить.

*Еще одним источником финансирования станет со временем и какой-нибудь печатный орган общества потребителей, не так ли ?*

- Непременно! Надеюсь, в этом отношении "Вечерний Тбилиси", как один из основателей городского общества потребителей, останется верным уже заложенной традиции и будет регулярно публиковать наши материалы. В том числе - и антирекламу (так как существующая реклама, к сожалению, настолько дискредитировала себя как лживая, пропагандирующая лишь залежалые товары, что начинать придется именно с антирекламы).

*Этим наша газета занимается уже не первый день. А в дальнейшем, естественно, целая подборка общества потребителей перерастет в специальный листоквкладыш. Главное - была бы реальной отдача от этих публикаций, а то ведь нередко случается, газета критикует бракоделов, обращается к их совести, а в ответ - молчание.*

- Чтобы это больше не повторилось, и необходимо общество потребителей, способное проводить независимую экспертизу товаров и услуг. Кстати, присутствовавший на конференции представитель Литовского общества особо подчеркнул, что впоследствии каждая из республик сможет направлять товары на экспертизу в самые различные страны, например, из Литвы - в Швецию и Бельгию. Поможет наладить такие контакты Международная организация союза потребителей (ИОКУ), вице-президент которой, президент Голландского союзов потребителей Дик Вестендорп присутствовал на конференции в Москве. Главное – Федерация обществ потребителей СССР не будет препятствовать установлению прямых контактов между республиками и зарубежными странами. Так что, надо надеяться, со временем и Грузия войдет в состав Междуна-родной организации союзов потребителей.

*И последний вопрос. Учитывая, что Тбилисскому городскому обществу осталось только зарегистрироваться в Тбилго-рисполкоме, надо, видимо, собраться, чтобы избрать, наконец, председателя, заместителя, секретаря.*

- Да. Если вы не против, давайте на этот раз назначить встречу членов общества у нас в институте по адресу: улица Барнова, 137. Лучше всего, по-моему, провести ее в ближайшую пятницу, 29 декабря, в 18.00. Нам остается напомнить читателям: дорогие друзья, ждем на встрече всех членов Тбилисского городского общества потребителей, приславших в свое время в редакцию свои анкеты-заявления.

*(Газета "Вечерний ТБИЛИСИ", 22 декабря 1989 года).*

## მომხმარებელთა ინტერესებისთვის

თითოეული ჩვენთაგანი, როგორც მომხმარებელი ხშირად ვაწყდებით ასეთ შემთხვევებს: მაღაზიაში გასაყიდად გამოტანილია მდარე ხარისხის, ისიც წონანაკლები დაფასოების კვების პროდუქტები, ცუდად შეკერილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; საზოგადოებრივი კვების საწარმოებში დარღვეულია კერძების დამზადების ტექნოლოგია, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში დროულად და ხარისხიანად არ სრულდება შეკვეთები და ა.შ. ამასთან დაბალია მომსახურების კულტურა, უხეშად ირღვევა მომსახურების წესები და არცთუ იშვიათად აბუჩად იგდებენ მომხმარებელს.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდამდე გაბატონებული იყო შეხედულება, რომ სოციალიზმის დროს სახელმწიფო იცავს პიროვნებას, მის ყოველგვარ ინტერესს. ხომ არსებობს მთელი რიგი სამსახურები (სახელმწიფოებრივი, უწყებრივი და სხვ.), რომელთაც უშუალოდ ევალებათ წუნიანი ნაკეთობის გამოშვების, უხარისხო საქონლის სავაჭრო ქსელში შეღწევის, ვაჭრობისა და მომსახურების წესების დარღვევის აღკვეთა?. ფაქტობრივად მრეწველობაც, ვაჭრობაც და საყოფაცხოვრებო მომსახურებაც მეტნაკლებად დაცულია ზემდგომი ინსტანციების მიერ, ხოლო მომხმარებელი (მყიდველი) დაუც-

ველი რჩება. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა კი აუცილებელია სოციალისტურ ქვეყანაში.

საქმე ის არის, რომ აშშ-ში და დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში კარგა ხანია დაიწყო მოძრაობა მომხმარებელთა უფლებების დასაცავად (კონსიუმერიზმი) და დღეისათვის ამ ხაზით გარკვეული გამოცდილებაც დაგროვდა. აღნიშნული მოძრაობა აშშ-ში დაიწყო 20-იან წლებში და 1935 წელს ამ ქვეყანაში შეიქმნა პირველად მომხმარებელთა საერთაშორისო კავშირი. ამჟამად როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ ქვეყნებშიც მოქმედებენ მომხმარებელთა კავშირები, ასოციაციები, ფედერაციები (ითვლიან 80 ქვეყანას), რომლებმაც მნიშვნელოვან შედეგს მიაღწიეს. ქვეყნის უდიდესი ნაწილი გაერთიანებულია მომხმარებელთა კავშირების საერთაშორისო ორგანიზაციაში. მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისთვის საზოგადოებრივმა მოძრაობამ მიიღო ფართო საერთაშორისო აღიარება. მომხმარებელთა კავშირების საერთაშორისო ორგანიზაციამ (შტაბ-ბინა აქვს ჰააგაში) მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან და „იუნესკოსთან“ არსებული საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი.

ე. წ. სოციალისტურ ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესებისათვის მოძრაობა, რომელიც დაიწყო 60-იან წლებში, წარმატებით მიმდინარეობს უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, კუბაში, ჩინეთსა და იუგოსლავიაში. მომხმარებელთა სრულიად პოლონეთის ფედერაციას მხარს უჭერენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, სახელმწიფო ორგანოები. მისი თავმჯდომარე სეიმის დეპუტატია. მომხმარებელთა სრულიად უნგრეთის კავშირი, რომელიც შექმნილია მთავრობის დადგენილებით, შედის სახალხო ფრონტის შემადგენლობაში.

სსრ კავშირში ანალოგიური მოძრაობა დაიწყო 1988 წლის დამდეგს, როდესაც საკავშირო პროფსაბჭოს, გაზეთების „ნედელიას“ და „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ ინიციატივით შეიქმნა მომხმარებელთა სრულიად საკავშირო კლუბის საზოგადოებრივი საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ მეცნიერები, წარმოების მოწინავეები, საზოგადო და სახელ-

მწიფო მოღვაწეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. მომხმარებელთა სრულიად საკავშირო კლუბი მოწვეულია სოციალისტური ქვეყნების მომხმარებელთა ორგანიზაციების პირველი კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის თებერვალში საერთო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნდა სსრ კავშირის კანონის პროექტი საქონლის ხარისხისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. შექმნილია და შექმნის სტადიაშია მომხმარებელთა კავშირები ბელორუსიაში, ესტონეთში, ლიტვაში, ქალაქებში მოსკოვში, ლენინგრადში, ლვოვში და ა.შ.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის მოძრაობას თითოეულ ქვეყანაში ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, მაგრამ იგი უმთავრესად მიზნად ისახავს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას: საზოგადოებრივი შეხედულებების შესწავლა საქონლისა და მომსახურების სამომხმარებლო თვისებების, მათი ფასებისა და ტარიფების შესახებ; საქონლისა და მომსახურების დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება; სახალხო მოხმარების საქონლის ბაზრის შესწავლა და მყიდველთა (მომხმარებელთა) უზრუნველყოფა ობიექტური ინფორმაციით საქონლის (მომსახურების) ასორტიმენტისა და ხარისხის შესახებ; მყიდველებისათვის საქონელმცოდნეობრივი, იურიდიული და სხვა სახის კონსულტაციების მიცემა; ვაჭრობისა და მოხმარების კულტურის პროპაგანდისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენება; დაბალი ხარისხის საქონლის ანტირეკლამა.

მეტწილ ქვეყნებში მომხმარებელთა კავშირები (გაერთიანებები) წარმოადგენენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და დამოუკიდებელნი არიან მთავრობის ორგანოებისაგან. როგორც წესი, ისინი მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საქმეში მჭიდროდ თანამშრომლობენ პროფკავშირებთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ და საქველმოქმედო ორგანიზაციებთან. ფრიად დიდია მათი გავლენა მომხმარებელთა უფლებების საკითხებში მრეწველობისა და ვაჭრობის კომპანიების საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაზე,

განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, აშშ, საფრანგეთი და სხვ.

მომხმარებელთა ორგანიზაციების ბიუჯეტი ყალიბდება საწევრო შენატანიდან, პროფკავშირების, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ფონდების ფინანსური მხარდაჭერისა და კერძო პირების შეწირულობებიდან, ბევრ ქვეყანაში აგრეთვე სახელმწიფო სუბსიდიებიდან. ამ ორგანიზაციების ბიუჯეტში მნიშვნელოვანი წილი უკავია საკუთარ საგამომცემლო საქმიანობას. მაგალითად, აშშ-ში მომხმარებელთა ეროვნული კავშირის ბიუჯეტი ყალიბდება უმთავრესად სამმილიონიანი ჟურნალის „კონსიუმერ რიპორტ“ (რჩევები მომხმარებელს) მოგების ხარჯზე.

მომხმარებელთა უმეტეს ეროვნულ ორგანიზაციას თავისი საქმიანობის განსახორციელებლად აქვს სოლიდური მატერიალური ბაზა. მისი საფუძველია საკვლევი ლაბორატორიების ფართო ქსელი, სადაც ტარდება საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტისა და ხარისხის დამოუკიდებელი ექსპერტიზა, მათი შესაბამისობა ფასთან და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის სამომხმარებლო მოთხოვნებთან, აქვს აგრეთვე სტამბა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელთა მეშვეობით შემოწმების შედეგებს აცნობენ მომხმარებელთა ფართო წრეებს. საექსპორტო გამოკვლევები საკმაოდ ხშირად ტარდება უმაღლესი სასწავლებლების და სხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციების ბაზაზე. მომხმარებელთა ორგანიზაციების მუშაობაში კონსულტანტებად, ექსპერტებად ფართოდ იწვევენ სხვადასხვა სპეციალისტებს (ეკონომისტებს, ინჟინრებს, სოციოლოგებს, იურისტებს და ა.შ.), რომლებიც სარგებლობენ სათანადო ავტორიტეტით არა მარტო ამა თუ იმ ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოშიც.

მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც შეიქმნა მომხმარებელთა სრულიად საკავშირო კლუბი, მაგრამ მან გარკვეული მუშაობა გასწია. უწინარეს ყოვლისა, გაიშალა მუშაობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ხაზით, განახორციელა საქონლისა და მომსახურების ხარისხის არასაუწყებო ექსპერტიზა, შეისწავლა მოსახლეობის შეხედულება ზოგიერთი საქონლის ხარისხისა და

ვაჭრობის ორგანიზაციის თაობაზე და სხვ. კლუბის მონაწილეობით მხოლოდ მოსკოვში რამდენიმეჯერ მოეწყო წუნისმკეთებელთა სასამართლო პროცესი. დაკმაყოფილდა მომხმარებელთა ყველა სასამართლო სარჩელი, რომლებსაც კლუბმა დაუჭირა მხარი.

ყველა რესპუბლიკაში მომხმარებელთა საზოგადოებების (კლუბების, კავშირების) შექმნის ერთ-ერთ ინიციატორად გამოვიდა ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი (იხ. გაზეთ „ვეჩერნი თბილისის" მიმდინარე წლის 15 მარტის ნომერი). ამჟამად შემუშავებულია ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მომხმარებელთა კავშირის წესდება და გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები ამ რაიონში (საკითხი დაისვა სახალხო დეპუტატთა XX მოწვევის რაიონული საბჭოს X სესიაზე) და საერთოდ თბილისში მომხმარებელთა ორგანიზაციების შესაქმნელად.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მომხმარებელთა კავშირების შექმნა დიდად შეუწყობს ხელს სახალხო მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებას, და საბოლოოდ მათი ინტერესების რეალურად დაცვას.

*__გ. შუბლაძე,__ სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის*
*მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის*
*საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის*
*საქართველოს ფილიალის დირექტორი, დოცენტი*
*(გაზეთი „კომუნისტი", 10 იანვარი 1990 წელი).*

## ჩვენი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი (ბარნოვის ქ. № 137, ტელ. 22 60 72) შეიქმნა მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის მოძრაობის ხელშემწყობი კლუბი, აგრეთვე რესპუბლიკაში მომხმარებელთა საზოგადოებების (კლუბების, კავშირების, ასოციაციის) ჩამოყალიბების საინი-

ციატივო ჯგუფი (ფილიალის დირექტორის **გიორგი შუბლაძის** თავმჯდომარეობით).

შემუშავდა საზოგადოების წესდებისა და პროგრამის პროექტები. მომხმარებელთა საქალაქო საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა თბილისელი მომხმარებლებისადმი, რომელშიც განზოგადებულია ძირითადი მიზანი, რისთვისაც პირველად ჩვენს რესპუბლიკაში ეს საზოგადოება შეიქმნა. გთავაზობთ მიმართვის ტექსტს.

*ძვირფასო მომხმარებლებო!*

*ყველანი მეტ-ნაკლებად ხართ მაღაზიებში მყიდველები, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამსახურის კლიენტები.*

*გიფიქრიათ თუ არა თქვენს უფლებებზე? იცით იგი და იყენებთ თუ არა მას ყოველთვის?*

*თქვენ უფლება გაქვთ უზრუნველგყონ აუცილებელი საქონლით, კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, შესაბამისი მომსახურებით, ამასთან გაქვთ უფლება, დაცული იყოთ ისეთი საქონლისა და მომსახურებისაგან, რაც ვნებას მოუტანს თქვენს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საქონლის (მომსახურების) წარმოებისა და რეალიზაციის დროს. იგულისხმება უხარისხო და ეკოლოგიურად არასაიმედო საქონლის გამოშვება, ფასსა და ზომა-წონაში მოტყუება და სხვა.*

*უფლება გაქვთ, გამოთქვათ საკუთარი შეხედულება და მოითხოვოთ, რომ მომხმარებელთა ინტერესები იყოს გათვალისწინებული სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების დროს.*

*როგორ უნდა განხორციელდეს ესოდენ ფართო უფლებები პრაქტიკაში?*

*ამისათვის მოწოდებული არიან მომხმარებელთა საზოგადოებები (კლუბები, კავშირები, ასოციაციები), რომელთა საქმიანობა მიმართულია თქვენი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, სასამართლოთიც კი. ასეთი საზოგადოებები უნდა შეიქმნას კომპეტენტური, პატიოსანი, უანგარო ადამიანებისაგან ყველა რაიონსა და დიდ ორგანიზაციაში.*

*მომხმარებლებო, გაერთიანდით თქვენი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.*

საზოგადოება უახლოეს ხანში მიიღებს და დაამტკიცებს სამუშაო გეგმას. გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი მოსაზრებები, სასარგებლო და მისაღები წინადადებები, რაც გათვალისწინებული იქნება მომავალ საქმიანობაში.

*(გაზეთი „თბილისი“, 23 თებერვალი 1990 წელი).*

## КТО НАС ЗАЩИТИТ?

Впервые в Советском Союзе отмечается Международный день потребителя. Во многих странах мира он отмечается с 1961 года под знаменем консолидации обществ, союзов, ассоциаций потребителей в защиту своих прав. У нас это движение делает первые шаги.

В конце прошлого года состоялась учредительная конференция Тбилисского городского общества потребителей. С его почетным председателем, директором Грузинского филиала Всесоюзного НИИ по изучению спроса населения на товары народного потребления и конъюнктуры торговли (ВНИИКС) **Георгием Шубладзе** беседует корреспондент ГРУЗИНФОРМа (беседа организованна по содействию **Деви Имедашвили**).

*Не так давно само словосочетание "общество потребителей", применяемое к "их" образу жизни, вызывало у нас нега-тивные ассоциации. Следствие нашей, надо признать, небезус-пешной многолетней пропаганды "наоборот"....*

- А вот о существовании второго - и реального – значения этих двух слов многие даже и не подозревали. Между тем, в США еще в 20-х годах началось движение в защиту прав потребителей, а в 1936 году было создано первое общенациональное общество. Сегодня это движение охватывает почти все развитые страны. Есть Международная организация обществ потребителей со штаб-квартирой в Гааге. В декабре создана Федерация обществ потребителей СССР. Ее президентом избран народный депутат СССР Анатолий Собчак.

*И все-таки многие считают: зачем, мол, нам создавать подобные общества, если кругом сплошной дефицит?*

- Во многом потому и дефицит. Одна из его причин в том, что на защите наших с вами прав, как потенциальных потребителей, никто не стоит. В принципе эту функцию должны были бы взять на себя государственные службы, в том числе Госстандарт, различные инспекции, прокуратура. На самом деле потребитель остается фактически незащищенным от всесилия производителей. Мировая же практика потверждает, что в этой ситуации самой эффективной формой является самозащита.

*Согласитесь, однако, чио с монополией промышленности, торговли, сферы услуг бороться очень трудно.*

- В одиночку - да, но всем миром можно одолеть эту трудность. Кроме того, надеемся, что монопольная экономика доживает свои последние дни. Правда, и когда появится конкуренция, то, не исключено, многие в борьбе за потребителя могут пойти на различные ухищрения. К примеру, реализо-вывать заведомо негодные продукты или товары в яркой, броской упаковке, чем, кстати, уже занимаются некоторые кооператоры. Тут нам надо быть начеку и вместе бороться с таким неуважением к потребителю, вплоть до объявления бойкота тем или иным товарам и услугам.

*Однако все это дело будущего, хотя и недалекого. Каковы же сегодняшние задачи общества?*

- Основное направление деятельности Тбилисского общества потребителей - изучение общественного мнения о потребительс-ких свойствах товаров и услуг, ценах и тарифах на них. Поэтому, пользуясь случаем, обращаюсь ко всем читателям с просьбой по этим вопросам звонить нам по телефонам: 22 02 97, 22 60 72.

Второе направление в нашей работе - это самостоятельная экспертиза качества товаров и услуг, экологическая чистота продуктов питания. На первых порах будет производить ее в лабораториях институтов, учебных заведений. И третье направление - обеспечение объективной информацией о рынке товаров народного потребления и услуг, консультация потребителей, использование средств массовой информации для воспитания культуры потребления, антиреклама

низкокачественных товаров и услуг. Будем вести борьбу за упразднение ведомственных актов, которые защищают в большей степени интересы не потребителей, а самих ведомств. В частности, собираемся провести экспертизу законов Грузинской ССР и подзаконных актов, затрагивающих права потребителей.

Кроме того, в нашем институте создан клуб содействия движению в защиту прав потребителей и инициативная группа по созданию обществ потребителей по всей республике. Сейчас разрабатываем проекты программы движения потребителей и устава Ассоциации обществ потребителей Грузии. Стать ее учредителями согласились Совпроф республики, Тбилисский государственный и Грузинский технический университеты, Республиканский совет ветеранов войны и труда, Тбилисский филиал Всесоюзного НИИ технической эстетики, Союз дизайнеров Грузии и другие организации.

Для успеха начатого дела считают также необходимым принятие Закона Грузинской ССР "О защите прав и интересов потребителей Грузии", который будет способствовать ликвидации дефицита, предотвратит поставки населению низкокачественных и экологических ненадежных товаров, остановит рост цен и тарифов на товары народного потребления и коммунально-бытовые услуги...

Как ученый-экономист, возглавляющий в республике научные исследования по проблемам изучения спроса, думаю, нам следует разработать и принять закон об обеспечении в 1991-1995 годах необходимого уровня жизни всем семьям Грузии. Имеется в виду увеличение пенсий, стипендий, а также заработной платы рабочих и служащих, оплаты труда колхозников с учетом сегодняшних цен и тарифов.

*( "Заря Востока" 15 марта 1990 года)*

*(საქინფორმის ეს ინტერვიუ გამოქვეყნდა აგრეთვე გაზეთში „ვეჩერნი ტბილისი“, 15 მარტი, 1990 წელი).*

## კიდევ ერთხელ „ეფექტიანისა“ და „ეფექტურის“ შესახებ

„ეფექტიანი“ და „ეფექტური“ რომ ერთმანეთისაგან გამიჯნული ტერმინებია, ამის თაობაზე ამ ხუთი წლის წინათაც ვწერდი გაზეთ „თბილისში“ (20.08.1986). ჩემს სტატიაში „ორი ტერმინი“ აღნიშნული იყო, რომ ამ ტერმინების ერთი და იგივე მნიშვნელობით ხმარება არ არის მართებული, ვინაიდან „ეფექტიანი“ ნიშნავს ეფექტის (შედეგის) მომცემს, ხოლო ეფექტური – ეფექტის მომხდენს, ე. ი. „ეფექტიანობა“ და „ეფექტურობა“ განსხვავებული შინაარსის მატარებელი ცნებებია და არ შეიძლება ჩაითვალოს სინონიმებად (სინონიმებია: ეფექტიანი, შედეგიანი, რეზულტატიანი).

პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში მაინც გვხვდება ამ ტერმინების აღრევა. მაგალითად გამოდგება „თბილისის“ 10 ივლისის ნომერში დაბეჭდილი ინფორმაციის სათაური „ეფექტური ნაყენი“, სადაც საუბარია პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და ღრძილების ანთებითი პროცესების სამკურნალო სპეციალურ მცენარეულ ნაყენზე, რომელმაც პრაქტიკული გამოცდა გაიარა და შედეგიც (ეფექტიც) ნათელია.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნებისმიერი (ეკონომიკური, სოციალური, სამკურნალო და ა.შ.) ღონისძიებების შედეგიანობაზე გვინდა ვილაპარაკოთ, უნდა ვიხმაროთ „ეფექტიანი“, „ეფექტიანი ნაყენი“ და არა „ეფექტური ნაყენი“).

ტერმინი „ეფექტური“ მიესადაგება სანახაობით ღონისძიებებს (სპექტაკლი, კონცერტი და სხვ.), დარბაზის მორთვას, რომლებიც დაკავშირებულია შთაბეჭდილების მოხდენასთან და, შედეგიანობის თვალსაზრისით, შეიძლება საპირისპირო ვითარებასთანაც კი გვქონდეს საქმე: რაიმე მოჩვენებითობის, ილუზიის შექმნა (მაგალითად, იგივე ნაყენი, რომელმაც არავითარი სამკურნალო შედეგი არ მოგვცა. შეიძლება მხოლოდ ეფექტური იყოს).

*გიორგი შუბლაძე*

*(გაზეთი „თბილისი“, 12 აგვისტო 1991 წელი).*

## მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თბილისში

***ვესაუბრებით ინსტიტუტის დირექტორს ბატონ გიორგი შუბლაძეს***

*ბატონო გიორგი, რამდენადაც ვიცი, საქართველოში მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საერთოდ არ არსებობდა. დღეს მისი დაარსება, ალბათ, დრომ და აუცილებლობამ მოიტანა. ჩვენშიც, ისევე როგორც ყოფილ კავშირში, ფეხს იკიდებს საბაზრო ეკონომიკა, რომლის სწორად წარმართვას მარკეტინგის კვლევითი ინსტიტუტი დიდად შეუწყობს ხელს.*

- სანამ რესპუბლიკის მთავრობა მიიღებდა გადაწყვეტილებას მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ, ჩვენი დაწესებულება ითვლებოდა ერთ-ერთ საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალად. ეს იყო სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. იგი საკავშირო ვაჭრობის სამინისტროს ეკუთვნოდა. შემდგომ პერიოდში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჩვენს ყოფილ მეთაურ ინსტიტუტს შეეცვალა სტატუსი და დღეს იგი სამომხმარებლო ბაზრისა და მარკეტინგის ინსტიტუტად ითვლება.

მაშინ დავაყენეთ საკითხი ჩვენი ფილიალის ბაზაზე შექმნილიყო მარკეტინგის კვლევითი ინსტიტუტი. გარკვეული მიზეზების გამო, ეს პროცესი ცოტა გაჭიანურდა და მხოლოდ წლეულს, 7 ოქტომბერს, მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება შექმნილიყო მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

*როგორც თქვენი დაწესებულების დასახელებიდან ჩანს, მისი ძირითადი მიზანი რესპუბლიკის სახალხო მოხმარების საქონლის საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებისა და რეგულირების სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფაა. კონკრეტულად რა ამოცანებს ისახავს მარკეტინგის კვლევითი ინსტიტუტი?*

– ვიკვლევდით საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნის მოცულობას და მის სტრუქტურას.

სამწუხაროდ, ეს მოთხოვნა ბევრ საქონელზე ადრეც არ კმაყოფილდებოდა. დღეს კი, ყველასთვის ცნობილია, რომ მწვავე დეფიციტის პირობებში ვცხოვრობთ. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ არის. ეს საერთო მოვლენაა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ვავლენდით ცალკეულ საქონელზე საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონეს და ეს ვაჭრობის სამინისტროს საშუალებას აძლევდა მოეთხოვა შესაბამისი საკავშირო ორგანოებისთვის სათანადო სასაქონლო რესურსები რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

*მიმართულებას ალბათ არ შეიცვლით...*

– რა თქმა უნდა. უნდა ვაწარმოოთ რესპუბლიკის ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა. ბაზრის ძირითადი ელემენტებია მოთხოვნა-მიწოდება ფასის ფაქტორის გათვალისწინებით. მაგრამ ამ ეტაპზე ფასწარმოქმნის პრობლემა ძალზე გართულდა, ამიტომ კვლევის ერთ-ერთი ასპექტი უეჭველად იქნება ფასების ზემოქმედების გამოკვლევა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებაზე და, შესაბამისად, სასაქონლო რესურსების ფორმირებაზე. ამ საბაზრო გამოკვლევებს წმინდა მარკეტინგული კვლევებიც დაემატება. მარკეტინგი დღეს გახდა წარმოება-გასაღების მართვის ფრიად ჩამოყალიბებული სისტემა. ამიტომ მომავალში რესპუბლიკის საშინაო ბაზრის გამოკვლევასთან ერთად მოგვიხდება ვაწარმოოთ მარკეტინგული კვლევებიც ცალკეული სასაქონლო ჯგუფებისა და საწარმოების მიხედვით, სავაჭრო თუ სამრეწველო დარგში.

მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში, რადგან ყველა დაინტერესებულ ორგანიზაცია-დაწესებულებას აღმოვუჩენთ დახმარებას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით წარმოება-გასაღების სფეროში ოპტიმალური ღონისძიებების განსახორციელებლად.

*სამწუხაროდ, როგორც უკვე აღინიშნა, დღეს ცხოვრება მწვავე დეფიციტის პირობებში გვიხდება როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ პრობლემებს?*

– ვფიქრობ, როგორც მრეწველობის, ისე მომსახურების სფეროს დარგებს მართებთ გააჩაღონ კომერციული საქმიანობა. ოღონდ მთავარი უნდა იყოს სასაქონლო რესურსების შექმნა და მატერიალური წარმოების დარგების განვითარება. დღეს ამ მხრივ მუშაობა შენელებულია. რესპუბლიკის რეგიონებში უფრო ფართო მასშტაბით იხსნება მომსახურების სფეროს ობიექტები, მხედველობაში მაქვს კოოპერატივებისა და კომერციული მაღაზიების ქსელის გაფართოება. მთავარი კი მატერიალური დოვლათის შექმნა უნდა იყოს.

*მაინც რა არის მთავარი საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად?*

– პირველ რიგში, ეს არის პრივატიზაციის ღონისძიებების განხორციელება და ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირება. გონივრული პრივატიზება უნდა მოხდეს ეკონომიკის ყველა სფეროში. ეს გაზრდის საწარმოთა სტიმულს.

*სავაჭრო ბირჟებთან თუ აქვს თქვენს ინსტიტუტს კავშირი?*

– ჯერჯერობით ინსტიტუტი რეორგანიზაციის პროცესშია. ჩვენი ძირითადი შემკვეთი რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო იყო და წლის ბოლომდე ამ გზით წარიმართება მუშაობა. მომავალში კი საქმიან კონტაქტებს დავამყარებთ სხვადასხვა სამინისტროებთან და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, საწარმოებთან (ფირმებთან).

*თქვენი საქმიანობის ქსელი მხოლოდ რესპუბლიკის ფარგლებს მოიცავს?*

– გადაწყვეტილი გვაქვს ჯერ-ჯერობით არ გავწყვიტოთ კავშირი ჩვენს ყოფილ მეთაურ ინსტიტუტთან. ამას გარდა, კონტრაქტები გვქონდა უნგრეთის, ლაიფციგის საბაზრო გამოკვლევების ინსტიტუტებთან. ბუნებრივია ეს კავშირები უფრო გაფართოვდება.

რამდენიმე ხნის წინ კავშირის მასშტაბით შეიქმნა მარკეტინგის საკავშირო ასოციაცია. გვინდა ასეთივე ასოციაცია შევქმნათ რესპუბლიკის მასშტაბით.

*ვინ გაერთიანდება მასში და რა იქნება ასოციაციის ძირითადი ფუქციები?*

– უპირველესად მასში გაერთიანდებიან სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტები და ის წარმოება-დაწესებულებები,

რომელთა ამოცანაა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და რეალიზაციაა. შესაძლებელია სასაქონლო ბირჟების გაერთიანებაც. ამ ასოციაციის საბოლოო მიზანი კი საქართველოს რესპუბლიკის ბაზრის ტევადობის განსაზღვრა და მომხმარებელთა მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებაა.

***მარკეტინგის ხაზით არსებობს საერთაშორისო ასოციაცია და მარკეტინგის ევროპის კომიტეტი. საქართველოს მარკეტინგის ასოციაციას თუ ექნება იქ მოხვედრის შანსი?***

– რა თქმა უნდა. ვიმედოვნებ, რომ როცა ასეთი ასოციაცია ჩვენს რესპუბლიკაშიც ჩამოყალიბდება, ის გახდება საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

*თქვენი ინსტიტუტის კვლევის არე მხოლოდ სახალხო მოხმარების საქონელზე, საშინაო ბაზრის პრობლემებით შემოიფარგლება?*

– აქამდე ასე იყო. მომავალში შეიძლება ამას დაემატოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო და სხვა დარგებიც.

*გამოდის, რომ თქვენი ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა სახალხო მდგომარეობის საქონლის ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა, მარკეტინგული გამოკვლევები, ინფორმაციული და სხვა მომსახურების გაწევა დაინტერესებული საწარმოებისათვის.*

– ძირითადად ასეა, მაგრამ ამას გარდა, ჩვენი მიზანია რესპუბლიკის სახალხო მოხმარების საქონლის ბაზრის შესწავლის თეორიული და ორგანიზაციულ-მეთოდური საფუძვლების დამუშავება და სრულყოფა.

*ჩვენს რესპუბლიკაში საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბების, სამარკეტინგო საქმიანობის გაშლის, ბაზრის კომპლექსური გამოკვლევისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესწავლისათვის სწორედ რომ დროულია თქვენი ინსტიტუტის ჩამოყალიბება.*

*გისურვებთ წარმატებებს ამ სასარგებლო საქმიანობაში.*

– დიდი მადლობა.

*(გაზეთი „რესპუბლიკური უწყებანი“, 29 ოქტომბერი, 1991 წელი)*

## მკითხველის შენიშვნები, მოსაზრებანი, სურვილები

გაზეთ „განათლება, მეცნიერება, ბიზნესის“ მეთორმეტე ნომერში ჩემი ყურადღება მიიპყრო აკადემიკოს ნუგზარ ალექსიძის სტატიამ „ბიზნესის არსი, მენეჯმენტის ფიგურა, კარნეგის წიგნი, ბიზნესი და მეცნიერება“. სტატიის ავტორი, ფაქტიურად, აქ ბიზნესის არსზე არაფერს ამბობს და იწყებს მსჯელობას ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესახებ. ბატონი ნუგზარი აღნიშნავს, რომ „სამწუხაროდ, ეკონომიკის სფეროში დამკვიდრდა უცხოური წარმოშობის ტერმინები, რომლებიც ეკონომიკურმა საზოგადოებამ რატომღაც ყოველგვარი კრიტიკის გარეშე მიიღო მაშინ, როდესაც ქართულ ენაში, საბედნიეროდ, გვაქვს მენეჯერის, მენეჯმენტის, მარკეტინგის და ბროკერის შესატყვისი ტერმინებიო“. მაგრამ აქედან იგი გვთავაზობს მხოლოდ სამი ტერმინის ქართულ ვარიანტებს, რომლებიც ჩვენი აზრით მიუღებელია: 1. მას მიაჩნია, რომ ბიზნესმენის (ინგლ.-საქმიანი ადამიანის) „სრულყოფილი ფორმა ერთ სიტყვად შერწყმული საქმოსანია“. ამ სიტყვების მნიშვნელობა არსებითად განსხვავებულია და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (1986 წ) გადმოცემულია შემდეგნაირად: საქმოსანი (საქმოსნისა) - ვინც თავის საქმიანობას პირადი, პრაქტიკული (ჩვეულებრივ კომერციული) მიზნებით ხელმძღვანელობს. საქმიანი - მუდამ საქმის მცოდნე; საქმის მოყვარული; საქმის მცოდნე-მესაქმე, გამრჯელი; 2. სტატიაში გაისმის კატეგორიული მოთხოვნა ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში „ქართული ფორმების“ დამკვიდრების შესახებ, თუმცა ინგლისური სიტყვა „ბროკერის“ ნაცვლად შემოთავაზებულია გერმანული წარმოშობის სიტყვა „მაკლერი“ (ქართულ ენაში დამკვიდრების გამო), მიუხედავად იმისა, რომ იგი „ავტორიტეტის შემლახავი“ ტერმინია; 3. გამოთქმულია არასწორი აზრი, თითქოს ბაზარი შეცვლილი იყოს მარკეტინგით. ამასთან დაკავშირებით, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბაზარი ინგლისურად არის „მარკეტ“ და არა მარკეტინგი.

სხვა ტერმინების (ბიზნესი, მენეჯმენტი, მენეჯერი, მარკეტინგი) ქართული შესატყვისობის შერჩევაზე პატივცემული ავტორი თავს იკავებს, რასაც შეიძლება მივესალმოთ, იმიტომ,

რომ ამ ტერმინებმა მოიპოვა ტრანსეროვნული მნიშვნელობა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა (საერთაშორისო ბიზნესის) ინტენსიფიკაციის პირობებში არცაა აუცილებელი ვეძებოთ მათი ქართული შესატყვისები, რადგან ინგლისური ენა გახდა საერთაშორისო ბიზნესის ენა.

ბიზნესმენი და მენეჯერი გაიგივებულია გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებული დოცენტ ირაკლი ნაცვალაძის სტატიაშიც. გაზეთის სხვა ნომერში დაბეჭდილი მასალებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი ავტორის მიერ სათანადოდ არ არის გაგებული ბიზნესის (კომერციის), მეწარმეობის არსი. მაგალითად, 1996 წლის № 11 გაზეთში გამოქვეყნებულია ინტერვიუ ქართული ბიზნესის აღორძინების საერთაშორისო საზოგადოების თავმჯდომარესთან, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთან თეიმურაზ ლომთაძესთან, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1831 წელს „კავკასიის სავაჭრო დეპოც" ჩამოყალიბდა, ხოლო ორი წლის შემდეგ „სოფლის მეურნეობის მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წახალისების საზოგადოებაც, ამით ხაზი გაესვა იმას, რომ ბიზნესი მხოლოდ ვაჭრობა, კომერცია კი არაა, არამედ მეწარმეობაც. აქედან აშკარად ჩანს, რომ გამიჯნულია (განსხვავებულადაა წარმოდგენილი) მეწარმეობა (მეწარმეები) და ვაჭრობა, კომერცია (ვაჭრები, კომერსანტები). მეწარმეობა კი ისეთი მრავალსახოვანი საქმიანობაა, როგორც ბიზნესი და, ვაჭრობაც მეწარმეობას განეკუთვნება. უფრო მეტიც, მეწარმეობის, ბიზნესის ისტორია იწყება ვაჭრობიდან. ტერმინი მეწარმეობა შემოიღო ფრანგმა ეკონომისტმა რიშალ კანტილონიმ, რომელიც ცხოვრობდა XVIII საუკუნის დასაწყისში. ბიზნესი კი ხმარებაში შემოვიდა უფრო მოგვიანებით.

***გ. შუბლაძე,*** *მარკეტინგის რესპუბლიკური*
*სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი*
*(გაზეთი „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი", მარტი 1997 წელი).*

## „სდასუ“-ში ყველა პირობაა პროფესიონალების აღზრდისათვის

მოკლე დოსიე:

**გიორგი შუბლაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის პროფესორი. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით: სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

1999 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს «მარკეტინგი» ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორია პროფესორი **გიორგი შუბლაძე**. ქართველ სწავლულ ეკონომისტთა შორის პირველი მეცნიერ-მკვლევარი მარკეტინგის დარგში, მარკეტინგის სალექციო და თეორიული მემკვიდრეობის შემქმნელი უმაღლეს სკოლაში. გარდა ამისა, არის ასზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი. მათ შორის ათი მონოგრაფიისა და შვიდი სახელმძღვანელოსი. თსუ-ის პარალელურად თანამშრომლობს „სდასუ“-ში. კითხულობს ლექციების კურსს: ბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ბიზნეს ფსიქოლოგია, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია.

ჰობი – ისტორიული ხასიათის ლიტერატურის კითხვა, თუმცა თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება.

ვესაუბრებით ამ საინტერესო პიროვნებას, „სდასუ“-ელთა გამორჩეულ ლექტორს.

- *ბატონო გიორგი, რამ მიგაღებინათ გადაწყვეტილება „სდასუ“-ში მოღვაწეობასთან დაკავშირებით?*

- რამდენიმე წლის წინ გავიგე, რომ «სდასუ»-ში კონკურსის წესით ღებულობდნენ პროფესორ-მასწავლებლებს. ამან ძალიან დამაინტერესა და წარმოვადგინე პროგრამები ორ საგანში – მარკეტინგსა და მენეჯმენტში, რომლებმაც მოწონება დაიმსახურეს. იმ დროისთვის ამ უნივერსიტეტს დიდი სახელი არ ჰქონდა. დღეს კი სხვა ფასიან სასწავლებლებთან შედარებით

ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი პირველია სწავლის დონის თვალსაზრისით: იგი უშვებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი სწავლისთვის. თანამედროვე მოთხოვნების დონეზეა ორგანიზებული სასწავლო პროცესი. მქონდა სხვა ფასიან სასწავლებლებშიც მიწვევა, მაგრამ ზოგიერთ მათგანს თავი ავარიდე. მე არ გამიგია, რომ «სდასუ»-ს ანალოგიურად რომელიმე სხვა კერძო სასწავლებელი ღებულობდეს პროფესორ-მასწავლებლებს კონკურსის წესით. «სდასუ»-ში პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა მაღალკვალიფიციურია, რაც თავის გამოხატულებას პოულობს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ხარისხსა და წოდებაში, მათ სამეცნიერო-პედაგოგიურ სტაჟში. ამ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს უნივერსიტეტის რექტორატი და თვით რექტორი, ბატონი თეიმურაზ ქორიძე.

- *როგორც ლექტორი, გრძნობთ თუ არა სტუდენტების მონდომებას და თანადგომას?*

- რა თქმა უნდა ვგრძნობ. «სდასუ»-ში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები და მე მიწევს რამდენიმე სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის როლის შესრულება. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტებიდან წელს კონფერენციაზე სამი სტუდენტი გამოვიდა. მათ შორის პირველი ადგილი დაიკავა ამავე კურსის სტუდენტმა თემურ ჯიქიამ.

- *როგორია ეკონომისტის როლი დღევანდელ რთულ სიტუაციაში?*

- ვინაიდან ჩვენ ავირჩიეთ კურსი საბაზრო ეკონომიკისკენ, სწორედ ამიტომ ეკონომიკა განსაზღვრავს ქვეყნის საერთო სიძლიერეს. აქედან გამომდინარე, ეკონომისტების როლი უაღრესად დიდია, რაც, სამწუხაროდ, სათანადოდ არ არის გაცნობიერებული.

- *თქვენი ყველაზე დიდი წარმატება ცხოვრებაში?*

-გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების საფუძველზე, როგორც გამონაკლისს, უმაღლესი სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მომენიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ვინაიდან ჩემი მეცნიერული შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებული იყო რუსულ ენაზე (მათ შორის, ერთი მო-

ნოგრაფია გამოიცა ქ. მოსკოვში). ეს იყო იშვიათი შემთხვევა ქართველ სწავლულ ეკონომისტთა შორის. ამას გარდა შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ ვიყავი რა "ვნიიკს"-ის საქართველოს ფილიალის დირექტორი, სსრკ-ის დაშლამდე ჩემი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ეროვნული მარკეტინგის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (1991 წელი), რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშია. ასეთი ინსტიტუტის შექმნა უპირველესი ამოცანაა. მაგრამ ბოლო პერიოდში იგი სათანადო დაფინანსების გარეშე დარჩა.

- *მოგონება, რომელიც ყველაზე ძვირფასია?*

- ვსწავლობდი თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე და სახალხო მეურნეობის ისტორიას გვასწავლიდა ცნობილი სწავლული ეკონომისტი აკადემიკოსი **პაატა გუგუშვილი**. მან თავისი წიგნი მაჩუქა წარწერით – „ავტორისაგან"... ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თუ მე რამეს მივაღწიე მეცნიერებაში, ყოველივე სწორედ ამ ამბავმა განაპირობა – ჩემი დიდი მასწავლებელი ჩემთვის მარად დარჩა ცოცხალ წიგნად.

- *და ბოლოს, რას უსურვებთ «სდასუ»-ს და მის სტუდენტებს?*

- უნივერსიტეტს სწავლამოწყურებულ სტუდენტთა სიმრავლეს, სტუდენტებს კი, უპირველესად, ჯანმრთელობას. გამოსულიყვნენ თავისი საქმის კარგი სპეციალისტები, რაც ასე სჭირდება ჩვენს სამშობლოს.

***ია ნანეიშვილი***
***მანანა ნიჟარაძე***
*(გაზ. «სდასუ», ოქტომბერი 2000 წ.)*

## ბიზნესის სფეროში აუცილებელია პროფესიონალები

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებამ ეკონომიკის ორგანული ნაწილი გახადა ბიზნესი. საქმე ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკაში, როგორც წესი, უნდა დომინირებდეს კერძო სექტორი, კერძო საქმიანობა. კერძო სექტორის დომინირება კი ფართო შესაძლებლობებს ქმნის ბიზნესის განვითარებისთვის – სწორედ ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე. ბიზნესის განვითა-

რება მოსახლეობის დასაქმების აუცილებელი წანამძღვარია და თუ სამუშაო ადგილები საკმარისი რაოდენობით შეიქმნება, საქართველოს ბევრი მოქალაქე დაუბრუნდება თავის ოჯახს, სამშობლოს... მაგრამ ბიზნესის სფეროს პროფესიონალი კადრები სჭირდება. აშშ-ში ასეთი კადრების მომზადებას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ცოდნის ისეთი დარგების დაუფლება, როგორიცაა მარკეტინგი და მენეჯმენტი. ცივილიზებულ ქვეყანაში მარკეტინგი ბიზნესის ფილოსოფიადაა აღიარებული, მენეჯმენტი კი ბიზნესის მართვის ფილოსოფიად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერ საწარმოს (ფირმას, კომპანიას), იმისდა მიუხედავად, სამრეწველოა იგი, სავაჭრო, საბანკო თუ ტურისტული, აუცილებლად ესაჭიროება მარკეტინგული მომსახურება, უამისოდ იგი სათანადოდ ვერ გაერკვევა ბაზრის (მომხმარებლების, კლიენტების) მოთხოვნილებებში და ვერ წარმართავს საქმიანობას რეალურად არსებულ გადახდისუნარიან მოთხოვნილებათა შესაბამისად. ყოველივე ამის საბოლოო შედეგი, ცხადია გაკოტრებაა. ამიტომ უცხოურ ფირმებში დიდია ხარჯები მარკეტინგულ მომსახურებაზე – ამ ხარჯებს ზოგიერთი საქონლის (მომსახურების) საცალო ფასში 50%-მდე უკავია. ესაა ბაზრის კომპლექსური გამოკვლევის, სარეკლამო და სხვა ღონისძიებათა დანახარჯები.

რაც შეეხება მენეჯმენტს, იგი უშუალო კავშირშია მენეჯერებთან - ამერიკული გაგებით, პროფესიონალ მმართველებთან. ე. ი. მენეჯერი განსაკუთრებული პროფესიის წარმომადგენელია, რომელმაც სპეციალური მომზადება გაიარა - იგი არ გახლავთ მხოლოდ ეკონომისტი ან ინჟინერი, რომელიც შეიძლება დირექტორის სავარძელში იჯდეს (როგორც ჩვენთან ხდება). ბიზნესის სფეროში ფირმის ეფექტიანი მუშაობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კომპეტენტურ მენეჯერებზე (მმართველებზე). ამიტომ ბიზნესმენები სამუშაოდ იწვევენ მხოლოდ პროფესიონალ მენეჯერებს, რომელთა შრომის ანაზღაურება ძალიან მაღალია.

მაშასადამე, სპეციალისტები, რომელთაც ბიზნესის სფეროში მოუწევთ მუშაობა, კარგად უნდა დაეუფლონ ისეთ საგნებს, როგორიცაა ბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგი, მენეჯმენტი და სხვ.

მართებულად არ მიგვაჩნია მოწოდება სასწავლებლად საზღვარგარეთ გამგზავრების თაობაზე. უფრო მიზანშეწონილია, საზღვარგარეთ ახალგაზრდა პერსპექტიული ლექტორები გავგზავნოთ სტაჟირებისთვის. რაც შეეხება სტუდენტებს, ისინი გაცილებით ნაკლები ხარჯებით მიიღებენ საჭირო ცოდნას თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მხრივ ყველა პირობაა შექმნილი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში (სდასუ), სადაც ფუნქციონირებს მარკეტინგისა და მენეჯმენტის კათედრა, აგრეთვე სხვა კათედრები, რომლებიც მსოფლიოში ცნობილი სასწავლო ცენტრების შესაბამისი პროგრამებით წარმართავენ სასწავლო პროცესს. მაგალითად, პროგრამა საგანში „მენეჯმენტის საფუძვლები“ ძირითადად შექმნილია ამერიკელი ავტორების მ. მესკონის, მ. ალბერტის, ფ. ხედოურის მიერ, ხოლო საგანში „მარკეტინგის საფუძვლები“ - ფ. კოტლერის, ბ. ბერმანის, ჯ. ევანსის, აგრეთვე სხვა ცნობილი უცხოელი თუ რუსი ავტორების მიერ გამოცემული წიგნების მიხედვით.

ხსენებულ კათედრებზე მოწვეულნი არიან და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები და დოცენტები, რომლებიც სათანადო თეორიული ცოდნის გადაცემასთან ერთად სტუდენტებს აცნობენ საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის კონკრეტულ პრობლემებს, ცალკეული საწარმოების (ფირმების) საქმიანობას. კათედრაზე და მთლიანად სდასუ-ში ყველაფერი კეთდება პროფესიონალი სპეციალისტების მოსამზადებლად. ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს მაძლევს ის ფაქტი, რომ შედარების საშუალება მაქვს – ბიზნესის საფუძვლებს, მარკეტინგსა და მენეჯმენტს ვასწავლი თსუ-ს კომერციისა და მარკეტინგის, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტებზე, ი.ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

***გ. შუბლაძე,*** *სდასუ-ს მარკეტინგისა და მენეჯმენტის თედრის გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.*
*(გაზეთი „სდასუ“, მაისი 2003 წელი).*

## წიგნის თარო

„გენერალისიმუსის“ მკითხველმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **გიორგი შუბლაძემ** რედაქციაში გამოგზავნილ წერილში ჩვენი ყურადღება მიაპყრო მოსკოვში ი. მუხინის წიგნის[1] *„სტალინისა და ბერიას მკვლელობის“* გამოცემას (ამ წიგნის გარეთა ყდაზეა ნ. ხრუშჩოვი თოფით ხელში) და მას სტალინიანაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი უწოდა. ეს ნაშრომი რომელსაც ავტორმა „მეცნიერულ-ისტორიული გამოძიება“ დაარქვა, მართლაც იმსახურებს ამგვარ მაღალ შეფასებას. ავტორი პირდაპირ ფაქტებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით სდებს ბრალს ორივე მკვლელობაში ნიკიტა ხრუშჩოვს და დაწვრილებით იძიებს ამ საუკუნის დანაშაულთა მიზეზებს და პერიპეტიებს. სტალინი და ბერია ი. მუხინის წიგნში „მსოფლიო ისტორიის ორ უდიდეს სახელმწიფო მოღვაწედ“ მოიხსენიებიან.[2]

ავტორის დებულებას შეიძლება შევეკამათოთ, მაგრამ უეჭველია, რომ ეს ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი უახლესი ისტორიის რეკონსტრუქციაში.

აქამდე იური მუხინი ცნობილი იყო, როგორც გახმაურებული ბესტსელერის „კატინის დეტექტივის“ ავტორი, რომელშიც მან დაამტკიცა, რომ კატინში 8 ათასი ტყვე პოლონელი სამხედრო ოფიცრის დახვრეტა შინსახკომის კი არა, გესტაპოელთა და შშ-ის ნაწილების კისერზეა. მის მიერ ჩატარებული გამოძიების თანახმად, ბრალდება, რომ პოლონელები საბჭოთა მხარემ სტალინის განკარგულებით დახვრიტა, რამდენიმე პოლონელმა მოღვაწემ შეთითხნა გორბაჩოვისა და იაკოვლევის (იმ დროს სკკპ ცკ-ის მდივანი პროპაგანდის დარგში) ხელშეწყობით.

---

[1] *წიგნის ეპიგრაფია: „თუ არ იცი, რისთვის მოკვდე, მაშინ არ ღირს სიცოცხლეც“.*

[2] *ამ წიგნის შემდეგ იური მუხინმა გამოსცა ორი წიგნი „ბერიას სახელობის სსრკ“ და „ასამართლებენ სტალინს“. მესამე წიგნიდან ნაწყვეტები დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რუბრიკით – „როცა ბრიყვნი ბრძენს ასამართლებენ“ (28 აგვისტო, 2010 წელი).*

*„გენერალისიმუსი“ რეკომენდაციას უწევს თქვენი წიგნის თაროსათვის ი. მუხინის ახალ წიგნს და მადლობას უხდის ბატონ **გიორგი შუბლაძეს**.*

*(გაზეთი „გენერალისიმუსი“, 1-7 დეკემბერი 2003 წელი).*

**გიორგი შუბლაძე,** თსუ პროფესორი (თბილისი): – ექსტრემალურ ისტორიულ სიტუაციაში ქვეყნის ხელმძღვანელობის ავტორიტარული სტილი მოითხოვს მაღალ კომპეტენტურობას, ნებისყოფას, მიზანსწრაფვას. ეს სრულად ახასიათებდა იოსებ სტალინს. მისი პიროვნების შეფასება სწორედ ისტორიული ეპოქის გათვალისწინებით უნდა მოხდეს და არა მხოლოდ დღევანდელობის საფუძველზე. ის ვინც ამ დებულებას უგულებელყოფს, ნიკიტა ხრუშჩოვის პოზიციაზე დგება. უვიცი ვაიქართველები, სამწუხაროდ, ასე იქცევიან.

*(გაზეთი „გენერალისიმუსი“, 24-30 ოქტომბერი, 2005 წელი).*

## მსოფლიო სტანდარტების კვალდაკვალ

სპეციალისტები, რომელთაც ბიზნესის სფეროში მოუწევთ მუშაობა, კარგად უნდა დაეუფლონ ისეთ საგნებს, როგორიცაა ბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგი, საერთაშორისო მარკეტინგი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, მენეჯმენტი და სხვა. მართებულად არ მიგვაჩნია მოწოდება სასწავლებლად საზღვარგარეთ გამგზავრების თაობაზე. უფრო მიზანშეწონილია საზღვარგარეთ ახალგაზრდა პერსპექტიული ლექტორები გავგზავნოთ სტაჟირებისთვის. რაც შეეხება სტუდენტებს, ისინი ნაკლები ხარჯებით მიიღებენ საჭირო ცოდნას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მხრივ ყველა პირობაა შექმნილი საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტში (სდასუ), სადაც ფუნქციონირებს მარკეტინგისა და მენეჯმენტის კათედრა. აგრეთვე სხვა კათედრები, რომლებიც მსოფლიოში ცნობილი სასწავლო ცენტრების შესაბამისია. ამ კათედრაზე და საერთოდ, სდასუ-ში ყველაფერი კეთდება პროფესიონალი სპეციალისტების მოსამზადებლად.

***გიორგი შუბლაძე,***
*სდასუ-ს მარკეტინგისა და მენეჯმენტის კათედრის გამგე.*
*(გაზეთი „სდასუ“, ივნისი, 2004 წელი)*

## გვჭირდება კი ასეთი კოდექსი?

ამ რამდენიმე თვის წინ სტუდენტმა მომიტანა ბროშურა „ქართული ბიზნესის ქცევის კოდექსი“, რომელიც შედგენილია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, სულ ხუთგვერდიანი ამ ნაშრომის ავტორია 36 კაცი, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ქართულ და უცხოურ ორგანიზაციებს. ავტორები განსაკუთრებულ მადლობას უცხადებენ იმ 200-ზე მეტ ბიზნესს (ალბათ ბიზნესმენს – გ. შ.) და 500-ზე მეტ დაინტერესებულ ადამიანს, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს გამოთქმული შენიშვნებისა და შესწორების სახით.

სამწუხაროდ ეს მცირე მოცულობის კოდექსი შედგენილია სერიოზული ხარვეზებითა და უზუსტობებით, როგორც შინაარსის, ასევე გაფორმების თვალსაზრისით. ამის თაობაზე გვინდოდა დავკავშირებოდით კოდექსის ავტორებს, შენიშვნებისა და წინადადებებისთვის მითითებული ტელეფონებით: 995 77 73 79 64 (ტარიელ ზივზივაძე), 995 32 25 14 37 (ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში, თბილისი, ნუცუბიძის ქ. 1.), მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა.

ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი შენიშვნები და წინადადებები გამოვთქვათ თქვენი გაზეთის მეშვეობით, რომელშიც ჯერ კიდევ 2001 წლის 27 ივნისის ნომერში ვწერდით, რომ ცნებები „ბიზნესი“ და „მეწარმეობა“ (სამეურნეო საქმიანობა), „ბიზნესმენი“ და „მეწარმე“ სინონიმები არ არის და აუცილებელია მათი გამიჯვნა.

ზემოთ ხსენებულ კოდექსში ნათქვამია, რომ იგი „წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს საქართველოში მოქმედი ყველა იმ მეწარმესათვის, რომელსაც სურს პასუხისმგებლური კორპორატიული ქცევის მქონე პირის რეპუტაციით წარსდგეს ქართული საზოგადოების წინაშე“ (გვ. 3). ამავე გვერდზე ვკითხულობთ: კოდექსი „ამავე დროს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი **მეწარმეების** თვითშეფასებისა და **თვითრეგულირების ინსტრუმენტს**, რომ ქართული ბიზნესის ქცევის კოდექსი ხელს უწყობს **ქართულ საქმიან წრეებში ბიზნესის წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას“** (ხაზგასმა ჩვენია – გ. შ.). ამავე გვერდზე (I განყოფილება),

რომელიც ეძღვნება საერთო დებულებებს, ცნებები „სამეწარმეო საქმიანობა“ (მეწარმეობა) და „ბიზნესი“ ნახმარია ერთი და იგივე მნიშვნელობით.

**ჯერ ერთი,** რამდენად სწორია კოდექსის სახელწოდება და საუბარი ბიზნესის ქცევის თაობაზე. ალბათ უპრიანია, საუბარი ბიზნესის სუბიექტების – მეწარმის, ბიზნესმენის, საწარმოს (კომპანიის) ქცევის შესახებ და ბიზნესის ეთიკასა და მორალზე, ბიზნესის მორალურ-ეთიკურ კოდექსზე (იხ. გ. შუბლაძე. ბიზნესის საფუძვლები, 2000, თავი 9). ამასთან „ბიზნესი“ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „საქმეს“, თუმცა სხვა ენაზე იგი არ ითარგმნება, ვინაიდან მან მოიპოვა ინტერნაციონალური მნიშვნელობა. ამის მიუხედავად, კოდექსის ავტორებმა რუსულ ვარიანტს მისცეს სახელწოდება „საქმიანი ქცევის ქართული კოდექსი“. საერთოდ, ქართული და რუსული ტექსტები არ არის ადეკვატური, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

**მეორე**, კოდექსის გამოცხადება სახელმძღვანელო დოკუმენტად ყველა მეწარმისათვის, ამავე დროს - მეწარმეების თვითრეგულირების ინსტრუმენტად, აგრეთვე, იმის აღნიშვნა, რომ კოდექსი ხელს შეუწყობს ქართულ საქმიან წრეებში ბიზნესის წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას, მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას იმის გამო, რომ კოდექსი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მეწარმეებით (ასეთი დოკუმენტი, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს ბიზნესის ყველა სუბიექტს). აქვე რუსულ ტექსტში სახელმძღვანელოს ნაცვლად ნახმარია სიტყვა „პოსობიე“, ინსტრუმენტის ნაცვლად - „მექანიზმი“ (ასევეა ინგლისურ ტექსტშიც), მეწარმეების თვითრეგულირების ნაცვლად - „ბიზნესი თვითრეგულირება“, საწარმოს ნაცვლად - „კომპანია“. ეს არ არის შეცდომა, მაგრამ უზუსტობაა.

**მესამე**. კოდექსში „მეწარმეობა“ და „ბიზნესი“ გამოიყენება ერთი და იგივე მნიშვნელობით. ამასთან, ნახმარია მხოლოდ „მეწარმე“ და ნახსენები არ არის „ბიზნესმენი“. უგულებელყოფილია ბიზნესის სფეროს საყოველთაოდ აღიარებული მართვის სპეციალისტები – მენეჯერები, რომელთა ნაცვლად ნახსენებია ხელმძღვანელი პირები, მმართველები.

**მეოთხე,** გაუგებარია მესამე განყოფილების დასათაურება: „ბიზნესი ბიზნესთან“. რუსული ტექსტის ეს განყოფილება დასათაურებულია შემდეგნაირად: „ბიზნესის (უნდა ვიგულისხმოთ ბიზნესმენების ან კომპანიების) ურთიერთობები“. აქვე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ამ განყოფილებაშია (სულ ექვსი განყოფილებაა) ნახსენები კომპანია, ხოლო დანარჩენ განყოფილებებში ყველგან მუხლები იწყება ასე: „ბიზნესი ითვალისწინებს“, „ბიზნესი პატივს სცემს“, „ბიზნესი აქვეყნებს“, „ბიზნესი უარს ამბობს“, „ბიზნესი იბრძვის“ და ა.შ.

**მეხუთე**. კოდექსის ბოლოს გამოქვეყნებულია ავტორთა სია ორგანიზაციების დასახელებით სამივე ენაზე, ანბანის, მაგრამ არა გვარების, არამედ სახელების მიხედვით. ქართულ ენაზე ზოგიერთი ორგანიზაციის დასახელება არაზუსტია (აგრიტექნიკს ჯგუფი, წეროვანი ჯგუფი და სხვ.), ზოგიერთის დასახელება კი ინგლისურ ენაზეა.

ჩვენ შევჩერდით მხოლოდ ძირითად ხარვეზებზე. აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებები მინიმუმამდე შემცირდებოდა, მოცემული კოდექსის შედგენაში მონაწილეობა რომ მიეღო ჩვენს უნივერსიტეტს, სადაც პირველად საქართველოში (1989 წ.) დაიწყო ბიზნესის სპეციალისტების მომზადება და ლექციების წაკითხვა საგანში „ბიზნესის საფუძვლები“.

***გ. შუბლაძე,*** *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,*
*საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა*
*აკადემიის აკადემიკოს-მდივანი.*
*(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 აპრილი 2005 წელი).*

## მიმართვა

## ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ, შეაჩეროთ ამ კანონის მიღება

გუშინ რედაქციაში შემოვიდა ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის კრების მონაწილეთა ხელმოწერილი მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია.

**ბატონო პრეზიდენტო,**

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიამ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზების შესახებ" პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი განიხილა აკადემიის საერთო კრებაზე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამჟამად და პერსპექტივაშიც აუცილებლად სახელმწიფო უნდა იყოს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით მიწის, ძირითადი მესაკუთრე, თუ მას სურს შეინარჩუნოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. ამის საწინააღმდეგო ქმედებისაკენ უბიძგებს საქართველოს ხელისუფლებას კანონპროექტი, რომელიც ყოველგვარი მეცნიერული და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების გარეშე არის შეტანილი პარლამენტში განსახილველად.

აღნიშნულ კანონპროექტში ის ძირითადი პრინციპიც კი უგულებელყოფილია, რომელსაც ითვალისწინებდა 1996 წელს მიღებული კანონი "სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების შესახებ", სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მიწა მიეყიდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს.

ახალი კანონპროექტი კი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გაყიდვას ითვალისწინებს, მაშინ როცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩეს სასაზღვრო ზონის მიწები, სარეზერვო ფონდი, რომელიც აუცილებელია სტიქიური მოვლენებით დაზარალებული მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად. ასევე თითოეულ რაიონს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართობები ახალგამოყოფილი კომლებისათვის საჭირო მიწების გადასაცემად. ახალი კანონპროექტით კი გათვალისწინებულია ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მთელი მიწის ფართობის, მათ შორის იჯარით გაცემული მიწების, გაყიდვა ნებისმიერ მოქალაქეზე, მათ შორის სხვა ქვეყნის "საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც". ამის შედეგად სხვა ქვეყნის მოქალაქეები ჩვენი ძირითადი ეროვნული სიმდიდრის კანონიერი მესაკუთრეები გახდებიან, რაც ეროვნული სახელმწიფოს დაშლის (რღვევის) ტოლფასია.

ეს რომ არ მოხდეს, საქართველოს სახელმწიფო უნდა დარჩეს იჯარით გაცემული მიწების მესაკუთრედ, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა. მაგალითად, აშშ-ში მიწების 45 პროცენტი იჯარითაა გაცემული, ისრაელში – 90 პროცენტი, ჰოლანდიაში – 60 პროცენტი და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ იჯარით გაცემულ მიწას რაციონალურად ვერ იყენებს მოიჯარე, უნდა შემუშავდეს მისგან სახელმწიფოსათვის მიწების დაბრუნების მექანიზმი. ამ გზით დაბრუნებული მიწები კვლავ იჯარის წესით უნდა გაიცეს სხვა მოქალაქეებზე, ე. ი. იმათზე, ვინც შეძლებს მათ რაციონალურად გამოყენებას.

ზემოაღნიშნული კანონპროექტის უცვლელად მიღება სულ მალე უმიწაწყლოდ დატოვებს ჩვენს მოსახლეობას. დიდი ილია ამიტომაც გვმოძღვრავდა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია “ენა, მამული, სარწმუნოება”.

ბატონო პრეზიდენტო, ვითვალისწინებთ რა ყოველივე ამას, დაბეჯითებით გთხოვთ, შეაჩეროთ აღნიშნული კანონის მიღება და საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებაში ფართოდ ჩააბათ მეცნიერები და სპეციალისტები.

**კრების მონაწილეთა სახელით**, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ლეო ჩიქავა, გიორგი შუბლაძე, ავთანდილ სულაბერიძე, შოთა ვეშაპიძე, როზეტა ასათიანი, ომარ ვაშაკიძე, გიორგი ღოღონაძე, ჯემალ შათირიშვილი, დემურ ჩომახიძე, ამირან ჯიბუტი, ანზორ თოთაძე, ევგრაფ კანდელაკი, გიორგი მალაშხია, ნუგზარ თოდუა, ლარისა ყორღანაშვილი, ვახტანგ ბურკაძე, რევაზ გოგოხია, რამაზ აბესაძე, ეთერ ხარაიშვილი, ვალერიან ზურაბიშვილი და სხვ.

*(საქართველოს რესპუბლიკა, № 129, 2 ივნისი. 2005 წელი).*

## პოლიტიკური ეკონომია, „ეკონომიკსი“ თუ ზოგადი ეკონომიკური თეორია?

ეკონომიკური თეორია ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა. იგი ახალ იდეების წარმოშობისა და აღმოჩენების შესაბამისად ვითარდება, იცვლება მის სფეროში გაბატონებული პარადიგმე-

ბი, ყალიბდება შესატყვისი კონცეფციები. თავიდანვე მისი დანიშნულება იყო სამეურნეო საქმიანობაში ადამიანთა ქცევის მოტივების კანონზომიერებათა დადგენა. ამ მეცნიერების წარმოშობა დაკავშირებულია დიდი ბერძენი მოაზროვნეების ქსენოფონტესა და არისტოტელეს სახელებთან. მაშინ მეცნიერებაში შემოვიდა ტერმინი «ეკონომია» მოცემულ ეტაპზე გამოყენებული ტერმინი «ეკონომიკა» ძირითადად იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. როგორც მეურნეობის სინონიმი (მსოფლიო მეურნეობა, ანუ მსოფლიო ეკონომიკა); ცალკეულ ქვეყნების, დარგების (სფეროების), საწარმოების ეკონომიკა და 2. ეკონომიკური მეცნიერების ეკონომიკური თეორიის აღსანიშნავად.

ეკონომიკური თეორიის, როგორც სამეურნეო საქმიანობის არსის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ სისტემატიზებული ცოდნის (მეცნიერების) დამკვიდრება იწყება XVI საუკუნიდან. ეს იყო მანუფაქტურის აღმოცენების, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების, საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაფართოების, ფულადი მიმოქცევის ინტენსიფიკაციის, ე. ი. მერკანტილიზმის ეკონომიკური თეორიის განვითარებაში პირველი სკოლის პერიოდი. ა. მონკრეტიენი, როგორც მერკანტილიზმის წარმომადგენელი, შევიდა ისტორიაში იმით, რომ შემოიღო ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“.

ეკონომიკურმა თეორიამ (პოლიტკურმა ეკონომიამ) შემდგომი განვითარება ჰპოვა უ. პეტის, ა. სმითის, დ. რიკარდოს, კ. მარქსის, ჯ. კეინსის და სხვათა შრომებში. ა. სმითი აღიარებულია როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი.

ცალკეული ეკონომიკური თეორიების (სკოლების) წარმოშობისა და მათ საფუძველზე საერთო ეკონომიკური თეორიის განვითარების კვალობაზე გამოიყენებოდა შემდეგი ტერმინები: „ეკონომია“, „ეკონომიკა“, „პოლიტიკური ეკონომია“, „თეორიული ეკონომიკა“ და „ზოგადი ეკონომიკური თეორია“. ტერმინების ევოლუცია გამოწვეულია ისტორიული მიზეზებით, მაგრამ ისინი, პირველის გამოკლებით, არსებითად ერთი და იგივე მუდმივად განვითარებადი მეცნიერების სახელწოდებაა, იკვლევს მეურნეობრიობის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, მოვლენებს, პროცესებს მათს ურთიერთკავშირსა და

ურთიერთდამოკიდებულებაში. იცვლება კონცეფციები, მიდგომები, აქცენტები კეთდება ეკონომიკური სისტემის (ცხოვრების) ამა თუ იმ მხარეზე, მაგრამ მეცნიერება რჩება ცალკეული ადამიანების, ჯგუფების, მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების შესახებ მეცნიერებად.

საბაზრო ეკონომიკაზე (ზოგიერთების აზრით-კაპიტალიზმზე) გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში პოლიტიკური ეკონომია ამოიღეს სასწავლო გეგმიდან და დაიწყეს ეკონომიკური თეორიისა და „ეკონომიკსის" სწავლება (ზოგიერთ შემთხვევაში პარალელურად იკითხება ლექციები ორივე საგანში, რაც ალოგიკურია). დაიწყო სატელევიზიო გადაცემა „ეკონომიკსი" (ასო „კ" შეიცვალა ასო „ქ"-თი) მაშინ, როდესაც ცნობილი ქართულ რადიოგადაცემას ვაშინგტონიდან აქვს რუბრიკა „ეკონომიკა და ბიზნესი". ქართულ ენაზე გამოდის (ძირითადად თარგმნილი) ლიტერატურა სახელწოდებით „ეკონომიკსი". ზოგჯერ მის სინონიმად იყენებენ ტერმინს „თეორიული ეკონომიკა".

ქართულ ლიტერატურაში „ეკონომიკსის" შემოჭრა გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა: 1. ზოგიერთმა რუსულმა გამომცემლობამ ინგლისური ენიდან თარგმნისას უცვლელად დატოვა «ეკონომიკსი», 2. ქართველი ეკონომისტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ „ეკონომიკსიც" ეკონომიკური თეორიაა, მაგრამ იგი არსებითად პრაგმატულად შეისწავლის შეზღუდული რესურსების გამოყენების პრობლემებს (პრაგმატული კვლევა), პოლიტიკური ეკონომია კი არსებითად აბსტრაქტული მეცნიერებაა; 3. ეკონომისტთა მეორე ნაწილს „ეკონომიკსი" საბაზრო ეკონომიკის თეორიად მიაჩნია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ეკონომიკსის" ერთ-ერთი ცნობილი ავტორი პ. სამუელსონი განიხილავს ეკონომიკური თეორიის საგანს და მისი ხუთი გავრცელებული დეფინიციიდან უპირატესობას ანიჭებს შემდეგს: ეკონომიკური თეორია არის მეცნიერება ადამიანების მიერ იშვიათი ან შეზღუდული მწარმოებლური რესურსების გამოყენების შესახებ სხვადასხვა საქონლის წარმოებისა და საზოგადოების წევრებს შორის მათი განაწილებისათვის მოხმარების მიზნით (ტ. 1, გვ. 6-7). ამასთან, იგი პირდაპირ წერს: ეკონომიკური თეორია, ანუ

პოლიტიკური ეკონომია, როგორც მას ჩვეულებრივად უწოდებენ (ხაზგასმა ჩვენია – გ. შ.) მჭიდრო კავშირშია საუნივერსიტეტო საგნებთან, სოციალურ მეცნიერებებთან, რომელთა შესწავლის საგანი ნაწილობრივ ემთხვევა ეკონომიკური თეორიის საგანს (იქვე, გვ. 8).

თუ „ეკონომიკსის" ზოგიერთი ავტორი მასში განიხილავს მეტწილად პრაქტიკულ საკითხებს და არსებითად მიანიჭებს პრაგმატულ ხასიათს, ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ „ეკონომიკს" და ეკონომიკური თეორია, ანუ პოლიტიკური ეკონომია სხვადასხვა მეცნიერებებია. ამასთან უშუალო კავშირი აქვს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ჯ. გელბრეითის შემდეგ გამონათქვამს: ეკონომიკსი, რჩება რა საბაზრომიკრო და მაკროანალიზის ვიწრო ფარგლებში, წყვეტს არსებობას როგორც მეცნიერება და იქცევა კონსერვატიულად გამოყენებულ სისტემად, რომელიც აცხადებს პრეტენზიას იწოდებოდეს მეცნიერებად.[1]

მსჯელობა იმის შესახებ, რომ „ეკონომიკსი" თითქოს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის თეორიას, უსაფუძვლოა. ეს მოგვაგონებს ახლო წარსულს, როდესაც სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია გამოაცალკევეს საერთო პოლიტიკური ეკონომიისაგან. ასევე მიგვაჩნია უსაფუძვლოდ მაკროეკონომიკური და სხვა თეორიების გამოყოფა ან კიდევ სახელმწიფო სექტორის ეკონომიკის გამოცხადება ეკონომიკური თეორიის ახალ განშტოებად. აქვე უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური თეორია (პოლიტეკონომია) უნივერსალური მეცნიერებაა, რომელიც ზოგად ასპექტში შეისწავლის მიკრო, მაკრო, მეგაეკონომიკის პრობლემებს. საბაზრო ეკონომიკა წმინდა სახით არ არსებობს არც ერთ ქვეყანაში და არც იარსებებს მომავალში. არამართლზომიერია ეკონომიკური თეორიის ნაცვლად „თეორიული ეკონომიკის" ხმარებაც.

აგრეთვე, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს ეკონომიკური თეორიის კურსის ნაცვლად „ეკონომიკის პრინციპების" შემოღება.

[1] *Galbraith J. K. Economics. Peace and Laughter, 1971, p. 63.*

რაც შეეხება პოლიტიკურ ეკონომიას, ვერავინ უარყოფს როგორც მეცნიერებას, იგი ისწავლება ევროპის, დსთ-ს და სხვა ქვეყნების ბევრ უნივერსიტეტსა და კოლეჯში. მაგალითად, ბელარუსში გრძელდება დისერტაციების დაცვა პოლიტიკური ეკონომიის შიფრით. მას სახელი გაუტეხა მარქსისტულ-ლენინურმა ინტერპრეტაციამ, ამიტომ უპირატესობას ვანიჭებთ ზოგად ეკონომიკურ თეორიას. იგი ყველა ეკონომიკური დისციპლინისა და მიმართულების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია, ვინაიდან ბევრ მათგანს გააჩნია თავისი თეორიები, მ. შ. ზოგადი თეორიაც კი (მაგალითად, სტატისტიკის ზოგადი თეორია).

ამრიგად, ზოგადი ეკონომიკური თეორია არის უძველესი უნივერსალური ერთიანი მეცნიერება, რომელიც განიცდის ევოლუციას ახალი ეკონომიკური მოვლენების, კონცეფციების შესაბამისად მემკვიდრეობითობის და არა ძველი ეკონომიკური თეორიის ახალი ეკონომიკური თეორიით შეცვლით.

ზოგადი ეკონომიკური თეორია საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის ერთადერთი აუცილებელი ეკონომიკური დისციპლინა ყველა არაეკონომიკური პროფილის (საინჟინრო, სამედიცინო, მათემატიკის, ფიზიკის და სხვ.) სტუდენტებისათვის, რომლებიც აძლევს მათ შესაძლებლობას, მიიღონ საჭირო ცოდნა ეკონომიკისა და ბიზნესის შესახებ.

***გიორგი შუბლაძე,*** *ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.*
*(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 03.04.2002 2005).*

## ღია წერილი

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ **მიხეილ სააკაშვილს**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ **დავით ბაქრაძეს**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს,
ბატონ **ნიკა გვარამიას**
პედაგოგთა და მეცნიერების პროფკავშირის პრეზიდენტს,
ქალბატონ **მანანა ღურჭუმალიძეს**

გარდამავალ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში, სხვა სფეროებთან ერთად, მეცნიერებასა და უმაღლეს განათლებას მწვავე პრობლემები შეექმნა, რომელთა გადაჭრისათვის რეფორმები ხორციელდება. მთლიანობაში მათ მხარს ვუჭერთ. ამასთან, ჩვენი აზრით, ამ სფეროს რეფორმირების პროცესს ახლავს ხარვეზები, რომელთაც ზიანი მოაქვთ ქვეყნისათვის. შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე.

ჯერ ერთი, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის საფუძველზე მოხდა სამეცნიერო ხარისხებისა და სამეცნიეროპედაგოგიური წოდებების გაუქმება, რის შედეგადაც ფაქტობრივად დაახლოებით რამდენიმე ათას ადამიანს ჩამოერთვა ინტელექტუალური საკუთრება, ღვაწლმოსილი მეცნიერები აღმოჩნდნენ ახალბედებთან გათანაბრებულნი, რამაც ბევრი შეუსაბამობა შექმნა. ეს თითქოს ბოლონიის პროცესის მოთხოვნით განხორციელდა, მაგრამ ევროპის ქვეყნებში ამგვარი ღონისძიებები არ ჩატარებულა;

მეორე, რამდენიმეჯერ შემცირდა პროფესორთა, განსაკუთრებით სრულ პროფესორთა შტატები უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ყოველივე ამისა და ჩატარებული კონკურსების შედეგად უნივერსიტეტში აქტიურ ნორმალურ მუშაობას ჩამოსცილდა, აკადემიური თანამდებობით ჩამოქვეითდა ან სულაც დაუსაქმებელი დარჩა სასარგებლო პედაგოგიური გამოცდილებისა და მეცნიერულ-შემოქმედებითი უნარის მქონე პროფესიონალთა არც თუ მცირე ნაწილი, აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა განათლებისა და მეცნიე-

რების სფეროს: სწავლულთა დიდი რაოდენობა მოღვაწეობის სათანადო პირობებისა და ფუნქციის გარეშე აღმოჩნდა, დაიკარგა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური პოტენციალი;

მესამე, დაწესდა ამ ეტაპზე ჩვენი სინამდვილის სპეციფიკის გათვალისწინებით მიზანშეუწონელი ასაკობრივი ცენზი აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის. ესეც მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს ჩამოაცილებს ცნობილ მეცნიერთა დიდ რიცხვს, რაც კიდევ უფრო გააუარესებს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორთა შემადგენლობას. ჩვენს სინამდვილეში მეცნიერთა ასაკობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით, ამგვარი ცენზის არამართლზომიერების შესახებ რამდენიმეჯერ იყო მინიშნებული საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, სხვა ხარვეზებთან ერთად, აფერხებს უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეს, სათანადო გამოყენების გარეშე ტოვებს მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების კვალიფიციურ კადრებს, უმნიშვნელოვანეს ადამიანისეულ კაპიტალს, ასევე მძიმე სოციალურ (მატერიალურ და მორალურ) მდგომარეობაში აყენებს ადამიანებს, რომელთაც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ქვეყნისათვის მაღალპროფესიულიო კადრების მომზადებასა და მეცნიერების განვითარებაში.

ასევე შევნიშნავდით, რომ არ შესრულებულა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს (2005წ. 27/XII) კანონის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა მეცნიერმუშაკთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა შემუშავებას 2007 წლის 1 იანვრამდე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებანი და მიიღოთ შესაბამისი ზომები აქ დასმული საკითხების გადასაწყვეტად.

მეცნიერებათა დოქტორებისა და პროფესორთა სახელით:

*ა. აბრალავა, რ. ასათიანი, რ. ბასარია, ნ. ბიჭიაშვილი, ვ. ბურკაძე, ბ. გაბიძაშვილი, პ. გარუჩავა, რ. გოგოხია, თ. დანელია, გ. დოლონაძე, ა. თოთაძე, შ. ვეშაპიძე, პ. ლემონჯავა, ვ.*

*ლორია, გ. მალაშხია, ი. მესხია, მ. ნანიტაშვილი, ნ. პაიჭაძე, გ. სახოკია, მ. ტურავა, შ. ქისტაური, რ. ქუტიძე, დ. ღაღანიძე, ე. ყანდაშვილი, ჯ. შათირიშვილი, რ. შენგელია, გ. შუბლაძე, პ. ჩაგელიშვილი, ნ. ჩიბალაშვილი, ლ. ჩიქავა, დ. ჩომახიძე, ს. ჩოჩიშვილი, ნ. ჭითანავა, ა. ჯიბუტი, ჯ. ჯინჯოლავა და სხვ.*

*(გაზეთი „რეზონანსი“, 13 იანვარი 2009 წელი)*

## КРИЗИС ПО "ГРАФИКУ?"

Кто платит, тот заказывает музыку. Исходя из этой житейской истины, непреодолимость экономического кризиса в Грузии отчасти уходит корнями в строгую наставническую политику, осуществляемую зарубежными финансовыми кругами. Поделиться своей точкой зрения об этой проблеме корреспонденты "СГ" попросили академика-секретаря Академии экономических наук Грузии, доктора экономических наук, профессора ТГУ **Георгия Шубладзе**. Автор около 130 научных трудов, 20 из которых вышли отдельной книгой, а пять - вузовские учебники, в своей последней монографии - "Актуальные вопросы рыночной экономики" - достаточно много внимания уделяет необходимости создания грузинской модели рыночной экономики. Своего рода антикризисного механизма.

- Приходится повторять в общем-то хорошо известные специалистам истины. В любой стране, в том числе и в Грузии, уровень развития экономики в первую очередь зависит от уровня развития бизнеса. Справедливость этого положения определяется всеми задействованными принципами рыночной экономики, которая у нас является как известно, смешанным видом экономики с доминированием частного сектора. Его доля в системе, по разным оценкам, должна составлять не менее 70 процентов. Таким образом, принцип развития рыночной экономики напрямую связан с самой системой развития бизнеса. В Грузии эти условия, к сожалению, пока что в необходимой степени отсутствуют. Или, увы, не работают. Отсюда катастрофический уровень безра-

ботицы, низкая товарность. Скажу больше, приблизительно до одного миллиона человек покинули страну в поисках заработков, работы. Преимущественно они нашли приют в России, Турции, странах Европы....

Подчеркну: в основном речь о развитии малого и среднего бизнеса, которые практически во всех странах не только берут на себя нагрузку в решении вопроса занятости, но и произ-водстве важнейших видов товарного ассортимента.

Более того, вместо всяческого содействия этой сфере и решения ключевых вопросов рыночной экономики, кое-кто из нынешних "отцов" грузинской реформы не стесняясь в выражениях, поносит в зарубежной прессе грузинских ученых. Предлагая в качестве спасительной экономической идеи "тотальную приватизацию". И забывая, как видно, что рыночная экономика - смешанная. В которой, разумеется, должен доминировать частный сектор. Однако наряду с этим имеют право на существование государственный и другие секторы. В этих условиях административный акцент на проведении преимущественной приватизации всех производств видится если не умыванием рук, то проявлением высокой степени экономического неве-жества и дешевого популизма. Пока что нашей экономике от подобной приватизации пользы мало. Большие серьезные проблемы и достаточно негативный социальный фон. Не претерпевший за проиденные годы существенной и, главное, положительной трансформации.

*Очевидно, можно предпологать, что грузинское приватизационное поле, за редким исключением, пока что не стало "средой обитания" серьезных и надежных инвесторов?*

- Это сложный вопрос. Уровень совпадения интерессов, как правило, всякий раз бывает неодинаковым: кому-то везет больше, кому-то меньше. Но, тем не менее, существует аксиома: в развивающиеся страны с достаточно высокой степенью риска идет, в первую очередь, прилив того капитала и средств, которые ищут высокий уровень прибыльности. Либо преследует какие-то собственные стратегические цели в интересах большого капитала. Это могут быть

проявления конкурентной борьбы или же борьбы за рынок сбыта. В этой связи достаточно убедительным является пример блокировки нашего продуктового ассортимента и практически добровольная уступка отечественного рынка импорту. В частности, турецкому. Становится понятной и стратегия-проигранной-борьбы в такой отрасли, как чаеводство. Даже по грузинским телеканалам преимущественно рекламируется зарубежная чайная продукция. Кстати, не отличающаяся особенными качественными параметрами. В то время как о грузинском чае просто забыли.

В большей степени повезло грузинскому виноделию. Партнерство с зарубежными фирмами в этой случае позволило даже занять определенную товарную нишу на зарубежном рынке. Однако это всего лишь эпизод, а не выигранная экспортная стратегия. Так как она, по сути, не защищена действующей грузинской моделью рыночной экономики. Ее просто пока что не существует. А о целесообразности задействования подобной схемы говорит лишь наука. Голосами ученых...

*Что должно лежать в основе грузинской модели рыночной экономики*?

- Начну с того, что модель рыночных отношений в тех или иных странах в точности не повторяется. В любом случае присутствуют специфические особенности, учитывающие местные условия. Это и есть основной подход, опирающийся на традиции, психологические особенности и многое другое. К сожалению, до последнего времени наша рыночная модель ориентируется на рекомендации и указания Всемирного банка и Международного валютного фонда.

Она в недостаточной степени отвечает местным интересам, за что расплачиваются не только произведственники (бизнесмены), но и подавляющая часть населения, не обеспеченная даже прожиточным минимумом.

Кроме того, об отсутствии паритета отношений свидетельствует достаточно красноречиво солидная оплата труда зарубежных экспертов и специалистов и мизерная - их привлеченных грузинских коллег. Это явно неравноправное

партнерство. Причем, в экономическом плане не решающее ни мобилизационных возможностей страны, ни стратегических задач обозримого будущего.

Представьте, даже достаточно высокая степень активности партнеров за минувшие шесть-семь лет обернулась лишь тем, что поддерживает практически на достигнутом уровне общее социальное "нездоровье нашего общества": стабильное соотношение обменного курса валюты и ползущие усиленными темпами в последнее время вверх цены.

Такому положению явно не позавидуешь, и вся надежда - на хирургическое экономическое вмешательство, которое осуществляется бессистемно и без учета местных особенностей. В результате вместо усиления социальных функций государства получается нечто походее на "бег на месте".

Это обстоятельство, кстати, довольно хорошо понимают и наши иностранные партнеры. В их эмоциальных и красноречивых оценках грузинской действительности доминируют примеры идеологического демократического продвижения и глобальной стратегии в этом аспекте. В то время, как экономические уроки не вспоминаютя или же сознательно замалчиваются. Между тем, по логике вещей демократические перемены должны идти рука об руку с положительным экономическим преобразованием общества.

*Вернемся к грузинской модели экономики...*

- Она, с моей точки зрения, должна взять за основу конкретную идею. Такой идеей, полагаю, должно стать развитие туристического потенциала страны: с его индустриальной основой, сферой обслуживания и "привязанными" промышленными и аграрными отношениями. Словом, должно найти место в сегодняшней жизни и прежние наши стратегические отрасли как в промышленности, так и в сельском хозяйстве. Это предельно общий и схематичный взгляд на концепцию, которая на научном уровне требует детальной разработки и тщательного анализа. В этом случае достаточно показательным и востребованным частично может оказаться прошлый опыт функционирования, в особенности аграрного производства.

Сегодня, как подсказывает жизнь, не столь проблематично вырастить урожай или произвести продукцию - что также достаточно сложно, - сколько обеспечить ее заготовку и реалиизацию. Так что старые схемы централизованных действий вне всякого сомнения могут сослужить добрую службу. Цель определяется своеобразным "лоббированием" и способствованием производству заданных объемов и пропорций чайной продукции, продукции виноградства, цитрусоводства, животноводства...

*Словом, агрокомплекс "социалистического образца"?*

_ Почему бы нет? Если полноценно будут функционировать система сбыта и укреплены позиции товаров на внешнем рынке. Да и внутренний рынок, учитывая стратегию туризма, должен стать значительно более товароемким. Мы обладаем ценнейшим опытом организации и индустриального производства чайной продукции, цитрусоводства, продукции птицеводства, овощей и фруктов, консервной продукции, соков... Все это перестало функционировать и забывается. Почему? Стоит срочно разобраться, понять характер собственных ошибок с тем, чтобы больше их не повторять. А для этого нужна стратегия, программа экономиического развития грузинского образца.

Хочу еще повторять следующую мысль. Вывести страну из глубокого кризиса могут лишь те, кто будет опираться не на идеологические догмы или зарубежные модели, а на глубокий анализ хозяйственной практики, на наши исторические и культурные традиции, на опыт мировой цивилизации. Курс должен быть выбран на строительство такого общества, которое станет синтезом собственного опыта и достижений всего человечества.

В этой связи, по моему мнению, необходим творческий подход к так называемому "испанскому экономическому чуду". Этот опыт может быть использован в Грузии для проведения реформ наиболее эффективно. Примечателстьно, что в условиях режима Франко в Испании был рынок, но присутствовали в нем и "советские детали". Например,

испанские четырехлетки и планы социально-экономического развития.

Для нас весьма значителен опыт вхождения Испании в Евросоюз. Крестьяне в этой стране традиционно вырашивали виноград, маслины. В основном эта прдукция реализовывалась  внутри страны и система представлялась незыблемой. Однако путь испанцев в ЕС потребовал радикальных изменений и учета евростандартов. Что потребовало внедрения новых производственных технологий. Это был весьма сложный и болезненниый процесс. Однако страна сумела консолидировать и мобилизовать силы с тем, чтобы работать по европейским стандартам, найти свое место на европейском рынке...

Нам предстоит решать те же задачи. Другой дороги у нас попросту нет.

*Марика Каландадзе*
*Юрий Гвиндадзе*
*"Свободная Грузия", 28 июня 2005 года.*

## V. გ. შუბლაძის დაბადების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ზოგიერთი მასალა



პატივცემულო გიორგი შალვას ძევ!

ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანატი, პარტბიურო, პროფბიურო, ალკკ კომიტეტი, ვაჭრობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკის კათედრა გულითადად მოგესალმებით და გილოცავთ დაბადების 50 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 27 წლისთავს.

1957 წლიდან თბილისის ი.ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების დღიდან განვლილი საინტერესო და შინაარსიანი გზა - დაიწყეთ რა ასისტენტობით მუშაობა, პარალელურად წარმატებით მოიპოვეთ და დაამთავრეთ ასპირანტურის კურსი და 1970 წელს წარმატებით დაიცავით საკანდიდატო დისერტაცია. 1962 წლიდან თანამშრომლობთ ჩვენს ფაკულტეტზე და მიგყავთ სალექციო კურსები სპეციალურ საგნებში: „ვაჭრობის ეკონომიკა" და „ვაჭრობის მართვა". ფაკულტეტზე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ეწევით ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას - ხელმძღვანელობთ სახალხო მეურნეობის საქონლით მომარაგების მართვის და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს.

გამოქვეყნებული გაქვთ 50-მდე მეცნიერული შრომა, რომელთაგან აღსანიშნავია სახელმძღვანელო ვაჭრობის მართვის კურსში, რომელიც 2-ჯერ გამოიცა ქართულად (1976, 1981 წ.წ.) და ერთხელ რუსულად (1982 წ. მოსკოვი). აღნიშნული სახელმძღვანელოებით ქართული ეკონომიკური კადრების მრავალი შთაობა დაეუფლა და დიდი დახმარება გაუწია სტუდენტ ახალგაზრდობას. თქვენი პატივისცემის დიდ აღიარებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ წლების მანძილზე გიჭირავთ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეობა და ხართ სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ყოველივე ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს თქვენი თავ-

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

15.05.84

# Дорогой Георгий Шалвович!

Руководство, партийная, профсоюзная и комсомольская организации ВНИИКСа сердечно поздравляют Вас со славным юбилеем — **50-летием** со дня рождения! Юбилей в жизни человека – событие знаменательное. Мы знаем, что сегодняшний Ваш юбилей как нельзя более отвечает этому высокому назначению.

Мы высоко ценим Ваши знания и опыт ученого и руководителя, внесшего немалый вклад в развитие науки в области изучения и прогнозирования спроса населения в Грузинской ССР.

Вызывают уважение Ваши глубокие знания проблем торговли. Являясь автором многих научных трудов, Вы способствуете пропаганде достижений науки, внедрению их в практику.

В этот торжественный день желаем Вам, Георгий Шалвович, крепкого здоровья, большого личного счастья, новых творческих успехов.

| | |
|---|---|
| Директор института | А. В. Орлов |
| Секретарь партбюро | И. А. Кочнева |
| Председатель профкома | Е. Б. Мясин |
| Секретарь комсомольской организации | И. Н. Задирако |

## ТЕЛЕГРАММЫ

Тбилиси, улица Барнова 137

Директору Грузинского филиала ВНИИКСА Шубладзе

Уважаемый Георгий Шалвович колектив литовского филиала чувством сердечной теплоты поздравляет вас пятидесятилетним юбилеем. Желаем крепкого здоровья долгих лет плодотворной творческой деятельности.

*Гинтас Буславичюс. Вильнюс*

Тбилиси, улица Барнова 137

Директору Шубладзе

Уважаемый друг Георгий Шалвович колектив латвийского филиала вниикса и я лично сердечно поздравляем вас юбилеем. Дорогой друг желаем вам крепкого здоровья, личного стастья, творческих успехов в науке. По ручению колектива -

*Ян Линдберг. Рига*

Тбилиси, улица Барнова 137

Директору Шубладзе

Колектив эстонского филиала вниикса сердечно поздравляет знаменательным юбилеем. Желаем здоровья, творческой успехов, неугасаемой энергии при виполнении задач стоящих перед филилом.

*Борис Левин. Таллин*

## ღრმად პატივცემულო, ბატონო გიორგი!

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია გულითადად მოგესალმებათ თქვენ როგორც ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს, ამ აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და უცვლელ აკადემიკოს-მდივანს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორსა და გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს წევრს, ღირსების ორდენის კავალერს და გილოცავთ დაბადებიდან სახელოვან 70 წლისთავს.

აღსანიშნავია, რომ თქვენ, საქართველოს ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში – ჩხოროწყუს რაიონის სოფ.ახუთში დაბადებულმა და აღზრდილმა ახალგაზრდამ, 1957 წელს წარჩინებით დაამთავრეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში სპეციალობით დაიწყეთ მუშაობა. მაგრამ თქვენი მოწოდება იმთავითვე იყო რა მეცნიერული მოღვაწეობა, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრეთ ასპირანტურა და სრულად ახალგაზრდა ასაკში წარმატებით დაიცავით დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელსაც, სხვებთან ერთად, დადებითად გამოეხმაურა „საბაზრო სოციალიზმის" თეორიის მიმდევრად აღიარებული, იმ დროისათვის საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი მეცნიერი პროფ. ე. ლიბერმანი. კიდევ უფრო წარმატებული იყო თქვენი სადოქტორო დისერტაციის დაცვა, რომელიც, უმაღლესი საატესტაციო კომისიის თანხმობით, მოხდა გამოქვეყნებული ნაშრომების (მათ შორის 1982 წელს მოსკოვში დასტამბული მონოგრაფიის) საფუძველზე მოხსენების სახით.

ბატონო გიორგი, დირექტორის რანგში თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში უძღვებოდით რა კონიუნქტურისა და მოთხოვნის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს, შემდეგ კი მის ბაზაზე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 1991 წლიდან პირველად პოსტსაბჭოურ სივრცეში შექმნილ მარკეტინგის რესპუბლიკურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, აქ თქვენ სრულად გამოავლინეთ თვალსაჩინო მკვლევარისა და მეცნიერების დიდი ორგანიზატორის საუკეთესო თვისებები.

ქართველი ეკონომისტები (და არა მარტო ეკონომისტები) თქვენ დიდ პატივს გცემენ და გაფასებენ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ თქვენთვის ჩვეული შემართებით ეწევით ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევაძიებას და სისტემატურად აქვეყნებთ ღრმაშინაარსიან ნაშრომებს, მათ შორის, სქელტანიან მონოგრაფიებს, რომელთა საერთო რიცხოვნობა 125-ს აღემატება. დიდად სასიამოვნოა, რომ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს ხვდებით ახალი მონოგრაფიით -„საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები" (2004), რომელშიც შეჯამებულია თქვენს მიერ უკანასკნელ ათწლეულში გამოკვლეული ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა ბიზნესისა (მათ შორის, ტურისტული ბიზნესის) და მეწარმეობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის; მარკეტინგისა და მენეჯმენტის ადგილი და როლი საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში; საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელის არსი და ა.შ.

ფრიად საყურადღებოა ის, რომ თქვენ ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას შესანიშნავად ათავსებთ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტი ახალგაზრდობის პედაგოგიურ-აღმზრდელობით საქმიანობასთან. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თბილისის უნივერსიტეტში თუ როგორ ჩაუყარეთ საფუძველი ისეთი ახალი

საგნების წაკითხვას, როგორიცაა ვაჭრობის მართვა, მენეჯმენტი, ბიზნესის საფუძვლები, ბიზნესის ფსიქოლოგია, მარკეტინგი.

თქვენ თვალსაჩინო წვლილი მიგიძღვით ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდაშიც. საკმარისია აღინიშნოს, რომ თქვენი მეცნიერული ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით დაცულია 13 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია. ბევრჯერ ყოფილხართ დისერტაციების ექსპერტი, ოფიციალური ოპონენტი (საქართველოს გარეთაც).

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ბატონო გიორგი, თქვენ აქტიური საზოგადო მოღვაწეც ბრძანდებით. მხედველობაში გვაქვს ის, რომ რამდენიმეჯერ იყავით არჩეული ქ.თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატად, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ, ამავე რაიონის პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ, საკავშირო ჟურნალ „სოვეტსკაია ტორგოვლია“ სარედაქციო საბჭოს წევრად (1978-1988 წწ.), საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრად და ა.შ.

მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, საზოგადოებაში, თქვენს გამორჩეულ ავტორიტეტს აპირობებს თქვენთვის ჩვეული უმწიკვლოება, აკადემიურობა, ინტელექტი, ზომიერების გრძნობა, შრომისმოყვარეობა, კაცურკაცობა და პრინციპულობა.

ბატონო გიორგი, გისურვებთ დღეგრძელობას, ცხოვრებისეულ კმაყოფილებას და კვლავაც თქვენთვის ჩვეული შემართებით მოღვაწეობას ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი ლ.ჩიქავა

# ბატონო გიორგი!

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, კომერციისა და მარკეტინგისა და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატები გულითადად გილოცავენ დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 47 წლისთავს.

1957 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ განვლეთ სახელოვანი და შინაარსიანი გზა – დაიწყეთ რა სპეციალობით მუშაობა, პარალელურად დაამთავრეთ ასპირანტურა, წარმატებით დაიცავით საკანდიდატო დისერტაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდენტობის წლებში, სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა, რასაც დღემდე მადლიერებით იხსენებენ თქვენი კოლეგები.

1962 წლიდან მოწვეული ბრძანდებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად, სადაც 40 წელზე მეტია ახალგაზრდული შემართებით ემსახურებით სტუდენტთა აღზრდის საქმეს. წლების განმავლობაში იყავით სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის, და შემდგომ, ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის მასწავლებელი; ვაჭრობის ეკონომიკისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კათედრის დოცენტი; საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის კათედრის პროფესორი; საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე, ბიზნესისა და მენეჯმენტის პროგრამის (კათედრის) ხელმძღვანელი. ამჟამად ხართ ორივე ფაკულტეტის პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევრი, უნივერსიტეტში თქვენ მიგყავდათ სალექციო კურსი საგანში – "ვაჭრობის ეკონომიკა", 1974 წლიდან თქვენ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყეთ ლექციების წაკითხვა ვაჭრობის მართვაში, შემდგომ – მენეჯმენტში, მარკეტინგში, ბიზნესის საფუძვლებში და ბიზნესის ფსიქოლოგიაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თქვენი შრომები: გამოქვეყნებული გაქვთ 125-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის ცალკე წიგნად გამოცემული–19), აქედან 5 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო, 7 მონოგრაფიული გამოკვლევა. ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცემულია რუსულ და ინგლისურ ენებზე. ნაყოფიერია თქვენი მუშაობა ეკონომიკური ტერმინოლოგიის დარგში, რის შედეგადაც იშვიათი გამონაკლისის წესით, გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე დაიცავით სადოქტორო დისერტაცია. ნაყოფიერად ხელმძღვანელობთ ასპირანტებსა და მაძიებლებს, რომელთაგან უკვე ცამეტმა მოიპოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ბატონო გოგი, თქვენ ბრძანდებით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი საბჭოსა და პროფესორთა საბჭოს წევრი, სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს წევრი, უნივერსიტეტის ვეტერანთა ორგანიზაციის წევრი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აკადემიკოს-მდივანი.

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის 1999 წელს დაჯილდოებული ბრძანდებოდით ღირსების ორდენით, სხვადასხვა დროს მიღებული გაქვთ მთავრობის სხვა ჯილდოებიც.

2004 წლის 26 აპრილს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დავალებით, უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა საზეიმოდ გადმოგცათ უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო – ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო მედალი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ბატონო გიორგი, სახელოვან იუბილეს და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და დიდი ხნის ოჯახურ ბედნიერებას თქვენს შესანიშნავ მეორე ნახევართან, ქალბატონ მზიასთან ერთად.

თსუ პრორექტორი,
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპოდენტი,
**პროფესორი** **/...ჩილაგაძე/**

კომერციისა და მარკეტინგის
ფაკულტეტის დეკანი,
დოცენტი **/ი. აღეიშვილი/**

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის
დეკანი, ეკ. მეცნ. კანდ.
პროფესორი **/გ. ბაბუნაშვილი/**

## გარითმული სადღეგრძელო გიორგის

წლები მიდიან შფოთვით და ბორგვით.
დრო ძვირფასია და საშიშია.
იყავ ორას წელს, ჩვენო გიორგი,
რას ჩივი, გითხრან ყვავის ჯიში აქვს.

აზრი ლოგოსის ფილტრში ნაწური,
გამოგყვა, გულიც გიძგერს მართალი,
ბევრსა სწამს, რომ ხარ კაცი კაცური,
შენცა გწამს ძმობა და სამართალი.

დღეს მოვიგონოთ დრო სტუდენტობის,
ცოდნის ტაძარი, ოცნების მთები,
დრო სიყვარულის და ქამი წრთობის,
შორს გასაფრენად ასხმული ფრთები...

დღეს აქ ახუთიც უნდა ვახსენოთ,
შალვას სიმართლე, რომ მოგდევს გენით,
ცხრაწყაროს რაკ-რაკს მივაპყრათ სმენა,
ვიმღეროთ ნანა მეგრული, ჩვენი.

ეჰე, დროც ბევრი გასულა პარვით,
დიდების გვქონდა ერთდროს წყურვილი,
ქვეყნის გასაკვირს თუმც არ ვქმნით არვინ,
სირცხვილი ჩვენც არ ვჭამეთ პურივით.

თუმცა ვერ გავხდით ჩვენაც გმირები,
რაც ვალად გვერგო, არ დაგვითმია,
ქვეყანას თვალში არ ვეჩხირებით,
რაცა ვართ, ისიც დიდი ტვირთია.

დრო კიდევა გვაქვს დავიგრიალოთ,
ახალგაზრდულად სჩქეფს კიდევ სისხლი.
უმიზნოდ ქვეყნად არ დავყიალობთ,
მამულზე ვფიქრობთ ღამით და დღისით.

წლები მიჰქრიან, ვით ტალღა ბორგვით,
შფოთვით რომ მისდევს ნაპირს ქვიშიანს,
რომ იყოს ორას წელსაც, გიორგი,
ღირსია, ვისაც შენი ჯიში აქვს.

*მეგობრული სიყვარულით*
***გია მალაშხია***
*15 მაისი, 1984 წელი*

## ანდრეი ორლოვი[1]

## ქართველ მეგობარს გიორგი შუბლაძეს

მცხეთის, გზების, სოფლების, შესანიშნავი მეგობრების
მიერ ჩემთვის გადახსნილი გულების, არანაკლებ ძვირფასი
საქართველოს მოსაგონრად.

ისტორია რომ შებღალეს, ქრისტეს რჯულიც დაგმეს,
უწმინდურებს საკუთარი ბედი უხმოდ ანდეს.
ნამუსზეა მათზე ჩვენი გაყინული კერები,
მეგობრობის შეწყვეტილი ის ტკბილი სიმღერები.
თვისუფლების გზას ვერ გაივლი,
უმანკო სისხლი თუ არ დაღვარე,
ბორკილთმსხვრევაში შენ შენი წილი
თუ არ იგემე რაღაც სიმწარე.
ჩვენმა შვილებმა უნდა ილაღონ,
თავისუფლების იპყრობდეთ მადა,
ჩვენ ის გვეყოფა ბრძნულ და უნაღვლოს
რომ სადღეგრძელოს გვეტყვის თამადა.
ყველა რომ დავლევთ მუკუზანს კიდევ,
ღვინოს ღვთის მადლი რომ დაენათლა...
ო, ის რამდენ მზეს, ჰაერს, ცრემლს იტევს,
ჩვენი სიცოცხლის წვეთია მართლაც....
მადლია შენი კურთხეულ მიწის,
ჩემო გიორგი, რისიც გწამს ფიცი.

---

1 *ა. ორლოვი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „ვნიიკს“-ის დირექტორი*

ჩემო კეთილნო და მშობლიურნო,
ჩემო ძვირფასნო, სულნო და გულნო.
გამეხარდება კინტოც რომ მოვა,
სტუმრებს შეხვდება მზია ღიმილით.
ჩემო კარგებო, მე თქვენში ვპოვე
დიდი შვება და დიდი ტკივილიც.
ვფიქრობ თქვენზე და ისაა ძნელი,
რომ ნაღვლითა გვაქვს სავსე ეს მკერდი.
ჩემზეც და თქვენზეც დავღვარე ცრემლი,
მატირებს ყველა ჩვენგანის ბედი.
ახლა ღმერთს უნდა ვუხადოთ ვალი,
რადგან წავბილწეთ ქრისტეც, წარსულიც,
რადგან მონები ვიყავით ძალის,
კერის და ძმობის გვძრავს აღსასრული.
ო, როგორ მინდა გულში ჩაგიკრათ,
გიგრძნოთ, სათქმელი ბოლომდე გითხრათ.
ვიცი, რომ ერთად ღმერთს როგორც სურს,
ვიხდით ჩვენ ჩვენი ცოდვის საფასურს.

*მოსკოვი, 11 მაისი, 1991 წელი*
*(თარგმანი გ. მალაშხიასი, ლექსის პირველი რუსული ვარიანტიდან)*

## АНДРЕЙ ОРЛОВ

Грузинскому другу Георгию Шубладзе

Историю взорвав. Христа продав...
И грязным людям свои судьбы вверив,
На совести у них остывший наш очаг,
И дружбы нашей разрываемые узы.
Пусть наши дети, добрый мой Георгий,
Глотнут Свободу полной Грудью.
За нас, за нас!

Пусть скажет свое слово Тамада.
И вместе с нами выпьет Мукузани
Чудесное, забытое вино!
Из солнца. И из соков.

Земли Твоей прекрасной,
Мой Георгий.

О, милые и близкие друзья!
Мечтаю Вас обнять и вашу боль унять.
Ведь вместе платим Богу
По предъявленному счету.

* * *

**Пусть скажет свое слово Тамада**

*г. Москва, 1991; 2002 годы*

*(В книге "Трилогия - Мутанты живут в болоте - книга первая: Болото").*

**Георгию Шалвовичу**

Не помню... кто сказал когда-то,
Что все торжественные даты
Необходимо отмечать,
А юбиляра поздравлять.
Полсотни! Это много или мало?
Хотелось знать Ваш дружеский совет.
Не только тот кто прожил эти годы,
Сумеет дать нам правильный ответ.
Хотим желать мы Вам пока...
"Здоровья, счастья - на века!"
В предверье молодости третьей
Хотим Вам дружно пожелать.
В минуты радости и счастья,
Так и только так держать!
Идти проторенным путем.
"Твои года - твое богатство..."
Вот так теперь мы все поем.

От имени маленького, но дружного коллектива отдела кадров ВНИИКСа.

***Вера Калякина***

*15 мая 1984 г.*

**მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-**
**კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს,**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს,**

**პროფესორ გიორგი შუბლაძეს**

დრმად პატივცემულო ბატონო გიორგი,

გულითადად გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. თქვენ საზოგადოება გიც-ნობთ როგორც ერის ღირსეულ შვილს, მაღალკვალიფიციურ მეცნიერ-ორგანიზა-ტორს, პედაგოგს.

როგორც მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, წლების მანძილზე თქვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ მეცნიერების განვითარების და სპეციალისტების მომზადებაში.

გულითადად გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახურ ბედნიერებას, ახალ დიდ წარმატებებს სამეცნიერო-შემოქმედებით და პედაგო-გიურ მოღვაწეობაში ერის საკეთილდღეოდ.

**პატივისცემით,**
**საქართველოს რესპუბლიკის**
**პრემიერ-მინისტრის**
**მოადგილე**

**ი. მენაღარიშვილი**

## გიორგი შუბლაძე 65 წლისაა

პროფესორი გ. შუბლაძე დაიბადა 1934 წლის 15 მაისს. 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1968 წელს კი ასპირანტურა. ბატონი გიორგი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა, მაგრამ არასოდეს შეუწყვეტავს უნივერსიტეტთან კავშირი; მუშაობის პარალელურად იგი ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1989 წლიდან იგი არის „სპეცფაკულტეტის" - ბიზნესის უმაღლესი სკოლის, ხოლო შემდეგ საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის – ბიზნესის და მენეჯმენტის პროგრამის (კათედრის) ხელმძღვანელი. საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები ულოცავენ ბატონ გიორგი შუბლაძეს 65 წლის იუბილეს.

გაზეთი „ახალგაზრდობა და ბიზნესი" უერთდება მილოცვას და პროფესორ გ.შუბლაძეს უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყოველივე კარგს!

*(გაზ. „ახალგაზრდობა და ბიზნესი", 1999 წელი, მაისი).*

## რაიონის სახელოვანი ადამიანები „მზე შუადღისა"

„ჩვენი მიწა დიდი შარაგზაა, ჩვენ კი მისი მგზავრები ვართ", მაგრამ მთავარია, როგორ ივლი ამ დიდ შარაგზაზე და რა სარგებლობას მოუტან შენს მიწას, მხარეს და შენს ერს. ლეონარდო დავინჩის უთქვამს კარგად დახარჯული სიცოცხლე დღეგრძელი სოცოცხლეაო. ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც სანთელივით იწვის და ერის უმწიკვლო სამსახურში მისხალ-მისხალ იხარჯება და თავისი ხალხის სიყვარულით იდაფნება.

ფრიად სასიხარულოდ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი რაიონის სახელოვანი შვილი გიორგი შალვას ძე შუბლაძე. რა კურსით მიმოვიხილოთ ბატონ გიორგის რაობა.

დაიბადა 1934 წლის 15 მაისს ჩხოროწყუს რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს და გამორჩეულ სოფელ ახუთში.

1952 წელს გიორგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-ტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იგი ერთ-ერთი საუ-კეთესო და ფრიადოსანი სტუდენტია უნივერსიტეტში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხორებაში, არის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომა-რე, ალკკ კურსბიუროს მდივანი, მომხსენებელთა ჯგუფის წევრი.

1957 წელს მან წარჩინებით დაამთავრა სწავლა სახელმწი-ფო უნივერსიტეტში, უცილობლად იყო გადაწყვეტილი მისი ასპირანტურაში დატოვება, მაგრამ შრომითი სტაჟის გარეშე ეს შეუძლებელი გახდა, რის გამო ახალგაზრდა ეკონომისტს მუშაობა უხდება საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სის-ტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ ხელმძღვანელ სამუშაოზე.

1968 წელს ბატონი გიორგი წარმატებით ამთავრებს დი-სერტაციას, იმ დროისათვის მეტად აქტუალურ თემაზე: „წარ-მოებისა და ვაჭრობის კავშირურთიერთობის საკითხები“. პრაქტიკულმა გამოცდილებამ და განსაკუთრებით თეორიულ-მა განსწავლულობამ, მისცა საშუალება ახლებურად და ორი-გინალურად გაეანალიზებინა აღნიშნული პრობლემა.

გ. შუბლაძე მთლიანად „იძირება“ მეცნიერული კვლევა-ძი-ების უკიდეგანო ოკეანეში. ინტენსიურად იკვლევს საქონელ-მიმოქცევის თეორიის, ვაჭრობის მართვის, ბაზრის, მოთხოვ-ნისა და მისი პროგნოზირების პრობლემებს, აქვეყნებს ვრცელ ნაშრომებს ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებ-ზე. 1976 წელს დაისტამბა მისი წიგნი „ვაჭრობის მართვის სა-ფუძვლები“, რომელიც სტუდენტებისათვის სამაგიდო და დამ-ხმარე სახელმძღვანელო გახდა. ეს პირველი სახელმძღვანე-ლო იყო მთელ საბჭოთა კავშირში.

მართვის პრობლემებზე გამოქვეყნებული მასშტაბური შრომის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობით და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საატეს-ტაციო კომისიის გადაწყვეტილებით შედგა გიორგი შუბლაძის მიერ სადოქტორო დისერტაციის ერთჯერადი დაცვა. ამასთან დაკავშირებით მისმა პირველმა ოპონენტმა, საქართველოში

ცნობილმა ეკონომისტმა, პროფესორმა ლეო ჩიქავამ აღნიშნა: „მოქმედი დებულების თანახმად მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი შეიძლება მიენიჭოს პიროვნებას სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილ ნაშრომზე, გამონაკლისი წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ავტორის მიერ საფუძვლიანად და მრავალმხრივ არის შესწავლილი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა გამოქვეყნებულია კვლევის შედეგები და ნაშრომს აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. სწორედ ასეთ გამონაკლისად და საგანგებო შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ გიორგი შუბლაძის მიერ სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, სადაც მაღალმეცნიერულ და პროფესიულ დონეზე გაშუქებულია სადისკუსიო საკითხთა ფართო წრე. დისერტანტი მეცნიერულ კამათში არ ერიდება მაღალ ტიტულოვან ავტორიტეტებს...

დისერტანტი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი პირველთაგანი სწავლული ეკონომისტია, რომელმაც სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა მართვის ეკონომიკური პრობლემების შესწავლას. დისერტანტი კარგად განსწავლული, დიდი გამოცდილების და მაღალი ინტელექტის მქონე სპეციალისტია“.

გიორგი შუბლაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველად საქართველოში მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „საბაზრო ეკონომიკის პრობლემები“. იგი აფართოებს კვლევის თემატიკას საბაზრო ეკონომიკის პრობლემების მრავალმხრივ ასპექტებზე. იბეჭდება მისი შრომები მიკროეკონომიკურ საკითხებზე. ასევე მისი მეცნიერული სტატიები სისტემატურად ქვეყნდება საკავშირო გამოცემებში.

ბატონი გიორგი 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია. მათ შორის ცალკე წიგნად ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემულია 15, აქედან 5 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა, 4 კი მონოგრაფიული გამოკვლევაა.

იგი 40 წელია იღწვის თბილისის მშობლიურ უნივერსიტეტში. დროთა განმავლობაში იყო სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის მასწავლებელი,

ვაჭრობის ეკონომიკისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კათედრის დოცენტი, საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის კათედრის პროფესორი.

ამჟამად სამრეწველო საქონელმცოდნეობის და კომერციის კათედრის პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია.

1973 წელს ბატონ გიორგის თავს დაატყდა დიდი უბედურება, მოულოდნელად გარდაიცვალა შვილი თამრიკო, რომელიც მეხუთე კლასის მოსწავლე იყო, დიდი მეცნიერი არ დაეცა სულიერად, მან თვალი თვალში გაუყარა უბედურებას, უარი თქვა ყოველგვარ რიტუალზე და თამრიკოს ნათელ სახელს და მის დაუვიწყარ ხსოვნას ორი წიგნი მიუძღვნა.

ნათქვამია „ოჯახის ჯამი სახელმწიფოაო“, ამჟამად მშვენიერი ოჯახი აქვს საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერს, მეუღლე ქალბატონი მზია დამსახურებული პედაგოგია, მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის საპატიო წოდება და იღწვის მოსწავლეთა სულიერი დაპურებისთვის, ქალიშვილი ლელა სახელოვანი მამის გაკვალულ გზას გაჰყვა და სპეციალობით ეკონომისტია, მოწოდებით კი მხატვარი.

მისი ცხოვრებისეული მრწამსის მთავარი მაყარი ყოველთვის იყო საქმისადმი ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობა, მომეტებული თავმდაბლობა, პატიოსნება და შრომითი კოლექტივის წევრებისადმი თბილი დამოკიდებულება.

ბატონო გიორგი! ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთიდან წამოვიდა თქვენი ბავშვობა, ბურთაობა და ღერცხენაობა, ქართული ანბანის პირველი მონახაზი, პირველი მეგობარი, პირველი მასწავლებელი, დედა ენა და პირველი წიგნი, ბავშვური სითბოთი გამთბარი, ბაბთიანი გოგონას უმანკო ცრემლით ნაჟური პირველი სასიყვარულო წერილი. სოფელი ასეთი თქვენი განცდილი ქრუანტელის დაუვიწყარი ადგილია.

ამჟამად სამყაროში სახელგანთქმულ მეცნიერს, როგორ დაგავიწყდებათ ჯერ მოკლე შარვლით ტაატი, შემდეგ ყვინჩილობისას დილის ცვარში ჯიქურ ნავარდი, წისქვილის ბორბლის ტრიალი და სარეკელას ქაქანი, ასეთი ცელქი მოგონება ჭარმაგობისას და ხანდაზმულობისას ღვთიური მადლით შუქურ მანათობელ ვარსკვლავად გაჰყვება ბედნიერებით დაყურსულ თქვენს ლამაზ ცხოვრებას.

თქვენი მშობლიური ჩხოროწყუს რაიონის ხელმადლიანი მშრომელები, ძარღვიანი ინტელიგენცია, მშობლიური გულკეთილობით გილოცავთ დაბადებიდან 65 წლისთავს და ქვეყნის დიდ ჯილდოს – ღირსების ორდენს. ეს საგაზეთო წერილი მხოლოდ გრანია იმ დიდი დამსახურებისა და ტიტანური შრომისა, რაც თქვენ გასწიეთ სამშობლოს წინაშე. მაგრამ ყველაზე ტკბილია თქვენს მიმართ იმ დითირამბებსა და რეგალიებს შორის, ვინაიდან ეს მშობლიური კუთხიდან ალალი და ღვთიური გამოძახილია და თან სულიერად დამაპურებელი და დამაიმედებელი შეძახილიც.

კვლავ წინ ბუნების უმაღლესი ჯილდო ჯანმრთელობისა და მეცნიერებათა ევერესტისაკენ, მაფშალიას გემოიან მელოდიაზე თქვენ სათაყვანებელ ოჯახთან ერთად კვლავაც 65 გაზაფხულს უგალობეთ რიხით. თქვენ ცხოვრებასა და შემოქმედებით მეცნიერულ მოღვაწეობაში ჯერ მხოლოდ შუადღეა, მაგრამ „მზე შუადღისა უფრო მწველია, უფრო თაკარა“.

***ვარლამ როდონაია***
*(გაზეთი „ჩხოროწყუ“, 7 ივლისი 1999 წელი).*

P.S. ეს წერილი ჩართულია ვარლამ როდონაიას ძალიან საინტერესო წიგნებში „რაც დავიწყებით არ იბინდება“ და „ფესვები“, ქუთაისი, 2000 (480 გვ.); 2009 (716 გვ.)

## ესეც გმირობა ყოფილა

წლები ადამიანს არ ცვლის, უფრო სწორად, ვერ ცვლის. შეიძლება მოტყდეს, დაბერდეს, მაგრამ რაცა ხარ, იმას, ვერავინ შეცვლის. როგორც იტყვიან, გული არ ბერდება, არც ადა-

მიანობა და კეთილშობილება იკარგება. ეს ის ძვირფასი საგანძურია, რასაც დრო ვერ ერევა.

ერთიც სათქმელია, როცა მთელი ცხოვრება ახალგაზრდებთან გაქვს ურთიერთობა (ასწავლი, მეგობრობ, ხვდები), განწყობაც მარადიულად ახალგაზრდული გრჩება. მათთან ერთად მათი თვალით უყურებ ცხოვრებას და არ გავიწყდება, რომ ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა ვინმეს სჭირდები.

ბატონი გიორგი შუბლაძე პროფესორია, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მან თითქმის ორმოცი წელი გაატარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს კი იმდენი დროა, როცა ყველა მთელი სიგრძე-სიგანით ხედავს შენს საქმესაც, პიროვნულ ღირსებებსაც და მოღვაწეობის მნიშვნელობასაც. მას კი სახელიან კაცად იცნობენ უნივერსიტეტში.

საქართველოში პირველად მან დაიწყო ლექციების კურსის კითხვა ვაჭრობის მართვაში. დღესაც აქტიურად იკვლევს საქონელმიმოქცევის (ვაჭრობის) თეორიის, ვაჭრობის მართვის, ბაზრის და მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების პრობლემებს. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული უნივერსიტეტში ისეთი ახალი საგნების სწავლებისთვის საფუძვლის ჩაყრა, როგორიცაა მარკეტინგი, მენეჯმენტი, ბიზნესის საფუძვლები, ბიზნესის ფსიქოლოგია.

პროფესორი გიორგი შუბლაძე 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია, მათ შორის ცალკე წიგნად გამოცემულია 15. ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცემული აქვს რუსულ ენაზე. აღსანიშნავია მისი მუშაობა ეკონომიკური ტერმინოლოგიის დარგში.

ბატონ გიორგის ახალგაზრდებთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს. ადამიანის თვისებებიდან კი ყველაზე უფრო აფასებს პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, ზომიერების გრძნობას, თავმდაბლობას და პრინციპულობას. ასეთი ცხოვრებისეული მრწამსით ხვდება იგი დღევანდელ საიუბილეო თარიღს – დღეს, 15 მაისს იგი 65 წლის ხდება. ვულოცავთ და ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

წუთისოფელს რომ კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე, ესეც გმირობაა დიდი.

***გაიოზ ნადირაშვილი,*** *თსუ კათედრის გამგე, პროფესორი („დილის გაზეთი“, 15 მაისი 1999 წელი).*

## დამსახურებული მეცნიერი და აღმზრდელი

70 წელი შეუსრულდა დამსახურებულ მეცნიერსა და ახალგაზრდობის აღმზრდელს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრს, პროფესორ გიორგი შუბლაძეს. დამსახურებული პედაგოგი დღესაც დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებს აღმზრდელ პროფესორ-მასწავლებლებს, გამოჩენილ მეცნიერებს - პაატა გუგუშვილს, ვასილ ჩანტლაძეს, ირაკლი მიქელაძეს, გიორგი გეხტმანს, არჩილ გოკიელს, არჩილ ფანცხავას, ნიკო იაშვილს, კასიანე მეგრელიძეს, იოსებ ბაჯაძეს.

გიორგი შუბლაძემ უნივერსიტეტში სტუდენტობის პერიოდში გამოავლინა სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მუშაობისადმი დიდი ინტერესი, იყო სტუდენტთა სამეცნიერო წრის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი სემესტრების აქტიური მონაწილე, რისთვისაც არაერთი მადლობა დაიმსახურა. თანამშრომლობდა უნივერსიტეტის გაზეთში და სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს სტუდენტური ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან.

უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში. ახალგაზრდა სპეციალისტს ნიშნავენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, რომელთაც წარმატებით გაართვა თავი. ამავე დროს კავშირს არ წყვეტს უნივერსიტეტთან – დაუსწრებელი სწავლების ფორმით ამთავრებს ასპირანტურას და 1970 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას. მეცნიერი წარმატებით ხელმძღვანელობდა ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში სამეცნიერო-კვლევითი პროფილის სტრუქტურებს:

ჩამოაყალიბა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ლაბორატორია, 1976-1991 წლებში ხელმძღვანელობდა „ვნიიკს"-ის საქართველოს ფილიალს, 1991-2000 წლებში მუშაობდა ამ ფილიალის ბაზაზე მისი ინიციატივით შექმნილ მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად.

ბატონი გიორგი ლექციებს 1962 წლიდან კითხულობს. იყო ეკონომიკური პროფილის სხვადასხვა კათედრაზე ჯერ მასწავლებლად, შემდეგ დოცენტის, პროფესორის თანამდებობაზე; ამჟამად კომერციის, სასაქონლო ექსპერტიზისა და ტურიზმის კათედრის პროფესორია. ფაქტიურად მისი ინიციატივით დაიწყო ლექციების ციკლი ისეთ საგნებში, როგორიცაა ვაჭრობის მართვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ბიზნესის საფუძვლები. მის მიერ შედგენილი იქნა პროგრამები და გამოიცა სახელმძღვანელოები: ვაჭრობის მართვა (1981 წ.), მენეჯმენტი (1998 წ.), მარკეტინგი (1999 წ.), ბიზნესის საფუძვლები (2000 წ.). გიორგი შუბლაძე 150 სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის 9 მონოგრაფიისა, მათგან ორი რუსულ ენაზეა გამოცემული.

იგი დღესაც აქტიურად იკვლევს ბიზნესის, მარკეტინგის და მენეჯმენტის პრობლემებს. საინტერესო ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული მეცნიერულ ბრუნვაში შემოსულ ახალ ტერმინებზე, ცნებებსა და კატეგორიებზე.

ამაგდარი პროფესორი სტუდენტების გულისხმიერი აღმზრდელია. კონსულტაციას უწევს სტუდენტებს სადიპლომო და სამაგისტრო შრომების, სხვადსხვა დონის კონფერენციებისთვის მოხსენებების მომზადების დროს, ეხმარება ასპირანტებსა და მაძიებლებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ცამეტი საკანდიდატო დისერტაცია. გარდა იმისა, რომ არის სადისერტაციო საბჭოების წევრი, ხშირად იწვევენ როგორც ცნობილ სპეციალისტს დისერტაციების ექსპერტად, ოპონენტად. ბატონი გიორგისთვის დამახასიათებელია პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა და პრინციპულობა.

ასეთი ცხოვრებისეული მრწამსით შეხვდა იგი თავის საიუბილეო თარიღს. ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი

წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის მედლითაა დაჯილდოვებული. მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდოც.

***იზოლდა ალეიშვილი,*** *კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანი.*
***გაიოზ ნადირაშვილი,*** *კომერციის, სასაქონლო ექსპერტიზისა და ტურიზმის კათედრის გამგე*
*(გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 13 მაისი 2004 წელი).*

## როცა წლები ვერ გვაბერებენ

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი შუბლაძე დაიბადა 1934 წლის 15 მაისს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში.

1957 წელს გიორგი წარჩინებით ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტს და იწყებს მუშაობას ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში სპეციალობით. 1971 წლიდან აწინაურებენ სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსად. წარმოებიდან მოუწყვეტლად წარმატებით ამთავრებს ასპირანტურას და იცავს საკანდიდატო დისერტაციას ფრიად აქტუალურ – წარმოებისა და ვაჭრობის პირდაპირი კავშირების პრობლემატიკაზე.

1976 წლიდან გიორგი გადაიყვანეს „ვნიიკს"-ის (მოთხოვნისა და კონიუნქტურის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) საქართველოს ფილიალის დირექტორად, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირსა და საქართველოში საბაზრო გამოკვლევათა ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება იყო. აქ იგი აშკარად წარმოჩინდა არა მარტო როგორც ფართო დიაპაზონის მეცნიერი, არამედ როგორც საუკეთესო ორგანიზატორიც. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (1983 წ.) გ.შუბლაძე, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის ერთ-ერთი მიმართულების – „სა-

ვაჭრო-სამრეწველო კომპლექსის“ პრობლემური კომისიის თავმჯდომარე, წარმართავს ამ დარგთაშორისი პრობლემის დამუშავებას.

იგი ინტენსიურად იკვლევს საქონელმიმოქცევის (ვაჭრობის) თეორიის, მართვის, ბაზრისა და მოთხოვნის პრობლემებს. მეცნიერული ახალი ტერმინების, ცნებებისა და კატეგორიების შემოღებასთან დაკავშირებით აქვეყნებს ნაშრომებს ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზე. უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა წიგნი „ვაჭრობის მართვა“ (1981 წ.), რომელიც განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის. ეს წიგნი პირველი იყო არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც. შემდეგ მართვის პრობლემებზე გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი. გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის შუამდგომლობითა და სსრკ უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით შედგა გ. შუბლაძის მიერ სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო მოხსენების (დისერტაციის დაუწერლად) წესით დაცვა. ასეთი იშვიათი გამონაკლისი კეთდებოდა იმ შემთხვევაში, როცა ავტორის მიერ საფუძვლიანად და მრავალმხრივ შესწავლილი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის კვლევის შედეგები ნათლადაა ასახული გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომებში.

ბაზრის, საბაზრო ეკონომიკის, მარკეტინგის და მენეჯმენტის პრობლემები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. გ. შუბლაძის ინიციატივით „ვნიიკს“-ის საქართველოს ფილიალის ბაზაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით 1991 წ. პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში (სსრკ დაშლამდე) იქმნება მარკეტინგის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამას წინ უძღოდა ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მარკეტინგის შესახებ პოზიტიური შეხედულებების დამკვიდრება. უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (1986 წ.) გიორგი გამოდის მოხსენებით „საქონლის რეალიზაციის პრობლემები სოციალიზმის დროს და მარკეტინგი“ (თეზისები დაიბეჭდა), აქვეყნებს ჟურნალში მეთაურ სტატიას „მარკეტინგი და მისი გამოყენების პირობები“ (ეკონომისტი, 1990, №9), მისი ხელმძღვანელობი-

თა და თანაავტორობით გამოიცა ლექციების კურსი „მარკეტინგი და კომერციული საქმიანობა“ (თსუ, 1991 წ.) და სხვ. პირველად საქართველოში მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „საბაზრო ეკონომიკის პრობლემები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის, საგეგმო კომიტეტთან არსებული ინსტიტუტის, თსუ და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლებმა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია გიორგის მოღვაწეობა ახალგაზრდა სპეციალისტებისა და მეცნიერ-მუშაკთა აღზრდაში. 1962 წელს მას იწვევენ ლექციების წასაკითხად მშობლიურ უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში მან ჩაუყარა საფუძველი ისეთი ახალი საგნების წაკითხვას, როგორიცაა ვაჭრობის მართვა, მენეჯმენტი, ბიზნესის საფუძვლები, ბიზნესის ფსიქოლოგია, მარკეტინგი. მისი რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო „მენეჯმენტი“ (1998 წ.), სახელმძღვანელო „მარკეტინგი“ (1999წ.), 2000 წელს კი გ. შუბლაძის დამხმარე სახელმძღვანელო „ბიზნესის საფუძვლები“. პროფესორ გ. შუბლაძის ხელმძღვანელობით დაცულია ცამეტი საკანდიდატო და ორი სადოქტორო დისერტაცია, ბევრჯერ იყო დისერტაციების ექსპერტი, ოპონენტი (საქართველოს ფარგლებს გარეთაც), არის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

პროფესორი გ. შუბლაძე 125-ზე მეტი გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომის ავტორია, მათ შორის, ცალკე წიგნად გამოცემულია 19. აქედან 5 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა, 7 კი მონოგრაფიული გამოკვლევა. ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცემულია რუსულ ენაზე, რამდენიმე კი ინგლისურ ენაზე.

გიორგი ადამიანის დადებითი თვისებებიდან გამოყოფს პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, ზომიერების გრძნობას, თავმდაბლობას, კაცურკაცობასა და პრინციპულობას. ასეთი ცხოვრებისეული მრწამსით ხვდება იგი თავის საიუბილეო თარიღს.

გიორგი შუბლაძე სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი

სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით (1999 წ.), ივანე ჯავახიშვილის მედლით (2004 წ.) და სხვ.

ვუსურვებთ იუბილარ მეგობარს დღეგრძელობას და კვლავაც ჩვეული შემართებით მოღვაწეობას ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

***ლეო ჩიქავა***
*საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,*
*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.*

***იზოლდა ალეიშვილი***
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის*
*ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი.*

***გაიოზ ნადირაშვილი***
*თსუ კათედრის გამგე, პროფესორი*

*(„საქართველოს რესპუბლიკა“, 15 მაისი 2004 წელი).*

ღრმად პატივცემულო, ბატონო გიორგი!

სულითა და გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს — დაბადების 60 წლისთავს.

დიდად შემოქმედებითი და ნაყოფიერია თქვენი ღვაწლი რესპუბლიკის მიმოქცევის სფეროს პრაქტიკისა და თეორიის პრობლემების კვლევის დარგში.

ცხოვრების განვლილი გზის დიდი ნაწილი თქვენ შემოქმედებითად მიუძღვენით ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას. თქვენ ბრძანდებით საქართველოში მიმოქცევის სფეროს ეკონომიკის, მართვის ორგანიზაციის (მენეჯმენტის) და მარკეტინგის პრობლემების ერთ-ერთი პირველი მკვლევარი და ორგანიზატორი.

თქვენი პრაქტიკული გამოცდილება, თეორიული მომზადების დონე და ხელმძღვანელობის ორგანიზატორული ნიჭი ფართოდ გაიშალა მოსახლეობის მოთხოვნისა და ბაზრის კონიუნქტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის პროცესში, რომელიც შემდგომში თქვენივე ინიციატივით გარდაიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის მარკეტინგის რესპუბლიკურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად. სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელობის პროცესში თქვენ გამოავლინეთ მეცნიერ-ორგანიზატორის უნარი. გისურვებთ წარმატებას, რათა ინსტიტუტმა კვლავაც შეინარჩუნოს რესპუბლიკაში საბაზრო პრობლემების კვლევის ფლაგმანობა.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას პარალელურად თქვენ ეწევით აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ხართ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქონელმიმოქცევის სფეროს ეკონომიკისა და მართვის კათედრის პროფესორი. 70-იანი წლების დასაწყისში თქვენ პირველი შეუდექით უნივერსიტეტში მიმოქცევის სფეროს მართვის კურსის სწავლებას და უმოკლეს დროში შესძელით სრულყოფილი სახელმძღვანელოების შექმნა. თქვენი მრავალრიცხოვანი შრომები გამოირჩევა ღრმა მეცნიერული დონით და სარგებლობს საყოველთაო აღიარებით.

ბატონო გიორგი, თქვენ ბრძანდებით კეთილსინდისიერი მოქალაქე, მაღალკვალიფიციური მეცნიერი და ორგანიზატორი. გისურვებთ შემოქმედებითი შრომის პირობებს, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ოჯახურ ბედნიერებას.

**მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრი**

**მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

**მარკეტინგის რესპუბლიკური საინფორმაციო-სავაჭრო კომპლექსი**

პატივცემულო, ბატონო გიორგი!

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ნამდვილი წევრი თქვენც ბრძანდებით, გულითადად მოგესალმებათ და გილოცავთ დაბადებიდან 65 წლისთავს.

ჩვენ—თქვენს კოლეგებს გვახარებს და გვეამაყება ის, რომ თქვენ ამ თარიღს ხვდებით მეცნიერული პროდუქციით დატვირთული და დამსახურებული რეგალიებით დამშვენებული. რად ღირს მარტო იმის აღნიშვნა, რომ თქვენ საქართველოს ერთ-ერთ შორეულ სოფელ ახუთში დაბადებული და ამავე სოფლის სკოლადამთავრებული პიროვნება დღეისათვის ბრძანდებით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მარკეტინგის მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი.

საქართველოს სწავლულ ეკონომისტთა შორის თქვენ სარგებლობთ მაღალი ავტორიტეტით, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ გამოქვეყნებული გაქვთ 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10-ზე მეტი მონოგრაფიული გამოკვლევა და სახელმძღვანელო, თანაც არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც, რაც ფრიად მისასალმებელი და დასაფასებელია. თქვენ ბრძანდებით პირველი ქართული სწავლული ეკონომისტი, რომელმაც მაღალკვალიფიციურად შესრულებული ნაშრომები გამოაქვეყნეთ საბაზრო ეკონომიკის პრობლემატიკაზე, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მოთხოვნის პროგნოზირება და ბაზრის რეგულირება, მარკეტინგი, მენეჯმენტი და ბიზნესი და სხვ.

აღსანიშნავია თქვენი ნაყოფიერი, შემოქმედებითი მოღვაწეობა ეკონომიკური ტერმინოლოგიის დახვეწის მიმართულებით, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის.

თქვენ შესანიშნავად უთავსებთ მეცნიერულ კვლევაძიებასა და პედაგოგიურ მოღვაწეობას. რამდენიმე ათეული წელია, რაც ლექციების კურსი მიგყავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, თანაც მრავალ სხვადასხვა ეკონომიკურ დისციპლინაში. ამიტომაც ითვლებით სტუდენტი ახალგაზრდობის საყვარელ პედაგოგად და შესანიშნავ აღმზრდელად.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ თქვენი ღრმაშინაარსიანი და კრიტიკული, მაგრამ ამავე დროს კორექტული და აკადემიური სტილის გამოსვლები დისკუსიებსა და საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, რომელიც ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს თქვენს განსწავლულობასა და მაღალ ინტელექტს.

რაც მთავარია, დღეისათვის თქვენ იმყოფებით შემოქმედებითი მომწიფებულობის ზენიტში. გისურვებთ ჯანმრთელობას თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად, უსაზღვრო ბედნიერებას და კვლავაც ჩვეული შემართებით შემოქმედებით მოღვაწეობას ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აკადემიის პრეზიდენტი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი /ლ.ჩიქავა/
15.05.99

## ბ ა ტ ო ნ ო  გ ი ო რ გ ი!

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანატი და სამრეწველო საქონელმცოდნეობის, სერთიფიკაციისა და კომერციის კათედრა გულითადად გილოცავთ დაბადების 65 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 42 წლისთავს.

1957 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრებიდან თქვენ განვლეთ სახელოვანი და შინაარსიანი გზა — დაიწყეთ რა სპეციალობით მუშაობა, პარალელურად დაამთავრეთ ასპირანტურის კურსი და 1970 წელს წარმატებით დაიცავით საკანდიდატო დისერტაცია. თქვენი ნიჭიერება და აქტიურობა გამოვლინდა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში — იყავით წარჩინებული სტუდენტი, გამოირჩეოდით სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში.

1962 წლიდან თქვენ გიწვევენ მშობლიურ უნივერსიტეტში. იყავით სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის მასწავლებელი, ვაჭრობის ეკონომიკისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კათედრის დოცენტი, საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის კათედრის პროფესორი. ამჟამად ხართ საქონელმცოდნეობის, სერთიფიკაციისა და კომერციის კათედრის პროფესორი. უნივერსიტეტში თქვენ მიგყავდათ სალექციო კურსი სპეციალურ საგანში — „ვაჭრობის ეკონომიკა", 1974 წლიდან თქვენ პირველმა დაიწყეთ ლექციების წაკითხვა ვაჭრობის მართვაში, შემდეგ მენეჯმენტსა და მარკეტინგში.

მართვის პრობლემებზე გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე დაიცავით სადოქტორო დისერტაცია 1988 წელს, არჩეული ხართ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

გამოქვეყნებული გაქვთ 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის ცალკე წიგნად გამოცემულია 15), აგრეთვე სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, მონოგრაფიული გამოკვლევები. ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცემულია რუსულ ენაზე. აღსანიშნავია თქვენი მუშაობა ეკონომიკური ტერმინოლოგიის დარგში.

თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი უნივერსიტეტში ისეთი ახალი საგნების წაკითხვას, როგორიცაა მენეჯმენტი, ბიზნესის საფუძვლები, ბიზნესის ფსიქოლოგია, მარკეტინგი. ხელმძღვანელობთ სადიპლომო, სამაგისტრო და სადისერტაციო შრომებს. წლების მანძილზე ხართ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდო-

მარე და სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი, უნივერსიტეტის ვეტერანთა ორგანიზაციის წევრი. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, მედლით „შრომის ვეტერანი“ და მიღებული გაქვთ მთავრობის სხვა ჯილდოებიც.

ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს თქვენი პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, ზომიერების გრძნობა, თავმდაბლობა, კაცურკაცობა და პრინციპულობა. ასეთი ცხოვრებისეული მრწამსით ხვდებით თქვენ საიუბილეო თარიღს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ბატონო გიორგი, სახელოვან იუბილეს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ოჯახურ ბედნიერებას და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობას.

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანი,
დოცენტი **გრ. ბერკაცაშვილი**

სამრეწველო საქონელმცოდნეობის, სერტიფიკაციისა
და კომერციის კათედრის გამგე,
პროფესორი **გ. ნადირაშვილი**

კათედრის წევრები:

პროფ. **რ. კრიჭინაშვილი;**

პროფ. **ნ. თოდუა;**

პროფ. **მ. ბოცირიძე;**

დოც. **ა. ლაშხია;**

დოც. **ი. ადეიშვილი;**

დოც. **თ. ჯაში;**

დოც. **ც. უროტაძე;**

დოც. **ნ. ბენდუქიძე**

დოც. **ლ. ჭოველიძე;**

დოც. **თ. ბუკია.**

# გიორგი შუბლაძე – 75

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აკადემიკოს-მდივანი, ღირსების ორდენისა და ივ. ჯავახიშვილის მედლის კავალერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, „ვნიიკს"-ის კონიუნქტურისა და მოთხოვნის საკავსირო სამეცნიერო-კვლე-ვითი ინსტიტუტის) საქართველოს ფილიალის ყოფილი დირექ-ტორი, მშობლიური ქვეყნის დიდი პატრიოტი და სახელოვანი პიროვნება – გიორგი შუბლაძე 75 წლისაა. მის მიერ განვლილი გზა და მეცნიერულ-პედაგოგიურ ასპარეზზე მოპოვებული თვალ-საჩინო წარმატებები ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მაღალ შედეგებს შეიძლება მიაღწიოს ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში აღზრდილმა ადამიანმა თავისი ნიჭიერებით, უშრეტი ენერგიით, შესაშური შრომისმოყვარეობითა და მიზანმიმარ-თული შემოქმედებითი საქმიანობით.

პროფესორი გ. შუბლაძე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე 150-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორია. მისი ღრმაშინაარსიანი მეცნიერული მოღვაწეობის დასახასიათებლად, საკმარისია თუნდაც იმის გახსენება, რომ მას (ქართულ სწავლულ ეკონომისტთა შორის სადოქტორო დისერტაციის დაუწერლად), სსრ კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, გამონაკლისის სახით, დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე გამოქვეყნებული ფუნდამენტური ნაშრომების საფუძველზე, რომლებშიც ნათლადაა ასახული მისი მრავალწლიანი კვლევის შედეგები, ერთჯერადი დაცვის წესით მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ძიებული სამეცნიერო ხარისხი. არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ იგი თავის ნაწარმოებში, სხვა ავტორთა შეხე-დულებების გაანალიზებისას, არ ერიდება მაღალტიტულოვან ავტორიტეტებს, კრიტიკულად (თუმცა უაღრესად კორექტულად) განიხილავს მათ მოსაზრებებს, სათანადო არგუმენტებით ასაბუ-თებს ზოგიერთი მათგანის უსაფუძვლობას და გვთავაზობს საკუ-თარ ორიგინალურ ნაფიქრალ-ნააზრევს. თანაც რუს მეცნიერ-ეკონომისტებს აკრიტიკებს არა მარტო ქართულ ენაზე გამოცე-მულ ნაშრომებში, არამედ რუსულ, ე. ი. მათთვის გასაგებ ენაზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიებშიც. გ. შუბლაძის გამოკვლევე-ბიდან

აშკარად ჩანს, რომ მათი ავტორი ღრმად განსწავლული, დიდი გამოცდილებისა და მაღალი ინტელექტის მქონე სპეცია-ლისტია, რომელსაც ამშვენებს აზროვნების, პაექრობისა და წერის მაღა-ლი კულტურა.

აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილის სახეობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად გ. შუბლაძემ დაიწყო ლექციების კურსის კითხვა ვაჭრობის მართვაში, ასევე, მან ჩაუ-ყარა საფუძველი უნივერსიტეტში ისეთი ახალი საგნების წაკით-ხვას, როგორიცაა ბიზნესის საფუძვლები, ბიზნესის ფსი-ქოლო-გია, მენეჯმენტი, მარკეტინგი. ასევე დისციპლინებში მისი ავტო-რობითა და თანაავტორობით გამოცემული სახელმძღვა-ნელოე-ბი, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალკვა-ლიფიციური ეროვნული კადრების მომზადებისთვის.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ პეოფესორი გ. შუბლაძე ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას როგორც სა-ქართ-ველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდი-ვანი. რამდენიმე უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი და ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

რაოდენ სასიხარულოა ის, რომ ბ-ნი გიორგი თავის ამ სახე-ლოვან იუბილეს, როგორც იტყვიან, სრულ ფორმაში ხვდება და მზადაა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის და საზოგა-დო-ებრივი მოღვაწეობის სარბიელზე ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად. საქართველოს ეკონომიკურ მეც-ნი-ერებათა აკადემიის გადასაწყვეტად. საქართველოს ეკონომი-კურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და ჟურნალ „ეკო-ნომიკის“ რედკოლეგიის სახელით ვუსურვებთ მას დღეგრ-ძე-ლობას და კვლავაც ჩვეული შემართებით გარჯას ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

*საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი –* ***ლეო ჩიქავა***

*ჟურნალ „ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი, ნიუ-იორკის მეც-ნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი –* ***რევაზ შენგელია***

*(ჟურნ. „ეკონომიკა“, №5-6, 2009).*

## უნივერსიტეტიდან არასდროს მიდიან...

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში წლები თითქოს უფრო ნელა და უმტკივნეულოდ გადის. აქ ყოველდღე ხვდები ახალგაზრდებს, შენი ქვეყნის ღირსეულ მომავალს და გული სიხარულითა და იმედით გევსება, განწყობაც მარადიულად ახალგაზრდული გრჩება და მათი თვალებით დანახული სამყაროც არ არის ასეთი დაუნდობელი და უსამართლო.*

*აქ ყველაზე მეტად გრძნობ შენი არსებობის საჭიროებას, საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მნიშვნელობას და უფრო დიდი ბედნიერება არც გინდა – შენ ხომ ერის ყველაზე თავისუფალ, ყველაზე სუფთა და ყველაზე დაუდგრომელ თაობას – ახალგაზრდობას სჭირდები და ემსახურები!*

***თამარ მარუაშვილი***

აქ დავანებული უდიდესი მოღვაწეობის სული და თითოეული კენჭიც კი ისეთი ახლობელი და მშობლიურია, რომ ვერ ხვდები, საიდან იწყება შენთვის დედა უნივერსიტეტი და სად მთავრდება იგი. აქ დაიწყო შენმა სულმა დაპურება სხვადასხვა საერო და პიროვნული ღირებულებებით, აქ ეზიარე პირველად ეროვნული სულის, ცოდნის ტაძრის სიძლიერესა და მნიშვნელობას.

გმირები მარტო ბრძოლის ველზე არ იბადებიან, ისინი ახალი თაობის გულშიც იბადებიან ხოლმე, სადაც შენი ცოდ-ნა, კეთილშობილება, ადამიანობა, თავმდაბლობა და პრინცი-პულობა ღრმად იდგამს ფესვებს და მათი სულიერების ორ-განული ნაწილი ხდები...

ასეთი ხვედრი ერგო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ბატონ გიორგი შუბლაძეს, რომელმაც ახალგაზრდა თაობას მაგალითი აჩვენა იმისა, თუ როგორი ღირსებით უნდა ატარო თსუ-ის კურსდამთავრებულის სახელი, თუ რა დიდ პასუხისმგებლობასა და მოწიწებას უნდა

გრძნობდე მისი დამაარსებლებისა და კორიფეების მიმართ, თუ რა შეუძლია მოუტანოს მიზანსწრაფულმა და მუყაითმა შრომამ პიროვნებას.

აი, რას წერენ ბატონი გიორგის შესახებ მისი წიგნის: „ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდების“ რედაქტორები – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი მალაშხია და ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ფიქრია წოწკოლაური: „ჩვენ სიამოვნებით ვასრულებთ ამ წიგნის რე-დაქტორობის მოვალეობას, რადგანაც დიდი ხნის მეგობ-რობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა გვაკავშირებს პროფე-სორ გიორგი შუბლაძესთან. ჩვენ გვეამაყება მის გვერდით დგომა, რადგან იგი არის მზრუნველი მეოჯახე – მეუღლე, მა-მა, ბაბუა, უღალატო მეგობარი, საქმისადმი თავ-დადებული პიროვნება, ახალგაზრდების საყვარელი და გამოცდილებით დატვირტული ადამიანი, ჩვენი ქვეყნის ღირ-სეული მოქალაქე, მეცნიერების ცნობილი მოღვაწე“.

ბატონი გიორგი შუბლაძე პროფესორია, მან 40 წელზე მეტი გაატარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვეტე-რანთა ორგანიზაციის წევრია. ინტესნიურად იკვლევდა და იკ-ვლევს საქონელმიმოქცევის თეორიის, ვაჭრობის მართვის, ბაზრის მოთხოვნისა და მისი პროგნოზირების პრობლემებს, აქვეყნებს ვრცელ ნაშრომებს ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზე. 1976 წელს დაისტამბა მისი წიგნი „ვაჭრობის მართვის საფუძვლები“, რომელიც სტუდენტებისთვის სამაგი-დო და დამხმარე სახელმძღვანელო გახდა. ეს პირველი სა-ხელმძღვანელო იყო მთელ საბჭოთა კავშირში. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული უნივერსიტეტში ისეთი ახა-ლი საგნების სწავლებისთვის საფუძვლის ჩაყრა, როგო-რიცაა მარკეტინგი, მენეჯმენტი, ბიზნესის საფუძვლები, ბიზ-ნესის ფსიქოლოგია.

პროფესორ გიორგი შუბლაძე 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშ-რომის ავტორია, მათ შორის ცალკე წიგნად გამოცემული 25, აქედან 12 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო.

დამეთანხმებით, ახალგაზრდებთან ურთიერთობას არა-ჩვეულებრივი ნიჭი სჭირდება. სტუდენტს ვერაფერს გამოა-პა-რებ – ის ან მიგიღებს ან არა, მაგრამ სიყვარულით მხოლოდ

მაშინ შეგიყვარებს, თუ ისეთივე გულწრფელი და თავისუფალი იქნები მასთან, როგორც თანატოლთან. ს ძალიან კარგად ესმის ბატონ გიორგის და მისი ლექციები დღესაც იწვევს სტუდენტებში აღფრთოვანებასა და დიდ ინტერესს.

შეიძლება გახდე დიდი მეცნიერი, მაგრამ გახდე ახალ-გაზრდებისთვის სამაგალითო და მისაბაძი პიროვნება, არც თუ ისე ადვილია. ბატონი გიორგი ღირსეულად ატარებს არა მარტო თსუ-ის აღზრდილის საპატიო სახელს, არამედ მეცნიერის, დამსახურებული აღმზრდელის საამაყო სახელსაც და ასეთი ცხოვრებისეული მრწამსით ხვდება თავის საიუბი-ლეო თარიღს – 75 წლისთავს.

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი სტუდენტ-ახალ-გაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი წვლილისთვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის მედლითაა დაჯილდოებული. ღირსეულად ატარებდე დიდი მეცნიერის, თსუ-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ჯილდოს თსუ-ის კურსდამთავრებულისთვის ყველაზე საპატიო და საპასუხისმგებლო მისიაა.

აღსანიშნავია, რომ ბატონ გიორგი შუბლაძის თაოსნობით თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის 1957 წლის კურსდამთავრებულები ყოველწლიურად აღნიშნავენ უნივერსიტეტის დამთავრების წლისთავს. ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავ-რებულმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფე-სორმა გიორგი მალაშხიამ უნივერსიტეტს ლექსიც კი მიუძღვნა სახელწოდებით „კურსდამთავრებულის ფიქრები უნივერსი-ტეტთან შეხვედრისას“.

ლეონარდო და ვინჩს უთქვამს: „კარგად დახარჯული სიცოცხლე დღეგრძელი სიცოცხლეაო“ – სწორედ ეს სიტყვები გვემეტება მათთვის, ვინც სიცოცხლეს გიორგი შუბლაძის მსგავსად ღირსეულად ატარებს და იმ ტვირთს ზიდავს, რასაც ივანე ჯავახიშვილის უნივერსიოტეტის კურსდამთავრებულის სახელი ჰქვია.

*(გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 23 ოქტომბერი, 2009)*

## დიდი გზა

*ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა სურვილი უჩნდება ერთგვარად შეაჯამოს განვლილი ცხოვრება, გარკვეული ანგარიში ჩააბაროს საზოგადოებას ნაღვაწ-ნაამაგარზე, მით უფრო, თუ ეს ცხოვრება იყო დატვირთული, სისხლსავსე, ღონიერი და გონიერი.*

*ამიტომ იკითხება ინტერესით ერთი წლის წინათ დასტამბული გიორგი შუბლაძის „ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები“. წიგნი გამოიცა სწავლული ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებ-ლისა და აკადემიკოს-მიდვნის, პროფესორ გიორგი შუბლაძის დაბადებიდან 75-ე წლისთავთან დაკავშირებით.*

წიგნის პირველი განყოფილება ავტობიოგრაფიული ნარკვევია, წარმოდგენას გვიქმნის იმ გარემოებაზე, სადაც წარიმართა და განათლება მიიღო, სადაც წარიმართა მისი მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა. დაიბადა კი ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში, შალვა შუბლაძისა და ლიდა გოგიას შრომისმოყვარე ოჯახში, რომელმაც 7 შვილი აღუზარდა ქვეყანას. ახუთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე (1952-1957 წწ.), ფრიადოსანი სტუდენტი სისხლხორცეულად იყო ჩაბმული ახალგაზრდულ მოძრაობაში, აქტიურად მონაწილეობდა 1956 წლის მარტის მოვლენებში.

დიდხანს მუშაობდა ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში. 1968 წელს წარმოებისაგან მოუწყვეტლად წარმატებით დაამთვარა ასპირანტურა და 1970 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია იმ დროს ფრიად აქტუალურ წარმოებისა და ვაჭრობის კავშირურთიერთობის პრობლემებზე. 1976-1991 წწ. ხელმძღვანელობდა „ვნიიკ“-ს (კონიუნქტურისა და მოთხოვნის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) საქართველოს ფილიალს, 1991-2000 წლებში მუშაობდა ამ ფილიალის ბაზაზე მისი ინიციატივით შექმნილ მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად.

მეორე განყოფილებაში წარმოჩენილია ის მეცნიერული ნაშრომები, რომლებიც წარმოაჩენენ ბატონ გიორგი შუბლაძის წვლილს ეკონომიკის მეცნიერების განვითარებაში. მისი ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად საქართველოში შემოიღეს მეცნიერული დისციპლინები (სასწავლო კურსები) ვაჭრობის მართვა, ბიზნესის, მარკეტინგის და მენეჯმენტის საფუძვლები. მან გამიჯნა ცნებები „ბიზნესი“ და „მეწარმეობა“, მოახდინა „მარკეტინგისა“ და „მენეჯმენტის“, აგრეთვე ეკონომიკური თეორიის ორიგინა-ლური დეფინიცია. მუშაობს ეკონომიკური ტერმინოლოგიის საკითხებზე. დაასაბუთა ცნებების „ეფექტიანის“ და „ეფექ-ტურის“ გამიჯვნა, რის სისწორეც დადასტურებულია საქართ-ველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წერილით.

მისი განსწავლულობა და ერუდიცია კარგად არის წარ-მოჩენილი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებსა და რეცენზიებში, რომლებსაც წიგნში ცალკე ადგილი აქვს დათმობილი.

ასევე ცალკე განყოფილება ეძღვნება გ. შუბლაძის შრო-მების (წიგნები, საჟურნალო სტატიები) ბიბლიოგრაფიას.

პროფესორი გ. შუბლაძე 150-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია, მათ შორის, ცალკე წიგნად გამოცემულია 25, აქედან 12 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო, 9 კი მონოგრაფიული გამოკვლევაა.

მართვის პრობლემებზე გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე (დისერტაციის დაუწერლად) უნივერსიტეტის რექტორატის შუამდგომლობათა და სსრ კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, 1983 წელს გ. შუბლაძემ ერთჯერადი წესით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მოქმედი დებულების თანახმად მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი პიროვნებას შეიძლება მინიჭებოდა სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილ ნაშრომზე. მაგრამ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო გამონაკლისის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ავტორის მიერ საფუძვლიანად და მრავალმხრივ შესწავლილი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების კვლევის შედეგები ნათლად იქნებოდა ასახული მის მიერ გამოქ-

ვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომებში და მათ ექნებოდათ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სწორედ ასეთ გამონაკლისად და საგანგებო შემთხვევად მიიჩნიეს სპეციალისტებმა გიორგი შუბლაძის მიერ სამეცნიერო მოხსენების სახით წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი – „ვაჭრობის მართვის პრობლემები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში". იგი ემყარებოდა დისერტანტის მიერ ოცი წლის მანძილზე გამოქვეყნებული 39 მეცნიერულ ნაშრომს, 100-ზე მეტი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. განსახილველი დისერტაციის უპირველეს და უმთავრეს ღირსებად მიიჩნიეს ის, რომ მასში მაღალმეცნიერულ და პროფესიულ დონეზე იყო გაშუქებული საკვლევი პრობლემის – მიმოქცევის სფეროს თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის გლობალურ სადისკუსიო საკითხთა ფართო წრე.

ქართველ სწავლულ ეკონომისტებს შორის გიორგი შუბლაძემ პირველმა დაიწყო საბაზრო ეკონომიკის პრობლემების გამოკვლევა, კერძოდ ისეთ კონკრეტულ სფეროებში, როგორიცაა მოთხოვნის პროგნოზირება და ბაზრის რეგული-რება, მარკეტინგი, მენეჯმენტი და ბიზნესი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა ახალგაზრდა სპეციალისტებისა და სამეცნიერო მუშაკთა აღზრდაში.

გიორგი შუბლაძის შრომა სათანადოდ არის დაფასებული. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილის მედლით. იყო უნივერსიტეტის დიდი საბჭოსა და პროფესორთა საბჭოს წევრი. არის თსუ ვეტერანთა ორგანიზაციის წევრი.

ცხოვრების დიდი და ნაყოფიერი გზა განვლო პროფე-სორმა გიორგი შუბლაძემ. იგი 75 წლისთვის იუბილეს შეხვდა ფიზიკური და შემოქმედებითი სიძლიერის ვითარებაში და კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს თავისი ცინცხალი გონების ნაყოფით, ახალი გამოკვლევით, ახალი წიგნით, ახალი სახელმძღვანელოთი.

*ალექსანდრე ავალიანი*

*(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 13.07.2010)*

## ჩემი საყვარელი ბაბუა

მე მყავს კარგი დედ-მამა, რომლებიც ძალიან მიყვარს, მაგრამ მე და ჩემ ძმას ბექას ბებე (ბებია) და ბაბუა განსაკუთრებით გვიყვარს. ისინი ყველაფერს კარგს აკეთებენ ჩვენთვის. ბებე ბოლო დროს ავადმყოფობს, ტკივა მუხლები, უჭირს მოძრაობა, მაგრამ პირველად რომ წავედი სკოლაში (I კლასში) ბებემ და ბაბუამ წამიყვანეს. ბებია დიდხანს მუშაობდა სკოლაში, რუსულ ენას ასწავლიდა (ეხლა პენსიაზეა), ბაბუა უნივერსიტეტის პროფესორია.

ბაბუა მე და ბექას ოქრო ბიჭებს გვეძახის და სადღეგრძელოს[1] რომ ამბობს ყოველთვის იწყებს ჩვენი დალოცვით და მეუბნება, რომ მე ვარ მოსწავლე და ჩემთვის ყველაზე მთავარია სწავლა და სწავლა. თუ კარგად ვისწავლი სკოლაში, მერე უნივერსიტეტში, კარგი ადამიანი ვიქნები. ბაბუა ჩემთვის ყოველმხრივ მისაბაძია. სულ მუშაობს და ძალიან ბევრი წიგნი აქვს დაწერილი. თავისუფალ დროს მასეირნებს ვაკის პარკში, ზოოპარკში, ვიყავით მუშტაიდის ბაღშიც. ზაფხულში მე და ჩემი ძმა ბაბუას მივყავართ კუს ტბაზე, სადაც ვბანაობთ ტბაში, ვთამაშობთ და ვსეირნობთ. გასულ წელს მე და ჩემ ძმას ბაბუამ გვიყიდა ველოსიპედები.

მეამაყება რომ ვარ საყვარელი ბაბუას შვილიშვილი და ვატარებ მის სახელს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ გავამართლო მისი იმედები და ვასახელო როგორც ბაბუა, ისე ჩემი მშობლები.

ღმერთს ვთხოვ, რომ ჩემი საყვარელი ბაბუა დიდხანს იყოს ჯანმრთელად.

***შვილიშვილი გიორგი (9 წლის)***
*2009 წ.*

---

[1] *ჩვენთან, როგორც წესი, თამადობს ბაბუა. ხშირად მას როცა უნდა ერთი სადღეგრძელოთი დალოცოს ყველა ჩვენი ნათესავი, ამბობს: გაუმარჯოს მოსკოვს (იგულისხმება იქ მცხოვრები დეიდა მარინა და დეიდაშვილი გიორგი), თბილისს (მთელი სანათესავო), ყვარელს (მამაჩემის ნათესავები), ჩხოროწყუს (ბაბუაჩემის სანათესავო) და ყველას, ვისაც ჩვენთვის კარგი უნდა.*

## ჩემი ოქრო ბაბუა

გიორგი ბაბუა ჩემს უფროს ძმას და მე ოქრო ბიჭებს გვეძახის. ჩვენთვისაც იგი ოქრო ბაბუაა. სულ ჩვენზე ზრუნავს. შაბათ-კვირას, დასვენების დღეებს (შობა-ახალი წელი, გიორგობა და სხვ.), არდადეგების მნიშვნელოვან ნაწილს ვატარებთ ბებია და ბაბუასთან. მზია ბებია აკეთებს კარგ საჭმელებს (მათ შორის ხაჭაპურსა და ნამცხვრებს) და ნატურალურ წვენებს (გვეუბნება სახლში დამზადებული წვე-ნები ჯობია „კოკა-კოლას" და სხვა სასმელებს, რომლებიც იყიდება მაღაზიებში). როცა ღამე ვრჩებით მე და ჩემი ძმა ბებია და ბაბუასთან, უფრო ხშირად ბაბუა გვაძინებს (ვწვე-ბით ბებიასა და ბაბუას საწოლებს შორის ჩვენთვის სპეცია-ლურად მოწყობილ ლოგინში) და ჩვენი თხოვნით გვიყვება ზღაპრებს. დილით ადგომისას ბაბუა ვარჯიშს იწყებს ლოგინიდან, შემდეგ კი აგრძელებს ჰანტელებით. ბაბუამ ჩემს ძმასა და მე გვასწავლა შაშისა და ჭადრაკის თამაში, გვე-თამაშება ბურთს, გვასეირნებს ვაკისა და მუშტაიდის პარ-კებში, კუს ტბაზე და სხვაგან. პირველად სკოლაში (I კლასში) წამიყვანეს ბებიამ და ბაბუამ. ისინი მეუბნებიან: უნდა ვისწავლო კარგად და მოვიქცე კარგად, ასევე კარგად უნდა მოვუსმინო მასწავლებელს, გაკვეთილებს რომ ისწავლი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გართობა და გასეირნება. აგრეთვე გვეუბნებიან მე და ჩემს ძმას, რომ სიგარეტი არ მოვწიოთ და არ მოვიქცეთ ცუდად. ბაბუა სიგარეტს არ ეწევა და საერთოდ არ მოუწევია.

მე მიყვარს სწავლა და ყოველთვის კარგად ვისწავლი. ბაბუასავით მინდა გამოვიდე პროფესორი. სიგარეტს არ მოვწევ. ერთხელ ბაბუა მოვიდა საბავშვო ბაღში ჩემს წასაყვანად. ჩემი მასწავლებელი დააკვირდა მას და ამბობს: ბექა არც დედას, არც მამას არა ჰგავს, თურმე ბაბუას ჰგავსო.

დიდხანს მინდა იყვნენ ჩემი ბაბუა და ბებია.

***შვილიშვილი ბექა ბურკაძე (8 წლის)***
*18. 05. 2011 წ.*

# VI. გ. შუბლაძის გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომები

## (ბიბლიოგრაფია)

### ა. წიგნები


1. ვაჭრობის ორგანიზაცია (თანაავტორობით), სახელმძღვანელო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.
2. ვაჭრობის მართვის საფუძვლები (დამხ. სახელმძღვანელო), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976.
3. საქართველოს ვაჭრობის ორგანიზაციისა და დაგეგმვის აქტუალური საკითხები (თანაავტორობით), თსუ, 1978.
4. საქართველოს წარმოების და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხები (თანაავტორობით), საბჭოთა საქართველო, 1978.
5. ვაჭრობის მართვა (სახელმძღვანელო), თსუ, 1981.
6. ვაჭრობის მართვის საფუძვლები (რუსულ ენაზე), ეკონომიკა, მოსკოვი, 1982.
7. ვაჭრობის ეკონომიკა (თანაავტორობით), სახელმძღვანელო თსუ, 1984.
8. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ვაჭრობაში, თსუ, 1987.
9. ვაჭრობის დაგეგმვისა და მართვის საკითხები (თანაავტორობით), თსუ, 1988.
10. სავაჭრო-ეკონომიკური ცნობარი, თსუ, 1988.
11. სავაჭრო საწარმოთა ორგანიზაცია და მართვა (ლექციების კურსი), თსუ, 1989.
12. ვაჭრობის მართვის პრობლემები მეურნეობრიობის ახალ პირობებში: თეორიისა და პრაქტიკის საკითხები (რუსულ ენაზე), თსუ, 1990.
13. ვაჭრობის მართვა (ლექციების კურსი თანაავტორობით), თბ., 1991.
14. მარკეტინგი და კომერციული საქმიანობა (ლექციების კურსი თანაავტორობით), თბ., 1991.
15. მენეჯმენტის და მარკეტინგის ცნობარი, თსუ, 1994.

16. სავაჭრო საწარმოთა ეკონომიკა (თანაავტორობით), სახელმძღვანელო, თბ., 1996.
17. მენეჯმენტი (დამხ. სახელმძღვანელო თანაავტორობით), თსუ, 1998.
18. მარკეტინგი (სახელმძღვანელო თანაავტორობით), თბ., 1999.
19. ბიზნესის საფუძვლები (დამხ. სახელმძღვანელო), თბ., 2000.
20. საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები, „უნივერსალი", თბ., 2004.
21. ტურიზმის მარკეტინგი (დამხ. სახელმძღვანელო თანაავტორობით), საგამომცემლო სახლი, თბ., 2007
22. საერთაშორისო მარკეტინგი (დამხ. სახელმძღვანელო თანაავტორობით), „უნივერსალი", 2007.
23. ტურიზმის მენეჯმენტი (დამხ. სახელმძღვანელო თანაავტორობით), „უნივერსალი", თბ., 2008
24. მენეჯმენტის საფუძვლები (სახელმძღვანელო თანაავტორობით), „უნივერსალი", 2008.
25. მარკეტინგის მენეჯმენტი (დამხ. სახელმძღვანელო თანაავტორობით), „უნივერსალი", 2009.
26. ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები, „უნივერსალი", თბ., 2009.
27. ტურიზმის მარკეტინგი (სახელმძღვანელო თანაავტორობით), „უნივერსალი", თბ., 2009.
28. მარკეტინგის საფუძვლები (სახელმძღვანელო თანაავტორობით) „უნივერსალი", თბ., 2009.
29. სტრატეგიული მენეჯმენტი (სახელმძღვანელო თანაავტორობით) „უნივერსალი", თბ., 2010.
30. ბიზნესის საფუძვლები (სახელმძღვანელო თანაავტორობით) „უნივერსალი", თბ., 2010.
31. საერთაშორისო მენეჯმენტი (დამხ. სახელმძღვანელო თანაავტორობით), თბ., 2011.

## ბ. სტატიები ჟურნალებსა და მეცნიერული შრომების კრებულებში

1. ვაჭრობის შეკვეთები და მრეწველობაზე ვაჭრობის ზემოქმედების საკითხები, საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ბიულეტენი, 1965, № 11-12.
2. ვ. ი. ლენინი საბჭოთა ვაჭრობის შესახებ, ბიულეტენი, 1966, № 2.
3. პირდაპირი კავშირებისა და მრეწველობაზე ვაჭრობის ზემოქმედების საკითხისათვის (რუს. ენაზე), ბიულეტენი, 1966, № 4.
4. საბითუმო-სამრეწველო ბაზრობები-ვაჭრობის მრეწველობაზე ზემოქმედების აქტიური ფორმა (რუს. ენაზე), ბიულეტენი, 1966, № 11.
5. პირდაპირი კავშირები და მრეწველობაზე ვაჭრობის ზემოქმედების საკითხები, „საქართველოს ეკონომისტი", 1966, № 11.
6. კულტურული ვაჭრობისათვის, ბიულეტენი, 1968, № 4.
7. მრეწველობასთან ვაჭრობის სახელშეკრულებო კავშირების სრულყოფისათვის, ბიულეტენი, 1969, № 5.
8. სამკერვალო მრეწველობაზე ვაჭრობის ზემოქმედება, „საქართველოს სახალხო მეურნეობა", 1969, № 9.
9. მრეწველობასთან ვაჭრობის პირდაპირი კავშირების შესახებ მეურნეობრიობის ახალ პირობებში (რუს. ენაზე), „ვოპროსი ეკონომიკი", 1969, № 12 (მოსკოვი).
10. თვითმომსახურების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ვაჭრობაში, ბიულეტენი, 1970, № 12.
11. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სრულყოფისათვის ვაჭრობაში, ბიულეტენი, 1971 № 2.
12. ეკონომიკური რეფორმის ახალი ეტაპი, ბიულეტენი, 1971, № 4.
13. საბჭოთა ვაჭრობა ახალ ხუთწლედში, ბიულეტენი, 1971, № 7.
14. საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი აღმავლობისათვის, ბიულეტენი, 1972, № 10.

15. კოლექტივის სოციალური განვითარების დაგეგმვისათვის, ბიულეტენი, 1973, № 4.
16. ვაჭრობის მართვის სრულყოფისათვის, ბიულეტენი, 1973, № 6.
17. მრეწველობასთან ვაჭრობის ურთიერთობის ზოგიერთ ცნებათა შესახებ (რუს. ენაზე), ბიულეტენი, 1974, № 6.
18. ვაჭრობის საწარმოთა ახალი ტიპიზაციის შესახებ, ბიულეტენი, 1974, № 9.
19. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია დარგში (რუს. ენაზე), ბიულეტენი, 1975, № 9.
20. ხელმძღვანელის შრომისა და მუშაობის სტილის შესახებ, ბიულეტენი, 1975, № 10.
21. ვაჭრობის შეკვეთები – წარმოების საფუძველი, ბიულეტენი, 1975, № 12.
22. პირდაპირი კავშირები და მიწოდების ხელშეკრულებები (რუს. ენაზე), „ეკონომიჩესკაია გაზეტა" (მოსკოვი), 1974, № 22.
23. რით ვვაჭრობთ? "ეკონომისტი", 1978, № 2.
24. წიგნი საბითუმო ბაზრობებზე (რეცენზია რუს. ენაზე), „სოვეტსკაია ტორგოვლია" (მოსკოვი), 1978, № 8.
25. საბავშო საქონელზე მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებისათვის, „ეკონომისტი", 1979, № 8.
26. მოთხოვნილება – სასურსათო პროგრამის ორიენტირი, „ეკონომისტი", 1981, № 8 (თანაავტორობით).
27. სახალხო მოხმარების ბაზრის რეგულირების ზოგიერთი პრობლემები, ბიულეტენი, 1981, № 7.
28. სავაჭრო ორგანიზაციების აპარატთან კონტაქტში (რუსულ ენაზე), „კომერჩესკი ვესტნიკ" (მოსკოვი), 1982, № 7.
29. ვიპოვოთ საყრდენი წერტილი (რუს. ენაზე), „კომერჩესკი ვესტნიკ" (მოსკოვი), 1986, № 10.
30. ტრანზიტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, 1986.
31. ღირებულებითი ბალანსი, იმავე ენციკლოპედიაში.
32. მართვა და ეკონომიკური რეფორმა (რუს. ენაზე), „სოვეტსკაია ტორგოვლია", 1988, № 9.
33. მოკლედ წიგნების შესახებ (რეცენზია რუს. ენაზე), "სოვეტსკაია ტორგოვლია", 1990, № 11.

34. მარკეტინგი და მისი გამოყენების პირობები, „ეკონომის-ტი", 1990, №9.
35. საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი, „ეკონომიკა", 1993, № 1.
36. ორიგინალური ნაშრომი საბაზრო ეკონომიკის შესახებ (რეცენზია გ. პაპავას წიგნზე), „ეკონომიკა", !993, №2-3.
37. მენეჯმენტი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, „ეკონომი-კა", 1994, №1-3.
38. პრივატიზების საკითხისათვის, „ეკონომიკა", 1994, №9-12.
39. სასურსათო საქონლის ბაზრის შესახებ საქართველოში, „მარკეტინგის სიახლენი", 1995, № 8.
40. ეკონომიკური თეორიის დეფინიციის საკითხისათვის: „ეკონომიკსი", პოლიტიკური ეკონომია თუ ზოგადი ეკო-ნომიკური თეორია?", თსუ შრომები (ჩაბარდა 1996 წ.) სე-რია „ეკონომიკა", 1999.
41. მარკეტინგის მენეჯმენტთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხისათვის, თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიე-რო კონფერენციის მასალები (უნივერსიტეტის 80 წლის-თავი), 1998.
42. საერთაშორისო ბიზნესი და მენეჯმენტი, თსუ, წიგნი „ეკონომიკის აქტუალური საკითხები" (ნაწილი V), 1998.
43. მარკეტინგის სოციალურ-ეკონომიკური არსის საკითხი-სათვის, თსუ, შრომების კრებული „მარკეტინგის აქტუა-ლური საკითხები" (მეორე გამოშვება), 1998.
44. საერთაშორისო მარკეტინგის არსი და მნიშვნელობა, თსუ, შრომების კრებული „მარკეტინგის აქტუალური სა-კითხები" (გამოშვება III), 1999.
45. საერთაშორისო ტურისტული ბიზნესი, თსუ, იმავე შრომე-ბის კრებულში.
46. კიდევ ერთხელ მარკეტინგისა და მენეჯმენტის არსის შე-სახებ, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადე-მია (სემა), შრომების კრებული, ტ. I, 2000.
47. ეკონომიკური თეორიის ტერმინოლოგიური აღნიშვნის სა-კითხისათვის (რუს. ენაზე), „ობშესტვო ი ეკონომიკა" (მოსკოვი), 2000, №8.

48. მენეჯმენტის როლი საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, სემა, III, 2001.
49. ბიზნესისა და მენეჯმენტის შესახებ, თსუ შრომები, სერია „ეკონომიკა", 2001.
50. მარკეტინგის სოციალურ-ეკონომიკური არსი, თეუსუ (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), 2001.
51. მიმოქცევის სფეროს რეგულირების საზღვარგარეთული გამოცდილება (ინგლ. ენაზე), „მოამბე" (თანაავტორობით). 2001.
52. ლოგისტიკა და მისი კავშირი მარკეტინგთან, თსუ, შრომების კრებული "მარკეტინგის აქტუალური საკითხები" (გამოშვება IV), 2001.
53. ბიზნესის არსის შესახებ, თსუ, შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი", 2002.
54. ტურისტული ბიზნესი და მისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში, სემა, III, 2002.
55. სასაქონლო ბაზარი და მარკეტინგული გარემო (თანაავტორობით), „ეკონომიკა", 2002, № 1-2.
56. ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინის დეფინიციის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტეს შრომები, ტ, III, 2003.
57. საერთაშორისო მარკეტინგის არსის საკითხისათვის (ინგლ. ენაზე), „მოამბე", 2003.
58. ტურიზმი და მისი კლასიფიკაცია, თსუ "მარკეტინგის აქტუალური საკითხები" (გამოშვ. V), 2003.
59. საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ, სემა, ტ. IV, 2004.
60. კიდევ ერთხელ საერთაშორისო მარკეტინგის არსის შესახებ, თსუ, შრომების კრებული „მარკეტინგის აქტუალური საკითხები", 2005.
61. კომერციის არსი და მენეჯმენტი (თანაავტორობით), თსუ, იქვე.
62. ბიზნესის განვითარებისა და პრივატიზაციის ურთიერთკავშირის საკითხისათვის, სემა, ტ. V, 2005.
63. ეკონომიკური თეორიის დეფინიციის საკითხისათვის, „ეკონომიკა" (თანაავტორობით), 2006, № 3.

64. როგორ გავმიჯნოთ ბიზნესი და მეწარმეობა, „ბიზნესი და კანონმდებლობა”, 2006, № 16.
65. მარკეტინგისა და საერთაშორისო მარკეტინგის არსისა და დეფინიციის შესახებ, „კომერსანტი”, 2007, № 2.
66. მენეჯმენტისა და მარკეტინგის ურთიერთკავშირის საკითხისათვის, „კომერსანტი”, 2007, № 4.
67. საქონლის კონკურენტუნარიანობა და მენეჯმენტი, „კომერსანტი”, 2008, № 1 (5).
68. ერთხელ კიდევ „ბიზნესის”, „მეწარმეობის” და სხვ. ცნებათა დეფინიციის შესახებ, „ბიზნესი და კანონმდებლობა”, 2007, № 19-20.
69. როგორ დავგეგმოთ ბიზნესი, „ბიზნესი და კანონმდებლობა”, 2007, № 23-24.
70. ბიზნესის დაგეგმვის თავისებურებანი მართვის რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების სისტემაში, სემა, ტ. VI, 2008.
71. ბიზნეს-გეგმების შემუშავების თავისებურებანი და მუნიციპალური მენეჯმენტი, წიგნი „ადგილობრივი თვითმმართველობის სუბიექტის განვითარების ეკონომიკური სტრატეგია” საგრანტო პროექტი შ/5თ 06/2-095), „უნივერსალი”, თბ., 2008.
72. ბიზნესისა და მეწარმეობის დეფინიციის საკითხისათვის, „ეკონომიკა”, 2008. № 9.
73. ფირმაში მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ, „კომერსანტი”, 2009, № 6.
74. ეკონომიკური თეორიის დეფინიციის საკითხისათვის გლობალიზაციის პირობებში, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 4 2009 წ.
75. ბიზნესის არსისა და მისი დეფინიციის შესახებ, „ეკონომიკა და ბიზნესი“ (თანაავტორობით), № 6, 2009.
76. ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის საფუძვლებისა და ეკონომიკური თეორიის სწავლების შესახებ, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, № 1, 2010.
77. საბაზრო ეკონომიკა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მეცნიერული დისციპლინების სწავლების შესახებ, ჟურნალი „ეკონომიკა“, 3-6, 2010.

78. მარკეტინგის არსისა და დეფინიციის შესახებ (ინგლ. ენაზე), ჟურნალი „მოამბე“ (თანაავტორობით), 2011.
79. მარკეტინგის არსისა და ფუნქციების შესახებ (რუს. ენაზე), ჟურნალი „მარკეტინგი რუსეთში და საზღვარგარეთ“, 2011.

### გ. მოხსენებათა თეზისები

1. ქ. თბილისის სურსათვაჭრობის სავაჭრო ქსელის თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვის საკითხები, თსუ, 1957.
2. მრეწველობაზე ვაჭრობის ზემოქმედების ზოგიერთი აქტუალური საკითხის შესახებ, საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებული ინსტიტუტი (სმესდი), 1965.
3. პირდაპირი კავშირები და სამკერვალო მრეწველობაზე ვაჭრობის ზემოქმედების საკითხები (სმესდი), 1966.
4. წარმოებასა და ვაჭრობას შორის ურთიერთობის აქტუალური პრობლემები, თსუ, 1977.
5. სახალხო მოხმარების საქონელზე მოთხოვნის შესწავლა და სავაჭრო მომსახურების ხარისხის მართვა (რუს. ენაზე), მოლდავეთის ვაჭრობის სამინისტრო, 1979.
6. წარმოებასა და ვაჭრობას შორის სამეურნეო კავშირების სრულყოფის საკითხისათვის (რუს. ენაზე), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია (მოსკოვი), 1979.
7. ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები და მყიდველთა მოთხოვნის პროგნოზირების სრულყოფის საკითხები, „ვნიიკს''-ის საქართველოს ფილიალი, 1981.
8. მოთხოვნის შესწავლის პრობლემები და მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების დანერგვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მაგალითზე (რუს. ენაზე), საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია (მოსკოვი), 1981.
9. ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები, თსუ, 1981.
10. ვაჭრობის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის პრობლემები (რუს. ენაზე), სმედსი, 1982.
11. მოთხოვნისა და საქონელბრუნვის პროგნოზირების შესახებ, „ვნიიკს''-ის ფილიალი, 1982.

12. მოსახლეობის მოთხოვნისა და საცალო საქონელბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის პროგნოზი 1983 წლისათვის საქართველოსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში,"ვნიიკს"-ის ფილიალი, 1983.
13. მოთხოვნის, საქონელბრუნვის და მოხმარების განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში 1986-1990 წწ. და 2005 წლამდე, „ვნიიკს"-ის საქართველოს ფილიალი, 1984.
14. ვაჭრობის რაციონალიზაცია და მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლა (რუს. ენაზე), საქართველოს ვაჭრობის სამინისტრო, 1984.
15. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის როლი დარგის ეფექტიანობის ამაღლებაში, საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია (ქ. პერმი), 1984.
16. მომხმარებელთა მოთხოვნა და სავაჭრო-სამრეწველო კომპლექსის მართვა (რუს. ენაზე), „ვნიიკს"-ის ფილიალი, 1986.
17. საქონლის რეალიზაციის პრობლემები სოციალიზმის დროს და მარკეტინგი, თსუ, 1986.
18. მოთხოვნის დაკმაყოფილება და ფასწარმოქმნის საკითხები (რუს. ენაზე), თსუ, 1987.
19. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების წინადადებები ხანგრძლივ პერსპექტივაში 1991-2010 წწ., „ვნიიკს"-ის საქართველოს ფილიალი, 1988.
20. ცნებითი აპარატის საკითხისათვის საბაზრო გამოკვლევებში (რუს. ენაზე), „ვნიიკს"-ის ფილიალი, 1991.
21. ბაზრის კონიუნქტურა და მისი გამოკვლევა, „ვნიიკს"-ის ფილიალი, 1991.
22. მარკეტინგი საქართველოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, „ვნიიკს"-ის ფილიალი, 1991.
23. სამეურნეო რეფორმის მაკროეკონომიკური რეგულირების საკითხისათვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 1993.
24. რეგიონული პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რუსთავის უნივერსიტეტი, 1995.
25. საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი და მისი რეგულირების პრობლემები, სემა, 1995.

26. უმაღლესი განათლების რეფორმა და ახალი ეკონომიკური სამეცნიერო დისციპლინების სწავლების საკითხები. სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის – „უმაღლესი განათლების რეფორმა საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“ – მასალები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.

## VII. პროფ. გიორგი შუბლაძე წიგნების რედაქტორი და რეცენზენტი

### ა. რედაქტორი

1. გ. შუბლაძე, კ. ზარანდია. ვაჭრობის დაგეგმვისა და მართვის საკითხები, თსუ, 1988.
2. გ. ბაბუნაშვილი, ბ. მღებრიშვილი, გ. შუბლაძე. მენეჯმენტი, თსუ, 1998.
3. მარკეტინგი (გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ი. ხუხუა, ჩ. ჯაში), თბ., 1999.
4. მარკეტინგი და კომერციული საქმიანობა ვაჭრობაში (გ. შუბლაძე, ი. ხუხუა და სხვ.), თბ., 1991.
5. რ. კრიჭინაშვილი. საერთაშორისო ბიზნესი (ლექციების კურსი), თსუ, 1991.
6. გ. ნადირაშვილი, ჩ. ჯაში. სამრეწველო წარმოებისა და საქონლის მარკეტინგი, თსუ, 2000.
7. ო. ქეშელაშვილი. ცოდნის ეკონომიკა, თბ., 2005.
8. გ. შუბლაძე და სხვ. ტურიზმის მარკეტინგი, თბ., 2007.
9. გ. შუბლაძე, ნ. ოქრუაშვილი, ლ. დოლიკაშვილი. საერთაშორისო მარკეტინგი, „უნივერსალი”, თბ., 2007.
10. გ. შუბლაძე და სხვ. ტურიზმის მენეჯმენტი, „უნივერსალი”, თბ., 2008.
11. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური. მენეჯმენტის საფუძვლები, „უნივერსალი”, თბ., 2008.
12. ლ. ჩიქავა. განვლილი ცხოვრების შტრიხები, თბ., 2008.
13. გ. შუბლაძე, ლ. დოლიკაშვილი. ტურიზმის მარკეტინგი, „უნივერსალი“, თბ., 2009.
14. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ლ. დოლიკაშვილი. მარკეტინგის მენეჯმენტი, „უნივერსალი”, თბ., 2009.

15. მარკეტინგის საფუძვლები (სახელმძღვანელო), „უნივერსა-ლი”, თბ., 2009.
16. გ. შუბლაძე, ნ. ნანიტაშვილი, ლ. დოლიკაშვილი, სტრატე-გი-ული მენეჯმენტი, „უნივერსალი”, თბ., 2010.
17. ო. ქეშელაშვილი, ბიზნესური ეკონომიკა (სახელმძღვა-ნე-ლო), „არეალი”, თბ., 2010.
18. გ. შუბლაძე, მ. ნანიტაშვილი, ბიზნესის საფუძვლები (სახელ-მძღვანელო), „უნივერსალი”, თბ., 2010.

## ბ. რეცენზენტი

1. ე. ბოლოკაძე. მარკეტინგი, თბ., 1995.
2. ო. ქეშელაშვილი. ბიზნესის ორგანიზაცია, თბ., 1995.
3. შ. ვეშაპიძე. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მე-თოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარე-ბის საკითხები, თბ., 1999.
4. შ. ვეშაპიძე. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობე-ბის პრობლემები, თბ., 1996.
5. გ. პაპავა. საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღების და ნორ-მალიზაციისათვის საქართველოში, თბ., 2000.
6. ლ. ჩაგელიშვილი. საერთაშორისო ბიზნესი, (ლექციების კურსი), თსუ, 2000.
7. რ. ჯავახიშვილი. საერთაშორისო ბიზნესი, (სალექციო კურ-სი), თბ., 2004.
8. ო. ქეშელაშვილი. ვინ იცის ეკონომიკა, თბ., 2004.
9. ო. ქეშელაშვილი. ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი, თბ., 2005.
10. ე. ბოლოკაძე. სავაჭრო საქმის ეკონომიკური ანალიზი, თსუ, 2005.
11. რ. ჯავახიშვილი, ნ. ოქრუაშვილი, ნ. ხარაზიშვილი. მარკე-ტინგის საფუძვლები, თბ., 2005.
12. თ. ალექსიძე. გლობალიზაცია და მსოფლიო ინტეგრაცია ახალგაზრდა ეკონომისტის თვალით, თბ., 2007.
13. რ. ჯავახიშვილი, ნ. ოქრუაშვილი, მარკეტინგი, თბ., 2007.
14. რ. ჯავახიშვილი, ნ. ოქრუაშვილი, მარკეტინგი, თბ., 2009.

# ფ ო ტ ო ა ლ ბ ო მ ი



დედა – ლიდა გოგია
მამა – შალვა შუბლაძე (ს. ახუთი, საკუთარი ეზო).
1955 წ.



გ. შუბლაძე პირველ რიგში, მარცხნიდან პირველი სტუდქალაქში მცხოვრებ სტუდენტებთან. თბილისი, 1953 წ.



გ. შუბლაძე (ცენტრში) ი. სტალინის ძეგლთან სტუდენტთა
ქალაქის სკვერში. თბილისი, 1953 წ.



ი. სტალინის ძეგლი მისი სახელობის სანაპიროზე თბილისში მშრალ ხიდ-
თან (დედა ენის ძეგლის მოპირდაპირე მხარე). 1956წ. 7 მარტი.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან პირველი) თანაკურსელებთან ერთად. თბილისი, მელიქიშვილის ქუჩაზე, სასტუმრო „საქართველოსთან“ 1956 წლის 7 ნოემბერი.



გ. შუბლაძე (მარცხნიდან პირველი) სამხედრო შეკრებაზე დუშეთში. 1956წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან მეორე) უნივერსიტეტელ
თანაჯგუფელებთან ერთად. თსუ II კორპუსი, 1957 წ.




გ. შუბლაძე (მარჯვნიდან მეშვიდე მეხუთე რიგში) 1957 წელს უნივერსიტე-
ტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან.



გ. შუბლაძე (მარცხნიდან პირველი)
ძმებთან ერთად. თბილისი, 1958 წ.)



გ. შუბლაძე (ცენტრში) ცენტრალური უნივერმაღის თანამშრომლებთან ერთად 7 ნოემბრის დემონსტრაციაზე გასვლის წინ. 1962 წ.



გ. შუბლაძე (ცენტრში) უძოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მონა-ხულებისას სამინისტროს შმოსა და სტი ცენტრ. ლაბორატორიის თანამ-შრომლებთან. წავკისი, 1976 წ.



გ. შუბლაძე „ივნიიკს“-ის მოლდავეთის ფილიალის დირექტორ ლ. ფოკშასთან ერთად ი. სტალინის ძეგლთან. ქ. გორი, 1976 წ.



გ. შუბლაძე მეუღლესთან ერთად
ქ. გაგრაში. 1960 წ.



გ. შუბლაძე ცოლ-შვილთან და ნათესავებთან ერთად
ქ. ქობულეთი. 1964 წ.



გ. შუბლაძე ცოლშვილთან ერთად. 1964 წ.



გ. შუბლაძე (მარცხნიდან პირველი) თსუ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს მონაწილეთა ერთ ჯგუფთან ერთად. 1968 წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან მეორე რიგში მეხუთე) პროფესორ-მასწავლებ-ლებთან და თანაკურსელებთან უნივერსიტეტის დამთავრების 10 წლისთავ-ზე. 1967წ. 24 ივნისი (თსუ I კორპუსი).



გ. შუბლაძე მეუღლესთან ერთად. 1970 წ.



გ. შუბლაძე ცოლშვილთან და ცოლის დისშვილ მარინა ახმეტელთან ერთად წითელ მოედანზე (ქ. მოსკოვი). 1972 წ.



გ. შუბლაძე (მესამე რიგში მარცხნიდან მეორე)
სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა IV საკავშირო
ყრილობაზე ქართველ დელეგატებთან ერთად.
მოსკოვი, კრემლი 1973 წ. 24-26 იანვარი.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან მეორე) თბილისის ვაკის პარკში უფროს ქალიშვილ თამრიკოსთან ერთად მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს შორის. 1973წ. 9 მაისი



გ. შუბლაძე (მეორე რიგში მარჯვნიდან მეოთხე) თსუ კათედრის თანამშრომლებთან ერთად. ცენტრში კათედრის გამგე პროფ. ა. გოკიელი, 1973წ.



გ. შუბლაძე ცოლშვილთან და მარინა ახმეტელთან
ქ. პიატიგორსკში. 1973 წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან მესამე) საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილეთა ერთ ჯგუფთან (ქ. პერმი). 1974 წ.



გ. შუბლაძე და მისი მეუღლე შვილის საფლავზე. თბილისი, 1974 წ.



გ. შუბლაძე (შუაში – მარჯვნიდან მესამე) თსუ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმ,ჯდომარე ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობაზე) კომისიის წევრებთან ერთად. (1976 წ.)



გ. შუბლაძე (მარცხნიდან უკანა რიგში მეათე) საკავშირო თათბირ-სემინა-
რის მონაწილეებთან ერთად (ქ. ერევანი). 1979წ.



გ. შუბლაძე ცოლშვილთან ერთად წითელ მოედანზე (მოსკოვი). 1980წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან მესამე) თანაკურსელთა ერთ ჯგუფთან
უნივერსიტეტის დამთავრების 25 წლისთავზე. 1982წ.



გ. შუბლაძე ვერცხლის ქორწილის ცერემონიალზე. თბილისი, 1983 წ.



გ. შუბლაძე უნგრეთში მივლინებისას მდ. დუნაის სანაპიროზე
(ქ. ბუდაპეშტი). 1983 წ.



თბილისში საკავშირო თათბირ-სემინარის მონაწილეები
ი. სტალინის სახლ-მუზეუმთან. ქ. გორი. 1983წ.




გ. შუბლაძე (მარჯვნიდან მეორე რიგში მეექვსე) ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელი (ქ. სოფია). 1984 წ.




გ. შუბლაძე (მარჯვნიდან უკანა რიგში მეორე) ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელი (ქ. ბუქარესტი). 1984 წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან პირველ რიგში მესამე)
საკავშირო თათბირ-სემინარზე (ქ. ტალინი). 1984 წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან პირველი) უნგრელ სტუმრებთან (პროფ. ლასლო საბო მესამე) ერთად „ბავშვთა სამყაროში“ (თბილისი). 1987 წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან ბოლო რიგში მეორე) ცოლშვილთან და
უფროსი დის თალიკოს ოჯახის წევრებთან ერთად
კურორტ ლებარდეში. 1989 წ.



გ. შუბლაძე (მარცხნიდან ბოლო რიგში მეხუთე) და გ. ბუსლავიჩუსი (მეექვსე) „ვნიიკს“-ის საქართველოს და ლიტვის ფილიალების თანამშრომლებთან ერთად (ქ. ვილნიუსი). 1990 წ.



გ. შუბლაძე (მარცხნიდან მეორე) იაპონელებთან ერთად (მარჯვნიდან პირველი პროფ. მ. გოცირიძე).




გ. შუბლაძე იაპონელი თარჯიმნის დახმარებით მიესალმება იაპონელ მასპინძლებს (ქ. ტოკიო, გინზა) ეროვნულ ვახშამზე რესტორანში (III სართული მიწის ქვეშ), 1990 წ.



გ. შუბლაძე ცოლშვილთან და მარინა და გიორგისთან ერთად. ქ. გორი. 1997წ.



გ. შუბლაძ (მარჯვნიდან მეორე) პროფ. ო. საღარეიშვილის
იუბილეზე. 1997 წ.



გ. შუბლაძე ქალიშვილ ლელასთან ერთად
ვაკის პარკში. 1998 წ.




გ. შუბლაძე (შუაში) თსუ მაღლივ კორპუსში
კოლეგებთან ერთად. 1998 წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან პირველი) თსუ საერთაშორისო ბიზნესის
ფაკულტეტზე კოლეგებთან. 1998 წ.



გ. შუბლაძე სდასუს სტუდენტებთან. 1998 წ.



გ. შუბლაძე ყველაზე უფროს და ყველაზე უმცროს დებთან ერთად საკუთარ ბინაში. 1998 წ.



გ. შუბლაძე (მარცხნიდან მეორე) ჯვრისწერის ცერემონიალზე ქაშუეთის ეკლესიაში. 1999 წ.



გ. შუბლაძე (შუაში) თსუ მაღლივ კორპუსში გოგი თოფაძესთან შეხვედრაზე. 1999 წ.



გ. შუბლაძე ცოლშვილთან და სიძესთან ერთად
ი. ჭავჭავაძის სახლმუზეუმში (ქ. ყვარელი). 1999წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან ბოლო რიგში მეშვიდე)
შუბლაძეების გვარის შეკრებაზე. 2002 წ. 9 იანვარი



გ. შუბლაძე მარცხნიდან მეორე სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჟიურის თავმჯდომარე თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში. 2002 წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან პირველი) სამაგისტრო შრომების დაცვაზე თეუსუ-ში. 2003 წ.



გ. შუბლაძე (მარჯვნიდან მეორე) სდასუს სტუდენტთა კონფერენციის გახსნაზე. 2004 წ.



გ. შუბლაძე შვილიშვილებთან ერთად. 2006 წ.



გ. შუბლაძე (მარცხნიდან მეორე) სდასუს სტუდენტთა
კონფერენციის ჟიურის შემადგენლობაში. 2007 წ.




გ. შუბლაძე (მარცხნიდან ბოლო რიგში მესამე) თანაკლასელებთან ერთად
უნივერსიტეტის დამთავრების 50 წლისთავზე (თსუ I კორპუსი), 2007 წ.




გ. შუბლაძე თანაკურსელებთან თსუ I კორპუსის ეზოში
ფ. გოგიჩაიშვილის საფლავთან. 2007 წ.



გ. შუბლაძე მეუღლესა და შვილიშვილ გიორგისთან ერთად შინ ოქროს ქორწილის ცერემონიალზე. 2008 წლის 28 დეკემბერი.



გ. შუბლაძე ოჯახურ გარემოცვაში. 2009 წ.

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge